

ახალი ქართული  
ლიტერატურა  
(XIX ს.)

ქრესტომათია  
II ნაწილი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 1993

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კრესტომატიის მეორე წიგნში წარმოდგენილია XIX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების დასაწყისის ქართველ მწერალთა შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი.

განკუთვნილია უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთათვის. დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთაც.

**შემდგენილნი: ი. ბერაძე, ა. მახარაძე, ს. ხუციშვილი**

**რედაქტორი სოლომონ ხუციშვილი**

კომენტარები და შენიშვნები გიორგი ერისთავისა და დანიელ ჭონჭაძის თხზულებებისათვის ეკუთვნის ი. ბერაძეს; ზურაბ ანტონოვისა და ლაერენტი არდაზიანის თხზულებებისა — ს. ხუციშვილს, ხოლო რაფიელ ერისთავისა — ა. მახარაძეს.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993

ა  $\frac{4702170201}{608(06)-93}$

ISBN 5-511-00546-0

## რ ე ლ ა ქ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

წინამდებარე ტომი გაგრძელებაა 1977 წელს გამოცემული „ახალი ქართული ლიტერატურის“ ქრესტომათიისა, რომლის შედგენა და გამოცემა ითავა ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრამ.

ეს ტომი დაეთმო ქართული რეალისტური მწერლობის პირველ წარმომადგენლებს. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 60-იანი წლების მძლავრი ლიტერატურული აზროვნების განვითარებაში, რომელსაც შემდეგ მეთაურობდა და წარმართავდა ილია ჭავჭავაძე.

ქრესტომათიაში შეტანილი თხზულებები ხშირად იბეჭდებოდა (განსაკუთრებით დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“) და მათი ავტორების შემოქმედების აკადემიური გამოცემებიც არსებობს, გარდა ზურაბ ანტონოვის პიესებისა, რომელთაგანაც ამ ქრესტომათიაში მხოლოდ ორი ნაწარმოები შევიდა.

აქ წარმოდგენილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები იბეჭდება შემდეგი გამოცემების მიხედვით:

გიორგი ერისთავი, თხზულებანი, ტექსტი დაადგინა, გ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ, 1966 წ. (ამასთან ერთად, გათვალისწინებულია გ. ერისთავის „თხზულებანი“ იონა მეუნარგაის წინასიტყვაობით, გამოცემული 1884 წ.).

ზურაბ ანტონოვი, თხზულებანი, პეტრე უმიკაშვილის მიერ შეკრებილი და გამოცემული 1876 წ.

ლავრენტი არდაზიანი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. შენიშვნები და კომენტარები დაურთო ცირა კალაძემ, 1964 წ.

დანიელ ჭონქაძე, სურამის ციხე, მიხეილ ზანდუკელის წინასიტყვაობით და რედაქციით, 1932 წ.

რაფიელ ერისთავი, თხზულებანი, შალვა რადიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ტტ. I—IV, 1935 წ.

ქრესტომათიაში შეტანილი ტექსტები შედარებულია ავტოგრაფებთან და პირველნაბეჭდებთან, შესწორებულია ბეჭდვის შეცდომა. ჩვენს მუხუდებში და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია გიორგი და რაფიელ ერისთავების ავტოგრაფების ნაწილი, რომელთა მონაცემები გამოყენებულია ამ ტომში შეტანილ ნაწარმოებებში. მუშაობა ზ. ანტონოვის, ლ. არდაზიანის და დ. ჭონქაძის თხზულებებზე მიმდინარეობდა პირველნაბეჭდთა გამოყენებით, რადგან ამ მწერალთა ავტოგრაფები, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოღწეულა. არ შეიძლება გადაწყვეტით ითქვას მიიღო თუ არა რაიმე მონაწილეობა, ვთქვათ, ლ. არდაზიანმა ან დ. ჭონქაძემ, ანდა მიადევნეს თუ არა თვალი თავიანთ თხზულებათა ბეჭდვას (დ. ჭონქაძეს ავადმყოფობა არ მისცემდა ამის საშუალებას, იგი ნაწარმოების ბეჭდვისას ლოგინად იყო ჩაყარდნილი). „სურამის ციხის“ 1932 წლის

გამოცემის რედაქტორმა და გამომცემელმა, პროფესორმა მიხეილ ზანდუქელმა თავის დროზე ჩაატარა სარედაქციო მუშაობა ნაწარმოების ტექსტის გაწმენდისათვის და პირველნაბეჭდთან დაახლოებისათვის. იგი წერდა: „ყოველი შემდეგი გამომცემი (დ. კონქაძის თხზულებისა — ს. ხ.), როგორც ჩანს, უკრიტიკოდ სარგებლობს წინა გამოცემით, „ცისკრის“ რედაქციაში არ იხედებოდა და ტექსტს უფრო მეტი შეცდომებით ტვირთავდა...“ ეს გარემოება გათვალისწინებულია წინამდებარე ტექსტებში.

როგორც ამ ქრესტომათიის პირველი ნაწილი, ისე ეს, მისი მომდევნო, შედგენილია ახალი (XIX ს.) ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამის საფუძველზე.



თ. სვიმონ მაჩაბელს<sup>1</sup>

გახსოვს, როს, ძმაო, ბედისა მწარით  
შეგვხვდა პატიმრად ერთად სხდომანი?  
მტკიცისა გულით, კავშირის მყარით  
ვსთქვით ურთიერთის მეგობრობანი.  
შენ მიხვდი შენის გულის წადილსა:  
ასკერეტ ძეთა შენთა ტურთად ღიმილსა;  
ვითა ბულბული ვარდსა გაშლილსა  
დასტრფი, დაჰხარი ცოლსა და შვილსა.  
ოდესცა, ძმაო, იყო მჯდომარე  
და ძენი შენნი გეხვივნენ გარე,  
მაშინ უწყოდე, რომ ჩემი სული  
არს ნეტარების ჰერეტად მოსული.  
მე აწ სოფელი მოყვასთ მაშორებს,  
და მიხშავს კლიტით მამულის კარებს,  
ველარ ვისუნთქავ ჰაერის ტკბილით,  
მისთვის მიბრალე გულით ღმობილით.  
მივალ, გარნალა სული აქ მრჩების,  
მუნ სევდის ქოხი ობლად დამშთების,  
უწყი, სოფელი არს სამჰერეტელო,  
ყველა დაჰკნების ვით მწვანე მდელო.  
მეც უცხო უცხოთ ნუთუ მხარესა  
უცხოთა დამფლან გლახ სამარესა,  
მაშინ დღითა მით მომიგონებდი,  
როს ტრფობის წყლულსა განგიცხადებდი.  
შენ უწყი, რომე მისთვის ვცხოვრებდი,  
შვენების ღმერთად აღვიარებდი.  
ვიდრემდის სული ცოცხლად მექმნების.  
მუნემდის ტრფობა არა განჰქრების.  
ნუთუ შენ მისი ხილვა შემოგხვდეს  
და მჰმუნვარებით მომიგონებდეს —  
თუ ვარ ცოცხალი, შემატყობინე  
და, თუ ვარ მკვდარი, სულს აგრძნობინე.

I-ს სექტემბერს, 1833 წელს,  
ტფილისის კაზარმაში პატიმრობის ქამს.

## უცხო ქვეყანის ზაბუას?

მოვედ, ჰაბუკო, რისთვის ოხრავ, უცხო ქვეყანის,  
და გულსა ჰმუნვა გულისაგან გარდაიყარე,  
იგემე სიტუბო მხიარულის მამულის ჩვენის.  
რად ხარ შექმუხენით? გირჩევთ, იყო მარად მღიმარე!  
გიწვევთ ახალნი მეგობარნი, ბედით პოვნილნი,  
რომ შესვა ღვინო, წინდად ჩვენის მეგობრობისა.  
შენიშნე ქალნი. ვით არიან შენზედ ლმობილნი.  
და თვალთა მათში წარაკითხე წვევენა ტრფობისა!  
ნუ უკვე მათი ზეციური მშვენიერება,  
მათი ალერსი სამოთხებრივ ღიმილი ტკბილი  
ვერ შემძლებლობენ განაქარვონ ეგ მჰუნვარება.  
რომელიც შენს გულს ეგრეთ სიღრმით არს დამარხული?  
— „სიღრმისა გულით გრძნობიულით ვარ მადლობელი  
ჩემის ესრეთის ალერსითა მიღებისათვის,  
მაგრამ არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი  
და სიხარულად მიმჩინია ვიტყრო მისთვის.  
„სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩვილი,  
სად სიჰაბუკის განვატარე დღენი ნეტარნი.  
სადა მსუროდა მომეწყვიტა ტრფობის ყვავილი,  
გლახ მის მხარისთვის მეტრქვევიან ცრემლნი მღულარნი“.

თებერვლის 15-ს, ქ. ვილნას, 1835 წელს.

## მ ტ კ ვ რ ი ს ა დ მ ი<sup>3</sup>

მტკვარო, მდინარეე ჩემის მამულის,  
სად ხარ, რომელსა ხშირად შეგსვამდი?  
შენსა მორევეში ოდეს ვცურევედი.  
განმგრილებელო ჰაბუკის გულის!  
სადა მე შენსა, მტკვარო, ნელ დენას  
ვკვრეტდი და გულით ვპოვებდი ღხენას.  
ოდეს ლეილა წარმოსდგებოდა  
მოაჯირითა და ანუ ფანჯრით,  
შენში მყის სახე გამოსჩნდებოდა.  
სშირად ჩრდილსა მას უმზერდი ცრემლით...  
მიყვარდა შენის კილითგან მზერა,  
აღმოვიდოდის შენზედან მზე რა,  
შენი ზვირთების მჩქეფრი ქუხილი,  
ხან მრისხანება და ხან ჩურჩული,  
ერთი არს, მტკვარო, ჩემი სურვილი,  
რომ შენით ვსრითო კიდევ წყურვილი:

კვლავ დამიხატო ლეილას ჩრდილი  
და ადგილსა მას ვიქმნე რჩობილი!

იანურის 9-ს, 1836 წ.

ქალაქ ვოლკოვისკს.

### უ ბ ა ხ ი ს ა ლ მ ი

პოი, მოედანო, მიყვარდა მე ჟამს გაზაფხულის  
მიმოსვლა შენზედ, დავსტებებოდი წმინდის ჰაერით,  
შენიდან ვსკვრეტდი მჭდომარესა სატრფოსა გულის,  
სეირნობაში დამათრობდი ლეილას მზერით.  
ოდეს რაზედმე ან რისთვისმე რა ვკმუნვარებდი,  
შენზედ სეირნით მყის კაეშანს განვიქარვებდი.  
ვით გრძნების სარკე ამო სოფელს დამანახვებდი,  
ვითა მეგობარს, ხვაშიადს გულის შენ გარწმუნებდი.  
შენსა პირზედან ვკითხულობდი დროთა ძველთ წარსულთ,  
შენზედ ჰსწერია მოთხრობანი გმირთა დიდებულთ.  
შენ შთამბერვიდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას  
და ჩანგზედ მღერით დავიწყებდი მამულის მკობას.  
მითხარ, ხომ ჩემებრ შენცა დროით არ იქმენ ცვლილი?  
კვალად ჰბუქნი შენზედ უნეთ ხომ ახტუნებენ?  
მარქვი, ვინ არის შენი გმირი ტრფობით შეშლილი?  
ლეილას თვალნი ნეტარ თუ ვის აწ ეძიებენ?  
დახშული კარი მამულისა როს განმელების.  
რომე ერთგზისცა კვლავ მელირსოს შენზედანვე სვლა.  
თუ მოაჯირით ლეილაცა გამიღიმდების  
უტევე, მოვკვდე, შენ საშუალ მელირსოს დაფვლა.

იანურის 15-ს, 1836 წელს,

ლოტვაში, ქ. ვოლკოვისკს.

### როზალია — ბიზიინის ძალს

(რომელმანც მოხოვა დაუწერო რამ ქართული ლექსი  
ალბომში)

მაქენდა დრო მცირე, გარნა ნეტარი,  
როს ბედი იყო ჩემად მლიმარი.  
როს გული ჩემი არ სცნობდა კმუნვათ,  
არცა ვნებათა და არცა ზრუნვათ.  
თავისუფლებით მყის მივისწრაფდი  
ჩანგზედ ხელყოფას აღტაცებითა,  
უშიშრებითა გუნდარუქს უკმევდი  
მუზთა მარადის დამონებითა.  
როს ამა სოფელს მე სიტკბოება  
მსურდა შემესვა ტრფობის ფიალით,

ვერ ვასწარ ბაგით მაზედ წაფება,  
 ვითა განმიქრა უხილავ ძალით.  
 ვით მოჩვენება გრძნეულებისა,  
 ვითა ოცნება. ვითა სიზმარი,  
 დრონი განცხრომის, ნეტარებისა  
 განმიქრა ვითა ლამის ლამპარი.  
 თუმც ჩანგი ჩემი აწ არს მოშლილი  
 გარნა ოდესმე მიყვარს მე ჟღერა.  
 ეანგმოკიდებულს სიმზედ ტირილი,  
 არ სიხარულის, ვაის დამღერა.  
 მაშ რად გსურს სმენა ხმის მკუნთვარების,  
 ხმის უცხო კაცის და ველურისა,  
 ხმა შესაზარი ნარანარ ყურისა?  
 ნუ უკვე მწირი შეგებრალების?  
 ნამდვილ ვიხილე სიბრალულისა  
 ცრემლნი თვალთაგან განბრწყინებული,  
 მით მსუბუქ მექმნა ტვირთი გულისა  
 და იქმნა ჳმუნვა განქარვებული.

აპრილის 5-ს, 1836 წელს,  
 ქ. ვოლკოვისკს.

## ფიქრი ყმაწვილი ქალისა<sup>6</sup>

### ს ა ტ ი რ ა

მართლა მითხრა დედამა, რათ მინდა ბეგლარ ქმარად:  
 იმას არ შეუძლიან ცხოვრება რუსულ გვარად.  
 მე შევირთამ ასეთს ქმარს, იყოს ჳერ მაიორი,  
 ლამაზი და მდიდარი, არ ჳყვანდეს თანასწორი.  
 თვეში ორჯელ მდიდრულსა ვაკეთებდე ბალებსა,  
 მერე ხუთშათათობით ვპატიყებდე ქალებსა;  
 დილით ფაიატონით ყოველთვის ვგულაობდე,  
 სალამოს კავალრებით უნდა ვკავალკადობდე.  
 ოხ, რა რიგათ მექნება გოსტინა გაწყობილი,  
 ატლასის ჳანავესკით საწოლი შემკობილი!  
 ეს ოთახი იქნება უცხო სპალნა და გრილი.  
 ნაგრამ ამ სალოგინეს აქ არა აქვს ადგილი.  
 მეჯავრება, რა ვნახავ ფარდაჩამოფარებულს,  
 თვალში მეჩოთირება და აწუხებს რაღაც გულს.  
 თუ დმერთმა აღმისრულა ჩემი ესე ფიქრები,  
 მაშინ ნახვენ, თუ რა ვარ, ან როგორ ველირები.  
 თხუთმეტს მაისს რა რიგათ ჩავიფრანცუზ-კადრილებ,  
 მერე მაქვს მოდის ფერი, ამით გულსა ვიგრილებ.  
 ერთხელ ასე ჳფიქრობდა დილით ყმაწვილი ქალი  
 და სარკეში ექირა გაშტერებულად თვალი.

თქვესმეტს მისს ეს ქალი ვნახე ნატანციევი,  
იწვა ქვეშაგებშია როგორც რომ ნაციევი.  
ვინ მიხედება, რათ არის ასე გაკეიღებული?  
იქნებ წუსელ კადრილში დარჩა გელდაკლებული.  
ან იმისთვისა მსწუნდეს, არ უსრულდა ფიქრები?  
გუშინ არ მოეწონნენ, ვინც იყვნენ აფიცრები.  
რა ვქნათ, ამ ჭალისათვის სად ვპოვიოთ ლოველასა,  
რომ აგება შეიქნას ის მაინც მისი ფასი!

• • •

გავიდა სამი წელი. ერთხელ კახეთს მივედი  
რალაც ჩემი საქმისთვის, ავი იმ ქალსა შევხვდი;  
საყდრიდგან მოვიდოდა, იყო ჩადრწამოსხმული.  
სხვა ქალიც გვერდთ მოსდევდა უმარილპირწასპული.  
წინ ქმარი მიუძლოდა პაკიკ-ქოშებიანი,  
მალალი ვით აქლემი, ჩემებრ დიდცხვირიანი.  
გულმა ვერ მომიხვინა, უკან მივყე სახლამდის,  
მანამ სულ არ გავსინჯე, არ წამოველ მანამდის,  
გოსტინა დავინახე, იყო გაულესავი,  
ფანჯარას ფარდის წილად ეფარა სამოსელი,  
ჩვენი გაზდილი ქალი დასჯდა ტახტზედ ქართულად,  
მაგრამ მყისვე დაფიქრდა, იწყო მღერა რუსულად.

18 მაისს, 1839-ს წელს.

### სვიმონ მაჩაბელს '

ბედმან მე კვალად, ძმაო, ხშული განმიღო კარი,  
მოვედი, მნახე მე, მოყვასი და მეგობარი!  
მსურის მოხვევინა, გარდაკონა წვერის ქალარის.  
ექვსის წლის უსმენს შენის ენის მოკოკიკარის  
მშობის, ვით მომყბარს, მოვისმინო ხმა შენი ტკბილი;  
მოგელი ესრეთ, ვით მიჯნური ტრფობით შეშლილი.  
ნულარ იყოვნი, მოისწრაფე, ნახვით მახარე,  
მარილმოყრილის შენის ენით მო, მახარბარე!

არტევის, 25 აგვისტოს, 1838 წელსა.

თ ო ვ ლ ი "

ნინა კავკაძისას

ნახეთ, ნინას როს სპეტაკ გულს ვით დაეცა თოვლი ქულად,  
მას ეგონა სითეთრითა ჰყოფდა ტურფას დაჩაგრულად,

მაგრამ რა ნახა მალიად ეს სიყვარული შეცდომილება,  
დადნა მეტისა სირცხვილით და ცრემლად იწყო დინება.

1839-ს, 15 სექტემბერს,  
ქ. ტფილის(ს).

### თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზე

ჰოი, ჭაბუკო, ახლად სოფელს კინ გადაშლილო,  
ყოველს კეთილით აღსავსეო მამულის შვილო!  
რა სოფელს შეხველ, სათნობა ისხივ-ცისკარე,  
შენ შობებელს მამულს რად შემოსწყერ, ობლად დაგეყარე?  
იქნებ სოფლისა მღელვარება ვერ შეიწყნარე?  
ანუ ანგელოსთ შეიშურეს და აღგაფრინეს,  
თვისთა გუნდშიგან დაგამკვიდრეს, ფრთენი შეგასხეს?  
რაც მიგვეფარე, ცას შევცქერი, რა დღე ბნელდების,  
უყურებ, ტატო რომლის ვარსკვლავთა გამობრწყინდების.  
თითქო გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან  
და ციურ მცხოვრებთ უგალობებ, დამღერ ჩანგზედან.  
ანგელოსთ დასნი გეხვევიან, ყურს დაგიგდებენ,  
მერე ცის სივრცეს ლაქვარდოვანს განავარდებენ.  
ვგონებ, ჭმუნვითა ქვე დამზერი ჩენსა ცხოვრებას,  
ხედავ რა შენ ძმათ თვისსა შორის შურსა, მტერობას.  
მაგრამ შეგვინდონ, შეგვავედრე ცისა მცხოვრებთა,  
და ნუ მოგვეკითხვენ სოფლიურსა ჩენთა ცოდვებთა.

### პ ი ლ ი ბ რ ი მ ი ო

(მ ი ც კ ე ვ ი ჩ ი ს ა)

ფერხთა ჩემთ ქვეშე ფენილ არს მხარე ტურფა და მდიდარი,  
თავზედ უღრუბლო და წმინდა ცა, სხივითა მანათობარი,  
მაშ, განვკვირდები, მშვენიერთ ქალთა გარეშე მყოფარეს,  
გული რისათვის მიმირბის მე ჩრდილოეთის შორს მხარეს.  
ლიტვა! მიმღერდენ უტკბილეს ტყენი ხმიანნი მე შენნი,  
ვიდრე ბაიდრის ბულბულნი, სალგირის ქალნი მაშვენნი,  
უშხიარულეს ვსტეპნიდი შენსა მაღალსა ჩალასა,  
ვიდრე ოქროვანთ ანანასთ, ვიდრე ზურმუხტებ ბალახსა!  
განშორებულსა ათასნი მოგონებანი მიზიდვენ...  
რადა ვარ დაფიქრებული? ოხვრანი რისთვის მიხშირდენ?  
მისთვის, ვისცა გლახ ვეტრფოლი, ვისთვის მსხვერპლად  
ცყოფდი გულსა,

ზის აუ იგი სამშობლოსას, ეამე, ჩემთვის მიღებულსა!  
გარეშე ყველგან ატყვია ჩემგან ახალი კვალები  
და მისი სული მიგონებს, ჩემთვის ჰსტრემლობენ თვალები!

1 აპრილი - 1898 წელსა.  
პოლშაში, სოფელს კუნსას.

## ზარე და შანიშათ "

### ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ქსანი მკვირცხლობით მიმდინარე, გამყოფი მათაა.  
მჩქეფრად გადმოქუხს და კლდენიცა აძლევენ ხმათა.  
როს ზეაგებოთა კავკაზისა მთა შეეწევის მას,  
ხან გლეჯავს ხეთა და ველებთა, იწყებს განებას.  
ველისა დაბა, მაღალს ველსა ზეიდან მდგომარე.  
რომელს აშეენებს გაზაფხულსა წყარო მცინარე.  
რა მზე ჯერ დილით და ცა იწყებს მცირედ ღელვასა,  
ვნატრობ, უჭკვრიტოთ ამ არისა გლახ შეენებასა.  
და მუნ მცხოვრებნიც, რა მზე სრულად გამობრწყინდების,  
გამოვლენ ბანთა და ბერი ვინმე სკამზედ იჯლების,  
ზის ჯერ დუმილით და მერმელა ხელწვირდასმითა  
იწყებს ჰანბავსა უცხოს რასმე ბოხისა ხმითა  
და გარე მისსა ახევიან ჯერეთ ჰაბუენი,  
ყურსა უპყრობენ და უჭირავთ პირში ჩიბუხნი.

• • •

მაშინ, როს საქართველოს ლუარსაბი მეფობდა, (ა)<sup>1</sup>  
ქსანზედ ელიზბარ ძმისწულითურთ ერისთაობდა, (ბ)  
სპარსეთსა იჯდა მეფე შაჰ-აბაზ (გ) — მტერი ქართველთა,  
ამან ინება უპირველეს მოსრა კახელთა.  
მსწრაფლ გამოგზავნა არტაანის ხან ფეიქარი, (დ)  
ბახტრიონიდან და ნუხადმდე დადგა თათარი,  
სრულად აღხოცეს ქრისტიანობა მთელსა კახეთსა,  
არღვიან იყო კაცი ერთი, გარნა თუშეთსა  
იყო ბიძინა, ჩოლოყას ძე, მთავარი კახთა. (ე)  
მხნე და მებრძოლი და მტერისა მიმცემი ახთა.  
იგი მოვიდა ელიზბარის ერისთვის წინა,  
მან სრულ უანბნა, ვით თათართა კახნი ეხდინა:  
„მე მაქვს იმედი თავის ჩემის ზეცისა ძალით,  
თუ შემეწევით, მათ განვდეენით ჩვენისა ხრმალით.  
დაცაარდვიეს წმიდანი ხატნი მათ უსჯულოთა,  
ეკლესიანი შეუქმნიათ საჯინიზოთა.  
შემეწიენით, ერისთავნო, თქვენის ჯარითა,  
ვიცი, რომელ ვძლევეთ წინაძლომით წმიდის ჯვარითა“.

<sup>1</sup> ტექსტში გამოყოფილი ასოები ნიშნავს სქოლიოს. იხ. უენი შენებში.

მსწრაფლად აღუთქვეს მათ შემწეობა,  
 იწყეს საომრად მყის კაზმულობა,  
 „დღემალ წარვლეს, მიმართეს თუშთა,  
 შეჰკრიბეს სრულად მხარე მთიურთა,  
 ლამესა ეროსა წყედიადასა. ბნელსა  
 ეწვივნენ დილით არტანუელსა,  
 სრულად ასწვიტეს ღელა-წულითა.  
 გაასწრა ხანმა ცხენ სიმალითა,  
 თორემ არ ღარსა მათგანი ერთი,  
 ესრეთ ეწიათ ჩვენებსა ღმერთი.  
 რა ჰსცნა შაჰ-აბაზ თვის ჯარისა ამოწყვეტანი,  
 მყის დაიბარა სპარსეთისა სრულიად ხანნი,  
 მსწრაფლად მომართა საქართველოს აღსაოხრებლად,  
 მოვიდა განჯას და იქ დადგა დასასვენებლად.  
 მუნით მოსწერა ესგვარ წიგნი ჩვენსა მეფესა:  
 „მიცნობ, მეფეო, შაჰ-აბაზსა, მტერთ სისხლმჩქეფესა!  
 მიკვირს, მეფეო, ესე საქმე ვით მოგხდენიეს,  
 რომ ჩემი ჯარი თქვენთ ერისთავთ აუწყვეტიეს?  
 ევლადცა ვკვირვობ, ამ საქმესა ვითა ჰბედავდით,  
 რომ შემდგომისთვის სრულებითა ვერა ჰხედავდით?!  
 გირჩევ ერთ საქმეს, ჰე, ლუარსაბ, მომიგდე ყურნი,  
 წარმომიგზავნე ერისთავნი ხელებშეკრულნი“!  
 რა მოუვიდა წიგნი მეფესა,  
 სრულად მოუწოდს დარბაზის ერსა:  
 „შემოკრბით სრულად, ჩემნო ვეზირნო,  
 ძმანო და შეილნო, ზოგნო დაზრდილნო,  
 ჰე, წიგნი სპარსთა შაჰ-აბაზისა,  
 მას ჩვენზე უთქვამს შეყრა ჯარისა.  
 რომ დაამარცხეს არტანუელი  
 და რა ასწვიტეს თათართა ელი,  
 ვიციოდი, რომე არ შეგვრჩებოდა.  
 ყოველი ერი ამას დაგმობდა.  
 შევებნათ ანუ ვით მოვაგვაროთ?  
 ჰსჯობს ერისთავნიც აქ დავიბაროთ:  
 თვით ესე საქმე ჰქმნეს რა უჩემოთ,  
 შეცავაპიროთ, მათ მივაჩემოთ“.  
 ყოველთ უწონეს ესე თათბირი  
 და დააპირეს ამგვარი პირი  
 მათ დაიბარეს ელიზბარ, შალვა,  
 მისწერეს ყველა, არ ჰქმნეს დამალვა.  
 მსწრაფლ წამოვიდნენ ერისთავნი მეფისა წინა,  
 კაცი გაგზავნეს, დაიბარეს კახი ბიძინა.  
 რა სცნო ბიძინა, მანცა მყისად მათვე მომართა,  
 მალ შეეყარა სარწმუნოთა თვის მეგობართა.  
 რა იხილა სამნივ ერთად ჩვენმა მეფემან,  
 ოხერიდა მწარედ და იბრალებს ყოველმან ერმან



მშვენიერება, ახოვნება და სიმხიარობა.

მერე მათ იწყეს პეტის წინა ესრეთ უბნობა:

„ნუ სწუხ, მეფეო, ანუ რა გაქვს ღრმად საფიქრელად?  
ვართ მზა ქართლისთვის ჩვენ მარადის სისხლ დასაღვრელად!

ეგრე წარგვგზავნე, ვითა უთქვამს, ხელბშეკრულნი,  
მამულისათვის მოცავეკვდებით, ვართ მოხარულნი“!

გაგზავნეს სპარსეთს ერისთავები

და მათ შეუტრეს მხნეთა მკლავები,

ჰსტიროდნენ მათთვის სრულად ქართველნი,

ასე ეტყოდნენ ჰაბუკნი ქველნი:

„ჰსჯობს მაგ ტირილსა, წინათ ხედედით,

ამგვარ საქმეზე ჩვენ მოგვბაძვიდით,

შესწირეთ თავი მამულსა მსხვერპლად,

რომე მტრისაგან დაშთენ უვნებლად,

გიყვარდით, ძმანო, თქვენი მამული,

მათზედან გაქენდეს სიმტკიცით გული“!

რა მიიყვანეს ერისთავნი შაჰის წინარე,

სახე უჩვენა მრისხანების შესაშინარე,

მაგრამ იღუმალ ჰკვირდებოდა მათ მხნეობასა.

რომ ვერ ხედედა მათ სახეზედ შეძრწუნებასა.

„თქვენ ხართ იგინი, სად სიგიჟით და თავხედობით

ჰგონებდით სამნი, რომ სპარსეთსა სრულ დაამხოვდით?

ანუ თუ ჰგონეთ, როცა კახეთს იყენენცა ოდენ,

მეტედა ჯარი მრთელსა სპარსეთს აღარა გუყვანდნენ?

როს თქვენი მეფეც ჩემით ჰპოვებს მფარველობასა,

მთხოვს კრძალვითა და მოწიწებით შემწეობასა,

ნეტარ თქვენ, ვითარ ანუ რაგვარ მასა ჰხედავდით,

რად არ იცოდით, შაჰ-აბაზით ვერ წახეიდოდით?

მაშა, გაურნო, თავსა თქვენსა თქვენ განუსაჯეთ,

ამ საქმის მოქმედთ რისაც ღირს ხართ, ესრეთ ისაჯეთ“.

პასუხად უგეს ეს გვარ სიტყვით მათ ერისთავთა:

„ნუ ჰგონებ, მეფეე, შევეუშინდეთ შენთა სიტყვათა,

სიყრმით ჩვენითგან სიყვარული გვაქვს მამულისა

და გარდავსწყვიტეთ მშობელთათვის დაღვრა სისხლისა.

ვით მოითმენდა გული ჩვენი ეს გვარ საქმეთა:

ვხედავდით ცოლ-შვილთ, საბრალოთა, გყვანდათ თქვენ

ტყვედა,

გსურდათ აღზოცა სრულებითა ჩვენისა ჰსჯულის.

ივერსა შინა აღარ გეგონათ ძენი მამულის?

მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა,

თუ ვერ განვდეენით ჩვენის სამზღვრით მამულის მტერთა“.

ჰსურდათ მათთვის მუსულმანობა,

დაუდგნენ მტკიცედ, ჰქმნეს გულოვნობა.

რა ველარ მიხვდნენ თვისსა სურვილსა,

უბრძანეს ჯალათს, მზად შექუთრვილსა,

ერისთავთ თავნი დააყრვეინეს,

ბიძინას თვალთა ეს აშუერინეს...  
ეკონათ, ამით შეშინდებოდა  
და ძმათა თვისთა განშორდებოდა.  
რა ვერც ბიძინა მოცაიბირეს,  
მაზედ უარეს სპარსნი განარისხდეს.  
ვით თქვას ენამა, ესრეთ ეწამა,  
რა კიცხვა, კდემა და კიცვუნდ შესმა.  
როს ამითაცა ვერ მოიზიდეს,  
ესდენი რისხვა ვერლარა ზიდეს,  
ჰყვეს მხნე ბიძინა განშიშვლებული,  
ჰქმნეს ნაწილ-ნაწილ დაწვლილებული.

## ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა

ჰაპის ძმას ჩემსა, როინს, ჰქონდა მოურაობა,  
აქვდა ბატონთა გულს უზომოდ მას ერთგულობა.  
როს ერისთავნი სპარსეთ შიგან მეფემ წარგზავნა,  
ჩარაშვილი და ჰაპაჩემი მათ გაატანა.  
ამათვე რა სცნეს, ერისთავთა სპარსნი დახოცდნენ  
გზიდან ორნივე იღუმალად უკანვე იქცნენ.  
ჰკითხა როინმა: „რა უყავით თქვენნი ბატონნი,  
რად აგრე ჩქარა მოცაბრუნდით ორნი მარტონი?“  
— „ვცანთ, ერისთავნი წარიყვანეს სპარსთა სასჯელად,  
რათ წავეყვებოდით თავის ჩვენის დასახოცველად?  
ანუ თუ ჩვენგან მიიღებდნენ რა შემწეობას,  
შთავცივდებოდით რაისათვის მათ ტანჯულებას?“  
„რა მოისმინეს საბრალთა ყურთა, ვაი, ჩემთა!...  
სთქვით, მუხანათნო, რად განშორდით ბატონთა თქვენთა?  
ნულარა იყოს მაშა როინ, რა ეს ისმინოს,  
რომ შვილიც იყოს, თავის სელით არ მოაკედინოს!  
როგორ მოშორდით ნეტა მათთა ცხენისა კვალთა,  
არა გრცხვენოდით, ორგულეები ეჩვენეთ ხალხთა?  
მოჰკვდით ორგულნო!“ — რა სთქვა ესე, ხანჯალა გულსა  
დასცა პირველ ძმას და შემდგომად მას ჩარაშვილსა.  
აქედან იწყეს ორთა დიდ გვართა,  
ჩვენ შორის, დენა სისხლისა ღვართა,  
ჩარაშვილები სრულად შეითქვენენ,  
და ღამესა ბნელს ჩვენ შემოგვიხდნენ:  
როინს მძინარეს დასცეს ხანჯალი,  
მაშინ მომიკლეს მამა საწყალი,  
მე აკენით დედამ ჩამსვა გოდორში,  
სოფელი შეკრბა, მოვლენ მდედარში,  
შეიქნა ომი ესდენ ფიცხელი,  
რომ ორთა მხრიდამ არ დარჩა მრთელი.  
მათცალა დარჩათ ჩვილი ყრმა ერთი,  
ახლა არს ბერი და აქვს მხნე გული.  
მას ძე არა ჰყავს, უვის ასული.

ეცადეთ, შეილწი, იყავით ფრთხილად,  
 რომ არ მიეცეთ მას ბერს სიკვდილად.  
 ესე ჰანბავი გულს დაინერგე,  
 შეილებსა შენსა გადაუნერგე\*.  
 რა დაასრულა ესე ჰანბავი ბერმა ხიმიმან,  
 იწყო ბორკება ყანიმათის ძლიერმა სულმან,  
 ამაყად დგება და მიისწრაფის თვისსა საწოლში,  
 დაჰსჯდა ღუმლით და შევიდა ფრიად ღრმა ფიქრში.  
 ვინ ვერა მიხვდეს მიზეზებსა მის ღუმლისას,  
 იგ აპირებდა შედგომასა ძებნად სისხლისას.  
 აჰა, რას უბნობს და ხმა მაღლით ესრეთ იფიცა:  
 „ანუ მოცავეკლავ, ან ითხიოს ჩემი სისხლიცა.  
 ნუ უკვე არ მაქვს წინაპართა მათ ჩემთა გული  
 და არა ვიყო როინისგან შთამოსირული?  
 ყოველთა უტევ და ვიძიო სისხლი როინის,  
 მსთქვენ, ყანიმათი არს ნამდვილად ძე ალღუზონის\*.  
 ანუ თუ მოვეკვდე და ვიხილო იგ წინაპარი,  
 ღიმილით მკვრეტდეს და განმილოს სამოთხის კარი;  
 ვსხდეთ მყუდროებით და შევბითა სრულად ვსტკებოდეთ,  
 ვინც მშობელთათვის მომკვდარიყოს, მათ მოუწოდდეთ“.  
 ყანიმათს დილით განუფრთხეს ძილი,  
 იქმნა სასწრაფოდ იგ შეკუთვილი,  
 მიმართა ერთსა მცირე სოფელსა,  
 უთხრეს, იქ ჰპოვებ მას, შენსა მტერსა.  
 მიხვდა ტყეს მცირეს თუმცა მაღალსა,  
 იამა ჩვენსა მგზავრად მავალსა.  
 მას დღესა იყო კეთილი დარი,  
 ჰბერვიდა წყნარად ზეფირად ქარი,  
 ტყენიც ნელიად შეირხეოდენ,  
 თითქო ყანიმათს ეუბნეოდენ:  
 „ნუ იქმ, ყანიმათ, მაგა საქმესა,  
 ნუ მოაკლდები კეთილსა დღესა,  
 განაგდე ეგე სისხლისა ღვრანი,  
 შემოქმედისა გამარისხარნი!“  
 ესრეთ მდელონიც უპასუხებდნენ,  
 ყოველ ბიჯზედან ვაის უხმობდენ,  
 მაგრამ მხნის გული ვერ შეარყიეს  
 და ღრმა ფიქრისგან ვერ განაბნიეს.  
 შემდგომად მიხვდა ველსა ტურფას, მწვანით მოსილსა,  
 სადა მოუნდა განსვენება ფრიად ლტოლეილსა.  
 ძლივ დაწვა მდელოს, მსწრაფლ წამოჭდა, ყურსა უგდებდა,  
 ვილაც მოსთქვამდა ნაზის ხმითა, გულით ჰგოდებდა.  
 ადგა ნელიად და შეუდგა იმ ხმისა კვალსა,  
 იქით და აქეთ სიმკვირცხლითა ავლებდა თვალსა.

\* ოსნი რაცხვენ თავიანთ ჩამოშავლობას სამთ მძათაგან: სიღამონ, რომელიც იყო პუ-  
 რადი, ყურაგონ — მდიდარი და ალღუზონ — ვეჟაკი.

იხილა მან სე მუქენიერი, მრავალსტოეანი,  
წყარო ასქეფირედ მომდინარო, ტურფად სმოვანი,  
წყაროსა პირსა მსჯადა ქიზგაი ცოქელთა მფრქვეველი,  
თეთრსა მკერდზედან თმათა შავთა ქარი მბერველი  
გარე ახვევდა და აჩენდა მუქენსა სახესა,  
ცრემლი მდღლარნი აშვენებდენ მისსა ბაგესა;  
ეგრეთვე მსწორეთ გაზაუხულსა ციურნი ნამნი  
მდღლოთა ზედან გამოკრთიან ტურფად მბზინავნი.  
ტირილსა მისსა ფრად ჰკვირდების,  
ნელის ბიჯითა მიახლოვდების,  
ყანიმათს, ვგონებ, გულით მსუროდა,  
ტურფა ქიზგაი თუ რას ტიროდა:  
ნამდვილ ვისიმე არისცა მტრფობი,  
აქვს სიყვარული გულს დანასობი.  
რა ყანიმათი ქიზგამ იხილა,  
მაღალის ხმითა მან დაიკვილა:  
„შენ ხარ, ყანიმათ? ვაიმე ჩემდა,  
აწ დღენი ჩემნი სრულად დაბნელდა,  
საბრალო ზარე ახლა დაობლდა“...  
ესრეთ მოსთქმიდა, ცრემლთა ალტობდა.

### ყ ა ნ ი მ ა თ

დაჩუმდი, ტურფავ, რა გაქვს სატირელ?  
ყანიმათ შენთვის რათ არს საშინელ?  
ანუ რით იცი, რომ იგი მე ვარ?  
მე საშინელსა არასა ვგევარ!  
მე ვარ ყანიმათ, მარქვი ოდენ, გეშინის რათა?  
არ ვარ მვენებელ, გრწმენეს ჩემი, შენებრივ ქალთა!

### ზ ა რ ე

მე შენ მარწმუნებ, ყანიმათო, რომ ხარ კეთილი?  
მამ შეიბრალე ცრემლი ჩემი ესე ლტობილი,  
მარამ მეშინის — ნუთუ გული ამაყი შენი  
წინა აღგიდგეს და დაუგო თავსა მახენი?

### ყ ა ნ ი მ ა თ

ნულარა მტანჯავ, მარქვი, რა გსურს, ან რა გწადიეს?  
შეწვენა გსურის? შენ გულითა ვინმე გტრფობიეს?  
არ ნებას გცემდენ დღენი შენნი იყვენ ბედნიერ?  
სხვას ვისმე სურხარ? მითხარ, ვინ არს იგი კადნიერ!  
ჰირსა შიგანცა თოფმა ჩემმა მამ მომიცდინოს,  
მტრისა ტყვიითა თავი ჩემი სრულ განიტყინოს,  
თუ რაცა მარქვა და ძალვიდე, არ აღგისრულო,  
ანუ სიცოცხლე შენ სურვილზე არ დავასრულო!

## ზ ა რ ე

მე ვარ ასული ჩარა ბერისა,  
შენის გვარისა ფრიად მტერისა,  
მას დიდ გვარშიგან დავრჩილა ერთი,  
თქვენთა და ჩვენთა ვით ერთმანეთი  
რაგვარ გასწყვიდეს, შევიტყუე წვლილად,  
ვიცან, ყანიმათი არსო აღზრდილად.  
შენზედ ეჭირა მამაჩემს თვალნი...  
ქებასა შენსა მეტყოდნენ ქალნი.  
თუმცა შენ იყავ ძე ჩემის მტრისა,  
მაგრამ ტრფობაი მაქენდა მოყვრისა.  
რამდენჯერ ჰსურდა მამასა ჩემსა  
სიკვდილი შენი; გიკრავდა გზებსა,  
მაგრამ მუხლდრეკით ვევედრებოდი,  
სახლსავე თვისსა მოვაბრუნებდი.  
შემდგომა მითხრეს შენი წამოსვლა,  
ვიცი, რომ გსურის მამისა მოკვლა.  
მსწრაფლად წამოველ ამა წყაროზედ,  
ვიცოდი, მოხვალ შენ ამა გზაზედ,  
რას წამს გიხილე, ვიცან ნამდვილად,  
მოხვალ მამისა ჩემის სიკვდილად.  
მე დავასრულე, რალაცა ვიცი,  
შენ მხნეობრივი მომეცი ფიცი:  
მაშა იბრაღე, ყანიმათ, ზარე,  
მამასა ჩემსა ჯერ ნუ გამყარე!  
შენც რომ არ მოკლა, ის არს მოხუცი,  
არ შეუძლიან, თვით შენცა იცი,  
შენი სიკვდილი. მაშა რალა გსურს?  
ანუ სხვა რამე გულით რალა გწყურს?  
გვედრებ, განაგდე ეგ ფიქრი გულთა,  
მიჭვრიტე, შენ წინ მოვიდრეკ მუხლთა!“  
მდგომარეობა ყანიმათის ძნელად ასაწერ,  
რომ ფერმოხდილად მდგომარესა ამ მხნესა უმზერ,  
კვლად დგას უძვრელ არცა მოქმელი ერთის სიტყვისა,  
ვერ გამბედეელი გარდაწყვეტად თვისის ხვედრისა.  
ხან ოხრავს, ხან ძრწის, ხან დახედავს თვისსა ხანჯალსა,  
ხან ზარესაყენ დაყრდნობილად აქცევდა თვალსა.  
შემდგომ სურვილმა ყოველთ ჰსძლივა მრისხანებასა,  
ვინ არ ემონვის, მითხარით მე, ქალთ მშვენებასა?  
მაშა ნუ ჰკიცხავთ ყანიმათის ღმობიერებას,  
რომ დასთმო ჰსჯული და შეუდგა იგ ტრფიალებას.

ყ ა ნ ი მ ა თ

ადექი ზარე, აქა დავსხდეთ მწვანესა ველსა,  
შენ მთხოვ, უტეო სისხლი ჩემი მას, ჩვენსა მკვლელსა.  
გახსოვდეს, ზარე, რომ შენვე მთხოვ ესრეთ საქმესა.  
მე თანამდებ ვარ, მოგშორდეთა ჰსჯულსა და წესსა...

რა ჰსთქვას სოფელმა ამა ჩემსა ესრეთ საქმეზედ?  
ვიოლა ძალვიდვა, ვამოვიდე მე ქვეყანაზედ?  
ფიქრე, ზარე, რომ ვშორდები ჩემთა მშობელთა  
და ვაცაკლდები სამოთხის დასთ მარად მჯდომელთა.  
ვითა ვეჩვენო მხნესა როინს გარდახდომილი,  
სისხლი ძვირფასი ქალსა დავსთმე, ვიქმენ ლმობილი!..  
ჯილდოთ ამისა რას მივიღებ, მითხარი, ზარე,  
რომ მაგ ქვევითა და ცრემლითა მშობელს გამყარე?  
მე არა მსურს რა გარდა ამის ღირს ვიქმნებოდე,  
რომ მაგ ციურის ნამთა გამო ვიპყრებოდე!  
აჰა, ერთმანეთს მოეხვევიან  
და უბნობისგან დადუმდებიან.  
ზარეს ნელიად ცრემლი ჰსდიოდა  
და ყანიმათი ბავით უშრობდა.  
მდელოსა, წვიმით დამძიმებულსა,  
მზე თვისის სხივით ჰყოფს განბნეულსა.  
შემდგომად ფიცით შეიკვრებიან,  
რომე ოდესმე შეუღლდებიან.  
დასდეს პირობა, ყოველსა დღესა  
ეჩვენებოდნენ აქ ერთმანეთსა.  
ჰოი, სიკაბუკევე, სიკაბუკევე! ვითარ ხარ ტკიბილი,  
თუ შავბედისა ცეცხლსა შიგან არ ხარ წრთობილი!  
ნეტარ მას, ვინცა სიყრმის ჟამსა ცხოვრებით ჰსტკბება,  
ვინც ამა სოფელს ჰპოვებს სახელს და განდიდდება,  
მაგრამ უმეტეს არი: იგი სოფელს ნეტარი,  
თუ რომ ჰკაბუკმან ლების ხელით შესვა ნეტარი.  
რათ მინდა სოფელს, მარჯვით, დიდება,  
ოდეს მომიცვას მე მცხოვანება,  
ანუ სახელი და ანუ ტრფობა,  
როდეს მაქვს ცივი გული და გრძნობა?  
არ მსურს დაეთვალო ჩემი ცხოვრება  
დლითა სიგრძითა და წელთა დენით,  
მსურს ვიგრძნო ყრმობის ბედნიერება  
ყვავილოვანის სულისა ლხენით;  
მსურს ვიგრძნო სიტყბო მე სიხარულის,  
მინამ მიყვავის სულის ოცნება,  
მსურს განხარება ახალის გულის,  
წელთა ზამთარით ვინამ დაჰკნება.  
ესრეთ ჰკაბუკი ყანიმათი ჰსტკბებოდა ტრფობით,  
თითქმის ყოველდღე ატარიან ერთადრე სხდომით,  
ბედნიერების მორევეშიგან ორნივე დაფლულნი,  
გარდა ტრფობისა სხვა გრძნობანი აქნდათ დახშულნი.  
თითქო სოფელი მათ შეექმნათ უცხო ზმანება  
და არ უნდოდათ ოცნებისგან მათ განღვიძება.  
ხშირად მუხის ქვეშ ბუნებისგან განკვირვებულსა  
დავიწყებულნი ყურს უპყრობდნენ მსტვენსა ბულბულსა,  
მაშინ ყანიმათ ჩანგსა ზედან ნელიად მღერდა

ია ზარე ტკბილის ზარიანის ხმით დამღვროდა-  
მუნ წყარო წმინდა მღიმიარებით მომდინარებდა,  
თითქო სატრფოთა ყურებითა განისარებდა.  
იყო საღამო მშვენიერი, უცხო, თბილ-გრილი,  
ჩემნი მიჯნურნი ვნახე ერთად კვალად სხდომილი:  
ყანიმათ ადგა, ესალმება ტრფობით დამტკბარი,  
ძლივს ასწრო კოცნა, გულს ხვდა ტყვია, დაეცა მკედარ  
არს ღამე ზნელი. ხანდისხან მთვარე  
დახედავს ღრუბლით ველისას გარე-  
განსწყდა ხმა ცხოველთ, არის დუმილი,  
თითქოს ბუნებას მოსვლია ძილი:  
მაშ ეს ვინ არის თმა-გარდაშლილი?  
საბრალო ზარე არის შეშლილი...  
დაჯღლილის ხმითა ნეტა რას ჰყვირის?  
ყური დაუგდეთ, ყანიმათს სტირის:  
„ყანიმათ, მოდი, აი, აქ გელი,  
რათ დამივიწყე მე საყვარელი?  
ვინ მომამორა შენ ღამაზ თავსა,  
ვეღარ მოვისმენ მე ტკბილსა ხმასა...  
მარტოკა წახველ იმ გრძელსა გზასა?  
მაღე ვიპოვნი მე შენსა კვალსა.  
არ გიამება, რომ ნახავ ზარეს?  
გახსოვს, მიძახდი მე შენსა მთვარეს?“  
დილაზედ კაცნი საბრალო ზარეს  
უთხრიდნენ კმუნვით ნიჩბით სამარეს.

## ბ ა უ რ ა <sup>12</sup>

### პირნი მოკმეღნი

თავადი ანდუყაფარ, ქერივი

ქმანი მისნი: პავლე,

ივანე — რუსეთში გაზრდილი და ვარშაილდგან ახლად მოსული.

დიდებუ-  
ლიძენი

მაკრინე — ცოლი პავლესი.

ნინო — ქალი პავლესი.

მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი — ვაჰარი, მეგობარი ანდუყაფარისა.

თათელა — ამისი ცოლი.

შუშანა — ქალი მიკირტუმასი.

რამაზ — სეკრეტარი სუდისა.

ბარძიშ — ნათესავი დიდებულიძეთა.

ბარამ — მოურავი ანდუყაფარისა.

კომისიონერი — შმა თათელასი.

გაბრიელ — მსახური ივანეასი.

ყარდაშვერდი — ვოგონინოსი.

წედიატორები, სტუმრები, მსახურები.

მოკმეღება -- სოფელში.



[მოქაბეზა პირველი]

[გამოსვლა პირველი]

(ოთახი გაუღესაღი. ფანჯარა რომელიმე ქალღღგაკრული. ცალღვერღზედ ღღას ღღიღ ტახტი. ანღუყაფარ ზის ტახტზედ, მუთაქა უქვეს კალთაში, ორის ზელით არის ღაბჯენიღი მუთაქაზედ, ჰფიქრობს. მერე შემოღვა ბარამ).

ანღუყაფარ. აი, ოჯახის ღაღღუბეღ, გვარის ღამციღრეღა. გაზარღღეთ ყმა-წვიღღები რუსეთში, კარგს რასმე ჰსწავღღობენ! აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესაღისა, არც ღღღ-მამისა! ნეტაღი ღამეშაღღებინოს რამე მაინცა... ოჯახი წა-ვახღინე? ვაღი ავიღღე?... აი, ჩემი ოფღის სამაღღიერო: სახღღები არ ვარგაო, გამეყარე, ცალკე უნღა ვიცხოვროღო! ოჰ, რა ცუღღი ღღრო არის ოჯახებისათღის! ტყუიღიღა არის, უნღა გავეყარო!.. გავეყარო?! რაღა ვიქმნები? აი, თუ მტერი მისანს მომიგებს (ოხრავს ღა იწმენღს ოფღსა).

ეი ოჯახო, კარგო ოჯახო,  
შემღღომ გაყრისა ვის ღაღენახო?  
ახ, ვეღარ ღაღეცემ კარავსა მკაში,  
უნღა ვიმაღო მე მამითაღღში!..  
საღ ვნახამ სამასს ნამღღლის ტრიაღსა,  
ჰობმის გუგუნსა, (ა) ყანის შრიაღსა!  
იათაშვიღის ერთი კიყინი  
თითქო არისო ცხენის ჰიხვინი!  
მერყოღღეშვიღი გაცოფებუღი,  
რვა ჯამისაგან გამგეღღებუღი, (ბ)  
ცეცხლიღით ყანას მოღღღებოღა,  
კაცი ყურებით გაგეღღებოღა.

აი, ესენი სულ უნღა მომეშაღღონ; სახლიც იმას უნღა ღარჩეს.

ეს ჩემი ზვარიც უნღა გამიყონ?  
მაშ სასაფღაღოს ეხღავ წამიღონ!  
თერღღაღღეღული (გ) ჩემი ძამია,  
იღაჯ მიწყვეტამს, შემომღღღომია,  
აღარ ისვენებს, არ იშღის გაყრას,  
სახღს ის წაიღღებს, მიპირობს აყრას.

(სიციღიღით)

ზვარში აპირებს ვაზების ღაჰკრას,  
ვაზების წიღაღ თუთების ჩაყრას!

გამოსვღა მეორე

ანღუყაფარ ღა ბარამ

(ბარამ შემოღვა ქუღღით, ღაღღეღა, ხანჯაღზედ ღაიწყობს ორსავ ზეღღებსა).  
ანღუყაფარ. (ფიქრიღთ). რას იტყვი ბარამ?

ბ ა რ ა მ. თქვენ დღეგრძელობას, თქვენ კარგა ყოფნას, თქვენ სიცოცხლეს!  
ან დ უ ყ ა ფ ა რ. მაშ, შენ არ იცი, ბარამ?

ბ ა რ ა მ. რა მოგახსენო, შენი ჭირიმე, მე არაფერი...

ან დ უ ყ ა ფ ა რ. მაშ მე შენ გეტყვი (ოხვრით): ივანე გაყრას მიპირობს!

ბ ა რ ა მ. (შეშინებულის სახით) ნუ მიბრძანებ, შეი ჭირიმე, ნუ მიბრძა-  
ნებ, განსვენებულის მამის თქვენის საფლავის მზესა!..

ან დ უ ყ ა ფ ა რ. რა ვქნა, ძმაო, არა შვრება. რა გაეწყობა, ვერა მომი-  
ხერხებია რა: რუსული კარგათ იცის, რუსის დიდკაცებთან დადის, მერე, ჩე-  
მი რძალიც იმისკენ არის.

ბ ა რ ა მ. ვაი შენს ბარამს! როგორ ვერა მოგიხერხებიათ-რა?!

(დაფიქრდება, იმღერის)

მოდის ასე ვქნათ. ყმა მივაბაროთ,

ჩვენ ვხნათ და ვთესოთ, ვენახი ვბაროთ.

ან დ უ ყ ა ფ ა რ. რა სულელი ხარ!... ხალხს გადაშირევეს, ზვარს დამიკა-  
ფავს, სახლსაც დამინგრევეს!

ბ ა რ ა მ. მოდი, უშოვნო ზასედატლობა! (დ)

ან დ უ ყ ა ფ ა რ. როდი კადრულობს, უნდა მარშლობა. (ე)

ბ ა რ ა მ. (ცოტა ფიქრს უკან). მაშ, შეი ჭირიმე, რა მოგახსენოთ: შევაწე-  
როთ კაცებში ფული, ერთ ოთხასიოდ თუმანს აკერეფთ ხელათ. ოთხასის თუმ-  
ნით (მხიარულობით) აბა რას ბრძანებ, შეი ჭირიმე, თავის დღეში გაგყრიან!  
ხა, ხა, ხა!

(იცინის, მერე იმღერის)

ასის თუმნითა, აბა რას ბრძანებ,

სულსა,(ვ) პალატა(ზ) ხელით ვაქანებ!

ჩვენ სუდიასა — აიმ კუქნასა,

სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუქნასა

და სეკლეტარსა, მე ოც თუმნათა,

გნებავთ, გაგინდით მიიმუნათა!

ან დ უ ყ ა ფ ა რ. (წამოჩდება მხიარულის სახით, ქუდს შეიკეცავს მაღლა):  
ვთქვათ, ორი წელიწადი არ გაგვეყარეს, მერე ხომ უნდა გავეყარო (ამ დროს  
ისმის ხმა ივანესი. იმღერის: „ლა, ლა, ლა, ლაა, ლა, დაი-და და ლა, ლა“!)

გაგონებულა მესამე

ივანე და ივანე; ხლისტი ხელში უჭირავს. შემოვა, გაკეთებს ანტრაზას(თ) პირუტბს(ი)  
ცალფებით შემოტრიალდება, მერე მივა ანდუყაფართან. ისინი განცვიფრებით უყურებენ.

ი ვ ა ნ ე. ბონჭურ, ყაფარ, კაპარ!(კ) კაკ იმია, ტაკ ი ო ნ დიკარ!

ან დ უ ყ ა ფ ა რ. მოდი, ძმაო, დაჯექი, გვითხარი რამე, გვასწავლე რუსული  
იკონომია.

ი ვ ა ნ ე. ტო იესტ — აგრონომია? (იმღერის).

რასტალკუიკა იემუ, რა კაცია!  
როგორ გასწავლო ირრიგაცია,  
ვით გავაკეთო კარგი გუანო.  
ჯერ გამეყარე, ადამიანო,  
მაშინ გიჩვენებ და დაგასწავლო  
ეს დიდი ზვარი როგორ დაკვალო!

ან დ უ ყ ა ფ ა რ. (ოხვრით). ბევრი ღვინო კი მოგვივა, თუ რუსული გზები  
გაკეთე სასეირნოთა!..

ი ვ ა ნ ე. ღვინო? ქართული ღვინო! ეტო გლუპოსტ! რა ღვინოა, ჰსწორეთ  
კლუკენი კვასია! კლუკვას რა ჰქვიან? ძა... ძა... ძახელი? ან რა შემოგდით?  
დასალევათაც არ გეყოფათ!

ან დ უ ყ ა ფ ა რ. ჩვენ ხომ ვსვამთ, არ ვპყიდულობთ. თავადის შვილს პუ-  
რი და ღვინო თუ აქვს, მდიდარია...

ი ვ ა ნ ე. ფული რომ დაგჭირდებათ, უნდა ეხვეწნეთ კაკოვო ნიბუდ მი-  
კირტიჩ გასპარიჩა (ამ დროს ისმის მეორეს ოთახიდან პავლეს ხმა).

პ ა ვ ლ ე. ბიჭო, ბიჭო, შენ ეი, ბერუავ! სწრაფიას აჰამე, ყორანასთან (ლ)  
ჩხუბი არ მოუვიდეს! პაა, შე ჯულ-ძალლო! ნძა, არ შეჭამო ე კურდღელი.

ი ვ ა ნ ე. აა პავლე მოსულა ნადირობიდან, წავიდე, ვნახო, რა დაუჭერია.  
ხლოპეც დობრ და გლუპ (გავა).

ბ ა რ ა მ (სიცილით). შენი რისხვა მქონდეს, თუ მაგას მთელი ჭკუა ჰქონ-  
დეს.

ან დ უ ყ ა ფ ა რ. არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში; იწამლებიან თუ რა  
არის? ბიჭო, საკვირველია, მოზღოგს (მ) მეც ვიყავ, მაგრამ კი არ გავგიჟე-  
ბულვარ!...

ბ ა რ ა მ. უთუთო რუსეთის ყინვით ტვინი ეყინებათ (იციანის).

ან დ უ ყ ა ფ ა რ. (ადგება და მიდის). კარგია. მამა გიცხონდა, არ გავვი-  
გონოს!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო თ ხ ე

ბ ა რ ა მ (მარტო. ფიქრობს)

ბ ა რ ა მ. ახლა გინდა, ბარამ მოურაო, გონება! გაიყრებიან ბატონები. სა-  
უფროსოთ იქნება არ ამიყვანოს დიდმა ბატონმა... პავლეს რომ ვერგო, დედა-  
კაცთან ძნელია: ამას გროშს ვერავინ მოჰპარავს. მაშინ გოგოები უნდა გავიმე-  
გობრო! (იმღერის).

თუ ბრძანებლობს სახლში ქალი,  
სულელი ჰყავს ვისაც ქმარი,  
ვეზირს უნდა ჰქონდეს თვალი,  
საით არის ღია კარი.  
ვინც მოახლე მას უყვარდეს  
და სიტყვას დაუჭერებდეს,  
გინდა იყოს მახინჯ, მკვდარი,  
გახდი იმის მეგობარი!...

რუსეთის გიჟს რომ ვერგო? ოჰ, ღმერთმა დამიფაროს, როზგითა მცემს სიბერის დროს.. მაგრამ გაბრეულა ამბობს, კარგი გულისა არისო. მერე, თუ თავის პლანები მოჰყვა, რასაც დასთესს, სულ ჭინჭრათ გადაეჭეცევა. მასუკან ან ზასედატლათ წავა, ან პოპოშნიკათა... (ისმის ხმა კარებიდგან და ხველა; ბარამ კულისაში დაიმალება).

### ბამოსვლა მისთვის

(იკირტუმ გასპარიჩი შემოვა, ხელში უპირავს ღვეთარს. იყურება აქეთ-იქით.)

მ ი კ ი რ ტ უ მ გ ა ს პ ა რ ი ჩ ი. ვა, სად აყრილან? ბევრი დაიმალოთ, მაინც ემე უნდა პერემენათ ქნათ ვეჟსილმა.

(იმღერის ღიმლით).

ამ დიდ ბატონს მართებს ფული,  
მე ხელში მყავს იმის სული;  
ორი წელი მომატყუა,  
რა კაცია გიჟ ვრაცუა!  
მეორე ძმა ჰყამს ტუტუცი,  
ასი იმანაც მივეცი!  
კურტყელს იჭერს, ყვირის: უა, უა!  
აი კიდევ გიჟ ვრაცუა.  
ერთი ძმაც ყამს რუსეთუმე,  
ტანცი-მანცი ლავ ზალუმე,  
ამე თავში არ აქვს ჰკუა  
ისიც ისევ გიჟ ვრაცუა!  
(დაფიქრებული დადის).

ეს რა კარგი ფიქრი ვქენ: ამათ გაყრას შერებთან; ეგება ეს ფრანტს ჩემი შუშანი მივეცე, ბალქამ ეს არის (შუბლზედ და ჭიბეზედ დაიკრავს ხელს): ესტი ჩკა, ენდი ჩკა! მაგრამ ჩემი შუშანი კნენა დაუძახონ: კნენო, კნენო! ბაზარ-შიაც დიდი რამე იქნება. დიდებულნიდან ხნამე! ბულდან ბულდანიჩ აჰკით კუ ჰანიში...

(ამ დროს შემოვა ბარამ)

მ ი კ ი რ ტ უ მ. აა, მურავო, მშვიდობით ბძანდები, კარგათ ბძანდები? ბ ა რ ა მ. გახლავარ, პარუნ, მაგრამ რასაცა ფიქრობ, უჩემოთ კი არ შე-გიძლიან.

მ ი კ ი რ ტ უ მ. (შემკრთალი). ვა, რა ფიქრი?! ეს თამასუქები პერემენათი უნდა ქნან შენი ბატონები!..

ბ ა რ ა მ. რომ გაგისალო ეგ ხუთასი თუმანი, რა; მომცემ?

მ ი კ ი რ ტ უ მ. კარგი, კარგი წაღები ჩაგაცემე (ბარამ იცინის). ვა, ქუდიც დაგხურამ, ელი!

ბ ა რ ა მ. არა, ბევრი ამბავი არ ვიცი, თუ გაგისაღე, ოცი თუმანი მომეც.

მ ი კ ი რ ტ უ მ. ინჩე ასუმე? ესეც გიჟ ვრაცუე!

ბ ა რ ა მ. მაშ, შენი ნებაა... ხომ უნდა იჩივლო? ორი და სამი წელიწადი გავა, იმისი სარგებელი კანონიერი შაურის მეტი არ მოგეცემა. აი, რამდენი და-გაკლდება!

მ ი კ ი რ ტ უ მ. (ანგარიშობს) ოხტ-ვიც! ლავ ასუმე, დრუსტ ასუმე. ჭანი წავივიდეს, აი ოთხი თუმანი მოგეცე.

ბარამ. (თავს აქრევს). ოც გროშს არ დაგიკლებ.

მიკირტუმ. პა, ხუთი თუმანი, ელი!..

ბარამ. ჭანი გავარდეს, მოიტა ათი!

მიკირტუმ. ვა რა კაცი ხარ, მურაო, ბევრი ფლისტ-ელუსტი გაუშვათ. რვა თუმანი, პა, ელე დაჰკარ — ტრაქ, ტრაქ და...

ბარამ. რა გაწყობა (ხელს დაჰკრავს). ყაბული მაქვს, ერთი კაბაც ჩა-  
მაცვი

მიკირტუმ. კარგი, კაბაც ჩაგაცმევე!

ბარამ. პატიოსანი სიტყვა!

მიკირტუმ. ინჩე ასე მეთქი, შენმა მხემმა... მლთემ როგორა იქ?..

ბარამ. ისე ვიქ. როგორც შენ გინდა.

მიკირტუმ. ისე ჰქენ, რომ ფული მოიყვანე ხელთაშა თუმანი.

ბარამ. მოდი, მიკირტუმ, ერთი საქმე ჰქენ: შენი ქალი დიდ ბატონს მიე-  
ცეთ, თამასუქი დაუხიოთ, ცოტა კიდევ მოუმატე.

მიკირტუმ. (სამოვნებით). კარგი, მაგრამ დიდი ბატონმა ჰვრივია, შეი-  
ლებმა ჰყავს. ჩემი შუშან მიკირტუმოვნა ყმარწვილია. მურაოჯან, შენ კარგი კა-  
ცი ხარ, ამ ფრანტს მიეცეთ!! ჩემ- ქალმაც ნასწავლია, ტანცი იცის.

ბარამ. აიმ რუსეთის გოესა?

მიკირტუმ. არაფერია, ყმარწვილია, თამამე; ქარი-მარი გავა, დიდკა-  
ცებში პრაფერანს კუ ხალა, ერთ ყალმათ ლავ ფესაცუა!

ანდუყაფარ. (ოთახიდან). ვინ ლაპარაკობს მანდა?

ბარამ. მიკირტუმა ვახლავს!

ანდუყაფარ. აა, მიკირტუმ გასპარიჩ, რატომ არ მობრძანდები? აქ შე-  
მოდი, ვაყო, რამდენი ხანია არ მინახევხარ!

მიკირტუმ. (ცალკე ჩუმათ). პლუტ ვრატუა პა, (მალლა) კნიაზ გაუმარ-  
ჯოს! (შეველენ ანდუყაფარის ოთახში).

გამოსვლა მხემამს

გაბრიელ (მარტო)

გაბრიელ. ფუ, რა სკუჩხნობაა ამ სოფელში. ნეტავი ქალაქში მაინც  
ვიდგეთ; ნეტავი ჩემი ბატონი ისევ ვარშავაში ყოფილიყო და... საკვირველი ეს  
არის, რომ იქ რომ ვიყავ, საქართველოში მინდოდა მოსვლა... ახ, როდის გა-  
ნათლდება ჩვენი ხალხი!.. რა უბედურობა არის, გოგოსათვის ხმა ვერ გამოიცია.  
ტოლი დელო ვარშავა! საღამოზედ როცა დრო მქონდა, და როდის არა მქონ-  
და დრო, ბატონი სად იყო ხოლმე, დავერევოდი ვარშავის ქალებში.. რა რი-  
გათ არიან გაზდილები: ორ კვირაზედ პოლშუჩი მასწავლეს, მერე ტანციობა  
და რამდენი რამეები. შაბათობით ვერცხლის ზალაში თვითო შაურათ არის  
შესვლა. მუზიკა. ქალები გოედებოდნენ ჩემთვის; რა ზდილობით მექცეოდნენ:  
„პროშუ, პანა გაბრიელა, ნამაზურე ობერ ტასა“ — ესენი სულ დამევიწყდება!  
(ოცნებობს. ამ დროს შემოვა ყარდაშვერდი, გვერდით დაუდგება, გაბრიელ  
ვერა ხედავს). ახ, იულიავ, იულიავ! საღლა ენახამ შენს ლამაზ ტანსა, სად გა-  
ვიგონებ შენ ლამაზ ხმასა: „კოხანი გაბრიელო!“ მეტყოდა ხოლმე (ობრავს).  
ნეტავი იმ დღესა, რომ მე სიყვარული გამოუცხადე: პოლშურათ დაუჩოქე წინა,

აი ასე (დაიჩოქებს ყარდაშვერდის წინა): ოო, იულიავ, იულიავ! შენა ხარ ვარსკვლავი ჩემის ცხოვრებისა.

ყარდაშვერდი. იი, მეხი კი დაგეცა!

გაბრიელ. ოჰ, შენ ხარ, ვარდო?... ვარშაეა მომაგონდა (წამოდგება).

ყარდაშვერდი. თვალი შენც დაგიდგა და ვარშაეასაცა!

გაბრიელ. აი, ეგ არის ქართული სიყვარული.

ყარდაშვერდი. მაშ რუსული სიყვარული როგორ უნდა?

გაბრიელ. მე რუსეთში პატარა ვიყავ, არ ვიცი. თუ გინდა, პოლშურს გასწავლი.

ყარდაშვერდი. (მხიარულათ). აბა, როგორ უნდა?

გაბრიელ. აი, ჭერ ასე, თავს დაგიკრავ, შენც ასე დამიკარ თავი, ამას ჰქვიან კნიესი.

ყარდაშვერდი. აი, თვალეზზედ დაგაკარ ფისი.

გაბრიელ. მიცა, მერე მოვალ, ესე ხელზედ გაკოცებ (დაიჩოქებს) სიყვარულს გამოგიცხადებ.

ყარდაშვერდი. კარგი, თვალი დაგიდგება, არავინ დაგვინახოს!..

გაბრიელ. მიცა, გითხრა რამე!

ყარდაშვერდი. თქვი ჩქარა.

გაბრიელ. ოჰ, ყარდაშვერდი...

### [გამოსვლს მიჰყვება]

(ამ დროს უცრათ შემოვა ივანე, ყარდაშვერდი დაიკვირებს და გაიქცევა. გაბრიელ დაჩოქილი დარჩება).

ივანე. რას შვრები, ღურაკო?

გაბრიელ. ვინავათ, ბარინ.

ივანე. გავარი, ღურალეი (ფეხებს დაუბრახუნებს).

გაბრიელ. სიყვარული გამოუცხადე, ბარინ.

ივანე. (იციინს). რა პასუხი გითხრა?

გაბრიელ. რა მითხრა? ივინება.

ივანე. ნუ ტაკ პრაშჩაი, არა ჰყვარებიხარ!

გაბრიელ. კაკყე, ბარინ, ქართული სიყვარული სულ გინება გახლავსთ. (გაბრიელ გავა).

ივანე. (იციინს). მართალს ამბობს; ჭერ საქართველოში სიყვარულის მაგალითი არ ყოფილა, რამანიც არ დაიწერება... რამან ბეზ ლიუბვი — უყვასნო!... (იმღერის).

ჩვენთა ქალთა, უგრძნობართა,  
სიყვარულის უმეცართა,  
ტრფობისათვის არ აქვსთ სული,  
სხვა რისთვისმე უცემსთ გული.  
საყვარელსა ვით ბაშმაკი,  
მოსწყინდებათ იმათ რაკი,  
რა გულით ამოიღებენ,  
ვით ძველსა, გადაადებენ.  
ჩვენნი ყრმანიც გულგრილები,  
თითქო იყვნენ ანგლიჩნები,

გამხდრები. ძალათ ყვითლები,  
პირ-ბრინჯ-ფქვილ შეგლესილები,  
ცოლს არ ირთვენ ჭლექდებიან,  
უღროთ სნეულდებიან,  
ღანცნეტის თამაშობითა, (ო)  
ეგონებ, სულ გაკოტრდებიან.  
ჩენი ვაჟრების შვილები  
შეიქნენ ჩინოენიკები,  
მამის მოგებულ ფულებსა  
ჰფანტენ ვითა ჩალა-ბზესა.  
ვაჟრობას არ კადრულობენ.  
ბალში ფრანცუზ-კადრილობენ, (პ)  
ბლოტის ფერჩატკით ფრანტობენ (ყ)  
თავის ოჯახს კი ამზობენ.

[გამოსვლა მერვე]

(ამ დროს შემოვა მიკირტუმ გასპარიჩი, უყვირის ივანეს):

მ ი კ ი რ ტ უ მ. ზდრავი ყელაიმ, კნიაზ!

ი ვ ა ნ ე. აა, მიკირტუმ გასპარიჩ, კაკ ვაშე ჯდოროვოე?

მ ი კ ი რ ტ უ მ. ბლდდარიმ პუკურნო!

ი ვ ა ნ ე. რისთვის გარჯილხარ, ჩემო მიკირტუმ გასპარიჩ!

მ ი კ ი რ ტ უ მ. მე, კნიაზჩან, ცოტა ვექსილი პერემენიათ უნდა ჰქნან შე-  
ნი ძმები.

ი ვ ა ნ ე. (მოწყენილი სახით). რა მართებსთ სულა?..

მ ი კ ი რ ტ უ მ. ანდუყათარ — ხუთას ორმოცდა ორი თუმანი და ორი მა-  
ნეთი, პავლემ — ასი და რვა აბაზი.

ი ვ ა ნ ე. სარგებელს რას ართმევ, ჩემო მიკირტიჩ?

მ ი კ ი რ ტ უ მ. (აქეთ-იქით იყურება). ცოტა სამი შაური.

ი ვ ა ნ ე. ეტო უყასნო, მიკირტიჩ, ეტო ნე ჩესტნო!

მ ი კ ი რ ტ უ მ. (იციინის). კნიაზ, ერთი ჩესტის ლათაიას ვითხრამ (იმღერის).

კ ტ უ ნ ა სვეტე ჩესნა ზუდით,

ბუდით ნასით ზღება გუდით. (იციინის).

რა ვქნათ, კნიაზჩან? ჩენი ემა, გუთანმა, პური, ფულის სარგებელია. აი, ნაღ-  
დი მომცეს თქვენი ძმა, კუზუნ პრუცენტ ყაბული. ჰა... რამდენი წელიწა-  
დია მართებს, დახისპორ კაპეიკ ნუნაით. ცხენის ქირამ გამაყურტრა, (რ)  
კნიაზის მზემ, ზა ოდნა კუნეც პლტარა რუბლი პლანუ. ისე ვენდე შენი ძმა, არც  
აბეზპეჩითი რაშე მაქვს. კნიაზჩან, რატომ შენ არ იქ ყმის პრავიტსა? (ს) მაგრამ  
ჭორი გავიგონე, ძმები გაყრას შერებით?

ი ვ ა ნ ე. დიახ, უნდა გავეყარო!

მ ი კ ი რ ტ უ მ. (ჩუმით). შენ ჰკვიანე, არ მოტყუვდე, ანდუყათარ ყალბე,  
გებნები, ჰა!

ი ვ ა ნ ე. ვინ მეუბნება! უნდა ავიტანო. ამისთვის, რომ მართალს ამბობს,  
ბოყე მოი!

მ ი კ ი რ ტ უ მ. ერთიც ვითხრამ; რომ დავიდარაბე ძმები მორჩეთ, მერე

სამსახურში არა იქ? ზასედატელ, გრდნიჩი. ჯამაგირი კარგი რამეა-და!

ივანე. ნეტ. ბრატ; მე მინდა ვიხაზაინო, მე სამსახურის თავი არა მაქვს. მიკირტუმ. (იქით). გოე ვრაცუა, (მოწყენით). კნააზჯან, პური კარგი მურავიც მოიყვანს, სამსახურ ლავე, პატრევე; ზასედატელი ასი თუმანი აქვს, ასი ისე მოვლენ!...

ივანე. ქრთამი უნდა ავილო?

მიკირტუმ. ვაა, ინჩის ასუმ! ჩემთვის რომ საქმე ჰქნა, შენი ოფლის-თვის ოცი ოქრო მოგცე — ეს ქრთამე?

ივანე. მე მაგის მქნელი არა ვარ!

მიკირტუმ. კნააზჯან, თუ ხაზაინ-მაზაინობა იქ, ცოლიც შეერთამ?

ივანე. იქნება... მაგრამ ნადა პრეყდე ვლუბიტსა.

მიკირტუმ. კიდევ ლათაია გითხრამ (იმღერის).

ლუბაით ნადა კრასავიცა,  
ფული მოგცეს მეტი ვინცა;  
თუ არა აქვს ფული ცოლი.  
უნდა ჯამო ხომ კონჩოლი!

ივანე. (იციინს). ბრავო, მიკირტიჩ, ბრავო!

მიკირტუმ. დიახ, კნააზჯან, ფული! ეს სოფელმა სულ ფული, ფული, სხვა ყველამ ტყვილია; შენი ხაზაინ-მაზაინობაც ფული უნდა...

ივანე. ტაკ ჩტოჟ, ბანკიდან ავიღებ, ეხლა ხომ ბანკი გვაქვს!

მიკირტუმ. ოჰ, კნააზჯან ბანკი! ჩემმა მზემ, მანამ აიღებ, ჭლექი მოგევა. ერთი წელიწადი ჰსწერა ჩვენი იუანემ. რამდენიც ოპისი ქნა, იმდენი დაუწუნეს. მერე ბრაზი მოვიდა, დახია. ეა, დავიდარაბას გახდიან: თუ ვინ მოგცა ყმა, რა ყმები, გვიჩვენეო. ჩვენი ფული ჰსჯობია, კნააზის მზემ. ესტყვათ რომ აიღე ატსროჩით რომ იქ, ერთ ნიმუტში ტრანქ, ჩაქუჩი დაქკრამენ, ყმა ტორგში იქმოდნენ.(ტ) ვაა, ჩვენ უსტუპიტს გიზამთ... მაგრამ პრაშჩაი, კნააზ. ღმერთმა ქნას, თქვენი დავიდარაბა კარგა მორჩე (გაეა).

### მოქმედება მეორა

(გრძელი ტახტი. ხალიჩა გაფენილი. ზოგან მუთაქა გლია, ზოგან ბოხჩა, ზოგან ბალიშ. ტახტზედ ნინო მუთაქაზედ წამომჭდარი არის. ტახტ ქვევით ყარდაშევრდი ჩამჭდარი არის და ლაპარაკობენ).

### გამოსვლა პირველი

ნინო და ყარდაშევრდი

ნინო. (ოხვრით). იქნება იმ დედა ჩემმა იმ მაიმუნს მიმცეს?

ყარდაშევრდი. ვისა?

ნინო. აი, სულის სეკლეტარსა!

ყარდაშევრდი. უი, დამიდგა თვალები, იმას?

ნინო. იმ დღეს ისე რიგათ გადაჰკრა ლაპარაკში დედამ, რომ მე იჭვი შემივიდა.

ყარდაშევრდი. უთუოთ საქმე ექნება რამე ქალბატონსა და ატყუებს.



ნინო. (იციხის). ღმერთმა გიშველოს, მეც გამიკვირდა, დედა ჩემი აგრე გივი არ არის.

ყარდაშვერი. (ნეკზედ მოიქერს კბილსა). ახლა კი ვიცი: ბატონები იყრებიან და უთუოდ დიატორათ უნდათ!

ნინო. (მხიარულებით). უი ქა, მართლა? შენ ვინ გითხრა, რომ იყრებიან? ყარდაშვერი. (გაწითლდება). გაბრიელმა.

ნინო. (თითით ანიშნებს). შენ როგორღაც ეკურკურები იმას!

ყარდაშვერი. (გაწითლდება, ხელზედ დაუწყებს კოცნას). გენაცვალოს ყარდო. ცოლ ქმრობის პირობა მივეც.

#### გამოსვლა მინოა

(იგინივე და რამაზ შემოვა, დაუკრავს თავს ნინოს).

რამაზ. კნენინას ვახლავარ, უმორჩილესი მონა! მექმნება ბედნიერება, ვიკითხო სიმრთელე ბრწყინვალეებისა თქვენისა!

ნინო. (ჩუმათ თავს დაუკრავს და გავა ბუტბუტით). თვალმც დაგიდგება.

#### გამოსვლა მესამე

(რამაზ და ამ დროს შემოვა მაკრინე).

მაკრინე. აა, კნიაზო, მშვიდობით ბრძანდებით? რა ამბავი, ასე დაგვივიწყეთ?

რამაზ. მრავალთა საქმეთა გამო არა მქონდა დროება. სხვაგვარ, კნენინავ, როგორ არის გარემოება თქვენის საქმისა?

მაკრინე. როგორ არის? ნულარ მიბრძანებთ. ჩემი ქმარი, როგორც მოგხსენებთ, დაუდეველი არის, არა იცის რა. ივანე ცდილობს გაყრას, მაგრამ მე თქვენზედა მაქვს ფიქრი, თქვენ გონიერებაზედ, თქვენს სინდისზედ. ჰსწორეთ მოგახსენო, მე ისე არ დავეშურებოდი გაყრას, თუ მიზეზი არ მქონოდა; ქალი გასათხოვარი მყავს, ყველანი ერიდებიან გაუყრელობის მიზეზით... მოგხსენებთ ჩემი მახლის სიმძლავრე!

რამაზ. დიახ, უმჯობესია გაყრა! მე, ჰსწორე მოგახსენო, არ მიყვარს გარევა მაგვარ საქმეში, მაგრამ თქვენ თხოვნას უარი არ ეთქმება. მერე, ჩემის სულის თვისება ვახლავსთ, დავიკვირო მხარე დაჩაგრულთა. გაყრა ადვილი არის: ეცადენით, სინდისით აღმოიჩიოთ მედიატორენი.

მაკრინე. რასაკვირველია, ჩვენ სინდისით გამოვიჩივეთ, მაგრამ ძნელი ეს არის, შემდგომ გაყრისა კარგი მოშენება და მოვლა უნდა სახლსა. როგორც მოგხსენებთ, უთაურობა ძნელია. ნეტავი ასეთი საქრმო უშოვნო ჩემს ქალს და შევიყვანო სახლში!...

რამაზ. დიახ, გმართებთ მაგაზედ ფიქრი. თქვენ გინდათ სასიძოთ კარგი მცოდნე რუსულისა და სასამართლოს პრჯულები იცოდეს: (უ) ჰკვიანი, ზრდილი, თავადიშვილი...

მაკრინე. ჰსწორეთ! მაგისტანა ბედს ვინ მომცემს!.. ერთის სიტყვით, (ღიმილით), თუ თქვენსავით კარგათ არ ეცოდინება კანონები, რაც უნდა დიდის კაცის შვილი, ყმა და მამულის პატრონი იყოს, არ მივეცემ.

რამაზ. ფრიად გონიერათა ჰსჯით. აი, კნიაზიც მობრძანდება.

(შემოვა პავლე)

(ივანე და პაულე).

პ ა ვ ლ ე. ბატონს რამაზს ვახლავარ! მშვიდობით ბრძანდები, კარგათ ბრძანდები? მამა ნუ წავიწყდება, ბიძაშენს შეფს მწვევარი თურმე ჰყავს კარგი, ავება გამომირთო!...

მ ა კ რ ი ნ ე. აი, უბედურება ოჯახისა! ოჯახი მელუბება, შიმშილით ვიხოცებათ, ტიტვლები, გასათხოვარი ქალი შინ გეიზის, აგერ ოცის წლისა შესრულდება და მიბერდება. ერთხელ ამათთვის იფიქრე; მე ხომ სასამართლოში ვერ ვივლი! რა უბედურობაა, ძაღლები და ძაღლები!... (რამაზს)თქვენ მინც უბრძანეთ რამე!..

პ ა ვ ლ ე. ოპ. ო... ო... დატრიალდა ჯარა! (ფანჯრიდან უძახის): ბიჭო, ბიჭო, შენ, ეი, ფილიპე! სწრაფიას ფეხები დაუზილე, ვეყო, ჯერანამ საყელო რა უყო? ეგ ჯულძალი, აკი არ დაიყენებს!

მ ა კ რ ი ნ ე. (ქოქოლას აყრის). გამიკითხე, აბა რა ექნა მე დედაკაცმა! ბატონო, ამისთანა უბედურება იქმნება, ოჯახში პურის ნება არა ჰქონდეს, გლახას მისცეს! (ქმარს) შე კურთხეულის შვილო, ერთხელ შენ ამოილე ხმა, სულ მე სად ვიჩხუბო!?

პ ა ვ ლ ე. მითომ რატომ არ ამოვიღებ? აბა, გაჭირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო! ასე ვილაპარაკებ პოპოშნიკთანა, დიამბეგთანა, ნაჩლონიკთან, სუდიასთან, როგორც შენთანა, ჩემო მაკრინე, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!

(ამ დროს შემოვა ანდრუყაფარ. ყველანი წამოდგებიან. მივა რძალთან დაჯდება და ჩუმად ლაპარაკობენ. რამაზ და პავლე წინ სცენაზედ ლაპარაკობენ).

რ ა მ ა ზ. (ნელი ხმით). რატომ არ მიბრძანდებით, უთუოდ კნეინა და ანდრუყაფარ გაყრაზედ ლაპარაკობენ.

პ ა ვ ლ ე. (სიცილით) გაიგონე, შენ, ეი, რამაზ, ბიჭო! თითქო შენ ჰკვიან კაცს გეძახიან. დედაკაცი სულ ევას ჩამომავლობა არის; ვითომ ანდრუყაფარ ჰსჯობს ადამსა თუ? ჩემ მაკრინეს სატანაც ვერას დასტყუებს, ვაი არა აქვს შენს პავლესა. ვითომ ენაზედ ჰავლი მოედება თუ? აი, ღმერთი არ გაგიწყრეს, ასე დაუკრავს, დაუკრავს, როგორც ჩონგური, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო! მამა ნუ წავიწყდება, რა მაგის პასუხია, ბიძის შენის შეფის მწვევარი ლამაზია? კურდღელს კარგათ იჭერს?

რ ა მ ა ზ. (გაჯავრებით). ძალიან აქებენ და მე, ჰსწორე მოგახსენო, არა ვარ ახოტნიკი მხეცების ტანჯვისა.

პ ა ვ ლ ე. შენ ეი, გაიგონე! სულ ზაკონები სად გაწერინო? შენ, ძმაო, სულ კაცებს აჭერინებ ნაობახტში და...

რ ა მ ა ზ. უნდა ავხოცო ბოროტება!

პ ა ვ ლ ე. (იქით). თქვენმა მზემ, თავის მამას დაქვარავს ცინბირს ერთ თუნთათ ეს კეთილი კაცი. ვაი არა აქვს შენს პავლესა.

ა ნ დ რ უ ყ ა ფ ა რ. (უძახის რამაზს, რომელსაც დაუწყებს ჩურჩულს).

პ ა ვ ლ ე. (ფანჯარას გააღებს). ანდრუყაფარ, ოო!.. ოო!.. ერთი შეხედე და ჯერანას ნავარდს! ეი, შენი გულისა, ტა, ტა, ტა! ბიჭო, შენ ეი, ბონჯურავ, (ფ) თქვენი ტრუ, ტრუ შეძებარი ჰსჯობს ჩემს ხალიასა (ქ) თუ? ასან აღამ მაჩუქა, შვილო! რო დაუვლის. თითქო ცეკოს თამაშობსო. მამალაა ხალი, მამალაა ხა-

ლი! თქვენ ძაღლს ფრანგულის მეტი არა ესმის რა, ეხლა სად ვისწავლო: ჩერჩ-ტრუე, ჩერჩ!

მ ა კ რ ი ნ ე. (ქოქოლას აყრის ქმარსა). ეგ არის ძაღლები და ძაღლები!

პ ა ვ ლ ე. რა დაგეშართა, ხვალ მოვიდნენ ეგ შენი დიატორები, ასე დავს-ტრიალდები, როგორც ჩალხი, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!

(რამაზ და ანდუყაფარ გავლენ).

მ ა კ რ ი ნ ე. (ხელის ხმით). ხვალ მედიატორები მოვლენ. ყველა მომიხერ-სებია, ჯერ ვეჯი უნდა გავიყოთ, ივანეს წილი არა აქვს; ორათ უნდა გავიყოთ, არაში მოსტყუედე. თუ რამაზმა ქალისა გითხრას რამე, შენ შენებურათ უთხარ ჩემმა მაკრინემ იცისთქო.

პ ა ვ ლ ე. როგორ თუ ქალისა! იქნება პფიქრობ, იმ მაიმუნს მისცე?

მ ა კ რ ი ნ ე. (მლიმარებით). რა უჭირს, კარგი მცოდნე არის.

პ ა ვ ლ ე (გაჭაგრებული). რაო? მამა არა ვპოფილვარ, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო? ჩემი ნინუცა?! დედაკაცო, გავიყდი თუ?

მ ა კ რ ი ნ ე. შენი საქმე არ არის!

პ ა ვ ლ ე. ფე, როგორ თუ ჩემი საქმე არ არის? მაშ მე სახლში გზირი ვპოფილვარ! ნუ გამაჭაგრებ, გამიგონე, მაკრინე, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!

მ ა კ რ ი ნ ე. (ჩუმათ ეუბნება). მედიატორათ ვირჩევ, ბატყუებ, აგება ჩემ-კენ იყოს, თორე ყარდაშვერდი გოგოს არ მიეცემ.

პ ა ვ ლ ე. (სიხარულით) აი დედაკაცი, აი ჰკვიანი! შენ კი გეტაყვანე მაგ თვალეზში, ჯან დედაკაცი! აკი ვთქვი, ევაზედ ჰკვიანი არის ჩემი მაკრინე მეთ-ქი, ვაი არა აქვს შენს პავლესა! ბა! ბა! ბა! როგორ იფიქრე?

მ ა კ რ ი ნ ე. რა დიდი ფიქრი უნდა... (გავა).

პ ა ვ ლ ე. ჩემი ცოლი თამარ მეფის დროს რო ყოფილიყო. ვეზირობას მისცემდნენ. არ გაგონილა: რაც უნდა ჰკვიანი კაცი იყოს, პამპულათ გახდის. არ გაგონილა: ეგ რო კაცი ყოფილიყო, დიდებულნიქებებს სულ აპყრიდა. წავიდე, მიმინო სახადელზედ მოვიყვანო

მოკვამაბა მესამე

(ბამოსვლა პირველი)

(ანდუყაფარის ოთახში სტოლი დვას. ზის რამაზ, ორნი სხვანი მედიატორები. გვერდით ტანტხედ ჩამოჭდარნი არიან ანდუყაფარ და პაულე. ივანე ზის სკამზედ).

რ ა მ ა ზ. (კითხულობს განაჩენს) ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერელთა, აღ-მორჩეულთ სინილისით მედიატორეთ დამტკიცებულის სულსა შინა № 875-ითა... (ამ დროს იმერელი შემოვა ტირილით).

ი მ ე რ ე ლ ი. დევიმსე, დევიმსე, ვაი, ვაი, ვაი!

ე რ თ ო ბ ი თ. რა არის, რა ამბავია?

ი მ ე რ ე ლ ი. (ყვირის). ვაი, დევიმსე, ბატონო!

ე რ თ ო ბ ი თ. რა არის, რა ამბავია?

ი მ ე რ ე ლ ი. ქორი გამიფრინდა, ბატონო!

პ ა ვ ლ ე. როგორ თუ ქორი!? გამიშვით! (იჭერენ სეკრეტარი და ანდუყა-ფარი). გიყი ხართ, მაჰუტაძის გამოგზავნილია, რა დროს გაყრა არის! (პაულე პატარა ხან უკან შემოვა, ქორს შემოიყვანს, დაჯდება და უაღერსებს. ერთი მედიატორე ჩუმათ ეუბნება, ქორი გაიყვანოს. ადგება და იმერელს მისცემს, შემოვა და თავის ალაგას დაჯდება).

რამაზ. (დაიწყებს კითხვას). ჩვენ და მოცქეულსა თავადთა: ანდუყაფარ, პავლე და ივანე დიდებულებითაგან ვასწავსოცთა ყოველნი მათნი დავანი გარეშენი. აგრეთვე ვალნი მათნი, სადაცა აღმოჩნდა, რომელ ვალი არის აღებული თავადის ანდუყაფარ დიდებულებისაგან რომოცდასუთი თუმანი 1825 წელსა მიკირტუმ გასპარაჩი ტრადტოვისაგან, ყამსა თავადის ივანე დიდებულების პეტერბურგში გაგზავნისათვის, რომელიც ეს ვალი შემდგარა თამასუქის გამოცვლით ოთხას ოცი თუმანი 1842 წლამდე. აგრეთვე დიდებულებს აღლია სამოცი თუმანი ყამსა თავადის ივანეს ვარშავაში წასვლისას, ესე იგი, 1849 წელსა და შემდგარა 120 თუმანი. ზემოხსენებულნი ვალნი დაშინენ ჩვენის კეთილის სინიდისით თავადს ივანე დიდებულებს.

ივანე. (წამოხტება). ეტა ტვოი კავერზი, მარტიშყა!

რამაზ. (მოუბრუნდება სხვა მედიატორებს). ბატონებო, იყავით მოწმად. (ივანეს) თქვენო ბრწყინვალება, მაგ აბიდისათვის სტატიით 125 უგოლოვნალო ულოყენია ო ნაკახანიახ, ვი ბუდეტე ლიშენი: ჩინა, ზვანია ი სოსლანი ვ სილეუ.

ივანე. მე შენ ღუელში გამოგიტხოვ!

რამაზ. ღუელნი აღკრძალულ არიან სტატიოუ 532-თა.

ივანე. ს ეტმ სოზდანიემ ნიჩეო ნე სდელაეშ (მედიატორებს). უფალნო, თქვენ ძალიან სინიდისიანი ბრძანებულხართ, დაგიკარგამთ მცირედი ნაპერწკალი კეთილშობილებისა. რა სამართალი არის!... ამ რაზბონიეს (უჩვენებს ანდუყაფარს) — და, ჩტო... ჩისტი რაზბოი. 900 კომლი კაცი ოც წელიწადს ეკირა მე ამ ოც წელიწადში ასი თუმანი მხოლოდ მისარგებლია ჩემის მამულიდგან. ღმერთი არა გწამსთ? ფუ, კაკაია ნესპრავედლივოსტ! არა მე წავალ ღუბერნატორთან, მთავარმართველთან, ხელმწიფესთან, თქვენს მაშენიკობას გამოვაცხადებ (გამოვარდება კარხედ).

პავლე. ეი, გამიგონეთ, ღმერთ გეფიცებით, ერთ აბიდას გვაქმევს მთავარმართველთან!... (ჩუმათ) ეს ჩემი მაკრინეს მოხერხებაა, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო! ეი, ჯან დედაკაცო! ამ დროს მოაქვს ბიჭებს: თოფები, ხმლები, ბუთილკები, ყანწები, საფენი, მუთაქები და ვერცხლეულები. რამაზ ჰყოფს).

ანდუყაფარ. (რამაზს) ეგ მინები სულ ჩემი ნაშოვნი არის.

მაკრინე. (პავლეს კულისიდან ეუბნება). ყველაში წილი გაქვს, არ დაანებო!

პავლე. (გაცხარებული). მე კი არ მიშოვნია რა თუ? ვეყო, ჩემი ნანადირევით გამოდიხართ, ვაი არა აქვს შენს პავლესა. მიიტა, ნახევარი ჩემია! (შებლზედ მოისვამს ხელსა). ესე ვიწურამ ოფლსა და ისე გამომყავს ჩემი ცოლ-შვილი.

ანდუყაფარ. (მივარდება მინებს, დაამტვრევს). აი, ესლა გაიყავ! ეს ოხერი ახალციხეს ვიშოვნე, ეს ჩემა ცოლის ძმამ მომცა, ესენი ქალაქს ვიყიდე.

პავლე. რო იყიდე, შენი პენციიდგან მიე თუ? კახიშვილი რომ აიკელ იმითი არ წასველ ქალაქსა, შე გაუმაძღარო? ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო (მივარდება რამაზს). ეგ მუთაქა ჩემია, სად მიგაქვს? გამიგონე, შენ, ეი, მამა არ წამიწყდება, არ მოგცემ! ბიჭო, ეგ ჩემა ახალუხის დანარჩენი არის! (აიღებს მუთაქას, ანდუყაფარ მივარდება, ართმევს; პავლე წაართმევს, გადილაჯებს მუთაქაზედ და ხანჯალს ამოიღებს) აბა, მობძანდი და წაიღე!

ანდუყაფარ (გაგავრებული შევარდება, გამოიტანს ხმალს, ქალები კვიან, ანდუყაფარ ყვირის). გამიშვით, დაჩვენამ მაგ სულელსა! (და ბიჭები იქვიან ანდუყაფარს).

ბ ა რ ა მ. მამა შენი ნუ წაგიწყდებათ, ღმერთი ვაღლეგრძელებთ, აბა რა საკადრისია.

მ ა კ რ ი ნ ე. (კულისიდან პავლეს ეუბნება). არ დაანებო, თორემ ლეჩაქს დაგხურამ, კაცი არა ხარ?!

პ ა ვ ლ ე. (გაბრაზებული). მომიტანეთ ერთი დიდი თოფი! აი, შე ქალაჩუნა დედაკაცო, ნახე, ჩახმახი შევაწკაუწუნე, მამა არ წამიწყდება, გამიგონე! გამიშვით! რა თოფი მინდა? ცალი ხელით დეარჩო მელიასაუთ, ვაი არა აქვს შენს პავლესა. პო, (შემოვარდება ივანე).

ი ვ ა ნ ე. (ბარამს). რა ამბავია, ჩტო ზა რაზბოი?

ბ ა რ ა მ. აი, შეი ჭიიმე, ემ მუთაქაზედ ჩხუბობენ.

ი ვ ა ნ ე. (იციინს). ფუ, კაკია ნიზოსტ! (მოვა პავლესთან, წაართმევს ხანჯალს მერე მუთაქას გასჭრის შუაზედ, ერთს გაღუგდებს ანდუყაფარს). ნა ტენე, ბალშიო რაზბონიკ! (მეორეს გაღუგდებს პავლეს). ნა ტებე, დურალეი! (ბიჭებს უყვირის) გაიტანეთ, გადაყარეთ ეს ჩიხა-მახობები, თქვენთვის მიჩუქებია; ჩემს სახლს ნუ აჩირქიანებთ, (ყ) სახლი ჩემია. (ბიჭები ჰკრეფენ საჩქაროთ. ივანე რევაზს) ა ტ ი, ვონ, ისჩადიე ადა! (გავა).

რ ა მ ა ზ. მოიცა, თვალ მაშინ დაგიყენებ, როცა შენს ძმისწულს შევირთავ! (ყველანი გავლენ).

#### გამოსვლა მეორე

გ ა ბ რ ი ე ლ. (მარტო. ხელში უჭირავს მაკრატელი. ტირილით). ბოყე მოი, ბედნი ბარინ მოატყუეს რაზბონიკებმა. ონ ტეპერ ნიშიი, ექვსასი თუმანი ვალი არგუნეს, ეტო უყანსო! და ის დალოცვილი დადის და ვარშაულათ ჰფიქრობს გააკეთოს ბაღები. მალ-მალ მეტყვის: „პო ვარშავსკელო!“ ა პო ვარშავსკეპუ, ფულები უნდა. აი, გუშინ მომცა ეს მაკრატელი. ამით ხეები დაკვეცეო. აბა, კაკალი როგორ დაკვეცეო? (შემოვა ყარდაშვერდი, გაბრიელ მიირბენს იმისაკენ). ოჰ, პანა იულიავ!

ყ ა რ დ ა შ ვ ე რ დ ი. კარგი, თვალი დაგიდგება, რალსაც მეძახი!

გ ა ბ რ ი ე ლ. ყარდაშვერდ, გეთაყვა, ნუ ჰსჯავრობ, ეს წყეული ენა დაჩვეული არის, ან გადავეჩვევი, ან მოვიჭრი.

ყ ა რ დ ა შ ვ ე რ დ ი. ყველა კარგი, მაგრამ შენს ბატონს არა მოახსენე რა?

გ ა ბ რ ი ე ლ. როგორ არა, ჩემო, ჩემო ვარდო! მიბძანა, მე ვთხოვ ჩემს რძალს, რომ ყარდაშვერდი მოგცესო, ჩემს ახლო დაგაყენებთო.

ყ ა რ დ ა შ ვ ე რ დ ი. რა საკურველია... სასახლის ახლო დავსდგე, ქათმები მაზღვეინოს!... აგება მოურაობა გიბოძოს.

გ ა ბ რ ი ე ლ. მოურაობას იმასთან სამსახური არა ჰსჯობია?

ყ ა რ დ ა შ ვ ე რ დ ი. რათ ემჯობინება, მაგდენიც არ იცი, რუსეთი კი დაიარე.

გ ა ბ რ ი ე ლ. მოურაობა რა ხელობა არის, რა პურს მაჭმევს?

ყ ა რ დ ა შ ვ ე რ დ ი. ქაა, რა პურს გაჭმევს! პური შენს ხელში იქნება და ღვინო, შემოსავალი; ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისია, ერთი სიტყვით, ბატონის მონახვერე არის.

გ ა ბ რ ი ე ლ. როგორ თუ აკლებს? კარგს რასმე მასწავლი!.. მე რომ ბატონს აკლება გავაგონო, დამარჩობს... განა ბატონი რაზბონიკია? არა, ჩვენ მაგისთანები არ გვისწავლია!

ყარდაშვერდი. მაშ შენცა და შენი ბატონიც მშვირები დარჩებით. ერთის სიტყვით, თუ მოურაობას არ იშოვნო, არ მინდისხარ, შენისთანა მშვირებს მე ბევრს ვიშოვნო... მშვიდობით (ვაჟა).

გაბრიელ. ვოტ ქენშინა! ნეტავი აგრე ლამაზი არ იყოს... მაგრამ ბოროტი დედაკაცი გამოვა... მაშ, რას მირჩევს: რაზბონიკათ გავხდე. ბატონს უღალატო, მოვპარო? ნეტ, ჩემი ბატონი კი არ არის, მამაა, დედაა, ერთის სიტყვით, შვილივით გამზარდა და უყვარვარ, კაცი გამომიყვანა მეხრეობისაგან. ნეტ. ბარინ. მე შენ არ გიღალატებ. ია ტებია ნე ასტავლუ, კჩორტუ სიყვარული. (ტირის, ამ დროს შემოვა ივანე).

(გამოსვლა მესამე)

(გაბრიელ და ივანე)

ივანე. შტო ტი პლანშიშ?

გაბრიელ. არა, შენ ფეხ ქვეშ მოვკვდები, ბარინ, მე შენ ვერ გიღალატებ, ვერ გაგიშვებ.

ივანე. ეს რა მესმის? ნე პოდკუპილი ლი ი ევო! (გაბრიელს) რას ამბობ, ბიჭო, როგორ თუ გაგიშვებ, შენ ხომ მე მერგე?

გაბრიელ. (წამოდგება, თავს იქნევს). ის არ არის გაზდილი, ანჩხლი არის.

ივანე. ვინა, ბიჭო?

გაბრიელ. ჩემი კოხანკა ყარდაშვერდი.

ივანე. რაო, რას გეუბნება?

გაბრიელ. რას მეუბნება... მოურაობა კსთხოვე ბატონსაო.

ივანე. (იციინს). ტაკ, ჩევოყე? ქალუიუ ტებე მოურაობა!

გაბრიელ. (ტირის). ნეტ ბარინ, მე ჩესტნი ვარ, არ გავპადლეცდები.

ივანე. მეც ამისთვის გაძლევ, რომ ჩესტნი ხარ.

გაბრიელ. ნეტ, ბარინ, მე შენ კაცების აკლებას ვერ გირჩევ.

ივანე. ონ პროსტო რეხნულსა! როგორ აკლება? ვინ გასწავლა ეგ სიტყვა?

გაბრიელ. ყარდაშვერდომ.

ივანე. მაშ, ბოროტი დედაკაცი ყოფილა... გაბრიელ, იცი რას გეტყვი? ბროს ეიო!

გაბრიელ. ბროშუ, ეი ბოლუ, ვსიო რუგაეტსა, უნდა რაზბონიკობა დამაწყებინოს...

ივანე. მაშ ხელს აიღებ? მართლა მითხარი!

გაბრიელ. სიტყვას გაძლევ, ბარინ!

ივანე. მიიტა ხელი, ბუდემ პო პრეყენემუ დრუზიამი (გაბრიელ ხელზედ ჰკოცნის, ვაჟა. ივანე დადის და ოცნებობს). დაა! სასიამოვნო არის, ჰყვანდეს მე-ბატონეს ერთგული მსახური და ყმები. გოსპოდი, მომეც შეძლება, რომ ჩემმა ყმებმა ისე შემიყვარონ, როგორც გაბრიელმა! კაკაია პოეზია, ბიტ დობრიმ, ხოტ ი ბედნიმ პომეშჩიკომ და გლოცვიდენ შენი ყმანი... მეც ვეცდები! თუმცა ჩემმა ძმებმა იმაშენიკეს ნო, ბოლ ს ნიმი. კაი მამულეები მერგო (გააღებს ფანჯარას. ფიქრში იმღერის. ამ დროს შემოვა მიკირტუმა, გვერდით დაუდგება).

ივანე. ია რაზდელიუ პოლე ნა სემ.

მიკირტუმა. მაგითი ფული ვერ გასცემ.

ივანე. აქ მომივა მე კაპუსტა.

მიკირტუმა. ავ კარმანე ბუდით პუსტა.

ივანე. ტუტ მაღია, სატი ტავა.

მიკირტუმა. ჭიბიდგან ფულები გავა.

ივანე. აქ ბესედკა გაკეთდება.

მიკირტუმა. უფულოთ კი არ იქნება.

ივანე. ეს ლაბირინთათ უცხოა.

მიკირტუმა. კიდევ გითხრამ—გოე ვრაცუა (მიკირტუმ მივა, დაადებს ნელა ხელს მხარზედ). სუყველა კარგა ფიქრობ, კნიაზ, მაგრამ ფული, სულ ფული... ფული..:

ივანე. (ჩუმად). მოვიდა სატანა, მოსწამლა ჩემი ფანტაზია (მალა მიკირტუმას) აი, ეხლა ავიღებ ბანკიდგან და თავში მოგარტყავ შენს ვალს. მე მარგუნეს...

მიკირტუმა. აკი გითხრამდი, კნიაზ, ანდუყაფარ ყალბია.

ივანე. და ახლა მჭერა, რომ შენზედ ყალბია.

მიკირტუმა. კნიაზ, ჩემმა მზემა, შენთან არა ვიქ ყალბი. ერთი რაშიტიანი ვქნათ, უგოდნო პერემენათი ვექსელმა, უსტუპიტს გიზამ.

ივანე. მადლობელი ვარ.

მიკირტუმა. (დაფიქრებული). კნიაზ! ერთი რამ გითხრამ, მუქათათ შენი ვექსილი გიშოვნო?

ივანე კაკ ეტო?

მიკირტუმა. ფულიანი ცოლი გიშოვნებ.

ივანე. ლამაზსაც?

მიკირტუმა. ესეთი ლამაზი, თეთრი, როგორც ლიბასტრი.

ივანე. თვალეზი შავი აქეს?

მიკირტუმა. (მხიარულად). კნიაზ, ლათაიას გითხრამ:

თვალეზი აქეს იშტარხნის ხიზილალა,

ტუჩი, ტუბილი, როგორც რომ ყანდის

ჩალა,

ტანი წერილი, იშპანის ყალამი,

ვინცა ნახამს, ყველა უთხრამს სალამი:

ყელი თლილი. რუსეთული შუშანი,

უნდა ნახო, კნიაზ, ჩემი შუშანი.

ივანე. კაკ შენი?

მიკირტუმა. (სიცილით). ეპ, კნიაზ, ზირთი-ფირთი გაუშოთ. ჰსწორეთ გითხრამ, ჩემი ქალია, კნიაზ. პეტრუ ჩემთან წამობრძანდი, ჩაიხედ პუკურნო პროშუ (დოინჯა შემოიყრის). კნიაზ, კამისიაში ოქმი შემიტანა, მეც კნიაზი გავხდე ჰა...

ივანე. (იციინის). ხა... ხა... ხა... მართლა?

მ ი კ ი რ ტ უ მ. ვა, ჩვენი ჩამჩიანს წაიკითხე. ჩვენი გვარი ჰსწერამს ტრდატ, დიდი ტრდატ...(ჩ)

ი ვ ა ნ ე. რომ ღორის ყურები გამოესხა?

მ ი კ ი რ ტ უ მ. (იქით). ვა, რა ნაკითხია და! (მალლა) ჰო, სწორეთ იქიდგან წარმოვდივართ ჩვენი გვარი.

ი ვ ა ნ ე. (სიცილით უყურებს). მაშ, ნიშანი უნდა გქონდეს; აბა ენახო, ღორის ყურები გასხია, თუ არა?

მ ი კ ი რ ტ უ მ. ეე, კნიაზ, მასხარაე ჰა! კნიაზჴან, ერთი ნსტეცეჴი; (დასხდებთან). ექვსასი თუმან შენი ვალი, ეს დაეხიოთ; ერთი ხუთასი თუმანიც რამეები მზითევი მოგცე: ასი თუმანიც ჴიბის ფული. კნიაზის მზემ, ასე აზიზი შეგინახამ. სულ, სულ, ყაბლუ ფლავს გაჴმევე. ჩემი ცოლი ასეთი რამეები იცის: მურაბე, ნუყლი....

ი ვ ა ნ ე. პოსმოტრიმ, ესტ-ლი ანა ხარაშა!

მ ი კ ი რ ტ უ მ. ლამაზია, გითხრამ განა,  
არ ვინ არის იმისთანა!  
ტანცი იცის ვალციანი,  
ბუდიშ ლიუბით მოი შუშანი.  
კიდევ გითხრამ ლათაია:  
შენ ეარდი ხარ, შუშან — ია,  
ლამაზია, ფულიანი,  
ბუდიშ ლიუბით მოი შუშანი.  
მოდო, კნიაზ, ხელი დაჴკარ,  
ანდუყაფარს თავში ჩაჴკარ.  
გახდები ეკჴაჴიანი,  
ბუდიშ ლუბით მოი შუშანი.

ი ვ ა ნ ე. პასმოტრიმ!..

მ ი კ ი რ ტ უ მ. კნიაზ, კარგი ფიჴრი ჴქენ!

#### მოქმედება მეოთხე

თათელა ზის, ქალი უზის გვერდით, ბრინჯს არჩევენ.

(მიკირტუმ, თათელა, შემდეგ ბარამ, ანდუყაფარ, პავლე, ბარძიმ და გოგო).

თ ა თ ე ლ ა. ყაირათი ჴენ, შეილო, დღეს არა ხვალ ტანტიკინმა გახდები. ვინც რომ შენ წაგიღოს, უთხრას, თუ ოჯახის ქალი ყოფილა იმან. შენზედ ყმარწვილი ვიყავის ცხონებული ქალბატონუამ რამდენი რამეები ყაირათი მასწავლა

მ ი კ ი რ ტ უ მ. (შემოვა). თათელი, თათელი!

თ ა თ ე ლ ა. ჰა-მე.

მ ი კ ი რ ტ უ მ. ვახშმათ რა გიქნია?

თ ა თ ე ლ ა. ვა, ახარ, ეგ რა საკითხავია? თათარი-იანნი, ნიმრო, თალიში ხახვი.

მ ი კ ი რ ტ უ მ. კარგი, კარგი.



თათელა. ალაჯან, შენ ძალიან გახარებული ხარ.

მიკირტუმი. კარგი რამეს გახარებ: შუშანი გაგიტოხოვე!

თათელა. უჩემოთ იმან ვის მიე? ქალს კაი ფიქრი უნდა, ახარ სოვდა ხომ არ არის?! ვიცი, ვის მისცემდი!

მიკირტუმი. აბა, გამოიციან!

თათელა. თუ გამოვიცნობ? ტოტლოვიანთ ღაღო?

მიკირტუმი. არა, მაღლა.

თათელა. ციციკოვიანთ ნიკო?

მიკირტუმი. არა, კიდევ მაღლა.

თათელა. (ღიმილით). ციმბურკვი, შენმა მზემ!

მიკირტუმი. არა, ქართველი კნიაზი, დიდი კაცი!

თათელა. ვუი, ქუ აჩინ! კუტრი ქართველი?

მიკირტუმი. ვა, ჩემისთანა მურაები, თათელას მზემ, თავზე ადგას.

თათელა. ეგვეც მკამელები... ალა კვავა წააგო!..

მიკირტუმი. ვა, რა კაცია, აი დედაკაცის ჭკუა! ღღეს-ხვალ მეც კნიაზი გავხდები, მაშ! მუყეი მივცე ჩემი ქალი?

თათელა. (სიხარულით). ალაჯან, მართლა? შენმა მზემ, ბულდანოვიანთ ხამფერას შურობით ორივე თვალები დავარდება, მე რომ კნეინი ვიქნები.

მიკირტუმი. აპა, მაშ, მე გიყი საქმე ვიქ?

თათელა. მულათი ქენ, ალაჯან, და ახარ ვინმეებს დაუძახოთ, ღღდანთ დაუძახოთ.

მიკირტუმი. თათელჯან, მე შენი ყაირათის, შნოს იმედი მაქვს.

თათელა. (დაუძახებს გოგოს), ვარდო, გოგო, შე გულმკვდარო! (გოგო შემოვა). დროზე ყადიფა აიღე, შეილო, ჩანგალი ჩაივდე. ჩემი ძმას ცოლი უთხარი, მობრძანდი, უთხარი, ვიცი ვიამება, უთხარი, ჩემი შუშანი გავატოხოვე, უთხარი, შენც მობრძანდი, უთხარი ვისაც თავი უნდა, მოიტანოს, უთხარი, თავისი რძალი კეკლუასაც დაუძახოს, უთხარი, იმანაც ვისიც თავი უნდა, მოიტანოს, უთხარი, შნოიან, შეილო, იმან რამეს გაჩქებენ.

გოგო. (მიუბრუნდება). ქალბატონო! როგორა? სად წავიდე?

თათელა. დედანთას, სულელო, უთხარი შნოიან, ლაზათიან... (ქმარს) ალაჯან, ახარ, ასე ხომ არ იქნება, შენი სახლიც ერთი რამეა, ღღეს არ, ხვალ კნიაზ ტრდატ გახდები.

მიკირტუმი. ყველა დაძახილია.

თათელა. (უძახის ბიჭებს). ივანიკა! ყარამანა! კვირიკე! (ბიჭები შემოიტანენ საფენსა და დაუწყებენ შლასა. შემოდინან სტუმრები და ულოცავენ თათელასა. ამ დროს შემოჰყავსთ ქალებს პატარძალი და დასმენ ტახტზედ).

მიკირტუმი. (შემოვა მიკირტუმა მორთული). აბა, ასე უნდა, როგორც მე ერთი საქმე დამრჩა კნიაზმა გავხდე. ბულდან ბულდანიჩინ აქცინ ქუ ჰანიმ, (ამ დროს გავარდება დამბაჩა. ისმის ხმა: მახარობელი, მახარობელი).

ბარამ. (შემოვა ბარამ, მიკირტუმას). სიძე მოგდისთ სასიხარულოთ. (მიკირტუმა ფულებს ჩაუდებს პირში, ახარფეშით ღვინოს მიართმევს და მხარს უხვევს შალით. ისმის ხმა მყურულისა. შემოვლენ მეფე და მყურები).

თათელა. (რომ დინახაშს, სცენისაკენ იტყვის). თქვენი ჭირიმეთ, ძროხას შეუჭამენ.

მიკირტუმი. (ნეფეს მიეგებება მიკირტუმ გასპარიჩი და აყოცებს. რე-

კომუნდაციას მისცემს ცოლსა). კნიაზ, სიძეჯან, ეს გახლამთ თქვენი სიდედრი. (ნაღუ შუალაშუბა სიდედრა. ხელსა მსოხოვს, ხელს არ აძლევს თათელა).

თათელა. არა ვლირსვარ. შეილო, ღმერთმა აღას შნო მოგცეს, ყაირათი და ჰქვა, აღასავით მომგები გქნას, შეილო, თუ ღირს ვარ.

მიკირტუმ. (მიიყვანს ანდუყაფართან თათელას). ეს გახლამთ თქვენი მძახალი.

ანდუყაფარ. (თავს დაუკრავს).

თათელა. კნიაზჯან, შენი მალლობისთინ, შენი დიდკაცობისთინ მამიცა. შენმა მზემ, ჩემი ჰარუმადათი შუშანი. შენ იცი შენი დიდკაცობა, როგორც აზიზი შეინახამ.

მიკირტუმ. ბულბულა, ბულბული ჩიტი მერნემ.

ანდუყაფარ. ჩემო მძახალი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ, როგორც ჩვენ სახლს ეკადრება, ისე შეეინახამთ თქვენს ქალსა (მიკირტუმს მიიყვანს ანდუყაფართან კამისიონერსა, ანდუყაფარს და პავლეს გააცნობს).

მიკირტუმ. კნიაზჯან, ძახალი, ეს ჩემი სიმამრის ვაჟია, კი ვინმეა, ჩინოვნიკია. (ანდუყაფარ თავს დაუკრავს).

პავლე. (მივა, დაეღრიჯება). მამა ნუ წაგიწყელება, თუ ჩემი მოყრობა გინდა, აგება თქვენ უფროსებში რუსული მეძებარი მიშოვნო.

კამისიონერი. ვა. რა დროსია, კნიაზო, ძაღლები განა იქნება? რა დროსია? ახარ, ჭერ ჰორწილია!

პავლე. შენ ხომ კურდღლის ხორცი არ გეჭმება, იმისთვის გეჭავრება ძაღლები განა?

კამისიონერი. (სცენისკენ). ვა, რა ფინთი ვინმეა (მიიყვანს მიკირტუმს მეფეს და დასომს შუშანასთან. ამ დროს წამოდგება ბარძიმ, ყველანი წამოდგებიან).

ბარძიმ. უფალო მიკირტუმ გასპარიჩ, მისი ბრწყინვალეობა უფალი კაპიტანი თველი ივანე ამირინდოს ძე დიდებულის ძე გთხოვთ თქვენს საყვარელს ასულს. თანახმა ხართ? თანახმა ხართ? თანახმა ხართ?..

მიკირტუმ. კნიაზ ბარძიმ, მოახსენე, უთხარ, მისი ბრწყინვალეობა უთხარ, დიდად მადლობელი ვარ, უთხარ, რომ ჩემი სახლი მადლიანობა, უთხარ, კეთდება, უთხარ, ხარისხოვნება, უთხარ, ხარისხოვნება შეილობით, უთხარ...

თათელა. მეტი შნო მოგცეს, აღაჯან.

ბარძიმ. (მიკირტუმს გასპარიჩს) მოდი, დალოცე.

მიკირტუმ. სიძეჯან, გაძლევ ჩემი ქალი, ლამაზმა, ჰქვიანი, ტანადი. შენ იცი შენი დიდკაცობა, როგორ აზიზი შეინახამ... ამინი იყოს თქვენ თავზე.

ბარძიმ. რადგანც ღმერთმა მხიარულება მოაყენა სახლსა შენსა, გმართებს შენც მხიარულება.

მიკირტუმ. (საზანდრეებს). ლეკური! მე და თათელა ვითამაშოთ (დაიწყებს თამაშობას, აგრეთვე სხვანი თამაშობენ ლეკურს. მერე მიკირტუმ იტყვის კუბლეტსა):

ჩესნი პუბლიკა პრაშჩაი,  
კუტრუ პროშუ ვას ნა ჩაი.  
ბუღეთ უგოშჩათ კნეინა,  
ასლა კი წაბრძანდით შინა.

(ბოლოს იტყვის მიკირტუმ როგორც ავტორი):

ბატონებო შემინდევით, თუ ჰპოვეთ რამ ნაკლებება, ამად ვმხნეობ, აქ ბრძანებულთ ყველასა გაქვსთ განათლება, და ამისთვის მპატივებთ სუსტსა ამას პირველ შრომას, არ შეისმენთ რომელთამე უსწავლელთა წყენა, წყრომას. მე დაეწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრუდი, ჩვენ ვეცადნეთ და განვდეენოთ, რაცა არის ჩვენში ცუდი.

## ღ ა ვ ა <sup>13</sup>

### მოქმედნი პირნი:

ამირინდო, თავადი სპასპეტის ძე (ჭერივი).  
ბეგლარ, იმისი შვილი.  
ონოფრე, თავადი სარაძე.  
შიხეილ, იმისი შვილი.  
სიღონია, ცოლი ონოფრესი.  
ნინო, იპათი ქალი.  
იარა, თავადი ჭიორელი, მეგობარი ამირინდოსი.  
რადიელ არზამანოვი, არზის მწერალი.  
სარჭის ბუღდანიჩ კუმუხტოვი, პერეოლნიკი სუდისა.  
ლოპინ გოდაბრელიძე, იმერლის აზნაური. მცნობი ამირინდოსი.  
ხარბონ ფილიპიჩ ვზიატკინი, სტრაფჩი.  
ფილიპე, ზაქუდატელი.  
სოროზან, მორავი და ნაზირი ამირინდოსი.  
ლომისეული, გამღელი ამირინდოსი.  
მოწყალისეული, გამღელი სიღონიასი.  
მარჭრიტა, შემლოცველი დედაკაცი.  
აბრამა, ბივი ბეგლარისა.  
ბერუა, ბივი ამირინდოსი.  
ნენე, გოგო ნინოსი.  
მსახურები და მოახლეები.  
მოქმედება სოფელში, მხოლოდ მეოთხე გორშია.

### მოქმედება პირველი

ოთახში ქვის მოკეცილი ამირინდო, დაფიქრებული; მოშორებით ქეჩაზელ ძირს — ლომისეული, გამღელი და ეპის ართავს. ფარდა რომ აიხდება, შემოვა სოროზან.

### ბამოსვლა პირველი

ამირინდო, ლომისეული და სოროზან (შემოდის)

ამირინდო. მოდი სოროზან, დაჯექ!

სოროზან. კარგათ გახლავარ.

ამირინდო. კარგია ერთი, დაჯექ თუ ღმერთი გწამს (სოროზან დაჯდება). საკვირველია, რაფიელ უნდა მოსულიყო, ერთი ეს არზა მეჩვენებინა: არ ვიცი, რათ დაიგვიანა!

სოროზან. რაღა არზა, სუდში აკი თქვენზედ გადასწყდა ჩალიანი?

ამირინდო. აბა, რას ანბობ, მამა გიცხონდა, ათას კუდს გამოაბმენ. ანბობენ, ტრაფჩის ნაცოდლილარი არისო, იმას დაუყენებინებიაო...

სოროზან. პატარა იმასაც ჩაეაყლაპებდით.

ამირინდო. ჰო, ხამია აი, რას ამბობ, ჩემი ოჯახი იმაზედ არის გაფლქვებული, მაგრამ არ იქნა. კსწორედ აღესრულებელი ხაროა.

სოროზან. ღმერთი გადღეგრძელებთ, ნუ გამოიწყობით ამ მოხსენებაზედ. მაგრამ მორიგებას კი გირჩევდით.

ამირინდო. განა არ მინდოდა, აქი ვაძლივე ასი თუმანი.

სოროზან. ას თუმანთ... შე დალოცვილო!..

ამირინდო. არა იქს. იმ ას თუმანსა ქალაქში დავხარჯამ. აიქა, ხომ იცი?! მერე წავიდეს და ირბინოს შენმა ონოფრემა. მამა რა არ წამოწყენდება, მეც დავიღუპები და იმათაც დაუღუპავ. ონოფრემ მაკობოს? ბარემ ეს უღვაში დამპარსოთ!..

სოროზან. ჩემ სულელურს მოხსენებას რომ დაიჯერებდე, მე კი მოყვრობას ვარჩევდი თქვენში.

ამირინდო. როგორ, მოყვრობას!... ჩემი მოსიხსლის ქალი შეერთო ჩემ ბეგლარსა?! კაცო, სომ არ გადაირიე, კიდევ რომ დავმოყვარდე, მტერი იქნება. არ გაგიგონია, ნათქვამია: „მოყვარე მტერი მოყვრისა მტრისაგან უფრო მტერია“.

ლომისეული. ვინაო, ყმაწვილო, აისა. კრალოსანს რომ ლახტივით იქნევს? სიარულიც რომ არ იცის? მამამთილის ხმის გასაცემა კი არ დასჯირდება?!

ამირინდო. ეგა თქვი-და! ერთი მოვიდეს ჩემი ბეგლარი, დღე-დღეობით მოველი. იმას სასამართლოები მოვახვიეთო, ჩვენ დავსხდეთ და შევექცეთ, ჩემო სოროზან... მერე შენი ონოფრე დამიდგეს წინა!... მართალია, არზის წერაშილა გამივა ფული. კრუსი დაუსრულებია უნივერსში. რაღაც ახალი ჩინი მიუციათ, ვერ დავისწავლე. გადიავ? გადავ? (გამდელს უძახის).

ლომისეული. შენი ჭირიმე, რა ბრძანეთ?

ამირინდო. აბა ერთი ამას წინათ რომ პეტრეს ბრუხული წიგნი მოგვივიდა, ერთი ის წაიკითხე!

ლომისეული. გამდლის გმირისეულისა? ჩემი ბეგლარის მოსვლას რომ იწერება? აი, შენი ჭირიმე, კარგათ გაიგონეთ (ამოიღებს წიგნს, სათვალეებს გაისწორებს და ჩათვლით კითხულობს): ჩემო სიყრმით მოგებულო, ჩემო ნუგეშო, დარბაისლის გამზრდელი ლომისეულო... ეს რაღა საჭირო არის და... შევამოკლოთ (კითხულობს): შენი ბეგლარ ხშირათ დადის და უცხო საყვარელი შვილია. შენმა სიცოცხლემ, ავერ ხუთი თვე არის უნივერსი დაასრულა და ამ დღეებში აპირებს წამოსვლას. ნეტავი შენს თვალებს, გამდელი, რომ ამას ნახამ. ქალო, ახლა ამას მოგახსენებ, ჩინი მისცეს. რასაკვირველია, მაგრამ მომატებულს სახელს ეძახიან, ასე ნასწავლი თურმე არის, მთელი პეტრებრუხი თითით აჩვენებენ, აი, პოეტო (სათვალეებს ჩამოიღებს და თითონ გამდელი იტყვის): ვითომ ყველაზედ მეტო... შენ კი გენაცუალოს შენი ლომი, ნეტა როდის ეღირსება ამ ბრმა თვალებს შენი ნახვა! ერთი შენის ნახვით ვაძლე და შენის ხელით მეღირსოს დაფვლა.

ამირინდო. სოროზან, ჰა, პოეტო! რაო? ტატის ახალი ჩინი იქნება! მე მგონია, ბევრი ზაკონები ეცოდინება, ჰა!..

სოროზან. რა მოგახსენო, შენი ჭირიმე, მე იმათი არა ვიცი რა.

## გამოსვლა მხორბ

ივინე და ბერუა

ბერუა. რაფიელმა და სარქისამ მოკითხვა მოგახსენეს.  
ამირინდო. სოროზან. გადი ერთი, შემოიყვანე.  
(სოროზან და იმასთან გამდელი და ბერუა გავლენ).

## გამოსვლა მისამი

ამირინდო. რაფიელ. სარქისა და სოროზან

ამირინდო. აა, ბატონს რაფიელს, პარუნ სარქისას გაუმარჯოს. ვეყო, ველით. გელით. მე ჩემი დამემართა.

რაფიელ. ჭეშმარიტად უკაცრავად გახლავართ, ასე დავიგვიანე.

ამირინდო. დაბრძანდით! (დასხდებთან). ასალი რა არის ჩვენ გორში?  
სარქისა. ახალი? ახალი ზეთისხილი მოვიდა და ცხენის ნალები ახალ-  
ციხილამ.

ამირინდო. (გაიცინებს) ეე, შეჩვენებულო, სულ უნდა იმასხარაო?  
ახალ ამბავსა გკითხვამ!

სარქისა. ახალი ამბავიც ეს არის, რომ თქვენ თუთუსოვისათვის არზის  
პისატი გიქნევიანობით. კნიაზ, მე თქვენი დავალება მაქვს, შენი პურმარული  
აქამდის არის (ყელზედ აჩვენებს). რო არ გითხრა, შენთან ყალბი გამოვალ.  
აი, რაფიელი იცის, თქვენი მწერალმა, ონოფრესაყ უწერაჲს ჩალიანის თაო-  
ბაზედ.

ამირინდო. იქნება მართლა! ბიჭო, ბერუავ (ბიჭი შემოეა). აბა ერთი  
ქალაღდების ყუთი შემომიტანე (ბიჭი გავა). კარგი რამ მითხარ, იქნება იმ  
შეჩვენებულისაგან (ბიჭს შემოაქვს ყუთი, ადებს) მოტყუებული ვიყო (ამოი-  
ღებს ერთ ლერბოის ქალაღზედ დაწერილს წიგნსა, აძლევს რაფიელს. რა-  
ფიელ გამოართმევს არზას, კითხულობს. სარქისა ჩაჰყურებს გაკვირებულის  
სახით).

სარქისა. ვაა, ხედამ რა დაუკლიათ?

რაფიელ. ოჰ, შეჩვენებული, სულ დაგლუჰამდა!...

ამირინდო. ჰა, რას ამბობ, როგორ დამღუჰამდა? თქვი და!

სარქისა. ვაა, რა დაუკლია და! მამიშენის საფლავის მზემ, მაგ არზის  
მიცემა და ჩალიანის წართმევა ერთი იქნება.

ამირინდო. რა დაუკლია, არ მეტყვიო? ერთი შემატყობინეთ და! იმ  
ურიას თხუთმეტი თუმანი მივეც.

სარქისა. კიდევ მიტომ. ისკოვის სპროზბუ თხუთმეტი თუმნათ? ვა!

ამირინდო. ბიჭო, არ მეტყვიო?

სარქისა. (რაფიელს) ახირ, თქვენ უთხარ და!

რაფიელ. რა აქლია? მამი თქვენი საფლავის მზემ, მე ვერ გავებდავ.  
რა ხუმრობა არის, სარქის, მოახსენე!

სარქისა. ვა, მაშ არ უთხრა? ახირ, ღმერთი არა აქვს, ხედამ?

ამირინდო. თქვენ, შვილო, სუდის გადაწყვეტილობისაგან მიგძელებთ.  
ერთი მითხარით, მოთმინებიდან გამოველ...

სარქისა. ვა, ადვილია გეტყვი. ახირ, ჩვენი ბრალი ხომ არ არის?

ამირინდო. კიდევ (გააფურთხებს). არ გესმის, შე შეჩვენებულა? მოთხარ. ხომ არ მომკლვთ?

სარქისა. ჰო, გეტყვი, გეტყვი... (თვალე დაჭყეტს). ერთი ტოჩკა არ ჩაუწერამს, სულ ცარიელია!

რაფიელ. ტოჩკა კიდევ არაფერი, არც ზაპეტაია ზის, ხედავ?

სარქისა. ვა, მართლა... ეს კი სწორედ მოსისხლეობაა, პა!

ამირინდო. რაო, როგორ ტოჩკა-ზაპეტაია, რა არიან? ზაკონები იქნება.

სარქისა. ტოჩკა და ზაპეტაია არის მნიშვნელობა აზრთა, სჯულებთა და ზაკონთა, კავშირ-მოთხრობანი, თუ ვითარ შეიტყო საქმენი მოსამართლები და წარმოებანი უპირატის მართებლობის საქმისა.

ამირინდო. მაშ, დაუღუპავარ იმ კაცსა!.. აი ის მა... მა... მახინჯი. მა-მა არ წამიწყდება. ტყირაზ გავაგდებინებ. ხედამ იმ ბებერს ურიასა?! აბა, ახლა რა მეშველება?!

სარქისა. რაფიელ, ახირ, უნდა შენ მოუხერხო.

რაფიელ. უნდა ვეცადოთ, სუდიამაც თვალი უნდა ჩაავლოს, გავასწოროთ, გადავსწეროთ!

სარქისა. მეტათ ხარბია...

ამირინდო. ჯანი გავარდეს, რასაც ითხოვს, მიეცემ, ოღონდ მტრის გულისად ნუ გამზღით.

სარქისა. იმას გადაჭრილი აქვს: თითო ტოჩკაში და ზაპეტაიაში თითო ოქროს იღებს.

ამირინდო. რამდენი უნდა ჩაიწეროს ან რასა იქს ფულსა?

რაფიელ. სარქის, აბა დათვალე!

სარქისა. (სთვლის) 10, 20, 30, 40, 50, 60 — სამოცზედ მეტია, მაგ-რამ, ახირ, უნდა დავაჭეროთ.

ამირინდო. მაგაზედ მეტი ხომ არა უნდა რა?

სარქისა. პისერს გადასაწერმა ორიოდ თუმანი!

ამირინდო. ეგ არის რალა (ოხრავს). შემოდით ერთი, რჩევაცა გკითხოთ და ფულს მოგცემთ (შევლენ).

## გამოსვლა მეოთხე

### სოროზან

სოროზან. (მარტო) ღმერთო, შემოიწყალე! რაზედ იჭირებს საქმეს ეს დალოცვილი, ან თითონ რაზედ იღუპება, ან იმას რათა ღუპავს? თქვენმა მზე-მა, ჯერ მგონია ხუთას თუმნათ უზის. ეს შვიდი წელიწადია, ხან ერთს მისცემენ, ხან მეორესა. ეი, ბევრი არ შესძლებია ფულსა! (დაფიქრდება).

ეი ფულო, ფულო, სოფლის ბომონო! ნათქვამია:

ეს სოფელი სულ ასეა,  
უფულოდ არ არს წესია.  
თუ ფული გაქვს, დამიჭერეთ,  
მომკი, რაც არ გითესია.  
ვისაც ბედმან მისცა ფული,  
გინდა იყოს ბოროტ სული,  
ჰკვირდებიან და იტყვიან:

აქვსო უცხო, კარგი გული!  
ნიკი, სახელი, დიდება,  
ფულთან სუყველაა ფუქი;  
უგუნურიც განდიდდება,  
თუ ოქროთ საესე აქვს მუქი.  
ეი, ეი, ეი!  
(სოროზან გავა)

გამოსვლა მხეხეთმე

წინა სცენაზედ

ს ა რ ქ ი ს. აუსვით!  
ღმერთი უშველის ქართველებს,  
ცარიელი აქვსთ თავია;  
თითონ და იმათი შვილებს  
აკლიათ ზაპეტაია!  
უნდა ნახოთ. თუ აქვთ ფული,  
ყველასა აქვს დიდი გული,  
მაგრამ თუ გამოელია,  
ტოჩკა და ზაპეტაია!  
როცა გვთხოვენ ჩვენგნით ფულებს,  
ყველა ჩესტნი ქართველია,  
თუ კი მოვსთხოვთ ნასესხულებს,  
ტოჩკა და ზაპეტაია!

გამოსვლა მემიკვსა

სარქისა და გამოვლენ ამირინდო და რაფიელ.

ა მ ი რ ი ნ დ ო. ბარემ, მოდი, სადილათ აქ იყავით, ჰა?

რ ა ფ ი ე ლ ი. კვლავ გიხალბებით, ეს საშური საქმეა, ვადა არ გაგივიდეთ, მშვიდობით (გავლენ რაფიელ და სარქისა).

გამოსვლა მუშვიდმე

ამირინდო (მარტო)

ა მ ი რ ი ნ დ ო. კიდევ კარგათ გადავჩი ამ სულის წურბელებს. ჰი, თუ თეთელთვი ჩამივარდა ხელში, სიცოცხლე გაქვს, ჩავჩეჩქო, მამაჩემი არ წაწყდება, ფულითა ვცემ. საკვირველი რამ არის ფულით ცემა. ერთხელ, ყმაწვილო, ქრთამი მთხოვა საქმეზედ ერთმა სულიერმა, სახელს ვერ ვიტყვი. ჩავყარე გძელს პარკში ათი თუმანი, შევიმწყვდიე ოთახში, ამდენი ვეცა, ვეცო, რომ წაიქცა გულშემოყრილი. ბოლოს ადგა კენესით, ის ფული ჯიბეში ჩაუწყყე. მე მეგონა, მიჩივლებს მეთქი, მამათქვენი არ წაწყდეს, დიდი მადლობა ნოთხრა, საქმეც გამიკეთა და მეგობარი შეიქნა. ნეტავი არ გამოეცვალათ!



## ბანოსკლა მერაბ

იგივე და ბერუა (შემოვა), მერმე სოროზანიც.

ბერუა. ბატონო, დროვით ვილაც მოდის, ზარები უბია, მგონია, პრავნიკი არის.

ამირინდო. არიქა, ბიკო, მუნდერი, წალები, სარტყელი! სოროზანს დამიძახეთ (სოროზან შემოვა, თან ელაპარაკება, თან იცვამს). აბა, პრავნიკი მოდის, სადილათ რა გაქვს?

სოროზან. ბოზბაში, ჩიხირთმა, მწვადები.

ამირინდო. აბა, კიდევ მოუმატოთ რამე შემწვარი, ჩახოხბილი ქათმები. სულ ხოხბათ ეპყევე. ფლავი ბატკნითა, ლულა ქაბაბები, აფხაზური. შენ ბერუავ, მემარნეს უთხარ, სამოციან მოხადოს, წმინდათ ამოილოს; შენ იასაულებს და ყაზახებს კარგათ დახვდი, ვინძლო კარგათ დაათვრო.

ბერუა. მოგეცათ დღეგრძელობა, კარგა მე ისინი დავანაყრო (გავა და ამ დროს ზარის ხმა მოისმის და დადგება ხმა კარებთან).

## ბანოსკლა მაცხრა

ამირინდო, სოროზან და ბეგლარ (მგნავრულათ ჩამული).

ამირინდო. (თავს უკრავს). დრასტი დრასტი, ღოსპოდა სუდრი, დრასტი, იზბოლით, იზბოლით (ხელს უშვერს).

ბეგლარ. ვერ მიცანით, მამავ, თქვენი შვილი ბეგლარ?

ამირინდო. (დაიყვირებს) ოჰ, შვილო ბეგლარ! (მოეხვევა ტირილით). მამა ჩემი არ წამიწყდება, ჰო, შვილო, რა ბედნიერი ვარ, რა რიგათ დაკაცებულხარ. ბიკო, მამა არ წამიწყდება. სუღისა ჰეხნარ (ბეგლარ მოეხვევა სოროზანს. სოროზან ხელზედ ცდილობს კოცნას, არ აძლევს ჰკოცნოს).

ბეგლარ. სოროზან, ჩემო სოროზან, ხომ კარგათა ხარ, ჭერ ყოჩაღათა ხარ, არ დაბერებულხარ.

სოროზან. ემადლობ ღმერთსა, თქვენ მშვიდობით გნახეთ, ახლა რაღა დამაბერებს!

## ბანოსკლა მიათა

იგინივე და ლომისეული (გამოვა ხელბეაშლილი). შემდგომ შემოციენდებიან ბერუა და სხვა ბენეც

ლომისეული. შვილო ბეგლარ! შვილო ბეგლარ! ჩემმა მოხუცებულმა თვალებმა კიდევ გნახეს, შვილო (ეხვევა). ჩემო სიცოცხლე, ჩემო სამოთხის კარო (სათვალეებს გაიკეთებს და უყურებს და ატრიალებს). შემომხედე, შემომხედე, აგრემც გენაცვლება შენი ლომისეული, რა რიგათ დაკაცებულა.

ბეგლარ. გადია, გადია... (შემოვლენ ბიკები, ზოგი ხელზედ, ზოგი კალთაზე ჰკოცნიან. ბეგლარ თავზედ ჰკოცნის).

ამირინდო. დაღალული იქნები, შვილო, დაისვენე. აი ეს ოთახები შენი იყოს საკუთრათ. გადია, დაასვენე, ახლა ნულარ იწუწუნებ, ეგეც შენი ბეგლარ! (გადის).

ლომისეული. (მიდის, აგრეთვე — ბიკები) გენაცვალე!..

ბეგლარ

(ნარტო. მოხსნის შარფსა, დაჯდება ღივანულ ანუ ტახტულ)

დღეს ვგვეარ აწ მე ახალსა შობილს,  
 ვხედავ რა სახლსა ჩემისა მშობლის.  
 დღეს ვიწყებ ახლა სოფელს ცხოვრებას  
 და მისთა ვნებათ ზღვის მღელვარებას,  
 უნდა ვიბრძოლო ლელვაში ნავით,  
 უსვა ნიჩაბი სუსტისა მკლავით.

(დაფიქრებული)

იქნება ბედმან,  
 თვალით ვერ მხედმან,  
 უფროთ მოსთვლოს ჩემი ცხოვრება?  
 იქნებ ერთა,  
 გონების მტერთა,  
 მოსწამლონ ჩემი ნიჭიერება?!

გამოსვლა მეთორმეტე

ბეგლარ და მიხეილ

მიხეილ. (შემოვა) აა, ბეგლარ!

ბეგლარ. მიშელ მონშერ! (ეხვევიან ერთმანეთს).

მიხეილ. ეს არის, ესლა შევიტყე შენი მოსვლა და მოვაქენე ცხენი შენ-  
 თან. Как я рад. მე ოტპუსკში ვარ, კარგათ გავატარებთ დროსა, не смотри,  
 რომ მამაჩვენები ჩხუბობენ და ერთმანეთის მტრებს ეძახიან!

ბეგლარ. (უსიამოვნებით) როგორ თუ ჩხუბობენ, რა აქვთ საჩხუბარი?

მიხეილ. ეხ, ბრატეც, შენ პოეტი ხარ, გინდა რომ ყოველი კაცი ან-  
 გელოზი იყოს. Нет, брат. მაშინ უფრო ცუდი იქნებოდა.

ბეგლარ. ეგ უცხოა, როგორ?

მიხეილ. Да, პატიოსანს და კაი კაცს რალა ფასი ექნებოდა და просто  
 სულ პატიოსნები იქნებოდნენ... გახსოვს, შენი რუსთაველი რას ამბობს:

ოდეს ტურფა გაიფდეს, აღარ ღირდეს აღარც ჩირად...

ბეგლარ. კარგი, დაჯექ, მე შენი ნახვა მიამა. პირველად მითხარ, რას  
 იქმონენ თქვენები, ხომ ყველანი კარგათ არიან, ნინუცა გაზრდილა? Я думаю,  
 теперь она невеста.

მიხეილ. სულ ყველანი კარგათ არიან, а Нина? Ах, братец, чудо  
 девка, ის მტირალა ნინუცა ხომ აღარ არის... გახსოვს? უნდა ესლა ნახო, ქა-  
 ლაქის ინატიტუტში გაზდილი. Образована, братец, такая умница, пре-  
 лесть! ერთი მოდი, ნახე, Прошу не влюбляться. Мы теперь Монтекки и  
 Капулетты, (ა) მაგრამ შენ რა ეშპაკი შეგაყვარებს, ведь у вас как-то иде-  
 лы шиперовые девы. ჩვენი საქმე სხვა არის: პროზაიკები რაკი პატარა ფერით  
 გათხუნულს ქალსა ვნახამთ, პრაშჩაი, გულო! Ах, братец, ах, как меня შავი  
 თვალები მწვენ, ცეცხლს მიკიდებენ.

ბეგლარ Счастливцев! შენ კიდევ ჩემი ქარიანი მიშელ ხარ, მგონია, შენ დააბერებ დროსა, დრო შენ ვერ დაგაბერებს.

მიხეილ. რა ეშმაკისათვის მინდა სიბერე. შენ მებრალეები, რომ დაგაბერებენ. იცი რას გეუბნები, ღმერთს გეფიცები, მოდი, კარგს რამე გირჩევ, ჩვენ პოლკში შემოდი. Там тебя полюбят, там будет весело, некогда будет думать, თორემ, აი რა მოგივა: ღმერთ გეფიცები, მასხარათ ავიგდებენ.

ბეგლარ. სამასხაროს რომ არასა ვიქ?

მიხეილ. შენ ხომ პოეზიაზე ხელს არ აიღებ, პოეტებს დიდ ქვეყანაშიაც სულელს ეძახიან. შენ აქ დალუპვილი ხარ, მესტვირეს დაგიძახებენ.

ბეგლარ. (იციანის) სხვა მითხარ რამე.

მიხეილ. ოთხი თვე ერთათ ვიქნებით. სულ ხომ ერთს დღეს ვერ გიანბობ, პრაშჩაი, ზოგი ხვალ იყოს.

ბეგლარ. ხვალ უეჭველად.

მიხეილ. Ну, прощай... მამაშენს უთხარ, ნუ კლიაუზნობს ნუ. შენ თუ იმას გამოსცვლი, великий человек будешь (გავა).

#### გამოსვლა მთავარი

#### ბეგლარ და ლომისეული (შემოვა)

ლომისეული. ის მატრაბაზი იყო აქა, ონოფრეს შვილი? როგორ შემოუშვი, მოხუცებულ მამაშენს ეწყინება!

ბეგლარ. როგორ, გადიავ, უცხო ყმაწვილი კაცი არის, ნეტავი საქართველოში იმისიანა ყმაწვილი კაცები ბევრნი გამოვიდნენ.

ლომისეული. უი, დამიდგეს თვალები! რას ამბობ, მამიშენის მზესა, მაგისტანა გარყვნილი ყმაწვილი კაცი თურმე არსად არის; მერე, თურმე ასეთი ბრიყვია, შენმა დაბერებამ, უნდა თურმე ნახო სტუმრებში. ქალებთან: ფეხზე ფეხს შემოიდებს, თითქო სარდალი იყოს, მერე, საშინელი ურჯულო თურმეა (პირჯვარს იწერს). ღმერთო, რა შეგცოდე, დიდ მარხვაში არამც თუ ხორცსა, კიბოთი თურმე სქდება! აი, შეარცხვინა ღმერთმა! მამიშენის მზეს, იმათთან არ წახვიდე, თორემ მოგწამლვენ. გამდელი ჰყავთ ერთი კუდიანი, ჭადოქრობით სავსე არის.

ბეგლარ. რას მიზამს?

ლომისეული. შეგილოცავს და სიყვარულის წამალს დაგაღვიენებს.

ბეგლარ. ოთხმოცის წლის ბებერს რათ უნდა, რომ შემეყვაროს?

ლომისეული. რას ამბობ, ყმაწვილო, გენაცვა. განა თითონ? ონოფრეს ერთი გონბიო ჰყავს. ნინუცა ჰქვიან, იმას შეგაყვარებს.

ბეგლარ. რა მენაღვლება. ამბობენ ლამაზიაო.

ლომისეული. ლამაზი? არა, შენმა დაბერებამ, თვალის უკანა კილოები დაწეული აქვს, ზეითი ტუჩი მოკლე აქვს; რომ ლაპარაკობს, თითქო ძალათ იკრიჭებო (საიდუმლო ხმითა) მერე ასეთი ურცხვი თურმეა, ვინც უნდა უცნობი ნახოს, ნათესავსავით ელაპარაკება. ინსტიტუტში გაზდილა, რას ისწავლიდა, გენაცვალეთ, იმათში?!

ბეგლარ. Ах, как я рад, видно, она хорошо образована. (იქით) ხვალ უთუოთ ვნახავ (გავა).

ჯანოსვლა ემიოთხნაღლი

ლომისეული (პარტო)

ლომისეული. ღმერთო, დავვისხენ მტრის დაცინებისაგან. რა ვქნა... აქ აღარავინ არის, რაზედ მატირეს ცხრა წელიწადი ამ ყმაწვილის მოშორებაზედ?! რა უსწავლებიათ? დაუბერებიათ, მე რაღასაც მოველოდი, ისევე ის ჩემი ბეგლარ არის.

(ფარდა ჩამოეფარება).

მომჟღავნება ბეიოზი

ოთახი ნინოსი. ერთ მხარეს ფორტუპიანო დგას კარგის მებლითა. ზის ფორტუპიანოზედ, უკრაეს და მღერის.

ჯანოსვლა პირველი

ნინო (მარტო)

ნინო. ნეტარ. გულო, რისთვის შექმენ შენ უეცრათ მღელვარება, იქნებ შენცა მოგეფინა ტრფობის შუქის ელვარება? ნახე, ჰსცადე, თუ ეგ იყოს ბედისაგან დანაწესი, თუ ეგ იყოს განგებისგან შენსა გულსა დანათესი. მიჰყე ტრფობას, ტკბილსა გრძნობას მიეც თავი, არ არს ავი. ტრფობა არს ქალთა ნუგეში, სხვა რა გაქვს სოფელსა ლხინი, ტრფობა არს ჩვენი დიდება, ჩვენი სკიპტრა და გვირგვინი.

ჯანოსვლა მეორე

ნინო და ბეგლარ

ბეგლარ. ჩემის მხრით გარწმუნებთ, თქვენა ხართ ღირსი მთელის ქვეყნის გვირგვინისა!

ნინო. ახ! ЭТО ВЫ, КНЯЗЬ? არა, მე არა ვარ აგრე პატივისმოყვარე, რომ დედოფლობის გვირგვინი ვისურვო.

ბეგლარ. სიყვარულის გვირგვინი?

ნინო. რათ გინდათ შეიტყოთ? თქვენ ხომ არა გჯერათ, რომ ქართველმა ქალებმა სიყვარული იცოდენ და გრძნობდენ!

ბეგლარ. По крайнему мере თქვენ იქნებით მხოლოდ პირველი.

ნინო. ვგონებ კაცები უფრო ცივათ ხართ სიყვარულზედ. ეს კილევ არაფერი. ნეტავი მტრობა არ იცოდეთ.

ბეგლარ. მაგ ისარს მამაჩვენებს ესერით?

ნინო. მართლათ გეტყვით, რა არის იმათგან ასე ერთმანეთის მტრობა?!

ბეგლარ. მიზეზი გაუნათლებლობისა. ჩვენი ხალხნი არ არიან პირველნი. ბევრი გვძრახვენ, მაგრამ თუ წაიკითხვენ ცხოვრებას დიდის ერი-

სას, მაშინ დაერწმუნებიან, რომ რომელიღაც მხედრობით მღვთმარობიდან შეიქნენ მოქალაქედ. ასეთი მეშურნენი, მეჩხუბარნი და მოდავენი გახდნენ, რომ საშინელება იყო. ჩვენც ახლა ვესწრობით ასეთ კეთილ ცვლილებას ყმაწვილ ჩამომავლობაში, რომელიც იზრდებიან ხელმწიფის მოწყალებითა. დაიკარგება მაგვარი ბიწიერება ჩვენში. ვგონებ თქვენ დაერწმუნებით, მე და მიხეილს არ მოგვივა ჩხუბი და არც საჩივარი ერთმანეთზედ.

ნ ი ნ ო. მე კიდევ იქა ვარ, რადგან თქვენ ჰსჯავრობთ ქალებზედ, რომ სიყვარული არ ვიცით, ნება მომეცით, მე გკითხოთ: გყვარებით ვინმე. იქ მაინც, დიდს ქვეყანაში?

ბ ე გ ლ ა რ. დიახ, ნინავ! მიყვარდა და მიყვარს. ჩემს გულში არის დათესილი სიყვარული სიყრმიდგანვე და თან წლოვანებასთან შემეზარდა. სახე ჩემისა საყვარელისა იყო და არის განუშორებელი ჩემგან, მინათიდა და მინათის როგორც ბედის ვარსკვლავი. თუ არ მიიფარა ჩემგანით განმაცხოველებელი ჩემი მნათობი და იქნება ხელთმძღვანელი დანაშთენის ჩემის ცხოვრებისა, მე ვგრძნობ, რომ დავსდგები სიმრგვლესა შინა ცნობილთა კაცთა.

ნ ი ნ ო. ნეტავი ვიცოდე, ვინ არის აგრე ბედნიერი. დიდი ხანია თქვენ წვილლ ლექსებში, რომელიც მოდიოდა პეტერბურხიდან, ჰსწერდით სიყვარულსა, მაგრამ ვერ გამოვიცანით!..

ბ ე გ ლ ა რ. ვინ იყო საგანი, გინდათ რომ გამოიცნოთ?

ნ ი ნ ო. ძალიან!

ბ ე გ ლ ა რ. (გამოართმევს ხელს, ნინოც აძლევს) ნინა, თქვენა ხართ!

გამოსვლა მისამ

ივნივე და მიხეილ

მ ი ხ ე ი ლ. Сон в руку! მე სწორედ ფაშუსოვი (ბ) ვარ, Чай братец, Ты с прогулки?

ბ ე გ ლ ა რ. (იციხის). Да, но я октровенее Молчалина, (გ) მე მიყვარს ნინა!

მ ი ხ ე ი ლ. А ты Нина, გიყვარს? (ნინო მოეხვევა მიხეილს) მითხარ ყურში... Ну вот так! ბეგლარ, дай руку (ჩაუღებს ხელს ხელში): ღმერთმა გაკურთხოთ (ბეგლარ ჰკოცნის ხელზედ ნინოს და პირზედ მიხეილს). დასხედით. ახლა ამას უნდა ვეცადნეთ, მამაჩვენები დავითანხმოთ.

ბ ე გ ლ ა რ. აბა როგორ?

მ ი ხ ე ი ლ. მოიცა, ჩალიანი ჩვენ დაგვრჩეს!

ბ ე გ ლ ა რ. რა იქნება?

მ ი ხ ე ი ლ. ის იქნება, რომ მამაშენი თანახმა გახდება, ჩალიანს რომ ნინუსას გავატან.

ბ ე გ ლ ა რ. ვითომ? Представьте себе, გუშინ მამაჩემმა ილაჯი გავვიწყვიტა, სულში არზა დაწერეთ, ერთი ამოდენა საქმე შემოიტანა, მთელი დღე ვშალე, ничего не понял. მგონია, ჩალიანის თაობაზედ არის. Радн бога, შენ დაწერე, მე არ ვიცი!

მ ი ხ ე ი ლ. მე კი თუთულოვი გგონივარ თუ? თუ გინდა, მე ცხენი გამა-

ხედნინე. ფრანცუკის კადრელს ვასწავლი ცხენსა. Мое дело ли писать  
кляузны?

ბეგლარ. Но будет гонка. Прощай, Мишэль, მამაჩემი მოვილოდა  
(ნინოს ხელზედ ჰკოცნის).

ნინო. თქვენი ლექსები გამომიგზავნეთ!

ბეგლარ. ახ, Завяжи! დღეს დილას ლექსი დავწერე და დამავიწყდა,  
ერ წამოვიღე თანა. ერთად მოგართმევთ (გავლენ ყველანი).

#### გამოსვლა მეოთხე

ნენე (პარტო) და შერშე აბრამა

ნენე. ბეგლარ ბრძანებულა, ახ! ნეტა როდის იქნება, ჩემი ნინუცა იმას  
შე(ე)რთოს. რა რიგათ უყვართ ერთმანეთი... ოხ, რა რიგათ მიყვარან რუსები,  
რომ მოახლე(ე)ბის გათხოება ჰსტოლნიათ, იქნება მეც მეღირსოს... ნინუცა კი  
დამპირდა ჩემი ბლუ აბრამა... ბლუ რომ არ იყოს, უტხო რამ არის, მაგრამ რა  
უშავს, სხვა ხომ არა აქვს-რა დამახინჯებული. არც თვალი, არც ცხვირი (იყუ-  
რება ფანჯარაში). ჭა, ავერ თითონ აბრამაც მოდის, წიგნები მააქვს, უთუთო  
ნინუცასთან იქნება.

ნენე. ჰო, ყმაწვილო, მშვიდობით ბრძანდებით?

აბრამა. მე, მე, მე, ჩე, ჩე, ჩე...

ნენე. რა დაჩეჩე?

აბრამა. მი-მი-მი ყვა-ყვა-ყვა...

ნენე. (იციინის) ყვა, ყვა, ყვა!

აბრამა. ...ყვარხარ!

ნენე. ძალიან?

აბრამა. ძა! ძ! ძა! ი ი იყ...ან.

ნენე. ბეგლარს უყვარს ჩემი ნინუცა?

აბრამა. ჰოი ოჰ...

ნენე. მაშ, რატომ არ ირთავს?

აბრამა. მაყ, მაყ, მაყ.

ნენე. მამა არ შერება? გაუწყრეს მამა ღვთისა!

აბრამა. ნუ-უ-უ-იი-წყე... წწყველები!..

ნენე. (ნენე იციინის და ქოქოლას აყრის. ამ დროს შემოვა ნინო).

#### გამოსვლა მისეუთი

იგინივე და ნინო

ნინო. Ах, здравствуй Абрам!

აბრამა. (თავს დაუკრავს და მთარმთვეს ვარდის კონას და წიგნებს).

ნინო. საღამოზედ ხომ არ მობრძანდება ბეგლარი?

აბრამა. რა... რარ... მო-მო...

ნინო. (გახსნის წიგნს). Ах, стихи!

აბრამა. აქამდის სულ ენა ებმოდა იძახდა: „მო-მო... (უეცრად დაი-  
ყვირებს) მოგახსენო! (ნინოს და ნენეს გაეციინებათ).

ნინო (ეტყვის აბრამას) პატარა მოიცადე, იქნება მიხეილმა პასუხი მიწეროს (გავა აბრამა, ნინო მივა, ღვიანზედ დაჯდება და გვერდით ძირს ჩაუჯდება ნენე — გოგო).

#### გამოსვლა მთავრად

ნინო და ნენე, შერშე მოწყალისეული

ნენე. გენაცვალოს ნენე, მეც გამაგონე, რუსული ხომ არ არის?  
ნინო. ქართული ლექსებია.

(კითხულობს)

აგერ ცაში მზე ბრწყინვალეებს  
და განფანტა ღამე ბნელი,  
შუქი მისი შენსა ფანჯრებს  
ჰკოცნის, ვითა საყვარელი.  
აღსდებ, აღსდებ, კმარა ძილი,  
კმარა ტკბილთ სიზმართ ზმანება,  
ისმინე ფრინველთ უღვივილი,  
იხილე დღისა შეგნება!  
აღსდებ, ატკბე შენი ყური!  
ვარდს ტურფათ დამღერს ბულბული,  
უცხოთ უსტვენს მოლაღური,  
შორის ტყით ისმის გუგული.  
მზისა სხივისა ოქროს ფერად  
დაუფერავს შენი არე,  
მე მოვსულეგარ შენად მზეგარად,  
აღზდებ, ხილვით გამახარე!  
აღზდებ, მნახე, თავს დაგიკრავ.  
მოგიძღვნი ვარდისა კონებს,  
შენსა ხელსა გულს მივიკრავ,  
გარდგიოცნი ღამაზ თვალებს.

(უკანასკნელს ტაეპს რომ კითხულობს, გამდელი მოწყალისეული შემოვა.  
მეიპარება და წაართმევს ხელიდგან).

ნინო. გადიაე, რას შერბი? არ დამიხიო!

მოწყალისეული. ვისგან არის ესა?

ნინო. ბეგლარისაგან.

მოწყალისეული. როგორ თუ ბეგლარისაგან (ამოიღებს სათვალეს,  
კითხულობს. ბოლოს კუპლეტს მალლა წაიკითხავს).

გკოცნი, ვითა საყვარელი,  
გარდგიოცნი ღამაზ თვალებს...  
(მეივარდება სიანჩხლით)

ეს რა არის, კარგათ გაზრდილო ქალო?! უი, უი, რა ღროს დავესწარ!

(ნენე, გოგო, გაიქცევა კულისებში და დაიმალება).

ნინო. გადიაე, რა არის, ლექსებია! ცუდი არა არის რა, რაზედ გყდები?

მოწყალისეული. რაო? ხედამ ამ ურცხესა! უი, უი, ვაი, ამ დღის  
ნახვასა.

## ბამოსვლა ვეზვიდო

ივინიე და სიღონია შემოვარდება.

სიღონია. რა არის, გაღიავ, რა ამბავია?

მოწყალისეული. (დაჯდება ხალიჩაზედ ძირსა, იცემს მუხლებში) რაღა არის, ჩვენი ლაფის დასხმა, ჩვენი სირცხვილი, ჩვენი ჩაქოლვა, ჩვენი სასაცილობა, ჩვენი თავის მოჭრა...

სიღონია. (შეშინებული) რა არის, ვეეო, არ იტყვი?

მოწყალისეული. შენი კარგი ქალის გამოაშკარაება!

სიღონია. როგორ თუ ქალისა?

მოწყალისეული. მიეცი ინტიტუტში, გამოგძვრა თავი. შენ თუ არსად ებარე, ცუდი ქალი გამოგიყვანე? აქამდის სამზარეულოს კარებიც არ იცი! ახლა ასწაველ მიჯნურობა, ნესტან-დარეჯნობა, ვისრამიანობა, საარში-ყო უსტრები!

სიღონია. როგორ უსტრები? აბა მაჩვენე!

მოწყალისეული. (წამოდგება, გაშლის ხელში დაჭუჭკინილს წიგნსა და უკითხავს) აი:

გკოცნი, ვითა საყვარელი,  
გადგიკოცნი ლამაზ თვალებს!

სიღონია. (დაეცემა დივანზედ) უიმე, მე ჩაქოლვილსა!

ნინო (მივარდება დედას) გენაცვა, დედავ, სამავისო არა არის რა, ღმერთს გეფიცები!

სიღონია. რაო? ხელამ ამ შეჩვენებულსა!.. შე წყეულო!

მოწყალისეული. ჩუმათ, არავის გააგონო (ახლა ის მივარდება ნინოს) რაზედ დაგვასხი ლაფი?!

სიღონია. (გამდელს) ნუ ჰყვირი, გაღიავ, გენაცვალე, (ნინოს) შე წყეულო!

ბამოსვლა მირვა

ივინიე და აბრამა

აბრამა. პა-პა-პა-სუხი მი-იი-ბო... (გააგძელებს, ვინამ გამდელი ლა-პარაკობს).

მოწყალისეული. შენ მოუტანე წიგნები? (უყვირის) ეი, ბიჭო, ფი-ლიპე, პაპუნა, გამიხარდი! (ბიჭები შემოცვივიან) გაათრეით ეს საძაგელი, ცე-მით მიჰყევით ამირინდომდის (ბიჭები წააგლებენ საყელოში, მიათრევენ აბ-რამას).

აბრამა. ჩე-ჩე-მი რა-რა რა...

სიღონია. (უძახის ნინოს) აქ მობძანდი, ქალბატონო, (შეაგდებს ოთახ-ში და დაუკეტვს კარებს). აქა ბძანდებოდე, მზის სხივს არ დაგანახებებ. შე, შე, გასაქრობო! (გამდელი და სიღონია დასხლებიან ხალიჩაზედ, ტირიან, იცე-მენ მუხლებში).

მოწყალისეული. ახლა ტირი? რუსობანა მოინდომე, სახლში მიი-ლე დაუძინებელი მტრის შვილი, ყმაწვილი კაცი, ერთად აკურკურე. არ იცი,



ესე მოხდებოდა! თითონ ის საზანდარი დასწერს ლექსებსა, გადააბრუნებს ჩვენს ოჯახსა. კარგი საქმრო უშოვნე!

ს ი დ ო ნ ი ა. ერთი შეხედე, შენ არ მიქებდი,  
შენ არ იყავი ილაქს მიწყვეტი?  
კარგი შვილია, მეუბნებოდი,  
უცხო საქმროა, ყველგან ჰყვიროდი.

მ ო წ ყ ა ლ ი ს ე უ ლ ი. რაო, არ გესმისთ? ერთი მიბრაღე!  
რა მომიგონე, შენ გენაცვალე!  
ამას არ ვფიცამ, დიღათ მიყვარდა,  
თითქმის ჩემ თვალწინ აქ გაიზარდა...  
ვის რა უთხარი, რა დავიყვირე,  
მე რა ვიცოდი, იყო შესტირე.  
(წაიშენს მუხლებში) უი-უი-უი!

გამოსვლა მაცხრა

იგინივე და მისეილ (შემოიბრებს)

მ ი ხ ე ი ლ. რა ანბავია, დედავ, მამაჩემისა ხომ არა შეგიტყვია რა?  
ს ი დ ო ნ ი ა და გ ა მ დ ე ლ ი. (ერთათ) შენი მატრაბახობა, შენი სიბ-  
ლუტე!

მ ი ხ ე ი ლ. Что за комедия?

ს ი დ ო ნ ი ა. წადი და ახლა მიეც პასუხი ქვეყანას, შენ დააჩუმე ქვე-  
ყანა. რათ მოსქერ თავი მოხუცებულს მამაშენს...

მ ი ხ ე ი ლ. რას გადარეულხარათ, არ მეტყვიოთ? ერთი თქვით და!..

ნ ი ნ ო. (ოთახიდან). Мишель меня запер. Ну, отвори, я всё расскажу.

ს ი დ ო ნ ი ა და გ ა მ დ ე ლ ი. (ერთათ) ხმა გაიწყვიტე!

მ ი ხ ე ი ლ. (დაინახავს სტოლზედ გასაღებს, გააღებს კარებს, ნინო გამო-  
ვა ნამტირალევი). Что такое?

ნ ი ნ ო. Я получила стихи от твоего друга.

მ ი ხ ე ი ლ. მიჩვენეთ ეგ წიგნი, წავიკითხო!

მ ო წ ყ ა ლ ი ს ე უ ლ ი. (აძლევს წიგნს). აი, შეექეც.

მ ი ხ ე ი ლ. (კითხულობს და იცინის) ეს არის, ამაზედ ჰკლამდით ამ ქალ-  
სა? მე ერთი რაღაც შეგონა, მეორეთ მოსვლა გაქვთ, ღრიალებთ... წადით თქვენ  
ოთახში, დასხედით თქვენთვის, ერთ ისტორიათ არ გააყეთოთ!

ს ი დ ო ნ ი ა. (მევა მიხეილთან ალერსით) გენაცვა, შვილო, მართლა არა-  
ფერი არა არის რა?

მ ი ხ ე ი ლ. არა დედაშვილობამ, წადით შინა, მე უკეთეს სასიამოვნოს გე-  
ტყვიოთ რასმე. არ ვიცი, მამაჩემმა რათ დაიგვიანა მთაში. ერთი ჩამოვიდეს, ნი-  
ნუცას გაგითხოვებ!

ს ი დ ო ნ ი ა. იი, კარგია... ცრუვო!..

მ ი ხ ე ი ლ. აი, ნახეთ! (ნინოს) Ну перестань, хныкать! სიღონია და დვე-  
ლანი მიდიან. მიხეილ უჩვენებს მოწყალეებისეულსიკენ) Вот кепиинхсехвая  
ведьма.

ფარდა ჩამოეფარება.

## მოკმეღება მესამე

ოლახი ბეგლარისა, წიგნები კელეზზედ, ტაბტქეშ, სტოლზედ. პისმენი სტოლი დგას, წიგნები აწყვიდა არეულათ, ერთი საქვე ძეხს ძველი და ერთი ღერბოის ქალაღი ძეხს ზილა

### ბამოსცლა პირველი

ამირინდო, სოროზან, სარქისა (შემოღენ)

ამირინდო. შინ არ არის ბეგლარ. აბა ვნახოთ, დაუწერია არზი თუ არა. არ ეგვანება შენ დაუწერილსა, სარქისაჲ! პეტერბურხული სხვაა და! (დახედავს და საშინლად დაიყვირებს): ბიჭო, ეს რა უქნია? ქართულათ დაუწერია, ვაი შენს ამირინდოსა, როგორ დამავიწყდა, ვერ ვუთხარ, უთუოთ ქართული ეგონა!

სარქისა. Платонный არზი... კარგი რამ იქნება!

ამირინდო. აბა, ერთი წაიკითხე, ქართულს ჩვენი უწვერული კი ვერ დასწერდა, ქალაღი წამიხდინა!

სარქისა. (კითხულობს) ვაა! еѣ ногу, ვა, ჰსწორეფ ისეა!

ამირინდო. (მხიარულებით) ისეა განა? ქაოთულია, მაგრამ კარგი ზაკონები ჰსწერია?

სარქისა. რის ზაკონი, აქ პროზბუ არ არის, აშუღობის ლათაიებია.

ამირინდო. რაო? (შეშინებული) როგორ ლათაიები? ერთი წაიკითხე!

სარქისა. (კითხულობს) ვა, ეს ყურბან ზალუმის ხმაა (ღ). აგერ ცაში მზე ბრწყინვალებს და განფანტა ღამე ბნელი... იაარი!.. ჩვენი ჰავანგულა (ე) რა კარგად იტყოდა.

ამირინდო. (დაიყვირებს) რა დროს მასხარაობაა, რას ამბობ, კაცო?!

სოროზან. (მივა და უყურებს ქალაღში) ვაი შენ სოროზანსა! მართლა ლექსები არის, ბატონო? ვაი შენ სოროზანსა! ფიქრში ყოფილა...

ამირინდო. ლექსები? როგორ თუ ლექსები, ღერბოის ქალაღზედ ლექსები! ვაი ოჯახო დაღუპვილო, ვაი, სიბერის დროს შერცხვენილო, ვაი, იმედო დაკარგულო! ოჰ, არზის წერა ვერ უსწავლია!.. ვაი ათასო თუმანო, ოფლით ნამოვნო და ტყუილათ დაფანტულო!..

სარქისა. აფსუს ფულეზო, აქნამდისინ სარგებლის სარგებელით სამი ათასი თუმანი განდებოდა, ჩალიანი არა, ნაწრეტცი შენ დაგრჩებოდა, ონოფრეს ყმათ დავისახლებდი.

ამირინდო. ღმერთო, ამისთანა უბედურება იქნება? ვინც იქიდგან გაღმოდინა, ერთმა არზის წერა არ იცის!

სოროზან. სარქის ბუღდანიჩ, ნეტა არც ონოფრეს შეიღმა იცის წერა არზისა, აი ის, აფიცრათ რომ მოვიდა?

სარქისა. ნამწეწი. ამის შეილი კიდევ კაცია, ის სწორეფ ბუნბულია, ბურტყულო, ჰსწორეფ ქართველია, ეე... უკაცრავოთ, ქარია უნდა მეთქვა.

სოროზან. ბუნება არის და!... ქართველს ხმალი უნდა ეჭიროს და არა კალამი.

ამირინდო. რით ვერ შეიტყე, კალამი ხლმათ გავვიკეთდა და! ერთ ასოს დაბლაქვევ და დარჩი მშვიერი. ეი, ეი, ჩაიშალა ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში (შემოკრავს ტაშს).

## გამოსვლა მეორე

იგინიე და ბერუა.

ბერუა. ლომი გოდ(ა)ბრელიძე გახლამთ, თავი დაგიკრათ.

ამირინდო. ჰო, ეგლა მაკლდა, მთხოვს რასმე, მამაჩემი არ წამიწყდებო... შემოვიდეს! (ბიჭი გავა).

## გამოსვლა მესამე

იგინიე და ლომინ (შეშვია)

ლომინ. სალამი, ლმერთი განდლეგძელებს!

ამირინდო. რა ბრძანებაა.

ლომინ. შეგრჩა, შენუ მომიკეტე!

ამირინდო. ჩემს ბატონს ლომინს გაუმარჯოს.

ლომინ. (გადაიჭვარედინებს ფეხებს, მოიხრება და დაუკრავს თავს) ჰო, ლმერთმან განდლეგძელოს!

ამირინდო. მობძანდი, დაბძანდი! რა ქარმა მოგაგდო, სად ბძანებულხარ?

ლომინ. ქალაქშიდ გახლდი, ბატონო!

სარქისა. ხონი!...

ამირინდო. როგორ მოგეწონათ, ამის მეტათ არა ბრძანებულხართ?

ლომინ. არა, მარამ ჩემგან რავა დაიწყუნება მაშინ, უმეტეს რომ გადააცილა ქუთაისს, ვონს და ხონს — ქალაქებს. რავარც მსმენია განსვენებულის ჩემის ბაბუისაგან, ლაშქარი რომ მიეწვიათ ალა-მაჰმადის ხანის დროს. შენუ მომიკეტები, მისთანა ნაშიერები ყოფილა, რალა მოგახსენო, ერთი მისტანა ნოხის გული ჩამოეტანა, რომე, შენუ მომიკეტები, შენ, ას ფართ კი ღირდა. ქვეკი შენდომოდათ დიდ კაცებს, მაგრამ ვერ შელეოდა ნეტარხსენებული. ამასთან ქართულ აშულების დაგვარად მოეტანა განსვენებულის თქვენის ბებიდაშვილისთვის ლეპენცკის სკალატის (ე) ჩანახევი, სწორებ ამ პატროვანი კი იყო აჰ (ხელს გაუშლის). ამტენის ხნის ვანმავლობაში კიდევ კი ამ ფართოვანია (ორ თითს აჩვენებს). ქვეკი ბევრი ღიდი კაცი დევიმდურე, მაგრამ ვერ შეველიე, შენუ მომიკეტე.

ამირინდო. ქალაქის სიდიდე როგორ გგონია?

ლომინ. ქვე არ მოგახსენე, რომ ამ ჩემს ქულზედ სულ მთელი ტფილისი დეეტეოდა (მოიხდის ქულს), რავარც ბაბუისაგან გამეგონა. ახლა, ბატონო, გაზდილა, გავსილა. გამშვენიერებულა, ფრთები გუუშლია. ვორი დღის საროინებელი შექმნილა გაღმათეი და გამოლმა. მარამ საკვირველი მინთხრეს: შუა დღისას რავარც ფუშკა გვიღებს დრიგინს, მაშინვე გვიზღება თურმე ქალაქი. დედა, დედა, დედა, რავარ მიუწუთომელია ეს საქმე!

ამირინდო. უხუმრიათ. პატრების ზარების მაგეირად გავარდება, საღილი ჰამეთო.

ლომინ. ბატონო, საღამოზედ ჰსჰამენ სადილს, მომკლეს მშვიერი!

ამირინდო. არავინ მიგიწვია სადილათ?

ლომინ. კი, ბატონო, და, დედა, დედა, დედა! რავარი გამობრინჯული, გამოჩნლებული წავედი. მივედი, მომეგება სახლის პატრონი. შევიხედე

სახლშიდ. მორაული, მარამ რა მორთული, სულ მთლად ლეპენცკურათ! შე-  
მიძღვანა წინ, ჯვარი აქავრობას, (გაკვირვებით) სულ მთლათ ზურგი ზურგს  
შეუქცევიათ და ისეთ ჯდილარინან.

ს ა რ ქ ი ს ა. ვა, ვაბუტანა უთამაშნიათ!

ლო მ ი ნ. არ ვიცოდე. შე ნუ მომიკტე, მიმიყვანა. მაჩვენა დაგრეხილი  
გოგორებინანი სკამი და მაზედ მიპირებს დაჯენას. (შეწუხებით) მოვკტი, ბა-  
ტონო, მისთანა ქალს უნდა შევეპყიო ზურგი, რომ სულ მთლათ პრიალ-  
პრიალი გოლდის. რა გზა მაქვს მე უბედურს. დავსჯედი, დავეფალი. რავარც  
მევიწლომე ადგომა, ვასდა ვრიალი სკამს, ვაფრინდა სკამი და მევიტაცე ქა-  
ლი. თუ კედელს არ ჰსტაკებოდა და არ შევეკავებოდე, ორს საათზედ ქუთაის  
ვარდავარბენებდი სკამს ქალიანათ.

ა მ ი რ ი ნ დ ო და ს ა რ ქ ი ს. (იციინან).

ა მ ი რ ი ნ დ ო. სადილს როგორღა შეექეც, კიდეც ხომ არ მოგიტაცა  
სკამმა?

ლო მ ი ნ. სადილზედ სხუას სკამზედ დამაჩინეს, მაგრამ მარჯვეთ ქვე ვი-  
ყავ. თუ კილომ მოვეტაცე, შტოლს ვტყეებდი ხელს.

ა მ ი რ ი ნ დ ო. რა მოგართვეს სადილათ?

ლო მ ი ნ. მეიტანეს კუპატები, მოაყოლეს წვენი, რა წვენი — არც ჰქონ-  
და ხორცი, არც გონი, ასე ტყუილათე თფილი წყალი. მევიტებე კუპატი, და-  
ვაწეპე წვენს და ნელათე ვკამ. გვერდით აგერ მომიჩინეს პრუსი. ამოჰკრა  
ვოთხი კობი და სულ მთლათ ამოხელია წვენი. მიმზერს უბედური მე,  
ეგობა ვუთავაზო; თუ უთავაზე, გამიწყრება, თვარამადა წავწყვიდი. შიოდა  
უბედურს და ვერ ვაჭამე.

ა მ ი რ ი ნ დ ო. კარგი ღვინოები ჰქონდათ?

ლო მ ი ნ. (შეწუხებით) ღვინოს ნუ გამახსენებ, მან რომ მე საქმე მიქნა,  
ნურას მტერს ნუ დამართვია, ნურას დღეში ნუ გარეულა ის დღე!

ა მ ი რ ი ნ დ ო. რა, ჩემო ლომინ?

ლო მ ი ნ. ნუ მკითხავ.

ა მ ი რ ი ნ დ ო. არ მოგეშევი, შე ნუ მომიკვდები.

ლო მ ი ნ. აბა, გეტყვი და თუ გამამხილე, მომკლავ იმერეთში და ეს  
იქნება.

ა მ ი რ ი ნ დ ო. სასიკვდილო რა დაგემართება?

ლო მ ი ნ. ეს, ბატონო, რომ გამბასკრენ, გამკილვენ და ექსტორიას მიქ-  
მენ.

ა მ ი რ ი ნ დ ო. არა, შენმა მზემ, არ ვაგკემ. მე ხომ მიცნობ. მწევარსაც  
კარგს გაჩუქებ.

ლო მ ი ნ. (აქეთ-იქით იყურება) უცხო ხომ არავინ არაა აქანა?

ა მ ი რ ი ნ დ ო. არა, ეს ჩვენი მეგობარი არის, არსად იტყვის.

ს ა რ ქ ი ს ა. მე ისეთი ჩემი ვარ, როგორც ლოქო.

ლო მ ი ნ. ღლავს ქვე კი გეხბარ ცოტათე, პლუტი იქნები, მაგრამ ქვეკი  
მოგახსენებ: დამისხეს რაცხა ღვინო, პლუტური თუ რაცხა, არ ვიცოდე... შე  
ნუ მომიკვტები, რავარც დაასხეს, სულ მთლათ ქაფათ გარდიქცა. ავიღე და  
ასეთი ტყუილა უცებათ გა[დ]ავკარ (დაიღრიჯება). შენი მტერი გამწარდეს,  
რავაც შენი ლომინის პირი გამწარდა. მე უბედურს ყრონჭში ჩამფხიკა. ვო-

ხერს არც აქვს აღვირნი, რომ კაცმა დეკავოს. მეცა ცხვირში ბოლო, ვეღარ მოვასტარი და ასეთი უცებათ გამომინტა ბუყი... (ამირინდო და სარქისა იცინიან დიდხანს).

ს ა რ ქ ი ს ა. ვა, ზოყინი, ხა, ხა, ხა, ხა...

### ბამოსვლა მიმოხა

იგინიე და იაია

ი ა ი ა. ოო, ბატონს ამირინდოს ვახლავარ, მამილოცავს ბეგლარის მოსვ-  
ლა. რა გიჭირს რა, ეხლა ვინ დაგიდგება წინა, დასეი და აწერიე არზები.

ლ ო მ ი ნ. უიმე, მე უბედურს, ვერ მოგილოცე შვილის მობძანება. ვეე-  
ბა ყაზახი იქნება ისა. არზის წერა თუ იცის? შენი ჭირიმე, აგების დამიწვრინო.

ს ა რ ქ ი ს ა. (ჩუმათ ეტყვის ლომინს) არზა? ასეთი არზის მწერალი გი-  
შოვნო, რომა იმისთანა მოსკოვში არ იყოს.

ლ ო მ ი ნ. შენ? შენი ჭირიმე, რაც მთხოვს, მივეცე.

ს ა რ ქ ი ს ა. კარგი, აქედგან წაგიყვან.

ლ ო მ ი ნ. კარგი იქნება, წემიტანე!..

(აქამდის ამ ლაპარაკში იწვევს ამირინდო იაიას, დაჭდება და ჩუმათ ლაპა-  
რაკობენ).

ი ა ი ა. ეი, მამა არ წამიწყდება, იმას მოვახსენებდი: მთელი ქალაქია და  
შენი შვილის ქება, საკვირველი მწერალი თურქეა!

ა მ ი რ ი ნ დ ო. (შეწუხებით) კარგია, მამა ნუ წაგიწყდება, ნულარას მიბ-  
ძანებ, რის წერა, ბატონო...

არზა მივეცი მე დასაწერი,  
თითქო არისო მოშურნე მტერი,  
არზის ქალაღზედ რა დამიწერა?  
ვიღასაც ქალზედ ეთქვა სიმღერა!  
(იცინიან)

მე მოხუცებულს ცეცხლი მედება.  
დღე არ მაქვს ძილი და მოსვენება,  
ყმა და მამულსა სხვა მედავება,  
თქვენ გამარჯვებას, რა მეღექსება?!

ი ა ი ა. ლექსები, ოო! საუცხოვოა, ხა, ხა, ხა! კარგი, მამაშენი ნუ წაგი-  
წყდება, არ გეწყინოს, მაგრამ სასაცილოა არზის ქალაღზედ ლექსები, ხა,  
ხა, ხა, ხა! ოპ, მოკვედი, ფერდები მეტკინა, ვეჯო, პეტრებრუნში რომ არ  
წასულიყო, მესტვირობას აქაც ვასწავლიდით, ვაი შენს იაიას!

ა მ ი რ ი ნ დ ო. კარგი. მამაშენი ნუ წაგიწყდება, ხედავ, რა მომივიდა!  
მე რა იმედები მქონდა, მინდოდა ნაწრეტზედაც შემეტანა საჩივარი...

ს ა რ ქ ი ს ა. ვა, რალას უყურებ, მოხან! დიანზეგთან იჩივლებს? ერთი  
სიტყვით, საქმეს გამოვიყვანთ:

შენ მოხანი იმ ნაწრეტში,  
მერე ყველა ადვილია,  
თუ ის შევა საჩივარში,  
ტოჩკა და ზაპეტაია.

ვიკუნები. თუ სულზედ მივარდა, ამდენი ივლის, მინამ მეორეთ მოსვლაც მოვა, როგორც ჩვენი ემბერდი სწერამს.

ამირინდო. კარგი, გულს ნულარ მიხეთქთ... იაიავ, ერთი ქალაქში იყავ ხომ ეხლა, სად შეიყრებოდით ხოლმე. სალაყბოზედ თუ ყაბახზედ?

იაიავ. ჰო, ნულარას მიბრძანებთ, სად არის სალაყბო... ვისაც ვკითხე. მასხარათ ამიგდეს, სხვა სახელი დაურქმევიათ. გახსოვს. ამირინდო, ხეებზედ რომ დავსხდებოდით და ვმუსაიფობდით? ჰეი, ეი დროვ, ვაი, დარბაისელთ ამოწყვეტასა. ყმაწვილ კაცს რომ შეეყარო, ერთ ნიმუტს არ დადგება ხმა გაგცეს. ერთ ქულ მოგიხდის, გაგიღრეკს, უკაცრაოთო და მირბის.

ამირინდო. სასამართლოში როცა საქმე გქონდა, სად დაისვენებდით ხოლმე?

იაიავ. ოჰ, ბატონო, კარგათ მომაგონეთ, რას მოგახსენებდით? დიახ, იმას მოგახსენებდი: სასამართლოს შუადღემდის ხომ ტოროყები არ გაგიშვებენ. მე უწინდებურათ შევიწიე. მამწვდა ტოროყი და კინალამ გამომახია კაბა. უწინ ხეები მიანცა გვქონდა, იქ ვისხედით. ეს არაფერი. ჰო, რას მოგახსენებდით? იმას მოგახსენებდით და კიდევ იმას მოგახსენებთ, ბატონო, შუადღემდის სანახავათაც ვერ მიხვალ სადმე. არამ თუ ბატონებს, ბიჭებსაც ჰსძინავთ!..

ამირინდო. ეტყობა, იმათ ულო არ დაეწვიოთ, ვერც პურს მოიყვანენ.

იაიავ. რა ბძანებაა, ბატონო, ჰო, რას მოგახსენებდი? კარგია, მამაშენი ნუ წაგიწყდება.

ბამოსვლა მახუთი

იგინივე და ბერუა

ბერუა. ზაალის ბიჭი განლავთ... ბატონმა ლიახვის ტოტი დაწყვიტაო და სადილათ თქვენი სტუმრებით გთხოვათო.

ამირინდო. ჰა, აბა, ბატონებო, რას იტყვიო?

სარქისა. ახალი თევზი კარგი რამ არის. ბიჭო, ზაურანა წამოილე, ასეთი რამე მოვხარშო, ჰა.

ლომინ. მწერალთან არ წემიტან?

სარქისა. სადილი ვჭამოთ და მერე.

(გავლენ ყველანი. სარქისა დარჩება უკან და სცენასთან იტყვის)

საკვირველია ქართველი,  
რაც უნდა ჰქონდეს ნაღველი.  
თუ მეგობარი შეხვდება,  
მაშინვე დაავიწყდება.  
ჰკვიან კაცს ბედი არ აგდებს,  
იმის ქონება ჩემია,  
შვილი ვერ უწერამს არზებს,  
არ იცის ზაპეტაია.  
არზის წერის მაგიერი  
უსწავლია ლათაია,  
ისიც დარჩება მშიერი  
(ჯიბეზე დაიკრავს ხელს)  
ტოჩკა და ზაპეტაია.  
(გავა).

ბეგლარ (მარტო)

ბეგლარ. (უყურებს ფანჯრიდან) არ ვიცი, ჩემ ბლუ ბიქს რა დაე-  
მართა, პასუხი არ მომიტანა რა ნინუცადგან. Верно и он завел интриги...  
რა მშვენიერი დღე არის (ოცნებობს, ფანჯარაში უყურებს).

ეი ამ მშვენიერს კეთილსა ჰაერს!

ნეტარ ვინცა შენ კალმითა დაგწერს!

შეხედეთ ცასა,

ლაქვარდოვანსა,

წმინდას, მშვენიერ ქალწულოვანსა!

უყურეთ წყალსა

მოკამკამალსა,

მჩქეფრად მქუხარეს!

გული მიხარეს

ხუჭუჭთა ტყეთა,

ზურმუხტებ ველთა.

აჰა, ყურს ატკობს ბულბულის სტვენა,

თითქო მე მესმის ფრინველთა ენა.

აი, კაკალზედ ვხედამ მსხდომ გვრიტთა,

როგორ იხარეს ერთათ შეყრითა!

მესმის ტორუა უცხოლ იმღერის,

ამ ნანგრევიდგან ბუ გამობღვერის.

მოდით, მერცხალნო, მომეცით ფრთენი,

მიწით შევიქმნე აღმა საფრენი;

აღვფრინდე მაღლა და კვალად მაღლა,

რომ ვერ ვხედვიდე ქვეყანას დაბლა!

გავშალო ფრთენი,

სანავარდენი,

ენახო რა მზისა

შარავანდენი;

მერე რძის გზასა,

ვარსკვლავთა კვალსა,

შეუდგებოდე მნათობთა სვლასა,

მთვარესა ვრცელსა,

ღამესა ბნელსა,

განვსჩხრეკდე მათში საცხოვრებელსა.

(მოწყენით)

გარნალა ვაი... მე ღვთისა ქმნილი

ვარ ამა მიწას მაგრა მიკრული...

კვირობ, რად მომცა გონება, ნება,

თუ რომ სიკვდილით სრულ დასრულდება

ჩვენი იმედი და ჩვენი ბედი.

ასე სიზმარებ თუმცა განქრება,  
სიცოცხლის სიმი უეცრად ჰსწყდება,  
კაცი ამისთვის. რათ იბადება?..

(დაფიქრდება)

მაგრამ რა უქვერეტ მზესა, მთვარესა,  
ან მნათობთ ვარსკვლავს ცისა მხარესა,  
იღუმალ მეტყვის მე სინიდისი:  
სხვა სოფლისათვის არს სამზადისი!...

გამოსვლა მუშვილი

ბეგლარ და აბრამა (შემოვა სერთუქდახეული)

ბეგლარ. (შეშინებული) რა ამბავია, ბიჭო?

აბრამა. რა.. რა.. მოუ-მოუ-მოუ-კლლლეს..

ბეგლარ. ვინა?

აბრამა. ჭა... ჭა... ჭალებ...

ბეგლარ. ჭალმა? Что?.. Ой верт...

აბრამა. (ტირის).

გამოსვლა მირვა

იგინიე და ონოფრეს ბივი (წიგნს ბეგლარს შოართმევს)

ბეგლარ. (კითხულობს). „კვლავ აღარ გაბედოთ ამგვარი მოწერა და  
გთხოვთ აღარც ჩვენ სახლში გაიაროთ. ნინა“.

ბერუა და სხვა ბიჭები შემოცვივიან: ბატონო, გვიბრძანეთ ჩვენც  
ემაგას ვცემოთ. შენი რისხვა არა მაქვს, სახლ ზედ დავანგრევეთ თავედ  
ონოფრეს.

გამოსვლა მაცხრა

იგინიე და სოროზან

სოროზან. (შემოვა) ღმერთი გადღეგრძელებს, ნუ ინებებ. სისხლი  
მოხდება. ნუ გაგზავნით. მამაშენის მზეს, თქვენ ნუ გაერევით.

ბეგლარ. (სოროზანს და ბიჭებს) წადით ყველანი, ფეხი არავინ გაად-  
გათ (გავლენ).

გამოსვლა მათი

ბეგლარ. (დადის გაჯავრებული, მერე გულხელდაკრფილი).

დაუდგრომელო დედაკაცო! ვით შემოდგომა

შენ ვინ გასწავლა ეშმაკივით კაცთ შემოდგომა?

ვინ მოგცა სახე ანგელოზის და სული ქაჯის?



იქნებ გეგონოს ამა სოფელს ვერაინ დაჰგჯის!  
კაცის ფერცხალო, მაცდურალო, ბურტყლო ოცნების,  
გველებრივ ჰრელო, კაცთ გულთ მხერელო, მახინჯ გონების!  
(მომატებულის გაჯავრებით)

ოჰ, თუ შემეძლოს შემოგებროთ სამუშის ქარი,  
რომე თქვენითა სულ აღვაესო მდინარე მტკვარი;  
ან მიქცეთ კბილსა, ლომისა ღრძილსა, ყბა დასატევსა,  
რომ ქალთა სახეს დაღეჰვიდენ როგორც რომ კევსა  
წარვედ, მაცდურო, უგუნურო! გაგსრეს ვით გველსა,  
გაგიჰყლუტ თავსა, ამოგთხრი თვალსა კაცთ მომწამვლელსა;  
ვიქცევი სენად, გარდასაშენად თქვენი სქესისა...  
გიწამლავთ გულსა, გიშხამავთ სულსა, შეგქნით ჭლექებად,  
ღლესა კეთილსა არ მოგცემთ ძილსა, გეცეთ მეხეზად.

(დაფიქრდება, მწარის ღიმილით)  
საწყალო შტერო,  
თავისა მტერო.  
ვინ გქმნა უფალი,  
დასთრგუნო ქალი,  
ღეთისა ქმნილება,  
მშვენიერება...

საბრალო თავო, მღერალთ რიცხვში როს დაიბადე,  
რისთვის დამდაბლდი ქალისაგან, რათ გარდიბადე?

შენ გქონდა ფრთენი  
აღმა საფრენი,  
ზე სანავარდი;  
ეთერს მცხოვრები,  
ცისა მარები,  
სად გადმოვარდი?  
რა გქონდა ერთი  
ხალხთან საერთი,  
მიწას რად ეკარ?  
უმჯობეს იყავ  
მზით დამწვარიყავ  
ვითარცა იკარ! (ზ)  
(კრესლაზედ გული შეუწუხდება).

გამოსვლა მითართობა

გამღელი, გოგოები შემოცივიან, მისციევდებიან ბეგლარს, ღიღებს უხსნიან, გულში უბერვენ

ლომისეული. გენაცვა, შვილო, აბა, რას შვრები,

ჯადოქრებისთვის რისთვისა ჰკედები?  
არ დამიჯერე, გახსოვს, გიშალე...  
რაც მოხდა, მოხდა, რათ შეიშალე?  
ეშმაკს აფურთხე და დაივიწყე,  
გამხიარულდი, მღერა დაიწყე!

გ ა წ ლ ე ლ ი. (პეკრას) არიქათ, გიგაურის ცოლი მოიყვანეთ, მარქრიტა...  
გ ო გ ო. (გულს უფრიალებს).  
ლ ო მ ი ს ე უ ლ ი. შეპბერე თვალბს!

### ზამოსვლა მეთორმეტი

#### მარქრიტა შემოვა

მ ა რ ქ რ ი ტ ა. (შემოვა) მშვიდობა სახლსა ამას!

ლ ო მ ი ს ე უ ლ ი. კარგი, დედაშვილობას, ჩქარა შეულოცე!

მ ა რ ქ რ ი ტ ა. გენაცვა, რა მიზეზია, კაკალ ქვეშ ხომ არა წოლილა.  
წყლის პირას?

ა ბ რ ა მ ა. რო... როგ... ეეძინა...

მ ა რ ქ რ ი ტ ა. გენაცვა, გამდელი, თქვენგან არ მიკვირს, კაკალ ქვეშ,  
წყლის პირს... (საიდუმლოთ) ავის ქარისაგან იქნება.

ლ ო მ ი ს ე უ ლ ი. ჩემათ, ნურსად იტყვი!

მ ა რ ქ რ ი ტ ა. (ხელსახოცით გულს უზომავს, ულოცავს, ამოქნარებს და  
ტირის).

გულო, გულის ალაგასა,  
ჩაჯექ ბუდის ალაგასა!  
შენ არ გინდება ხტომა,  
გმართებს მშვიდად დადგომა.

გულო, გულის ალაგასა,  
ჩაჯექ ბუდის ალაგასა!  
გულმა დაუწყო ფრენა,  
შეშინებულის ქშენა,  
ჯვარო პატროსანო,  
ამას მიეცი ღზენა!

გულო, გულის ალაგასა,  
ჩაჯექ ბუდის ალაგასა!  
მობრძანდა წმინდა ელია,  
ღრუბლით არს შემოსილია.  
ეტლსა მისს მოაქვს გრიალი,  
გადუგდოს გულის ფრიალი,  
გულო, გულის ალაგასა,  
ჩაჯექ ბუდის ალაგასა!

ბ ე გ ლ ა რ. (ბეგლარ მობრუნდება), გამეცალენით, თავიდგან მომშორდით,  
გადით მეთქი!

(ჩამოეცლებიან და კულისებიდგან უყურებენ. ბეგლარ დადის და  
აიღებს სტოლიდგან ალბომს, მიიკრავს გულზედ და დაიწყებს ლაპარაკს. მარქ-  
რიტა კულისიდგან გამოიშვერს ხელსა, დანა და ნახშირი უჭირავს და ბუტ-  
ბუტებს)

ბ ე გ ლ ა რ. ჩემო გულისა აღმაშფოთო და ჩემო ბედო,  
ჩემო სამოთხევე, ჯოჯოხეთო, ჩემო იმედო!  
(დაფიქრდება)

ეს არის ჩემი სოფლის დიდება,  
 ლიტონი კაცი როგორ მიხვდება,  
 რომ ჩემი გული  
 არს დაკეწული,  
 და მისგან შევექმენ ტრფობის ანბანი...  
 არავის ესმის ამის საგანი!...  
 და თქვენცა, ერნო,  
 მწერალთა მტერნო,  
 სავსენო შურით!

თქვენ არ იყავით დასცინოდით დიდ ბაირონსა?(თ)  
 თქვენ არ იძულეთ, განაშორეთ მშობლის სირონსა

ტორკვატო ტასი?(ი)  
 ვერ სცანი ფასი,  
 უწოდეთ მტერი,  
 ჰქმენით პურობილი;  
 მის მღერა ტკბილი,  
 არ მოიგონეთ!

თქვენში არ იყო, კამოენსი(კ) მოკვდა მშვიერი,  
 თქვენ არ სდევნიდით დიდსა დანტეს(ლ), იყავით მტერი,  
 და ოვიდია(მ), რომის(აგა)ნ რისთვის განაგდეთ?  
 იქნებ მეც მისებრ მომიძულეთ, არვის დაგნანდეთ!  
 (დაფიქრებული ნელ-ნელა გავა).

ფარდა მძიმეთ დაეშვება.

მოკამადება მეოთხე

ოთახი სტრიაფჩისა. პისმენი სტოლზედ ზის სტრიაფჩი

#### ЯВЛЕНИЕ ПЕРВОЕ

Харитон Филипп (один), потом Иван

Харитон Филипп ч. — Иван!  
 Иван — (За кулисами) Сейчас!  
 Харитон Филипп ч. — Переводчик не приходил?  
 Иван. (Входит) Какой-с? Судейский, то-есть Бугданич?  
 Харитон Филипп ч. Ну, да.  
 Иван — Никак, теперь идет (Уходит).  
 (Входит Бугданич).

#### ЯВЛЕНИЕ ВТОРОЕ

Харитон Филипп и Саркис Бугданич Кемухтов

Харитон Филипп ч.—Аа... Здравствуй Бугданич! Где бывал...  
 Кажись ты был опять у Амриндо... Ха, ха, ха... Чай несколько то-  
 чек там не дохичгалем, а?

Бугданич. Что делать, Харитон Филиппич, когда бог не дал голова грузину? Настоящий баран голова!

Харитон Филиппич. А ты как хороший овчар, т. е. чобан по вашему, умешь стричь баран.

Бугданич. Ва! Человеку бог дал ум, надо потребить! Для грузину деньги, как наши говорят: апсус, т. е. жалка. Грузинский карман всегда такой дыра есть.

Харитон Филиппич. Все хорошо, любезный, но ты для меня не стараешься, не хочешь со мной дружиться.

Бугданич. Как-же; Я докажу, что для вас я много сделал.

Харитон Филиппич. Чтож ты сделал?

Бугданич. Сю нимут подарки принесут.

Харитон Филиппич. Отколь.

Бугданич. От жирный баран, Амприндо.

Харитон Филиппич. Нет, брат, старый скряга, клюзник, дело не правое.

Бугданич. Эй, Харитон Филиппич, пожалуйста, слова на крышу не брасай. Отчего за свой пот не взять, когда дает?..

Не чистое можно сделать абрунди, ваш пословиц.

Харитон Филиппич. Скажи, Бугданич, правду, ты и Рафаель поделились с судьей, что за точки и запятые содрали с Амприндо?

Бугданич. Судью? Черный камень ему дам, одно дело просил, не сделал. Еще ругает, какой пустой голова судья, ей бог, Харитон Филиппич. Он отсюда такой пойдет голый, как дебришь голодный, как кошка в великий пост.

Иван. (Из передней) Сторож из суда.

Харитон Филиппич. Ах, забыл сегодня торги. Скажи, сейчас иду.

Бугданич. Ва! Немного подажди, подарка принесут. А, Харитон Филиппич, Зураба дело можно абрунди сделать?

Харитон Филиппич. Ах, забыл, сегодня торги. Скажи, сейчас тва. Я знаю и абрунди и дабрунди и цабрунди.

Бугданич. Известно, умный человек! Немножка погоди да! Подарку принесут.

Харитон Филиппич — Пусть подождут. Иван (Иван входит), коли будет бичо или князек, скажи, чтоб он подождал.

Иван. Слушаюсь.

Харитон Филиппич. Пойдем, Бугданич, дай руку, но так мы с тобой...

Бугданич. Ва, ва, как мы будем стричь и брить, ты только слушай меня.

(Харитон Филиппич и Бугданич уходят).

### ЯВЛЕНИЕ ТРЕТЬЕ

Иван. (Один, метет комнату) Беглар.

Беглар. Здравствуй, любезный.

Иван. Здравствуйте. Кого вам угодно?

Беглар. Мне пужно стряпчаго.

Иван. Т. е. Харитон Филиппича? — Приказал дожидаться. Угодно подождите, коли не пыльно будет вам.

(Иван уходит).

ბეგლარ. ოჰ, მიხეილ, შენც აქა ხარ?

მიხეილ. დიახ. შენ რას აკეთებ?

ბეგლარ. ნულარ მკითხავ, ლამის გავგოყდე.

მიხეილ. რა ღმერთი გიწყურება, აიშის მადლმა, უყვარხარ ნინოს, მე მოგიხერხებ.

ბეგლარ. შენი იმედი მაქვს, ერთი ამ ხათაბალიდგან გამომიყვანე.

მიხეილ. გამოგიყვან.

ბეგლარ. რომ ჯერ არ იცი! იცი, რათა ვარ აქა?

მიხეილ. უთუოდ მამაშენი გამოგგზავნიდა.

ბეგლარ. ეგ არის და... აი, ბეკელი გამომატანა, ქრთამი მიეციო!

მიხეილ. მეც ქრთამი მოვიტანე.

ბეგლარ. (იღებს ბეკელს) Пожалуйста, აბა, შენ მეც მამიჩემის მაგირათ ესე.

მიხეილ. (იციანის). რას ამბობ, როგორ იქნება, როდი აიღებს...

ბეგლარ. აბა, მეც მაგისი მეშინიან, пожалуй обидитя. ისტორია არა გამოვიდეს რა! Дело шекотливое.

მიხეილ. Пустой! შენგანაც აიღებს, ჩემგანაც, მაგრამ ცალ-ცალკე უნდა მიეცეთ. ჩალიანი ნინოსია, გესმის? Смотри, женись!

ბეგლარ. (გამოართმევს ხელს). Как тебе не стыдно, ჩალიანი ужасно нужно, მე სიყვარული, სიყვარული...

მიხეილ. Она любит, братец... ვილაც მოდის, სტრაფჩი არ იყოს. ჯერ შენ მიეც (გავა).

## ЯВЛЕНИЕ ПЯТОЕ

Беглар сидит на стуле задумавшись, входит сгряпчий, осматривает его с головы до ног.

Харитон Филиппич. Он что-то смотрит не грузинном.

Беглар. (Встает) Честь имею рекомендовать себя.. Я сын Амхришдо.

Харитон Филиппич — (учтиво). Слуга покорный, прошу покорно, садитесь.

Беглар. (Садится. Пауза). Прелестный день.

Харитон Филиппич. Хорошел!

Беглар. Вы верно гуляли.

Харитон Филиппич. Нет-с. Я был в суде.

Беглар. Да, и после службы можно делать мацион или верхом... Вы любите сздить верхом?

Харитон Филиппич. Нет, не учился, и правду сказать, некогда. (Занялся рассмотрением журнала).

Беглар. Вы редактор какого журнала?

Харитон Филиппич. Известно, судейского журнала.

Беглар. Скажите пожалуйста, есть писатели?

Харитон Филиппич. Помилуйте, слава богу, есть кому писать, судья, четыре заседателя, хоть не все писакки, секретарь, столоначальники.

Беглар. Ах, как приятно иметь таких образованных чиновников. Скажите пожалуйста, есть ли между ними поэты.

Харитон Филиппич. Нет-с. Да правда, переводчик орет по персидски, туземцам нравится.

Беглар. Вы кажется меня не поили, я вас спрашиваю, есть ли поэты, т. е. стихи пишет ли кто-нибудь?

Харитон Филиппич. Помилуйте, нам некогда глупостями заниматься.

Беглар. Как? по вашему Шиллер, (б) Гёте, (с) Байрон были глупые?

Харитон Филиппич. Извините. Не понимаю, князь, ни вашего Перона ни Шулера. Вы лучше, князь, скажите без рифмы пинтилки, верно за делом пожаловали ко мне. Ей богу совестно, но право некогда, скажите без церемоний.

Беглар. (Встает). Простите меня, я никак не мог, по батюшка приказал отдать вам этот перстень.

Харитон Филиппич. Давно бы вы сказали, а то вы меня замучили. Извольте (протягивает указательный палец), наденьте. — Теперь мое почтение. Я знаю, готов все сделать. Кланяйтесь батюшке. (Беглар уходит).

## ЯВЛЕНИЕ ШЕСТОЕ

Харитон Филиппич и Михаил (входит)

Михаил. Харитон Филиппич — мое почтение.

Харитон Филиппич. Слуга покорный, ваше сиятельство, пожалуйста, садитесь, что прикажете.

Михаил. Харитон Филиппич, скажите мне правду и прямо, я солдат, люблю откровенность, вы сейчас взяли перстень у сына Амриндо.

Харитон Филиппич. Я не брал...

Михаил. Не говорите, я все знаю.

Харитон Филиппич. Убей меня бог, не брал, поверьте со-  
вести.

Михаил. (берет за руку) Да, вот она, этот перстень.

Харитон Филиппич. Я вам говорю, что я не брал, а сами падали. Видите, я прав.

Михаил. Вижу теперь. Вот с моей стороны вам 100 рублей депозиток.

Харитон Филиппич. Обижайте князь, не беру.

Михаил. Потому я положу под подушку.

Харитон Филиппич. Как угодно, но взяток не беру. Я дал себе честное слово.

Михаил. И прекрасно, очень честно. Но как теперь дело делаете?

Харитон Филиппич. Я сделаю абрунда.

Михаил. Ведь и от Амриндо взяли перстень.

Харитон Филиппич. Во-первых я не брал, сам надел. Да по делом кляузнику. Пусть не присваивает чужую собственность.  
Михаил. Чудесное правило. Прощайте, не забудьте абрунди.  
Харитон Филиппич. Будьте уверены. Даже чабрунди сделаю.  
(Михаил уходит).

#### ЯВЛЕНИЕ СЕДЬМОЕ

Харитон Филиппич и Саркис Бугданович и Ломин (входит)

სარქისა. Харитон Филиппич! Вот один имперетинский баран голова, т. е. князь! Дела имеет.

Харитон Филиппич. Что он хочет?

სარქისა. რა გინდაო?

ლომინ. რაეა რა მინდა, არზი... ცოლი მინდა შევიერთო.

სარქისა. Он говорит прошение, говорит нужно, хочу жениться говорит.

Харитон Филиппич. Какое же нелегкое ему мешает, пусть женится.

სარქისა. მერე რომლისთანა სუმბუქი გიშლის, შეერთო.

ლომინ. რაეა არ მიშლიან, ნებას არ მცემენ, ბატონო!

Саркис. Как же мешает, не позволяют говорят.

Харитон Филиппич. Кто же мешает?

სარქისა. ვინ აგრივიაო?

ლომინ. ამრიგს კი არა, გარდამრიგს, ვერ გავაგებინე ტლომაჩს, სუნელია.

სარქისა. მითხარ და...

ლომინ. აჰ, ბატონო, ვითხრობ, ბლარობას ერთი პაწია ქალი შემრთეს და გამაშვებებს, ბლარები ხართო. ეს ხომ არაფერი, გამაშვებებს, გეიგე?

სარქისა. როგორ, ბლარობა? რა არის? ჰო, ბარობა, ესე იგი გაზაფხულობის ბარეა რომ არის ვენახისა?

ლომინ. უჰ, უჰ... რას უნობ? რაეა გაზაფხული, ბარე ხუთი გაზაფხული გევიდა, ბლარი არ იცი?... პაწია, პაწია.

სარქისა. ჰო, ახლა გავიგე, მითხარ მერე!

ლომინ. ის პაწიობა ხომ არაფერი, გამაშვებებს. არ დეითვლება. მეორე ჩემო ბატონო, როსკიპი იყო და გუუშვი. ესეც ხომ არაფერი, არც ის და არც ის. ერთი შევიერთე, (ტირის) მომიკვდა და ახლა მეორეს ვირთამ და არ მცემენ ნებას, გეიგე?

სარქისა. ვა, თეთივე, სამი ცოლი გყოლია, მეოთხეს ირთავ. განა ნებას მოგცემენ?

ლომინ. რას უბნობ, შე უბედურო, რაეა სამი! ის ერთი ხომ თითონ გამაშვებებს, მეორე შე გუუშვი. მესამე მოკვდა. ის ორი ხომ არაფერი, რომ მოკვდა, ის ერთი და ახლა მეორეს ვირთავ, გეიგე?

სარქისა. Вот баран голова.

Харитон Филиппич. Что он говорит?

Саркиса. Чихи-махо говорит, он говорит, когда был маленький. женился, но маленький говорит и за малюшность обе говорит, этот раз под сделали, говорит, второй женился говорит...

(იმერლოსაკენ) მეორე რა იყო, რო გააგდე?

ლომინ. როსკიპი.

სარქისა. როსკიბი, ჰო, ვიცი. Второй женится, говорит, кипит как вода, говорит, третий умер, говорит, говорит теперь хочет опять жениться.

Харитон Филиппич. Кто-же позволит ему жениться; на четвертой жене редко кто женится.

სარქისა. არ იქნება, ბატონო, ოთხი ცოლი!

ლომინ. აა, თანჯიმალ ნეზნაით, ბატონო, აჰ, ესთეა, ბატონო, შენი საკადრისი რუსული არ ვიცი, მაგრამ ქვე-კი, ჰო; აღინ ეენა მალინკა პოშოლ, დვა ეენა ღურაკ უშველებელი, ღურაკი იყო; ტრი ეენა უშლა ი და პრაპალ, ჩეტირე ეენა ხარაშო და აღინ ესაა... მის მოწყალებას ველი. ახლა იცი?

სარქისა. ვიცი კარგა, ბატონო, ერთი პატარა, ორი ცუდი, სამი მოკე-და, ოთხი არ იქნება...

ლომინ. კაი შენს გუნებას, თუ არ იქნება (პუბლიკას): არავინ ხართ ქრისტიანები, გააგებოთ? სუნელები არიან.

Саркис. Такой дела, Харитон Филиппич просит: Напиши, позволит, деньги возьмем.

Харитон Филиппич. Поторгуйся.

სარქისა. რას იძლევი?

ლომინ. ოცდაათი კაკალი მანათი მაქვს და შენც გემსახურები.

სარქისა. მე რას მაძლევი?

ლომინ. ასეთს კულას გამოგიგზავნი, ვერცხლით შეჭედილს, რომ ღვინო დალიო, რაკრაკი გაქონდეს პირში (იქით), თუ ერთი დავაწერიე, კორტოხეთი გადაიარე, აჰ, მამა უცხონდა!

სარქისა. კარგი, გადასაწერი არზისა?

ლომინ. ღმერთი არა გაქვს, ერთი მანათი დამშთა, ვერ დავშლი.

სარქისა. როგორ მანეთი? გადასაწერი ორი თუმანია.

ლომინ. უუუ, ბიძია, მშვიდობით, შენ და მაგან შეირთეთ. ორმოცდაათ მანათათ არ ღირს ცოლის შერთვა, მშვიდობით.

სარქისა. მოდი, კარგი მოიტა.

ლომინ. (იღებს ქისას, სთვლის სამ თუმანს, აძლევს) აა, ბატონო.

სარქისა. ერთი მანეთიც გადასაწერი.

ლომინ. ვერ დავშლი. გეუნები, არ მაქვს ნაშლად.

Харитон Филиппич. Но бог с ними, бери!

სარქისა. მოიტა, კარგი (ართმევს). Но прощай, Харитон Филиппич, еще найду какой-нибудь баран голову (იბერელს). წადი, სამ ღლეს უკან მო-ლო (გავლენ).

## ЯВЛЕНИЕ ВОСЬМОЕ

Стряпчий (один)

Стряпчий. Дас, все отказываются сдесь служить, а по мне, кто умеет сделать абрунди, гому везде тепло. Главное, не нужно многого. Я человек не прихотливый, я ничего не требую. Коли дадут сами за каждое дело по десяти червончиков и довольно. У нас в суде дел гражданских 1500, уголовных 150, вот вам и капиталец, а другие наши братья кричат, уезд неурожайный. Что делать? Не везде Нуха, (3) Карабах (г) и Ганджа. (4) Там, батюшка, Калифорния! (5) (Занавес опускается).



## მოქმედება მახუთა

### გამოსვლა პირველი

ნინო (ზის თავის ოთახში, წიგნი უკირავს. დაფიქრებულია)

ნინო. (მარტო) იქნება გამართლდე, დიდი ხნის ჩემის სიყრმის იმედო.

ნეტარ ჩემო საყვარელო, ამ ჩემს გულში ჩამომხედო,  
შენ მუნ ნახავ: სიყვარული, ვით ლამპარი ანთებული  
და ზეცისგან ტრფობის ტახტი შენ საჯლომად აგებულა.

### გამოსვლა მეორე

ნინო და ბეგლარ (შემოვა)

ნინო. ახ!

ბეგლარ. ნინა! ნინა!

ნინო. (ვითომ ებუტება).

ბეგლარ. მიწყრები? (არმევეს ხელსა და აკოცებს).

ნინო. მადლობელი გახლავართ, კარგა შეგიგცივივარ! კარგი მე, ქვეყანას რალას ემართლებოდი?

ბეგლარ. Прости, Нина სიყვარული მოუთმენელია, მე მეგონა, მე მეგონა მოტყუებული ვარ მეთქი.

ნინო. გეტყობა კიდევ იქვე ხარ, რომ ქართველმა ქალებმა სიყვარული არ იციან!...

ბეგლარ. შენა ხარ პირველი და ამისთვის უმეტეს შემიყვარდი.

### გამოსვლა მესამე

ივინივე და მიხეილ

მიხეილ. ბეგლარ! თქვენი საქმე კარგათ მიდის. წადი მამაშენთან, იაია დაუბარებია, ეცადე, მოციქულათ გამოგზავნო.

ბეგლარ. რა ეშმაკი მათქმევიწინებს სიტყვას. ასეთი ყოფა აქვს, რომ აბუა გამდელიც ვეღარ შესულა იმასთან, კინალამ დიანბეგი გალახა, რომ გამოუცხადა. ფიცამს, არ დავანებებო.

მიხეილ. წადი, გეუბნები, ახლა მოკაცული იქნება მამაშენი. (ბეგლარ მივა ნინოსთან, უყურებს და ხელზე ჰკოცნის). Ну, удачи! Без нежностей, მიესწრები, მაიცადეთ, სიყვარულიც გაგიცივდებათ (ბეგლარ გავა).

### გამოსვლა მეოთხე

ივინივე და ონოფრე (შემოვა შეწუხებული)

ონოფრე. (მიხეილს) მადლობელი გახლავარ, კარგათ გასჯილხართ, იმედი მაქვს, რაც მამულები გაქვს, ისინიც დაჰკარგო, ვეუო, ის გაუმადლარი დათვი ხომ ნაწრეტსაც დამიწყებს დავას? ბიჭო, რა უყუე ათი თუმანი რომ გაგატანე?

მიხეილ. მივეცი, სადაც გამატანეთ.

ონოფრე. სტყუი, მამაჩემი ნუ წამიწყდება! უთუოდ ქალაქში წააგე!

მიხეილ. გეუბნებით, რომ მივეცი, ნუ შეწუხდებით, ღმერთი მოწყალეა.

ონოფრე. არა, შვილო, მე ქალაქის სასამართლოს ფულები ვინ მომცა, წამართო, წამართო! რა ვქნა, ერთი სისხლს კი მოვახდენ და...

მიხეილ. კარგი იქნება, ასი დღის ქაობისათვის ერთმანეთი გაწყვიტოთ.

ონოფრე. ნუ ვასცემ ხმასა და ვნახოთ, თუ სხვა მამულებიც არ წაგვართვას. მე, შვილო, დღეს არა ხვალ მოვკვდები და შენ მშვიერი დარჩები.

მიხეილ. მე არა მიშავს რა, სამსახური დამარჩენს.

ონოფრე. ამას რას უპირებ (აჩვენებს ნინოზედ).

მიხეილ. ამას ჩალიანს გავატან მზითვათ.

ონოფრე. კიდევ მასხარობ! ჩალიანი ხომ იმას მისცეს?

მიხეილ. დიამბეგთან მოვახერხე, იმან გამოუტყბადა, რომ ონოფრეს უნდა ჩავაბაროთო.

ონოფრე. და როდემდის მოატყუებთ?

მიხეილ. იქამდის, მანამ... (ნინოს ეუბნება) წადი შენს ოთახში... ბეგლარს ნინოზედ ჭვარს არ დავწერ (ნინო გავა).

ონოფრე. ძალიან არ იყაბულეებს?

მიხეილ. მე ვაყაბულებინებ, კიდევ შევიხვეწიებ.

ონოფრე. ბეგლარს უნდა?

მიხეილ. გაგიყებულნი არის.

#### გამოსვლა მინუთა

ივინივე და ბერუა

ბერუა. (შემოვა, წიგნს მორათმევს ბეგლარისას, მიხეილ კითხულობს).

მიხეილ. (ბიკს) კარგი თქო. (ბერუა გავა, ონოფრეს) ეხლავე მოვლენ იაია, რაფაელ და სარქისა, უთუოდ მოციქულები იქნებიან, ვითომ მოგვარვიგონ.

#### გამოსვლა მემძვანა

ივინივე და სილონია

ონოფრე. ქალო, ნინუცა გავითხოვეთ!

სილონია. განა არ ვიცო, ამის სიცრუე იქნებოდა (უჩვენებს მიხეილზედ).

ონოფრე. სწორეთ!

სილონია. მერე ამირინდო თანახმა არის?

მიხეილ. უთუოდ, მეტი რა ღონე ექნება?

#### გამოსვლა მემვილი

ივინივე და ბიკი (შემოვა)

ბიკი. ბატონო, დიამბეგი, იაია, რაფაელ, სარქისა გეახლებიან.

ონოფრე. მობრძანდითქო (ბიკი გავა).

იგინივე და დიანბეგი, იაია, რაფიელ, სარქისა

ონოფრე. ჩემს მოწყალეს ხემწიფეს, უფალს დიანბეგს ვახლავარ. რაფიელს გაუმარჯოს, სარქის ბულდანიჩს; დაბძანდით (დასხდებიან). (დიანბეგს) რა ანბავია, ასე დაეწიყება. ვეჟო. თუ არ საქმისთვის, არ მოხვალ?

დიანბეგი. რა ვქნა, ჭეშმარიტად დანაშაული მაქვს, მაგრამ, მოგეხსენებათ. (თმაზედ მოივლებს ხელსა), ამდენი საქმე მაქვს. ნუ გეწყინებათ კი და თქვენ და ამირინდოს ერთი დიანბეგი მოგინდებათ.

ონოფრე. რა ვქნა, ძმაო, აი, დარბაისელნი ბრძანდებით, რა დანაშაული მაქვს. სულამდის მომდევს ის კაცი. რა ვქნა, მდიდარია და ფული აქვს, რა უყოთ.

დიანბეგი. კნიაზო, ფული... აგრე არ უნდა თქვათ. საკვირველი უბედურება არის... არავის თქვენგანს არა ჰსჯერა, რომ იყოს დიანბეგი უანგარო და უყურებთ დიანბეგს მცირე კაცად. ოო, თქვენ არ გესმით, ვითარი დიდი მნიშვნელობა აქვს დიანბეგს. თქვენ არ იცით, რომ კეთილდღეობა ერისა არის დაფუძნებული ჩვენსა მხრებსა ზედა; თქვენ არ იცით, რომ ერთგვის დაწერილი ჩემ მიერ ესრეთ არს მტკიცე და მყარ, ვითარცა ჭეშმარიტება; თქვენ არ იცით, რომე დარღვევა ჩემგან დამტკიცებულის ქალღმრთის, გამოცვლა, არავის ძალუძს. თქვენ აქამდის არ გესმისთ, რომელ მე ვარ საყუდველი, მე ვარ ფესვი, მე ვარ სვეტი ხალხის ბედნიერებისა და უბედურებისა. თქვენ არ იცით... ეე, რას გელაპარაკოთ!

რაფიელ. ჩემი მოხსენება სხვა რიგათ არ ჩამაშართოთ. აი, თქვენ შვილთან მოგახსენებ, თუ გადაიტანა საჩივარი ქალაქში, ძნელია.

ონოფრე. თქვენმა მზემა, ამაზედ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ სენატამდისაც იაროს, მე იმას არ დავანებებ ჩემს საკუთრებას.

იაია. კარგია, მამაშენი ნუ წაგიწყუდებათ, რა არის ამდევნი თქვენი ერთმანეთის წყენა, იმათ არა ღირს. მთელი ქალაქი არის და თქვენა. სირცხვილი არის, სხვა რომ არა იყოს რა!

ონოფრე. ერთი, მამაშენი ნუ წაგიწყუდება. შენ ხომ სვინილისიანი კაცი ხარ, აბა მიბძანეთ, რა ვქნა?

იაია. ისი ჰქენი, ბატონო, რომ მორიგდით. აი, ეხლა ქალაქიდგან გიახელ. უქაზი მოსულა: ვისაც ერთმანეთში დავა აქვთ და არ მორიგდებიან, ერთ წელიწადზედ სახელმწიფოთ დასდებენ.

ონოფრე. რა მენადვლება, დეე დასდვან! ჩემ მოსისხლეს ხომ არ დარჩება... ერთი მიბრძანე, როგორ მოვრიგდე, მე თქვენს სინილისზე მოვაგდებ.

იაია. დაუთმეთ, ფულ მოვაცემინებ.

ონოფრე. ათას თუმნათ არ მივეცემ! გაგონილა? არა ეყიდი, ბატონო, თუ ჩემი არის, ჩემი უნდა იყოს; თუ იმისია, იმისი იყოს!

სარქისა. (ჩუმათ) საქმე მოგიგია, რათ შაურრიგდე?

ონოფრე. (ჩუმათ) ჩემი მხარე დაიჭირე, ერთს ურემს პურს მოგართმევ.

სარქისა. (თავს უქნევს) კაი პური კი იყოს.

იაია. მამა არ წამიწყუდება, ერთი კარგი ჰაზრი მომივიდა, თქვენმა მზემ, უცხო აზრია, ბარაქალი იაიავ! უკეთეს საქმეს კი ვერას ვიფიქრებდი, მტერს თვალებს დაუყენებ. მოდი, ვეჟო, ეი, მამა არ წამიწყუდება. ჰა, ონოფრე მამი-

შენი საფლავის მზეს, დამიჯერე, კაცო, ეი: ჰა, მოდი და, აჰ ეე, გაიგონე და!..  
ონოფრე. მესმის, მიბძანე!

იაია. იცი რა, ეე ჭიუტი კაცები ხართ, მამა არ წამიწყდება, მოდი და მაიტა ხელი, ეე, ნათქვამია: ძმანი ჭირთა შინა სახმარ არიანო. შენი სიკეთე მინდა, იცი, რას მოგახსენებ? ჰო, იმას მოგახსენებდა... მოდი და, ეჰ, საკვირველი კაცი ხარ, მამა არ წამიწყდება.

სარქისა. მე გული წამივიდა, თქვი და!

იაია. ჰო, იმას მოგახსენებ, აი რას მოგახსენებდი და კიდევ რას მოგახსენებ... დავმოყვრდეთ, კაცო!

#### გამოსვლა მემხრამ

ივინივე და სიღონია

ონოფრე. სიღონიავ, ქალო, აი, იაია რას ბრძანებს. ამირინდოსთან დავმოყვრდეთო!

სიღონია. თქვენმა მზემ, არაფერი უღირსობა იქნება, ჩვენი ქალები მეფის სახლში ყოფილან.

იაია. არა, ბატონო, მაგას ვინ მოგახსენებთ, არა, თქვენი თავის მზემ, ჰსწორეთ მიბძანეთ.

ონოფრე. მე ყაბული მაქვს, ახლა შენ იცი, მაგრამ ეს იცოდეთ, პირველათ მე არ მითხოვნია... თუ ის მთხოვს?

იაია. მზითვეი არ გვინდა... თუ ჩალიანს...

მიხეილ. ჩალიანი მოგვირთმევია!

იაია. (წამოდგება) მამა არ წამიწყდება, ესლავ წავალ და შენი იაია არ ვაქნები თუ ამირინდო თავის შვილით არ მოვიყვანო და არ შეგარიგოთ. ხვალ მადლი გადავიხადოთ და, თუ გინდა, ჯვარიც დავწეროთ (იაია, სარქისა, რაფაელ გავლენ).

#### გამოსვლა მათმე

ივინივე თინიერ იაიასი, სარქისასი და რაფაელისა

დიანბეგი. კნიაზო, ერთი ეს ჩალიანის საქმე შემასრულებინეთ.

ონოფრე. რა არის, აბა წაიკითხე.

დიანბეგი, უქაზი არის სულისა, ჩალიანზედ. გთხოვთ მოისმინოთ, ვბრძანეთ: მოწერილობისამებრ უქაზისა სამოქალაქოისა და უგალოვნის სულისა № 2564-ა სული ესე მეორედ შერავიდა განხილვასა შინა და ახლითა დამატებითა გამოძიებითა, თანადასწრებითა უეზნის სტრაფჩის, სული ესე ეთანხვა რა მწენიესა სულის მწევრის ზასედატელის ლილივიროვისა, ესრეთ რომელ უნდა დაშტეს მფლობელობასა შინა თავად ონოფრე ბაადურის ძესა ზემოხსენებული უძრავი მამული ჩალიანად წოდებული. ინებეთ, მოაწერეთ ხელი.

ონოფრე. — არ მესმის, რას ანბობთ, მე მომეცით თუ ამირინდოსა?

დიანბეგი. თქვენთვის მამილოცამს!

ონოფრე. (მიხეილს) მაშ, შენ რა იცრუე?

მიხეილ. მე ჰსწორეთ გითხარით, ამირინდოსია მეტქი, ამისთვის, რომ ნინას გავატანთ შიითევში.

ონოფრე. შიკარცხინა, თუ არ მოგეტყუებინე, მე კი არ გამოვიმეტებდი ნინუცასათვის... დიანბეგო, მიხეილე, ერთი აქ წაიღოთ (გაეღენ).

#### გამოსვლა მეთერთმეტი

ნინო და ნენე

ნინო. წადი, თეთრი ატლასის კაბა მომიშალდე.

ნენე. რა ანბავია (ნინო უჩუქრჩულებს). ჭა, აქამდის როგორ არ მითხარ (ხტება, ჰკოცნის ხელზედ), გენაცვა, აქამდის როგორ არ მითხარ?

ნინო. მეც ეხლა მიხეილმა მახარა. ჰო, კარგი, ნუ გიჟდები!

ნენე. გენაცვა, არა მართებს? ქალბატონჯან, ნინოჯან, შენ აღთქმას ხომ აღასრულებ?

ნინო. დიახ, უთუოთ!

#### გამოსვლა მეთორმეტი

ივინიე და გამლეო

მოწყალისეული. ნინოჯან, აქა ხარ, გაზდილო?

ნინო. (მივა ახლო) აქა ვარ, გადიავ! შემინდე, გადიავ, იმ დღეს გაგაჯავრე, დამლოცე, დედაშვილობასა!

მოწყალისეული. ღთის მშობელმა დედამ დაგლოცოს, შვილო, გულში არ ჩაიტანო, შვილო; ღმერთმან იცის, შენი სიკეთისათვის, შენი სახელისათვის ვიღწვოდი, რადგან ღმერთმა ამდენი დამასწრო, შენ ქორწილსაც ვესწრობი. თუ ჩემი გიყი მიხეილის ბედნიერებას მოვესწარ, მე რე თუ გინდ მოგკვდე, ბედნიერი დედაკაცი ვიქნები.

#### გამოსვლა მცამეტი

ივინიე და სიღონია

სიღონია. (შემოვა) ჭა, ნინო, წადი, შვილო, ჩაიცვი, იქნება შენი მამათილი მოვიდეს (მივა, აკოცებს. ნინო და ნენე გაეღენ).

#### გამოსვლა მეთოთხმეტი

სიღონია და ონოფრე

სიღონია. აბა ამდენი ჩხუბი რაზედ გვექონდა, თუ ევრე მალე შერიგდებოდი? მე სრულებით არ მოვფიქრებდი, შენ ნუ მომიკვლები, თუ ჩემი ნინუცა მალე გაბედნიერდებოდა.

ონოფრე. მამა ჩემი არ წამიწყდება, ეს კარგი მოახერხა მიხეილმა.

## გამოსვლა მეთხუთმება

ივინვე, ბიკი, ამირინდო და სუყველანი

ბიკი. ამირინდოს სტუმრები არიან (შემოვლენ სუყველანი. დიანბეგი მიიყვანს ამირინდოს ონოფრესთან და ერთმანეთს აკოცებენ).

ამირინდო. რას მოვიფიქრებდი ამ ბედნიერებას?

ონოფრე. მამა ჩემი არ წამიწყდება, დიდათ მოხარული ვარ.

დიანბეგი. აბა შერიგების ქალაღდი მოიტანეთ.

ბეგლარ. აი, მზათ გახლავს, აქა!

ამირინდო. ვინ დასწერა?

ბეგლარ. მე!

ამირინდო. მარტო შენ?

ბეგლარ. მარტო მე!

ამირინდო. ბიკო, არზის წერა სცოდნია! ჰო, რა ბედნიერი კაცი ვარ, მამა ჩემი არ წამიწყდება!

იაია. მამილოცამს, მამაჩემი არ წამიწყდება. ჰო, მაგას არ მოგახსენებდი! ჰო, რას მოგახსენებდი? ჰო, აკი ვითხარ, მამილოცავს, აკი ვითხარ, არზის წერა იცის მეთქი!

## გამოსვლა მეთექვსმება

ივინვე და ნინუცა

ონოფრე. (მიიყვანს ნინუცას) ბეგლარ, ჩამიბარებია ქალი, ღმერთმა გაგაბედნიეროს ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემითა. მამიკია ქალი პატიოლანი, ჭკვიანი, კარგი, გაზრდილი, ყოვლის კეთილით სავსე. შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც კარგათ შეინახამ (ბეგლარ ჰკოცნის ნინუცას).

სარქის.. თუ ასე ყველა ქართველნი,  
როგორც ესენი, შერიგდებიან,  
მაწინა ჩვენნი სომეხნი  
შიმშილით ამოსწყდებიან.  
(ფარდა ჩამოეფარება).

## ქ უ ნ წ ი ო

### გოქმეღნი პირნი

კარაპეტა დაბაღოვი  
სამფერა, ქალი მისი.  
არჩილ, თავადი ღაზნელი.  
ივანიკა, მოჭამაგირე.  
მონაეარდისა, მოახლე სამფერასი.  
მეკუბოვე.  
მსასური თავადიშვილისა.

## მოქმედება პირველი

ოეტრი წარმოადგენს დარბაზს შუა დარბაზში ქურსი დგას, გარშემო უშლია ხალიჩები. კედელთან დგას ლიტრა წყალით.

## გამოსვლა პირველი

კარაპეტა და მერე მონაევარდისა

კარაპეტა გამოვა ძველის ხალათითა, ქოშებით და სალამურის ჭედით. მივა ქურსთან. აზღის საბანს, გამოიღებს მაყალს, საეხეს დაღვივებულის ნახშირით.

კარაპეტა. ვა, ამისთანა ბალა იქნება? (წყალს დაასხამს, ნახშირს ჩაიყრის კალთაში). გოგო, ნავარდისავ! (გოგო გამოვა, კარაპეტა უჩვენებს მაყალზე) ეს ვისი ნაქნარია?

მონაევარდისა. ჩემი.

კარაპეტა. განა ჩემი ოჯახში შენ უნდა დაღუპო? განა ღმერთი აიღებს? არ გებრალეები? ხედამთ, ღარიბი ვარ, ყოველ დღე ამთენი გამდის, გამდის. ერთი დახლიც მიჩვენეთ და! ამთენი ნახშირი იქნება? საპალნე რვა აბაზი ღირს, ორი კვირა არ გასულა, ნაყიდული არის.

მონაევარდისა. მაშ სიცივით ხომ არ დავიხოცებით!

კარაპეტა. სულელო, სიცხემ გაწყენს. ეგ ლოყამ წაგიხდება. სიცივე ასე გავაწითლებს, როგორც ვარდი, აი. აქა, ჰა (უნდა უჩქმიტოს ლოყახედ).

მონაევარდისა. დამეხსენ, თორემ ხამფერას მოვახსენებ.

კარაპეტა. ვა, ახლა მაგაზედ აწუწუნე... მაშ მუქათათ გაქამო? ვა, ჩემ ბაღში მე ვარდი არ მოვსწყვიტო? ჩემი ვენახის ყურძენი ჰხვას მიეცე. რომ მოწყვიტოს?...

მონაევარდისა. რამდენი წელიწადია სულ ასე ალერსობით მატყუებ, განგათავისუფლებო. არ მინდა შენი განთავისუფლება, ქალი გაათხოვე. მზითევიშე გამატანე. მე ხომ ფული არა ვარ, რომ შემინახო. კუჭი მაინც გამიძლება... შენს სახლში ათი წელიწადი არის. თბილი არა მიჭამია რა ყველისა და პურის მეტი.

კარაპეტა. არ დამაცლი, გავათხოვო, განა ტყუილათ გეუხები! თბილი? განა არ იცი, თათარ-იახნი გაწყენს! მიტომა ხარ ლამაზი შენცა და ჩემი ხამფერაც. რომ მშრალი პური სჭამთ. დამაცალე, ერთი კაი ვაჟი ვიშოვნო.

მონაევარდისა. როდის იქნება?

კარაპეტა. როცა იქნება. თუ ფულიანი არ იქნება, ხომ არ მივცემ. ქართული რამები მისწავლებია. ვეფხის ტყავი ზეპირ იცის (წუწუნით) დაიღუპოს ის დღე, როცა ცხონებული ჩემი მარმარუამ ხამფერა ქართველის სახლში მისცა სასწავლებლად. ახლა ჩვენი არავინ თხოულობს, ამბობენ, თუ წნილის ჩადება არ იცისო.

მონაევარდისა. მაშ ქართველს მიეც!



კარაპეტა. დი-დი... დი-დი... დი-დი!.. ქართველი რა კაცია! ჩემი წა-  
ლებს მივცემ, რომ ჩაიცვას? მერე რა მოვუკდე, ჩემი ქონება იმან შეშქა-  
მოს? ვა, როგორ შეშქამოს, წყალში ემე ჰქნას, გადაჰყაროს! ჩემი სული ჯო-  
ჯობეთში დავწვა? აფსუსი არის ოქროები ქართველ ჯიბეში? ქართველი ფუ-  
ლის მტერია, ნიმუტი ფული არ დააყენებს ჯიბეში. როგორც ნიორი, ისე  
აუყროლდება და ისე გადაჰყარან.

მონავარდისა. ყველანი ხომ ფულის გამამყრელები არ არიან ქარ-  
თველები?

კარაპეტა. გეუბნები, ფულის შნო არა აქვსთ. არა გაგიგონიათ ლათაია:  
გოგრა არ გახდება შირაზის შეშა, რა გინდა თახჩაშიც დადო. (ა)

მონავარდისა. თითქო ანგარიშის კაცი ხარ, ალავ; რა გენაღვლება,  
ქალი გაათხოვო, მეც დამითხოვო. ამდენი მქამლები რათ გინდა? (გავა).

კარაპეტა. (მარტო) მართალს ანბობს, ჭკვიანი გოგოა! (ანგარიშობს)  
წელიწადში ჩემი ქალმა და ეს გოგომ თხუთმეტი თუმანი ღირს. მაგრამ ბალა  
ეს არის, ვის მივცე, (ფიქრობს). ნეტამც ჩემი დროს კაცი იყოს ვინმე, გინდა  
ქვრივიც იყოს, ფულის ყაირათი იცოდეს. განა ეს იქნება? როგორ გამოიცვალა  
ხალხმა!.. ჩვენი ვაჟრების შვილები ქართველებზედ ბედოვლათები გახდნენ.  
მიხვალ სახლში, სულ იუროპიულათ ნაქნარია: კიპაეი, პოვარ, ლაქეი. აბა, ახ-  
ლა ზანდუკ უნახეთ! ისე ცარიელია, როგორც ქალაქიდან გასული თავადის  
ჯიბე (ისმის კარებიდან რახუნი). ვინ არი? ვინ არი? ვინ იყო, ივანიყო?

#### გამოსვლა მეორე

კარაპეტა, ივანიკა და მსახური

კარაპეტა. ივანიკო, ნახე, თუ ვინ არი!

ივანიკა. ვინცლა ყაზახი არის.

კარაპეტა. ვა, ყაზახ ჩემთან რა უნდა (გავა კარებიდან), შტო, ლუ-  
ბეზნი, ნადა?

მსახური. (გარედან) ქართველი ვარ, კარი გამიღე, საქმე მაქვს.

კარაპეტა. ივანიკო, გაუღე (ივანიკა გააღებს კარებს).

მსახური. კარაპეტ, ერთი ძვირფასი ნივთი მაქვს, ფული საჭირო არის,  
დაიგირავე!

კარაპეტა. ვისია?

მსახური. ჩემია, შენ რა დავა გაქვს...

კარაპეტა. ვა, აგებ წაპარულია, დავიდარაბის თავი არა მაქვს.

მსახური. არა, ღმერთია მოწამე.

კარაპეტა. არ მინდა შეთქი.

(მსახური ყურჩი უჩუჩჩულებს).

კარაპეტა. ჰო, ის კი კაცია, კინაზია, აბა ვნახო!

(მსახური გახსნის ბოხჩას და უჩვენებს დანბაჩას, ვერცხლით შეკედილს).

კარაპეტა. ჯერ მითხარ, ტამბაჩა რათ მინდა?

მსახური. ერთ ტყვეთა ღირს. ნახე, ინგლისია!

კარაპეტა. მე განა ლეკი ვარ, ტყვე ვიყიდი? ინგლისი მათლაბა გამი-  
გონია. არ მინდა, ხელს არ მამცემს!

მსახური. პეი, დროვ. იარალი ჩალის ფასათ აღარ გაღის! ალავ, ძალიან  
საჭირო არის, რაც გინდა, ის მომე!

კარაპეტა. ეს ვერცხლი აპყარე, აქ იქნება ასი მისხალი: ხუთი მანათი მოგცემ ერთი კვირა ვადით. ეს რკინა უკან წაიღე.

მსახური. ვაი, შენ ჩემო თაო, ფასი ამ რკინასა აქვს.

კარაპეტა. რკინის ფასი ფუთი რვა აბაზია, ეს ერთი გირვანქაც არ არის.

მსახური. შენ არ იცი, რა ღირსება აქვს ამ დანბაჩას: ჰაერით გაიტენება. სადაც სახლში ეგ იქნება, იქ ქურდი არ შევა. თუ შევა, დანბაჩა მისცემს პასუხსა.

კარაპეტა. თითონ გავარდება?

მსახური. მაშინვე!

კარაპეტა. მერე ქურდი მოკვდება?

მსახური. რასაკურველია!

კარაპეტა. (თავისთვის) ზანდუკში დავდებ, კარგია, თუ ჩემი ზანდუკს ქურდი მივა, ძინგ... დავარდა, მოკვდა. კარგი, კნიაზის ხათრისათვის ერთი თუმანი მოგცე. ერთი კვირა ვადა.

მსახური. ფულს ზეგვე მოგართმევთ. მოიტა, მეტი რა ღონეა.

კარაპეტა. მამა გიცხონდა, ფული რათ უნდა?

მსახური. სწორეთ გეტყვი, ერთმა ბიჭმა მწვევარი მოიპარა და მოკვარა, იმაში აძლევს.

კარაპეტა. ვა, ჩემი ფული ძალღში მისცეს? ვა, ნამუსი არ არის? ის ღვთისაგან გაჩენილი კეთილი, ჩვენი სოფლის ნუგბარი. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ღზაბი. ჩვენი სიცოცხლე, ფული ძალღში მისცეს? მართალია, ღმერთს ქართველისათვის ფულში წილი არ მიუცია, როგორც მივა, ისე გავა, ფული იშოვა ქართველმა, თითქო ეკალი შეერტო ფეხში, ამოიძროუს, გადააგდებს. მამა გიცხონდა, რამდენი ძალღი ჰყამს?

მსახური. ათი მწვევარი, ხუთი მეძებარი ქორისა, ათი კურდღლისა და ხუთითო ქოფაკი.

კარაპეტა. მაშ, მაგის ცხოვრება ძალღები უქამიათ. თქვენ რალა ემე დავარჩებათ?

მსახური, ჩვენ ჩვენი ულუფა გვაქს. მოიტა თუ მაძლევ, მიგვიანდება.

კარაპეტა. (ამოიღებს ჯიბიდან ფულებს, ხელის ჰერით სთვლის). ეს ერთი... ვაი, მშვილობით, საწყალო მანათი! რამდენი ჯიბეში გაივლი... თუ ქართველებში ჩავარდი. ნამწეწი არ დაგასვენებენ. ეს ორი... იცი, რატო არ უყვართ ფული ქართველი? მიტომ, რომ მუქათათ შოულობს და! აბა ერთი თითონ იმუშაოს, ერთი ხუთი დღე ცარიელი პური სჭამოს, ნახამ, როგორ გაუფრთხილდება. სამი... ნახამ თუ...

მსახური. კარგი, არა მცალიან, თუ მაძლევ, მამეც.

კარაპეტა. აჰა! (აძლევს ფულებს, მსახური გავა).

კარაპეტა. ხედამ ამ მუჭიკმა? ყაირათი არ იციან ფულისა. აგება ყალბი იყო, აგება მოვიპარე. ეს ერთი თუმნის სარგებელი არ დამეკარგოს: ყაირათი რამ უნდა ვქნა. სამზარეულოში სანთელი საჭირო არ არის... ივანიკას რათ უნდა სანთელი? წაივლე, გაუქრო, მერე ჩემ ოთახში დავიძინო, ვახშამი მოღნა აღარ არი (გავა).

## ბამოსვლა მისამდე

### ხამფერა და მონავარდისა

ხამფერა. (მივა ქურსთან, ითბობს ხელებს; შემოვა მონავარდისა). პატარა ნახშირ დააყრიდი.

მონავარდისა. დავადღეე, მაგრამ მამა თქვენმა გადმოყარა, წყალი დაასხა და ნახშირი ყუთში ჩაყარა, ყუთიც დაკეტა.

ხამფერა. მონავარდისაჯან, ხომ არავინ მოსულა სოფლიდან?

მონავარდისა. არ მოსულა მგონია, თორემ ან ბიჭს ვნახამდი ვისმე, ან თითონ გამოივლიდა. ღვთის ნება არის: თუ შენი ბედის წერა ის არის, ხომ ის იქნება.

ხამფერა. მამაჩემს ვინ დააჯერებს...

მონავარდისა. მზითევს ნუ სთხოვ და იქნება დაიჯეროს.

ხამფერა. ის მზითევს არა სთხოვს. დავრჩებით როგორმე, გავთბებით მაინცა.

მონავარდისა. (სიცილით) სიყვარულ გარდა ნებაც ბევრი გექნებათ, კიდევ დაგთბებათ.

## ბამოსვლა მამოთხე

### ივინივე და ივანიკა. ივანიკას მოაქვს ხელსახოცით ყურძენი

ხამფერა. რა არის, ივანიკო?

ივანიკა. არაფერი, ისღე ხილი მოგართვი.

ხამფერა. (მონავარდისას სიცილით) მონავარდისავე, მადლობა უთხარ, ხომ შენ მოგიტანა.

მონავარდისა. (ქოქოლას აყრის). აი!

ივანიკა. (ყელს უწევს და ღრეჭით) შენი ჭირიმე!

ხამფერა. (სიცილით) ივანიკო, სწორეთ მითხარ, ძალიან გიყვარს მონავარდისა?

ივანიკა. (ივრიხება და იცინის) ნუ მათქმევიხებ, შენი დიდების ჭირიმე.

ხამფერა. რა, სირცხვილია სიყვარული?

ივანიკა. აჰა მოგახსენებ: მიყვარს, მიყვარს... ისღე მიყვარს, ისღე, ისღე საშინლათ, ისღე, რავარც ცეცხლი ზამთარშიდ მამი შენი სახლშიდ. მაგრამ გამიწყრები (სიცილით) სწორეთ მოგახსენო: თუ ალამ ასღე გვიყო, შენი მტერი გეცივდეს, რავა ჩემი სიყვარული გეცივდეს. მთლად გევიყინე ჰე. არამც თუ ცეცხლი, სანთელიც გემიქრო.

ხამფერა. თითონ დაიძინა ეხლა?

ივანიკა. სძინამს მთქვა, მარამ მისთანა ძილი ნუ მოგცეს ღმერთმა!

ხამფერა. როგორ? რა შვრება?

ივანიკა. რას არ შვრება! რავარც კურდღელი ბუჩქში, ისღე დეუქყე-ტია თვალები. ქალბატონომ სთქვა, ნუ გემიწყრები, ფულზედ ლოცულობს აღა. შუალამისას ადგება, გაალებს ზანდუკსა და დეუნთებს პარკებს სანთელს. ლეპარაკობს ფულებთნ, ალერსიანობს, ნეტამც მისთანა ტკბილი ალერსობა მათქმევია ამ წყეულ მონავარდისასთან. მერე, ბატონო, ამოიღებს პარკს ფულით და რავა უხამსი თვალს, ისღე ათამაშებს ფულს.

ხამფერა. როგორ უხამსი?

ივანიკა. არ გვევიონიათ? აბა ვითხრობთ. გველი რომ არის (პირგვარს იწერს) ჯვარი აქაურობას. ოტყვიან, ცუდი ქამი არის უხამსზე ლაპარაკი, მარა ვითხრობ: დიდი უხამსი არის ერთი, საყურიათ. უნობენ, აბა იმას მუცელშიდ თვლი აქვს. ღამე ათამაშებს. თვით მე ვნახე. ისღე ნათელობს, რაეარც ცეცხლი. აბა, ვინც მას იშოვებს, რაც უნდა ის ეუხლებდა.

ხამფერა. შენ რომ გქონდეს, რას ინატრებდი?

ივანიკა. ჰე, მოგეცა ღვთის წყალობა, კარგებს ივანიკი ინატრიდა. ვინატრიდი ქუთის ღრუბერნატრის სახლს, მონავარდისას თავს. წვევიდოდი დილით სანადიროთ, წვეტიანი ყაზახებს, ამევილებდი თვალს და ვიტყოდი: ჰე, თვალო! მეიტანე სუფრა შემგობილი, კულა, ყანწი და ქური! მევიდეს ღომი, თებში, ხიზილალა და დოში! ვსვემდი ღვინოს ოჯერისას, კახურს, რუსულს და პარსულს. ისღე ლხინით ყოველ ღღე გავარონიებდი დროს.

ხამფერა. შენ ნადირობას მოუნდებოდი და მონავარდისა მარტოკა დარჩებოდა.

ივანიკა. მონავარდისას? მონავარდისას... მონავარდისას არ იცი რას უხევიდი? აბა ვითხრობთ: მონავარდისას ჩავცემევიდი ალმასის კაბას, იაგუნდის თავსაკრავს, ლალის კოპს, ლალის სარტყელს, მარგალიტის ხელსახოცს, ზურმუხტის ქოშებს, მარჯნის წულებსა. მონავარდისო, აბა მიჩვენე ფეხები, დიდი ქოშები მოგინდება?

მონავარდისა. გადი, სულელო, ხელს ნებას ნუ აძლევ!

ხამფერა. (იციინს) ეგ არის შენი ნატვრა, მაგითი დასრულდება?

ივანიკა. მეიცა, დამავიწყდა მე უბედურს! ვინატრიდი მონავარდისასთან სამ ოქროს ქოჩრიან ვაჟს და ერთს გიშრის თმიან ქალს.

### გამოსვლა მისწითი

ივანიკე და არჩილი

არჩილი. (გარეთ კარებიდან) ნებას მომცემთ, შემოვიდე?

ხამფერა. ნეარდო, ახ!

ივანიკა. (გაულებს კარს). მობძანდი, შენი ჭირიმი, ნეტამც შენთან მომკლა შენის ყურებით, სხვა რამ არის თავად!

მონავარდისა. (მივა და ჩუმათ ეუბნება) ახლა აქედან დაიკარგე.

ივანიკა. (ჩუმათ) შენი ჭირიმი, შენი ლამაზი ლოყების, შენთვის ამდენ შიმშილს, ამდენს წყურვილს ვითმენ, პეტარა ხანი გამოდო, ვილაპარაკოთ.

მონავარდისა. წადი ჩანაბას... ჰო, მოვალ.

ივანიკა. (დაედრიკება) შენი ჭირიმი (მონავარდისა და ივანიკა გავლენ).

ხამფერა. რა არის ამდენი ხანი სოფელში ყოფნა?

არჩილი. შენ არ იცი, საყვარელო ხამფერი, რა სიამოვნება არის სოფელში მუშაობა. განშორებული ამ ხმიანს ქვეყანას, მე ვარ ყოველისფრით ბედნიერი. მხოლოდ აკლია ჩემს გულს შენი სიყვარული. და თუ შენის სიყვარულით აღივსება ჩემი გული, მე ვიქნებოდი ერთი ბედნიერთაგანი ყმაწვილს კაცებში.

ხამფერა. (ჩამოართმევს ხელს არჩილს). კიდევ იქნეფულობ, არჩილი, ჩემს სიყვარულს? მოიგონე. რავდენი კეთილმოქმედება მახსოვს კურთხეუ-

ლის დედის თქვენისა. ჩვენ ერთად გავიზარდენით. რამდენი სასიამოვნო მოგონებით სავსეა ჩემი გული, რომელიმე, დიდი ხანია შენ ხარ მგლობელი.

ა რ ჩ ი ლ ი. შენ ახლა უფრო ექვში შემიყვანე. იქნება ჩემი შენთან სიყვარული მადლობიდან მომდინარეობს, ამისთვის, რომ დედაჩემმა გაგზარდა?!

ხ ა მ ფ ე რ ა. ოხ, არჩილ! ცოტად აფასებ შენის თავის ღირსებას, მაგრამ გითხრა სწორეთ ჩემი სამჭმუნეარო ფიქრები: მე უსასო ვარ ჩვენის ერთმანეთის შეერთებისა! პირველი, რომ მაშაჩემი ყურებში თათს იცობს ქართველის სახელზედ. ეს არაფერი, სხვა აშინებს ამ საბარლო გულს..

ა რ ჩ ი ლ ი. დაასრულე!

ხ ა მ ფ ე რ ა. მაშაჩემმაც რომ ნება მოგცეს, შენი ნათესავნი, შენი მახლობლნი არ მოსწამლენ შენს ბედნიერებას, იქნება შენგან ალყვანილი შენს ღირსებადმდე, შენს ტოლებთან. შენს ნათესავთან, რომელთაც უყვართ დაცინება, ნელ-ნელა ამიძულლო და შეიქმნე ცოვად. არჩილ, მცირედი შენი ცივისისხლიანობა მე დამმარხავს.

ა რ ჩ ი ლ ი. კმარა, თუ აგრე მიცნობ და თუ ჩემი სახელი აგრე მდაბლად დაეცა შენს გონებაში, დამიფიწყე... მშვიდობით!..

ხ ა მ ფ ე რ ა. მოიცა, მე გასაჯავრებლად არ მითქვამს, არჩილ! სიყვარული იქვიანია. შენ ჩემს გონებაში ხარ უმადლეს ყოვლის პატიოსნებისა, მაგრამ, არჩილ, შენ ხარ ოცდახუთის წლისა.

ა რ ჩ ი ლ ი. ოჰ, მაშ მე ბავშვით მრაცხავ!

#### გამოსვლა მუჟიკმა

იგინივე და მონაჟარდისა

მ ო ნ ა ვ ა რ დ ი ს ა. (შემოირბენს) ალა მოდის.

ა რ ჩ ი ლ ი. (გავა კარებიდგან) მშვიდობით, ხამფერი!

ხ ა მ ფ ე რ ა. თუ მცირედი სიყვარული გაქვს, ხვალ მოდი ამ დროს.

#### გამოსვლა მუჟიკმა

იგინივე და კარაქტა (დაკლუჯილი ხალათით)

კ ა რ ა პ ე ტ ა. ვა, ჩირაღდანია? ეს ორი სანთელი რა არის?

ხ ა მ ფ ე რ ა. რა ვქნა, მამავ, ბნელაში დაჩვეული არა ვარ.

კ ა რ ა პ ე ტ. კიდევ შვილო, არ იცი, რომ თავადის სახლში აღარა ხარ? იმათ დღეში ერთი ძროხა ჰკლამენ, ქონი ბევრი აქვთ, მე ვყიდულობ, ფული მიდის.

ხ ა მ ფ ე რ ა. თქვენ ხომ ფული გაქვთ?

კ ა რ ა პ ე ტ. ვინ მომცა, შვილო, ვინ გითხრა, რომ ფული აქვსო? ვინ მომცა ფული? აი, როგორ მაცვია! ფული რომ მქონდეს, ეკიპაჟი ვიქმოდი. მეც ტიატრი ავაშენებდი. აბა ჩემი ჩივილი ეგ არის... ფული უნდა მქონდეს, რომ მე ვიცი ფულის ყადრი. ფული! ფული მქონდეს, დაბაღოვის მაგიერათ კოყევენკოვი გავხდებოდი. (ბ)

ხ ა მ ფ ე რ ა. უფულოთაც შეგიძლიან კოყევენკოვი დაირქვათ, არაფერი ღირსება არის.

კ ა რ ა პ ე ტ ა. ვა, დიდი, ძალიან დიდი! ნემენცური ჩავიცვამდი.

ხაშფერა. ტანისამოსი კაცს არ გაადიდებს.

კარაპეტა. გებნები, ჩვენი ქალაქელებს თვალში აქვთ კჭუა. მაგრამ კარგი, შვილო, პირჯვარი დაიწერე, სანთელი გააქერ, შენს ოთახში დაწექ! (ორნივე გავლენ).

#### გამოსვლა მირვი

კარაპეტა მარტო, შევალმისას ბნელში შემოვა ახლუხა გაღვილილი, ხელში უპირავს წმინდა სანთელი, იქით-აქვთ იყურება, ნელ-ნელა მივა წალოსთან.

კარაპეტა. სძინავთ... ყოველთვის გული მიხტუნობს, როცა ამ წალოსთან მივალ:

როგორც უმაწვილი შეყვარებული,  
ელის საყვარელს გაგიყებულნი,  
ამათ ღამე აქვთ დრო დანიშნული,  
მეც მაგრე მელის ზანდუქში ფული.

(გასწევს ფარდას). შშვიდობა შენი, ჩემო ზანდუქო! მინდა შენ ფულმა გაჩუქო (კლიტეს მოავლებს ხელსა, უალერსებს). ბედნიერო კლიტე! ახ, ნეტამც მე ვიყო კლიტეთ, ეშმაკი ვერ გამალებდა, მაგრამ რისი შემინიან, ტამბაჩა შიგწევს. აბა ერთი ქურდი ხელი ახლოს: დინგ, გავარდა, ქურდი მოკვდა. დრო არის გავადო (გაიხსნის ახალუხის ღილებს, გასაღები ყელზედ ჰკიდია, ამოიღებს და უპირავს ხელში). ახ, ჩემო სამოთხის გასაღები! ნეტამც სამოთხეში რა იქნება? ვარა ფიქრი უნდა, ფულები, სხვა რა უნდა იყოს! ფული! ამაში სულ გათავდა, ფული ყოველი სიხარული, ფულმა შე(ა)ქციევს გულმა, ფული გიცხონებს სული. მაგრამ გავადო... მოიცა, ვნახო ხომ არავეინ არის (იყურება აქვთ-იქით). სული მიკანკალებს, გული ასე ძინგ, ძინგს იქს... ნუ გეშინიან, ალავ. ჩინკ... გაედო (სწევს ზანდუქის თავსა, ცალი ხელით აფარებს ხელსა). ერთბაშათ რომ დავინახამ, არ წამივიდეს გული (ახლის და დაიწყებს სიცილს როგორც გვიცი). ახლა თქვენა თქვით, თუ ცალი ვინმე მყავს. რა გინდათ, რომ ვქნა, როგორ გინდათ ვქნა: თუ ტიატრისათვის, რკინის ქანაპართე, (გ) ტო იესტ ელეზნუ დაროგუ, დენლი ვეე მოქენა. გინდა მე ხვალვე გავხდე გინდა პუჩოტნი გრაედანინ, ბლულოროდნიც(დ) გავხდები, დვა რაზა ბლულოროდნიცა (ამოიღებს ერთს პარკს, უალერსებს, იცინის, დაიწყებს მალლა სროლას ბზინკ! (შეაგდებს), ბზინკ! (იცინის). ჩემი მუზიკა ეს არის. დე, ვინც უნდა იცინოს (შეაგდებს). ჩემი ცოლი შენა ხარ! ჩემი შვილი შენა ხარ! ასე გაგიფრთილდე. თუ თქვენ ერთი ერთმანეთს მოგაკლოთ, ღორი გავხდე. ასე შევიინახავთ, როგორც ჩემი ორი თვალე (დაპკეტავს და დაჭდება, მოიკეცს). როგორ მოტყუილდება კაცი! ბაზარში თავი არ მიკვრენ, ასე მიყურებენ, ანბობენ, თუ საწყალი კარაპეტ, ის კი არა, თუ კარაპეტა მეფეა. მეფე არა ვარ? აბა ვის უდგას ამისთანა ოქროს ტახტი. მეფე ვარ რაღა! გაგიგონიათ, ოწყალი ჭადო რომ იყო, ისე ვიქ: სოფელი თავდაყირა უზამ. რამდენი კეთილი საქმე ვიქ. პირველი, ვინც ბედოვლათია, ჭალათი უთხარამდი: თავი კტრე!(ე) რამდენი ქართველის თავი გაგორდებოდა!.. ბედოვლათი სომხები, პალტოებით რომ დაიარებთან: ბუღდან ბუღდანინ, ისაკ არაქელიჩ, მიკირტ მინაიჩ, ამათ რას უზამ იცი? მივაკრავ თავიანთ დროშეას ლეჟაჩი ლესოჩი,(ვ) ისე ვათრევე. ვა, იტყვი თუ ჰესაბი არ არის! ერთის მამა ტყავი ფხეკდა, მეორე სანთელი ასხამდა, მესამე მწითლავია, რა ანბებით ფული მოუგიათ და იმათ ისე ჰყრიან. მამაჩემის

ცხონებამ, სულ გაყვლეთ. უფულო კაცისათვის არ არის ქვეყანა განილი. თუ ვიცოცხლე... ვა, განა უნდა მოვკვდე? აფსუსი არ არის, ფულიანი კაცი მოკვდეს! მახლას, ხომ მოკვდები, ვის უნდა დარჩეს?.. ჩემ ქალს უნდა გათხოვდეს, მერე ქართველი უნდა! (ტირილით). ქართველი ჩემი პარკები დასწანას... ხომ წავიდა ჩემი ფულები ატლასის დახეულ ჯიბეში, ხო წავიდა ჩემი ოფლი!... რისათვის? ღმერთი არ არის? ამდენი შიმშილი, ამდენი წყურვილი, ამდენი უძილობა, ამდენი ყაირათი სულ ფუქ! არა, მოკვდები, ზანდუქსი ჩაეწვები, ანდერძი ვიქ, ისე დამმარხონ. ხომ არავინ იცის, რომ ამაში ფულია... არა, ესეც თავს არ დაიქერს. იცი? ჰო... კარგი მომაგონდა: ექიმი მოვიყვან, რომ მეტყვის, თუ ვკვდები, დავადნობ ჩემს ფულს, წამლათ დავლევ, აქ ჩავასხმ. ჰე. კარგი მაგიგონია, ჰე, აბა ახლა წაიღონ! ვერავინ წაიღებს! ეს არის სწორეთ. ეს არის ამისთანა დიდი ჰაზრი!

(გავა).

### გამოსვლა მძვინვარე

სამფერა, არჩილი, მონაგარდისა და ივანიკა

არჩილი. (იციანის) ნახეთ, მამაშენს მართლა ფულები ჰყვარებია.

ივანიკა. იმე, რავე სიყვარული? ლოცულობს, შენი თავი არ მომიკვდეს. ნუ გემიწყრებით ამ კითხვაზედ, გინდათ ერთმანეთი შეიროთ?

არჩილი. ძალიან.

ივანიკა. აბა, მამ შე მოგიხერხებთ.

არჩილი. აბა როგორა?

ივანიკა. (დაეღრიჭება ხამფერას). მომცემ ამის თავს? (აჩვენებს მონაგარდისაზედ).

ხამფერა. თუ მონაგარდისას უნდა...

ივანიკა. იმე, რავე დემიწუნებს მონაგარდისა? შე ნუ მომიკვდე, თვალათ არა მიპირს რა და ტანათ. კი, მონაგარდისას დავაჭერებნივ, მარა ჯერ მინდა შე შეგყარო თქვენ ერთმანეთს, მერე (სიცილით) შევიერთავ მონაგარდისას და შენი ყმა გავხდები.

არჩილი. აბა როგორ მოგიხერხებ?

ივანიკა. აბა ნახეთ ის ფულები ზანდუქსიდ? იმ ზანდუქს ქვე მევიპარავ... (არჩილი და ხამფერა შეიხრებენ). იმე, რას ჯავრობთ, განა მართლა მოვპარავ? გამოვცელი ზანდუქს და კენჭებს ჩოუყრი (დაჰკრავს ხელსა) და გათავდა... იფსკენით გვირგვინს.

არჩილი (და) ხამფერა. ჩვენ არ გვესმის.

ივანიკა. იმე, არ მაცლით, აბა ვითხრობთ (ხამფერვანას) აბა, ნუ შეგეშინდება. კენჭებს რომ ნახავს მამაშენი, გერდირევა, ისღე საშინლად გე(რ)დირევა, მარა ნუ შეგეშინდებათ, გუბუნები, მერე ქვე ვეტყვი შე. რომ აბა თანთარი ვიცი მთქვა და შეულოცს კენჭებს და ოქროდ გარდააქტევს მთქვა.

არჩილი. ნუ მასხარაობ, ჩემო სვანიკო!

ივანიკა. იმე, შენი თავი არ მომიკვდეს, რომ მე არ ვლალობდე. ისღე მართალს მთქვა ვითხრობთ. მერე თანთრათ შენ ქვე მთქვა გაგაკეთებთ და ისღე უთხარ რომ მიე მთქვა, შენს ქალს ვინცალა ქართველი ევლტვის მთქვა.

ლორეკ მთქვა ოქროთ არ გარდაგიქცევ მთქვა.

ხ ა მ ფ ე რ ა. რა ხუმრობა არის! კიდეც მოკვდება მამაჩემი!

ი ვ ა ნ ი კ ა. (იქით) აბა რა მგამა. (მალა) არ მოკვდება. მე მომაჩემთ ვგ საქმე.

ა რ ჩ ი ლ ი. მერე?

ი ვ ა ნ ი კ ა. მერე, იი, მერე და მერე. ისკენით გვირგვინს.

ა რ ჩ ი ლ ი. ხამფერვან, რას იტყვი? სასაცილო კი იქნება მამაშენი ფულუ-ბის დაკარგვაზედ.

ხ ა მ ფ ე რ ა. არჩილ, რაც უნდა იყოს, მამა არის.

ი ვ ა ნ ი კ ა. შე ნუ მომიკვდე, სხვა ღონე მის მეტი მთქვა არ არის.

ხ ა მ ფ ე რ ა. ეგ არ შეიძლება ამისთვის, რომ მამაჩემს ვერ მოჰპარავ ზან-დუქს. ივანიკა, თითონ შენ არა თქვი, რომ მისს არ სძინავს სულაო!

ი ვ ა ნ ი კ ა. იიმე, მისთანა ზანდუქს ვერ იშოვნის არჩილ ბაზარშიდ? დღე შევიტან და გამოუცვლი, პარკებს დოუცლი და ჩოუყრი კენჭებს. მარა გითხ-რობთ, არ შეშინდეთ (იციინს) იი, საშინლათ გერდირევა.

ხ ა მ ფ ე რ ა. ერთი გამოსცადეთ, სთხოვეთ ჩემი თავი, იქნება დასტური მოგცეს.

ა რ ჩ ი ლ ი. აგრე სჯობიან, ხვალ მოვალ დილაზე, ადრე.

#### მოკვდივბა მორა

დილა. ოთახი კარაპეტასი. კარაპეტა ზის დაგლეჯილის ახალუხით და ხალათით.

#### ბამოსვლა პირველი

#### კარაპეტა და ივანიკა

კარაპეტა ზის ქურსთან და ჩოტკით ანგარიშობს. შემოვა ივანიკა

ი ვ ა ნ ი კ ა. ალა, აგერ კნიაზ არჩილს ორი ურემი შეშა გამოუგზავნია.

კ ა რ ა პ ე ტ ა. ათასი მადლობა! დააცლევინე, შეილო, ცული მანდ არის, კიდეც დააქრევიანე, უთხარ, ბატონმა გიბძანა თქო.

ი ვ ა ნ ი კ ა. იიმე, რას უნობ? მუქათათ შეშა იშოვნე და კიდეც დეგიპორან? პური მაინც აჭამე და ღვინო დააღევიე!

კ ა რ ა პ ე ტ ა. (ანგარიშობს), ორი კაცი—ერთი თუნგი ღვინო, ორი აბაზი; ორი პური—ერთი შაური; ერთი შაურის ყველი, ორი აბაზი და უზალთუნი. ორი აბაზი დაქრა, ეს იქს ექვსი და უზალთუნი... იაფობაა ეხლა. ვირის საპალ-ნე ნახშირი მოვა, უფრო ყაირათი არის... ბუხარი არა მაქვს, ხელს არ მომცემს, წავიდენი!

ი ვ ა ნ ი კ ა. რავა, კაკალ მანეთათა ღირს ორი დიდი ურემი შეშა!

კ ა რ ა პ ე ტ ა. პური არ ვაჭამე.

ი ვ ა ნ ი კ ა. (იქით) ვაი შენს გუნებას, თუ არ აჭმევ (მალა) მაშ დავა-ღევიებ (გავა).

კ ა რ ა პ ე ტ ა. კარგი.

ი ვ ა ნ ი კ ა. (შემობრუნდება) კნიაზ არჩილ მობძანდება შენთანა.

კ ა რ ა პ ე ტ ა. (წამოხტება) გითხარი, თუ ხელს არ მომცემს, შეშა უკან წაიღონ!

ი ვ ა ნ ი კ ა. რას უნობ? რა დროს შეშა? კნიაზ არჩილ არის მთქვა!



კარაპეტა. რომ მე გეზნები, არ ვყიდულობ შეშას მეთქი!  
ივანიკა. იმე, მუქათა გაძლევს, ვერ შეიტყე?  
კარაპეტა. ორი შეშით უნდა დამატყუილოს, ქალი უნდა, რა კაცია...  
ფუქი გოგრა! მოვიდეს, ვნახო, რა სიფთა ფულები მოიტანს (ივანიკა გავა).

## ჯამოსვლა მეორე

ივანიკა და არჩილი

არჩილი. კარაპეტას გაუმარჯოს! მშვიდობით ბრძანდებით? დიდი ხანია მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ თუ ასე დილით არა, თქვენ ვერავინ მოგასწროფთ.

კარაპეტა. (ღრეჩით თავს უკრავს). დიახ, კნიაზო, რა ვქნა? ლარიბი კაცი ვარ, არა ვქნა ყაირათი? ვინ რა მამცა? სუყველა საყიდელი მაქვს: პური, შეშა, წყალი... სულ გამდის და გამდის ფულები.

არჩილი. კარაპეტ, მამაჩემთან მეგობრობა გქონდათ და შევითან კი არა გაქვსთ. როდი უნდა დაივიწყოთ მეგობრები! პურს რათ ყიდულობ?

კარაპეტა. ვა, მაშ გინდა გუთანით ხენა ექნა?

არჩილი. ვინ მოგახსენებს. პურს რათ ყიდულობ, მე მოგართმევ.

კარაპეტა. კარგია, კნიაზ, მაგრამ ხელს არ მამცემს.

არჩილი. რატომ? ხომ არ მოგყიდო, ისე მოგართმევ.

კარაპეტა. არა, კნიაზ, ყველამ თავის ჩოტკი აქვს, ესე იგი, ანგარიში. პურს დაფქვა უნდა, მერე გაცრა, მერე წყალი თბილი, მერე მოხელა, მერე გუნდა, მერე თხელება, თორნე. თორნეში ფიჩხი, მერე ჩაკვრა, მერე ამოკვრა, მერე მარანში ჩაშვება, მერე...

არჩილი. (იციის) მერე შექმა.

კარაპეტა. მაშ! ყველა ფულია. რამდენიც ბევრი პური იქნება ნამცხვარი, იმდენი მჭამელები გამოჩნდებიან, მე კლექი მამივა. ჩოტკი, ესე იგი ანგარიშის კაცის საქმე არ არის.

არჩილი. (დაფიქრებული) ხამფერვან რასა იქს?

კარაპეტა. (ვითომ ვერ გაიგონა) ისე ნამცხვარს ვყიდულობ, ყაირათი უნდა ჰქონდეს ვაჭარი კაცი.

არჩილი. მე გკითხავთ, ხამფერვან როგორ არის?

კარაპეტა. ხამფერა? ხამფერა? თავი სტკივა.

არჩილი. რატომ ექიმს არ მოჰვერით?

კარაპეტა. ექიმი არ უნდა, გაივლის. მე აგერ სამოცი წლის კაცი ვარ, წამალი არ ვიცი.

არჩილი. რატომ არ გაათხოვებ?

კარაპეტა. რა ვქნა კნიაზჯან, ფული არა მაქვს, უფულოთ არ თხოულობენ.

არჩილი. რომ იყოს ისეთი კაცი, მზითევი არა გთხოვთ?

კარაპეტა. რატომ, ბლქამ, კაცი და კაცი დიდი რამეა.

არჩილი. ეჰ, რალა თავი უნდა შეგაწყინო, სწორეთ გეტყვით: თქვენი ქალი ჩვენს სახლში გაიზარდა, ჩვენ ერთად ვიზღებოდით. ჩვენ წლოვანებასთან შეიზარდა ჩვენი ერთმანეთის სიყვარული. დრო არის დაინახოთ, რომ ჩვენ ვართ ერთი ხალხი, არ უნდა იყოს ჩვენში ერთმანეთში სიძულვილი: ჩვენი და თქვენი სარწმუნოება არ არის დამაბრკოლებელი, აქვს ერთი საფუძველი —

კეთილსაინოება. მაშასადამე, კარაპეტ. გადაადგდეთ ყოველი თქვენი რაღაც და-  
ქინება, მომეცით მე თქვენი ქალი. ის იქნება ბედნიერი.

კარაპეტა. (აქამდინ თვალზე დაჰყვებილი უყურებს, მაგრამ სხვას კი  
ფიქრობს და ანგარიშობს თიობით, მერე იტყვის იქით). კარგათ უნდა ლაპარა-  
კობდეს, მაგრამ მე არ მესმის.

არჩილი. ჰეშმარიტებას. პატიოსნებას გეფიცებით, რომ ყოველი ჩემი  
სიცოცხლის საათი იქნება შეწირული ბედნიერებისათვის შენის ქალისა.

კარაპეტა. კნიაზჯან, შენ ღრამატიკულათ ლაპარაკობ. მე არც კატა,  
არც ღორის მისწავლია. ჩემი სწავლა ეს არის: ან, ერთი ფული, ბან, ორი  
ფული ბისტი.

არჩილი. მართლა, ამას სხვა რიგათ უნდა ველაპარაკო. მე გთხოვთ, რომ  
თქვენი ქალი მომცეთ.

კარაპეტა. რათ გინდა?

არჩილი. (ღიმილით) შევირთავ.

კარაპეტა. (ფიქრში) მერე?

არჩილი. მერე შვილები გვეყოლება.

კარაპეტა. მერე?

არჩილი. მერე ვიცხოვრებთ.

კარაპეტა. მერე?

არჩილი. მერე დავიხოცებით.

კარაპეტა. მერე?

არჩილი. მერე და მერე. მერე არ ვიცი, იქ რა იქნება.

კარაპეტა. ჰო, მაშ წადი, ჯერ შეიტყე.

არჩილი. ჯერ ყმაწვილი გახლავარ და თქვენ უფრო შეგფერობთ იქ  
წასვლა. თუ ხუმრობთ, მე სულ არ მესხუმრება, თუ არა, გადაწყვეტილი მი-  
ხარით, მაძლევთ ქალსა თუ არა?

კარაპეტა. ჰო, ქალი თხოულობ? ეგრე მითხარ და, მე მეგონა, თუ ფუ-  
ლი თხოულობ. რატომ, რატომ, მაგრამ ქართველი არ მივცემ.

არჩილი. რატომ?

კარაპეტა. მიტომ, რომ ქართველია.

არჩილი. მიზეზი?

კარაპეტა. ათი ათასი.

არჩილი. პირველი?

კარაპეტა. პირველი, რომ ქართველია.

არჩილი. მეორე?

კარაპეტა. მერე, რომ (ჯიბეზედ დაიკრავს ხელსა) ფხინკ...

არჩილი. მესამე?

კარაპეტა. ბედოვლათია.

არჩილი. მეოთხე?

კარაპეტა. მეოთხე, ფული არ უყვარს.

არჩილი. მეხუთე?

კარაპეტა. მეხუთე, ფული ჰსძულს.

არჩილი. მეექვსე?

კარაპეტა. ფული ეჯავრება.

არჩილი. მეშვიდე?

კარაპეტა. (გაჯავრებული) გეუბნები, თუ ქართველი ფულის მტერია.  
აბა ერთი ქართველი მიჩვენე, რომ ნაფულარი იყოს.

ა რ ჩ ი ლ ი. რა არის ფული? ფული ღმერთი ხომ არ არის? ჩვენ უმჯობესი გვაქვს ფულზედა: პური, ღვინო, ძროხა, ცხვარი, ქათამი.

ქ ა რ ა პ ე ტ ა. ბარემ მერცხლის კვერცხებოც დათვალე! კნიაზჯან, ერთი სიტყვით, მე იმას ქალს არ მივსცემ, ვინც ფულის შნო არა აქვს... გაიგონე, ნუ გეწყინება: მეგობრობა გინდა ჩემთან, დიახ კარგია, მაგრამ ქალი მეპურეს არ მივცემ.

ა რ ჩ ი ლ ი. მშვიდობით, მაგრამ ეს იცოდე, შენს ქალს ვერავინ წამართმევს (გავა).

ბამონსვლა მესააი

ალა მარტო

ქ ა რ ა პ ე ტ ა. ვა, გესმის? ვა, ალა! განა ალა-მამადხანობა არის?! ქალს ძალათ მართმევს... ვა, ჰალვა ხომ არ არის, პატარა ბიჭებივით მამტაცონ. მაშ, პოლიცია რა ჰქვია? რა კაცია, ტუტუც ვრაცუა!(ხ) წაეიდე, ბაზარში დამიგვიანდა.

ბამონსვლა მიოთხი

ხამფერვან, მონავარდისა და ივანიკა

ხ ა მ ფ ე რ ა. ნეტა რა უთხრა მამაჩემმა?

მ ო ნ ა ვ ა რ დ ის ა. ძალიან გაჭავრებული წავიდა არჩილი.

ი ვ ა ნ ი კ ა. ევეო, არ დამიჯერეთ, მინამ მაგ ზანდუქშიდ კენჭებს არ ჩაუყრით, მინამ, შენ ნუ მამიკვტე, არ იქს, გულებები, რომ არა!... ეე, არჩილიც მობძანდება (შემოვა არჩილ).

ბამონსვლა მახუთა

ივინიე და არჩილ

არჩილი დაქდება მოწყენილი

ხ ა მ ფ ე რ ა. რა პასუხი მოგცა?

ა რ ჩ ი ლ ი. ხამფერვან, მამაშენი რო არ იყოს, მოვკლავდი კეშმარიტად.

ხ ა მ ფ ე რ ა. არჩილ, არჩილ. რას მეუბნები?

ა რ ჩ ი ლ ი. რამტენი დაცილება ავითანე იმისაგან.

ხ ა მ ფ ე რ ა. (გამოართმევს ხელსა). არჩილ, ჩემთვის, ჩემის სიყვარულისთვის გმადლობ, არჩილ!

ა რ ჩ ი ლ ი. ხამფერვან, ერთი კიდევ უნდა გითხრა და გკითხო: შენ უნდა გადასწყვიტო: ან მე შემიყვარო, ან მამაშენი.

ხ ა მ ფ ე რ ა. არ იქნება, ორივე მიყვარდეთ? შენ, როგორც საყვარელი და ჩემი საქმრო, მამაჩემი, როგორც მამა.

ა რ ჩ ი ლ ი. არა, ან მე უნდა დამივიწყო, ან ისა!

ხ ა მ ფ ე რ ა. სტქევი, რა არის მიზეზი?

ა რ ჩ ი ლ ი. შენ თუ მე გიყვარვარ, მოგიტაცებ, დავიწერ ჟვარსა.

ხ ა მ ფ ე რ ა . კარგი, საყვარელო არჩილ, მაგრამ მამის წყევლა მე მამკლავს (ლიმილით) შე ივანიკას ხუმრობა უფრო მომწონს, უეპველად დასტურს დავეცემს.

ა რ ჩ ი ლ ი . ჯერ აგრე იყოს, ეგ ვცალოთ და მერე, თუ არა ქნა, ხომ თანახმა გახდები მოგიტაცო?

ხ ა მ ფ ე რ ა . დიანს!

ა რ ჩ ი ლ ი . (უძახის) ივანიკა, ივანიკა!

ბამოსვლა მთავრდება

ივანიკე და ივანიკა

ა რ ჩ ი ლ ი . შენი რჩევა დამიჯდა.

ი ვ ა ნ ი კ ა . რომ გეუბნებით, კი, შე ნუ მომიკვდები, რავა, ფული აღარ ექნება, შეინახამს ამდენს პურის მჭამლებს? (იციინის).

ა რ ჩ ი ლ ი . (აძლევს ფულსა). აბა, მაშ წადი და იმისთანა ზანდუკი იყიდე, მაგრამ არ იქნება, გასაღები ყელზე ჰკიდია, ვერ მოჰპარავ.

ი ვ ა ნ ი კ ა . ვაი, ვაი ჩემს თავს! აჰა მაშ დევილუპენით.

მ ო ნ ა ვ ა რ დ ი ს ა . გენაცვა, ქალო, შენი ზანდუკი და მამიშენისა სწორეთ ერთია, ერთი გასაღებით გაიღება. ბატონს ფული რომ უწყევია, დედიტქვენისა არ იყო?

ხ ა მ ფ ე რ ა . მართლა, ერთგვარი ზანდუკები არიან!

ი ვ ა ნ ი კ ა . აჰა, მონავარდისა, მაშ მიშველე, ეხლავე გამოვცვალოთ. (გამოიტანენ ზანდუკს, მიიტანენ წალოსთან, გააღებენ, ყველანი უყურებენ; რომ გააღებს მონავარდისა ფულის ზანდუკს, ყველანი ჰყვირიან: ოჰ, სულ ოქროა).

ი ვ ა ნ ი კ ა . დედა, დედა! ქვეყნის ფულები აქანა აგროვია. მაგრამ ერთი ჰკითხეო, რათ უნდა? რათ ითმენს ამდენს სიცივეს? ერთხელ ხიზილადაც არ უქამია.

ბამოსვლა მუშვიდი

შუღამეა. შემოვა კარაქეტა ისევე ხალათით, მხიარულათ მივა წმინდა სანთლით წალოსთან, ახლს ზანდუკსა.

კ ა რ ა ბ ე ტ . ჩემი პარკები იზღებთან, იზღებიან როგორ მეღქუას მუცელი (ამოიღებს ერთ პარკსა). ვა, რა რიგათ გაბერილა! ჩემო აღდგომის ბატკანო, ჩემო ახალწლის ჰალვაე! გიიზარდე, ჩემო შეილო!.. (შეაგდებს და გაჰკვირდება. პირი ღია და თვალები დაჭყეტილი დარჩება დიდხანსა. ტირილით) ვა! ბზინკ არა ქნა... ჰა? ჩხინკ იყო (შიშით) აბა, ერთი კიდეე... (შეაგდებს). ბზინკ არა, ჩხინკ... (გავარდება პარკი, ამოიღებს თითო თითოს, პოლზედ აჩხაკუნებს). ვა, ეს რა ანბავია?.. (დაიყვირებს ძალიან) ვაი, მიშველეთ!.. ყარაულ! ქურდები!.. პოლიცემისტარ, ჩასტის აფიცარ! სად არის ჩემი ქურდი... ვინ მამპარეთ?! გეთაყვა, მითხარით... თავს დავირჩობ, წყალში გადავვარდები! არა... ჰო... მოვკლებს) ბინგ... გავარდი და! არ ვარდება!.. მაშ, მე მოვიკლამ თავს (ჩაიდებს ლულას პირში) ვკვდები... (დაეცემა, პირზედ ხელს ისევამს). არ მოვკვდი... თითქო გავარდა! არა, სიზმარში ვნახე, უთუოდ ეს სიზმარია. მე საწყალმა აყალმა-

ყალი გავხადე, თუკმე მეძინა (სულელურათ იცინის, დაწვება და ხერინავს) მძინავს, დიახ... ვა, რამდენჯერ მიხსნავს, რომ შპარამენ... თვალები ქუჩტ, ტყუილი... ისე ესეც ტყუილია... (ისმის ხმა და ბრაზიანი ივანიკასი. ივანიკა გალობს ვასილირა, სპეტურა, დანანი ხანა ნანასა). ჰო, ახლა დათენებო... აბა გავალო თვალები. არა, აგება შემოვიდეს ვინმე, სწორეთ გამაღვიძონ.

### ბამოსვლა მირვე

კარაპეტა და ხამფერა

ხამფერა. მონავარდისავ, მონავარდისავ, პატარა ნახშირი დააღვიე!

კარაპეტა. (ნელა უძახის). ხამფერავან, ხამფერავან!

ხამფერა. აქ რას შერებით, მამავ?

კარაპეტა. აქ მო, ნუ გეშინიან, შვილო! ჩემო გელო! ჩემო სულო! სწორეთ მითხარ: მძინავს, თუ მღვიძამს?

ხამფერა. რას ამბობ, მამავ, აქი ლაპარაკობ... მაიცა, აბა თვალები გაახილოთ.

კარაპეტა. გებნები რომ მძინავს. ხედამ, თვალები არა მაქვს ღია! აბა სწორეთ გამაღვიძე!

ხამფერა. გაგაღვიძებ (აღვიძებს) მამავ! მამავ!

კარაპეტა. (არ იღვიძებს. ბოლოს გაიღვიძებს, იფშენიტამს თვალებსა) ვინ არის? რა გინდათ? გირაო მოგიტანია, თუ ნასესხი?

ხამფერა. მე ვარ მამავ! მამავ, გაიღვიძე!

კარაპეტა. (წამოჯდება, იზმორება, თვალებს იფშენიტამს). იშ, მეძინება.

ხამფერა. კარგი, თვალები გაახილოთ!

კარაპეტა. (გააქყეტს თვალებსა). აი, გავაღვიძე თვალები. გამეღვიძა... ხამფერავან! ხამფერავან! შენა ხარ, შვილო? მოდი, მაკოცე (ხამფერა ჰკოცნის შუბლზედ). ჰო, ახლა გამეღვიძა. განა მეძინა, შვილო?

ხამფერა. საშინლათ.

კარაპეტა. ოჰ, რა ცუდი სიზმარი ვნახე, სიზმარი ტყუილია განა? მე შემიტყვია, თუ ტყუილია, მაძლარი კუჭი იცისო. ბევრი ბაკლა ვქამე ხახვიანი, სისხლი ემე უყო, ააღულა. იმისგან არის.

ხამფერა. ხანდიხან სიზმარი გამართლდება ხოლმე.

კარაპეტა. არა, სულელო, ტყუილია... გეთაყვა, ტყუილია!

ხამფერა. თქვენი ნება არის.

კარაპეტა. ახლა ხომ არა მძინავს! გათენებულა. აბა ამაყენე! (ააყენებს ხამფერა) მიმიტანე ზანდუკთან (მიიყვანს). აბა თავი გაუღე (ხდის ხამფერა).

ხამფერა. ახ!

კარაპეტა. რა არის?

ხამფერა. ამდენი ფულები, მამავ!

კარაპეტა. ფულები!.. გითხარ, თუ მეძინა! გენაცვალე, ხამფერი! სულ ჩემია, მერე სულ ყვითელი მპერიალია. (თ) დღეს ამდენი ნახშირი გიყიდით. მონავარდისავ! (გოგო შემოვა, გადაუგდებს გასაღებს). აბა, გააღე ყუთი, ნახშირი ემე ქენ, დააღვიე. დღეს კვირის მარხვია. გწყალობდეს მარხვია, კარგი რამ არის მარხვია. კირკაჟი იყიდე, ბაკლა არ იყიდო, ცუდი სიზმარი იცის... ჰო, ჯონჯოლიც იყიდე (გოგო გავა, ხამფერას ეუბნება) გოგო არ ნახოს ჩემი ფულები. აბა, შვილო, შენ მყევხარ ჩემი თვალის კაკლებმა. აბა ნელა ერთი პარ-

კი დახსენ, ნახე. თუ როგორი ოქროებია, მე თვალეში მაწყენს ყვითლის, ცქერა, ხმაც არ მიყვარს. მოიცა... ნელა... არ დააბნო... (გახსნის პარკსა ხამ-ფერა, კარაპეტა იცინის სულელურათ). როგორი ოქროებია?

ხამფერა. (სიბრაღულით) ახ, მამავ, რათ იცი ასეთი ხუმრობა? რათ გინდა ეს კენჭები?..

კარაპეტა. როგორ თუ კენჭები! ხელამთ. ქართულად დაჩვეული აქვს თვალეში. ოქროები კენჭებთ ხელამს. ვა, გააღე თვალეში, ნახე... სულ მრგვალ-მრგვალი მპერიალია...

ხამფერა. (წამოჰყარს). აი. თუ კენჭები არ არის!

კარაპეტა. ვაი, ახლა კი მოვეკედი, დამმარხეთ... (გასწირავს სულსა).

ხამფერა. (აბრუნებს. რომ ვერ მოაბრუნებს, დაიცივლებს) მიშველეთ, ნიშველეთ! (გამოცივიან ივანიკა და მონავარდისა; წაიყვანენ ხამფერას).

### გამოსვლა ივანიკა

#### ივანიკა, მონავარდისა და შერე მეკუბოე

ივანიკა. (დაიხოქებს და ტირის) ალავ, ბატონო! უი, ჩემს თავს. რათ მომიკვდი... შენს სახლს ცეცხლი რათ მოუკიდე?... (იქით) ისემც ცხონდება მის სული, რავაც ცეცხლი აქ ენლოს.

(ივანიკა და მონავარდისა)

მონავარდისა. მეკუბოე მოვიდა, მოურიგდი. ხამფერა გულშემოყრილია, ვერ გაუშვებ.

ივანიკა. უთხარ შემოვიდეს! (გოგო გავა).

(ივანიკა და მეკუბოე)

ივანიკა. აბა კუბოში რა მოგცე?

მეკუბოე. ხუთი მანეთი (კარაპეტა შეიზმორება).

მეკუბოე. (ნელა) ოთხს მანეთ ნაკლებ არ იქნება (კარაპეტა ხელს გაიქნევს).

ივანიკა. სამი და ათი შაური.

მეკუბოე. ყაბული ვარ, შზათ არის, მოვიტან (გავა).

კარაპეტა. (წამოჯდება და ივანიკას) არ მინდა... ზანდუკში ჩაეწეები. ისე დამმარხეთ, გაიგონე? (ჩაწეება). ივანიკო, ეხლა კი მოვეკედი, დამმარხე!..

ივანიკა. (გამოუტანს სანთლებს, დაუნთებს იმრგვლივ და წაეა). წვერიდე, მღვდლები მევიყვანო და ხალხი.

კარაპეტა. (იდგება, დააქრობს სანთლებსა, სხვანი ფანჯრიდგან უყურებენ). ვნახო, ჩემი, ჩემი ხამფერვანა როგორ შეწუხებულე იქნება. (უყურებს) საწყალი, გული წასვლია... ვა, ხელამთ, არჩილიც აქ არის! ყური დაუგლო. (ისმის ლაპარაკი ივანიკასი).

ივანიკა. აბა, რასლა უშველით. მაგრამ, ბატონო არჩილ, ის თანთარი რომ არის, ახუნდი, ვითხრაით, რომ ისდე კენჭებს ოქროებად გადავაქცევო, მევიყვან, რომ დავმარხოთ კარაპეტა, პარკებს ნუ ჩევატანთ და ოქროებათ გადაგვიქცევს.

კარაპეტა. (ნელის ხმით) შეილო ხამფერვან, მოვცოცხლდი, გამოდი! მოზრანდი, კნიაზ არჩილ, მიშველე, ივანიკო შენცა!

## ბამოსვლა მათში

კარაპეტა, ხაფერა, არჩილ. ივანიკა და მონაევარდისა.

კარაპეტა. (დაუქერს ქამარს არჩილს და დაინახებს). კნიაზ, შენი ჭირიმე, შენი დიდუცობის ჭირიმე, შენი კუჭების ჭირიმე, შენი ჭკვის ჭირიმე, ჩემი ოქროები... მიშველე!

არჩილი. როგორ გიშველო?

კარაპეტა. ახუნდი ვინ არის? მოიყვანე... (ივანიკა) შენ მაინცა, ჩემო ივანიკო, შენი ჭირიმე, შენი რაჰის ჭირიმე, ორი შაური მოგცე ფუნის ჭირა, მოიტანე ის ახუნდმა!

არჩილი და ივანიკა. ვინ ახუნდი?

კარაპეტა. შენ შეეხვეწე, შვილო ხამფერვანჯან, შენი კნიაზია!

არჩილი. კარგი, შენს ოქროებს ისევ ოქროებათ გიქცევ, შენი ქალი მე მამეცი.

კარაპეტა. ფული ხომ არა მთხოვ?

არჩილი. არა.

კარაპეტა. მამ ვინ ღორი არ მოგცემს... ძალღი ვიყო, თუ მზითვათ არ გამოგყვე.

არჩილი. მამ კარგი, ეხლავ გამოგზავნი (გავა).

კარაპეტა. ივანიკო, შენ ნახე მართლა ის ახუნდი?

ივანიკა. ბეჯითად, აწი მოვა. აბა, ამათი ცოდვით მეგვივიდა და ჩემი ცოდვით. აბა, მონაევარდისას აქ დეიქერ, თუ ქალს მისცემ?

კარაპეტა. მონაევარდისას ვერავის მივცემ.

ივანიკა. სამ თუშმანს მოგცემ, მე შემრთე.

კარაპეტა. მოიტა, ეხლავ მოიტა (ივანიკა იღებს ფულებსა, აძლევს. კარაპეტა სთვლის). ერთი.. რა ძველი მანათია, ორი... აი, ამისთანა უნდა! საში... ეს ყალბია.

ივანიკა. იმე, მე მოვქერ თუ? (ამ დროს შემოვა გოგო).

გოგო. ახუნდი მოვიდა.

კარაპეტა. (სინხარულით) მოვიდეს.

## ბამოსვლა მეთერთმეტე

ივანიკა და არჩილ (ჩაემული თათრულად, წერით)

კარაპეტა. (შეშინებული პირველს იწერს) ასტეაწ!(ი)

არჩილი. (თათრულ კილოზედ) სად არის ზანდუგი?

ივანიკა. ეე, ბატონო ახუნდო, შენს მადლს.

არჩილი. (მევა, ნელა კარაპეტას ეტყვის) შენი გალი უნდა არჩილ მისცო, ამას გოგო მისცო, მერე ოგრო გავაგედებ.

კარაპეტა. ჰო, მივცემ, მივცემ.

არჩილი. დორე ისევ კენჭები გავაკეთებ.

კარაპეტა. ვა, გებნები მეტქი... ჩემი პირი პირია!

არჩილი. (დაიწყებს ლოცვასა) ბის მილა რახმანი, რახიმ ინჯილისან.

ზუბული დოუთ ოქმი სულემან აზალ აზალ ნუმნი მაზალ ავალიან ოხურამ. იშალახ! იშალახ! იშალახ! (სამჯერ შეუბერამს პარკებს, ჯოხს დაჰკრავს, მიუბრუნდება კარაპეტას) დაძექ! დაძექ! (კარაპეტა დაწვება), თვალეზი დალუქე

(დახუჭამს თვალებს) დვალი არ გაალო, ისე დაძე, როგორ მოგვდი, დოოე ოქრო არ გახდება.

კარაპეტა. ვა ტეკივით გავიბერო, თუ მე, მანამ ოქრო არ დავინახო, თვალი გავალო (დახუჭამს თვალებს და სულს გამელავს. ივანიკა და არჩილ გავლენ, ზანდუქს შემოიტანენ. არჩილ გადაპყრის კაბასა და წვერსა, თავის ტანისამოსით შემოვა, ზანდუქს გააღებენ და აჩხაკუნებენ ფულებს. კარაპეტა დაიღრიჭება, თვალებს ვერ ახელს). ახუნდო, გენაცვა, ხმა გავიგონე, თვალი გავალო?

არჩილი.

ხამფერა. ადექით, მოგვილოცავს... აი თქვენი ოქროები!

ივანიკა.

კარაპეტა. (წამოხტება, შეაგდებს პარკსა, ხან ერთს, ხან მეორეს, იცინის) ბზინკ!.. ბზინკ!.. (მერე დაპკეტამს, მოუხვევა ზან ხამფერას, ხან არჩილს, ხან ივანიკას) ნურავის ეტყვიტ ჩემა ფულიანობას, გენაცვა.

არჩილი. კარაპეტ, აღასრულეთ თქვენი სიტყვა.

კარაპეტა. (აჩვენებს ხელით თავის ქალზედ) აჰა, მამიცია ამის თავი.

ივანიკა. იმე, ერთი პარკი მიეც ოქრო შენს ქალს.

კარაპეტ. სულელო! რათ უნდა? ქართველი ირთავს... მე კარგი ფეშქაში მიეცემ ჩემ სიძეს (შევა კარაპეტა სახლში).

არჩილი. (პკოცნის ქალს ხელზედ) ოხ, რა ბედნიერი ვარ!

ხამფერა. მე ვარ ბედნიერი!

#### გამოსვლა მითორგობა

ივანიკე და კარაპეტა (მოაქვს ძველი ხმალი)

კარაპეტ. აი, სიძე-ჯან, ხმალი! ეს გირჩენიან ფულსა განა?

არჩილი. (გამოართმევს, ამოიღებს უანგთან ხმალსა, დახედავს და განცვიფრდება) ამას რას ვხედავ?! ხმალი პაპიჩემის ავთანდილისა! ოხ, მამა, რა რიგათ გამალობთ!

შენ გხედავ, ხმალო, პაპისა ჩემის,  
ჩემგან შექედვა და მორთვა გშევენის!  
შენით არ იყო, ავთანდილ გმირი  
ამარცხის სპარსნი? ვითა საყვირი  
მეორეთ მოსვლის, მათ დასცილ ზარი  
შენით არ იყო, ერევენის ჯარი  
სჩეხა და სორგუნა? ციხისა კარი  
გაახენა იმან და დაიჭირა,  
„მეფე, მობრძანდი“ — მან დაიყვირა!  
მოვედ, შემერთყვი მის შეილიშვილსა,  
ლეკთა და სპარსთა ვსჭრიდე, ვით  
ცივილსა,



შთამბერე მისი შენ ვაჟკაცობა,  
მისი სახელი, პატიოსნება! (პკოცნის).

კ ა რ ა პ ე ტ ა. (სცენაზედ) გებნებით, რომ ქართველს ფული არ უნდა,  
ხედამთ, ჟანგიან რკინაზედ ჩასა ბოდამს?.. ჩემი ოქროებს თვალი არ უყურა!

თუ გინდათ, რომ მხიარულად  
გაატაროთ ამ თეატრში,  
ნუ დაგვაგდებთ გულნაკლულად,  
ყველამ დაგვიკარით ტაში!

## ზურაბ ანტონოვი

მე მინდა კვინა გავხდე!

კომედია ორს მოქმედებად

მოქმედი პირნი:

მინას პეტრუჩიჩ შაჰყულოვი, ვაჟარი, მუზობელი ქერივი ბარბარესი და კრედიტორი თ. დავით სერაშიძისა.

ბარბარე თულუხოვისა, მდიდარი ვაჟრის ქერივი და ბებერი, მსურველი კვინისა.

კეკელა, მახლის ქალი ბარბარესი

თავადი ილიკო გურგენიძე, მილიციის პრაპორშჩიკი, საყვარელი კეკელასი.

დავით სერაშიძე, ღარიბი და ქერივი თავადი, მოვალე ვაჟრის შაჰყულოვისა.

გრიგოლ ბეგლაროვი, კეკელას ნათლია.

კვარტალის ნადზირატელი.

დესეტნიკი.

პეტრიკა, იმერელი ბიჭი ვაჟრის შაჰყულოვისა.

გიორგა, ბიჭი ბარბარე თულუხოვისა.

სტუმრები.

მოქმედება სწარმოებს თფილისში, აულუხოვების სახლში.

მინასა და მერე გიორგა და პეტრიკა

(სცენა წარმოადგენს ზალას მებელით მორთულს, ზალასა აქვს კარები აქეთ-იქით და შუაზედ მარჯვნივ აქვს ფანჯარა, ფანჯრის წინა სდგას დივანი, დივანს წინ რგვალი სტოლი, სტოლზედ ძევს ქალაღი და საწერ-კალამი, სტოლს აქეთ-იქით უდგია კრესლები, მარცხნივ დგას დიდი ტანისამოსის ჩასაცმელი საკე, მხარმარცხნივ უკან სდგას ლომბურნის სტოლი, სტოლზედ ძევს დიდი ფულის ყუთი და აქეთ-იქით უდგია სანთლით შანდლები. ეკარო მინას არის მისვენებული დივანზედ, ნაღვლიანის სახით, ყელზედ ოქროს მედალი ჰკიდია. ფარდა აიხდება და გაჯავრებით ამბობს პუბლიცისკენ).

მინასა. ამისთანა უბედურმა იქნება, ჩემი თ-ვედ მოდის, ერთი ყალბათ გაფუჭდი რაღა. ვა! ჯერ ჰალა ერთი ჩემი პრიკაშჩიკა ნუხში<sup>1</sup> გაკუტრებულია, სამასი თუმანი უჭამია, ერთიც ამტრახანში<sup>2</sup> გემმა გატ: ხილა, სამასი თუმანის ქვილმა გამფუჭებია. ახლა ეს ქართველი ღვით კნიაზიც გამკუტრებულია, ექვსასი თუმანი იმანა სკამს, იმისი იმენიე სულ პრიკაში წაუღია თავისი ვალში; ერთიც ეს ჩემი ცოლი მუცელი ტკიულობს, ერთი ქალი იმან შობამს ხუთასი თუმანი იმან ზითვიც ქრთამათ მოუნდება. წავედი, გაფუჭდი რაღა, ვა! მერე რა უნდა თქონ, გაკუტრდაო! (მიესვენება დივანზე, ცოლას ხანს დაფიქრდება, მერე ადგება და იტყვის სიხარულით) ეს კა'კ ფიქრმა ვქენი. ეს ჩემი მეზობელი ბარბარუა კნეინობა უნდა, ამან ბევრი ფულეები აქვს. მოდი ეს ჩემი კუტრი კნიაზი შევრთამ, ერთიც ეგები ჩემი ფულეებმა გავასალო, ესლა მგონია ბარბარეც იმიტომ დაუძახხნივარ, მკითხოს როგორი თავადია. წორე მოგახსენოთ, თვალათ, ტანათ ძალიან კარგია, მაგრამ (ხელს დაიკრავს ჯიბეზედ) ჯიბესთან ცოტა მწყარალა. ეჰ! ერთიც ჩემი ფულეებმა გავასალო, ვეტყვი მდიდარია, თქვენმა მზემ და, ერთი კატა კი არა ყავს, ჰა!

გიორგა (შემოვა მარჯვნივ) ალა. ქალბატონმა. ცოტა მომითმინე, ესლავ გაახლებიო, თქვენთან საქმე მაქვსო.

მინასა. საქმე აქვს! ბიჭო, იმან ქმარმა ხომ არ უნდა?

გიორგა. რა მოგახსენო, ბატონო. მგონია კნეინობა უნდა.

მინასა. ბას, წადი უთხარ, მოგიციდი უთხარ (გიორგა გავა მარჯვნივ და მერე მინასა იტყვის პუბლიცისაკენ სიხარულით) აბა, ახლა გასაღდა ჩემი ფულეებმა, აი, რო ვთქვი კნეინობა უნდა მეტუი (გაკვირვებით) მაგრამ ჰალა როგორ მივხვდი (თავზედ ხელს დაიდებს). ეს თავი რომ სამსეა და, მიხვედრა იმან იცის, თქვენმა მზემა და, ძველი დრო რო ყოფილიყო, ამ კუთითა, რას ბრძანებთ, მდივანი<sup>3</sup> გამზდიდენ ჰა (თავს გაიქნევს და ოცნებით), უჰ... უჰ... უჰ... ასეთი ოქმი კი დაეწერამდი. წორეთ ქვა კი გახეთქდა ჰა!

გიორგა. (შემოვა მარჯვნივ და ეტყვის) ალა, თქვენი ბიჭი გახლავსო.

მინასა. მოვიდეს უთხარ.

გიორგა. (შუა კარს გაუღებს პეტრიკას, შემოიყვანს და თითონ მარჯვნივ გავა).

პეტრიკა. ალა, აქანა მობრძანდიო.

მინასა. რა მინდაო, ბიჭო?

პეტრიკა. ცოლს ძალიან ქვე გიტკივა მუცელი, მოეშველეო!

მინასა. (ღივანსდ მიესვენა გაჯავრებული ს-ხით და ბიქს სელს აუქ-  
ნევს), ასა, ვალისაჲ\*.

პეტრიკა. (ცობას დაუცდოს და მერე) ალა, ქვე რას მიბძანებ?

მინასა. ვა! ტო, ასა, ვალისიმ ელი!\*\*\*

პეტრიკა. (პუბლიკისაყენ) რაჲა დაბნეულს მეუბნება, უბედური, ვერ  
გავიგე. (ალას) ალა, ქვე რას მიბძანებ, მინდა ვიასლო.

მინასა. (გაჯავრებით) ვა! ყრუ ხარ, ბიქო? უთხარ, მოვდივარ რალა ვა!  
(პეტრიკა გავა შუა კარიდან, მინასა ადგება და პუბლიკისაყენ ლაპარაკობს) ვა!  
არ დამაცლიან, აქ ბარბარესათვინ რამე ექნა. ერთიც ეგები ჩემი ფულებმა  
გავასლო. ჰალა, ეს სულ ჩემი სიღედრუას საქმე იქნება, იმან ეტყოდა, გნა,  
ფესინ კანჩე,\*\* რა არის ერთი ღობტური მოვიყვანო, ჩემი ცოლი კიდენ ქა-  
ლი მოაშობოს. ვა! არ მეყოფა ექვსი ქალი მყავს, რო კიდენ მეშვიდეც არ  
მიშობოს. მოკვდება, ჯანი გავარდეს, თუ მოკვდება, წორე მოგახსენოთ და,  
ერთი ხუთი წელიწადი რო კიდენ იცოცხლოს, წორეთ დუყინი შემითავებს  
ჰა! მერე (თავს გაიქნევს) იწიე კამბეჩივით უღელი, მინას პეტრუზიჩ, ჩემი  
ქოფაკი სიღედრუა დარდს გასწევს, იმისი ოჯახის დაქცევამა, კაი ჯინშისა რა-  
მე მამცა. ჰა, წელიწადში ერთი ქალი კი არ ააცდენს და, მერე ბერწობაც რო  
არ იცის.

გიორგა. (შემოვა მარჯვნივ და ეტყვის) ალა! კიდევ გახლავთ თქვენი  
პეტრიკა.

მინასა. (გაჯავრებით) ვა! ხათაე? ახარ, რა მინდაო?

გიორგა. რა მოგახსენო, ბატონო.

მინასა. ერთი, დაუძახე, მამა გიცხონდება (გიორგა გავა შუაკარიდან და  
შემოგზავნის პეტრიკას).

პეტრიკა. (შემოვა შუაკარიდან ყვირილით) ალა, ჩქარა, ჩქარა, თვა-  
რა წახდა კაკალი კაცი.

მინასა. (გაოცებით) ვა გიყე? რა კაკალი წახდა?

პეტრიკა (ქაქანით) ჰ... ჰ... ჰ... დიდმა ქალბატონმა დავიბარა, ფიც-  
ხელ მოდი აქანა, ფიცხელო.

მინასა. ვა! იმან ფიცარი რათ უნდა, ბიქო?

პეტრიკა. რაჲა ფიცარი? ფიცხელ არ იცი? ჩქარა მოდიო, ჩქარა!

მინასა. ახარ, რა მინდაო?

პეტრიკა. ქალბატონი დეიწურაო.

მინასა. ვა! დაიწურა, მაქარია?

პეტრიკა. ბატონო, მთლა დელიია.

მინასა. ტო, ყურუმსად! დაილია, გლდნის ღვინოა?

პეტრიკა. (პუბლიკისყენ) ანჩხლი ქვე კი ყავს სიღედრი, ქვე კი გადა-  
რეგს. ვერა შევგანებიე რა უბედურსა. (ალას) ცოლი ქვე გიკვდება, ახლაც ვერ  
გეიგე?

მინასა. ბას, წადი კუბო ანახვინე, მეც ბარბარესთვინ ხელათ საქმე  
ვიქ და მოვალ.

პეტრიკა. რაჲა კუბო ვანახვიო, აჰა ცოლს არ მოარჩენიებ ტკივილიდან.

\* უთხარი, მოვდივარ (სომხ.)

\*\* ბიქო, უთხარი მოვდივარ რალა!

\*\*\* წადი, სიძეს დაუძახე.

მინასა. (პუბლიცისაყენ) ვა! გიყე, ეს გაგიგონიათ (ბიჟს) ტო, ახმახ, ჩემი ცოლისათვის შენ დარდობ?

პეტრიკა. (იქით) აჰა ჯანი შენც წაგივიდეს და მასაც, თუ არ მოარჩენიებ კი არ მოკლავს მისი ჯავრი პეტრიკას! (ალას) მე კი არ ვდარდობ, მარა შენი სიღედრი ქვე კი არ გეშვება.

მინასა. ვა! ახარ იმან რა უნდა ჩემგნით, იმან ხომ არ შემირთამს ცოლათა, არ წავა ჩემი სახლიდან?

პეტრიკა. ქვე აჰა ახლა იმას ჰკითხე (ხელს გაშლის), მთლა იბდღენის უბედური, ასთე გაჰკვივის, რავარც კაი ქორი.

მინასა. ვა! გაჰკვივის, სათარაა?\*

პეტრიკა. ვინცალა უნდა იყოს, რას დავეძებ, მარა ცოლს ქვე უპატრონე, იქნებ ვაყი გეყოლოს.

მინასა. ვაყი, ჰოო... მამ გიცხონდება, ალექსანდრე მაკედონი? იქნება ჰა!

პეტრიკა. მაკედონი რავა იქნება, ბეჩა, მამა მინასა ჰყავს და თვით ჰოლოსა იქნება.

მინასა. ერთიც ვაყი არ იყოს, ქალი იყოს, მერე.

პეტრიკა. (იქით) აჰა, ჯანი მასაც წოუვიდეს და მის პატრონსაც! (ალას) ალა, იქნება ქალი უფრო ბედნიერი იყოს.

მინასა. ჰო... ერთიც თამარ-დედოფალმა\* გახდა ჰა!

პეტრიკა. დეიჯერე, ალა, ქვეც კი ვაყი გეყოლება, მე წუხელის მეზმანა.

მინასა. მერე ვინ გაგზმონა ბიჟო, გაზანდრის ადლი? იყო, თუ არშინ?

პეტრიკა. იიმე, რავა გაზმანეს. ზმანება არ იყო, სიზმარი ვნახე.

მინასა. ეგრე თქვი, მამაცხონებულო. მერე, რა ნახე?

პეტრიკა. ბაბუა ჩემი ლეკუნიკი ნახე, მეუშვებოდა რომე. ჩვენმა ბერმა ღორმა ტახი გოკი მეიგოო. ჰო, აჰა, მე ტახი გოკი ვაყად ქვე მყავს დაცილილი.

მინასა. ოჰ, ღმერთმან აცხონო! იმანა, ეგ სიზმარი თუ სწორეთ ახდა და იმისი სახელზედ ერთი ულაყი ღორი დავკლამ ჰა. ბას წადი შინა, უთხარი, მეც მალე მოვალ, უთხარი (გაეა პეტრიკა შუახედ და ბარბარე შემოეა მარჯვნივ).

#### გამოსვლა მორე

#### მინასა და ბარბარე

ბარბარე. უკაცრავათ, მინას პეტრუხიჩ! დაგაგვიანე მაგრამ მეზობელმა ბრძანდები, ამისთანაში უნდა გამომადგე. თქვენთან ცოტა საქმე მაქვს.

მინასა. რა საქმე? თუ შემოდლიან, გავაკეთებ, მაგრამ მაქანკალმა ნუ გამხდი ჰა, ჩემი საქმე არ არის (პუბლიცისაყენ). ერთიც, ეგები ჩემი ფულებმა გავასალო, მუნათი არა მაქს.

ბარბარე. არა, ტყვილათ უარს ნუ მეუბნები, ჩემი გულისთვის უნდა გაისარჯო, არც შენ დარჩები უსარგებლოთ.

მინასა. (გახარებით) ბას მითხარი ელი\*.

ბარბარე. დაბძანდი, მოგახსენებ (ორივე დასხდებიან კარქლებზედ და

\* მაშ, მითხარი რალა.

მერე ეტყვის). ჩემი გარემოება თქვენ კარგათ მოგეხსენებათ: დოვლათი ბევრი მაქვს, ჩემიკა მქონდა, ახლა ოროლი ქმრებისაც დამრჩა. ეს სახლ-კარი და ზინათულობაც სხვა არის. ამისთანა დოვლათის პატრონი სახელოვანი არა ვარ, ჩემი ქრემები უბრალო კაცის შვილები იყვნენ. აბა რა არის, ერთი მყვანდა დაბალოვი, მეორე თულუხჩოვი. სადმე რომ მივიდიოდი, ამბობდნენ, ეს თულუხჩანთ ძაღლია. ბიბარუ ვხდებოდი. ახლა მინდა ერთი კარგი ვინმე შევიერთო, რომ მეც ხალხში რაღე ვიყო, ჩემი დოვლათი სულ იმან მივსცემ, ოღონდ ერთი კნეინო გავხდე.

მინასა. მერე ვინ გინდა შეერთო?

ბარბარე. (გაწითლდება და მორცხვობით) თქვენი მეგობარი დავით კნაზი.

მინასა. (აძნელებს) უჰ... ეს ერთი დიდი ვინმეა, იმასთან ძალიან ძნელია გარიგება, უჰ! ის რომ შეერთო და დიდი ვინმე იქნები.

ბარბარე. მეც იმიტომ გეხვეწები, რომ შენ ყველა შეგიძლიან.

მინასა. ახარ ეგ ძალიან კარგი. მაგრამ შენი მავლის ქალი კეკელუა რას უხამ, იმან პანციონში გაზრდილია, დოვლათი სულ იმან წაიღებს, იტყვის ნასლედნიცა ვარ.

ბარბარე. მე იმისი საქმე კიდეც მამიხერხებია. ერთი ნუხელი ჩასპანდი ჩინოვნიკია, იმას ვაძლევ. ერთი ორასი თუმანი ფულათ მიცემ, ასი თუმანისაც ზითევი და სხვა სულ მე დამრჩება.

მინასა. მერე კეკელუაც ყაბულობს?

ბარბარე. იმას ვინ აკითხებს?

მინასა. ვა! ერთი იმისი ქმარი დავი დაგიწყოს, მემრე?

ბარბარე. მაგისი შიში არა მაქვს. თუ ფული, თუ ზინათი, თუ ვექსილები სულ ჩემ ხელშია, იმან არაფერი იცის, თუ რა გვაქვს და რა არა.

მინასა. ახარ არალუხში იმ ცხონებულის ნაქნარი დოვლათი რაერთი უნდა გქონდეს?

ბარბარე. ერთი ოთხი ათასი თუმანი ფული მაქვს, ათასორასი თუმანისა ვექსილები, სულ საღი კაცებისა. ათასი თუმანისა მეტი ზინათი და ეს სახლებიც თავისი მოწყობილობითა (დაანახებებს დეკორაციას). აქედან ერთი სამასი თუმანი კეკელუას მოვანმარებ და სხვას სულ კნაზი მიცემ, მაგრამ იმანაც ხომ კარგი ვინმეა?

მინასა. (გაკვირვებით) ვა! ეგ რა სათქმელია, ერთი დიდი ვინმეა, რუსები სულ უძახიან, პომეშიკ პუსტოპაროენოი დერეენი\*. რუსულათ ხომ გესმის?

ბარბარე. ჰალა როგორ არ მესმის, დიდი სოფლისა და ყმის პატრონიო.

მინასა. ჰო... ვაცხონე მამა შენი, კარგი რუსული გცოდნია.

ბარბარე. (სიცილით) ეჰ, კარგი, მინასჯან, ხუმრობა გაუშვი და ერთი როგორმე მამიხერხე.

მინასა. მაგას მოვახერხებ, მაგრამ შენც ერთი ჰავლაბარში მკითხავი აკითხვინებდი<sup>10</sup>, იმან წორეთ შეგიერთამს თუ არა?

ბარბარე. ვკითხე. იმანა თქო, წორეთ შეგიერთამსო, დიდი ხანია შენზედ თვალი უჭირამსო.

მინასა. აბა, ვინც შენი ფულებმა ნახოს, ვინ დაგიწუნებს. მერე ლამა-

\* ცარიელი სოფლის მებატონე (რუს.).

ზი და! (პუბლიცისკენ) ერთი შემოსედეთ და, წორეთ ინდოეთის ბებერი მაიმუნი გავს ჰა. (ბარბარეს) მაგ საქმეში სხვისთვის კი არ გავერეოდო. მაგრამ მეტი ღონე არ არის, მეზობელი სარ, შენი გულისთვის უნდა ვქნა.

ბარბარე. მადლობელი ვარ. მეც შენთვის რამე ვიქ, ერთი ორმოცი თუმანი მოგართმევ.

მინასა. ერთი, ხელი აიღე, მამა გიცხონდება! მე ეგ საქმე ვიქ, შენგნით ფულები ავილო?!

ბარბარე. მამ კარგი, მე წავალ კეკელუას საქმე მოვრჩები, თქვენ ეგ საქმე გააკეთეთ და შემატყობინეთ (თავს დაუკრავს და გავა მარჯვნივ).

მინასა. (მარტო პუბლიკას) თქვენ რას იტყვით, ეს კარგი საქმეა. ჰამ ჩემი ფულებმა გავასაღებ, ერთი ორმოცი თუმანიც აუსომ, ჭერ ჰალა წაივდე, ერთი ჩემი კუტრი კინაზი ყაბული ვაქნეინო (გავა შუა კარიდან).

### გამოსვლა მისამ

კეკელა. და მერე ილიკო

კეკელა. (შემოვა მარცხნივ კარიდან. დადგება წინ სცენაზე და პუბლიცისკენ ლაპარაკობს) ახლანდელი ახალგაზრდები სულ გულგრილები არიან, ქალებს კი ამტყუნებენ, ვაყების სიყვარული არ იციან. აბა, სიყვარული რომელია, გენაცვალეთ? სამი დღე თვალი ილიკოს გზის ცქერაზედ დამრჩა და ერთი ქუჩაში გამოვლილიც ვერ ვნახე. ჩვენს სიყვარულსა და პირობას ეს არ ეკადრებოდა. თუ ეწყინა რამე, აბა რას ვაწყენდი, თქვენი პირიმეთ, ყოველთვის ამ ფიქრში ვარ, რაც იმას ესიამოვნებოდეს, ისე მოვიქცე და. თუ მწუნობს (სარკეში ჩაიხედავს და კავების და ტანისამოსის სწორებას დაიწყებს) აბა, რა მაქვს, ბატონებო, დასაწუნი? მაგრამ, არა, სწორეთ გულგრილები არიან, არ იციან თუ ახალგაზრდა ქალ-ყრმათ ერთათ შეთვისებას პირველად როგორი სიყვარული ჰქმენის. აი, ბატონებო, დღესაც მოვიციდი, ენახოთ, მნახავს თუ არა (დაჭდება დივანზედ. ცოტა ხანს მიესვენება და მერე წამოდგება უეცრათ და იტყვის) უი... ფეხის ხმა ისმის, იქნება ილიკო იყოს, ერთი კარი გაულო (მივა, კარს გააღებს და ილიკო შემოდის. კეკელას გული გადმოუბრუნდება და დაიძახებს) უი!.. (მივა და დივანზედ მიესვენება შემკრთალის სახით).

ილიკო. ჩემს სიცოცხლეს კეკეს ვახლავარ.

კეკელა. (ნაზად) ვაი... გენაცვალეთ, გული გადმამიბრუნდა...

ილიკო. (შეშფოთებით) რათ შეგეშინდა, გეთაყვანე, არ იციოდი, რომ მე ვიქნებოდი?

კეკელა. (ცოტა ხანს უკან ნაზად) აბა, რა ვიციოდი, გეთაყვანე, მეოთხე დღეა თვალთ ველარა გნახე, ასე მეგონა თუ დამივიწყებ, ეხლა რომ უეცრად დავინახე, გული გადმამიბრუნდა.

ილიკო. (სიყვარულით) შენ როგორ დაგივიწყებ, კეკეჩან! მაგრამ. რალაც კორები შემესმა, იმის გამო შეშფოთებული ვიყავ და ველარა გნახე.

კეკელა. შენ სხვის ლაპარაკს ყურს რათ უგდებ, შენმა გაზადამ, მე თანახმა ვარ, თუ თქვენც გსურთ.

ილიკო. (ამოიხვერით) როგორ არა მსურს მაგრამ ეჰ...

კეკელა. თუ გსურთ, წინააღმდეგი ვილაა, რატო არ მოილაპარაკებთ ძალუაჩემთანა?

ილიკო. (გულდაკლებით) ეჰ... რა შოვილაპარაკო? ის მდიდარია და მე (ხელს იდებს ეპოლეტზედ) ამის მეტი არა მაქვს რა.

კეკელა. მე კი თანახმა ვარ და არ ვიცი ვის რა დავა აქვს. (სიყვარულით) ილიკოჯან, აბა მაგას რას ანობ, გეთაყვანე. შენ ასეთი მშვენიერება და ზდილობა გაქვს, რომ დაუფასებელი არის.

ილიკო. მართალს ანობ, კეკეჯან! მაგრამ, მე როგორც შევიტყე, ძალუაშენს შენი გათხოვების საქმე კიდევ გადაუწყვეტია. თქვენს მეზობელ მინასასთან ჰქონია ლაპარაკი.

კეკელა. (გაჩაგრებით) რას მეუბნები, მერე ვის მაძლევს?

ილიკო. ერთი ნუხელი ჩინოვნიკია, თორიზოვი, იმას გაძლევს.

კეკელა. ეჰ! კარგი, შენს გაზღას, ყმაწვილო, კმარა ხუმრობა.

ილიკო. კეკეს მზემა, არ გეხუმრები.

კეკელა. (შეშფოთებით) მერე, მე არა მკითხავს! ვინ ოხერია ვილაც თორიზოვია? შენმა გაზღამ, ძალუაჩემი კი არა, მამაჩემიც რომ ადგეს, მე შენი სიყვარულისაგან ხელს ვერ ამაღებინებს. უსიკვდილოთ შენი სიყვარული სად მამშორდება? ვგონებ რომ მოვპკედე და საფლავად მდებდნენ, იქაც კი შენი სიყვარული თან ჩამყვეს.

ილიკო. შენმა გაზღამ, კეკეჯან, შენი სიყვარული მე უფრო ცეცხლს მიკიდებს, მაგრამ ეს ძალუაშენი რომ არ შერება და ნუხელს ჩინოვნიკს გაძლევს? მე ხომ შენზედ ხელის ამღები არა ვარ, რაც უნდა დამემართოს. ხოლოდ ეს არის, რომ საშფოთრად გაგვიხდება საქმე მე და ძალუაშენსა, მაგრამ, ჯანი გავარდეს, თუ გახდება, როგორც იყოს, უნდა მოვახერხო.

კეკელა. (სიყვარულით) ილიკოჯან! შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, მე ნუხელს ჩინოვნიკს ვერავენ მიმცემს, ოღონდ კი შენ ჩემი სიყვარული მტკიცედ შეინახე და მე ვიცი ჩვენს ქორწილს როგორც მოვახერხებ. მე არავისთან სახეწარი არა მაქვსრა, რომ სხვის სამადლოთ გაეთხოვდე. მე ჩემი სამყოფი დოვლათი მაქვს (მერე გაიხედავს მარჯვნივ ფანჯრიდან). უი! ძალუაჩემი მოდის, ერთათ არ გვენახოს.

ილიკო, მშვიდობით, კეკეჯან! (ხელზედ აკოცებს კეკეს და კეკელას თავზედ და მერე ეტყვის) მაშ მე წავალ, კეკეჯან და როგორც საქმემ გაიაროს, ხვალ მოვალ და შემატყობინე.

კეკელა. მოიცა მე გაგაცილებ (გავლენ ორნივ ერთათ შუა კარიდან).

#### გამოსვლა მეოთხე

ბარბარე. (შემოვა მარჯვნივ კარიდან და პუბლიკისაკენ ლაპარაკობს) ნეტავი არ იქნება მინას პეტრუზიჩი აასრულოს თავისი ნათქომი, ერთიც რომ კნეინო გავხდე (გაკვირვებით) უჰ... უჰ... უჰ, დიდი რამე არ ვცქენები! ქუჩაში რო დავივლი, იტყვიან: კნეინ ბარბარე გალისე\*. რუსებიც რო მნახვენ, ვაში სიატელსტვოს დამიძახებენ. მაშინ მეც კნეინურათ დავიწყებ ლაპარაკსა. თუ სახლში მნახავენ მიამივლენ, დიდაცურად ვეტყვი: მობრძანდით, ბატონებო, ნურას უქაცრავათ... უჰ... რა დიდი ვინმე ვიქნები! კნეინი გავხდები თუ არა, მაშინვე კიპაჟი ვიყიდი, ლაქიაც უკან დავიყენებ და ისე დავივლი, მაშ ვა! კნეინი ვიქნები, შინ ხომ არ დავკლები, ბალებში უნდა დავიარო (მერე მიიხედამს შუა კარისაკენ და იტყვის) რა ვქნა, მინას პეტრუზიჩი რათ დავიგვიანა.

\* მოდის (სომხ.).



გიორგა. (შემოვა მარცხნივ კარიდან და ბარბარეს ეტყვის) ქალბატონო, მინასა გიახლებათ და თან ვილაც კნიაზი მოჰყავს.

ბარბარე. (ტუჩზე ორ თითს დაიდებს) უი, ქა! უთუოდ ის იქნება (სარკეში ჩაიხედავს) წავიდე ერთი პატარა შუშტაკი გაღვიკრა, ლამაზი გამოვჩნდე (ბიჭს ეტყვის) გიორგა, მე წავალ და შენ ისინი შემოიპატიე, უთხარ, ქალბატონიც ეხლავ გიახლება თქო (გავა მარჯვნივ კარიდან).

გიორგა. (გაალებს შუა კარს და მოიწვევს მინასას და დავითს) მობძანდით, ბატონებო, ქალბატონიც ეხლავ გიახლებათ (თითონ გავა მარჯვნივ).

#### გამოსვლა მხეშთა

მინასა და დავით

მინასა. (ეწევა თითქმის ძალით) ერთი მობძანდი, კნიაზო, მამა გიცხონდება. რა დროს ცერემონი არის. უცხოს სახლში ხომ არ მიმყავხარ.

დავით. მაშ ვისია, რომ უცხოს სახლი არ არის. მე თულუხჩიანთ სახლში რა ხელი მაქვს?

მინასა. ერთიც დალოცვილო, თუ საქმე არ იყოს, ხომ არ მოგიყვან. (მიიწვევს დივანზედ, დასვამს და თითონაც გვერდით მოუჯდება კრესლაზედ და ეტყვის) აბა, კნიაზო, მოვილაპარაკოთ რამე.

დავით. რა უნდა მოვილაპარაკოთ?

მინასა. რამე რაღა ვა! აბა ეს ზალა არ მოგწონს?

დავით. შენმა მზემ, ზალაც კარგია და ოთახებიცა.

მინასა. მებელი როგორიღაა?

დავით. არც მებელია ურიგო!

მინასა. ამ სახლის პატრონის შეძლებაც გაგიგონია?

დავით. გამიგონია, კარგი შეძლება აქვთ.

მინასა. აბა ეს სახლები თავის გამართულობითა, ერთი ოთხი ათასი თუმანი ფული, კარგი გაცემულობა, ერთი ათასი თუმნისაც ზინათი (გაუციინებს). უკაცრავად კი ნუ ვიქნები და, ერთი შენისთანა ჩიბეგახვრეტილი კნიაზი რო ჩაიგდოს, როგორია?!

დავით. ნეტავი არ მიჰქარამდე, ბიჭო.

მინასა. ვა! გულში ვიამა განა (პუბლიკისაკენ თითით აჩვენებს) ჰაი თუ შეშვამს კნიაზი. (დავითს) კნიაზო, მოდი ესენი სუყველა შენ გაშოვნინებ მუქათათა.

დავით. (სიცილით) მერე, როგორ გაშოვნინებ, ბიჭო?

მინასა. მოდი, ეს ქერივი ბარბარე შეგერთამ. ჰამ კარგათ მოგივლის, ჰამ ბევრი ფულებმა გექნება.

დავით. ეჰ, კარგი მინას პეტრუზიჩ, რა დროს ხუმრობაა. შინ მინდა წავიდე, არა მცალიან (აღგება წასასვლელად).

მინასა. (დასვამს) ერთი დაბძანდი, კნიაზო! არ გეხუმრები ჩემმა მზემა. შეირთე, ურიგოს არა იქ, ჰა!

დავით, გიჟი ხარ, კაცო, რას ჩამაცვიდი? მე ცოლს არ ვირთამ.

მინასა. გეუბნები, კნიაზო, ხეირი ნახამ. შეირთე მეტქი და, ვა!

დავით. (ზეზე აღგება) ერთი თავი დამანებე, მამა გიცხონდა. ჩემი საქმე არ არის.

მინასა. (ადგება და პუბლიცისკენ იტყვის) აი, ტუტუც ვრაცუა\* (ხელს მიიშვერს დაიოთხელ) რაც რუსეთში უნივერსიტეტებმა არის და, სულ რო აქ ნოზილონ, კიდენ ამ ძველი ქართველების თავში ქეუა არ მოგროვდება (დავითს) ტო, ახარ, ამაზედ მეტი ხეირი რა გისდა. ერთი მინუტის საქმეა. ჭვარს დაიწერ და ამტელს ფულებს იშოვი.

დავით. არ მინდა, შვილო, ეგ ფულები, რას ჩამაცივდი?

მინასა. (პუბლიცისაკენ) პო, თუმანი რო ბისტათა აქვს გაცემული, იმიტომ არ უნდა. (დავითს) არ მინდა რომელია, ბას ჩემი ექვსასი თუმანი საილამ მომცემ?

დავითი. პახოტში წავალ, შვილო, პენციას ვიშოვნი და იქილამ მოგცემ.

მინასა. (გაშტერებით) ვა! ერთიე ვნახოთ ლეკმა შენი თავი დააგორა! მემრე ჩემი ფულებმა ვინა ვახოო?

დავით. (გაცინებით) მერე და მერე, შენც შენი ფულები ღმერთს შესწირე.

მინასა. (გაოცებით) ვა! შევწირო რომელია, იმას ფულები რათ უნდა? ახარ ექვსი ქალი მყავს, გათხოვება არ უნდა! ერთი ხელი აიღე, მამა გიცხოვრდება, რა დროს პახოტია, ფეხები ადგილიდან ვეღარ დაგიძრამს. ის არ ჯობია, არც შენ მოკვდე და არც ჩემი ფულები დაიწოს. შეირთე რალა, ვა! ფულებია და ფულები.

დავით. (პუბლიცას) გოცია ეს კაცი ე... რას გადამეკიდა, თქვენი ჰირომე. (მინასას) არ მინდა შვილო! ძალათ ცოლის შერთვა გაგიგონია?

მინასა. ტო, დამიჯერე, კნიაზო. შეირთე მეთქი, ხეირი არის და ვა, ჩემმა მზემა და სხვაეა თხოულობდა, მაგრამ მეგობარი ბძანდები, მე შენთვის მემეტება.

დავით. არა, ძმაო, არ მინდა! (ადგება და მიდის).

მინასა. ვა! შეირთე მეთქი, ჰუჯათი ნუ გახდები, თორე, კნიაზის მზემა, არ გაგიშვებ, კარები დაგიკეტამ, პა! რო მიხვალ, სად მიხვალ, ემე ჩემი აბეზ-პეჩენიე შენა ხარ.

დავით. (გაჭაერებით) რას მიქარავს! მამაჩემი ნუ წამიწყდება, სულ კბილებს დაგამტერე. დამიჰერ რა, შენი ტოლი ხომ არავინა გგონია?

მინასა. (დონიქს შემოიყრის) ვა, როგორ დამამტერე! ფულებიე ჩემი გემართოს, კიდენაცა მცემ, ბას ვექსილის უსტავი<sup>12</sup> არ იცი შენა? მერე, მე რალა ნაკლები კაცი გგონივარ? მამაჩემი დეკანოზი იყო აი (ყელზე ხელს დაიდებს) ვერა ხელამ ნა შეი ზოლოტოი მედალი\*\* მაქვს. От палку чьего-то, зная? (ტკბილად ეტყვის) კნიაზო, ნუ ჭაერობ, თუ ღმერთი გწამს, ახარ, დალოცილო, ჩემი ფულებისა რა პასუხს მაძლევ?

დავით. ხვალვე ვისესებ, შვილო და თავში გაწყვეტ შენს ფულებსა.

მინასა. ვა! ერთიე რა ტუტუცობაა, ვალი აილო. ტო, შეირთე, ფულე-ბი არ არის? ეპ... მე ბევრი ლაპარაკი არ ვიცი, წავალ, ბარბარე მოვიყვან. აბა, კარგათ იფიქრე, ხეირი იქ მეთქი, კნიაზის მზემა (გავა შუა კარიდან და კარს მოკეტავს).

დავით. (უკან მისდევს) კაცო, არ შევირთამ მეთქი, არ გესმის, აქ მოლი (მივა. კარებს მიაწვება და მერე პუბლიცისაკენ მობრუნდება). ეს რა მიუქარამს, თქვენი ჰირომე, მართლა არ დაუტეტია კარები. ეს გაგიგონიათ მოვა-

\* ტაბუტო ქართველი (სომხ.).

\*\* ყელზე ოქროს მედალი მკილია (რუს.).

ლისაგან, რომ ძალით ცოლი შერთოს. დასწყევლოს ჩემმა წმიდა გიორგიმა, ვის გადავეკიდე, თქვენი პირიშე (დაჯდება დივანზე, დაფიქრდება ცოტას ხანს, მერე ადგება და პუბლიკისაგან იტყვის) ღვთის წინაშე, ერთით კი კარგათ მირჩევს, მაგრამ, როგორ შევიტოო, დაბალი კაცის ნაცოლარია. ეჰ! ჭანი გავარდეს თუ არის. ქორწინებით ხომ ჩემს ხარისხს არ დაამდაბლებს. შევიტოამ, არა უშავს რა, დოვლათი დიდი აქვს, იმისის ფულებით პრიკაზიდან<sup>15</sup> ყმა და მამულს გამოვიხსნი და მერე რალა მიქირს, კარგათ ვიცხოვრებ (მიიხედავს შუა კარისაგან) რა ვქნა, ეს მინასა სად ჭანაბას დაიკარგა? (გასძახებს) მინას! აჰ შემოდი, ვიფიქრე.

### ბაგოვალა შეეძვსა

იგივე და მინასა

მ ი ნ ა ს ა. (შემოვა შუა კარიდან სიცილით) კნიაზ დავითს გაუმარჯოს, რა ქენი, იფიქრე? კნიაზო, ჩემმა მზემა, ხეირი იქ, შეირთე.

და ვ ი თ. შე ოჯახქორო. რას გადამეკიდე, აი, დაგწყევლა ღმერთმა! საიდან იფიქრე, ვაჟო. ეს სომხები ყველანი კუდიანები არა ხარ!

მ ი ნ ა ს ა. ვა! მაშ ჩემი თავი ცარიელი გეგონა? კნიაზის მზემა, სამსევა ჰა! (პუბლიკას) ამის თავი ხომ არ არის, ცარიელი იყოს (დავითს) არა, კნიაზო და ჩემა მზემა ხეირია, ვა! მდიდარია.

და ვ ი თ. მდიდარი კია, ვიცო, მაგრამ, თითონაც ვარგა?

მ ი ნ ა ს ა. ვა! მე ესტი სირუნე\* და, ერთი რომ შეხედო, მაშინვე თვალები დაგვარდება, ჰა.

და ვ ი თ. (პუბლიკას) ამ სომხებთან ქართულათ ლაპარაკი სულ ბალა არის (მინასას) სწორეთ მითხარ, ბებერი ხომ არ არის?

მ ი ნ ა ს ა. ერთი, რას ბძანებ, კნიაზო! (აზვიადებს) ერთი ჰველი, ერთი ლამაზი, წორეთ იქნება ოცდათორმეტი წლისა, თორმეტი თვისა, ოცდაცამეტი დღისა და ხუთი საათისა ჰა!

და ვ ი თ. (სიცილით) შე ოჯახქორო, საათი რალაა?

მ ი ნ ა ს ა. ვა! მე წორეთ მოვახსენებ, შენთვის ტყუელს ხო ვერა ვთქომ. დღეს ვიანგარიშე წელიწადი ჰა!

და ვ ი თ. კარგი, მაშ მე ბაღჩაში გავალ, შენ ბარბარე შემოიყვანე და მე ჩქედან დავათვალთვარებ, მერე მე დამძახე. შემოვალ და დავინიშნები, მაგრამ ამ პირობითა, რომ ყველა ქონება ეხლავ უნდა მამცეს.

მ ი ნ ა ს ა. მაშ ვა! შენც ეხლავ მოგცემს, მაგრამ მეც კი ჩემი ფულები ეხლავე უნდა მამცე.

და ვ ი თ. ბატონი ბძანდები.

მ ი ნ ა ს ა. თავის სარგებელიც აი.

და ვ ი თ. ჭანი წაგივლდეს, მოგცემ, შეილო, შენს ფულებს ეშმაკიც ვერ შეშუპამს (გავა შუა კარიდან).

მ ი ნ ა ს ა. (მივა და მარჯვნივ კარიდან გასძახებს) ტო, გიორგა!

გ ი ო რ გ ა. (შემოვა და ეტყვის) ალა, რას მიბძანებ?

მ ი ნ ა ს ა. წადი, შენი ქალბატონი უთხარი, საქმე მიქნია, უთხარი, კარგათ მოირთე, უთხარი, კნიაზი ბებრობა არ შეგატყოს, უთხარი, ბებერი ფერი, უმარლიო წაისვი, უთხარი, აჰ შემოდი, უთხარი, კნიაზიც ბაღჩაშია უთხარი, მერე იმანაც აჰ მოვიტან, უთხარი.

\_\_\_\_\_ გ ი ო რ გ ა. ბატონი ბძანდები, ეხლავე მოვახსენებ (გავა მარჯვნივ).

\* როგორი ლამაზია (სომხ.).

მინასა. (მარტო. პუბლიკისაკენ სიცილით) თქვენმა მშემად და! წორეთ სავოცდაშვიდი წლისაჲ ჰა! მასლას სიბებრით პური ველარ ლეკვამს რაღა ვა! პირში ერთი კბილი აღარა აქვს, როგორც გინდათ თქვით.

ბამონავლა მუშვიდი

იგივე და ბარბარე

ბარბარე. (შემოვა მარჯვნივ კარიდან, მინასას თავს დაუქრავს და ეტყვის) მინასაჲ! გარჯისთვის მადლობელი ვარ, ბარემ ამ საქმეს ბოლოც მოუღლე.

მინასა. (პუბლიკას) ვა! მადლობა რას მიქვიან, ორმოცი თუმანი დაავიწყდა (ბარბარეს) რაც მე შენი გულისთვის საქმე მიქნია და, ის ჩემი სულისა იყოს ჰა! მაგრამ, ყველა კი ეხლავე უნდა ჩააბარო კნიაზსა, პირობა ისე მიმიცია. იმათი ხასიათი ხო გიღის, ბარბარე, თავადი ვურთიე.

ბარბარე. (მძიმეთ) აი, ღუნ აპრის, რო გიღიმ\*. ეხლავ მივცემ, როგორც იმან ნებას.

მინასა. (შუა კარს გააღებს და გასძახებს) კნიაზ დავით, მობძანდი, შენი კნეინაც აქ გახლავს.

ბამონავლა მირვა

იგინვე და დავით

დავით. (შემოვა შუა კარიდან, მინასა წინ სცენაზე მიიყვანს ბარბარესთან და თითონ შუაზედ ეფარება, რომ ბარბარე არ დაანახოს. მერე ბარბარე და დავით თავს წაიღებენ, ერთმანეთს შეხედვენ და პუბლიკისაკენ იტყვიან ორნივე: უჰ... რა ბებერია! (სიბებრით ორნივე სწუნობენ ერთმანეთს).

დავით. (მინასას) მინას პეტრუზიჩი! ძალიან ბებერსა ჰგავს.

მინასა. (ჩუმათ) დალოცვილო, ჯერ ჰალა ლამეა, ეგრე გეჩვენება.

ბარბარე. (მინასას უტრში) მინასაჲ, კნიაზი ძალიან ბებერსა ჰგავს.

მინასა. (ჩუმათ) ერთიც მამაცხოვნებულო, შენ უფრო ბებერი არა ხარ, პირში ერთი კბილი აღარა გაქვს.

დავით. (მინასას) მინას, მაშ დილაზედ დავათვალიერებ, ეხლა კარგათ ვერ ვარჩევ.

მინასა. ერთი სად მიხვალ, დალოცვილო. ამდამ კარგი საათია, ბარემ მორჩი რაღა.

ბარბარე. (ჩუმად წასძახებს) არ გაუშვა, გეთაყვანე, ეგება კნეინა გავხდე.

მინასა. (დავითს) ერთი შემოხედე და, კნიაზო, წორეთ კეკლეცია ჰა. (ბარბარეს ჩუმათ) შენ თავი იქით მიიღე, სახე არ დაანახო (თითონ შუაზედ ეფარება. მერე დავითს) ღმერთმა ყოველი ჩემი მოკეთე მისცეს ამისთანა ცოლმა, ძალიან კარგია და, კნიაზო.

დავით. რატომ აქათ არ იყურება, სახე დაუნახო.

მინასა. ახარ, კნიაზო, მორცხვია. ჯერ ერთი დაქორწილდი და მერე ამტელი უტკირე, სანამ მოგწყინდეს (ბარბარეს) ბარბარე, წადი დროშეები გაიტყუმრე, კარწინ დგანან.

ბარბარე. (მივა, ფულის ყუთს გააღებს, ფულებს ჩხრიალს დააწყებინებს. მერე ისევ დაჰკეტს და გავა შუა კარიდან).

მინასა. (დავითს) ხედამ, კნიაზო! რამტენი ფულება აქვს და!

\* შენა სიცოცლემ, რომ ვიცი. (სომს.).

დავით. (იწევს კარებისკენ) არა, შვილო, მილიონიც რო ჰქონდეს, მე მაკას არ შევირთამ, ძალიან ბებერი ყოფილა, პირში ერთი კბილი აღარ ეტყობა.

მინასა. ვა! ცხენი ხომ არ არის, კბილი გაუშინჯო. ბებერი უფრო კარგათ არ მოგივლის? (სიცილით) არც შენ ბძანდები ყმაწვილი.

დავით. არა, შვილო, არ მინდა, ხელს არ აიღებ? გინდა ჰქირი ამკიდო? (იწევს წასასვლელად).

მინასა. (ეხეწეწება). კნიაზჩან! ჩემი გულისთვის შეირთე, ჩემი ცოლშვილი ნუ დალუპამ, ექვსი ქალის პატრონი ვარ. თუ ღმერთი გწამს, შეირთე, ერთიც, ეგები ჩემი ფულები გავასალო.

დავით. (ხელს ჰკრამს მინასას და გაჯავრებით) დაიკარგე იქით ვილაც ოხერი ხარ. არ შევირთამ მეთქი, არ გესმის?

მინასა. ბას არ შეირთამ? აბა ვნახოთ თუ არ შეირთამ. მაშ ჩემი ფულები საიდან უნდა ავილო. ხეალვე კარმავოი! წარვადგენ და ციხეში ჩავსომ. (გაბრუნდება უკან და ხელებით რალაცას ლაპარაკობს ჯავრობით).

დავით. (ცოტა ხანს დაფიქრდება, მერე წინ მივა სცენაზედ და პუბლიკისაკენ ამბობს) მართლა ამ კვდარძალმა მოხუცებულ კაცი რო შემარცხვინოს და დამაჰერინოს, მერე რალა უყო. ეჰ! ჯანი წაუვიდეს თუ ბებერია, ფული ბევრი აქვს, შევირთამ, რიგზედ მაინც მამივლის. ჰამ კარგათ ვიცხოვრებ, შეძლების პატრონი ვიქნები (მინასას) მინას პეტრუხიჩ! დაუძახე ბარბარეს, რეკომენდაცია გვიყავი.

მინასა. (მივა და ეტყვის) რო გებნებო, კნიაზო, ხეირი არის მეთქი (პუბლიკას) ძლივს არ მოუფროვე თავში ჰქუა (მივა, მარჯვნივ კარს გააღებს და გასძახებს) ბარბარე!

ბარბარე. (იქიდან ხმას მოსცემს) ჰამე.

მინასა. (ეტყვის) აჰ მოდი (კარებში რო შემოვა, მოჰკიდებს ხელსა, დავითს ჩაბარებს და ეტყვის) აჰა, კნიაზო, ჩამბარებია ლამაზი, შეენიერო, მდიდარი, თაიგული. ღმერთმა შეიღობაში მოგახმაროს.

დავით. (ხელზედ აკოცებს ბარბარეს და ეტყვის) კეთილი იყოს ჩვენი დანიშენა.

ბარბარე. მადლობელი გახლავართ თქვენი დიდობისა.

მინასა. (ბარბარეს) ბარბარე, შნორაუილია. (ყურში ჩასძახებს) ამა ქარსუნ თუმან ჩი მორანას ჰა\*.

ბარბარე. შნორაკალიმ, მინასჩან (ჩუმათ ყურში) ჩი მორანამ\*\*.

მინასა. (დავითს) მოგვილოცამს, კნიაზო. (ჩუმათ ყურში) მაგრამ (ექვსს თითს მიუშვერს და ექვსას თუმანს მოაგონებს) ჩვენ რომ ვიცით, ის არ დაგავიწყდეს.

დავით. გამდლობ, ჩემო მინას (ჩუმათ ყურში) მახსომს, არ დავივიწყებ.

მინასა. (დავითს და ბარბარეს) ბას, ზითვიან პირობის წერილი დავწერამ რალა.

დავით და ბარბარე. (ერთად ეტყვიან) ძალიან კარგი იქნება.

მინასა. (დაქდება სტოლთან, აიღებს კალამსა და სწერს პირობის წე-

\* მადლობა თქვი. ჰა, ორმოცი თუმანი არ დავივიწყო.

\*\* მადლობელი ვარ. არ დამავიწყდება.

რღსა. მინამ ეს დასწერს. მანამდისინ დავით და ბარბარე ერთმანეთთან ლაპარაკობენ დაბლა. მერე მინას ადგება და ეტყვის) აბა, გამოგონეთ, წაგიკითხოთ (ისინი ყურს დაუტყდებენ და ეს უკითხავენ) ჩუ... ამთენი წელსა, აპრილს... ამონი დღესა. ეს პირობის წერილი გაძლევ მე ბარბარე თულუხნიანთი. შენ დავით კნიაზი, იმიტომა რომა, რაც საწყალი ცხონებული ჩემი ქმარი ჩემოვინ გაუშო. სულ შენ დავით კნიაზს მოგართვი, ემე თუ ვექსილებმა, თუ ზინათმა ერთყალმათ რაც ცხონებულის დავთარში წერია, სუყველა და სახლის კუპჩიაცა (ეტყვის ორივეს) კარგია?

დავით და ბარბარე. (ორივე ერთად ეტყვიან) ძალიან კარგია.

მინასა. (ბარბარეს) მოდი, ხელი მოაწერე და ყველა ჩააბარე.

ბარბარე. (მივა, ხელს მოაწერს და მერე დავითს ეტყვის) მობძანდი, კნიაზო, ჩაგაბარო (მიიყვანს დავითს, გაუღებს სკივრსა და უჩვენებს) აი, კნიაზო! ეს ფულები. ეს ვექსილები, ეს ზინათი და ესეც სახლის კუპჩია, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს (დაჰკეტავს სკივრსა და გასაღებს მისცემს დავითს) აი, ეს გასაღებიც. ამ წერილსაც დავამტყიცებინებ და მინას პეტრუხინის ხელით მოგართმევ.

მინასა. (დავითს) ააშენოს, ვა! რალა იცქირები, არ გეყოფა? ერთიც სანთელი მოანთე, კიდენ დარჩა რამე?

დავით. (სიცილით) ვინ რას ამბობს? მადლობელი ვარ (ბარბარეს) მაშ მე წავალ, მოვეშხადები. თქვენც მოემზადეთ და ჭვარი დაეწეროთ. მაგრამ, უნდა კი ვიწვიოთ ვინმე, ბერის მოყვრების პატრონი ვარ.

ბარბარე. თქვენი ნებაა, ვისიც თავი გინდა, ყველა მოიტანე (ერთმანეთს თავს დაუკრავენ და გავლენ. დავითი შუა კარით და ბარბარე მარჯვნივ კარით. დარჩება მარტო მინას).

მინასა. (პებლიკას) ეს ნიშნობა კი მოვახერხე, მაგრამ ჯერ ჰალა ჩემი ფულებმა ისევ ჩქქამშია. წავიდე ერთი ქორწილისთვის რამე ვაქნევირო, რო დროზედ მოვრჩე. მაგრამ, ბებერი პატარძალი რო თამაშაში კაბახე ფეხი დაიდგას და წაიქცეს. მე დავი არ მექნება ჰა! მერე თუ თავიც გაიტეხს! (გავაწეა კარიდან და ფარდა დაეშვება).

## მოქმედება მეორე

### ბაზოსვლა პირველი

(ღარჯა ახლდება. ყველა არის მსვენებული დივანზედა ნაღლიანის სახით. მერე, ცოტა ხან უნან აწიოილებს და გულდაწუარი ამბობს პებლიკისაკენ)

კეკელა. თქვენი პირიმეთ, ძალუასაგან ეს ვის დამართებია, რაც მე მამდის. თითონ კნინა ხდება, ჩემი დოვლათი სულ იმას მიაქვს და მე ძალას მატანს, ერთი ვილაც ოხერი ნუხელი ჩინოვნიკია, ის შეირთეო, ილიკოს მაკარგვინებს! (გამწარებით) თავს მოვიკლავ და ილიკოს კი არ დავჰკარგავ. მარტო იმასთან ერთი ლაპარაკი მთელს ნუხათა ღირს (შემკრთალი) რა ვჰქნა, გენაცვალეო. ამას რას მიშვრება (დაიძახებს) ვაი.. გული მიწუხდება. ილიკოჩან, ნუკავი მალე მაინც მოხვიდლოო, რომ მიშველო (მიესვენება დივანზედ და გული მისდის. ამ დროს ილიკო შემოვა უეცრად შუა კარიდან, შემუფოთებული მივიადება კეკელას და ეტყვის).

ილიკო. კეკეჩან, ეგ რა ამბავია შენს თავსა, შენი პირიმე. გული მოიბრუნე, გეთავყვანე, აი, მე ვარ, კეკეჩან! შენი ილიკო, შენთან ვარ, გეთავყვანე. ნუ გეშინიან.

კეკელა. (ცოტათ თავს წამოიღებს და ეტყვის) ვაი... ილიკოჯან, შენა ხარ? (ისევ გული მისდის და დივანზედ მიესვენება).

ილიკო. კეკეჯან, შენი ჭირიბე, ნუ მომკლავ, მე ვარ. შენი ილიკო, გამოერკვიე გეთყუანე. ნუ გეშინიან, ღმერთი მოწყალეა, შენს თავს ვერაფერ წამართმევს.

კეკელა. (ნასათ თავს წამოიღებს და ამოხვრით ეტყვის) რადგან შენ განახე, ახლა თუნდა მოვკვდე, არ მენაღვლება (ამდროს მინასა შემოიპარება შუა კარიდან და ყურს უგდებს).

ილიკო. (გაჯავრებით) როგორ თუ მოჰკვდე, მამაჩემი ნუ წამიწყდება (ხანჯალზედ ხელს დაიდებს) ამ ხანჯლით სულ დაველეტამ შენს წინააღმდეგებს! ვაი შენ, ჩემო თავო, თავი ცოცხალი რაღათ მიხნდა, რომ საყვარელი დამიჩაგროს ვინმემ... უჰ... მგონია, იარალის ხმარებაში პაპაჩემს გორჯასპს მამს-გავსებდნენ. ღმერთს გეფიცები, აქაურობას სულ მტერს ავადენ.

მინასა. (ცოტა წინ წამოდგება და ილიკოს ეტყვის) ოჰ, კნიაზო, მერე თუ მშრალი მიწაც არის, რა კორიანტელი ავარდება.

ილიკო. (უეცრად ხანჯალს ამოიღებს და შეუტრეხს მინასას) აი, შენ! - მეხო, ეს სულ შენი საქმეა. ეხლავ თავს გაგაგდებიან.

მინასა. (დაიღრიალებს) ჰაა კნიაზო, მამა გიცხონდება, ნუ მამკლამ. როგორც შენ გინდა, ისე ვიქ.

კეკელა. (მივარდება, მკლავს დაუჭერს და ეტყვის) ილიკოჯან! გეთყუანე, მაგისტანა საქმეს თავი დაანებე. ხათაბალაში არაფერში გაება და ამითი უფრო არ მომკლა, ისევ სხეანაირათ ვეცადნეთ.

ილიკო. როგორ, თავი დაეანებო? (ხელს მიიშვერს მინასაზედ) ეგ ჩემი ხელისგან მოსაკლავია!

მინასა. კეკელ! კეკელ! ქუ მატალ, ერთი ხანჯალი ჩაადებიანე, არ მამკლას.

ილიკო. (სიცილით) მაგ სულთამხუთავს დაგიფთხოვ მე შენა!

მინასა. ერთი კარგი, მამა გიცხონდება, კნიაზო, რა ხუმრობაა. ერთიც კისერში მოგერტყა და, ზედ მუწუჯი ჩქონდა. ვაშინვე კი გასკდებოდა ჰა!

კეკელა. კარგი, გეთყუანე, ილიკო, გული დაიმშვიდე. აი, მინას პეტრუზიჩსა ვკითხოთ, ყველას გვეტყვის, როგორც საქმეს გაუვლია. (მინასს) მინას პეტრუზიჩ! დაბძანდი, გვიანბე.

მინასა. ვა, რა დავბძანდე, ხანჯალი ღია აქვს.

კეკელა. ნუ გეშინიან, არ გერჩის.

მინასა. ვა, გიყი ქართველია, ერთიც იალბუზის ქვეამ<sup>16</sup> მოურბინა, მამკლა, მერე სად უჩივლო? ჯერ ხანჯალი ჩაადებიანე, მერე დაეჯდები.

კეკელა. (სიცილით) ილიკოჯან, ხანჯალი ჩააგე, გეთყუანე (ილიკო ხანჯალს ჩააგებს და კეკელა მინასას ეტყვის) აი, ახლა დაბძანდი, გვიანბე (დახს-ლებიან ყველანი).

მინასა. მამაჩემი მიცხონდება, მე წორეთ გითხრამთ, დავიდარაბის თავი არა მაქვს (კეკელას) შენი ძალუა დავით კნიაზი ირთამს, რაც იმენიე აქვს, სულ იმან აძლევს, ფულეზიაცა აი, მე და ჩემმა ღმერთმა, წერილიც დაუმტკიცებია.

კეკელა. მამ მე იმის ანგარიშიში წილი არაფერში მაქვს რალა!

მინასა. შენთვისაც დასდო.

კეკელა. (სიცილით) მერე, რა დასდო?

მინასა. სამასი თუმანი.

კეკელა. სამასი ღუმანი რას მიქვიან. ზედ შუაზედ გაუყოფ ქონებასა (პუბლიკას) თქვენი ჭირიმეთ. მამიჩემის ნაამაგვეს რას მემართლებიან (მინასას) ვითომ შენა ხარ მოსამართლე — არ მერგება?

მინასა. ერთიც დავიდარაბაში ჩამაგდე, завтры, послезавтры<sup>17</sup> გინდა მასწავლო. მამოშენისა შენ როგორ არ გერგება, მაგრამ, ახარ, მე რა ექნა, მე ხომ მოსამართლე არა ვარ.

ილიკო. სამართალს მივცემ მე იმასა, აბა და ვინც კაცია, აქედან ფულებს წაიღებს.

მინასა. (ადგება და პუბლიკას) მე რო გხვდამ და, ჩემი ფულებმა კიდევ კონკრუსუსი ვარდება ჰა! ერთი მოვახერხო რამე (ელიკოს) კნიაზო, ახარ ჩხუბი რა კარგია, დავითთან ილაპარაკე, იქნება, ემე, შუაზედ გაგიყოს ქონება.

კეკელა. შენმა გაზდამ, ილიკო, სწორეთ ისე სჯობია დავითთან მოვილაპარაკოთ, თავადის შვილია. არ შეიძლება იმაში კეთილშობილება არ იპოვებოდეს, უეჭველად უშფოთრათ გაგიყოფს ქონებასა.

ილიკო. ძალიან კარგია, მაგრამ, აბა, ვინ დაუძახებს დავითსა ?

მინასა. მე ეხლავე გამოვგზავნი, მაგრამ გიყურათ კი ნურაფერი ელაპარაკებო ჰა! თორემ ისიც ერთი გიყი ვინმეა ჰა! (გაღის მინასა და კარებთან რომ მივა, მოუბრუნდება ილიკოს და ეტყვის) ბარბარე არაფერი გააგებინო ჰა!

ილიკო. შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, არაეინ გააგებინებს (მინასა გაეა).

კეკელა. (ილიკოს) ილიკოჯან, ვსთქვათ თანხმა არ გაგვიხდა, შენი ჰაზრი არის?

ილიკო. ჩემი ჰაზრი ეს არის: დოვლათს ჩემის ძალით გავპყოფ და მერე ჭვარი დავიწეროთ. წავიდნენ და მერე საცა უნდათ, იქ მიჩივლონ.

კეკელა. მეც მაგაზედ თანახმა ვარ, სწორეთ ეგრე უნდა ავასრულოთ (მიხედავს შუა კარისაკენ) აი, ილიკო, ფენის ხმა ისმის, იქნება დავითი იყოს. აბა, მიდი, კარი გაუღე (ილიკო მივა, კარს გააღებს და შემოდის დავით).

## გამოსვლა მეორე

### იგინეე და დავით

ილიკო. (დაუხედება დავითს კარებში და შემოიწვევს) აა... კნიაზს ვახლავარ. მობძანდით, კნიაზო, მშვიდობით ბრძანდება თქვენი ბრწყინვალეობა? (კრესლაზედ მიიწვევს) დაბძანდით, თქვენი ჭირიმე (დავით რომ კრესლაზედ მივა დასაჯდომათ, კეკელაც ფეხზე ადგება და თავს დაუკრავს, მერე ყველანი დასხდებიან).

დავით. (ორივეს თავს დაუკრავს და მოიკითხავს) როგორ მშვიდობით ბრძანდებით, თქვენი მშვიდობიანობა მიამება, მამაჩემი ნუ წამიწყდება.

ილიკო და კეკელა (თავს დაუკრენ) გმადლობთ, კნიაზო. (მერე ილიკო დავითს) კნიაზო, თქვენთან ერთი სათხოვარი გვაქვს, უნდა აგვისრულო.

დავით. მიბძანეთ, თქვენი ჭირიმე, რა გახლავთ?

ილიკო. აი რა გახლავთ, თქვენი ჭირიმე: ახალგაზრდა ქალ-ყრმათ სიყვარული მოგხსენებათ თუ რა სასიამოვნო არის. ჩვენ ერთმანერთი გვიყვარს, გვინდოდა ჭვარი დავეწერა, მაგრამ, ბატონო, ამისმა ძალუამ (კეკელაზედ ხელს მიიშერს) საშფოთრად გაგვიხდა საქმე: ვითომც, თავის ჭკუაში, დოვ-



ლათს ხომ ართმევს ამასა (კეკელაზედ უჩვენებს), ბატონო, თითონ ამასაც მართმევს და ერთს ვილასაც ნუნელს ჩინოვნიკს აძლევს. აბა, იმისგან როგორ წავირთვია, თქვენი ჭირიმი, ან რა სამართალია! მე ვგონებ, ცოლ-ქმრობა ერთ-მანეთის სურვილით და თანხმობით იყოს. ქალს აღარ აცდის? ან დოვლათს რას ემართლება? (კეკელაზედ ხელს მიიშვერს) ამის მამა და იმისი ქმარი ძმები იყვნენ, ერთათა აქვსთ დოვლათი მონაღვაწები. თავათ სულ ამას ეკუთვნის, ამის მეტი მემკვიდრე არავინ არის, თუ არა და ნახევარს რას ემართლება! არა, რიგი არ არის, მამათქვენი ნუ წავიწყდებათ?

და ვ ი თ. თქვენმა მზემ, რიგიც არის და სწორეთაც ეკუთვნის.

ი ლ ი კ ო. მაშ სათხოვარი აგვისრულე, მამათქვენი ნუ წავიწყდებათ. შევიტყე, რომ ბარბარეს თქვენ ირთავთ და ჩვენი მშვიდობით მორჩენა თქვენი საქმე არის. ნუ ინებებთ, რომ ჩვენში სისხლისღვრა მოხდეს.

და ვ ი თ. (ამოოხვრით) ეჰ! რა ვქნა, ძმაო, სიღარიბე ძნელია, ვალები დამატყდა, თორემ რაღა დროს ჩემი ცოლია, მერე იმისთანა ბებერი.

ი ლ ი კ ო. შეირთეთ, რა მენაღვლება, მაგრამ, იცოდეთ, კნიაზო, ქონება კი უნდა შუაზედ გაეიყოს, თორემ შფოთი მოგეიხდება.

და ვ ი თ. რა გაქვს საშფოთარი? (კეკელაზედ ხელს მიიშვერს) მაგის მამის ქონებას რას ვემართლები. ხვალვე გაგიყოფთ შუაზედ, მამაჩემი ნუ წამიწყდება. რას ბძანებთ, გულს როგორ დაგწავთ. განა მე არა ვყოფილვარ ყმა-წყილი კაცი? თუ გნებავთ, მე თითონ მამათ გაგიხდებით და ერთად ვიცხოვროთ. თუმცა ბარბარემ ყოველი ქონება ჩემს სახელზე დაამტკიცებინა, მაგრამ, რადგანაც სინიღისი მაწვევს, რომ ნახევარი იმ ქონებისა თქვენ გეკუთვნით, თქვენთვის მამირთმევია.

ი ლ ი კ ო და კ ე კ ე ლ ა. (თავს დაუცკრენ) მადლობელი გახლავართ ეთილის მყოფელობისათვის.

და ვ ი თ. ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ერთმანერთს შეგაბეროთ (მერე მიიხედავს შუა კარისაკენ და იტყვის) რა ვქნა, ამ მინასამ რათ დაიგვიანა, მითხრა ეხლავ მოვალო.

ი ლ ი კ ო. აი, ფეხის ხმა ისმის, იქნებ ის იყოს.

გამოსვლა მინამი

იგინივე და მინასა

მ ი ნ ა ს ა. (შემოვა შუა კარიდან და გაშტერებული უცქერის იმათა. მერე პუბლიკას ეტყვის) ვა, ესენი ძალიან ჩუმათ არიან, მეგონა ხმლის ტრიალი ექნებათ, ახლო ვერ მივეკარები მეთქი (იმათ) მიკვირს ხმლებს არ ატრიალებთ და არა ჩხუბობთ.

და ვ ი თ. განათლებულ ხალხში ხმლის ტრიალი მოდა აღარ არის.

მ ი ნ ა ს ა. მერე, ვინ არის განათლებული?

და ვ ი თ. ჩვენა.

მ ი ნ ა ს ა. (პუბლიკას) ესტი მტიკ არეჟ\*. (დავითს) მაგან არ იყო (ილიკოზე ხელს მიიშვერს) წელან ხანჯლით ჩემი თავი კინაღამ ჭერში მიარტყა.

ი ლ ი კ ო. გეხუმრებოდით.

მ ი ნ ა ს ა. ვა! ის ხუმრობა იყო? (დავითს) ჩემმა მზემა და, თუ კეკელუას არ ჩაედებინა ნანჯალი, მაშკლამდა ჰა!

\* ერთი ამას დამიხედეთ.

დავით. (სიცილით) კარგი, რაც მოხდა, ამ ჩვენს საქმეს ბოლო მოუღოთ. მიწასა. აი ვა! როგორც თქვენ ვინდათ, ისე ვიქ.

დავით. აი, მე ესე მინდა. ჩემი ქორწილი მერე იყოს (ხელს მიიშვერს ილიკოსა და კეკელაზედ) ჯერ მინდა ამათ დეწერო ჯვარი და ქონებაც შუაზედ გაუყო, დაეხსენ. ამით გაიხარონ, ახალგაზრდები არიან.

მიწასა. მერე, ბარბარე ყაბულობს?

დავით. შენ რა გენაღვლება, წერილი ჩემთან არ გამოგატანა? მოიტა, მამეცი, მე ვიცი და იმანა.

მიწასა. (გაშმაგებით) ვა! წერილი რო მოგცე ჩემი ფულები ვის ვთხოვო?

დავით. მე მოვართმევ.

მიწასა. მაიტა, მამეცი რალა, დენგი ნა სტულ.

დავით. არ მენდობი? პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ მე მოვართვა, მიწასბევ.

მიწასა. (პუბლიკას) პლუტ ვრაცუა ჰა! სახელი მიპტყელებს, რა არის წერილი დამტყუოს. რა კაცია, ჯერ ჰალა ამისი ვექსილებმა ხო დიდი ხოდი აქვს და, სიტყვა! მითამ ბანკის ბილეთია რალა (დავითს) მაიტა, მაძლევ, ხელდახელ მამეცი, მე დავიდარაბის თავი არა მაქვს, თუ არა, ეს წერილი ისევ ბარბარეს წაუღებ ეხლავ, იმან მამცემს ფულები (მიდის).

დავით. დაიცა ერთი, კაცო, სად გარბი, ეხლავ მოგცემთ.

მიწასა. მაიტა, მამეცი, მე წაეალ, თქვენ იციოთ და ბარბარე. მე დავიდარაბის თავი არა მაქვს.

დავით. წერილი ხო შენა გაქვს, ძმაო, ეს სკიერის გასაღებიც შენა გქონდეს, სანამ შენი ფული არ მოგცემთ, ნუ დაგვანებებ (გაჭავრებით) შენგან ხო დაცდა არ იქნება, შვილო, ფულები მამაშენ პეტრუშას გირჩევიან.

მიწასა. ახარ! რატომ არ მიჩრჩევიან. იმან კვდარია და ფულებმა ცოცხალია. ერთიც, დალოცვილო, რო წყინულობ, ვალი არ მისცემ?

ილიკო. კარგი ერთი, ურისავით ნუ ღიჯინებ! სულ რაერთი უნდა მოგცემ?

მიწასა. ვა! ახარ რას ჯავრობ? ჩემი გთხოვთ, თქვენი ხომ არა. ერთიც, მგონი ზურგი გტყენიათ მაგ ფულების მოგროვებითა ჰა! რაც გრჩებათ, არ გეყოფათ, თათრისა არ იყოს მუქთა დეგმას? (დაბლა) აი, კნაზო! ექვსასი თუმანი ჩემი კაპიტალია, ორასი თუმანიც იმის პრუცენტია, ეს რვაასი თუმანი. ორმოცი თუმანიც ბარბარე სამაქანკლოს დამპირებია, სულ გახდება რვაას ორმოცი თუმანი.

დავით. ეჰ! კარგი ერთი მამა გიცხონდება. სამაქანკლოს თავი დაანებე, რვაასი თუმანიც გეყოფა.

მიწასა. (პუბლიკას) ვა, გიჟე! (დავითს) მეყოფა რომელია. მე და ჩემმა ღმერთმა, წორეთ დამპირებია. თუნდა ბარბარეს ვკითხოთ (მივა მარჯვნივ კარებთან და გასძახებს) ბარბარე აქ...

ილიკო. (მივარდება და პირზედ ხელს დააფარებს) სუ, შე კვდარძალო, მოგცემთ, მოგცემთ.

მიწასა. ვა! ახარ, რა ვქნა, რომ არ მიჯერებთ, არა ვკითხო?

დავით. კარგი, კარგი, დავიჯერებთ, წადი, ვექსილი მოიტანე, ფულები მოგცემთ და ქორწილშიაც გვეწვიე. სხვა რალა გინდა, შვილო.

მიწასა. ვა! ვინ რამე ამბობს (პუბლიკას) კნაზები ოხერი ფული ჩაიდებს ხელში, მგონია და! ერთ თვეზე ერთი უშველებელი აქლემი გააკეთონ ჰა,

მაგრამ მე ჩემი ფულები გავასაღო დარდი მაქვს. კნიაზებს) კნიაზებო, თუ საყიდელი გინდოდეთ რაში, მე იაფათ გიყიდით. სხვები მოგატყუებენ (თავს დაუკრამს და გავა 'შუა კარიდან).

და ვ ი თ. (ილიკოს და კეკელას) თქვენ წაბძანდით, ქორწილის მზადებაში შედით, მეც ბარბარესთან მოვილაპარაკებ და მერე მეც მოვემზადები საქორწილოთ. გამოგივლით თქვენა, წავიდეთ და ბარემ, ხარჯი იქნება, ორივემ ერთათ დავიწეროთ ჟვარი.

ი ლ ი კ ო და კ ე კ ე ლ ა. (ადგებიან და თავს დაუკვრენ) მადლობელი გახლავართ (გავლენ 'შუა კარიდან).

გამოსვლა ნიონთა

დავით და ბარბარე

ბ ა რ ბ ა რ ე. (შემოდის მარჯვნივ კარით საქორწილოდ მორთული, დავითს თავს დაუკრავს და ეტყვის) კნიაზო, რა ხმაურობა იყო, აქ ვინ იყვნენ? უთუოთ მაყრები იქნებოდნენ. (გაკვირვებით) თქვენ რატომ არ მორთულხართ საქორწილოთა?

და ვ ი თ.!. (შეკმუნვით) ეჰ!.. დამეხსენ ერთი, რა დროს მორთვაა, ჯავრით აღარა ვარ.

ბ ა რ ბ ა რ ე. შენთან ჯავრს რა ხელი აქვს, ჯვარი გეწეროს.

და ვ ი თ. რაღა რა ხელი აქვს, შე დალოცვილო, მაშინვე შემატყობინებდი თუ მაზლის ქალი გყვანდა.

ბ ა რ ბ ა რ ე. მყვანდეს, მერე რა არის?

და ვ ი თ. რაღა რა არის. იმას და ერთს ყმაწვილს ერთმანერთი ჰყვარებიან, ცოლქმრობის პირობა ჰქონიათ. ახლა თურმე შენა შენს მაზლის ქალსა დოვლათს ხომ ართმევ, თითონ იმასაც ერთს ვიღასაც აძლევ. აბა, ეს სადაური წესია. ექამდინ აქ იყვნენ და ტიროდნენ, იმათმა ცოდომ დამწვა.

ბ ა რ ბ ა რ ე. რა დროს ეგ არის, ჩვენ ჯვარი დავიწეროთ, იმან ვინ აკითხებს, ვისაც მინდა მივცემ.

და ვ ი თ. ახირებულა თქვენმა მზემა, იმის უნებურათ როგორ მისცემ? ეგ წესი არ არის! მიეცი თავისი წილი, რას ემართლები, ჩემთვის არ გინდა მოსაცემად, მე თანახმა ვარ, მიეცი.

ბ ა რ ბ ა რ ე! ეჰ!.. რას ბრძანებ. კნიაზო! ერთი გროშიც არ მივცემ. უნდოდეს სამასი თუმანი წაიღოს, თუ არა და წავიდეს საცა უნდა, ქონება სულ ჩემია.

და ვ ი თ. შენ რომ არ მისცემ, მე მივცემ.

ბ ა რ ბ ა რ ე. მერე საიდან მისცემ?

და ვ ი თ. ამ სახლის ქონებიდან, თითონ ამ სახლებსაც იმათ მივცემ.

ბ ა რ ბ ა რ ე. შენი რა არის, რომ მისცემ?

და ვ ი თ. შენგან მოცემული წერილის ძალით ჩემია.

ბ ა რ ბ ა რ ე. როცა კნეინი გავხდები, მაშინ იქნება შენი, წინდაწინ რათ იქნება.

და ვ ი თ. იმათ კი წილი მიეცი და კიდევ კნეინა გახდი, ვინ გიშლის.

ბ ა რ ბ ა რ ე. შენ რა გენაღვლება, მე ვიცი და იმათა. უჩემოთ შენ რა დავი გაქვს, შენ როგორ მისცემ?

და ვ ი თ. შენ ავრე სთქვი და მე ვიცი როგორც მივცემ.

ბ ა რ ბ ა რ ე. (პუბლიკას) ხედამთ ჩემი მაზლის ქალუას კნიაზი როგორ

გადაურევია. ეს როგორ დაუთმო, სახლში დავარჩობ. (დავითს) კნიაზო, მე მკითხავი ავრე მითხრა, რომ შენ ჩემთან ჩხუბს იქმობდი.

დავით. მე მკითხავენბისა არა ვიცი რა. როგორც ვთქვი, ისე ავასრულე, მე უსვინდისობას ვერა ვიქ.

ბარბარე. კნიაზო, ქართველურათ ნუ გაგიყდები. მოდი, ჯერ ჯვარი დაეწეროთ, კნეინო გავხდე და მერე ვილაპარაკოთ. აგერ, სტუმრებიც მოვლენ, სირცხვილია, მომზადებული არ ვიქნებით.

დავით. რას როხამ, ვინ გაგიყებულა! არა, შენ ღმერთი გაქვს, ოთხმოცი წლის უედაცაი ქორწილს ებირები და ახალგაზდა ქალ-ყრმას კი გული გინდა დასწვა, საყვარელს აშორებ და ერთს ვილასაც ოხერს აძლევ!

ბარბარე. კნიაზის მზემა, ოხერი არ არის, თოროზოვია.

დავით. თუნდა თოროზა იყოს, თუნდა თოროზას გულა, მე როგორც ველაპარაკები. ისე შეასრულე, ბევრი ლაპარაკი არ ვიცი (იწვევს წასასვლელად).

ბარბარე (იჭერს) რო მიხვალ, სად მიხვალ, კნეინას არ მხდი? სულ წაგართმევ, რაც მოგეცი, თვალს მოგთხრი და ისე გავხდები კნეინა.

დავით. (გაჭავრებით) ჯანი გაგვარდეს, ბებერო ქოფაკო. გინდა კნეინა ჯახდი და რაც გინდა ქენი.

ბარბარე. (გაკვირვებით პუბლიკას) ეს რა ბიაბრუ ყოფილა! (დავითს) ჯანი გაგვარდეს, კუტრო კნიაზო, აბა ჯვარს ნუ დაიწერ, მიყურე რა გიყო, ეხლავ გიჩივლებ.

დავით. თავი ქვასა ჰქარ, წადი, საცა გინდა მიჩივლე (გავარდება შუა კარიდან საჩქაროთ).

ბარბარე. (მისდევს უკან ყვირილით) კნიაზო, აქ მობრუნდი, გეტყვი რასმე (მერე პუბლიკისაკენ მობრუნდება, ორივე მუხლებზე ხელს დაიკრამს და იტყვის) გენაცვალეთ, ეს რა მამდის, ვერც კნეინო ვხდები და დოვლათსაც მართმევენ! (მივა, ბიქს გასძახებს მარჯვნივ კარიდან) გიორგა, წადი ერთი მინასას დაუძახე, ჩქარა აქ მოვიდეს (თითონ მივა, დივანზედ მიესვენება ნაღვლიანის სახით და იტყვის) უიი იმ აჩქინ!\* (ამ დროს შემოდის მინასა გაჩქარებით).

## გამოსვლა მხუთი

### ბარბარე და მინასა

მინასა. (შემოვა შუა კარიდან და მივარდება ბარბარეს) ბარბარე, რა ამბავია?

ბარბარე. მინასჯან, მიშველე, კნიაზი გამგოყებია.

მინასა. ბას ნავთლულს გავგზავნოთ, გიყების ბალნიცაში<sup>18</sup>.

ბარბარე. არა აგრე კი არა, ჯვარს აღარ იწერს. მეუბნება, ნახევარი დოვლათი შენი მახლის ქალი კეკელუას მიეციო.

მინასა. (გაკვირვებით) ვა! იმან შენი დოვლათთან რა ხელი აქვს? (პუბლიკას) ვითომ მე არაფერი ვიცი.

ბარბარე. ეგ არ არის. აბა, რა ვქნა, მეტი ღონე არ არის, უნდა ვიჩივლო.

მინასა. მამაცხონებულო, ერთიც დავიდარაბა გახადე, გეტყვიან закон

\* ვაი, ჩემს თვალბს.

иету, სამოცდაათი წლის ზემოთ ქორწილი აღარ იქნებაო, ერთიც მიტრიაკა მოგთხოვონ, იქ შენ სამოცდაშვიდმეტი წლისა წერისარ.

ბარბარე. მამ რა უყო, წილი როგორ მიეცე. ჩემი ქმარი სულ მე დამიგდო თავისი დოვლათი და თავის ძმისაცა.

მინასა. ვა! ასე ვთქოთ, თავის დოვლათი მოგცა, თავისი ძმის დოვლათი შენ როგორ მოგცემდა.

ბარბარე. თავისი ძმამ თავისი დოვლათი სულ იმან აჩუქა.

მინასა. მერე, ანდერძის წერილი ჰქონდა?

ბარბარე. ძმები იყვნენ და რა ანდერძი უნდოდა.

მინასა. ბას შენი ქმარი რო შენ დაგიგდო, არც იმაზე გაქს ანდერძის წერილი?

ბარბარე. არა, სიტყვით მითხრა რო კვდებოდა, ჩემი და ჩემი ძმის დოვლათი სულ შენთვის მამიციანო, კეკელუა გაათხოვეო და სხვა სულ შენი იყოსო.

მინასა. (პუბლიკას) მე რო ანგარიშებს ვხედავ, ეს კნეინობიდან ცარიელი დაშრჩება. ვეცადო. როგორმე ჩემი ფულეები დავაძრო. (ბარბარეს) დალოცვილო, რესები ამბობენ сумага და сумагао. გეტყვიან, რაკი ქალაღლი иету, наследник кекелуа, твоа სამკედრო воаში და ступайо.

ბარბარე. არა, მინასაჲან, გეთაყვანე, უნდა მამიხერხო როგორმე, მეტი ღონე არ არის.

მინასა. ვა! დავიდარაბაში გავება? რა უნდა მოგიხერხო? მითხარ, გამიორიგეო, გაგიორიგე. მე ხო ღვდელმა არა ეარ, ჯვარი დაგწეროთ. თუ უიშისოთ არ გირთამს, მიეცი წილი კეკელუასა, მე რა ექნა, დალოცვილო. ერთიც მე შეგირთო, რო ექვსი ქალი შენ მიშობო, ღუეინი გამიხდეს. ჯერ ჰალო რაც მყავს, იმისი ხომ მადრიელი ვარ და! (ამ ღროს შემოვარდება შუა კარიდან მინასას ბიჭი პეტრიაკა და სწვდება მინასას).

პეტრიაკა. (სწვდება ყურზედ) ყური მამე, ალა, ყური.

მინასა. (გაკვირვებით) ვა! გაჯედი, ბიჭო (დაიყვირებს) პოლიცია. დერჯი იამუ.

პეტრიაკა. რავა გავგიყდი, შე უბედურო, ყური მამე, ყური (სწვდება ყურზედ) უშველებელი ბოფში გყავს.

მინასა. ვა! რას მიჰქარამ ბიჭო, მე ბუში ვინ მამცა!

პეტრიაკა. რა ბუში, ბლარი გყავს, აბა, ვერ გაიგე? მომე ყური (სწვდება ყურზედ).

მინასა. ტო, დაიკარგე იქით, ღარი რათ მინდა, რას მიჰქარამ?

პეტრიაკა. (პუბლიკას) სულელია უბედური, ვერა გავაგებე რა (მინასას) ალა, ვაჟი გეყოლა, ვერ გეიგე ახლაც. (სწვდება ყურზე) მამე აბა ყური!

მინასა. ვა! ბიჭო, ყური მეტკინა, ყური. (პუბლიკას სიხარულით) გეთაყვანეთ, ვაჟი მყოლია. ახლა ჩემი საქმე აქეთ მოდის. (ბარბარეს) შენი დავიდარაბის თავი არა მაქ. წაივდე ერთი ჩემი ცოლი ენახო. (პეტრიაკას) ბიჭო, შენთვის სამახარობლოთ ერთი ღორის საქალამნე მიჩუქებია (თითონ მიღის გასასვლელად).

პეტრიაკა. (თავს დაუტარამს) უკეთ ნუ ააშენა ღმერთმა შენი ოჯახი. (პუბლიკას) თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემს თავს, რომ ბოფში მთლა არ გავდეს მამამისს, ვინცლა რუსს გავს, ვინცლას.

ბარბარე. (აყენებს მინასას) მინასაჲან, ოლონდ ერთი კნეინო გავხდე

და ჯანი გავარდეს, მივცემ კეკელუს ნახევარ დოვლათს. ერთი კნიაზი მოიყვანე.

მინასა. ბას კარგი, შენ შიგნით ოთახში შედი, იქ მოიცადე. მე წავალ, ჯერ ერთი ჩემი ცოლი ვნახამ, მიულოცამ, მერე კნიაზი თან მოვიტან და მოვალ (გავა მინასა შუა კარით და პეტრიკაც თან გაჰყვება. ბარბარე გავა მარჯვნივ კარით).

#### ბამონცლა მემამსა

##### ილიკო და კეკელა

შემოვლენ ორივე ერთად. კლავი კლავს გაყრილი, მარცხნივ კარიდან. მოვლენ წინ სცუნაზედ, კრესლეზე დასხდებიან და ლაპარაკობენ.

კეკელა. ილიკოჯან, მე როგორღაც ეჭვი ავიღე, ვითომც ძალუაჩემი დავითს არიგებდეს, რომ ჩვენთვის არა მოაცემინოს რა. მართლა ერთი რო უარი გვითხრას, რაღა გვეშველება, ხელში არა გვიჭირავს რა. როგორც იყოს, ეხლავ უნდა ბოლო მოუღოთ ამ საქმესა, თორემ მერე გაგვიძინდებდა.

ილიკო. მართალს ანბობ. ღმერთმან იცის, ახლა ცუდი დრო არის, რა ვიცი, კაცის თვალი ხარბია, ერთი რო გადათქვას, მერე რაღა უყო.

კეკელა. წავიდეთ, დავითი ვნახოთ. თუ ეხლავ არ მოგვეცეს ჩვენი წილი ჭონება, ჭორწილი მოუშალოთ და, როგორც იყოს, ჩვენი წილი დოვლათი ეხლავ გამოვიტანოთ.

ილიკო. ძალიან კარგი იქნება (აღგებთან წასასვლელად).

კეკელა. ჯერ მოდი ერთი ნათლიაჩემი ვნახოთ, ჩვენი სახლის გარემოება იმან კარგათ იცის, ვკითხოთ და ისე მოვიქცეთ.

ილიკო. ეგ ყველას ჯობია (ყურს დაუგდებს შუა კარისკენ) კეკელი, ვიღაც მოდის (შემოდის გრიგოლ).

#### ბამონცლა მუხამიდი

##### ივინივე და გრიგოლ

გრიგოლ. (შემოვა შუა კარიდან და თავს დაუკრავს) ბატონებს ვახლავარ. (კეკელას) კეკელი, რასა იქ, როგორ მშვიდობითა ხარ?

კეკელა. გახლავარ, ნათლი, მინდოდი და ვნახე.

გრიგოლ. კეკელი, მე შევიტყუე, შენ ჭორწილს ეპირები. ერთი რატომ არ შემატყობინე? (მიხედავს ილიკოს) ეს ყმაწვილი ვინ ბძანდებდა, თქვენი საქმრო ხომ არ არის?

კეკელა. (გაწითლდება, სიცილით და მორცხვობით) რა მოგახსენო.

გრიგოლ. რო გეცინება, უთუოთ ის იქნება. (ილიკოს) კითხვისათვის უკაცრათ არ ვიყო, თქვენ ვინ ბრძანდებით?

ილიკო. მე გახლავარ, შენი ჭირიმე, თავადი ილიკო გურგენიძე.

გრიგოლ. ჰო, სწორეთ თქვენ ბრძანებულხართ ჩემის ნათლულის საქმრო, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა კეკელას ბედნიერება, კეთილი იყოს, ყმაწვილო. (ხელს ჩამოართმევს) ღმერთმა ერთმანეთს შეგაბეროთ.

ილიკო. მადლობელი ვახლავართ, შენი ჭირიმე, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

გრიგოლ. კეკელი! ერთს მკითხავდი, შე დალოცვილო, თუ ჭორწილს ეპირებოდი, შენი მტერი ხომ არა ვარ!

კეკელა. დანაშაული საქვს, ნათლი, მაგრამ ჯერ საქმე საქმეზე არ მომეყვანა, იმისთვის ვერ შეგატყობინე და, არც თუ აქ მეგონეთ თქვენა.

გრიგოლ. ვერ შემატყობინე რომელია, ერთი მიკითხამდი, იქნება კი აქ ვიყავი, აბა შენ თავად რა იცი, ჯერ ყმაწვილი ხარ. რომ ქორწილები, აბა რა მიგაქვს მზითვადა?

კეკელა. თავი რომ მოუყვდეს ძალუაქემსა, ნახევარ ქონებასა ესთხოვ და იმაზედაც მაწვალბს.

გრიგოლ. მერე ნახევარს რათა სჯერდები? ქონება სულ შენ გეკუთვნის. (პუბლიკას) ეს გაგიგონიათ, კაცმა თავისი დოვლათი თითონ დაჰკარგოს?

კეკელა. აბა, როგორ, ნათლი! დავას სომ არ გამოუდგები, ჭანი გავარდეს, თავის ქრმის დოვლათი იმას ჰქონდეს და მამიჩემის დოვლათი მე მომცეს.

გრიგოლ. ჰქონდეს რომელია, ერთი არა მკითხამ? მამიშენის დოვლათი ხომ შენია, ბიძაშენმაც თავისი წილი ქონება შენ გაჩუქა, ანდერძის წერილი დაამტკიცებინა შენს სახელზედ და მე მამაბარა. ეს არც მამაშენმა იცოდა, ამიტომ რომ ის საწყალოც ხომ ერთს კვირაზედ ძმას უკან გამოუდგა და მეც აქ შევესწარ, რომ იმისთვის შემეტყობინებინა, და არც შენ გითხარი, რომ მინდოდა ისე უეცრად მომეხარებინა და ყოველი დოვლათი შენთვის ჩამებარებინა ძალუაშენის გაუგებლევ.

ილიკო და კეკელა. (სიხარულით) მართლა, ნათლი, გეთაყვანე? (მოხევევიან და აკოცებენ).

გრიგოლ. მართლა, თქვენმა მზემ. აი, ბატონებო, ჩემსას წამობძანდით, გიჩვენოთ ანდერძის წერილი და, სანამ ბარბარეს ჯვარი დაუწერია, მინამ ეტყვანეთ, თორემ მერე საქმე გაგვიძნელდება (გავლენ სამოვენი ერთად შუა კარიდან).

## გამოსვლა მირვა

მინასა და დავით

(შემოვლენ შუა კარიდან)

მინასა. აი. დაბძანდი, კნიაზო, დივანზედ. ბარბარეც დაუძახებ (დავით დაჯდება, მინასა მივა და მარჯვნივ კარიდან გასძახებს) ბარბარე!

ბარბარე (ყულისიდან ხმას მოსცემს) ჰამე!

მინასა. კნიაზი მამიტანია, შერც აქ გამოდო, ბარემ მორჩეს საქმე, ჯვარი დაიწერეთ.

ბარბარე. ეხლავ გიახლები, მინასკან.

მინასა. (მივა შუა კართან, ყურს დაუგდებს და ეტყვის დავითს) კნიაზო, მგონია სტუმრები მოდიან (სტუმრები გაალებენ შუა კარს და შემოდიან ერთათა).

დავით. (მიეგებება კარებში და ეტყვის) მობძანდით, ბატონებო, თქვენი ჳირიმი, დაბძანდით (დავით და მინასა მიართმევენ სკამებსა და დასხდებიან).

სტუმრები. (ბარბარე შემოდის საქორწილოთ მორთული, სტუმრები ფეხზედ აუდგებიან, თავს დაუქვრენ და ეტყვიან) მოგვილოცავს კნინობა, ღმერთმა ერთმანეთს შეგაბეროთ.

მინასა. (პუბლიკას) ვა! რალა დაბერება უნდათ. ბებრები არიან და ბებრები!

ბ ა რ ბ ა რ ე. (თავს დაუქრამს სტუმრებსა) მადლობელი გახლავართ, ბატონებო (მოუჭდება დავითს გვერდზედ და ყველანი დასხდებიან).

მ ი ნ ა ს ა. (დავითს) კნიაზო, რალას ელი, ბარემ ჭვარი დაიწერე რალა, წავიდეთ საყდარში, ერთი გული დავიამო.

და ვ ი თ. მოიცა, ილიკო და კეკელაც წავიდნენ მოსამზადებლად, ისინიც მოვიდნენ და ერთათ წავიდეთ.

მ ი ნ ა ს ა. ჩვენ რომ წავალთ, იმათ გზიდან შევატყობინებ, მოვიდნენ საყდარში.

და ვ ი თ. არა, მაინც ბიჭი გამიგზავნია ეკლესიაში, შეიტყოს, ღვდელი იქ არის თუ არა.

გ ი ო რ გ ა. (შემოვა შუა კარიდგან) ბატონო, ღვდელმა მოგახსენათ, მობძანდით, საყდარში გელითო.

და ვ ი თ. მაშ ჩვენ წავიდეთ (მინასს) მინას, შენ ილიკოს შეატყობინე (ბარბარეს ხელს მოკიდებს, მიჰყავს და ყველანი თან მისდევენ. შუა კარებთან მივლენ. უეცრათ გარედან გაალებენ კარებსა და შემოდინ: კვარტალნი, დესეტნიცი, ილიკო, გრიგოლ და კეკელა).

### ბამოსვლა მეცხრე

#### ერთობით ზემონსენებულნი

კ ვ ა რ ტ ა ლ ნ ი. ბატონებო. მოითმინეთ, თქვენთან საქმე მაქვს.

ს ტ უ მ რ ე ბ ი. (გაჰკვირდებიან და ერთმანეთში იტყვიან) ეს რა ანბავია?!  
მ ი ნ ა ს ა. (კვარტალსს) ვა, რა დროს საქმეა, ჯერ პალა ქორწილია.

კ ვ ა რ ტ ა ლ ნ ი. მე ქორწილისა არა ვიცი რა. (კეკელას) აბა, მიჩვენე, რა არის თქვენი ქონება.

კ ე კ ე ლ ა. (უჩვენებს დეკორაციას) აი სახლები ეს გახლავსთ თავის მოწყობალობითა. თუ ზინათი, თუ გაცემულობა, თუ ფული, თუ ვერცხლეული (დაანახებებს სკივრსა) აი, სულ ამ სკივრში გახლავსთ.

მ ი ნ ა ს ა. (კვარტალსს) აფიცარ, ერთი აქ მობძანდი! (მიიყვანს წინ სკენაზედ და ჩუმათ ეუბნება) ერთს თუმანს მოგცემ, ამაღამ ეგ საქმე დააყენე.

კ ვ ა რ ტ ა ლ ნ ი. (გაჯავრებით) Памяти бои, მე მექრთამე არ გახლავარ.

მ ი ნ ა ს ა. (კვარტალსს ჯერ ფეხებში დაუწყებს ცქერას, მერე მობრუნდება და პუბლიკას ეტყვის) მამა წაუწყდეს, თუ ამან ქრთამი აიღოს. ხამია პა!

კ ვ ა რ ტ ა ლ ნ ი. (უბილამ ამოიღებს ქალაღსა და კეკელას მისცემს) აი. ბატონო, ეს ვოლნის ლისტი<sup>19</sup>, ყოველი ქონება თქვენთვის ჩამიბარებია.

ბ ა რ ბ ა რ ე. (გაჯავრებით) როგორ თუ ჩაგიბარებია. მაგას ჩემის ქრამის დოვლათთან რა ხელი აქვს, მერე ვინ დაანებებს, რო აბარებ? (კეკელას) დამაცა, შე მუხმუხელავ, მაგ ცხვირ-პირს სულ გაგიგლი კატასავითა! იმიტომ დაძვრებოდი აქეთ-იქით, რომ ამაებს ახერხებდი? შენი სინათლის დაბრმავებამ, ეხლავ მოგართმევ, არ ვნებავს?

კ ე კ ე ლ ა. ჭანსაც გაავადებინებ და ისე წავიდებ! ბებერი რო მიყმაწვილდები და კნენინა ხდები, უი შენ თავსა! მაშინ ხო კარგი იქნებოდა, რომ მამი-ჩემის დოვლათი შენ წაგელო?

ბ ა რ ბ ა რ ე. აბა ერთი ვნახოთ წაილე, შენ ნუ მამიკვდები, ეხლავ დაგანებებ აი.

კ ვ ა რ ტ ა ლ ნ ი. ტყუილად ნუ ჯავრობ, მე დავანებებ.



დავით. (შეტევით) დაანებებ, დავლაობა? მაგან თავის ქრმის დოვლა-  
თი სულ მე მამცა დამტკიცებულის წერილითა.

კვარტალნი. მე წერილისა არა ვიცი რა, როგორც ბრძანება მაქს,  
ისე უნდა ავასრულო (კეკელას) სკივრის გასაღები ვისა აქვს, მითხარით?

კეკელა. მინასას აბარია.

დავით. ვაჟო, გასაღებთან რა ხელი გაქვს? არ გეყურება, რასაც გელა-  
პარაკები. ღმერთსა ვფიცამ, წადი მეთქი, თორემ ერთი სისხლი მოგვიხდება.

კვარტალნი. მოხდება და ციხეში ბევრი ალაგია, იქ დაჰკვიანება  
ციხან. მე გირჩევ, შფოთს ნუ იქთ, თორემ უფრო ცუდათ მოგივათ. (მინასას)  
მოიტა, გასაღები მამეცი!

მინასა. ვა! რა მოგიბარებია, რასა მთხოვ?

კვარტალნი. მამეცი მეთქი, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამ!

მინასა. ვა! მიზამ რომელია, ბას დავიღუპო? ჩემი ექვსასი თუმანი  
(აჩვენებს სკივრს) მაგ სკივრიდან უნდა ავიღო.

დავით. (კვარტალნის) თქვენ არ გესმით? თავი დაანებე მეთქი, თორე  
მე ვიცი საცა მიგცემ. თუ საბუთი აქვს რამე კეკელას, სუღით იძიოს, პოლი-  
ციას ძალა არა აქვს, ამოდენა საქმის განხილვაში შევიდეს.

კვარტალნი. (დაიყვირებს) Ваше сиятельство, წინააღმდეგი ნუ  
მიხდები, თორემ я приму мерка полиции.

დავით. აბა ერთი მიიღე და ენახოთ, რასა იქ.

კვარტალნი. (დესეტნიკს) Ступай, лопни сумдук! (დესეტნიკი მი-  
ვა და სკივრს ტეხას დაუწყებს).

ბარბარე. (მვიარდება გაჭავრებული დესეტნიკსა, ხელსა ჰკრამს და  
ეტყვის) იქით დაიქარგე, თორემ მაგ თავს ზედ შუაზედ გაგიხეთქამ (მერე  
სკივრს გადააწვება).

კვარტალნი. Что он делает, знает ничего неада, я слышал креп-  
кий приказ моему начальнику. (მივა და ბარბარეს აყენებს სკივრიდან),  
აღეჭი, უნდა ჩავაბარო. წინააღმდეგობას ნუ ჩადიხარ, თორემ არ ვიცი რა  
გიყო.

დავით და მინასა. (ერთად გაჭავრებით) თუ კაცი იქნები და ხმას  
გასცემ, აბა ერთი სცადე, ემაგ შენს შპაგას ძირს დავადებინებ, ეხლავ გი-  
ჩივლებ!

გრიგოლ და ილიკო. (ერთად გაჭავრებით) რა ამბავია. ბატონებო,  
ძალაობა ხომ არ არის. აქ სამართალია.

დავით. (გრიგოლს) ეს სულ შენი საქმეა, აბა დამაცალე, რა გიყო.

გრიგოლ. ძალიან კარგი მიქნია, სწორეთ ჩემი საქმეა, აბა ერთი ენა-  
ხოთ რას მიზამ.

კვარტალნი. კნიაზო, კიდე გირჩევთ. შფოთს ნუ ჩადიხართ, თორემ  
მერწმუნეთ, ცუდათ მოგივათ.

დავით. მამივა, შენ ნუ მამიკვლები, ურებზე ხახვი არ დამაქრა (შე-  
ტევით) თუ კაცი იქნები და ჩააბარებ!

კვარტალნი. А... если так, я знаю теперич. (მინასას) სულ შენი  
საქმეა, მიცქირე რა გიყო. (დესეტნიკს) Ступай, два-тры свидетелъ при-  
неси здесь. Я такой акт напишут, все пропал. Подсудум, скажу, все  
Минас зделал бушт.

მინასა. (დააუწუნებს ლესტერს) Пстой, пожалуйста да! (პუბლიკას) კარვით არ უნახავთ. (დავითს) რა გინდა ქნა, ძმავ! ექვნი წყილიდან აქლემს მობენ (ბარბარეს) ერთი ადგილი სკივრიდან (ააყენებს) მამა გიცხონდებო, ხათა-ბალაში ვინღა ჩამავლო, ექვსასი თუმასხედ კიდენ ექვსასი დავდო? ერთი გავივოთ, რა ანბავია? (კვარტალნის) ერთი, რას ყვირულობ, რო წორეთ რუსულიც ვერ ლაპარაკობ. ააზ, ბუკი, ვედი, ლლალოლ<sup>30</sup> გისწავლია, ლამის ქვეყანა აიკლო.

კვარტალნი. Нет, брат, მე ლრამატიკაც მიკითხავს.

მინასა. რა გამოვიდა, რო გიკითხავს? (პუბლიკას) თავში კი არა შე-სვლია რა და.

დავით და ბარბარე (ერთად) ერთი, ძალიან რო ყვირი, არ გაგვაგებინებ. რა ანბავია, რომლის საბუთით გვართმევ ქონებასა?

კვარტალნი. ესლავ მოგასხენებო, ბატონებო, რომლის საბუთითაც ვართმევთ. (ამოიღებს უბიღგან ორს ქალაღდა და უჩვენებს) აი ამის ძალით ვართმევთ.

დავით. აბა ერთი წავგიკითხე, რა არის.

კვარტალნი. (წაუკითხავს მოწერილობასა) Приказали: препроводив при сем духовное завещание на имя Кекели, урожденной Тулуговой, подписать В. Б. по получении сего, тотчас ввести ей во владение завещанным имуществом, согласно завещанию... (ამას რომ გაათავებს, წაუკითხავს ანდერძის წერილს) „შემდეგ ჩემის გარდაცვალებისა, ყოველივე ჩემი ქონება, თუ მოძრავი და თუ უძრავი, შენ, ჩემის ძმისწულის კეკელასათვის მიანდერძებია. ჩემი სიკვდილის შემდეგ შენ ფლობდე მახედ. ჩემს ცოლს შენთან ხელი არაფერში არა აქვს, რადგანაც იმის სამკვდროს სიცოცხლის დროს მოვრჩენილვარ“ (ანდერძის წერილის წაკითხვას რომ დაასრულებს, დავით, მინასა და ბარბარე სამივ ერთად დაიყვირებენ სამ-სამჯერ).

მინასა. ვაიმე ჩემო ექვსასო თუმანო და სამაჰანკლოვ დაღუპულო!

დავით. ვაიმე ყმა და მამულო დაღუპულო!

ბარბარე. ვაიმე დოვლათო დაკარგულო და კნეინო ველარ გამბდრო!

ილიკო. ბატონებო, მოითმინეთ, რა დაგემართათ! (ყველანი გაჩუმდებიან, შერე ილიკო ეტყვის დავითს) რადგანც თქვენ ჩემს პირველს თხოვნას პატივი დასდეთ და კმაყოფილს მყოფდით, მე იმედული ვარ, რომ კეკელამ იმის სანაცვლოდ თქვენი ვალები სრულებით გადაგიხადოთ.

კეკელა. დიახ, ბატონი ბრძანდებით, დიდის კმაყოფილებით.

დავით. მადლობელი გახლავარ კეთილისმყოფლობისათვის.

მინასა. კეკეჯან, ბას ჩემი ფულებიც მამცემ რალა.

კეკელა. შენს ფულებსაც მოგცემ (სიცილით) თუ სამაჰანკლოზედ ხელს აიღებ.

მინასა. ტო! ჯანი ბარბარუაც წაუვიდეს და იმი სამაჰანკლოცა (პუბლიკას სიხარულით) გეთაყვანეთ, ახლა რალა მიჭირს, ჰამ ვაყი მეყოლა, ჰამ ფულებმა გავასალე (ბარბარეს) ბარბარე, შენ რას იტყვი, კეკელუამ დოვლათი წაიღო, ილიკოს კეკელუა მიჰყავს, კნიაზ დავითი თავისი ყმა და მამული გამოიხსნის, მეც ჩემი ფულებმა გავასალე, მაგრამ შენთან კი უკაცროთ, რო კნეინო და ველარ კნეინო.

ბ ა რ ბ ა რ ე, ვი! გენაცვალეთ! ეს რა მამივიდა! (დივანზედ მიესვენება და გული მისდის).

მ ი ნ ა ს ა. (პუბლიკას) არა უშავს რა, გადუვლის, გული გაუგრაოდება. (შერე იტყვის ქვემო კუპლეტსა და ფარდა დაეშვება).

ბატონებო! გვედრებით, თუ რამ კპოვეთ ცთომილება, სულგრძელობით მომიტევეთ შემჩნეული ნაკულება, ამად რომე, ჭერ ჩემგანა პირველია ეს თხზულება, ავტორობის ხმა მასმინეთ, არ დამაჩნდეს გულს კლულება<sup>21</sup>.

## მზის დაბნელება საქართველოში<sup>1</sup>

ნამდვილი კომედია სამს მოკმედებად

### მოკმედნი პირნი

ჯეურქ კარაპეტოვი, ძველი ეპარი.

რევსიშვი, ცოლი ამისი.

მარეხ, ქალი ამათი.

ნენე, დედა ჯეურქასი.

სვიმონიკა, ბიჭი ჯეურქასი.

ჰორუჩიკი გრიგოლ ჩეშქაკოვი, მღვდური ჯეურქასი.

მიკირტუშ მინასოვი, ნათლია გრიგოლისა.

თედ ინდო შერმანიძე,

ან. ზაალ პინტრიშიძე,

გლეხი ბერუა ლაპინაშვილი

} ჯეურქას მეგობარნი მოსუცებულნი.

ტფილისის მოჭალაქე.

რუსის ჩინოფნიკი.

რუსეთის შევიკი გრიშა.

აედოტია, ცოლი ამისი.

გლეხი ცოლ-შვილითა.

ივანე.

მანო

გეო

} ტფილისის შარლატანები

დარჩო

მეზურნეები.

საზანდრები.

მაცურებელნი ხალხი სხედასხვა გვარისა.

მახარობელი.

ნეშეცი.

ფრანცუზი<sup>2</sup>.

მოქმედება ტფილისში: 1-ლი და 2-ე კარაპეტოვის სახლში და მეორე დიდუბეში

## მოქმედება პირველი

(ფარლა აისდება და სცენა წარმოადგენს დარბაზსა. დარბაზსა აქვს შუაზედ მარჯვნივ და მარცხნივ კარებები, მარცხნივ სდგას ტასტი დაფენილი, უკან აწყურია სკამები და წინა სღვას სტოლი. ნენე ზის ტასტზედ, აბრეშუმს ართავს და ზუსტუნებს, მარჯვ დადის დარბაზში ნაზის სიარულითა და მღერობს)

## ბამოსლა პირველი

ნენე და მარეხ

მარეხ. გამიფრინდა სიხარულის ფრინველი, ლეილიმ,  
შემთხვევითა გამო სხვისა და ჰხვისა, პალეილამ, ჰხვისა და სხვისა!  
დავშთენილვარ აწ ესრედ უნუგეშოდ, ლეილიმ,  
უბედობის გამო სხვისა და სხვისა, პალეილიმ, სხვისა და სხვისა!  
(ნენეს) ბებილო! ახლანდელი ვაყები საყვარლებს რომ მოშორდებიან ესე მღერობენ ხომე.

ნენე. ნეტავი შენა, შვილო, რომ ყმაწვილმა ხარ და სიმღერის მეტი ჯავრი არაფერი გაქვს. მე ლამის ჯავრით გადავირიო.

მარეხ. რა ჯავრი გაქვს?

ნენე. ჯავრი მეტი უნდა? მზე უნდა დაბნელდესო!

მარეხ. დაბნელდეს, რა არის?

ნენე. როგორ რა არის! ანობენ თუ, წარღვნამ უნდა მოვიდესო და ყველანი უნდა დავიხოცნოთო. მინდა საზიარებლად მოვემზადო (მარეხ იცინის). ჯა! დახე, დახე ურცხვსა, ამ დროული ადამიანი როგორ მასხარათა მშვრება! რას იცინი შე, შე ლირფო?

მარეხ. როგორ არ ვიცინო? აი უსწავლელობა რა არის, რომ ამ უწინდელს ხალხსა არაფრის მიხვედრა არა გაქვსთ! კსწავლა რომ გქონდესთ, წაიკითხავდით წიგნებსა და იქიდგან გაიგებდით მზის დაბნელების მიზეზსა. აბა ჩვენს მდგმურს აფიციერსა კითხე და ის გეტყვის დაბნელების მიზეზსა.

ნენე. ქალბატონო, შენ იმასთან ჩურჩულ-კურკური დაეხსენ, თორემ ნახამ რა მოგივა.

მარეხ. რა უნდა მამივიდეს! არ იცი, ბებილო, ახლანდელს დროში ქალისგან ვაყთან ლაპარაკი განათლება არის?

ნენე. ჯა, მეხი თქვენც დაგეცათ და თქვენი განათლებაყა. კიდევ მაგისთანაებმა ჩაგვაყარა თვალში ნაცარი და ასეთი დრო მოგვივიდა.

მარეხ. ბებიაშვილობამ ქალისა ვაყთან ლაპარაკი სირცხვილი არ არის. თქვენ ასე გგონიათ, როგორც დაგველაპარაკებიან, მაშინვე შეგვეკამენ. შენა სთქვი, ქალმან თავისი თავი თითონ დაიცვას, თორემ ერთმანერთთან ლაპარაკი სხვა არა არის რა, ხოლოთ ვაყი ქალის ცქერითა და ქალი ვაყის ცქერითა სიამოვნებენ.

ნენე. (ორს თითს ტუჩებზედ დაიდებს) არა, თქვე ურცხვებო, თუ ახ-

ლანდელი გობიოები ღირფები არა ხართ. უცხო ვეი რას გეტყვიო  
სალაპარაკოთა. ოცდათორმეტის წლისა ვიყავე, ჯერ ქუჩაში თავი არ გამოძეყო,  
თორემ კაცთან ეინ მალაპარაკებდა. მერე ქმარმა რო შევირთე, სამი წელიწადი  
დანიშნული ვიყავე. ნიშნობის ღამის მეტად ჩემი ქმრის სახემ არ მინახამს,  
მერე ჯვარი დამწერეს და ერთი წელიწადი კიდენ ხმა არ გამეცა.

მარეხ. იპ.. იპ... იპ, კაი ცოლ-ქმრობის ღაზათს კი ნახავდით ჰა.

ნენე. ვითომ რატომამო!

მარეხ. აბა, რაკი ქალი და კაცი ყმაწვილობის ჰასაკს გადავლენ, იმათი  
ცოლ-ქმრობა რა იქნება, მგონია ერთმანერთის დანახეაც კი ეჯავრებათ. ღაზათი  
იმასა აქვს და სასიამოვნო ის არის, რომ ქალ-ყრმათ სანამ სიყმაწვილე აწ-  
ვევთ, მანამდის შეიყარნენ ცოლ-ქმრათა, ნახვე თუ როგორის სიყვარულით  
ღასტკებებიან და ან როგორი მხიარული ცოლ-ქმრობა ექნებათ.

ნენე. (გაკვირვებით ორს თითს ტუჩებზედ დაიდებს) ჰა, გენაცვალეთ,  
ეს რაები მესმის თუქვსმეტი წლის ქალისაგან! (მარეხას ქოქოლას მიყრის). აი,  
ღჩანას\*. მარეხ, ღჩანას! შენამც გაგიშავდეს გვირგვინმა. მაგისთანა ღაპარაკი-  
სათეინა (დააგდებს თითისტარს ტახტზედა, მივარდება მარეხას და აგდებს).  
წადი აქედან, დამეკარგე, შე ღირფო, ღუს გნა, ღუს,\*\* შე ბეჰაიას ნაშობო.

#### გამოსვლა მორა

#### იგინიე და რევისმე

რევისმე. (შემოესწრება ჩხუბზედ და დედამთილს) თითონ შენ ბეჰაიაც  
და ქოფაკო, რას ერჩი მაგ ქალსა!

ნენე. აი სახელმა შენც გაგიწყდეს და შენი ქალმაცა! გველი შენა ხარ  
და ეგ შენი წიწილია! ის დღე დაიწოს, როცა შენ ჩემი ოჯახში რძალმა გახდი!

რევისმე. ჰა, გველი ჩაგიდღე მაგ ქოფაკ ყელში, შენი ვინმეები რომ  
აღარ ვაბარბარე ჩემი სახლში, განა იმიტომა?

ნენე. შენი ვინმეებისათვის ხომ სუყველა შვრები, გაწყდეს იმათი გა-  
საგისი!

რევისმე. ჰა, შენი თავი ამოგიჰამია, ჩემი გასაგის დაეხსენ, თორემ  
აღარ გახსოვს, იმ დღეს ქოში რო დაგარტყი და თეძო ავათრევინე. ახლა  
უარესი გიზამ!

ნენე. (ორს თითს ტუჩებზედ დაიდებს) ჰა, გენაცვალეთ, განა ჰარს დე-  
დამთილს ესპესი პატიე ტა!\*\*\* (ორის ხელით ქოქოლას მიყრის). აი, მამიკე-  
დეს შენისთანა რძალმა, ტერტერამც წაუღია თავისი კოლოპურტში შენი შამ-  
ნიშებიანი ხავერდის ქათიბმა.

რევისმე. (ქოქოლას მიყრის) ოლოლო! ოლოლო! ვერ გაიგე, დედამ-  
თილმა მოდნა აღარ არის, მაინდ კტრე, ქოფაკი\*\*\*\* თორემ სახლიდან გაგავდებ!

ნენე. აი, უწინამ დღე დაგელოის შენცა და მაგ შენი ქალიცა, რომ ნენე  
ვერ გაავდო.

რევისმე. ჰა! ჩემ ქალს რას მიწყევლი, შე აშარო!

ნენე. აშარო და აშრის ჯინშო, აი შავი ქირმა ჰამოს შენისთანა რძალი.

\* მეხი ღაგეტს.

\*\* შენ წადი, შენ.

\*\*\* დედამთილს ასეთი პატიე უნდა სცე.

\*\*\*\* სმა გაიწყვიტე, ქოფაკო.

რეესიმე. ქა, ვერა ხედამ ამ ქოფასა, როგორ ენა წაიგძელა. აბა თუ ვერ გაგაგდებ და ნახამ (აილებს აბრეშუმოანს ფირფიტასა და თითისტარსა, გაუგდებს შუა კარით და მერე მოვარდება ნენეს) გაეთური მეთქი კარში, თორემ თრევით გაგიტან!

ნენე. არ გავალ.

რეესიმე. (წაავლებს კლავში ხელსა) გადი მეთქი თორემ თმით გაგათრევ.

ნენე. არ გავალ. (მოუვით ჩხუბი, დაიწყებენ წვილ-კვილსა. რეესიმე ცალი ხელით მოხდის ლეჩაქსა და მეორე ხელით მიათრევს გარეთა. ნენე თან სწყევლის და თან არ მისდევს, მერე რეესიმე გაიყვანს ძალდაძალ შუა კარითა და მარეხა გავა მარჯვნივ).

#### გამოსვლა მისამი

სიმონიკა. (შემოვა შუა კარით და პუბლიკას) აჰ, დედა, დედა, რაჲა აშარი ყოფილა ჩემი ქალბატონი, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს! მთლა დეიბდღენა უბედურმა, შევარდა ეზოშიდ, გამეიტანა ნიჩაბის კოჭატი და მისთანა მოზლო და მოზლო მის დედამთილს, რომელ წელი ქვე აათრევიანა, წეიქცა ვუბედური და ქვე ჭყავის (გააჯავრებს) ვაი, წელი, წელი. ალა ზედ მოესწრო და ჯავრობა დოუწყო ცოლს, მარა თუ მალე არ დაჩუმებულიყო, კილამ მასაც ქვე ზდო თავშიდ. აჰ, რაჲა გამეხარებოდა, რომ მისთვინაც ქვე მოედო კოჭატი. აჰ, იმან რომ გუშინ ქვე სილა მიფსკენა, დაეფსოს მას თავი, ეხლაც ქვე მეწვის ყბა, მინდა გავქვეულიყავ, მარა მიტომ ვერ წაველ, აგერ ყავლი გამივა და შევხარი ოცს ჭრელ მანათს.

#### გამოსვლა მართხა

#### იგივე და გრიგოლ

გრიგოლ. (შემოვა შუა კარით და სიმონიკას) სიმონიკა, რაებს ლაპარაკობდი?

სიმონიკა. აჰ, მობძანდი, შენი მუხლის ჭირიმე. არაფერსა, დიდი ქალბატონი და პეტერა წეიკიდენ და მათი ანბავი მიკვირდა.

გრიგოლ, მარეხი ხომ იმათში არ ერია?

სიმონიკა. იიმე! განა რას მიბძანებ, ბატონო, რაჲა გარეე მარეხს ჩხუბშიდ. ნეტა მისი ზდილობისა პეტერა მიჰკრობოდათ ვუბედურს მის ლედამამს.

გრიგოლ. კარგი გაზდილია?

სიმონიკა. აჰ! მომეცა ღვთის წყალობა, კაი ის იყოს. ის რო წიგნს წეიკითხავს, ნუ მამიკედე, ჩვენმა ხუცესმა ისტე ვერ წეიკითხოს, ისთე ყოვლის ფრით ზდილია. აჰ, დედა, დედა, იმან რომ ოქროქსოვილი ხალიჩა შეეკრა, არ ეგება მისთანა ქვეყანაზედ. მისი ბრჭყვიალეზა თვალს ქე მოსტაცებს კაცს! კი ნუ გემიწყრები და ერთი რამ მინდა მოგახსენო.

გრიგოლ. აბა მითხარ?

სიმონიკა. ურიგო არ იქნება, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, რომე შენ და მარეხმა გვირგვინი იფსკენათ. შენს მეტს კაცს არვის ჰფერობს მის ცოლობა.

ვ რ ი გ ო ლ. მეცა მსურს, მაგრამ იმისი მამა არ მაძლევს ნებას.

ს ი მ ო ნ ი კ ა. იიმე! ეუბედური რაში გწუნობს. მის სოკოიან თავს გავხარ თუ. აა, თვალათ ხარ კაი და ტანათ, ყმაწვილი და ჩინიანი. სწორა ჩვენებური მქადის ტოლა ოჭროს აპელატი გაწყვიდა მხრებზედ.

ვ რ ი გ ო ლ. ეგ ყველა კარგია, მაგრამ, მარეხ შინ არის?

ს ი მ ო ნ ი კ ა. კი, შინ გახლავსთ.

ვ რ ი გ ო ლ. წადი, აბა, მოახსენე — გრიგოლ მოვიდა თქო.

ს ი მ ო ნ ი კ ა. კი ბატონო, მარ ქვე კი გვედრებთ, გვირგვინი იფსკვნათ. მე უმფრო მიტომ მიხარიათ, მხითვის სკივრს ქვე მე მეგიტან და ბარე სამს მანათს დაგავდებებ (გავა მარჯვნივ).

### გამოსვლა მისეთი

#### მარტო გრიგოლ

(დადის და ოცნებით ლაპარაკობს) ოჰ, სიყვარულო! სიყვარულო! მე ვგონებ შენგან გულში აღგზნებული ცეცხლი უმეტეს შემწველი იყოს, ვიდრე სახმლის ცეცხლი! თქვენმა მზემ ეს არის, ეხლა სადილს გიახელ და მიმეძინა, ძილში ხმა შემომესმა, ვითომც მარეხ მოსულიყო და მელაპარაკებოდა. ისე შეშფოთებით წამოვარდი, რომ აღარ ვიცოდი, სად ვიყავ და სად არა, მივიხედ-მოვიხედე და, რომ ველარავინ ვნახე, უეცრად მეცა სიყვარულის სევდა და სულ დამათულა; მერე ვთქვი, მაინც სიზმარში იმასთან ვლაპარაკობდი, წავალ და ეგების იმისი მშვენიერი სახე ვნახო და იმასთან ლაპარაკით დავსტკბე და გავმხიარულდე მეთქი. პოი განგებაო! დიდს ხანს არ განაქრობ ჩემს გულში აღგზნებულს სიყვარულის ცეცხლსა, შენ გვედრებდი, ნუ მოგვისაბობ ერთმანერთის სიყვარულსა და შენ გვადირსე ერთმანეთთან შეკავშირება.

### გამოსვლა მემამსა

#### იგივე და მარეხ

(მარეხ შემოვა მარჯვნივ კართ და გრიგოლი რომ დინახავს, უეცრად დიძახებს: „ოჰ!“, ხელი მისდის და მიდის წასაქცევათა. მარეხ დაუქერს კლავსა და აყენებს)

მ ა რ ე ხ. ყმაწვილო, გონება შემოიკრიფე, რა დაგემართა?

ვ რ ი გ ო ლ. (სასწრაფოდ გულს მოიმეგრებს) ოჰ, უკაცრავად, მარეხ, შენი ჰირიმე, მამიტევე, უზღელობა მაძიედა, კარებში ვერ მოგეგებე, მაგრამ, შენმა გაზდამ, ჩემი ბრალი არ არის, როგორც კარებში ფეხი შემოსდგი, უეცრად გამოკრთა შენი სახის მშვენიერების ელვა, შეიპყრა ჩემი გული სიყვარულის ჭაჭვითა და მიმწურა სიკვდილამდე.

მ ა რ ე ხ. კარგი, ყმაწვილო, კმარა ხუმრობა.

ვ რ ი გ ო ლ. მარეხ! მე მოგივცდე, თუ ამას ხუმრობით გეუბნებოდე! შენს მზესა ვფიცავ, რა მე და შენ ერთმანერთისათვის სიყვარული გამოგვიცხადებოა, მას აქეთია ძილი გამკრთალი მაქვს და თვალთაგან სიყვარულის ცრემლები არ შემშრობია! ვედირსები იმ დღესა, რომ ჩემთან გვირგვინით შეკავშირებული ვნახო!.. ვედირსები იმ დღესა, რომ შენი მშვენიერებისაგან გამომკრთალი ელვა ჩემს გულს ანათებდეს!.. ოხ, მარეხჯან, შენა ხარ კავშირი ჩემის



სიცოცხლისა! შენა ხარ ნათელი ჩემის გულისა! ნეტავი ვიციოდე, ნამდვილ ველირსები შენთან შეკავშირებასა. თუ მოცთუნებელი ვარ სიყვარულის ეშხითა!

მარეხ. განა რწმუნება არა გაქვს ჩემის აღთქმისა? შენს მზესა ვფიცავ, გრიგოლ, მარეხი შენს მეტს არავის ეკუთვნის.

გრიგოლ. რა ვქნა, სულ! მე მითხრეს, ვითომც მამაშენი ვილაცას ვაქარს გაძლევდეს და ამისათვის ვიშიშვი, არამც თუ მამის მორჩილებამ დაგძლიოს და საუკუნოთ მიმცე განუქრობელის ცეცხლით დაწვასა.

მარეხ. მე დიდათ მიკვირს, ყმაწვილი კაცი ხარ და სიყვარულის ძლიერებას არ აფასებ! განა ვინ უნდა აღმოფხვრას ჩემს გულში დამკვიდრებული შენი სიყვარული, მერწმუნე, თვინიერ სიკვდილისა ვერავინ აღმოფხვრის, ვერც მამა ჩემი და ვერც სხვანი! ერთი ოდენ შენა ხარ მფლობელი ჩემის გულისა, რომელმაც მოშვიდე მკსგავსად ანდამატისა, გსურს დაგარწმუნო ჩემი შენდა კუთვნილება, როგორც თინათინმა ავთანდილი დაარწმუნა?

გრიგოლ. ძალიან სასიამოვნო იქნება.

მარეხ. ფიცით ვითხრობ, შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი, მზემცა მამხვდეს, ხორციელად ჩემთვის კაცად შენაქმარი, სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი, და შენი მკლევდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი!

გრიგოლ. (სიხარულით) ოხ! ღმერთო! განა იმაზედ უბედნიერესი კაცი კიდეც იქნება, რომელსაც სიყვარულისაგან ამგვარი აღთქმა ესმის? ქვეშე მარტიად ამ შემთხვევით ბედნიერად ვრაცხავ ჩემს თავსა! (მარეხს სიყვარულით) მარეხგან! მეც ისე დაგიმტკიცებ, გეთაყვანე, ჩემს სიყვარულსა, როგორც ტარიელმა ნესტან-დარეჯანსა და ვიყვნეთ ერთნი.

მარეხ. ძალიან საუცხოვო იქნება.

გრიგოლ. აწ რასაცა მე მალირსებ, ხორციელი არა ღირსა, მოწყალეა იჩქითია. ღვთისა ამაღ არა მკვირსა, შენთა შუქთა შემომადგა. ბნელსა გულსა ზედან მკვირსა, და შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა!

მარეხ. (მკლავს დაადებს მხარზედ, თავს მიიტანს გრიგოლის ლოყასთან, სიყვარულით უტკერის და ეუბნება) ახლა ხომ დარწმუნებული ხარ, გეთაყვანე, ჩემის შენს კუთვნილობაზედ?

გრიგოლ. შენმა გაზდამ, სრულიად დარწმუნებული ვარ.

მარეხ. (მკლავში გაუყურის ხელსა. სცენაზედ დადიან პადრუჩკითა და ეუბნება) მაშ დრო არის ჩვენის შეუღლების თადარიგს შეუღდეთ?

გრიგოლ. შენმა სიცოცხლემ, ღღესვე.

მარეხ. აბა როგორ უნდა სთხოვო მამა ჩემს ჩემი ცოლად შერთვა?

გრიგოლ. მე ბევრს ცერემონიებს არ მოვეყები, პირდაპირ ვსთხოვ, ვოენურათა, და თუ ნებას არ მომცემს, მოგიტაცებ და ჭვარი დავიწეროთ.

მარეხ. არა, ეგ სირცხვილია, სახელი გამიტყდება. შენ შენი ნათლია მივირტუმა გამოგზავნე და იმან ისე თავისით ლაპარაკი ჩამოუგდოს მამა-ჩემსა ჩემს გათხოვებაზედ და შენი მოცემა უთხრას და, თუ ნებას არ მიპსცემს, მერე მე სხვა პაზრს გეტყვი და ისე მოვიქცეთ.

გრიგოლ. ბატონი ბრძანდები, შენი ჰირომე, როგორც შენ მიბრძანებ (ამ დროს გარედგან ისმის ხმა გუტურქისი).

გეუ რქა. ჭერ ერთი შინ მინდა შევიდე, საქმე მაქვს და მერე ჩამოვალ ბაზარში.

ქარბე ვაიმე, მამაჩემო მოდის, ერთად არა ვენახოს, გეთაყვანე. წავი-  
დეთ ჩქარა და ჩემი ოთახის კარით ვადი.

გ რ ი გ ო ლ. წავილეთ, შენი ჭირიმე! (გავლენ მარჯვნივ კლავი-კლავ გა-  
ყრილი).

#### გამოსვლა მუხომე

გ ე უ რ ქ ა. (შემოვა შუა კარით და ცოლს გასძახებს) რევისიმე!  
რ ე ვ ს ი მ ე. (კულისიდან ხმას მოსცემს) ჰამე!\*

გ ე უ რ ქ ა. არი ესტე, მე ბან უნიმ ასეულ\*\*.

რ ე ვ ს ი მ ე. ეს საათის ალაჯან! (შემოვა მარცხნივ კარით და გეურქას) აბა,  
ინჩ პიტისკოსი.\*\*\*

გ ე უ რ ქ ა. არი, ნსტირ, კოსიმ\*\*\*\* (სკამებს მოიტანებენ, დასხდებიან და  
მერე გეურქა) რევისიმე! ის ემე შენ ხომ იცი?

რ ე ვ ს ი მ ე. აბა ვინა, ალაჯან?

გ ე უ რ ქ ა. ის ემე ვა?

რ ე ვ ს ი მ ე. ჯა, ვინა?

გ ე უ რ ქ ა. ტო, ჩვენი ემეანთ ლალო.

რ ე ვ ს ი მ ე. მარქარაანთი?

გ ე უ რ ქ ა. ჰო, იმან კარგი ფერშალია, ერთი მოვაყვანილოთ.

რ ე ვ ს ი მ ე. ჯა, რათ გინდა ალაჯან?

გ ე უ რ ქ ა. მზემ უნდა დაბნელდესო და მეშინიან, მინდა სასუნებელი  
რამე გამოვართო, რომ გული იმითი შევინახო.

რ ე ვ ს ი მ ე. ჯა, განა მართალია?

გ ე უ რ ქ ა. ვა! კაზეთი კითხულობდენ ბაზარში.

რ ე ვ ს ი მ ე. უი, უთუოდ ლილა გასცვეთითა და ტყუილი მოუგონიათ!

გ ე უ რ ქ ა. ვა! ყველანი ამბობენ და ახლა შენ ნუ დაიჭერებ.

რ ე ვ ს ი მ ე. ბას, ალაჯან, სანამ დაბნელება გადაივლის, სარდაფში დავი-  
მალეთ.

გ ე უ რ ქ ა. არა, ერთი მე ისევ წავალ, ფერშალი ვკითხვამ და როგორც  
იმან მეტყვის, ისე ვქნამ (ამ დროს ისმის გარედგან ხმა მიკირტუმასი).

მ ი კ ი რ ტ უ მ ა. გეურქ ტანე?\*\*\*\*\*

გ ე უ რ ქ ა. (ხმას მოსცემს სცენიდან) ოვის?\*\*\*

მ ი კ ი რ ტ უ მ ა. (გარედგან) ისიმ ქუ მიკირტუმ.\*\*\*\*\*

გ ე უ რ ქ ა. აა... მიკირტუმ რომანიჩ ჰამეცექ.\*\*\*\*\* (ცოლს) შენ მარ-  
ხის ოთახში შედი და მოერიდე (რევისიმე გავა).

#### გამოსვლა მუხომე

#### იგივე და მიკირტუმ

მ ი კ ი რ ტ უ მ ა. (შემოვა შუა კარით და გეურქას) ეუნციხ, პარუნ გეურქ?

გ ე უ რ ქ ა. ფარქ ასტუწო ლავიმ, ჰამეცექ ნსტირ (დასხდებიან სკამებზედ).

\* რა გინდა; \*\* მოდი აქ, რაღაც უნდა გითხრა; \*\*\* რა უნდა მიბრძანო;

\*\*\*\* მოდი, დაბრძანდი, გეტყვი.

\*\*\*\*\* შინა სარ?

\*\*\*\*\* ვინა სარ?

\*\*\*\*\* ესეც შენი მიკირტუმ. \*\*\*\*\* მობრძანდი.

მიკირტუმ ა. დღეს ერთი კაი ჭურათი მიქნია და შენთვინაც მინდა ვქნა.

გე ურქა. რა ჭურათი?

მიკირტუმ ა. ერთი კარგი არტალა მიყიდნია, სადილათ ის მინდა ვკამო დანიერული და შენც შეწვიე.

გე ურქა. ეგ კარგია, მაგრამ მე რა ჭურათი უნდა მაქნევინო?

მიკირტუმ ა. (გაამაყებით) ჰ... შენთვინ, შენთვინ, ასეთი ემე მიქნია, ფიქრი, რომ უფულოთ მინდა ქალმა გავთხოვო.

გე ურქა. ეგ ძალიან კარგი, მაგრამ. ასუმიან, მზე უნდა დაბნელდესო და ხალხი დაიხოცოსო, ტყუილათ ორი დღისათვის რალა გავთხოვო ქალი.

მიკირტუმ ა. ეჰ... გლუხს ქარინ ტალიან, დიფ სუტინ ასემ, შენი მდგმური აფიცარი არა თქო, ორი მინუტი დაბნელდება და ისევე გათენდებაო. დაბნელების დროს რომ არ შემეშინდეს, მე თუნგი ლავ კახეთუ გინი გციმ, კუპარფიმუ კუ ქნიმ, გამეღვიძება და გათენებულიც იქნება.

გე ურქა. ისეღ ენპეს კონიმ, ის ერკუ თუნგი გციმ.

მიკირტუმ ა. აჰა... ქუ ჰორან ვოლორში, პრწავე გნაც.

გე ურქა. ბას, აბა მითხარ, ვის უნდა მიმოთხოვო ჩემი ქალმა?

მიკირტუმ ა. ვისა... ვისა... ჰ... კარგი ვინმესა. მოდი ეს ჩემი ნათლული აფიცარს მივცეთ.

გე ურქა. ჩე ახპერომ, ბან ჩე, მე ჩინოვნიკი ქალი არ მივცემ, მინდა ჩემი ტოლი ვაჭარი მივცე.

მიკირტუმ ა. ვა! პანციონში გაზდილი ქალმა ვაჭარი გინდა მისცე?

გე ურქა. არა უშავს რა.

მიკირტუმ ა. ვა! ჩემი ნათლულია, კარგი ვინმეა.

გე ურქა. არა, ვერ მივცემ.

მიკირტუმ ა. ვა! მერე სომეხია და ძვირად ღირს.

გე ურქა. ჩე, ახპერ, ჩიმ ტა.

მიკირტუმ ა. ვა! უფულოთ მივცემ მეტქი.

---

ბას, ალაჩან—მამ, ბატონო; გეურქ ტანე—გეურქ, შინა ხარ; ოვის?—ვინა ხარ; ისიმ ქუ მიკირტუმ—ესევე შენი მიკირტუმ; ჰავეცეჰ—მობრძანდი; ენციის პარუნ გეურქ—როგორა ხარ ბატონო გეურქ; ფრაქ ასტეწო ლეიმ ჰავეცეჰ; ნსტირ—მადლობა ღმერთს. კარგად ვარ. მობრძანდი. დაბოძანდი; ჭურათი—სიკეთე; ასუმინ—ამბობენ; გლუხს ქარინ ტალიან, დიფ სუტინ ასემ; ლავ კახეთუ გინი გციმ, კუპარფიმუ კუ ქნიმ—კარგ კახურ დეონის დაქლე. დაფურები და გამოქონებ: ისეღ ენპეს კონიმ, ის ერკუ თუნგი გციმ—ისევე ისე ექნათ, ის ორი თუნგი გადავლოთ; ქუ ჰორან ვოლორში, პრწავე გნაც—შენ ღმერთს სთხოვე (უთხარ), დაძთავე და წადი ჩე, ახპერომ, ბან ჩე—არა, ძმაო, ეთქვი. რომ არა: არა, ძმაო, არ მივცემ; ასუმინ, ჩიმ ტა—გუეუბნები, არ მივცემ მეტქი; ასუმინ, პარუჩიკ ჩინ უნე—ამბობენ პარუჩიკის ხარისხი აქესო; ჩიმ ტა—არ მივცემ; ტო, ასუმინ ირექ შენ უნე—ბიჭო, ამბობენ სამი ბეწვის ზოლი აქესო; ასუმინ, სტანისლავი ხანჩერ უნე, ამბობენ, სტანისლავის ჭვარი აქესო; ასუმინ, ელი ურომ პატე უნე—ამბობენ, კოდევ სხვა წარმაცება აქესო; ასუმინ, მე იმქინელ აველ უნე—ამბობენ, მე უფრო მეტი მაქეს; ასუმინ ზახარაბრისტი შააგელ უნე—ამბობენ ზახარაბრისტის [ძველად არსებობდა ჭილდო „მამაცომბასთავის“ რუსულად „ზა სრაბროსტ“—რედ.] დაშნა აქესო; ტო, ძერ ვიკალ ახპერ, ჩიმ ტა—ბიჭო, ძმაო, ხელი ჩამოშართვი არ მივცემ; ასუმინ. კრასნი ვრტნიკელ უნე—ამბობენ, წითელი საყულო აქესო; ასუმინ. ჩექვივრა შპორნელ უნე—ამბობენ, ჩექვივრებზე დეზები აქესო. ასუმინ, პუჩუტინი ნაგრადელ უნე (გასომბენუბული რუსული—რედ.)—ამბობენ, საპატრო ცალდო აქესო; ასტურუ ქრაკ—ღვთის ცეცხლი; კტრიც გლუხ—მიოჭრა თავი.

გეუ რქა. ასუმიმ ჩიმ ტა.

მიკირტუმა. ვა! ასუმიმ, პორუჩიკი ჩინ უნე.

გეუ რქა. ჩიმ ტა.

მიკირტუმა. ტო, ასუმიმ, ირეჟ მეს უნე.

გეუ რქა. (წამოდგება და გაჯავრებით) ვა! ასუმიმ, ჩიმ ტა.

მიკირტუმა. ასუმიმ, სტანისლავი ხანჩერ უნე,

გეუ რქა. (დადის გაჯავრებით და ეუბნება) ჩიმ ტა.

მიკირტუმა. ასუმიმ ელი ურიშ პატრე უნე (ცხვირს დააცემინება).

გეუ რქა. (წამოდგება და გაჯავრებით) ვა! ასუმიმ, ჩიმ ტა.

მიკირტუმა. ასუმიმ, ზე იმქინელ აველ უნე.

გეუ რქა. (იქით) ვა, ხათაე! (მიკირტუმას) ტო, ასუმიმ, ჩიმ ტა.

მიკირტუმა. ასუმიმ, ზახარაბრისტი შპაგელ უნე.

გეუ რქა. (პუბლიკას) ვა, გიეე, არ გამეცლება (მიკირტუმას გაჯავრებით) ტო, ძერ ვიკალ ახპერ, ჩიმ ტა.

მიკირტუმა. ასუმიმ, კრასნი ვრტნიეკლ უნე, (ცხვირს დააცემინებს)

გეუ რქა. (იქით) ჩორუმცავ (მიკირტუმას) ასუმიმ, ჩიმ ტა.

მიკირტუმა. ასუმიმ, ჩეჟმიერა შპორნელ უნე.

გეუ რქა. (მივა და ააყენებს სკამიდან) თავი რათ მიხეთქამ ბევრი ლაპარაკითა, გეზნები არ მოვცემ, ჩემი მარეხი მა მიკვდეს, თუ მე ჩინოვნიკი ქალი მოვცე.

მიკირტუმა. ასუმიმ, პეტუჩნი ნაგრაღელ უნე (ცხვირს დააცემინებს).

გეუ რქა. (იქით) ჩორუმცავ (მიკირტუმას) ასუმიმ, ჩიმ ტა.

მიკირტუმა. ბას არ მიძსცემ შენი ქალი შენი მდგმური?

გეუ რქა არა.

მიკირტუმა. (იქით) არამარა (გეურქას) ბას კარგი, აღარც მე დაგპატრეუბ არტალაზედ.

გეუ რქა. ტო, არ გინდა. ქალის საქმე იქით იყოს, არტალაზედ დამპატრეუ.

მიკირტუმა. ჩე, ახპერ, შენი ქალი შენთვის იყოს, ჩემი არტალა ჩემთვის (გაეა შუა კარით).

#### გამოსვლა მესხრამ

გეუ რქა. (მარტო) ვა, რა კაცია, პლუტი ჩინოვნიკი მიეცი შენი ქალი, ისიც ვოენი. ფულეები ისე ფანტვენ, როგორც ბზე. სადაც მიელენ, დაიძახებენ: დავაი შაფანცკუ. გადუყრიან ფულეები, თითქო რიყეზედ მოეგროვებინოთ. მერე შაფანცკი ხომ სწორეთ არ გახსნიან, შემოპყვრენ შპაგა და ბუთლიკა შუაზედ გახეთქამენ, ნახევარი იქცევა, ნახევარი სმენ; მერე მოუათწახუბი. დუელი იქმონენ; ეხლა, მე რო ჩემი ქალი ჩემი მდგმური აფიცარი მოვცე, ერთიც ვნახოთ, დალეული მოვიდა, ერთი სიტყვა უთხრა, მაშინვე შპაგა თაეში მდევს და კტრიც გლუხ... მიზღიე გეურქ! ვა, რა კაცია მიკირტუმა, აპელატი აქვსო, მაკვირვებს! დიდი რამე გონია ჰა... ამისთანა მუშური გირვანქა სამ აბაზათ არის!

ს ი მ ო ნ ი კ ა. (შემოვა და გეურქას) ალა! ვინცლა სქელი თავადი გახლავს  
და თქვენს ნახვას ნდომულობს.

გ ე უ რ ქ ა. დაუძახე, მოვიდეს (გაეა სიმონია და შემოვა ინდო).

ბამოსვლა მეთერთმეტე

იგივე და ინდო

ინდო. (შემოვა და სალამს მისცემს) პარუმ გეურქას გაუმარჯოს.

გ ე უ რ ქ ა. გმადლობთ, კნიაზ! მობძანდი, მობძანდი (დასხდებიან სკამზედ).

ინდო. რასა იქ, გეურქ, როგორ მშვიდობით ბრძანდებით?

გ ე უ რ ქ ა. გმადლობთ, კნიაზ! თქვენი პრწყინვალეობაც ხომ მშვიდობით  
ბრძანდება?

ინდო. ეჰ, რალა მშვიდობაა, ძმავ, ჯავრით აღარა ვარ.

გ ე უ რ ქ ა. რა ჯავრი გაქვს, კნიაზ?

ინდო. რალა რა ჯავრი, ძმავ, ეს რალაც ეშმაკი მზის დაბნელება მოიგონ-  
ნეს, ასეთი არიან შინა, ლამის ჯავრით დაწყუნენ.

გ ე უ რ ქ ა. მეც ეგრე არა ვარ, შენმა მზემა, ჩემი სახლობაც ასეთი ეში-  
ნიანთ, რომ რალა ვქო, არ ვიცი თუ რა ვქნა.

ინდო. რალა უნდა ვქნათ, ძმავ, ტყუილია, რაც მოგვივა. მოგვივა, უნდა  
თადარიგს შეუდგეთ. მე ეხლა შენთან იმისთვის ჩამოველ, ვაი თუ მართლა  
გამიწყრეს ღმერთი და, როგორც ამბობენ, ხალხი უნდა დაიხოცნონო, მეც მა-  
შკედდეს ვინმე, ფულებს მინდა დაგვესხხო, ერთი ათიოთ თუმანსა, რომ მზათა  
მქონდეს სამარხათა.

გ ე უ რ ქ ა. ფულები, კნიაზჯან! რა ვქნა, ნუ გეწყინება, ვერ მოგცემ, ვრ-  
თი ამისთვისა, რომ ვაი თუ ჩვენც დავიხოცნეთ და ვილამ გამოგართოს, და  
მეორეც იმისათვისა, რომ კი ნუ გეწყინება და თავადები ნასესხი ფულები  
აღარ იძლევით...

ინდო. ეჰ... შე ოჯახქორო, აგრე როგორ ამოწყდებით ყველანი, რომ  
ფულის გამომრთმევი აღარავინ დაჯრჩეს, და მოცემანედ კი ხათრიჯამი იყავ-  
პარუმ გეურქ, რომ მამა ჩემი ნუ წამიწყდება, ვადაზედ უეჭველათ მოგცემ,  
თუ გინდა კალოზედ პურს მოგცემ, კოდს ოთხ აბაზათა.

გ ე უ რ ქ ა. რა ვქნა, კნიაზ! ეგ კალო ძალიან გული დამწო.

ინდო. როგორა ვაყო?

გ ე უ რ ქ ა. თქვენი ისემე არ არის, გურგენ კნიაზი?

ინდო. ჰო, ვიცნობ, ვიცნობ.

გ ე უ რ ქ ა. იმან წარშან პური დამიყვეთა, კალოზედ უნდა მოეცა; წინ-  
დაწინ შემოეთვალა ტომრები გამომიგზავნე, პურით ავამსეფ და შეგინახამო,  
რომ ამოხვალ, მოგიწყამო. მეც გავებრიყვი და გაუგზავნე. თურმე ღალის  
ასალეზად ტომრები არა ჰქონოდა და იმისთვის არა სდომებია! მერე პურისა-  
თვინ რომ წავედი, კილენ ერთი წყვილი სათალი და ერთი კარგი ზურგიელი  
წავიდე და მივართვი. ბატონო, ის თევზებიც შექამა, ტომრები სულ დაეგ-  
ლიჯა და აღარც პური მამცა, მეზნება თუ წრეულ მოსავალი ნაკლებად მოგ-  
ევიდა და კვლავ მოგცემო. ჯერ დღესაც გარბის, არ ვიცი ავილებ თუ არა,  
მაგრამ რას ავილებ, მგლის ხელში ბატკანი ჩავარდეს, კილენ გამართმევს ვინ-

მე? უკაცრავად კი ნუ ვიქნები, კნიაზჯან, და თქვენ წორეთ ფულის გლებმა ხართ.

ინდო. პარუმ გეურქ! მე იმაზედ ნუ გამცვლი, მამა ჩემი ნუ წამიწყდება, ისეთ პურს მოგცემ, რომ სწორეთ დარკვეული იყოს, მერე შენის ჩანახით აგწყვამ და ჩემის ურმით ჩამოგიტან.

გეურქა. კარგი, კნიაზ! გენდობი და ერთი შენი პირაცა ვნახამ. (ისმის გარედან ხმა: პარუმ გეურქ, შინა ბრძანდები?).

გეურქა. შინა ვარ, რომელი ხარ? აქ შამოდი!

#### გამოსვლა მეთორმეტი

იგინიე და ზაალ

ზაალ. (შემოვა და სალამს მისცემს) პარუმ გეურქას გაუმარჯოს! (ინდოს) კნიაზს ვახლავარ!

გეურქა. გმადლობთ, დაბძანდი! რისთვის გარჯილხართ?

ზაალ. (დაჭდება) რაღა რისთვინ გავრჯილვარ ვაჟო, ე რაღაც მზის დაბნელებას ანბობენ, ლამის შიშით დაწყდენ შინაურები, დღეს გამამაგდეს, წადი გეურქას ერთი ხუთიოდ თუმანი დაესესხე, ვინ იცის, რა შემთხვევა მოგვეცესო. თუ ღმერთი გწამს, გეურქ, ხელი გამიმართე.

გეურქა. ეჰ, ხუთი თუმანი არაფერია, შენ კი ემისათვინ პირი გაქვს ნასესხისთვის, გენდობი, მაგრამ რაზედ გინდა?

ზაალ. რაზედაც გინდა მამეცი, თუ გინდა ტივებს დაგიკვეთ.

გეურქა. ვა, ტივი რათ მინდა, დურგალი ხომ არა ვარ, ისე გენდობი ბარათითა (ისმის კულისიდგან ხმა ბერუასი: ალა, შინა ბძანდები?).

გეურქა. რომელი ხარ? აქ შამოდი!

#### გამოსვლა მეთამეტი

იგინიე და ბერუა

ბერუა. (შემოვა და თავს დაუკრავს) ალა ადექლა ღმერთმა! (ინდოს და ზაალს) ბატონებს გაუმარჯოს!

გეურქა. რისთვის ჩამოსულხარ ბერო?

ბერუა. ოჯახი რომ დაექცეს ჩვენებურს ტარატასა, მზე უნდა დაბნელდესო, რაღაც ეშმაკი მოიგონა და ე დედაკაცები სულ დაგვიგოცა, ზოგს საწირავს აზიდინებს ღვდლისთვინ, შენი ჭიიმე, ზოგი სამღთოსა ჰკლამს და ზოგი რას ჩადის. ჩაიქცა ი ოჯახდაქცეული შემოსავლითა, ამისთანა დოვრანი თავის დღეში არ დასცემია, იმისთვინ მზე კი არ ბნელდება, უფროც განათდა. მეც დედაკაცებმა გამამაგდეს, წადი, ვალი აიღე და ერთი თოხლი იყიდე, სამღვთო დაეკლათო. თუმანახევარი მავალე, ალა! სართლოთ ტკბილს მოგართმევ, კოკას მანათათა.

გეურქა. მერე ერთი თოხლისათვინ თუმანახევარი რათ გინდა?

ბერუა. იმისათვინ კი მაგტელი რათ მინდა, მაგრამ ერთი რკინის ჭაჭვიც უნდა ვიყიდო.

გეურქა. მერე ჭაჭვი რათ გინდა?

ბერუა. რა ვიცი, მკითხავმა თქვა, მზე რო დაბნელდება, ულაცი ჩოჩ-

რები გაცოფიანდებიან და ძაღლებს დაგლეჯენო. ერთი ჩოჩორი მყავს, მართლა თუ ღმერთი გაწყრა და გაცოფიანდა, ჩვენს ბატონს ოცი მეტი მწევეარი და მეძებარი ჰყავს, სულ დაუგლეჯს და ვილა მოურჩება იმასა. შინდა წინდაწინ ჯაჭვით დაება.

ზ ა ა ლ. ჩოჩორი კი არა და, მეც გავიგონე, რაც პირუტყვია, მზე რო დაბნელდება, თავიანთი თავი სულ მგლები ეგონებათ, მისცვივიან და ერთმანეთ დასჭამენო.

ინ დ ო. უფრო საკვირველი გავიგონე. მზე რო დაბნელდება, ფრინველები წივილს დაიწყებენ ასეთის ხმითა, რომ ყურთა სმენა აღარ იქნებაო. მერე ჩამოვლენ ქვეყანაზედა, დაერევიან ადამიანებში და ნისკარტითა და კლანჭითა თავ-პირს დააფხრეწენო.

გ ე უ რ კ ა. არა, კნიაზ! ასე ამბობენ, მზე რომ დაბნელდება, ციღვან წამოვლენ გველაშაპები და რაც ლამაზი ქალი და ვაჟია, სულ ჩაყლაპენო.

ბ ე რ უ ა. აიბე! იმ ტიალებსა სხვა საქმელი გაუწყდათ?! თუ მართლა აგრეა, ი ოხრებმა ნეტავი უწინ ჩემი ბატონის მოურავი ჩაყლაპონ თავის ცოლითა, რომ იმისგან მოსვენება აღარა მაქს. აგრე კი არა, აი დასწყევლათ ღმერთმა, ერთი კიდეც რაღაცა უცნაური თქვეს: მზე რო დაბნელდება, ერთი საშინელი დაიქუხებს და რაც ორსული დედაკაცები არიან, შიშით სულ ტყუპ-ტყუპსა შობენო, მერე სიმწარით დაცოფდებიან და კაცებს დასჭამენო.

ინ დ ო. ესეც გავიგონე. მზე რო დაბნელდება, შავი ზღვა ფრთონას დაიწყებს, გაღმოვარდება და კასპიის ზღვას შეუერთდება და გზაზედ რაც ქალაქი და სოფლები დახვდება, სულ თან წაიღებსო.

ზ ა ა ლ. უფრო საშინელი არა თქვეს! მზე რო დაბნელდება, გაჩნდება ანტიქრისტე თავის ჭარითა შავი ზღვის პირსაო და ურიების გარდა ყველა ხალხს დახოცამსო.

გ ე უ რ კ ა. ვა! მაშ წავიდე, ყაყობა ურიას შევეხვეწო, ჩემი ფული მართებს, ეგება არ მომაკვლევინოს. ეპ, ეგრე არა, ერთი ჩემი მეგობარი თქო, კახეთში ესე წერია. მზე რო დაბნელდება, ფრინველები ძირს ჩამოცვივიან და დაიხოცებიანო, მერე პირუტყვები ცაში ავლენ და მზე რო გამოვა, ფრთებშესხმული ჩამოვლენ ქვეყანაზედა, იმ კვდარ ფრინველებს შესჭამენო, მერე ადამიანებს დაიტაცებენ და უკიანეს ზღვაში ჩაყრიანო.

ბ ე რ უ ა. ამასაც მოგახსენებენ: მზე რო დაბნელდება, ციღან ცეცხლი ჩამოვა და მთელს ქვეყანას გადასწვამსო, მაგრამ, რომელ ერთს დაუჯეროს კაცმა ამ ოჯახქორებსა, ზოგი რას ბოღამს და ზოგი რასა! ეს ანბები წორეთ წარყენის ნიშანია, ტყუილიდა შეილო, ჩვენი გაწირვის დღე მოსულა. ისევ ღმერთს უნდა მივიწოდოთ, რაც იმის ნებაა, ის იქნება, მაგრამ, იქნებ მართლა, როგორც ამბობენ, ლილა გაუცვდათ და მზის დაბნელება ტყუილათ მოიგონეს?

გ ე უ რ კ ა. მეც ისე მგონია, გველუშაპები კი წორეთ მოცივიან ქვეყანაზედა და ვისაც გარეთ მოასწრებენ, იმას მოიტაცებენ.

ინ დ ო. ისევ ყველას ის სჯობს, ჩავიდეთ ცოლშვილით სარდაფებში და სანამ მზის დაბნელება გადაივლიდეს, დაუწყოთ ღვინოს სმა, რომ არ შეგვეშინდეს.

ზ ა ა ლ. ძალიან კარგსა ბრძანებ, მეც აგრე მოვიტყევი, მაგრამ ამასაც ანბობენ, მზე რო დაბნელდება, საშინელი მიწისძვრა იქნება, ასეთი, რომ იალბუზი და თრიალეთი ერთმანეთს ეცემიანო. იმ ძვრაში სახლები რომ თავს დაგვექცეს, ხომ დავიხოცებით!

ბერუა. ეპ, დავანებოთ ამტენს ლაპარაკს თავი, თქვენ კი დაგლოცათ ღმერთმა! აგრე ღმერთი ხელს როგორ აიღებს ჩვენზედა, რომ სულ დაგვხოცოს! გული გავიმაგროთ, ძაან დავთურეთ და დაბნელების დროს გავიდეთ კარში, რაც მოგვივა, მოგვივა, ხომ მოგეხსენებათ: ჭირსა შინა გამაგრება ასე უნდა ვით ქვიტყირსაო!

#### ბამოსალა მეთოთხმეობა

იგინიე და ნენე

ნენე. (შემოვა და თავს დაუქრავს) ბატონები აცოცხლა ღმერთმა! (ყველანი ფეხზედ ადგებიან, თავს დაუქვრენ).

ინდო. გაცხონა ღმერთმა, ნენე! რასა იქ, ხომ მშვიდობით ბრძანდებით? დაბძანდი! (დასხდებიან ყველანი).

ნენე. ეპ, ჩემი მშვიდობა რალა მშვიდობაა ამ დროს გადამკიდე.

ინდო. მართალს ანობ, დედაშვილობამა, ძალიან ცუდ დრო შეგვექნა ამ მოხუცებულებსა.

ნენე. რატომ არ შეგვექნება ცუდი დრო, დედაშვილობის დანდობა აღარ არის და დედამთილ-მამამთილისა, სიძვირე ეს არის, სულ დაგვალარიბა ხორაგის ყიდვამა, მაგრამ მაინც კაცი ველარ გამძღარა რიგიანთა.

ზაალ. ახლა ახლანდელს ჩვენს ახალგაზრდებსა ჰკითხე, ასე ამბობენ, ჩვენისთანა მდიდარი ხალხი არავინ არისო და ვერც არავინ ჩვენისთანათა ცხოვრობსო.

ინდო. აბა იმათი სიმდიდრე რა სიმდიდრეა, ბატონო! თუ კაცები არიან, ერთი კაცი ისტუმრონ სადილათა, თუ კუჭი გაუძღონ.

ბერუა. მე და ჩემმა სულმა წორეთა ბძანებ.

ინდო. სწორეთ როგორ არ ვანობ, ვაჟო, დავსმენ ტოლია თუ რალაც ეშმაკი იმაზე და ელი ამ ხანს და იმ ხანს საკმელსა, უნდა ჩამოგიშედეს ფეხები ბევრის ჯდომითა; მერე მოგიტანებენ, დაგიდებენ წინ თეფშსა და ერთს საათს ცარიელი თეფშისათვის გაქვრინებენ; ახლა მოგიტანებენ, ბატონო, დანა-ჩანგალსა და შესკვერი, თუ როდის მოგივა საკმელი.

ზაალ. აი იმ ჩანგლის მამგონს დაექცეს ოჯახი! ბატონო, ერთს სადღაც ჯანაბას შევხვდი ტოლზედ სადილათა და, მეც სხვის მიხედულობითა, ჩანგალით დაუწყე ჰამა. გამიწყრა ღმერთი, ვიძვერე ი ტიალი ტუჩშია და გავიხეთქე. წამეარდა, ბატონო, სისხლი და, თქვენმა მზემა, ნახევარ თუნგი მეტი მედინა; გაპოვარდი გარეთ ლანძღვითა, ოჯახი თქვენც დაგვექათ და თქვენ მას-პინძლობასაცა მეთქი! ბატონო, რა გვიქირდა ჩანგალი რომ არა გვეკონოდა, რომელი სჯობს (აჩვენებს ხუთს თითს) ამ ლეთისაგან მოცემულს ჩანგალსა? მართალია გემრიელათ არ ვაქმევს!

ინდო. ახლა, ბატონო, მოიტანებენ და ჩამოგიმწყრივებენ კოვზებსა და სწორედ ჰამლის ყანწის ტოლა ტაქნებსა.

ბერუა. აი ი ტაქნის მამგონს ამოუწყედეს ცოლ-შვილი! ი ტიალში რო ჩაასხამ ღვინოსა და იწაფებ, როგორც ყელს მოიღერებ დასალევათა და ი ოხერი იქვე ყანყრატოში მოწყედება, რა გვიქირდა. თქვენი ჭირიმი, რომ ჭიხეთა ვსვამდით. ჰე, ვენაცვალე იმის გამჩენსა. მართალია, დალევ თუ არა, მაშინვე ფერდებში არ მოგხვდება!

ინდო. ახლა, ბატონო, ელი პურსა, მოგიტანებენ და თითო ნათალს და-გიწყობენ წორეთ თითის სითხეთა, ერთ ლუქმად ჩაიღებ და კიდევ გათავდე-



ბა; ელი კიდევ. თუ როდის გამოვა წყალბა, რომ კიდევ მოგიტანონ. თუ შე-  
გასწრო მასპინძელმა თვალი, ხომ რა კარგი, დაუძახებს: პრინესი კესოკ  
ხლება... თუ არა და, უნდა იჯდე ისე მშვირი...

გ ე უ რ ქ ა. რათა, კნიაზ! მოთხოვა სირცხვილი არ არის, მაშინვე მოგიტა-  
ნებენ.

ი ნ დ ო. ახირებულია, თქვენმა მზემა, ბატონო, რათ მოვიტხოვო, რა ენა-  
ლულებათ ქრისტიანულათ მოიტანონ ი ოხერ ტოლზედა და მთელი პური  
დასდონ, რასაც შევკამ, შევკამ, რასაც არა, იქვე არ დარჩებათ! ახლა მოგვი-  
ტანებენ, ბატონო (თითოთ აჩვენებს) ამოდენა შავი ბოთლათი ღვინოსა, დას-  
დგმენ ტოლზედა და გვერდით ერთი იმოდენა ბოთლათი წყალს მოუდგამენ.

ბ ე რ უ ა. თქვენი რისხვა არა მაქვს, ხელში რო ჩავიგდო ი ბოთლას გამ-  
კეთებელი, კბილით დავგლეჯამ! ეშმაკათ ერთს კაცს ქირა მიუტანე და სადი-  
ლი უნდა ექმია. დამავა. შენი ჰირიმი, სადილათა და ღვინო ი ტიალი ბოთლა-  
თი მამიტანა. ერთი ორიოდ ტაქანი რო დავლიე და, გაუწყრა ჩემი იესო ქრი-  
ტი, აჟი დაიცალა! ვამბობ, რა ვქნა, ამ ტიალს, თითქო აბრუ კარგი აქვს და  
ასე მალე რამ დაიხარა მეთქი? ავიღე ხელში გასაშინჯათა, თურმე, ნუ ბძანებ;  
შენი ჰიიმი, იმ ოხერს (უჩვენებს მუშტით) წორეთ ამოდენათ კი ჰქონია ძირი  
შეხვრებილი! აი გაგიწყრა ღმერთი შენცა და შენ გამკეთებელსაცა მეთქი!  
არა, ის ოჯახდაქეული იმის გამკეთებელი, თუ ქრისტიანის სული უდგია,  
ბიჭო, რა ენაღვლება, ი ძირი წორეთ უყოს, რომ პატარა მეტი ღვინო ჩავიდეს...

ი ნ დ ო. ახლა, ბატონო, მოგიტანებენ რალაც ეშმაკური საქმელებსა. ჩეე-  
ნებურს ხო ველარას ნახავ. დასდებენ ერთს დიდ თეფშზედა, დაადებენ ზედ  
კოვხსა და ჩამოატარებენ. ოცი კაცი რო იყოს, ყველამ უნდა გაიხვედროს. ან  
შეგხვდება ერთი ლუკმა და ან ისიც არა.

ზ ა ა ლ. ბატონო, იმის შექმნასაც რომ არ დაგაცლიან, ერთი ბიჭი რო სა-  
ქმელს მოგართმევს, მეორე ბიჭიც დიამბევის იასაულივით თავს გადგია, წა-  
მოუვლის ტოლსა და ისევ შეუქმელს თეფშებს წამოჰკრფამს.

ი ნ დ ო. ახლა, ბატონო, იმათი ღვინის სმა უნდა ნახო. დაჰკვრენ ტაქან-  
ზედ ერთს ცვარს ღვინოსა და ზედ ორ წილს წყალს დაასხმენ, შეხვრებენ  
ორიოდ ყლას ჩაისავითა, გაღიწერენ პირჯვარსა, წამოცივიან და აუყენებენ  
სკამებს რახა-რუხსა, მერე ჩაიჩრიან შტვირივით პირში რალაც ეშმაკური პა-  
პარუსები შემოიღეს იმასა, დადიან და ქაჭებივით სხვა ენაზედ ლაპარაკობენ,  
რომ ქრისტიანი კაცი იმათსას ვერას გაიგებს. ვეჟო, რა გვიჭირდა, რომ ტოლ-  
ზედ არა ვკამდით პურსა, დავფენდით კაი საფენსა, გავშლიდით ზედ სუფრასა  
და მოუსხდებოდით გარეშემო: პური კაცის თავს ოროლი მოგვივიდოდა, ხო-  
რავი აუარებელი და ხორცი, რისაც უნდა ყოფილიყო, სულ მთელ-მთელი ასო;  
ღვინის სმას ნულარ ბძანებ, დაგვადგებოდა თავს მერქიფე და ჭიხეებით სწო-  
რეთ წვიმასავით გვაყრიდა; ისე ვილხენდით ხოლმე და კიდევ, სუფრიდგან  
რომ ავდგებოდით, ჩვენი ნასუფრალით ათი კაცი კიდევ გაძლებოდა და ამათი  
ნასუფრალით ერთი კატაც ვერ გაძლება.

ზ ა ა ლ. საქმელს ჯანი გავარდეს, ეს საცემელიც რო ეშმაკური შემოიღეს.  
სწორეთ გუდასავით ჰკიდიათ ტანზედა და სახესაც ხო იგრეხენ რალაც ნაირა-  
თა, ზოგს ნიკაპზედ გამოუშვიათ პატარა წვერი თხასავითა, ზოგს ყბებზედ გა-  
ბანჯგვლილი დათვივითა, ზოგს სადა და ზოგს სადა და ამ თმაზედაც რალასაც  
ჯანაბას იგლესენ, ფერი კი ღორის ქონისა აქვს და არ ვიცი თუ რა არის.

გ ე უ რ ქ ა. კნიაზ, ესლა ჩვენი ჰკუის ხალხი ძვირათ ნახამ.

ინდო. ახლა, ბატონო, ერთი შეხედვით იმათ გაპლუტებასა, ამ ქონის სანთელსაც ხომ აღარ კადრულობენ, ცუდი სუნი აზრის, დაგვაკლექებდნო, რალაც ეშმაკური სანთელი შემოუღიათ, ასეთი ხმელია ის ტიალი, მერწმუნე, რო ურას თავში დაარტყი, გააქრისტიანებს, ვაჟო. იმათი მამები არ იყვნენ, კრავით სწვამდენ ღორის ქონსა, რატომ არა ჭლექდებოდნენ.

ზაალ. ქონის სანთელის დაწვა კი არა, ღვინის უსმელობა აქლექებთ იმათა. ისინი ჩვენ დაგვცინიან, ვითომც ბევრ ღვინოს სმენო, ახლა ჩვენი ფერიცა ნახონ და იმათიცა. ჩვენ რომ ღვინოსა ვსვამთ და გამოვდივართ გარეთა, წითლათ ლაქლაქი გაგვაქვს, ისინი რომ ჩაის სმენ, მუცელში ქაობი უკეთდებათ და იქიდან სიყვითლუ შეზღით, მერე შეუთათ სიჭლექე, იავადებენ და ისევ უცოლშვილონი ოცდახუთის წლის კაცი კვდებიან. აბა იმათ ჩვენსავით ღვინო დალიონ, თუ ბევრი არ ეცოცხლონ.

ინდო. ერთი კიდევ რალაც ეშმაკური საქმელი იციან, ზოგი წითელია და ზოგი ყვითელი დაქრელებული. დაზდებენ, ბატონო, თეფშებდა და სწორეთ ბნედა მოსული კაცივით ცახცახებს. ზედ დაადებენ კოვზსა და იმათ უნდა შექამო. ისეთი ცივია ი ტიალი, ისეთი ცივია, რომ სიცივით კბილებს დაგაყრვეინებს. მერე, როგორც პირში ჩაიდებ, ყბის მოქნევას ხომ აღარ დაგაცლის, ისე უეცრათ გაწყალდება, რომ არც სულს არგებს და არც ხორცსა.

გეუტქა. კნიაზ! მაგას ემე ჯილეს ეძახიან.

ინდო. გეტყობა, პარუმ გეუტქ, იმ ემეს მალ-მალ მიირთმევე ხომე, რომ სახელი გცოდნია.

გეუტქა. ეჰ, ეს რა ჩემი საქმეა, მაგრამ ახარ სტუმრათ რო შევესწრობი, მეტი რა ღონეა. იმას კი არა, მთელი იმათი სტოლის საქმელები ერთი მათლათა ჩაბუქბუქებული ბოზბაში მიჩვენეიან.

ინდო. ჰაი თუ აგრე.

გეუტქა. ახლა, ბატონო, ეს რალაც ღვთის რისხვა, ერთი კაბა რო უყიდო შენი ცოლი და ერთხელ კანპანიაში ჩაიცოს მეორეთ ის აღარ ჩაიცომს, ამბობს, მოდნა აღარ არისო. რა გინდა ქნა, ახალი უნდა უყიდო, თორემ პური გაგიშხამებს.

ინდო. ოჰ, მაგას კი ნულარ მეტყვი, ძმავ, ეს ჩვენი თავადობა ღამის მავ მოდნა-მუდნამ დაგვიღუბოს.

ნენე. აი დაიქცეს მავათი მოდნი! ბატონო, უწინდელს დროში როგორ შეგვეძლო დედამთილისა და მამამთილის წინ ხმა ამოგველო და ეხლანდელი რძლები დედამთილებს კიდევცა სცემენ! ეხლანდელი ყმაწვილი გომბიოებიცა ხომა დაინიშნებიან თუ არა ჭერ ჭვარდაუწერლები, ქმარი მოხვდებათ თუ მახლი, გაუყრიან კლავში ხელი და დაზდევენ ქუჩა-ქუჩა, აშრები, გაწყდეს იმათი პირისწყალი, როგორც ჩვენი ნამუსი გაწყვეტეს!

ინდო. მართლა, ეგეც კარგა მამაგონე. ბიჭო, ერთი ვილაც ოხერ-ტიალი შემოვა შენ სახლში, დაგიწყებს მეგობრობასა და მისვლა-მოსვლას, მერე წაეღებს, ბატონო, შენს ცოლს კლავში ხელსა და დაათრევს ქუჩა-ქუჩა, ვინ იცის სად ეშმაკებში. შეხვალ, იკითხამ სახლში, ბიჭი გეუბნება, თუ აქ რო ჩინოვნიკი დადის, იმან წაიყვანა ქალბატონი გარეთაო. დაგწყევლოს ღმერთმა ეშმაკო, ბიჭო, რა გინდა, შვილო, ე სად მიათრევე ამ ჩემ ცოლსა, ვინა ხარ, სადაურო ხარ, რას ეყვი ჩემ ცოლსა, დიდება შენთვის ღმერთო! არა გაგონილა რა ამისთანა, არა თქმულა რა! მეც ადრე ქალაქში რო ვცხოვრობდი ხიზნითა, ერთი ვილაც ოხერხიდა შემამეჩვია სახლშია და დამიწყო მეგობრობა. მერე ერას დღეს ხელი სთხოვა ჩემს ცოლსა, „კნეინა, პოიდიომ გულიათო“. ბიჭო,

ეჭით დაიკარგე, თორემ „გულიათ“ მოგცემ მეტი, მოვისვი ხანჯალს ხელი, ვიფრინე შინიდანა და ის დღე იყო და ის დღე, სწორეთ ბზობის ყვავილი- ვით<sup>ა</sup> დაიკარგა ჩემი სახლიდანა.

ნ ე ნ ე თქვენმა მზემა, ბატონო! ორმოცი წლის ქალი რო კარებში მდგა- რიყო და ქუჩაში კაცს გაველო, მაშინვე კარს მოჰქეტამდა და პირს მოარი- დებდა, ეხლანდელი ქალები ძალათ კარებში გამოდიან ჩიქილა გადაფრიალე- ბულები და ნაწნავებზეითამოყრილები, რა არის ვაყებმა დაგვიანახონო.

ზ ა ა ლ. ბატონო, ეს კვდრებზედ გლოვაც რო ამოაგდეს, უწინდელს დროში რას ნაირათ ძაძებით და საბნელეთში სხდომით გლოვა ვიცოდით, ახ- ლა სადლა ნახავ იმისთანა გლოვასა. თუ მოუკვდებათ ვინმე, იქნება სულის დაღვეის ჟამს კი ჩამოიგდონ ცრემლი, თორემ მერე როგორლა ნახავ ნატი- რებსა.

ი ნ დ ო. ბევრი რაღათ ვილაპარაკოთ, ძმავ! ერთის სიტყვით ამ მოხუცე- ბულს ხალხს ცუდი დრო შეგვექნა, ჩვენს ჰქუაზედ აღარა არის რა.

ს ი მ ო ნ ი კ ა. (შემოვა და გეურქას) ალა, ჩვენი მდგმური აფიციარი თქვენს ნახვას ნდომულობს.

გ ე უ რ ქ ა. მობძანდეს, უთხარ (სიმონიკა გადის).

#### გამოსვლა მითხუთმება

იგინიე და გრიგოლ

გ რ ი გ ო ლ. (შემოვა თავს დაუკრავს ყველასა და ისინიც ფეხზედ აუღ- გებთან) რასა იქმ, პარუნ გეურქ, რას შეექცევით? (ისევე დასხდებიან).

გ ე უ რ ქ ა. არაფერს, ახლანდელი დროზედ ვლაპარაკობდით.

გ რ ი გ ო ლ. ხომ არ უჩივით?

გ ე უ რ ქ ა. დიახ! ძალიან ცუდი დრო არის.

გ რ ი გ ო ლ. მერე რა არის ცუდი?

ი ნ დ ო, ცუდი დრო მეტი რაღა იქნება, ბატონო, კი ველარ მოვისვენეთ და. ჯერ მოვიდა დიდი ხორველა და ხალხი სულ ამოუღიტა; მერე მოვიდა კა- ლია და სამი წელიწადი ველარ მოვიშორეთ<sup>ა</sup>; მერე მოჰყვა კიდევ ხორველა და ღირსი გაავლო აქაურობასა, იმას მოჰყვა გვალვა და ასე დაგვაშოია, რომ ჰურით ველარ გამაძლარვართ; მერე გაჩნდა საქონლის ჭირი და სამი გუთნეუ- ლი გამიწყვიტა. ახლა ეს მზის დაბნელება მოსდევს და ვნახოთ, ეს რასაც იქმს. ყველა, ყველა, მაგრამ მზის დაბნელება რაღაა, ვის გაუგონია საქართველოში, თქვენი ჭიმიე?

გ რ ი გ ო ლ. ეგენი ყოველივე ჰაერზედ არის დამოკიდებული და არა დროზედ, და მზის დაბნელება კი არაფერი გასაკვირველია. თქვენ არ მოსწრე- ბიხართ, თორემ საქართველოში თავის დროზე ყოველთვის დაბნელებულა მზე.

ი ნ დ ო. ჰო, მე ვიცი თქვენ კი მოესწრებოდით, რას ბძანებ! ვინ გაიგო- ნა მზის დაბნელება, და რადგანაც დაბნელდება, სწორეთ წარღვნის ნიშანია.

გ რ ი გ ო ლ. (იციინის) აი მე მოგახსენოთ მიზეზი მზის დაბნელებისა: ეს ცხადი საცნაური არის, რომ მზე უძრავათა სდგას, ხოლო ქვეყანა და მთვარე იბრუნეიან და ოდესმე ჩქარს ბრუნევაში მზის სიახლოეს შეუძლიანთ ისეთის მდგომარეობის მიღება, რომ მთვარე დასდგება სწორეს წრეზედა და დაჟფა- რავს სიმგრგვეალესა მზისასა. თუ სრულად დაჟფარა, მაშინ იქნება სრული და- ბნელება, და თუ რავედინიმე ნაწილი დაჟფარა, მაშინ იქნება კერძობებითი და-

ბნელედა. ეს ვარსკვლავმრიცხველთაგან გამოკვლეული არის, რვას წლის განმავლობაში დაბნელდება მზე თვრამეტჯერ, და მათ რიცხვში იქნება სრული დაბნელება მხოლოდ სამი და თვითო მათგანი განურცელდება მხოლოდ მეასე ნაწილზედ ქვეყნის სფერასა. ერთი და თვითო მხარე მხოლოდ სამასს წელიწადში იხილავს სრულს დაბნელებასა, რომელიც კავკასიის მხარეს წილხედა ამა 1851 წელსა<sup>10</sup>.

ი ნ დ ო . მერე ვინ მოგახსენათ, რომ ეგ სწორეთ ეგრე არის?

გ რ ი გ ო ლ . დარიგება არის გამოცემული.

ი ნ დ ო . აი, ისეც რა უთხრა იმის დამწერსა, როგორც ეგ სწორათ დაეწეროს! თუ არ დაგიშლია, ცაში ავიდოდა და იქ დასწერდა, რას ბძანებთ, ეგ რა დასაჯერია.

გ რ ი გ ო ლ . (იქით) Что за безтолковый народ! (ინდოს) მაშ თქვენ არ გჯერათ?

ი ნ დ ო . აბა, რა დასაჯერია, თქვენი ჳიიმე, ის არა სჯობს, ესა ვსთქვათ, რომ უბედური და ცუდი დრო შეგვექმნა და ყველა იმითი მოგვდის. ამისთანა უკუღმა დროებასა ჩემს სიცოცხლეში არ მოვწვრებივარ!

გ ე უ რ ქ ა . წორეთ ბძანებს, კნიაზი, ფინთი დრო არის.

ზ ა ა ლ . ახირებული ცუდი დრო გვაქვს, გაკითხვა აღარსად არის.

ბ ე რ უ ა . ცუდ დროზე მეტი რა იქნება, შენი ჳიიმე, დიამბეგის იასაულების შიშით სახლში ჳათამი ველარ შემინახავს.

ნ ე ნ ე . ძალიან ფინთი დროა, დედამთილი რძლისაგან ნამცეცი პატივი აღარა აქვს.

გ რ ი გ ო ლ . (იქით) Вот неблагодарный народ! (იმათ) იმას ხომ არა გრძნობთ, თუ ამ ახალმა დრომ აღმოაცენა საქართველოში სწავლა. ხელოვნება, განათლება და სიბრძნე, რომლითაც ძენი საქართველოსნი დღედადღე ემსგავსებიან ევროპიის განათლებულთ ხალხთა და მიიხწვევიან ფილოსოფიის სწავლამდე. თქვენ იმეც ძველს წესზე მიიწვეთ და სამდღურავს ამბობთ, ჩვენს ჳკუაზედ აღარავინ იქცევიანო. აბა, რა ჳკუა გავთ, რა გელაპარაკოთ? მე გიმარტავთ მზის დაბნელების მიზეზსა, თქვენ დამცინით. მე უფრო სულელი ვარ, რომ თქვენთან ლაპარაკით თავს ვიხეთქამ (გაჯავრებით). Убирайтесь к черту! (გავა შუა კარით).

გამოსვლა მითამჯსმებთ

ივინივე გარდა გრიგოლისა

ზ ა ა ლ . რა ძრიელა ცხარობს შენი მდგმური, მაგრამ რას შეევეუებით, ეგეც ამ დროის ჳკუისაა და ჩვენი ლაპარაკი ჳკუაში არ მოსდის. (გუტრქას) ჳარუმ გუტრქ, თუ ფულუმს გვაძლევ, მოგვეცი, რომ შინ მივეშველოთ, თორემ შიშით დაწყდებიან.

გ ე უ რ ქ ა . აი, მობძანდით, ჳარაფთან ჩავიდეთ, იქ გამოვართმევ და მოგემთ (გავლენ ყველანი შუა კარით).

მარეხ და სიმონია (შემოვლენ მარჯვნივ კარის).

მარეხ. სიმონიო! წადი ჩვენს მდგმურს სთხოვე, აქ მობრძანდეს.

სიმონია. კი, ბატონო (გაეა შუა კარით).

მარეხ. (პუბლიკას) მამა ჩემი თანახმა არა ზღება ჩემის გრიგოლის მიცემაზედა, მაგრამ მე იმის მეტი ქმარი არ მინდა, იმისი ზდილობა და სწავლა უმჯობესი არის ყოველს სიმდიდრეზედა. მოვიდეს აქა, მე ვიცი როგორც მოვახერხებ ჩვენს ქორწილსა.

ბამონსვლა მითმრამები

იგივე და გრიგოლ

გრიგოლ. (შემოვა შუა კარით და თავს დაუკრავს) მარეხს ვახლავარ.

მარეხ. (სიცილით) გრიგოლ! მოხუცებულებმა გააჯავრეს?

გრიგოლ. შენმა გაზღამ, შენს სიყვარულს არ დავეჭირე, კინალამ თავში ხმალი ვზღე მამაშენსა.

მარეხ. (სიცილით) კაი სასიმამროს პატივი იქნებოდა.

გრიგოლ. (სიცილით) რა გგონია, მერე უფროც გაგვიადვილდებოდა ქორწილი.

მარეხ. ფიქრი ნუ გაქვს, ეხლაც ადვილია. რა შემოეთვალა მიკირტუმას პირით?

გრიგოლ. რა შემოეთვალა? ჩინოენიკს ქალს არ მიცემო! ასეთი ვარ, სისხლი მიშრება ჯავრითა, არ ვიცი რა მოვახერხობ.

მარეხ. მე გეტყვი რაც მოვახერხობ, თუშკა შენ განუმარტე მზის დაბნელება, მაგრამ მამა ჩემი მაინც დამყარებული იმაზედ არის: მზე რომ დაბნელდება, ზეციდან გველუშაპები ჩამოვლენ, ყმაწვილს ვაჟსა და ქალს დაიტაცებენო; ჩვენ იმას ეს თავისი ჰაზრი აუხდინობ.

გრიგოლ. აბა როგორ?

მარეხ. შენ წადი, ეხლავ ერთი დროშკა იქირავე და უთხარი, რომ მზის დაბნელების დროსა საცა ჩვენ არ წავიდეთ საცქერლათა, შორი-ახლო მოგვეყვეს და ჩვენთან დადგეს. მერე, როგორც მზე დაბნელდეს, ჩავსხდეთ დროშკაში, ჩუმათ თელეთს წავიდეთ და ჯვარი დავიწეროთ. რაკი იმ დაბნელებაში დავიკარგებით, მამაჩემს სწორეთ ისე ეგონება, უთუოთ გველუშაპებმა მოიტაცესო და მაშინვე გლოვას დაიწყებს. შენ ეს ანბავი მიკირტუმას გაუტყდი, რომ იმ გლოვაში მივიდეს ჩვენსა და მამაჩემთან იმნაირათ მოახერხოს, რომ სიხარულით მიგვალდებინოს სახლში.

გრიგოლ. ეგ ძალიან კარგი ჰაზრია, გეთაყვანე, მაგრამ გამოგიშვებს მამაშენი?

მარეხ. მავისას მე მოვახერხებ, მაგრამ შენ, კაცი რომ მოგივიდეს, მალე მოდი და ერთად წავიდეთ.

გრიგოლ. მაშინვე გაიხლები. მაშ წავალ დროშკის დასაქერათა, მშვილობით, გეთაყვანე! (გადის).

მარეხ. მშვილობით, ნახვამდინ. (პუბლიკას) მართლა სამაგალითო არ იქნება, ეს ჰაზრი რომ ავასრულოთ?

ივიე და რევიმე

რევისიმე. (წემოვა და მარებს) შვილო! რატომ გარეთ არ გამოიხედამ, მთელი ქალაქის ხალხი გარეთ გადის მზის დაბნელების საცქერლათა.

მარეხ. ცარიელის გარეთ გახედვით რას ვისიამოვნებ, დედა! ჩვენც წავიღეთ მინდორში და იქიდან უცქიროთ.

რევისიმე. მამაშენს ეშინიან და გარეთ როდი გაგიყვანს.

მარეხ. რისა ეშინიან? ამტელს ხალხთან ყაბული არა აქვს? რაც იმათა, ის ჩვენა. ჩვენს მდგმურს აფიცერსა ვსთხოვოთ. რომ თან წამოგვეყვას და აღარ შეგვეშინდება.

რევისიმე. მერე წამოგვეყვება?

მარეხ. თუკი ვსთხოვოთ, როგორ არ წამოგვეყვება.

რევისიმე. მერე რას იტყვიან, შვილო, შენსასა, უცხო ვაჟთან რა ხელო აქვსო?

მარეხ. რა უნდა თქვან, ხომ არ შეგქამს, თქვენც იქ არ იქნებით. იტყვიან, იმათი მდგმურია და თან გამოჰყოლიაო.

რევისიმე. კარგი, აგერ იმამაშენი მოდის, იმასაც ვეტყვი, წავიღეთ და თან წავიყვანოთ.

გამოსვლა მიოცა

ივინიე და გეურქა

გეურქა. (შემოვა შუა კარით) ოჰ... ოჰ... ოჰო... რა ამბავია, მთელი ქალაქის ხალხი სულ გადის მზის საცქერლათა.

მარეხ. მამა! გეთაყვა, ჩვენც წავიღეთ.

გეურქა. ვა! მერე მართლა რომ ვეშაპი ჩამოვიდეს და შეგქამოს?

მარეხ. ეჰ, ვეშაპი კი არა და. ტყუილს ამბობენ, თუ მართალია და, რაც ამტელს ხალხსა, ის ჩვენა.

გეურქა. რევისიმე, შენ რას იტყვი, წავიღეთ?

რევისიმე. წავიღეთ, ყმაწვილი ქალია, გული ნუ დაუჩაგრავთ. ჩვენი მდგმური აფიცარიც თან წავიყვანოთ, იმან ვოენის კაცია, უფრო არ შეგვეშინდება.

გეურქა. ვა! ის რომ ჩვენთანა ნახონ, ხომ დაგვძრახავენ.

რევისიმე. არა, დღეს ისეთი დრო არ არის, რომ დაგვძრახოს ეინემე.

გეურქა. ბას, დაუძახეთ, რა მენალვლება.

რევისიმე. (გასძახებს) სიმონიკო! წადი ჩვენი მდგმური უთხარ, მზის დაბნელების საცქერლათა მივიღივართ, უთხარ, და თქვენც ჩვენთან წამობრძანდით, უთხარ.

სიმონიკა. (კულისიდან ხმას მოსცემს) კი, ბატონო, მოვახსენებ.

გეურქა. ბას, თქვენ გადით, ზონტიკები შემოიტანეთ და წავიღეთ. (რევისიმე და მარეხ გავლენ მარჯვნივ). ახ! ნეტავი არ იქნება, ეს მზის დაბნელებამ უხიფათოთ გადაიაროს.

## ბამოსვლა მეოცდამართა

იგუე და გრიგოლ

გრიგოლ. (შემოვა შუა კარით და მოიქითხავს) ჰარუნ გეურქას ვახ-  
ლავარ!

გეურქა. მობძანდი, ბატონო! უჟაცრავათ ნუ ვიქნებით, რომ გუშინ  
გაგაჭავრეთ<sup>11</sup>.

გრიგოლ. არა უშავს რა, მე აღარც კი მახსოვს. (იქით) გაჭავრება ახლა  
ნახე, რომ სულ ქოჩორი გაბღღვენეინო.

## ბამოსვლა მეოცდამორა

ივინიე, რევსიმე და მარეს (შემოვლენ ზონტიკებითა)

რევსიმე. (გრიგოლს) ოჰ, ბატონო, მობრძანებულხართ? თუ უჟაცრავ-  
ათ არ გახლდეთ, ჩვენთან წამობძანდით, მზის დაბნელებას ერთათ უცქიროთ.

გრიგოლ. ბძანდებით, დიდის კმაყოფილებით (გადახედავს მარესს და  
ერთმანეთს შესცინებენ).

გეურქა. აბა მობძანდით, წავიდეთ (გავლენ ყველანი და ფარდა დაეშ-  
ვება).

## მოხვედვა მეორა

ბამოსვლა პირველი

ფარდა აიხლება და სცენა წარმოადგენს დიდუბის მინდორსა, ცასა და მზესა. მინდორ-  
ზედ დადიან ხალხი სხვადასხვა გვარისა, ზოგნი ერთმანერთში ლაპარაკობენ და ზოგნი მზეს  
შესცქერიან ტრუბითა და ზოგნიც ისე. წინ სცენაზე არიან რუსის ჩინოვნიკი და ქალაქის  
ვაჰარი.

ვაჰარი. (ჰკითხავს ჩინოვნიკსა) Господин! Правда солнца чорна бу-  
дит?

Чиновник. Как черный, оно затмится.

Купец. Правда?

Чиновник. Разумеется правда.

Купец. Нончи?

Чиновник. Вот чрез несколько минут.

Купец. Эх... неправда... я слышал, что лилахана испортил, да  
неправда выдумить зделили, что солнца чорна будит.

Чиновник. Что такое значит лилахана?

Купец. Ва! Не знавш лилахана?

Чиновник. А черт его знает, что оно такое.

Купец. Ент котора на духану большой кувшин стаит, да на кув-  
шину сынь краска стаит.

Чиновник. Тут и сам черт ничего не поймет.

Купец. Ва! Какой чорт, чалавек всегда красить. Знавш, ент ко-  
тора белый бяз на кувшину пушант, там сыны краска стаит, да бе-  
лый бяз сыны делают.

Чиновник. Красильный завод чтоли?

Купец. Да, да, да... теперь узнал. Ент завод, гварит, спортл,  
гварит, да неправда выдумит зделил гварит, что солнца чорна будит,  
гварит.

Чиновник. Я совершенно ничего не понял, любезный.

Купец. Ва! Тебе такой большой голова есть, да ум мала чтоли, как не поймайши? У нас есть такой закон: когда заводу хозяйн новый сыны краска на кувшину пушайт, и когда ент краска спортит, тогда заводу хозяйн не правда слова выдумить зделит и всякий чалавеку скажит, да тогда краска апет хороший зделится. Тепер да так гварит всеки чалавек, что заводу хозяйн кувшину краска пустил гварит, краска спортит гварит, да неправда выдумит зделил гварит, что солнца черна будит гварит.

Чиновник. А кто это вам сказал?

Купец. Мой сосед Гогила да Галуста, еще мой отцу мать Дареджана.

Чиновник. Скажи, что они все дураки.

Купец. Ва! Когда правда слов гварит, дурак?

Чиновник. Что вы толкуйте, разве вы не слышали, что об этом издано наставление.

Купец. Кто ент писал?

Чиновник. Один астроном.

Купец. (в сторону с удивлением) Устранум! имя такой что ент должно быть чорт (чиновнику). Ент устранум чорт али чалавек?

Чиновник. Что вы говорите, какой чорт, он человек.

Купец. Ва! Чалавек как может пишит, солнца на небо, а он на земли.

Чиновник. Мало что пет, он умом писал.

Купец. Ва! Ум тебе да есть, зачем вы не пишиш?

Чиновник. Я не учился, любезный, астрономии.

Купец. (вполголоса) А ент учился: завтра приди, кончол будит, после приди, кончол будит, принеси деньги да зделим твой дело, а?...

Чиновник. (в сторону, с удивлением) Что за чорт, откуда он узнал, что я вчерас от одного требовал взятку!

Купец. Господин! Скажи пожелуста, ент чалавек устранумик или пустранумик, откуда писал, откуда или на небо пошел да так писал?

Чиновник. (в сторону) Видно, что он глуп! Как бы ухитриться? (Купцу) Он вошел на небо и так описал.

Купец. Ва! Я слышал, что только чорт можит ходит и на земли, и на низу земли, и на небо и на выши небо, а чалавек никогда не слышил.

Чиновник. Знаешь, любезный! Он вошел на небо чрез лестницу.

Купец. Ва! Что вы гвариш, такой лесницу один корпус 20 год не можит зделит.

Чиновник. Она давно сделана и поставлена.

Купец. Ва! Кто поставил?

Чиновник. Разве вы не слышали, что для праотца Якова поставлена лестница.

Купец. Знайм, знайм, сказал ент Абрааму сыну сын?

Чиновник. Ну да, чрез нее вошел и описан.

Купец. А... Тепер правда. Господин! Ент лесницу тепер да так стайт?

Чиновник. Как же, она и тепер существует.

Купец. Ех... неправда.

Чиновник. Когда не верите, так поезжайте сами туда и увидите.



Купец. Е... еу, куда пойдем, на дорогу 5000 рублей да не доволь-  
но будит.

Чинovníк. Ну так верьте мне.

Купец. Вы да так гварись, как адни чалавек другой чалавеку  
сказал.

Чинovníк. А чтоже он сказал?

Купец. Два чалавек стоял адни улицу. Адни чорна ешак да ент  
улицу пошол. Ент адни чалавек другой чалавеку спросил: «сколько  
на ент ешаки кожу волос будит»? Ент другой сказал: «два миллион  
гварит. Ент адни сказал, ни будит, гварит. Ент другой сказал: када  
ни вериш, гварит, считай, гварит. Ент адни выдил, что сто год нельза  
была считать, верил ему слова. Я да знаим, что невозможно туда пайду,  
нада верить ваши слову... (Разойдутся и прохоживают на сцене).

### გამოსვლა მეორე

იგინიე, გეურქა, რევისმე, მარებ და გრიგოლ  
(შემოვლენ მარჯვნივ სცენაზე და უცქერიან მზეს)

გრიგოლ. (აჩვენებს) უწინ სიბნელე ამ მხრიდან წამოვა, აი.

გეურქა. შენმა მზემა და მე კიდევ ის მიკვირს, თუ ის ვილაც ყოფი-  
ლა, ისე წვრილათ როგორ დაწერა მზის დაბნელება! თუ ისე ახდა, როგორც  
წერია, ის კაცი წორეთ ეშმაკი ყოფილა, თორემ კაცისაგან როგორ შეიძლება.

გრიგოლ. იმათ უკვირთ ეგა, ვისაც არ უსწავლია, თორემ ნასწავლის  
კაცისათვის გასაკვირველი არა არის რა. აი, ჩვენი სომხური ეფემვერდი<sup>12</sup>  
რამტელის ასის წლის წინათ არის დაწერილი, მაგრამ იმაში სულ დაწვრილე-  
ბით სწერია: ან მზე როდის დაბნელდება, ან ჰაერი როდის შეიცვლება და ან  
სხვადასხვა ანბები.

გეურქა. (გაკვირვებით) ჰუ... ჰუ... ჰუ... იმის დამწერს კი არ ჰქონია  
გოგრა. აბა იმის თავი იქნებოდა ძრიელ მძიმე, აი.

### გამოსვლა მესამე

იგინიე და გლეხი ცოლ-შვილითა

გლეხი. (შემოვა მარცხნივ სცენაზე და დამთვრალი, ხელში საღი-  
ნით ღვინო უჭირავს, გლეხურათა მღერობა და ცოლ-შვილი ბანს აძლევენ):

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,

მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი,

ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,

და სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი<sup>13</sup>, ჰე, არალაღე...

ჰე... (ცოლს) დე...და...კაცო მეთქი, გა...მიგონე მეთქი... რარა... შვილოსა  
მა...ინც უნდა მოვკვდეთ და ბა...რემ ვა...ეკატურად დავიხონეთ. დავლით  
ღვინო! (იწაფებს დიდხანსა), მერე მოიხსნის ქშენითა და წუნწკალი წვერზედ  
ჩამოსდის და იძახის შვილებო... მეთქი... დევუ...უპ...პ (სანამ მოქმედება გა-  
თავდება, მანამ სულ ბარბაცით დადის ხალხში, ცოლი კლაჟა უჭერს, არ უშ-  
ვებს წასაქცევათ და ეუბნება) თავი შაიმაგრე, შე დასაქცევის შვილო!

ივნივე და შარლატენები

(ნებოდან შარლატენად ჩაცმული, თეთრის ქედებითა, ცალ-ცალ ხელში უჭირავთ თეთრი საღებო და ლენითა და ცალ-ცალში ჩინური ჯამები და ერთად მღერობენ) .

ისევ და ისევ ლენითა, არიარალი,  
 დრო გავატაროთ ლენითა, თარიალალი (დაიყვირებენ)  
 ივანე. პაზარუ!

მანო. (და სხვანი ერთად) პაზანდარუ! (მღერობენ ერთად)  
 ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არიალალი (ასხამენ ლენითა ჯამზედ)

დღეს მოგვეცა შვება, ლენა, თარიალალი!  
 ივანე. ვიპიმ შტოლი?...  
 მანო. ერთად. რაზუმეცა, ვიპიმ (დალევენ ერთად და მოჰყვებიან სი-

მღერას)

ნოემ რომ ერთხელ ინება, არიალალი,  
 ყურძნის წველის გემოვნება, თარიალალი (დაიყვირებენ).  
 ივანე. პაზარუ!

მანო. ერთად. პაზანდარუ! (მღერობენ)  
 თითონ ნუნუას მიუჯდა, არიალალი,  
 წყალი პირუტყვით დაანება, თარიალალი! (დაიყვირებენ).  
 ივანე. იშო ვიპიმ შტოლი?

მანო. რაზუმეცა, ვიპიმ.  
 ივანე. ჩვენც ნოესავით ნუნუას მიუჯდეთ და წყალი ნავს კაცებს დავა-

ნებოთ (დაასხამენ ლენით და მღერობენ)

ავანთოთ შუშის ფარანი, არიალალი,  
 მოვინახოთ სავსე მარანი, თარიალალი...  
 ივანე. პაზარუ!

მანო. პაზანდარუ! (მღერობენ)  
 დავლით სავსე ტიკები... არიალალი,  
 შევიქნათ რაზონიკები... თარიალალი!"

ივანე. იშო ვიპიმ შტოლი?  
 მანო. რაზუმეცა ვიპიმ (დალევენ).  
 ივანე. ჰუ...ჰ (თავის ქნევით) დვეკუ...  
 მანო. პაზანდარუ...

გეო. ჰე, არ ამოხვალ, გარჯილო სულს. აბა ახლა მობძანდნენ ვისაც ზევრი ფული აქვს, ჩვენ უფრო მხიარულათ მოვჰკედებით თუ ისინი. იმათ ფულის ჯავრი მისდევთ და ჩვენ არცა ძევს და არცა გვშიან (მოჰყვებიან ერთად სიმღერასა)

საყვარელი დავიკარგავს, ხომ არ გინახამთ, ლოთებო!  
 ან ავლილი, ან ჩავლილი ხომ არ გინახავთ, ლოთებო!  
 ჩვენ საყვარელს ყველა იცნობთ, თეთრი ყელი აქვს, ლოთებო!  
 შავი თვალი, თეთრი ლოყა, ზედ ხალი აზის, ლოთებო!  
 გიშრისა თმა, სხვილათ წნული, წელზედ აყრია, ლოთებო!  
 წარბი წერილი, ტუჩი ტუბილი უხდება სახეს, ლოთებო!

ვინც ამ საყვარელს გვიპოვის ას თუმანს მივცემთ, ლოთებო!  
 ივანე. პაზარუ!

ს ა მ ი ე რ თ ა თ. ჰაზბანდარუ! (მღერობენ ერთათა და ხტიან)

ჰაი დანდანი დანდანი... ქუ ნანიდ ჩარ ტანი.

ჰაი დანდანი დანდანი... იმაცილის გალისიმ,

ჰაი დანდანი დანდანი... სმოვარის ჩალის არი,

ჰაი დანდანი დანდანი... კაბენ კარიმ ჟანგარი,

ჰაი დანდანი დანდანი... ქობედ დნიმ წირანი,

ჰაი დანდანი დანდანი... ქუ ნანიდ ჩარ ტანი...

მ ა ნ ო. ჰაზბარუ.

ე რ თ ა დ. ჰაზბანდარუ (აირევიან ხაღ-ხში, მზეს უცქერიან და სიმთვრა-ლით ხალხს აწყდებიან).

### ბამოსვლა მისთვის

ივინიევ და რუსეთის შევიკი ცოლითა

(შემოვლენ მარცხნივ მთვრალეზი, შევიკი მღერობს და ცოლი ბანს აძლევს).

Г р и ш а. В селе малой Ванка жил,

Ванка Танку любил

Ай ли эта что...

Ванка Танку любил...

Ванка конечку купил

Сиво гриваго купил

Ай ли эта что..

Сиво гриваго купил.

Ванка конку заложил,

Со двора он укатил

Ай ли эта что...

Со двора он укатил... (Кричит во все горло) Ей, вы, хлопцы...

будем пить красенки и умрем веселенки...

Ч и н о в н и к. Что ты с ума сошел?

Г р и ш а. А ты что за умная птица а?... (с насмешкою) видишь, смотрит, чего тут не видал а? ех ты... заложил бы тупунчику красного, да чуречку белого, вот дело, умер бы веселее, а то смотрит, выш ты голова.

А в д о т я. Ех... молчи, Гриша, ведь он чиновник.

Г р и ш а. А что за беда, что он чиновник, мы сейчас умрем вместе.

Ч и н о в н и к. Ех ты дурак, за чтоже нам умереть?

Г р и ш а. А, что! Выш все грузины говорят, что мы сейчас умрем.

Ч и н о в н и к. Какие грузины говорят, из порядочных никто не скажет, глупцы только говорят. Тебе стыдно верить им, ты русский человек.

Г р и ш а. И ты то батюшка, не умней их; ех... что с тобой тольковать (разойдутся и ходят на сцене).

### ბამოსვლა მთავრად

#### ფ რ ა ნ ც უ ზ ი

ფ რ ა ნ ც უ ზ ი. (შემოვა მარცხნივ, ხელში ღურბინდი უჭირავს, დადის ხალხში და ყვირის) კტო კოჩი პასმატარჩი ჟოლნჩა ნა ტრუბ...

ი ვ ა ნ ე. (წინ მოიყვანს) ატტულდა ხარაშო მოყენა სმატრიმ?

ფ რ ა ნ ც უ ზ ი. უ.. ოჩენ კარასო.

ი ვ ა ნ ე. შტო დამ ადინ რაზ პოსმოტრიმ?

ქრანცუზი. (ამოსწევს ტრუბას) ჯადა აღინ რაზ ტაჯ ზდელაით პოს-  
მოტორი, ფოლ აბაზ, (ამოსწევს მეორესა) ჯადა დეა ტაჯ ზდელაი ი პოსმოტრ-  
რი, აღინ აბაზ, (ამოსწევს მესამეს) ჯადა ტრი ტაჯ ზდელაი ი პოსმოტორი, აბაზ  
ი დეა საურ.

ივანე. დავაი ნა პოლ აბაზ პოსმოტრიმ. (მისცემს ფულსა).

ქრანცუზი. ნუ სმატრრი (გაახედებს).

ივანე. ნიჩავო ნი სმატრიმ!

ქრანცუზი. ქაქ ნი სმატრრი?

გეო. აბა ერთი მე ჩახედლო! (ქრანცუზს) დავაი მენე ნა აბაზ პოსმოტ-  
რიმ (მისცემს ფულს).

ქრანცუზი. პასმატრრი! (გაახედებს).

გეო. ნიჩავო ნი სმოტრიმ.

ქრანცუზი. ე... კლუპი კრუზინ, ქაქ ნე სმატრრი.

გეო. (ამხანაგებს) დასწყევლა ღმერთმა, მე ამითი ვერა დავინახე რა და?

ივანე. ვერც მე დავინახე.

მანო. თქვენ არ იცით მაგითი დანახვა, მე ადრე დიდკატან ვიყავ მო-  
ჯამაგირეთა, იმას ღურბინდი ჰქონდა და იქ ვისწავლე გახედვა. აბა მე გავი-  
ხედო (ქრანცუზს) ეი, ფრანცუზ! ტეაია ლეგუშკა კუშია?

ქრანცუზი. მაია კუსაი.

მანო. თეოია ხრისტიანინ?

ქრანცუზი. კრისტიან.

მანო. ვა, რაზი ლეგუშკა კუშია ჩალავეკ ქრისტიან ბუდით?

ქრანცუზი. (ხელსა ჰკრავს) პროც ტეაია ღურაქ.

მანო. პოეოლუსტა მოია დენგი ნეტუ. ნა პოლატარა აბაზ დავაი პას-  
მოტრიმ და კადა ნოჩი ატ ჩორნა სოლნცე ნე უმრუ, ზავთრა სოროკ ეიჩრნა  
ეიჩრნა ლეგუშკა პრინესუ თეაია ლავკა.

ქრანცუზი. ქარაშო. თეაია ზნაიტ მაია ლავკა?

მანო. ნე ზნაიმ.

ქრანცუზი. პრასი, ერივანცკი პლოსად, ლავკა მუსიო ლამე.

მანო. ხარაშო, ნაიდუ.

ქრანცუზი. ნუ პასმატრრი! (გაახედებს).

მანო. (გაოცებით) ვა, მოია ნიჩავო ნი ვიდალ.

ქრანცუზი. ეხ...კაქ ნე ვიდალ.

მანო. (ივანეს და გეოს) დანახეთ რამე თქვენა?

ივანე და გეო. (ერთათ) ვერცარა ჩვენ დავინახეთ.

მანო. აბა ერთი ვნახო ეშმაკობა ხომ არა არის რა (სინჯავს ღურბინდს)  
ვაიმე სარკე როდი ჰქონია!

ივანე. მაშ მოგვატყუა?

მანო. (ქრანცუზს) ზაშტო სტეკლო ნიეტუ ჰა?

ქრანცუზი. (იქით) ახ!.. გლუპი გრუზინ უზნალ მოია ხიტრი დელი  
(ცანკალებს შიშით).

ივანე, გეო და მანო (ერთათ) აი, ლეგუშკა კუშია ქრანცუზ. ზაშტო  
აბმანით ჰა? დავაი მოი დენგი, დავაი... (მისცივიან, საყელოს დაუქერენ და  
ეწევიან აქეთ-იქით, წაართმევენ ფულსა, მოხდიან ქედსა, წაართმევენ ტრუ-  
ბასა და თან ცემას დაუწყებენ.

ფ რ ა ნ ც უ ზ ი. (ღრიალებს) აი, აი, აი... (გაქექევა და კულისაში გავარ-  
დება).

ი ვ ა ნ ე. ვერა ხედამ, ბაყაყიკამია ქრანცუზსა, როგორ გვატყუებდა!  
მგონია კი ღირდეს ქუდი და დუბინდი ექვს შაურათა.

### გამოსვლა მთავრიდან

#### იგინივე და ნემეტი

(შემოვა მარცხნივ სცენაზედა, წინ თეთრი ფართოკი აფარია, თავზე ხასალი უძვეს სალ-  
ფეტქადაფარზელი, დაღის საღწში და ყვირის) სა...სრ მარო...ტინი, სა...სრ მარო...ტინი...

ი ვ ა ნ ე. (ამხანაგებს) არიქა, ჩვენი კქუის საქმე გაჩნდა, ხალხი ლამის  
შიშით დაწყდეს, მზე ბნელდებაო და ეს სახრი მაროტინას დაატრევეს გასაყი-  
დათა. მოდი დაუძახებ, ვიყილოთ. სამიოდ სტაქანს რო შევქამთ, მე გავექქევა-  
და ხალხში გავერევი, ის რო მე გამამიდგეს, მანო, შენ მაროტინი მოიტაცე და  
წაილე. ზერე ერთათა ექამოთ. მაინც წელან ჩვენ ღრანცუზსა მოგვატყუა და  
ჩვენ ეს მოვატყუოთ.

მ ა ნ ო. აბა დაუძახე, აგრე უყოთ.

ი ვ ა ნ ე. ეი... ეი... მაროტინა, დავაი სუდა! (მოვლენ წინ სცენაზედ)

ნ ე მ ე ც ი (მოიტანს წინა) ა შტო! დვოია გუბით.

მ ა ნ ო. ვა! კაკ ნი კუბიტ. რაზი ემუ დენგი ნეტუ, შტო ლი. ონ კნიაზ  
მაქარსკი და ჩათუქესანსკი<sup>15</sup>, ზნაიშ.

ნ ე მ ე ც ი. ააა. გურუ...ზია, გავო ჟოლტი ჩოხა და ბელი ქაჰკა, ვსე  
კნიაზ. ნუ, გუბი.

ი ვ ა ნ ე. სტაქან პოჩომ?

ნ ე მ ე ც ი. ბეთ გაბიგ სერებრო.

ი ვ ა ნ ე. მოია კაპიკ-მაპიკ ნე ზნაით, გვარი შაურ შტოლი?

ნ ე მ ე ც ი. ნუ შაა...ურ

ი ვ ა ნ ე. ნუ დავაი აღინ სტაქან მენე (ამხანაგებზედ აჩვენებს) აღინ იამუ,  
აღინ იამუ, აღინ იამუ.

ნ ე მ ე ც ი. ნუ, გუყიდე! (ხაზალს ძირს დასდებს, ახდის სალფეთს ამოი-  
ლებს სტაქანსა, მაროტინას ჩასდებს შიგა და თითო-თითოთ ჩამოურთიგებს ყვე-  
ლასა და შეაქმევს) ეინ აბაზ ბუდიდ.

ი ვ ა ნ ე. ხარაშო, იშო დავაი.

ნ ე მ ე ც ი. გუყიდე... (კიდევ შეაქმევს) დებერ ცვეინ აბაზ ბუდიდ.

ი ვ ა ნ ე. ხარაშო, დენგი პოსლე ვაშომუ (გაქექევა და გაერევა ხალხში.  
ნემეტი მისდევს უკან ყვირილითა).

ნ ე მ ე ც ი. უ... აზიათ ბრაკლატი, გუდა იდომ?

მ ა ნ ო. (აილებს მაროტინასა და მიარბევიანებს გარეთა)

გ ე ო. (უყვირის ნემეტს) ეი... ეი... ეი... ეონ, ვიდიშ, მაროტინა ვიიალ.

ნ ე მ ე ც ი. (მოვა წინ სცენაზედ, ქუდს მოიხდის, თმას იბდღენის და ნე-  
მეტურად ილანძღება, მერე გამოუდგება მანუასა და მიმავალს) აზიათ ბროჯ-  
ლათი, დებერ ხაზაინ ქალვანი ნი დას (გავა გარეთ).

(შეიქნება ხალხი ყაყანი)

ერთი ამბობს. აი, სიბნელე წამოვიდა (ცოტა დაბნელდება სცენაზედ).

მეორე. აი, როგორ დაბნელდა.

მესამე. უფრო იკლო სინათლემა აი. (შეიქმონენ შიშით კანკალსა. სცენაზედა მზე უფრო ბნელდება ნელა-ნელა. ხალხი შეიქს შფოთვისა და გაშტერებით მზეს უცქერიან).

ერთი. აი, აი, აი დაბნელდა, დაბნელდა! (მზე სულ დაბნელდება. სიბნელე გასწევს ორს მინუტსა და სიბნელეში ზოგნი ერთმანეთს ეფარებიან, ზოგნი თვალბზედ ხელს იფარებენ, ზოგნი სცენიდან გაიქცევიან და ზოგნი შიშით ბაბანებენ და კბილს კბილზედ აცემინებენ).

გრიგოლ. (მარებს ჩუმათ) აბა, დრო ახლა გვაქვს, გეთაყვანე წავიდეო.

მარეხ. წავიდეო, შენი ქირიმე.

(გრიგოლ გაუყრის მარეხს კლავში ხელსა და ჩქარის სიარულით გავლენ სცენიდან მარჯვნივ. მზე ცოტათი განათდება, ხალხში ჩავარდება სიხარულისა ჩოჩქოლი).

ერთი. ღმერთო, მადლობა შენთვისა, აი ცოტათი განათდა!

მეორე. აი, უფრო მოემატა სინათლე.

მესამე. აი, სულ გამოდის.

ხალხი (ერთად) აი, აი, თენდება, თენდება! (მზე სულ გამოვა და ერთად ყვირიან) ღმერთო, მადლობა შენთვის, ისევე გამოვიდა მზე (ყვირიან სიხარულის ხმით) განათდა, განათდა, ახლა ღმერთი მოწყალეა, განათდა, ურა, ურა, ურა.

ჩინოვნიკი. (ყვირის) Да торжествует наука...

რევსიმე. (მიიხედ-მოიხედავს და მარებს რო ველარ დაინახავს შეშფოთებით) ქა, ვაი შენ ჩემო თაო, მარეხ რა ქნილა?

გეურქა. (შეშფოთებით ათვალეირებს) ვაიმე, აღარც ჩენი მდგმური აფიცარი არის.

რევსიმე. ვაიმე ქა! აღაჯან აღარ არიან?

გეურქა. ვაიმე, უთუოთ სიბნელეში გველაშაპები ჩამოვიდნენ და ჩაულაპებს (ყვირიან ცოლი და ქმარი) ვაიმე შვილო! (ხალხში ჩავარდება ჩოჩქოლი)

ხალხი. რა ამბავია?... ნუ გეშინიანთ, ღმერთი მოწყალეა. (გეურქას და რევსიმეს უჭერენ კლავებსა, გაჰყავთ გარეთა. ისინი მისდევენ წვილ-კივილითა, თან გული მისდით და დაეშეება ფარდა).

#### მოქმედება მესამე

(სცენა წარმოადგენს გეურქასავე დარბაზსა, სცენა არის დაფენილი ხალიჩებითა. მარცხნივ ზის რევსიმე, გვერდით უზის დედამთილი. მარჯვნივ ზის გეურქა. სამნივე შავებით დართულნი. რევსიმეს უსხედან მოსამძიმრე ქალები ჩადრებითა და გეურქას კაცები. რევსიმე ტირის და ნენე ბანს აძლევს).

## გამოსვლა პირველი

რ ე ვ ს ი მ ე. (ტირილით) მარეხჯან შე...ნი... კი...რიმე პო... პო, შენი ყრმი-  
ზი ლო ლო...ყების კი... რიმე პო... პო... ვაი... ვაი... ვაი,,, შენი გამოსურბული  
თვა...ლების კი...რიმე პო... პო... შენი ხუჭუჭი ქო...ჩარის კი...რიმე... პო... პო,,,  
ვაი... ვაი... ვაი... (გეურქას) ალაჯან! ალაჯან! ქა! გენაცვალე: ეს რა ცეცხლი  
მოგვივიდა ზეცოდგანა, განა მარტო ჩვენთვის დაბნელდა მზე.

გ ე უ რ ქ ა. (ღრიალებს ტირილით) ვაიმე შეილო მარეხ, შეილო, შენს  
თავზედ გვირგვინმა ველარა ვნახე, შეილო! სად დამეკარგე, შეილო!

რ ე ვ ს ი მ ე. ეგრე თქვი, ალაჯან, გენაცვალე! (ტირის) მარეხჯან, შენი  
ქორწილი ველარა ვნახე პო... პო, შენთვის ჩალაგებული მზითევი ოხ... რათ  
დაგრჩა პო... პო... ვაი... ვაი... ვაი... წელებო დამწვარო.

## გამოსვლა მეორე

### ივინეუ და სიმონიკა

ს ი მ ო ნ ი კ ა. (შემოვა, ფაფანაკს გადიგდებს უჯანა, წამოიჩოქებს და მიუ-  
ტირებს) ვა ჩემს ყოფას, ეს რა მოგვივიდა ალა! რავა დავკარგეთ მარეხი, ვაი  
უბედურებს, ვაი დაფსებილებს.

რ ე ვ ს ი მ ე. ეგრე მოგვიტირე, სიმონიკო, მარეხი ალარა გვეყავს (დაიკი-  
ვლებს) ვაი შენ დამკარგავსა, შეილო! ვაი... ვაი... ვაი.

გ ე უ რ ქ ა. სიმონიკო, მამიტირე, მამიტირე, მარეხი ალარა მყავს.

ს ი მ ო ნ ი კ ა. ვაი ჩემს თავს, ალა! ნეტამე შენ შეეკამეთ მის მაგიერათ.

გ ე უ რ ქ ა. ვაი, ნეტავი აგრე ყოფილიყო.

რ ე ვ ს ი მ ე. სიმონიკო! წადი ერთი სამოვარი კიპიტი ქენი, კუსები\*  
დაუძახოთ.

ს ი მ ო ნ ი კ ა. კი ბატონო.

## გამოსვლა მესამე

### ივინეუ და მიკირტუმა

(მიკირტუმა შემოვა, გეურქა და რევისიმე მიუტირებენ)

გ ე უ რ ქ ა და რ ე ვ ს ი მ ე. მიკირტუმჯან, მოგვიტირე, მარეხ დავკარგეთ,  
მიკირტუმჯან!

მ ი კ ი რ ტ უ მ ა. ტო, ტუტუც მიილიქ, ინჩიქანუმე?\*

გ ე უ რ ქ ა. ვა! მიკირტუმჯან, რა ტუტუცობაა. ქალი დავკარგე, ბას არ  
ვიტირო. ნეტავი შენთვის დამეყვრებინა და შენი 'ნათლულისათვის მიმეცა,  
იქნება არ დამკარგოდა.

მ ი კ ი რ ტ უ მ ა. ტო, მე ესლა წიგნი მამივიდა ჩემი ნათლულისა, მწე-  
რამს: მზემ რომ დაბნელდა, ყარამანის დროს რო ფერიავები ყოფილან<sup>16</sup>, იმის-  
თანაები ჩამოვიდენ ციდგანა და მარეხ მოიტაცესო; მე გამოუდექ წაპართმე-  
ვათა. მარტო რო ვერ წავართვი, ჰველბრის კახარმიდან ერთი როტა ჭარი  
წავასხი და გამოუდექო; ფერიავები დაემზადნენ რომ გამქეცოდნენ და მა-  
რეხ უკიანეს ზღვის კუნძულზე წაყევანათო; მაგრამ ერთს ხევში შევიმწყედოე  
და აღარ უშვებო. ახლა გეურქასა ჰკითხე, თუ ნებას მამეცემს, რომ ცოლათ შე-  
ვირთო მარეხი, ხომ გამოვიხსნიო, თუ არა და დავანებებ წაყევანონო.

\* ქალები.

\*\* ბიკო, ტუტუცო, რას სჩადი?

გეუ რქა. (სიხარულით) ვა მართლა?! თუ ავრეა გამოიხსნას. (წამოდგება ზეზე) ვინ ღორი არ შერთამს. ჩემი დოვლაით სულ იმათ მივცემ, ოღონდ ჩემი მარები ცოცხალი მაჩვენოს.

რეესი მე. (ადგება და წამოცვივით ყველანი, სიხარული შეუდგებოთ და რევსიმე ეხვევა მიკირტუმას) ქა, მიკირტუმჯან, გენაცვალე, ოღონდ ჩემი მარები კიდენ ცოცხალი ვნახო და როგორ არ მივცემ ცოლათა.

მიკირტუმა. პარუნ გეურქ! ბას პირობის წერილი დასწერე, რომ იმათი ჯვრის დაწერა შენი ყაბული არის და შენი იმენიეზედ ნასლედნიკი იმათა ჰქნამ. მე წავალ და იმათ მოვიყვან.

სიმონიკა. ალა, დოუწერე, შენი მუხლის ჰირიმე, მარა ისიც კი შიღ ჩასწერე, რომე მზითვის სკივრის მისატანი სამი მანათი მომცეს.

გეუ რქა. მიკირტუმ რომანიჩ! ვა მე მკითხამ? დაწერე როგორც გინდა და მე ხელი მოვაწერამ.

მიკირტუმა. სიმონიკო! წადი საწერელი და ქალაღდი შემოიტანე. დაეწერო.

სიმონიკა. ახლავ, შენი მუხლის ჰირიმე (გავა და შეშოუტანს).

მიკირტუმა. (დაჯდება სტოლზედა, დასწერს და მიუტანს გეურქას) პარუნ გეურქ, აბა ხელი მოაწერე.

გეუ რქა. ერთი წამიკითხე, როგორ დაწერე.

მიკირტუმა. (კითხულობს) „1851 წელსა, კათათვის შვიდმეტეი დღესა<sup>17</sup>, ესე წერილი გაძლევ მე, გეურქა კარაპეტოვი, თქვენ, პორუჩიკი გრიგოლ ჩეშმაკოვი, იმიტომა, რომა ჩემი ყაბული არის ჩემი ქალი მარეხზედ ჯვარი დაიწერო დღესვე და ჩემი იმენის ნასლედნიკამაც შენ და ჩემი ქალი გაგზადეთ. თუ მე ეს პირობა ატკაზი ვქნა, მაშინ ღმერთი გამიწყურეს და ყოველი ჩემი იმენია თუ ფულები, სულ პრიკაზი<sup>18</sup> მივცე შტრაფათა“.

გეუ რქა. ძალიან კარგია. (მოაწერს ხელსა და მისცემს მიკირტუმას).

მიკირტუმა. (წერილს ჯიბეში ჩაიდებს, დადის სცენაზედ და იცინის მაღალის ხმითა) ხა... ხა... ხა...

გეუ რქა. (გაკვირვებით) ვა! მიკირტუმჯან, რას იცინი?

მიკირტუმა. (გეურქას) აიდა შტუქ! ამისთანა შტუქი კამედიაჩიკი ეამოულოც ვერ იქმოდა, ხა... ხა... ხა... (პუბლიკას) ვიდალ ვი? მიკირტუმ რომანიჩ კაკოი მასტერ ჩალავეკ, კაკოი შტუქუ ზდელილ, ხა... ხა... ხა... (გეურქას) აიდა შტუქ, შტუქ, შტუქ, შტუქ. შტუქ... ხა... ხა...

გეუ რქა. (გაოცებით) ვა! რა შტუქი, ერთი გამაგებინე და?

მიკირტუმა. ტო, რის გველესაპი, რის ფერია. მზემ რო დაბნელდა. შენი ქალმა და ჩემი ნათლული თელეთში.<sup>19</sup> გაპარულიყვენ და ჯვარი დაუწერიათ. ახლა ჩემი ნათლული მწერამს: „ერთი შტუქი გაუყეთე გეურქასა, წერილი ეგები გამოართო, რომ ჯვარის წერის ყაბული ქნას და თავისი იმენის ნასლედნიკამაც ჩვენა გქნასო“. რაკი წერილი გამოგართვი, ეხლავ წავალ და იმათ მეზურნეებით და საზანდრებით მოვიყვან. ხა... ხა... ხა... აიდა შტუქ... შტუქ... შტუქ... ხა... ხა... ხა...

გეუ რქა, ტო, მიკირტუმჯან, ვეთაყვანე, მართლა ამბობ?

მიკირტუმა. ვა! მართლა მეთქი, ჩემი ჯანის მზემა. ტო, გადით, შვეებმა გამოიცვალეთ და სახლიც მოამზადეთ, მე წავალ და ისინი მოვიყვან.



გე უ რ ქ ა. ახ, ტერ ასტეაწ\*! ეს რა კუდიანი დრომ გამხდარა, ახლანდელი ხალხი წორეთ ფრთიანი ეშმაკი მოატყუებენ ჰა! (მიკირტუმა იცინი!).

რ ე ვ ს ი მ ე. ალაჯან! ერთი ჩემი მარხე დროზე ვნახო და რაც მოხუა, მოხდა. (მიკირტუმას) მიკირტუმაჯან! გენაცვალე. დროზე მოიყვანე.

მ ი კ ი რ ტ უ მ ა. ახლავ მოიყვან (გავა შუა კართ).

რ ე ვ ს ი მ ე. სიმონიკო! შენ სახლი დაგავე და ახალი მეზლით შორეთ. ჩვენც ტანისამოსები გამოვიცვლით და მოვალთ.

ს ი მ ო ნ ი კ ა. კაი მოგეცა, ახლავ (გავა და ცოცხს შემოიტანს).

რ ე ვ ს ი მ ე. ალაჯან! წავიდეთ, ტანისამოსი გამოვიცვალთ და ჩვენი ვინძეებიც დავაძახებინოთ.

გე უ რ ქ ა. წავიდეთ, მეტი რა ღონეა. ჩემი ქალი ვაჭარი მინდოდა მიმეცა, მაგრამ რაღა ფაიდა.

რ ე ვ ს ი მ ე. არა უშავს რა, ალაჯან! იმან სომეხია, ფულის ყაირათი ეცოდნება. წავიდეთ (სიმონიკას) მებელს და საფენს მეორე ბიჭი მოგაწოდებს კარებში და შენ შორეთ სახლი (გავლენ ყველანი სიმონიკას გარდა).

ს ი მ ო ნ ი კ ა. (მიძახებს) კაი იქნება. (მერე პუბლიკას) იიმე, ე რა მოხდა, შე კაცო, ნუ მაშიყვდე, ეშმაკს ვერ ეფიქრა ეს, აჰ, დედა. დედა, დედა, რაღა გამეხარა, ჩემ სამს მანათს ავიღეფ (ხალიჩას გამოიტანს გარეთა და მერე გვის სახლსა და თან მღერობს). ოდელია დელასა, ოი ოდელია დელ დელასა... აჰ, რაღა ტკბილა შეიტკბიან ამაღამ (ამოხოვრით) ახ, ნეტამც... (ცოცხს გაიტანს გარეთა და ერთს ხალიჩას შემოიტანს, მარჯვნივ კულისისაყენ დაჰფენს და ლაპარაკობს) კი, თქვენ ნუ მოუყვდებით ჩემს თავს, ვარგისი ცოლქმარი შეიყარნენ, ოდელია... (აწოდებენ კარებიდან მებელსა, სიმონიკა აწეობს სკამებს რიგზედ, ორს კრესლას დასდამს მარცხნივ და სუზნებს გადააფარებს, ზედ ჩამოჭდება და ყელს მოიღერებს). აჰა, მოგეცა ღვთის წყალობა, მეც კი მომიხდეს გვირგვინის ფსკენა. აჰ, გვირგვინიანი რაღა ცეკვას დოღული, დედა, დედა, დედა... (წამოდგება, კლავებს კვანწავს, თამაშობს და თავის იავს ეუბნება) ჰო, უქენ, უქენ, შე კაცო, კი გრხდება, კი.

### ბამოსვლა მეოთხე

(შემოდან გეურქა, რევისიმე და სტუმრები დართულნი. გეურქას უქირავს ცალ ხელში ვერცხლის ჯამით ღვინო და ცალში შალი, რევისიმეს ვერცხლის ჯამით შარბათი).

რ ე ვ ს ი მ ე. ალაჯან, რათ დავიჯიანეს?

გე უ რ ქ ა. აი, ფეხის ხმა ისმის, ვილაც მორბის.

### ბამოსვლა მესამე

იგინიე და მახარობელი

მ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ი. (შემოვა შუა კარით და დაიძახებს)

მე ვარ მახარობელი,  
სახლის გამხარებელი,  
მიჭამია ბალი,  
ამიხვიეთ მხარი,  
ერთი ჯამი ღვინო მასვით,  
გამატარეთ კარი...

\* ღმერთო

მომილოცავს, ბატონებო, მშვიდობით მოგდიან მეფე და დედოფალი!  
გ ე უ რ ქ ა. (ჯამით ლეონოს მიიტანს, შიგ ფულებს ჩაუყრის, დაალევიანებს  
და შალით მხარს აუხვევს. ისმის ზურნის ხმა) აი, მოდიან.

#### გამოსვლა მემამულე

(მეზოფა მეჯვარე, შემოიტანს თეფშა, კარბჭინ დახლებს. ამოიღებს ხმალსა და კარის  
აპოლხედ მიამჩენს. შემოდიან წინ მეზურნეები და საზანდრები, მერე მეფე და დედოფა-  
ლი და უკან მოხლევან მაყრები. მეფე თეფშს დაამტკრებს).

გ ე უ რ ქ ა. ეპ... ამისთანა შტუკი არ უნდა გექნათ, მაგრამ ფაიდა აღარ  
არის (მიულოცავს). ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ერთმანერთი შეგაბეროთ, ფე-  
ლის ყაირათი მოგცეთ, სამი ვაჟი მოგცეთ და ერთი ქალი!

მ ი კ ი რ ტ უ მ ა. (ყვირის) ამინ... ისეღ საგლასიმ...\*

რ ე ვ ს ი მ ე. (სიძეს თავს დაუკრავს, ქალს პირზედ აკოცებს და მიულო-  
ცავს) ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ერთმანერთს შეგაბეროთ! (გრიგოლს) შენ  
იცი და შენი კაცობა, როგორც ჩემი მარეხი კარგათ შეინახავ! (დაალევიანებს  
მარეხას ჯამით შარბათსა, მერე მაყრები მიიყვანენ მეფე-დედოფალს, დასხმენ  
კრესლებზედა და ყველანი დასხდებიან. საზანდრები დასხდებიან მარჯვნივ  
ხ:ლიჩაზედა).

მ ი კ ი რ ტ უ მ ა. (საზანდრებს) ვა! რას მოგიწყენიათ, ხო ხედავთ, ქორწი-  
ლი გვაქვს. აბა, ერთი იმღერეთ! (საზანდრები მოჰყვებიან სიმღერას და რო  
გაათაყებენ), ნუ! ტეპერ ლეზგინკუ... (საზანდრები დაუკრავენ ლეკურს სათა-  
მამოსა, ქალები ყველანი ითამაშებენ და მაყრები ტაშს უკვრენ, მერე ითამა-  
შებს მეფე და დედოფალს დაუკრავს თავსა, დედოფალი ითამაშებს და რო  
გაათაყებს თამაშობასა, ფარდა დაეშვება).

\* ისევე შეეთანხმდით (დამახინჯებული რუსულით).

## ლაპრენტი არდაზიანი

### სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი

#### ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

სახელი ჩემი სოლომონ, გვარი — მეჯღანუაშვილი. რაც ქვეყანაში კაცად გამოველ, მეთაკილებოდა ჩემი გვარი და ამიტომ ვცდილობდი გვარი როგორმე შემეცვალა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თუმცა სხვანი ადვილად ახერხებენ. ხან შინდოდა მიმეცა რუსული დაბოლოება, ესრეთ: მეჯღანუევი, მეჯღანუიჩ, მეჯღანუევსკი; მაგრამ სიტყვა ჭლანი არ ამოვარდა. ხან შინდოდა გადამეთარგმნა რუსულად, მაგრამ ვერცა მე გადავთარგმნე, ვერცა სხვამ, შემრჩა ისევ ეს გვარი. რა უთხრა ჩემ მამა-პაპასა!..

განსვენებული დედაჩემი მოგახსენებდათ, ვითომც ეს გვარი დაურქმევია მამიჩემისათვის ღვთისაგან კურთხეულს დიდს ერეკლე მეფეს. მაგრამ მე ეს არა მჯერა: ერეკლეს გვარების დარქმევისათვის არა სცალოდა. ჭკუაზედ უფრო ახლოა, რომ ეს გვარი დარქმევია მამაჩემს, იქნებ პაპაჩემსაც ქალაქელებისაგან (ცოტა-მატანი კი არ არიან ქალაქელები!), რადგანაც მამა-პაპა ჩემი მეჯღანენი ყოფილან.

და ესრეთ, აწ მე გახლავარ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი.

მე დავიბადე ქ. ტფილისს, ციხის უბანში<sup>1</sup>, პაპიჩემის სახლში, ანუ სწორედ ესთქვა, ქოხში, რომელიც უფრო მიემსგავსებოდა ღრმა სოროსა, დათვის სადგომსა, ვიდრე კაცის სადგომსა. ამ სასახლეს ჰქონდა სივრცით ხუთი, სივრცით ორნახევარი ადლი.

მამაჩემს, ისაკს, თუმცა არა ჰქონია-რა, მაგრამ, მე რო დავბადებულვარ (1800 წელსა). დიდი მეჭლიში თურმე ვადუხდია. საკვირველი მოღბინე და მხიარული კაცი თურმე ყოფილა; არცარა ჰქონია, არცარა ჰქვებია. ფიქრი ნაღველი და სევდა ვერ მიკარებთან იმის გულსა, ამპარტავნობას არ დაუქვლევებია. ბედნიერი სიცოცხლეც ეს არის!

რალა გაგიგრძელოთ, მამა ჩემი წლის თავზედ გამოგვესალმა და გარდაიცვალა ამიერ სოფლით გამოუთქმელ სიხარულით, გეგონებოდათ მიეშურებოდა რომელიმე დღეობაში, ანუ ლხინში, გეგონებოდათ, რომ დაუტევავო თექვსმეტის წლის ქვრივსა — ცოლსა, ერთის წლის ვაჟსა — ობოლსა განძი და საცხოვრებელი. აღმოჩნდა, რომ მამა-ჩემმა დაგვიტევა ზემოხსენებული ქოხი, დამსხვრეული ტახტი, ერთი ძველი ჭილობი, ერთი დაგლეჯილი ფარდაგი და ერთი პატარა ხალიჩა (დედიჩემის მზითვეი), ერთი ხელი ლოგინი, სამი ჩინური ჯამი, ხუთი თიხის ჯამი, ექვსი თიხის თეფში, ერთი პატარა ქვაბი, და ორი შამფური. იმ დალოცვილმა აღარ იფიქრა, რომ იმისს ქვრივსა, მაწოვარსა, სოფლის გაუცნობელსა მაშინვე მოშივდებოდა, და მე განუსჯელად მოვთხოვდი იმას წამ-და-წამ ძუძუსა!

არცა მამა ჩემს, არცა დედა ჩემს არა ჰყვანდნენ ახლო ნათესავნი; შორეულკბმა კი შორს ღაგვიჭირეს. დავრჩით მარტოთ-მარტონი, უპატრონონი. ამ საშინელ მღვრთარობაში საჭირო იყო დედა ჩემისთვის შემთხვევიყო ისეთ ვარემობას, რომლის შეხეთქებისაგან უნდა გამოჩენოდა გზა ნუგეშის-ცემისა და ცხოვრებისა. ეს შემთხვევა სასწრაფოდ გამოუჩნდა, და დედა ჩემზე ნზადდებოდა საშინელი განსაცდელი.

გაიანე (სახელი დედაჩემისა), იყო ლამაზი, ამიტომ, რა წამს დაქვრივდა. გამოუჩნდნენ იმას თაყვანისმცემლები. ესენი იყვნენ მესობლები: ერთი ბაყალი გეო ნონიაშვილი, — რომელსაც არა თუ პერანგი არ გაერეცხინებინა ერთ მთელი წელიწადს, ხელპირის დაბანაც კი არ იამებოდა, — მამაჩემსედ მდიდარი არ იყო. მეორე — მეწვრილმანე გასპარ სარქისბეგაშვილი, ახალგაზრდა ოაგომწონე. შემძლებელი.

არ გაიარა ერთმა კვირამ, რაც მე დავობლდი და ბაყალი და მეწვრილმანე შეუდგნენ თავიანთ განზრახულ საქმესა. ამით ჰყვანდათ შუამავლად თითო ბებერი დედაყაყი. თაყვანისმცემლები და იმათი ბებრები ისე საიდუმლოდ მოქმედებდნენ, რომ თავიანთი საქმე ერთმანეთს არ გააგებინეს. ბაყალის ბებრის მოჰქონდა ხოლმე დედაჩემთან ყოველ შაბათობით და კვირაობით, საღამოს. ერთი კვირი საქმელი და პური, სადაც დღეში კი, დილით ხილი: ხურმა, წაბლი, თხილი და ვაშლი. მეწვრილმანე უფრო უხვად იქცეოდა. ეს უგზავნიდა სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით სხვადასხვა რიგ საქმელსა და ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით — ხმელ ხილსა; ინდის ხურმას, ნუშს, ქიშმიშს, ალჯანაბადასა და სხვა. დედაჩემს შიოდა და ამიტომ არ შეეძლო, არ მიეღო შემწეობა მესობლებისაგან. მოწყალემა ეგონა და მადლობდა.

სამ თვეს უკან — ეს იყო ყველიერის ორშაბათი, — ბაყალის შუამავალი მოვიდა დედაჩემთან და მოუყვა გეო ნონიაშვილის ქებას, აიყვანა ცამდინ და დედამიწას აღარ დააკარა, მერე უთხრა:

— კარგა იფიქრე, შვილო! წარმოიდგინე შენი გარემოება, ვინა გყავს პატრონი? ვისგან რას მოელი? როგორ: ვინდა დარჩე? თექვსმეტის წლის ქალი, შემწყვდეული ერთ ქოხში, რა იქმნები? სხვა არა იყოს რა, წყლის მომწოდებელიც არავინა გყავს!

— რა უნდა ვქნა, დედიჩან, — უპასუხა გაიანემ გაკვირვებით.

— აი, შვილო, რა უნდა ქნა, — უთხრა ღიმილით ბებერმა: — დამიჯერე, ქუთას ნუ დაქარგავ, პატრონი გაიჩინე. გეუაზე უკეთესს პატრონს შენ ვერ იშოვნო. ვეუას უყვანარ შენ, გეუა შენთვის გიყდება, ნატრობს შენ შერთვას. რასაკვირველია, ჭვარისწერა ახლა არ იქნება... წლის თავზედ... მხოლოდ ახლა დაინიშნებით და დღეინდლიდამ გარედამ გიპატრონებს.

— გადაწყვეტილს მოგახსენებ, დედავ, — უთხრა შეწუხებული სახით დედა ჩემმა — ჩემ ქმარშვილს ვერ ვულალატებ. სარჩოსათვის არა ვზრუნავ, ქვეყანა დიდია.

წელმოწყვეტილი ბებერი გავიდა და აღარ დანახვებია დედა ჩემს.

მეორე დღეს, სამშაბათს, უცებ შემოვარდა ჩვენსა ბებერი მეწვრილმანისა ქაქანი. ღრეკით და თამაშობით. ეს ბებერი იყო გამხმარი, როგორც ჩანხი, შავი, როგორც მუგუზალი. სიცილში უჩანდა ჩაშავებული ღრჯილები. ილღინ ქვეშ ეპირა გამოკრული ბოხჩა.

გაიანე შეერთა. ბებერი დაამტერდა ქალს, მერე კატის სიმკვირცხლით

შეახტა, მოესვია ყელზედ და ჰკოცნიდა საძაგელის ტუჩებით. სანამ დედა ჩემი დორბლებს მოიწმენდდა და შეიკრფდა ფიქრებს, ბებერმა ჩამოკიდა ყელზედ ძველებური ოქროს ძეწვეი, მოსტაცა მარჯვენა ხელი და ორ თითზედ გაუკეთა ზურმუხტისა და იაგუნდის ბეჭდები: თავზედ მოახუა ბალდადი, გაშალა ბოხსა და გადმოეწყო საპერანგე მოვები, შეიღწია. საკაბე, ლეჩაჭა, ერთის სიტყვით ერთი ხელიი ტანისამოსი, თანაც ღლინებდა:

— შენ გეთყუანოს ჩემი თავი, გაიანე, — უთხრა ბოლოს ბებერმა — რა სახით გიხდება! ღირსი იყავ და მოგეცა კიდეს! გადაყარე ეგ შავები!

დედა-ჩემს შეუბროწეულდა ლოყები: ნაშანი ეგონა, მეწერმაღლისაგან გამოგზავნილი, და ეწვინა.

— ეს რას ნიშნავს, ბატონო? — ჰკითხა გაიანემ ბებერს და სასწრაფოდ ყოველივე ნივთები, რაც შეეყარა იმას მაქანკალმა, ბოხხაში გამოუქრა და კალთაში ჩაუღო.

— ეს ნივთები მოგართვა გასპარამ, — უთხრა ბებერმა დაიციადე კიდევ, ეს რა არის, იმდენი მოგივა, რომ ერთს სკივრს გაავსებ!

— მივივრს, ბატონო! გასპარა მე რად მიგზავნის ნივთებსა? ნათესავი არა ვარ, თვისი და ტომი! გამომიცხადეთ თქვენი აზრი.

— ყმაწვილი ხარ ჭერ, ჩემო ღამაზო, რომ თვითონ შენ ვერ მიმხვდარხარ საქმეს! — უპასუხა ბებერმა უსიამოვნო ღრუკით. — შენმა სიღამაზემ ისე მოხიბლა გასპარა, რომ შენს მეტი აღარა ახსოვს რა ქვეყანაზედ!... გასპარა გაგეებულა შენთვის; გასპარას უყვარხარ, ასე უყვარხარ, რომ წყალში და ცეცხლში მზად არის გადავარდეს შენი გულსათვის. ახლა წარმოიდგინე, რა ბედნიერი იქნები იმის ხელში! ხომ იცო, შემძლებელი კაცია: აგავსებს, აგავსებს, გარწმუნებ, აგავსებს!..

დედაჩემს გული აუჩქროლდა.

— თქვენმა სიტყვებმა, ბატონო, რაღაც უგუნურ ეპეებში შემოიყვანა, — უთხრა დედაჩემმა. — გამომიცხადეთ თქვენი აზრი.

— გასპარა გთხოვს, ერთ ღამეს გაატაროს შენთან დროება.

მეხი რო დასცემოდა საწყალ ქალს, ისე არ მოჰკლავდა, როგორაც მოჰკლა ბებრის სიტყვებმა. დედაჩემს ყვითელმა ფერმა გადაჰკრა, თავით-ღებებამდინ თრთოლა დააწყებინა. ბებერს შეუშინდა და უკან დაიწია. როდესაც მობრუნდა და შეიკრიბა აზრები, დედამ ისეთის მრისხანის სახით შეხედა მაქანკალს, ისე საშინლად დაუბრიალა თვალები, რომ სხვას იქვე სული გასცივდებოდა, მაგრამ ბებერი უგრძობარი იყო, გაშეშდა მორიელსავით ერთ ადგილას და იქამდინ იყო შეუბოვარი, რომ ლაპარაკს კიდევ აპირებდა. მაშინ დედაჩემმა აიტაცა თიხის ჭამი და ტყორცნა უსიამოვნო სტუმარს შიგ პირისახეში. ამითაც რომ ვერა გახდა რა, ქალმა წამოავლო ხელი შამფურსა და ერთი თუ ორი მიაყოლა ბეჭებში. მაშინ იკადრა ბებერმა წასვლა. ქალმა კარები მაგრამ ჩაიკეტა და საღამომდის ცრემლი ღვარა, წარმოიდგინეთ ყმაწვილი ქალი, მარტო, მწუხარე, ღამე ბნელ სიბრძნეში შემწყვედელი... ეს ჭოჭოხეთი დასძლია საწყალმა მხოლოდ ლოცვით!

რომ არა დარჩენილა რა სახლში პოლწის მეწერიმალისა, დედა-ჩემმა შეაღამისას, რაც ხილი ჰქონდა შემოგზავნილი იმისაგან, შეკრიბა, გაიტანა უშიშრად და დააბნია იმის კარების წინ...

გათენდა ოთხშაბათი ყველიერისა, დედა-ჩემს მოშივდა და არა ჰქონდა რა ექამა.

ქართულად ნათქვამია: „თუ კაცი წაიქცა, დიდი და პატარა ზედ მისცივი-

დღიან და გაქვლავნიო. ასე დაემართა საწყალო ჩემ მშობელსაც. რა წამს გა-  
უნდა, სახლის მოძღვარმა. ტერტერა ტერ-აკოფამ კარი შემოაღო. ჯერ მოი-  
კოხა დედა-ჩემი. ნუკეში სცა და უქადაგა მოთმინება. მერე სთხოვა საყიდ-  
ელი რიგის ვარდახდისათვის მამაჩემზედ. გაიანემ გულის-მკვლელი მკვერმეტყვე-  
ლობით აუწერა თავისი საშინელი გარემოება და შეუძლებლობა. სხვა კაცი  
ლმობიერებაში მოვიდოდა იმის სიტყვით, შეიბრალებდა ოხერ ყმაწვილ ქალს,  
მაგრამ ტერტერას გული არ დაურბილდა. მაშინ დედა-ჩემმა უჩვენა და სთხო-  
ვა მიეღო, თუ იკადრებდა, შამფურები, ქვაბი, ჯამები და თეფშები. ტერტე-  
რამ იცოტავა. დედა-ჩემმა მთავრად თავისი ხალიჩა. ტერტერამ უსვინდისოთ  
მოხვეტა ყოველივე და წაიღო თავისი ხელით. ჩვენ დაგვრჩა ტახტი, ჰილობი,  
დარდაგი და ლოგინი.

## II

ჩამოეცალა რა ცრუ კეთილის მყოფლები, დედა-ჩემი მიეცა ფიქრებსა,  
ეძებდა ღონისძიებასა საზრდოს მოსაპოვებლად. უკანასკნელ დაადგა იმ აზრს,  
რომ უნდა დამდგარიყო ვისთანმე ან ძიძათ, ანუ მოჭამაგირეთ, მაგრამ აქ  
ღახვდა იმას დაბრკოლება. იყო რა გამოუცდელი, სოფლის გაუცნობელი,  
ამასთან გაუბედავი, საწყალმა არ იცოდა, როგორ გასულიყო კარზედ, როგორ  
ანუ ვისით მოეძებნა ბინა და როგორ აერჩია ოჯახი, ამ ფიქრში და ჩემ რწებაში  
გაატარა ოთხშაბათი. ერთს ღროს ორ საქმეს აკეთებდა საცოდავი: ჰფიქრობ-  
და, როგორ მოეპოვა ლუკმა პური, რომ მე მეცოცხლა; მარწებდა, რომ მე  
შემშლით გამშრალი იმისი ძუძუ არ მომეწოვა. მაგრამ ფიქრით და რწევით  
როგორ გამაძლებდა, როგორ გამიგრილებდა გამშრალ გულ-მუცელს? მე,  
თურმე, გავსჩხაოდი, გავსწიოდი, საზღვარს გადავიდა დედჩემის მწუხარება!

მაშინ დედაჩემმა აღარც აცივა, აღარც აცხელა, გაიტანა ბალიში და მი-  
ყიდა ახლო მენობელს სამ პურად. მყიდველს შერცხვენოდა და ერთი ჯამი ლო-  
ბით დაემატებინა. თვითონაც გაძლა, მეც გამაძლო. მაგრამ, ოჰ, რა გაძლომა  
იყო! შხამად შეარგეს დედაჩემს საქმელი! მეწვრილმანის ბებერი მოუვარდა  
კეტით, წყველით და უშვერის ლექსით დაუწყო სულის მტერმა ლანძღვა და  
არ ვაათავა, სანამ ყბები არ ჩამოსცივდა... ბედი დედაჩემისა, რომ კარები  
ჰქონდა მაგრად დაკეტილი, თორე მოჰკლავდა საცოდავსა!

ამას არ დააჯერეს: ღამე თვით მეწვრილმანე მოვიდა და ქვებს ესროდა  
ჩვენს კარებს. შიშით კინაღამ ჰკუაზე შესცდა დედაჩემი!

ხეთშაბათს ასეთივე დღე დააყენეს.

მოთმინებიდან რომ გამოვიდა, პარასკევს დილით ადრე წავიდა ქალაქს  
დედაჩემი, მთელი დღე იარა უბედურმა და ყველგან ვაიგონა, რომ არავის  
ეპარებოდა მაშინ არცა ძიძა, არცა მოჭამაგირე. დაბრუნდა შინ მკვდარი, სა-  
სოწარკვეთილი ჩემი გაიანე, დაეცა პირქვე, ტიროდა და გმინავდა.

გათენდა შაბათი.

მთელი ღამის უძილობით და მწუხარებით დატანჯული დედაჩემი ფარ-  
მიხილი იჯდა ტახტზე მოკეცილი, დაჰყურებდა დედამიწას, ერთი ხელით მე  
მარწევდა, მეორეთი ცრემლს იწმენდა, თან ლოცვას ბუტბუტებდა პაწაწიანა  
ტურჩებით... ოჰ, საწყალო დედაჩემო, აგრე როგორ დაიტანჯე!

მსწრაფლ რაღაცა ბედნიერმა აზრმა გაუელვა დედაჩემსა. დედაჩემმა მოი-  
მხიარულა, ამაყენა მე აყვნიდან, გამახვია საბანში და წამიყვანა ჩემ ნათლი-

ასთან. ნათლია შინ არ დაგვიხვდა; იმისმა ცოლ-შვილმა კი ცივად მივეიღეს. გამობრუნდა დედაჩემი გულმოკლული. მიდის... სად მიდის? არ იცის.

ამ დროს სიონის<sup>2</sup> წინ გაიარა; კარები დახვდა გაღებული და ხმა მოესმა გალობისა. მწუხარეთა ნუგეში ეკკლესიაა. „ოჰ, გამდლობ, უფალო! ამასედ უკეთესი ბინა აღარ მინდა“. სთქვა და შევიდა დედა-ჩემი სიონში. დაეცა, გმინავდა, ტიროდა. ლოცულობდა. ლოცვა მისი იყო მხურვალე. იქვე წირვას ისმენდა ერთი ყმაწვილი ვაჟი, თექვსმეტი წლისა. იმან მიაქცია ყურადღება საცოდავს გაიანეს და თითქმის თვალი ვერ მოაშორა.

გამოვიდა წირვა. გაიკრიბა ხალხი, ყველაზე ბოლოს გამოვიდა თექვსმეტი წლის ვაჟი, მერე დედა-ჩემი. მდულარე ცრემლი ეყარა საწყალს გრძელ წამწამზე და ლოყებზე, თითქოს ბრილიანტი შეუბნევიათო, „ეს არის ჩემი ბინა“, სთქვა და დაჯდა სიონის კარებთან.

მაშინ თექვსმეტი წლის ყმაწვილმა ჰკითხა დედაჩემს, რა მწუხარება გაქვსო.

დედა-ჩემმა პასუხი არ მისცა და სთქვა თავის გულში: „რა ღმერთი გასწყრომიათო, აქაც არ მეხსენებიათ!“

ყმაწვილმა დაიფიცა ღმერთი, ღვთისმშობელი და ბოლოს ჩემი თავიც რომ ეთქო დედა-ჩემს გარემოება თავისი მწუხარებისა.

დედა-ჩემმა უამბო მოკლედ თავისი გარემოება.

მაშინ ყმაწვილმა ვაჟმა სთხოვა გაიანეს, რომ გაჰყოლოდა იმას სახლში.

დედამ უარპყუო.

კიდევ სთხოვა. აღუთქვა მრავალი კეთილი... კიდევ უარპყუო... მერე დააფიცა... არ იქმნა, ვერ გააბედონა. იწყინა უგუნურო სიყვრზე დედა-ჩემისა და წასვლა დააპირა; მაგრამ მაშინვე წარმოიდგინა ჩვენი საცოდაობა და ბოლოს ასე უთხრა გაიანეს:

— დედა ღვთისა არის მოწამე, რომ მე მივიღებ შენ, როგორადაც ჩემს ღვიძლ დასა. მე მყავს დედა, რომელიც შეგიყვარებს, გამოგზრდის და პატრით შეგინახავს, რომელსაც შენ ძლიერ შეიყვარებ. მე მყვანან გამდლება. მოახლეები, მოსამსახურე ბიჭები; მე მაქვს ოჯახი კარგი, საესე ღვთის მოწყალებითა. ჩემ ოჯახში პირველი უფროსი დედაჩემია, მერე მე. არც გამსახურებ, არც საპირთა ჩემთვის შენი სამსახური. მე ვარ თავადი ლუარსაბ რაინდიძე. ღმერთსა სთხოვდი პატრონსა და აი მოგცა; დედაჩემზე უკეთესს პატრონს შენ ვერ იპოვი, წამოდი.

ლუარსაბის დიდკაცურმა შესახედლობამ, იმისმა გულწრფელმა და ტკბილმა ლაპარაკმა, ზრდილობამ და მეტადრე მშვიდმა სახის მეტყველებამ გაუბნია დედაჩემს ეჭვები. დედა გაჰყვა თავის სულგრძელს კეთილმყოფელსა. ძლივს მოწყალების კარი გაუღო საცოდავ ქვრივსა და ობოლსა.

— ბატონო, დედავ! — მოახსენა ლუარსაბმა მშობელს, როდესაც შევიდა შინ, — მე გახლდი სიონში, მოვისმინე წირვა, გწყალობდესთ! იქ ღმერთმა ჩამაბარა ერთი მეტად საცოდავი ახალგაზრდა ქვრივი ქალი ძუძუთა ბიჭით. მე ვიცი, თქვენ გიამებოდათ ქვრივ-ობლის შეწყნარება და მოგგვარე. აქ გახლავან. თუ ინებებთ, შემოვიყვან.

სახელი ლუარსაბის დედისა — დარეჯან. ეს იყო მშვენიერი, მსგავსი რომლისა არსად მინახავს. კარგი მხატვარი თავისის აზრით ვერ დასატავდა ისეთ მშვენიერ სურათს.

— უბრძანე, შვილო, შემოვიდეს, — უთხრა ლუარსაბს მშობელმა.

ლუარსაბმა ხმა მისცა და შევიდა დედაჩემი.

ლუმკა იყო ობოლ-ობერი, უნუგეშო, დღიურ გამხმარ ლუმკას მოკლებულ. შავიან. შავიან და დეხი კარბში, გაეღვიძა იმას თავმოყე-ბობა და ამპარტავნობა, — ითავილა გლახა ამპარტავანმა, რომ მიადგა კარს მოწყალები-სათვის. შვინანა იქ მისვლა და დააპირა უკან დაბრუნება. ესე ყოველი ცხადად გამოეხატა სახეზე დედაჩემსა.

დარეჯანი იყო დედაკაცი ჰკვიანი და მაშინვე წაიკითხა დედას სახეზე, რაც იმას ეუღლსი უტრიალებდა და რომ განუქარვა აღძვრა დედაჩემის თავმო-ყეარობისა სიღრთსილით შეუდგა დამშვიდებას იმის ამპარტავნობისა. ამისა-თვის კენინამ მიიღო ისეთი ღონისძიება, რომელიც ეკადრება განათლებულ გვამსა.

— აჲ მო, შვილო. დამიჭექ გვერდით, — უბრძანა კენინამ.

ეს სიტყვები გამოიღო კენინამ ისე ტკბილად, ისე ნარანარად და ალერსიანად. მასთან ისეთი სახე უჩვენა, რომ დედაჩემს ნამდვილად ეგონა, რომ კენინა იყო იმისი მშობელი და დაავიწყდა თავისი ვინაობა.

ლუმკასა გარეთ გავიდა. დედაჩემი ჩამოჭდა ტახტზედ, რომელზედაც იქ-ღა კენინა.

— ვაიანე, შვილო! გ-ნაგრძო კენინამ: ქვეყანაზე არა არისრა საკვირვე-ლი. გარდა ერთისა. ეს არის, ვისაც აქვს თვითმდგომარე ხასიათი, ვინცა სცნობს თავის ღირსებასა და დაიცავს პატიოსნებასა. დანაშთენი, მაგალითად: სიმღიდრე, სიღარბე, სიდიდაცე, სიპატარააყაცე სრულიად არა არისო. ესენი ეძლევა განგებისაგან კაცსა, რომ იყოს ქვეყანათაზე წესი, მე შენით, შენ ჩე-მით უნდა გამოვიზარდნეთ, ვიცხოვროთ. რა წამს შამოგებდე, მე ეპოვე შენ-ში თვითმდგომარე ხასიათი, ამიტომ მე და შენ ღირსნი ვართ ერთად გამოვი-ზარდნეთ და ვიცხოვროთ. შენ ნახავ შვილო, როგორათაც საქმით დაგიმტკი-ოცებ ამ ჩემს სიტყვებსა. ახლა გთხოვ მიანბო დაწვრილებით ყოველი შენი გა-რემოება.

დედაჩემს გული აუღულდა, ენა დაება და გადმოსცვივდა თვალიდგან მსხვილი ცრემლები.

— რათა სტირი შვილო? — ჰკითხა კენინამ.

— კარგა მეყურება თქვენი საკვირველი ყურადღება, რომელიც ჩემზედ უსასაყიდლოდ მიიღეთ, ავწონე თქვენი გული, მივხვდი თქვენს კეთილს გან-ზარხვას, ვგრძნობ ამას ყოველსა, მაგრამ სიტყვა არა მაქვს გამოვსთქვა მად-ლობა, ქალბატონო! მე ღირსი არ ვარ თქვენთან ახლო ჯდომისა; მიმიღეთ მო-სამსახურეთ...

ეს რა თქვა, ადგა დედაჩემი, მაგრამ კენინამ ისე დასო და უთხრა:

— ამ სახლის უფალი დღეს მე ვარ — ქმარი მე, შენსავით, აღარ მყავს, — მე შენს სახლში ჩემი ნება უნდა აღსრულდეს. შენ ნუ სწუხარ. მოსამსახურე-ბი ბევრი მყევანს. ჭერ მიანზე შენი გარემოება. მერე მე გიჩვენებ შენს თა-ნამდებობას ჩემ სახლში.

დედაჩემმა დაწვრილებით უანბო თავისი ცხოვრება და გარემოება; ბო-ლოს დაუმბატა, რომ იმან ისწავლა ზდილობა და ენა ერთი აზნაურის სახლში. რომელსაცა სახელად ეწოდებოდა ექვთიმე.

კენინას გაუკვირდა დედაჩემის მოთმინება, გონიერება და ხასიათი და ძლიერ შეუყვარდა.

კენინამ მაშინვე ამოატანინა ბაზრიდან, რაც საქირო იყო ჩვენთვის, ტა-ნისამოსი სასწრაფოდ დააკერვინა და შეგვემოსა...



კნინა თვითონ ასწავლიდა დედაჩემს კერვასა, ქარგვასა და სხვა ხელსაქმეს. სხვა ამაზედ მომატებული საქმე არა ჰქონდა გაიანეს.

ერთი კვირის შემდეგ ლუარსაბი წავიდა პეტერბურგს. კნინა წაბრძანდა შვილის ყმა-ღამამულში, სოფელს წითლიანს, ქართლში და ჩვენც თან წაგვასხა...

მე რო მოვიზარდე, კნინამ იზრუნა ჩემთვისაც; მიმბარა თავიანთ მოძღვარს, რომელმაც მასწავლა წიგნი და წერა. თვითონ კნინა მასწავლიდა დავითსა და მაკითხებდა ხოლმე „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ქართულ წიგნებს; აგრეთვე მასწავლიდა ზნეობასა, ზრდილობასა, სიტყვა-პასუხსა. მე ვუჭერებდი. ვსწავლობდი, მივიღე მრავალი და, არ მანსოვს, რომ ოდესმე შემეწუხებინოს ჩემის ურიგო ყოფაქცევით ჩემი კეთილსმყოფელი.

ამასთან კნინა ისე გვიფრთხილდებოდა ჩვენ, რომ უბრძანა გამდებლბსა და სხვა მოსამსახურებსა, არამც და არამც არ ეწუენინებინათ ჩვენთვის ან სიტყვით, ან წარბით, ან საქმით. მოსამსახურეებს გაგიყვებით უუვარდათ ქალბატონი და წმინდად აღასრულეს ბრძანება მისი. მართლადაც თექვსმეტსწლის განმავლობაში არც დედაჩემს, არც მე არ გვიანახავს იმათგან რაიმე მტორელი წინააღმდეგობა, ანუ წყენა.

მაგრამ თექვსმეტ წელიწადს უკან ბედნიერება მოგვეშალა, სიკვდილმა გამოგვაცალა კნინა ხელიდან. დედაჩემს ისე უუვარდა თავისი კეთილსმყოფელი, რომ უიმისოდ ვეღარ გასძლო ჩვენთან და სამ დღეზე გამოუდგა იმას. ეს მოხდა 1817 წელს.

ამ დროს კნინა ლუარსაბი დაბრუნდა რუსეთიდან მაიორის ჩინით, მდიდარი ჯვრებითა. მან ერთი წელიწადი იგლოვა დედა, მერმეთ ცოლი შეერთო.

მე ვიყავ მაშინ ჩვიდმეტის წლისა. დრო იყო, რომ ამას იქით მე მესრუენეა ჩემის თავისათვის. ამ მიზეზისა გამო გამოვეთხოვე ლუარსაბს. ამ საკვირველს კაცსა!..

მამიტევით, რომ მე გავავრცელე აქ ისტორია ჩემის მშობლისა. ისტორია მოვალეა მისცეს ადგილი თავის სტრქონებაში გამოჩინებულ პირსა. გინა იყოს იგი მეჭდანუას ცოლი.

### III

დედაჩემის აღწერით და კითხვის კითხვით. როგორც იყო, მივაგენ პაპაჩემის ქოხსა, ანუ სოროსა, რომელიც იყო დაეკტილი შინაგანის ურდულით. გასაღები ამ ურდულისა მქონდა მე.

იყო თებერვალი, ყველიერის სამშაბათი. დღე იყო საამოვნო. ცა უღრებლო, უნიავო; მზე ატფობდა ჩემს მშობელ ქალაქს. მზეზე გამოსულიყენენ და ტფებოდნენ ტფილისის მცხოვრებნი. სხვათა შორის, ციხის უბანში. გამოსულიყო ვილაცა მოხუცებული დედაკაცი და იჯდა სწორეთ ჩემს კარების წინ გულზე დაკრფილი, თავ ჩაღუნული. დაღრომილი, რომელიც სუსუნებდა; წუწუნებდა, ოხრავდა, თან მთელის სხეულით აქეთ-იქით ექანებოდა. ბოლოს ორის ხელთ ლოყებში შამოიკრა მოხუცმა, მძიმედ ამოიოხრა, კავების წვერები გაიწია-გამოიწია, თვითონ გაქან-გამოექანა და წარმოსტქვა: „ტა-ტა-ტა! ეს რა დამემართა! ღმერთი რათ გამიწყრა! სული რაზე წავიწყებდე! უბრალო სულის სიკვდილის მიზეზში როგორ ჩავდექი! ვაი მე!...“

— დედაშვილობას მიბრძანეთ, — უთხარ მე მოხუცებულსა. რომელმაც აქამომდე ვერ შემინუნა და რომელიცა გამოიყვანეს ჩემმა სიტყვებმა ღრმა

ფიქრებისაგან, — დედაშვილობას მიბრძანეთ, აქ სად დვას გაიანე, ისაყ მექ-  
ლანუაშვილის ცოლი?

მოხუცებული ასე შაქრთა. რომ დაეფანტა აზრები; ეელარ გამოერკვია,  
რომ შოეცა ჩემთვის პასუხი. მამარიდა პირი და რალაცა წაიბუტბუტა, რომე-  
ლიც მე ვერ გავიგე. რალაც კაწრაუდა ბებერსა და მე ვისურვე გამომეაშკა-  
რებინა იმისი საილუმლო. ამიტომ განუშეორე იმას ჩემი თხოვა გაიანეზე.

— რათა კითხულობ გაიანეს? შენ ვინა ხარ? — მკითხა მოხუცებულმა  
ისეთის სახით, რომელმაც აშკარად გამომიხატა, რომ იმას სრულიად არ ეპიტ-  
ნავა ჩემი თხოვნა და არ უნდოდა პასუხის მოცემა.

— ჩემი ახლო ნათესავია გაიანე, მინდა ვნახო. — ვუბასუხე მე.

— არ ვიცი, — სთქვა ბებერმა და პირი იქით მიიღო.

მრავალ ვეცადე, ვუვლიდი ხან აქეთ, ხან იქით, საითაც კი მიიღებდა  
ხოლმე პირსა, არ იქნა, ველარ შემოვახედე ბებერი ჩემსკენ. ბებერი ცდილობ-  
და აეცდინა თავისი თვალუბი ჩემი პირისახისაგან. ამ ბებრის ქცევამ უფრო  
გამიცხოველა სურვილი — გამომეხმო გარეთ იმისი საილუმლო.

მამინ მომაგონდა მრავალჯერ გავგონილი ქართული ანდაზა: „ქრთამი  
ჯოჯოხეთს ანათებსო“ და მე ამოვიღე ორი აბაზი (გამოსალმების დროს ლე-  
არსაბმა მაჩუქა ხუთი მანეთი თეთრი ფული), მივეცი მოხუცებულს და ვუთ-  
ხარი:

— ეს არის მოვედი სოფლიდან; ვარ დაღალული და შშიერი. თუ საწყენი  
არ იქნება. გეყოლებათ ვინმე, შოატანინეთ ბაზრიდან ლეინო და საკმელი,  
მომიტყვეთ, დედაშვილობას, რო უნდა გაგსარკოთ მაგდროული ადამიანი.

დანიხა რა ფულეები, ბებერმა, თვალის დახამხამებამდის, შეიბრინა ქოხ-  
ში და გავზაუნა ვილაცა კაცი ბაზარში, — მგონია, შეილი იყო იმისი, — საილის  
ნოსატანად: მერე მე შეპიწვია

— შენ, შეილო, მგონია იკითხე სახლი გაიანესი? — მკითხა მოხუცებულმა.

— დიად, ბატონო!

— სახლი გაიანესი აკრავს ჩემს სახლსა, სწორედ ის არის, სადაცა მე წე-  
ლან ვიჯექ. მაგრამ შენ ვინა ხარ და რა ხარ გაიანესი?

— მე ვარ გაიანესი დისწული. დედაჩემმა, რაც გათხოვდა, გაიანეს ამბავი  
არა იცის რა და გამომგზავნა, შევიტყო იმისი გარემოება; — მანამდისინ ტყუი-  
ლი არ მეთქო, მამინ ვეთქვი, და ამ ერთმა ტყუილმა, ოპ, ღმერთო, შემდგომში  
რამდენი ტყუილი მათქმევინა! რა გაეაგრძელო, მთელი ჩემი მოქმედება ტყუ-  
ილზე იყო დაფუძნებული.

— საკვირველია, — მითხრა მოხუცებულმა, — რა ძალიან გეხარ გაიანეს!  
ქალის ტანისამოსი რო ჩაიცი, ვერავინ იტყვის, რომ შენ გაიანე არ იყო. შუბ-  
ლი, წარბები, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი, ელფერი, ტანი, სულ გაიანესი გაქვს.  
მიკვირს! ძალიან მიკვირს!

ამ მოულოდნელ ბებერის შენიშვნისაგან არ იყო რომ არ შეეკრთი. ნერწყ-  
ვი ყელზედ დამადგა. მაგრამ ჩემ როლს ხომ ვერ უღალატებდი. მეტი ღონე არ  
იყო მეორე ტყუილიც უნდა მეთქო, და სასწრაფოთ მოვახერხე.

— დედაჩემი და გაიანე ტყუბები არიან, — მიუგე მე მოხუცებულსა: ტყუ-  
ბები, როგორც მოგესხენებთ, ერთმანეთს ხშირათ ძალიან გვანან, ასე რომ,  
ერთს მეორისაგან ძნელათ გაარჩევთ. რალაცა ბუნების მონდომებით დედაჩემი  
და გაიანე ასე გვანან ერთმანეთსა თურმე, რომ დედაჩემი რო ნახოთ გეგო-  
ნებთ გაიანეს ხედავთ. მეცა დედაჩემს ასე ვგვეარ, რომ თუ ქალური ტანისა-  
მოსი ჩავიცვი, უთუოდ დავეგვანები გაიანეს.

— იქნება მართლა! საკვირველია!.. დიღ მე გამიგონია — მინახავს კი-  
დეც — ტყულები ძლიერ გვანან ერთმანეთსა... არა არის რა საკვირველი, რომ  
დისწული დაემზავოს დეიდასა! — მითხრა ბებერმა და მეტი სიამოვნებისა-  
გან გაიღრიჭა.

გალრეჭაში ბებერს გამოუჩნდა ღრჭოლები, მაშინ მამაგონდა დედღიემის  
აღწერა მეწვრილმანის ბებერის ღრჭოლებისა და მივხვდი ნახევრათ ვინც იყო  
სახლის პატრონი.

ამასობაში სადილი მოგვივიდა, დავსვდით. შვექეცით. მადა გქონდა  
ასეთი, რომ ბევრს მდიდარს შაშურდებოდა. კახტრმა წითელმა დასძლია ჩვენს  
ბებერსა; ამოუდგა მარადის დაუჩუმებელი ენა, რომელიცა უფრო გაულეზა  
საქიკიკოდ. ბებერმაც ხან სად გადასცა, ხან სად გადმოსცა, ხან ამ მთისა  
თქვა, ხან იმ მთისა. საგანი იმისი კიკიკისა იყო მორყვნა მეზობლებისა და  
თავისი თავის ქება.

დიღ, კინაღამ არ დამევიწყდა! ბებერმა დაიჩემა სადილზე, თავისის ძა-  
ლით, თამადობა. ვიახლათ სადღეგრძელო თავისი საყვარლებისა, ჩემი და  
სხვათა; არ დაივიწყა მიცვალებულიცა. მაგრამ გაიანე არც ცოცხლებში ახ-  
სენა და არც მიცვალებულებში. რასაკვირველია, ეს კარგი მიზეზი მომეცა  
რომ გადამეტარებინა სიტყვა გაიანეზე.

— მე გეტყვი, შვილო, გაიანეს ამბავსა; თუმცა უსიამოვნოა, მაგრამ...  
ბაფა... და რა გაეწყობა... კაცნი ვართ... მოთმინება გემართებს... ეპ, რაც მოხ-  
და, მოხდა! იცი, შვილო, რა მოხდა? — აგერ თოთხმეტი თუ თექვსმეტი წე-  
ლიწაღია, რაც გაიანე თავისი შვილით წავიდა სადღაცა და მას აქით აქ აღარ  
გაუვლია. ჩვენ, მეზობლებს, გვეგონა, რომ იგი მიეკედლა რომელსამე ნათი-  
სავსა და გვიამა, ამიტომ რომ უპატრონო და უმოწყალო იყო. ამ კვირია კი  
გავიგე ასეთის ადამიანისაგან, რომელსაც ტყუილიც-კი დაეჭერება, არამც თუ  
მართალი, რომ საწყალი გაიანე დამხჩავლა იმავე დღეს, როდესაც აქედან წ-  
ვიდა, თავისის ერთი წლის ეაით მტკვარში. — მკედარი ვარ, ცოცხლებში  
აღარ ვურევივარ! — ასე მეწყინა! შენ, შვილო, ნუ შეწუხდები! ალბათ, რომ  
ასე ეწერა. ღმერთმა განუსვენოს! — ეს რა სიტყვა, დალია ღვინო, მაგრამ მძი-  
მედ-კი ამოიკვნესა.

— ეგ მეც გავიგე, — ვუთხარი მე. — მაგრამ არ დავიჭერე.

— სწორედ, სწორედ მართალია, ქეშმარტია! აბა წარმოიდგინე, შვილო,  
ტყუილს რა მათქმევიენებს ამ დროულს ადამიანსა და ან რა გაკირვება მაქვს  
ვთქვა ტყუილი.

— ტყუილი რა საკადრისია! მაგრამ, ეს მიბრძანეთ: რა გაკირვება ჰქონ-  
და საწყალს გაიანეს, რომ სული წაიწყმინდა?

— სიღარიბე, შიმშილი, უპატრონობა!

— არა მჭერა! მე ვხედავ მრავალ ღარიბსა, მშვიერსა, უპატრონოსა. მაგრამ  
წყალში კი არავინ ვარდებ. არა, აქ სხვა მიზეზი უნდა იყოს. ერთი ეს მიბრ-  
ძანეთ, თუ გახსოვთ, რა დღეები იყო, როდესაც დეიდაჩემი ჩავარდა მტკვარში?

— მე კარგად მახსოვს — ყველიერი იყო.

— რა დღე იყო ყველიერისა?

— შაბათი.

წინა დღეებში ხომ არავინ არა აწყუენა-რა დეიდაჩემსა?

ბებერს ენა დაება. ლუკმა ყელზე დაადგა, კინაღამ დაიღრჩო... მაშინ მცი-  
რე ხანს ლაპარაკი შევწყვიტე ამ საგანზე, მერე ღვინო დავალევიენე ბებერსა  
და ხელახლა განუმეორე ჩემი უკანასკნელი კითხვა მაშინ შექნა ბებერმა ღრ-

ალი და მოთქმით ტირილი: „შე-საწყალო გა-ი-ანე! ქორთა გა-ი-ანე! წუ-თო სო-ფე-ლში გა-უ-ხა-რე-ლო! რა კარ-ვი რამ ი-ყავ! ყბა ვინ და-ვად-გა! თვა-ლი ვი-ნა გყრა! რათ ვა-მო-ერ-ჩი-ე ტოლ ქა-ლებ-ში!...“

— სულ კი, იმის უბედურების, მიზეზი იყო ის შეჩვენებული მეწვრალ-მანე. — შეჰყვირა უცებ ბებერმა, როდესაც დაასრულა ტირილი.

— რომელი მეწვრილმანე?

— გასპარ სარქისბეგაშვილი. ამ წყუელ-შეჩვენებულმა გამრია... მაგრამ მე რა... მე სრულებით არაში ურევივარ... მე მხოლოდ ვიყავ მოციქ...

— რას გადარეულხარ, ბებერო! — წაჰკრა შვილმა და შეუტია: რასა რო-სამ, მოუკოდავ წისქვილივით.

— მე რა, შვილო! — უთხრა შვილს ბებერმა: ერთი სიტყვა ვთქვი... ყო-ველთვის სიტყვა სიტყვას მოიტანს... მაგრამ, ამასაც გეტყვი, შვილო, — მითხ-რა მე. — სარქისბეგაშვილი რომ... სიტყვით, სარქისბეგაშვილს მე რომ არა... რა თავი შეგაწყინო, სარქისბეგაშვილმა ხუმრობა დაუწყო საწყალს გაი-ანეს. — გაიანე. — საწყალო! თავმომწონე ქალი იყო, — წავიდა და თავი წყალში დაირჩო. მე კი, შენმა მხემ, იმათ საქმეში არა ვრეულვარ; ფიცი შამიძლია. მაგრამ რაც გავიგე გაიანეს თავის დარჩობა მე ასე ვიტანჯები, რომ ჩემს სულ-სა და გულსა აღარა აქვს ღებნა. ოჰ, ღმერთო! ცოდვილი ვარ, მრავალი შეგ-ცოდე. მამიტვე! აქამომდე ბებრის თვალზედ ვერა ვნახე ცრემლი; ახლი კი სინანულის ლოცვას დაადევნა იმან ცრემლებიცა:

— რა კაცია გასპარ სარქისბეგაშვილი? ვკითხე მე: როგორია? რა ხელო-ბა უჭირავს? სადა სდგას?

— დიდი ჰკვიანი კაცია, თავი კაცია ქალაქში შეძლებით თუ ვაჭრობით. — ის იყო პირველათ მეწვრილმანე და ჰქონდა საკმაო შეძლება. ჰირიანობას<sup>4</sup> სკვირველი ჰკუთნა მოიხმარას: სოფლებში პურს ყიდულობდა იაფათ, თვითან კი ერთი ოთხათ—სჯათ—ათათ ჰყიდდა. მაშინდელი სიძვირე, თუ გაგიგონია, ახა იმან ჩამოაგდო. გაივსო, ის ღვთის მტერი! ახლა დუქნები აქვს და ვაჭრობს. რამდენი ვაჭარი წაახდინა? ჩვენს უბანში იმას ჰქონდა სახლი. ის აღარ იყადრა, შუა ქალაქში ააშენა დიდი სასახლე. საშინელი წუწკია. ორჯერ ვიყავი იმას-თან. ესთხოვე შემწეობა, ორჯერვე პანდურის კერით გამომაგდო. თავისთვის რომ ვერას იმეტებს, ჩემთვის ანუ სხვისთვის როგორ რასმე გამოიმეტებს.

— კმარა! კმარა! — შევეყვირე განრისხებულმა მალაღის ხმით. ამ ამბავმა ისე გამამწარა, ისე გამაცეცხლა, ისე მოთმინებიდან გამომიყვანა, რომ აღარ ვიციოდი, სად ვიყავი, რა ვიყავ, რა უნდა მექნა; მეგონა ეკლებს მჩხვლეტად-ნენ ძარღვებში, ვეღარც დავჯექ, ვეღარც დავდექ. არ შემიძლიან აეწერო მა-შინდელი ჩემი მდგომარეობა. მაშინ დამებადა გულში შურისძიება, — პირვე-ლად ვიგრძენ ამ ბოროტების ყოფნა ჩემში, რომელიცა სასწრაფოდ გაიზარ-და, გავრცელდა, რომელმაც ფესვები განზე გაიდგა, ტყვედ შეიპყრო ჩემი სუ-ლი, გონება და გული...

ბებერს სუფრაზე დაეძინა. მე გამოვედი და გავაღე კარები ჩემი სახლი-სა. ჩვილპეტო წელიწადი არ გავღებულოყო ეს კარები. ჰაერი იყო ცუდი, ნოტიო და ცივი. და მე ვერ შეეძელ მანამდისინ კარგა არ გაიკრიბა დაგუბებული ჰაერი.

ბოლოს შეველ. იქ დამხვდა ტახტი, ტახტზე — ფარდაგი, ჭილობი და გა-შლილი ლოგინი, სწორედ იმ სახით, როგორც დაეტოვებინა დედაჩემს. იქ დამხვდა ჩემი აკვანი, გაუსწორებელი, არტახებაუკეცავი, მივიხედ-მოვიხედე, არცა სადმე სარკმელი, არცა ბუხარი. კარები მივხურე და მე დავრჩიე შუა-დღისას საშინელს სიბნელეში. მაშინ წარმომიდგა დედაჩემი; მაშინ ცხოვლად

ვიგრძენ, თუ რა საწინდელი და ესით გამოუთქმელი გოჯოხეთი მოუთმენია აქ დედასეშს!

საზღვარი აღარა ჰქონდა ჩემს მრისხანებას! რა არ ვიფიქრე, რა ღონისძიებას არ ვეძებდი, რას არ ვნატრობდი, რომ კმაყოფილმეყო ჩემი მურისძიება! იმ ეამად მეწერილმანე რომ ჩამვარდნოდა ხელში, ხორცებს კბილით დავაგლეჯდი!...

ლოგინი ავკეცე და დავალაგე სალოგინზე. დავკეკე მოკეცილი ტახტზე, რომ წარმომედგინა მდგომარეობა დედაჩემისა, როდესაც ის იჭდა ხოლმე მართოდმართო ამ ტახტზე, მე მარწევდა, ან ძუძუს მძღვედა, მშიერი, მწყურვალი, სიცივეში, სიბნელეში, მწუხარე... უცებ ერთი ფიცარი აყირავდა და მე ჩავეარდი ტახტის ქვეშ ორმოში. შემდგომში ვნახე, რომ ეს ორმო გათხრილი იყო სივრძეზე ვიდრე ორადღნახევარი და აქეთ-იქით გვერდებზედაცა. მგონია, სამალავი უნდა ყოფილიყო.

სადამომდინ იქ დავრჩი. დამე ველარ დავდევ და გამოველ გარე...

#### IV

იმდენ სიკეთესთან, კნენა რაინდიძისამ დაივიწყა, დედაჩემს ხომ სრულებით ფიქრშიაც არ მოსვლია, რომ საჭირო იყო ესწავლებინათ ჩემთვის რომელიმე ხელობა, მართო ზღილობა და მცირედი წიგნური და ზეპირ მოთხრობითი სწავლა პურს ვერ მაჰმევედენ. მე გამოვდგებოდი მხოლოთ მოჯამაგირეთა მოქალაქებთან ანუ ლაქიათ, მაღალ საზოგადოებაში, ისიც თუ დავხელოვნდებოდი ლაქიების ხელობაში და ჩემში იპოვიდენ საჭიროებაა. მაგრამ იმ დროს ქალაქში ლაქიობა ჯერ არ იყო განშირებული; მოჯამაგირეს თანანდებობის ასრულებასა ადვილად შავიძლებდი, თუ რომ ჩვიდმეტი წელიწადი ნებიერ ცხოვრებაში არ ვყოფილიყავ. ესრეთ ვიყავ მოკლებული სახროდს მოსაპოვებელს ღონისძიებას!

ამ დიდ ნაკლულევენებასთან შამემთხვა ასეთი გარემოებაცა, რომელიც, ვისაც კი დაიმონებს, დაუბნელებს გონებასა, გაურყვნის გულსა, წაუხდენს ხასიათებსა. გამოცდილებით ვიცით, რა ძნელია, რა საშიშია თუ ყმაწვილკაცს ქალაქში არა ჰყავს ხელმძღვანელი, ანუ თუ არ შეხედება კარგი საზოგადოება. ან კარგი ტოლი და ამხანაგები.

მე ვიყავ ცუდ მდგომარეობაში, ცუდ განსაცდელში, მე ვიდექე საშინელს უფსკრულის ნაპირზედ და უთუოდ დავიღუპებოდი საუკუნოთ სულით და ხორციოთ, თუ რომ არ შემწეონოდა ჩემი მტკიცე ხასიათი და ნაშეტნავად ის მცირედი სწავლა, რომელიც მივიღე თ. ლუარსაბ რაინდიძის სახლში, რაც შამეძლო შავიმაგრე და ხელიდამ არ გაუშვი, მაგრამ თუმცა ერთს დიდს ბოროტს ვადავრჩი, მასთანვე გავუღე გული მეორე ბოროტსა, რომელმაც დამიკარგა ცნება პატიოსნებაზე და კეთილშობილური ამპარტავნობა. სრული კაცი არ არის ის, ვისაც არა აქვს ეს თვისებები.

ზევით მოგასხენეთ, რომ მე გავეკეცე ჩემს მამაპაპის სახლსა, რადვანაც მეჩვენა საშიშარ სადგომად. სირბილით დავეშვი ციხის უბნიდან და სად მივრბოდი, აღარ ვიცოდი. ვირბინე, ვირბინე და მივაწყდი ერთ მიკიტნის დუქანსა თათრის მოედანზე<sup>5</sup>. იქ იჭდა სამხარზე თუ ვანშამზე სამი ყმაწვილი კაცი. — აბა რა შემიყვანდა იქა! — წავდექე წინ, გარშემოვუარე მოედანს. საჩემო ადგილი ვერსად ვიპოვე. გავიარე ვიწრო და დახელანჯული ქუჩები, კარები ყველას ჰქონდა ჩაკეტილი. დავტრიალდი ისევ მოედნისაკენ და, მეტი ღონე არა

შქონდა, მოვედ იმ პიკეტის დუქანშივე. შეკვდი, მიყვიცი მიკიტანს ერთი აბა-  
ზი, მოეთხოვე სასმელ-საჭმელი. მიკიტანმა სასწრაფოდ აღმისრულა თხოვნა,  
შემშლილ სრულებით არა ვგრძნობდი; ამასთან მაღა უფრო დამიკარგა მიკიტ-  
ნის აყროლებულმა ტანსამოსმა. რაღას გავაწყობდი; დროების გასატარებ-  
ლად ძალის-ძალამდე დაუფუყე კიკნა პურსა და საჭმელსა; ჩემი ფიქრი კი იყო  
გართული მით, თუ სად უნდა განეტარებინა ღამე.

ამასობაში მე შევამჩნიე, რომ სამი ყმაწვილი კაცი ერთმანეთს თვალით  
რაღაცას ანიშნებდნენ, ერთმანეთს უღიმოდნენ და ხანდახან ჩურჩულებდნენ  
კიდევ. ბოლოს ერთმა მათგანმა მითხრა მე: — ყმაწვილო! მე გატყობ, შენ,  
როგორღაც დაფიქრებული ხარ. რა დროს ფიქრია! ყველიერია! უნდა ვიქეი-  
ფოთ! თუ საწყენი არ იქნება, ჩვენ კამპანიისა სურს დრო ერთად გავატაროთ:  
ან შენ გვეწვიე შენის ჩარეკით და ტაბაკით, ან ჩვენ გვეწვიე ჩვენის თუნ-  
გითა და ხონჩითა.

ამ წინადადებას სრულებით გამომათყვანა; ენა დამება, გავლენჩი, ვერა  
ვთქვი რა. მაგრამ კამპანიას ასეთი მაგნეტიზმური მიზიდულობა ჰქონდა, რომ  
წამითრია და მე უგრძობლად ავიბარე ჩემის ტაბაკითა და ჩარეკით და შე-  
ვერთდი იმათთან.

მედუნემ დარაბები აუგლო, ნახევარი თუნგი შემოგვაწია და ინება მო-  
კეცა ჩვენთან. ეს თავისუფალი ქცევა მოტურტველილი მიკიტნისა ძლიერ გა-  
მიოცდა და მეთაკილებოდა კიდევ იმასთან ჯდომა. — აი რას ნიშნავს კარგ  
ოჯახში გახდილი კაცი! ოჰ. ნეტავი ისევ სიმშლით სული ამაჰხდომოდა და  
რაც ხასიათები მკვილე ლუარსაბის სახლში არ დამეკარგა!..

სმა გაჩნდა შატეული. არ ჰქონდა დასასრული პროშტებსა, არ ჰქონდა  
დასასრული სადღეგრძელოებსა. ვისი სადღეგრძელო არ დავლიეთ! განა დარ-  
ჩალა ქვეყანათაზე კაცი, მიკიტანი, ჩარეკები, თუნგები, რომ არ გვედღეგრძე-  
ლებინოს! ამასთან აღარ მოსწყდა სიმღერა, ხუმრობა, თამაშობა, ხვევნა,  
კოცნა, მტლაშა-მტლუში... ასე გავითენეთ ის ღამე, ასე გავატარეთ მეორე  
ღღე, მესამე, მეოთხე კვირა. ღვინოში ასე შემიყვარდა მიკიტანი, ასე შამიყ-  
ვარდა იმისი დუქანიცა, რომ უკეთესი კაცი, უკეთესი სახლი აღარ მეგონა სად-  
მე. ამდენ სისულელესთან, სხვა სულელობაც მამივიდა — თავს გამოვიდე და  
იმ ხუთს დღეს მე გაუმასპინძლდი ჩემს ახალ მეგობრებს. ჯიბე დამიციარეულა.

მოაწია ჟამმა, როდესაც მე ან გარყვნილების უფსკრულში უნდა დავლუ-  
პულიყავ ანუ როგორმე მამერჩინა თავი. განსაცდელში კაცი, თუ თვითმდგო-  
მარე ხასიათის ჰქონია, უფრო ვამაგრდება და თავს გამოიტანს.

იყო კვირა (ყველიერის უკანასკნელი დღე). როგორღაც მოხდა, რომ მე  
გვიმინჯე ჯიბე. დიდხანს ვეძებე აბაზები, ჯიბის კუთხეები ავწიე-დავწიე —  
რაღას ვიპოვიდი, რომ აღარა იყორა! ელდა მეცა, კმუნვა დამერთო, ფიქრები  
წარმომიდგენ.

— ეი, რას დაფიქრებულხარ! — შამომკვილა მალღის ხმით და წამკრა  
გულში მუშტი ერთმა მეგობართაგანმა, რომელსაც ტვინი ძლიერ დასუბტე-  
ბოდა ღვინისაგან. — დიდმარხვაა?! რას გაჩერებულხარ! ხვალ არის დიდმარხ-  
ვა: დღეს კიდევ აღების ღამეა. უნდა ვიქეიფოთ! ეი, ღვინო!

მეგობრის მუჭლუგუნმა გამომაფხიზლა და მე, თავის გასამართლებლად,  
გულმტკივნეულად აღუწერე მდგომარეობა ჩემი ჯიბისა.

— ჰა, ჰა, ჰა! გენაცვალოს, ვინც მდიდარია! — მითხრა უგუნური ხარხა-  
რით იმავე მეგობარმა, — მაგისათვის როგორ მოგიწყენია. აი, ჩვენ ჩიტებსა-  
ვით ვცხოვრობთ: არც-რა გვაქვს, არც-რა გვაკლია. მაგალითად, ვეტყვი: ამ

ხუთ დღეს არცა გვიხსნავს, არცა გვითესავს, არც გვივაჭრია, მაგრამ აბა, კარგა წარმოიდგინე, რომელღამ მდიდარმა ჩვენსე უკეთესად გაატარა დრო, ქვიფი სასუფეველია. ეს სოფელიც ჩენია, ქვიფიც ჩენია. მდიდრისათვის ღმერთს გაუწყვეტია სიამოვნება და ქვიფი, ვიქვიფოთ, ძმაო! დაახსილ!... ესეც ღმერთმა აღლევარძელოს ის ტურტლიანი ფეხები, რომლებმაც ეს ღვინო გამოგავწურეს!... ალავერღ!

— იახშირო! — უპასუხა მეორემ.

— რასა ფიქრობ, საყვარელო ძმაო? — განაგრძელა პირველმა მეგობარმა. — მე ვარ სელმარდი, ისე გამოვაცლი კაცს ქეჩასა, რომ ვერ გაიგებს. ეს არის (მეორე მეგობარს ხელი დაადო) წინამძღვარი ლამაზ ქალებისა, იმათის ხელნითა თვითონაც ცხოვრობს, იმათაც აცხოვრებს. კბილები რას დააკაწკაწე, ხომ არ... ეს საყვარელი ძმა და მეგობარი (მიჩვენა მესამეზე) საყვარელია ქალებისა, ასე რომ შურით და ერთმანეთის წინააღმდეგობით ბევრსაც აძლევენ ამას. ოპ, ნეტავი იცოდე, როგორი შფოთი, როგორა თმის წეწა მოუვათ ხოლმე ქალებს ამის გულსათვის. ახლა მკითხე, რისთვის? თურმე ამ შეჩვენებულმა... აი, ძმაო, როგორა ვცხოვრობთ! შენც კი გაგიჩენთ თანამდებობასა! გარწმუნებ, ხვალვე!

მაშინ გაეახილე თვალები და დაეინახე რა საზოგადოებაშიაც ვიყავი გარეული, რაც მომელოდა შემდგომში; დაეინახე, რომ უფსკრულის ზედ კენწეროზე ვიდექი და ერთს წამს კიდევ რა დავრჩენილიყავ ამ კენწეროზე. ნიავი გარყვნილებისა გადამაგდებდა უფსკრულში. ცხოვლად დაეინახე ჩემი მდგომარეობა და შიშის ხარმა ამიტანა. მომაგონდა ერთი კაცისაჲან ნათქომი ანეგდოტი: ერთი ყმაწვილი კაცი, თურმე, — რომელმაც ცერვა არ იცოდა, — ბანაობდა მტკვარში და უტეე ჩავარდა ორმოში, ასე რომ წყალი ერთ აღლზე თავზე ასხამდა. ყმაწვილმა კაცმა გონება დაიტანა და იფიქრა: თუ მარცხნივ წავედიო, შუაგულ მდინარეს მივეცემიო, თუ წინა — მორევენი შემითრევსო; ისევე მარჯვნივ ვეცდებიო და ეგების გავიდეო. მართლაც, ყმაწვილმა კაცმა შიშით და ძრწოლით მარჯვენა ფეხი წუნარ-წყუნარა ამოღდა ორმოდამ, შაიმაგრა ზურგით წყალი და თავს უშველა. შიშის ხარმა და ამ მავალითმა გამამხნევეს, და მე აღარ დაეიგვიანე, უცებ წამოხეტი. მარდოთ გადავხეტი ზედ თავზე გარყვნილ მეგობრებსა, გავარდი დუქნიდამ და ასე ჩქარა მივბრდი შინისკენ, რომ გაქენებული ცხენი ვერ მამეწოდა. გავალე კარები ჩემის ქოხისა. მივიხედე, მოვიხედე და თავისუფლათ ამოვისუნთქე. ქოხი, რომელიც ხუთის დღის წინათ მაშინებდა, ახლა მეჩვენა მშვენიერ სასახლეთ. რაღასაც გამოუთქმელ სიხარულსა ვგრძნობდი. მეგონა დაეიხსენი მეთქი ტყვეობისაგან, სიბნელეთისაგან, ჯოჯოხეთისაგან. რასახით შამიყვარდა ჩემი ქოხი! სულ კედლებსა ვკოცნიდი! აქ მეგონა მისხდნენ გვერდით მამა-პაპაჩემი და ჩემი საყვარელი დედა. გამინათდა გონება და გული. აღდგომის დღე იყო ჩემთვის ეს დღე! აჰ ჩემს თავს ვაყვედრიდი, ვლანძღავდი, თავპირში ვიცემდი უგუნურობისათვის... ჩემი აკვანილა? ოპ, რავდენი რამ წარსული მამაგონა აკვანმა! აქ თვალწინ წარმომიღდა თუ როგორ დედა მიკეთებდა ოდესმე აკვანსა, ჩამაწვენდა. ძუძუს მომცემდა, დამარწებდა, ნანას მეტყოდა; რავდენჯერ დრო სიამოვნებით გაუტარებია იმას ქმართან, ანუ მწუხარება მოუთმენია. ამ გვარ ფიქრებმა გული ამივსო სიამოვნებითა. სიამოვნებამაც გამიტაცა, მიმათრო, ხორციელათ აღარ ვხადდი ჩემ თავსა; მე ვიყავ იმ საათს სრული ბედნიერი. — მე აქ არას უმატებ. წარმოიდგინეთ, ვის არ გიყვარსთ მამა-პაპის ქოხი, თქვენი მშობელი ქოხი ნუ თუ სხვის სასახლეში უფრო თავისუფალნი იქნებით, უფრო

შეკბა, ლენა ვექნებათ, ვინამც თქვენ მშობელს ქობში! იქნება მრავალნი წინააღმდეგნი იყვნენ ჩემის აზრისა, მაგრამ მეცი არ მიუცვდი სისუხას ჩემს ქოსსა; შეძლებიათმებრ გავაკეთებ, გავამშვენიერებ და ანდერძად დაუეცდებ ჩემს შვილის-შვილებსა, რომ ეს ქობი არამც და არამც არ გაყიდონ...

ღიად, იმას მოგახსენებდით, რომ მე ვიყავ ტებილ ფიქრებში გართული. ამ დროს შემომგვსმა გარედან ფეხის სმაურობა და არეული ორ-სამ ენაზე ლაპარაკი. არ ვასულა ორი წამი და ჩემს სახლს მოადგნენ რამდენიმე პირნი სხვადასხვა გვარისა და ტომისა, რომელნიცა დაუკითხავად თავისუფლად შემოვიდნენ ჩემთან.

ვინამ აეწერ ამ განათლებულ ხალხის მოქმედებას, წინად საჭიროდ დავინახე გაგაცნოთ იმათი პიროვნება.

როგორც ბოლო დროს შევიტყვე, ერთი იყო „პრისტავი“, ამ გამოჩინებულ გვამსა დარქმეოდა ქალაქელებისაგან მეტი სახელი „აქლემა“. იმიტომ რომ იყო აკვლანჭული, შუბლვიწრო და თავით ფეხებამდის აქლემსავით უსწორ-მასწორო.

მეორე — „პერეგოჩიკი“. მეტი სახელი იმისი „ნემსიყლაპია“, მოგახსენებენ ვითომც ეს სახელი დარქმევიდა, რადგანაც ქრთამები უყლაპავს, მრუდედ თარგმნა ჰყვარებია და არც ერთხელ სინდისში არ გაზიღვია ეს ბოროტება.

მესამე — „წიპლონკა დესეტნიკი“ — სალდათთაგანი. ეს სალდათი იყო დალეული, წირპლანი და გამხდარი. წიპლონკა ამიტომ დაურქმევიდა.

მეოთხე — „ქათამა დესეტნიკი“ — სალდათთაგანი. ქათამა დარქმევიდა წინააღმდეგ წიპლონკა დესეტნიკისა, რადგანაც იყო მოსული, გაყვიებული (არყისაგან) კაცი.

მეხუთე იცით ვინ იყო? — შვილი მეწვრილმანის ბებრისა.

— ეს კაცი, — მითხრა პერეგოჩიკის პირით პრისტავმა მრისხანის და უგუწურ ამპარტავნის სახით და მიჩვენა ბებრის შვილზე — ეს კაცი შენხედ სჩივის, შემოგწამებს, ვითომც შენ იყო მიზეზი მაგის დედის სიკვდილისა. შენ რა სიმაოლვე გაქვს?

პირველ შემთხვევაში შავკრთი: ჩემს დღეში ამ გვარი ცილის წამება არ გამეგონა; არც ვიცოდი ვინ იყვნენ დაუპატიებელი სტუმრები. გამტკრებული შევსცქეროდი პრისტავსა და ამასთან ტუჩი ტუჩს (როგორც პერეგოჩიკმა დამარწმუნა) თურმე მოვაშორე და მცირე ოდენ გავიღიმე. თქვენ მტერს დაადგეს ის დღე რა დღეც პრისტავმა მე დამაყენა! როგორ თუ გაიღიმეო, პრისტავმა მალის ხმით შამამღრალა და დამტუქსა. მე რე უბრძანა დესეტნიკებს. „გააწვინეთო ეგ (მე), როზგით გაწკაპეთო“. დესეტნიკები მამცვიდნენ, მაგრამ ვერ მამერივნენ. მე ჭერ არ ვიცოდი რას მიპირებდნენ. როდესაც პერეგოჩიკმა შამატყობინა, ამაყად და მრუდის თვალით, შავხედე პრისტავსა და უთხარი: „თუ მოსამართლე ხართ, სამართალიანათ მოიქეცით... როგორ შავიძლიანთ წყებლით გამლახოთ. იცით მე ვინა ვარ? იქნება გგონიათ მე უპატრონო ვიყო!“ პრისტავი ჭერ კი მოიდრეკა, მერმე პერეგოჩიკის ჩაგონებით — უფრო ვაწყრა. ერთი მთელი საათი მიყვიროდა, მლანძღავდა, ფეხებს ადგილზედ აბარტყუნებდა. როდესაც მაიჭანცა, მითხრა: „რა გაეწყობა რომ თან არა მაქვს როზგები, თორმე მე გიჩვენებდი შენ თამაშას! მაგრამ, სულ ერთია! პოლიციაში გაგლახავ შენის სიამაყისათვის! ახლა კი მე უნდა გამოვიძიო ამ კაცის საჩივარი, და ვაი შენი ბრალი თუ არ გატყდები, სწორეს არ იტყვი! გარწმუნებ ციხეში დაგალობ, იქნება ველარც კი გამოხვიდე იქიდაში! თქვი სწორეთ. შენ მოკვალა ამ კაცის დედა?“



— არა, მე რათ მოვეკლავდი! რა საჭირო იყო ჩემთვის იმისი სიკვდილი! —  
მერე მიუბრუნდი ბებრის შვილსა და ვკითხე: განა დედა შენი გარდიცვალა? რო-  
ლის გარდიცვალა?

— სწორეთ იმ საღამოზე, როდესაც სადილი ერთათ ვსკამეთ ჩვენ. შენა  
ხარ მიზეზი იმის სიკვდილისა.

— როგორი რითი მოვკალ? დავარტყი რამე, ხელით დავარჩე, თუ იარაღი  
ვიხმარე?

— არა ხელი და იარაღი არ გიხმარია, მაგრამ ან შაულოცე, ან ჯაღო უყავი,  
ან მოწამლე. მე დედაჩემი მაცხოვრებდა, ახლა ვილა მაცხოვრებს!

— განიშორე დაწვრილებით შენი საჩივარი, გარემოება დედაშენის სიკვდი-  
ლისა და რა საბუთი გაქვს, რომ ამ კაცს (ჩემზე უჩვენა) სწამებ მაგ დიდ დანა-  
შაულობასა? — უბრძანა პრისტავმა ბებრის შვილსა.

— ამ ბიჭს (ჩემზე უჩვენა) სრულებით არ ვიცნობ. ჩვენ სახლში და ქუჩა-  
ში აქამომდე არ გაუვლია. წარსულს სამშაბათს მოვიდა ეს დედაჩემთან, სა-  
დილის ფასი მისცა, ღვინო დააძალა საწყალ მოხუცებულსა. დედაჩემმა მოი-  
გონა ვილაკა გოგო გაიანე, რომელიცა წყალში ჩავარდა, დახარო; იწუხა. იკე-  
ნესა და იმავე საღამოზე სული დალია. ეს ბიჭი კი ამავე დღეს დაიკარგა და  
აი, ახლა მოვიდა, ისიც სხვის სახლში.

— ოჰ, მაგაზე მეტი საბუთი აღარ არის საჭირო, — შეჰყვირა პრისტავმა, —  
უცნობი მოვიდა და გაგმცნაურათ, თავის ხარჯით სადილი გააკეთა, ღვინო  
დააძალა, ხუთ დღეს დაიკარგა... წაიყვანეთ პოლიციაში!

— ნუ ჩქარობთ, ბატონო! — მოვხსენე პრისტავსა, — გაიგონეთ ჩემი  
სიმართლეცა: სამშაბათს მე ჩამოვედი სოფლიდან და, რადგანაც მშვიერი ვიყა-  
ვი და ქალაქში არ ვყოფილიყავ, ვთხოვე ამ კაცის დედას საქმელი მოეტანი-  
ნებინა ვისთვისმე ბაზრიდან. ამისმა დედამ მოატანინა სადილი, თვითონ სი-  
ხარბით ღვინო დაიძალა. სადილს უკან წაუდო ჩემ ნათესაეების საქებნელად.

— სად არის მკვდარი დედაკაცი? — უკითხე მე.

— მიწაში, — მომიგო პრისტავმა.

— მაშ ჯერ ამოიღეთ მკვდარი. გასინჯეთ და თუ აღმოჩნდება რომ ბებერი  
მომკვდარა ან საწამლავეთა, ან ხელითა. ან იარაღითა, მაშინ მე დავებრალე  
იმის სიკვდილისა.

პრისტავმა კბილები დააკრკინა. მაგრამ კიდევ აბრუ არ გაიტეხა.

— სადაური ხარ და ვინა ხარ?

— ჰკითხეთ მაიორს თავადს ლუარსაბ რაინდიძეს. ის გეტყვით ვინცა ვარ.  
პრისტავმა მრუდის თვალით გადახედა პერეგოჩიკსა. ამ უკანასკნელმა  
თვალეებით მიუგო. მაშინ პრისტავმა მითხრა:

— მაიორს თავად ლუარსაბ რაინდიძეს კარგად ვიცნობ. მანამ იმას ვკით-  
ხავ, შენ უნდა პოლიციაში იქდე ტუსაღათ და იქნება ციხეშიაც გაგზავნო. ეს  
რა თქვა, უბრძანა დესეტნიკებს: „წაიყვანეთ პოლიციაში“.

მე გავყვივე...

გზაზე პერეგოჩიკმა მიჩჩია. რომ ქრთამით მეშველა ჩემის თავისათვის. მე  
დავარწმუნე, რომ მე ცალი ფულის პატრონიც არ ვიყავი. პერეგოჩიკმა მგო-  
ნია შაატყობინა ამაზედ პრისტავსა. მაშინ პრისტავი და იმის კამანდა ასე გაი-  
პარ-გამოიბარნენ, რომ მე ვერ გავიგე. დავრჩი რა მარტო, დავბრუნდი შინ.

ბოლოს დროს ბებრის შვილმა მიაშობო. რომ ეს კამედია ათამაშებინა ზე-  
მოხსენებულ ხალხსა პერეგოჩიკმა.

აღების ღამეს, დიდმარხვის ორშაბათს და სამშაბათს შინ ვიყავ მშვიდი და მწყურვალე. მეოთხე დღეს, დილით, გამოველ ღვთის ანაბრობაზე, ვიარე და უკანასკნელად ამოვიხიდი თაორის ჟი-ღანზე. აქ ვლეს კაცებს მოეზიდათ სოფლებიდან მრავალი პური (ფქვილი), ავიარ-ჩავიარე და რას ვფიქრობდი არ შამიძლია მოგვით ანგარიში, ამიტომ რომ რაღაც რამ გამოუცნობელი მაწვა გულზე, რაღაცა განუსაზღვრებელი მქონდა ფიქრები. ზმორება და მოქნარება დამაწყებინა და მე თურმე, უმსგავსად გავალრინე პირი მოქნარებაში და ამისთან რაც ძალა მქონდა ენინანთ გავიზმორე: ეს უმსგავსი პირისახით და სხეულის დაგრეხვა შამამჩნია ერთმა კარგ ოჯახის (ზედ ეტყობოდა) შვილმა და მაგრძნობინა ჩემი შეცდომა და ეზრდებოდა. შამრცხვა, ასე შამრცხვა, რომ ერთის (მოედნის) კუთხიდან გავექცე მერე კუთხემდინ. აქ ვნახე: ერთი მოქალაქე ევაქრებოდა გლეხკაცსა ოც ტომარა პურსა და ვერა რიგდებოდნენ. გლეხი კაცი კოდს აფასებდა ათ შურათ, მოქალაქე აძლევდა ხუთ შურ ნახევარს. კარგა ხანს ყური ვუგდე იმათ ვაჭრობასა და რომ დასასრული არც ერთმა არ მისცა, მე შვედი (სხვის მიხედვით) იმათ შორის უშამავლად, მოქალაქეს ნახევარი შური მოვამატებინე და გლეხკაცი ძლივს, რის ყოფით, რის ამბით, ჩამოვიყვანე ექვს შურზე. მოქალაქე დამრჩა მეტად მადლობელი, იმიტომ რომ იმაზე იაფად პური არავინ იყიდა და ამ სიკეთისათვის მაჩუქა იმან ახლად მოჭრილი ოქროიანი ბაღდადი. სხვა ვერა მკადრა რა, რადგანაც კარგად მეცო. მგონია, გლეხმა კაცმა სცა პატივი ჩემს ტანისამოსსა!...

მოედნიდან წავედი ქალაქის გასაცნობად და ქუჩაში შემხვდა ვიღაცა ჩინოვნიკი რუსი, რომელიც ქართულად თვითოთროლ სიტყვას ამტერვედა. ჩინოვნიკმა მკითხა: „ბაღდადს ჰყიდიო?“ მე მივართვი ბაღდადი, ჩინოვნიკმა მიიღო, მითხრა მადლობა და ოქროც მადლობას თან დაადევნა. კაცის ენაზედ ვერ ვპოვე სიტყვასა, რომ გამოვთქო, როგორ შამიყვარდა ის ოქრო! ღვიძლები შაქნა ის ჩემის სულისა! ჩემმა გულმა გაულო კარები და მაგრა ჩიკრა! ახლა ადვილად შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, თუ რა სახით გამაცოცხლებდა, რა სახით გამახარებდა ოქრო, რა სახით შევეტრფოდი მე ოქროსა!...

მერე ჩინოვნიკმა მთხოვა, მეყიდა მისთვის სასმელ-საჭმელი სადილად და მე ავესრულე; ხურდა, შავი ფული — იქნებოდა შურ ნახევარი — მაჩუქა გასამგელო. დაეჩვიე მექათათ ფულების შოვნას და მთელ დიდ მარხვას, ყოველ სადილობის დროს, განგებ დავეუქვრდი ხოლმე გზასა იმ ჩინოვნიკსა, და იგიც მაყიდვინებდა ხოლმე, რაც დასჭირდებოდა, და მაჩუქებდა გროშებსა. ამ სახით შევავაროვე კარგა ფული, ასე რომ მქონდა ექვს მანეთამდის. დიდ ხუთშაბათს ერთი ათშურიანი ბატკანი მივართვი ჩემს ჩინოვნიკსა და იმან ერთი მანეთი მაჩუქა. მაშინ დამებდა აზრი, რომ ჩარჩობით ფულს მოვიგებდი. ამიტომ ამავე საათს გავიქეცი ქალაქს გარეთ, სადაც მოერეკნათ ბატკნები; ვიყიდე ათი ბატკანი და იმავე დღეს გავყიდე მოგებით. მოგებამ წამაქეზა და მე მოუღალავად, ცისმარე დღეს ვყიდულობდი და ვყიდდი ბატკნებს მოგებით, ასე რომ ერთ თვეზე შემიგროვდა სამთუმან ნახევარი.

აქ უნდა მოგახსენოთ ესეცა, რომ რადგან ჩემი მორთულობა მაძლევდა ამაღრტავნობასა და არ მოუხდებოდა ჩარჩობას, მე პირველშივე ვიყიდე

ღენის პერანგი, ახალენი, და ძველი ქუდი, და მორთულობადა ჩემი, თვითქმის წაღებიც, შეინახე. არ ვიყავ ჩვეული ფეხშიშველობასა და შავეჩვიე.

დადგა მაისი. გაჩნდა ვარიოზა. ჩემზე ადრე არავინ შამოუბრუნდა ხოლმე ქალაქსა. ვყიდულობდი სოფლელებისაგან ვარიებსა და ყოველ ღღე ასზე მომატებულსა ვყიდდი. შეუძლებელი იყო რომ ღღეში მანათი, უფრო მეტიცა, არ მამეგო. მაისის გასულს ჩემს ხაზინას მოემატა ექვსი თუმანი: ხაზინაში სულ მქონდა ცხრა თუმან ნახევარი.

შამოვიდა სხვა და სხვა ახალი ხილი. კინტუობა დავიწყე და ჩემი ცხრა თუმან ნახევარი შეიქნა ცამეტ თუმანთ.

გაჩნდა ნესვი და საზამთრო. ბედმა ამ ხელობაშიაც არ მიღალატა. ორ თვის ვაჰრობაში თემანმა სამი მანათი მაიგო; გამიზნა ჩვიდმეტი თუმანი მანათ ნაკლებ.

შამოდგომის და ზამთარში მოედანს არ მოვმორებულვარ. ვყიდულობდი რასაცკი მოვახელებდი სოფლელების ხელში, ვყიდდი, ხან ვდალალობდი. ხაზინა ჩემი გავრცელდა ვიდრე ოცდაათ თუმანამდინ.

მეორე გაზაფხულზე თიბათემდინ ჩემ სამფლობელოში შაიკრბა ოცდათხუთმეტი თუმანი.

ახლა მოვახსენებთ როგორც ვსცხოვრობდი. თოხმეტ თვის განმავლობაში: მშრალ პურის გარდა სხვა საჭმელი და ნამეტნავათ ღვინო არ მიყიდნია, არცა დამხარჯია ფული: სანთელზე, სპონზე, აბანოზე, წყალზე, შეშაზე და ნახშირზე, არცა ტანისამოსზე; მხოლოთ ვიყიდე საზამთროდ სალდათის ლურსმნებიანი ჩექმები და ერთი ოსური ჩოხა, ისიც ნახმარი. ღამე ვიძინებდი ჩემს ქოხში, ფულს ვინახავდი ტახტის ქვეშ თხრილი რომ იყო. რომ არავის მიეგნო, მე გავაახლებინე ჩემი ტახტი და გარშემო მივაკერევიე ფიტრები. სანამ არ დაამტვრევდით ტახტსა, ვერ მიხვდებოდით, რომ იმის ქვეშ უნდა ყოფილიყო სამალავი.

1819 წ. პირველ ივნისს მოვირთე. მოვიკახმე. — სულ სხვა ყმაწვილი ბიჭი დავდექი. მოედნის ხალხი ვეღარ მიცნობდა კობწია ტანისამოსში, ასე დავშვენიდი, და ჩემის ოცდათხუთმეტი თუმანით წაველ პირდაპირ ლუარსაბთან, იმ მიზნით, რომ სოფელს წითლიანში და სხვა სოფლებში უნდა მეყიდნა პური და ქერი.

ლუარსაბმა მიმიღო ძლიერ კარგა, სწორედ ისე, როგორც ეკადრებოდა; როგორც სჯული სტუმრის პატივისცემისა მოითხოვს. როგორც ტოლი და მეგობარი. სამაგალითო იყო იმისი ხასიათები. არას დროს არ შემამჩნევინებდა ხოლმე, — არა თუ მარტო მე, ყოველ სულსა — რომ ის იყო ჩემზე მაღალი ჩამომავლობით, ზრდილობითა და ნამსახურობით. მე ამას ვაჩემებ ნამდვილ გონების და გულის განათლებასა. რამდენიც ასე იქცეოდა, იმდენი იმაში ვხედავდი კაცსა. ასწილ ჩემ გულში ვამალელებდი იმას ჩემზედა და პატივსა ვსცემდი... მე შევხვედარივარ ზოგიერთებს, რომელნიც თავსა სდებენ განათლებაზე და რომელთაც უგუფურად დაუგრეხიათ ჩემ წინ ცხვირ-პირი, მაგრამ მე მაშინვე გამიღვიძებია თავმოყვარეობა და ისინი დამიწევია ჩემზე ქვევით, იმიტომ რომ იმათში არ მიპოვნია სრული ჭკუა.

ლუარსაბმა საკუთარი მონაწილეობა მიიღო ჩემში, როგორც მამამ შვილსა და უფროსმა უმცროსს ძმასა, გამომკითხა თვითთულად ჩემი ყოფა-ცხოვრება. მე, რასაკვირველია, როგორ რასმე დავუმალავდი ამისთანა კეთილისყოფელს კაცსა. ყველა ჩემს მოქმედებას დაწვრილებით ვუამბობდი, მაგრამ ამჟამად დაგვესწრა შინაური მოსამსახურე, ჩემი ხნის ბიჭი, ჩემთან ერთად შე-

ზრდილი სოსია გამწვავავიძე. სწორედ მოვახსენოთ, ამ ბიჭისა ძალიან შემრცხვა და ამიტომ წარსული ჩემი ცხოვრება და მოქმედება, მაგალითობრ სამოკრტონში გარყვნილ ბიჭებთან დროს ვატარებ, კინტუობა, ჩარჩობა და სხვა ვარ ვამოვადნადი: მე მოკაბ-მოვკიბე ტყუილები და ასეთი სიცრუეე ავაშენე. რომ არ შეიძლებოდა ლუარსაბს არ ერწმუნა. მე მოვახსენე, რომ თხუთმეტა ოვე დაყავ ერთ ვაქართან, რომელმაც კარგა შემინახა, მასწავლა ვაქრობა და უკანასკნელ ერთგულებინათვის მაჩუქა მერვედი ნაწილი თავისის მოგებისა — ოცდათხუთმეტი თუმანი. დასამტკიცებლად ჩემის სიტყვისა ამოვიღე პარკი და მივართვი ლუარსაბს. ლუარსაბს იამა ჩემი ბედნიერება, მაგრამ ზედაც არ დახედა პარკსა. მაშინ ვთხოვე მე. რომ ეს ფული შეენახა დაკეტილ ზანდუქში; მასთანვე გამოუცხადე ჩემი აზრიცა, რაზედაც უნდა მამეხმარებინა ფული...

ამ ლაპარაკში რა ვიყავით (ჩვენ ვისხედით ვენახში და იყო საღამო ხანი). უცებ შემოვარდა ქაქანით ერთი მსახურთაგანი, რომელმაც მოახსენა ლუარსაბსა: „ვახარებ ბატონო! ქალბატონი მშვიდობით დაიხსნა... ვაეი შეილი დავებადათ!“

— ასე ჩქარა!.. რა მეტ ხანს ვაუვლია!... გმადლობ უფალო!.. თქვა ლუარსაბმა და სახეზედ ცხოვლად გამოეხატა სიხარული...

ახლად დაბადებულსა დაარქვეს სახელად ალექსანდრე. სტუმარი სტუმარზედ ეწვია ვაეის მამასა და დიდხანს ვაგარძელდა ლხინი და დღესასწაულობა...

ალექსანდრეს სახელობაზე იყიდა ლუარსაბმა ათი კომლი ყმა, ერთი დიდი ვენახი და წისკვილი; ფული დააკლდა და ჩემგან იეალა ოც-და-ათი თუმანი ერთი წლის ვადით; სარგებელი ზედ შააკეცა და მამცა ვექსილი.

მე დავჩრ- ლუარსაბთან ერთი თვე. წამოსვლის დროს ლუარსაბმა მაჩუქა ერთი ურეში პური და გამომატანა უხვად სასმელ-საქმელი. ვარდა ამისა მე ვიყიდე გლუჩაკეცებისაგან ხუთი თუმნის პური და ქათმები, ინდოურები, ბატები და იხვები. ეს ყოველი ფულათ ვაქციე ქალაქში.

დავიწყე ხელმეორეთ ჩემი ხელობა — კინტუობა და ჩარჩობა. მხნეობას მოუმატე, ძილი და მოსვენება არა მქონდა; ჩემი გონება იყო ვართული ფულებოთ: ჩემი ველი გრძნობდა მხოლოთ ფულების სიყვარულსა. ეს სიყვარული იქამდის გამიცხოვლდა. რომ ხშირათ მშრალა პურსაც არ ვყიდულობდი, რომ გროსს გროში არ მოჰკლებოდა; ხშირად, ვანდევილ ბერსავით, ოც-და-ოთხს საათში არასა ვქამდი, და ხან-და-ხან ორ დღესაცა; მხოლოდ მე ვავერჩეოდი ბერისაგან მით, რომ ბერი არა სჯამს, გინა მრავალი ეწყოს თვალწინ, მიკი ვიძებდი ხოლმე შემთხვევას, ეგები უფასოთ ჩამეგდო სადმე რომელიმე დარდიმანდის სუფრა. დალაღულობას ხომ, შიმშილსა, სიცივესა და სიცხესა სრულებით არა ვგრძნობდი. უსიამოვნებას ვგრძნობდი მაშინ მხოლოდ, როდესაც ტყუილი უნდა მეთქვა, ტყუილად უნდა დამეფიცნა. მაგრამ ამასაც შევეჩვიე. ასე რომ ხელის ხელსახოცად ვავიხადე ტყუილი ფიცი, რადგან შეუძლებელი იყო უამისოდ მომეგო გროში. ამ წვითა და დავვით ერთ წელიწადს შევაგროვე სამოცი თუმანი. ეს ფული ვაფრინე, 1820 წ. თიბვის დროს სოფ. წითლიანში. მაშინ ყოვილ გლეხკაცს უქირდა ფული და მე პური აღარ ვიყიდე, არა, ფული ვავასისხე სარგებლით. სარგებელი დავაწესე სამ მანეთზე ერთი კოდი პური წელიწადში და ესრეთ სოფ. წითლიანი მაძლევედა წელიწადში ორას კოდ სარგებელსა.

წლის თავზე, 1821-სა სრულებით ავეკრიფე სარგებელი წითლიანელებისაგან, ვავყიდე ოც თუმანად. ამ ფულს დავუმატე ჩემი ერთი წლის ნაწვავ-ნადა-

გიცა — ოცდაათი თემანი, და ეს ორმოცდაათი თემანი ვასესხე დიდძლებსა და მცხეთელებსა.

მესამე წელიწადს ზემოხსენებულ სოფლებში ადებული სარგებელი და ქალაქშიაც მოგებული ფული ჯავასესხე წილანსა, წიროვნასა და ოკამსა.

ამავე ვეარად მეოთხე, მეხუთე, მეექვსე... 1826 წლამდის მოვალე სოფლებიდან ვიღებდი სარგებელსა და წლის მოგებასთან, რომელიც მქონდა ქალაქში კინტულობით და ჩარჩობით, გავცემდი ხოლმე სხვა სოფლებზე. ასე რომ მთელ ქართლში, შტკერის ორივე მხარეს, არ იყო სოფელი, რომელსაც ჩემი ფული არ მართებოდა.

პირველ ხუთ წელიწადს თავადმა ლუარსაბმა წლისა და წლის თავზე გამოიცილა ვექსილი და სარგებლები ზედა შეაკეცა. განა არ შეეძლო, გადაეხადა ვალი, მაგრამ არ გადაიხადა, ამიტომ რომ ადგილ-მამულის პატრონობა დაიწყო და მამულზე მამულს უმატებდა. ასე რომ ჩემი ვალი იმის შემოსავალთან სრულებით არა ჩანდა, და ამიტომ არ ეშინოდა მცირედის ვალის გავრცელებისა. შემდგომში კი ვალის გადახდა სრულებით დაუმძიმდა და ვალს ვალი მოემატა, ვექსილი ყოველ წელიწადს იცვლებოდა და ამის მიზეზი იყო შემდგომი გარემოება.

თავადის ლუარსაბის მხნეობა და გამდიდრება შაშურდით იმისს განაცოფებსა და მეზობლებსა. მეშურნეთ კი არ მიბაძეს იმისს მხნეობასა, ზომიერ ცხოვრებასა და ჭკუასა, რომ შეეძინათ სიმდიდრე, არა, დაუწყეს უგუნური წინააღმდეგობა, და მტერობა. დღეს ერთი ბიკი გაუქციეს, ხვალ მეორე, ზეგ მესამე... დღეს ერთი მამული მოსტაცეს, ხვალ მეორე... აუტეხეს დაუსრულებელი და დამქუევი დავა სასამართლოებში უგზო უკვლოთ და თუმცა მრავალი დააკლეს ლუარსაბსა, სიცოცხლე გაუმწარეს და ბოლოც მოუღეს, მაგრამ თავიანთი ოჯახი და ცოლშვილი უფრო დაღუპეს. გაიგეს რა სუდის და პოლიციის ჩინოვნიკებმა ამათი შფოთი. ცეცხლს დაჰბერეს და ცეცხლს ცეცხლი მოუმატეს. იმათ ასწავლეს ლუარსაბის მტრებს არამზადული გზები; ისინივე ეწეოდნენ, გზებს ხლართავდნენ, განგებ, თავიანთ სარგებლობისათვის: უწერდნენ ხუთ გროშიან არზებსა, და ართმევდნენ თუმნობით, ხუთ თუმნობით, ათ თუმნობით... მოდავეების პური და ღვინო, საკლავი და ავეჯეულობა გადიტანეს იმათ თავიანთ სახლებში. იცით როგორ დაუხელანჯეს საქმე? — რაცა პოლიციას უნდა გადეწყვიტა, სუდს მიაჩემეს, და რაცა სუდს უნდა გადეწყვიტა მიაჩემეს პოლიციასა. მოდავენი გაებნენ მახეში და აღარ იქნა ვეღარც თვითონ გამოვიდნენ, ვეღარცა გამოიჯვანეს ჩინოვნიკებმა. ბოლოს, როდესაც მოდავეებმა ხალჩის მაგიერ დაიგეს ჰილობი, კაბას მაგიერ ჩაიცვეს გლეხური ჩოხა, ფარჩის მაგიერ ჩითიც ვეღარ იშოვეს, ჩინოვნიკებმა დაუბოლოებელი საქმეები (თვითონ კაცი ძლივ ასწევდა) ჩუმათ გადაყარეს არხივში.

ლუარსაბს გადეკია მტრებზე ნამეტნავათ პოლიცია, რადგანაც აგრე რიგათ ვერა სარგებლობდა ამისგან. უსამართლოებით და შაუწყეულობით რომ ვერა დააკლორა ლუარსაბსა, პოლიციამ ქვებუდანობით დაუწყეო წინააღმდეგობა. ლუარსაბს ჰყვანდა რვა მდიდარი კომლი ყმა ურია. იმათ ოქროებს კბილებს უკრეკდა ერთი უპრავის დიამბეგთავანი. ამ უკანასკნელმა გაიხმო ურები ერთხელ სოფელ გარეთ, როდესაც ლუარსაბ შინ არ იყო, და უთხრა: „მე მაქვსო კარგი საბუთებიო და თუ მამცემთო ასს ოქროს, ყმობიდან განგათავისუფლებთო“. სიხარულით აბთრობილებმა ურებმა აღუთქვეს ასი ოქრო და ბეი მისცეს ოცი ოქრო. დიამბეგს დაეწერა ათი სავსე თაბახი არზა. არზაში მთელი დაბადება გაღმოეწერა, და იმათი თავისუფლებას მით

ამტყეებდა, რომ ისინი იყვნენ ისრაელნი, შვილნი აბრამისანი და იაკობისანი<sup>6</sup>, რომელნიც თვით დმერთმა გაააზნაურა. პირველში, როდესაც დაინახეს დიდი რვეული დაწერილი ურიებს ეგონათ, არზა ქეას გახეთქავდა: მერე კი, როდესაც დიანბეგმა გადაუთარგმნა, მოსწყდათ წელი: გაახილეს ურიებმა თვალი და დაინახეს ვერავობა მაცდურისა. აბა დანაშთენს ოთხმოც ოქროს როგორღა მისცემდნენ. თავად ოცი ოქროც რამდენიმე წელიწადს იგლოვეს.

მეორე უპრავის დიანბეგმა ეს რო შეიტყო, იმასაც მოუნდა ურიების ოქროები; შემთხვევაც მალე გამოჩნდა. ერთის დღის სავალზე ოსებს კაცი მოეკლათ. უპრავამ შეიტყო და უბრძანა იმ დიანბეგს გამოეძიებინა ეს საქმე. დიანბეგმა დაარბა იასაულები: „გადაიტანეთო მოკლული კაცი და ჩაუდეთ ბანიდამ ღამე ლუარსაბის ერთ-ერთ ურიას სახლშიო“. რასაკვირველია, იასაულებმა მარდად აღასრულეს დარიგება. მაგრამ ვერავობა დიანბეგისა გამოჩნდა... თვითონ გაება მხეში. რასაც ურიებისაგან მოელოდა, ორი იმოდენი დაეხარჯა და ვადარჩა სასჯელსა...

რა ესა, რამდენი რამ ვიცი!... გიამბობდით ყველასა, მაგრამ ეუფრთხილები, საყვარელნო მკითხველნო, თქვენს ყურებს!...

## VI

თორმეტს წელიწადს, როგორც მოგახსენეთ, მე დავიპირე მთელი ქართლი. არა თუ გლეხი, ძნელად ვადარჩა მებატონეცა, რომ ჩემი მოვალე არ ყოფილიყო. ჩემს ბადეში გაეხვიენენ ფრიად მრავალნი, უკანასკნელი ზეთითასი კომლი. ჩაადეთ კომლზე კოდი პური — კოდი მანეთად შეიქმნა — წელიწადში ჩემი შემოსავალი ზეთასი თუმანი გახდა. ამას მხოლოდ მაგალითად მოგახსენებთ, თვით საქმით კი ყოველ წელიწადს მქონდა შემოსავალი ათს თუმანზე მომეტებული, იმიტომ რომ კომლი იყო, მაძლევდა ორს, სამს, ოთხს, ხუთს კოდსა. ამასთან ქართლური კოდი ქალაქურზე ერთ ნახევრად მეტია.

ამოდენა ფულით არ შემეძლო არ მესარგებლებინა. ფული უნდა იყოს მოძრაობაში; ფულმა ფული უნდა მოიგოს. მეც ველარ დავეჭრდი ათასს თუმნებსა. მინდოდა მილიონი. — ნუ გამამტყუნებთ, ასეთია ბუნება კაცისა... მაგრამ სად უნდა ვადამებნივა ჩემი ძლიერი ფული? — ქართლში ადგილი აღარ იყო; ქალაქელ ვაჭრებისა მეშინოდა: ჩემს ფულს რა წამს ხელში მოიგდებდნენ. მაშინვე განგებ გაკოტრდებოდნენ, და მე დავერჩებოდი თვალუჩინარი მდიდარი, მაშინ როდესაც მქონდა მე დიდების მოყვარება — ეყოფილიყავ სახელგანთქმული მდიდარი. მე ავარჩიე სარბიელათ ჩემის მოქმედებისა კახეთი და ბორჩალო. ეს იყო 1832 წელსა.

ჯერ კიდევ გვიან იყო კახეთში მოსავალი და მე დავტრიალდი ქალაქში, რომ მომეყვანა მოქმედებაში ერთი აზრი, რომელიც დიდი ხანი ვზარდე ჩემს გონებაში.

გასპარ სარქისბეგაშვილი, ანუ, როგორც ადიდებენ, გასპარ მიკირტიჩ სარქისბეგოვ პირველში მეწვრილმანე, მერე თავი მოქალაქე და ვაჭარი, გაითქვა ქალაქში და საქართველოში ჭკუით, სიმდიდრით, მართლაც იმ დროს იმას არავინ სჯობდა. როგორც იმისმა ბებერმა მაქანკალმა ამიწერა, სწორეთ ისე შეაკრიბა იმას სიმდიდრე, ჩემ დროსაც კიდევ პურს ყიდულობდა და ჰყიდა, იდუმალ ალაფების თავი იყო. ამასთან სოვდაგრობდა კიდევცა: მოჰქონდა მოსკოვიდამ მუდი, ჩითი და სხვ. და ჰყიდა ქალაქში ადლობითაც, თოფობითაც. ერთი სიტყვით ბედნიერი აღებ-მიცემობა მქონდა. რასაკვირველია, მრავალ ვაჭარს შერდა და სურდა როგორმე დაცემულიყო სარქისბეგაშვილი და თვი-

თან დაწინაურებულიყენენ, მაგრამ ვერავინ აწობა. ყოველგვ ეს მე კარგად ეცოდი და მოვედოდი დროს. ტანჯვა დედაჩემისა წამდაწამ თვალინ მენატრებოდა და სურვილი ჩემი იყო. ჩამეგდო ეს პილწი მდიდარი ისეთსავე ტანჯვაში.

როდესაც მე გავეტყველე ჩემი აღებ-მიცემობა ქართლში, სარქისბეგა-შვილს ძლიერ შემოკლდა მოგება პურში. ამას არ დავაჭერე, სამს წელიწადს ვაზარალე რვაასი თუმანი თეთრი. სარქისბეგაშვილი ყიდულობდა ნაღდ ფულად პურსა და უკიდოდ უნდა მომატებოთ გაეყიდნა. მე მხოლოდ სარგებელს ვყიდდი და იმაზე ბიჯრით იაფად, ასე რომ ის უნდა ჩამოვტლიყო თავნიდამ. რომ გაუჭირდა და ზარალი ედარ აღიდგინა, სარქისბეგაშვილმა ხელი აღდო ამ გაჭრობიდან და იწყო ვაჭრობა აბრეშუმისა. თვითონ დადიოდა ქვეით ქვეყნებში. ყიდულობდა და მოჰქონდა მოსკოვს აბრეშუმს.

1832 წ. იმას ჰქონდა, ძველი მამა-პაპის სახლის გარდა (ცხის უბანში). საკუთარი შეიძენილი ორი დიდი სასახლე, ოცი დექანი, შეიღიათასი თუმანი ნაღდი ფული და სავაჭრო ხუთი-ათასის თუმნისა. ვალი ჰქონდა მოსკოვის ვაჭრებისა. ერთის წლის ვადით, ექვსიათასი თუმანი.

ამ წელიწადს ჩვეულებრივ აღარ წაიდა თვითონ ქვეით ქვეყნებში აბრეშუმის სასყიდლად. იმ აზრით, რომ იქაური ვაჭრები მოიტანდნენ მაშინ ქალაქში და, რასაკვირველია, ის უფრო იაფად იყიდდა. — ერთიორად უნდა მოვეო, მაგრამ მე აჟ დავხვდი.

მართლდაც, ქვეით ქვეყნების ვაჭრებმა თვითონ მოიტანეს აბრეშუმში რვა ათასის თუმნისა, რომელიც მოსკოვში გაიყიდებოდა ათიათას თუმნად. სარქისბეგაშვილმა წინათვე მაგრა დაჰირა თავისი საქმე: აქაურ ვაჭრებს გადაუხადა დიდი წვეულობა და სუფრაზედვე სთხოვა, რომ არაჟინ შესცოლებოდა. ყველა ვაჭარი ეხატებოდა, ემონებოდა, სარქისბეგაშვილსა და ვერაჟინ გაბედავდა იმისს წინააღმდეგ საქმესა.

მეორე დღეს სარქისბეგაშვილმა დაშინჯა აბრეშუმში და ცხვირტუჩები აიწია; ამითი უჩვენა რომ მითამ ის მყიდველი არ იყო და არცა საქონელი ღირდა იმ ფასად; მაგრამ უთხრაკი ბოლოს ცივათ:

— რახან მოგიტანიათ, აი ჩემი უკანასკნელი ფასი: სამი ათასი თუმანი. ეგეც ძალიან ბევრია.

ვაჭრებმა გაიღიმეს.

— რას იცინით? შეტყვეით უთხრა სარქისბეგაშვილმა: იქნება გგონიათ მეტათ ღირდეს თქვენი საქონელი! მაგ ფასს. მე გაძლევთ. თორმე სხვა ვინ უჯუნური გამოიმეტებს სამი ათას თუმანსა!

ვაჭრებმა კიდევ გაიღიმეს.

— მამ, კარგი! — უთხრა სარქისბეგაშვილმა თავმოწონებით: სხვა ხომ არავინ მოგცემთ მაგ ფასსა; და თუ გამოჩნდა ვინმე მომატებულის მომცემი, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რაც უნდა დიდი ფასი იყოს. მე ხუთასს თუმანს კიდევ დაუმატებ. ყაბული ხართ?

— ვართ უთხრეს ვაჭრებმა.

მაშინ ხელი ხელს დაჰკრეს და გაშორდნენ. სარქისბეგაშვილმა კი მაშინვე დაუარა ყოველს ქალაქის ვაჭარსა, დაარიგა და სთხოვა, რომ არავის სამიათასს თუმანზე მომატებული არ მიეცა და გაგზავნა კიდევცა ორიოდ ვაჭრები. რომ განგებ ევაჭრათ, და იმათ წმინდათ აღასრულეს იმისი დარიგება და თხოვნა.

მთელი დღე ვდიე მე სარქისბეგაშვილს, ყური ვუვადე იდუმალ, მივხვდი იმის აზრსა, შევადგინე პლანი იმის დასაცემად და ვწუხდი, რომ ათასი თუმნის

მეტი არა მქონდა ხელში. მაინც უფულობამ ვერ შემამინა და გავბედე ჩემი პლანის აღსრულება.

შვიდ დღეს აღარ გამოვჩნდი. იმ ერთ კვირას დავიცერე ახალი კაბა, შალვაარი. პირისფერი ატლასის ახალუხი ჩექმები. ვიყიდე ახალი ატლასის სარკველი. ბუხრის ქელი, ფერჩატეები, ბაღდადი და ოქროს საათი თავისის ოქროს ბეჭყელი. ვიყავ აბანოში. გავლამაზდი, ასე გამოვიცვალე, რომ ვერავინ მიცნობდა.

მეშვიდე დღეს ორი კაცის პირით შევატყობინე აბრეშუმის პატრონებსა, რომ მე მსურდა აბრეშუმის ყიდვა, რომ განგებ ამისათვის ჩამოველ გორიდან და დავენიშნე დღე და საათი ვაჭრობისათვის. ამასთან ამ ორ კაცს უნდა დამატებინა თავისის მხრით, რომ ჩემი სიმდიდრე იყო ურიცხვი.

დანიშნულ დღესა და საათს უცხო ქვეყნის ვაჭრები მოუთმენლად მიმელოდნენ. სარქისბეგაშვილს შეეცყო ეს ამბავი და გაეგზავნა ოთხი სანდო კაცი, რომელნიც უნდა დასწრებოდნენ ჩემს ვაჭრობაში და რომელთაც ყოველივე დაწერილებით უნდა შეეცყობინებინათ იმისთვის.

დანიშნულ დროს მოვირთე გემოვნებით და მდიდრად და გავეჟანე დროშკით (დროშკა მაშინ იშვიათი და ძვირი იყო) სიონის ქუჩისკენ. დროშკა დადგა მელიქიანთ ქარვასლის წინ. კარებთან მიმელოდა მრავალი ხალხი, რომელსაც სურდა, თურმე, ჩემი ნახვა. როდესაც გადავხტი დროშკიდან, მე შემომესმა შემდგომი სიტყვები: „რა ახალგაზრდაა, რა ჭკვიანია, სახეზე ეტყობა, რაც არის!“ გულში გამეცინა და წარმოვიდგინე იმათი დაბრმავება, რომ ვერ იცნეს ჩემში კინტუა სოლომონა.

აბრეშუმის პატრონებმა მძიმედ თავი დამიკრეს და დამიწყყეს ყურება მოწინააღმდეგეთ. მე გავშინე აბრეშუმი, დავეთვალე ცალები და ბოლოს ამყავ კუთხე:

— რამდენი ლიტრაა?

— სამი ათას ხუთასი.

— როგორ აფასებთ?

— რვა ათას თუმანად.

— უკანასკნელი ფასი მითხარით!

— ნაკლებ აღარ შეგვიძლია მივცეთ. თვითონ ჩვენც ძვირად გვიღირს.

— უკანასკნელი ჩემი სიტყვა — შვიდი ათასი თუმანი, ლიტრა მოდის ორი თუმანი.

— ვერ მივცემთ მაგ ფასად.

— ეს იცოდეთ, მე დღესვე დაგითვლით ნაღდს შვიდი ათასი: თუმანსა. ქართველი იტყვის: „დღეინდელი კვერცხი მირჩვენიაო ხვალინდელ ჭათამსაო“, იქნება სხვამ მომეტებული მოგცეთ, მაგრამ ნაღდ ფულს ვერ დაგითვლისთ. აილებს ნიჟიად და ბარათებით. ასე, მომატებულ წვალეებსა, მგონია, სჯობდეს ერთ საათს მორჩეთ და მოისვენოთ, თორე, გარწმუნებთ თქვენ, მოვალეს უკან დევნით დააღლებით და, ბოლოს იქნება სრულიად ვეღარა აიღოთ-რა. თქვენი მოვალე იტყვის „გაკოტრდიო“, აბა რაღასა იქთ მაშინ? სულით-ხორცამდინ ნომ დაიღუპებით!

ეს დარაგება წაუყითხე განგებ. ამითი შიში ჩაუგდე იმათ, რომ ნისიათ არ დაენებებინათ აბრეშუმი სარქისბეგაშვილისთვის, რომელსაც სურდა ამ სავაჭროს ყიდვა.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ნისიათ ანუ ბარათით არავის მივცეთ, — მიპასუხეს ვაჭრებმა.



— მაშ გადაწყვეტილი მითხარით.

— ხელამდინ დავეიცადეთ, ჩვენ ვიფიქრებთ. მოილაპარაკებთ, და თუ ჰქვამი დაგვიტყვი, ხელ გადაწყვეტილს მოგახსენებო. — ეს პასუხი მამცეს ამიტომ, რომ ჯერ სარქისბეგაშვილი უნდა გამოეცადათ.

— ვა, ეს რა საქმეს ჩაღიხარ, ბატონო, — მითხრეს ქართულათ სარქისბეგაშვილის ფისკალეებმა სომხურის კილოთი: რამდენ ფულს აძლევ... უკ ვინ გამოიმეტებს ეგრე დიდს ფულს!... ჩვენ ვაძლეთ იმას სამიათასი თუმანი.

— ქალაქელ ვაჭრებსა ცული ესა გქირთ, რომ არა გაქვთ ძმის არც სიყვარული, არც შებრალება, საზოგადოების აზრსა ხომ თქვენ პატიოსნებაზედ არად აფასებთ. თქვენ იმას ცდილობთ, რომ მანათიანი ნივთი გროშათ ჩაიგდოთ, და მანათათი გაყიდოთ. როდესაც თქვენ ყიდულობთ, მასხარათ იგდებთ იმას, ვინცა გიფასებთ ღირებულ ფასათ, და როდესაც თქვენ ჰყიდით, მასხარათ იგდებთ იმას, ვინც ღირებულ ფასს გაძლევთ. ეს იმას ნიშნავს: ოღონდ თქვენკი ფული მაიგოთ, სხვა თუნდ დაიღუპოს, რას დასდევთ. არა, ასე არ უხდა იყოს. ვაჭარმა თუ არ მაიგო, ცოდვია. იფიქრეთ თქვენ თავზედ, თუ არას მოიგებთ, როგორღა ივაჭრებთ, როგორღა იცხოვრებთ? უეჭველია, დაიღუპებით! თქვენ ხომ კარგა იცით, რომ ეს აბრეშუმი ადვილს ღირს ხუთიათას თუმანდ. სამი ათასს რა აძლევთ, რა უნდა ქნან ამ საცოდავმა ვაჭრებმა! დანაშთენი ორიათას ხუთასი თუმანი საიდგან-ღა აღიდგინონ? იზარალონ? რაღა, როდესაც ეს აბრეშუმი ქალაქში გაიყიდებოდა რვა ათას თუმანდ, მოსკოვში — ათიათას თუმანდ; მე ვაძლევ შეიღიათასსა, ამიტომ, რომ ვიცო, როგორც სად გაიყიდება აბრეშუმი და არ ვიზარალებ. ნამეტნავად მოსკოვში: რა წავიცილო, მოვიგებ ხუთი ათას თუმანსა, ამიტომ რომ მოსკოვში, როგორც მწერენ ჩემი პრიკაშნიკები, აბრეშუმი ძალიან გაძვირებულია და თურმე სრულებით არ არის. ოთხ თვეს, რომ შეიღი ათასს მოვაგებინო ხუთი ათასი, მეტი მოგება განაღა შეიძლება! ამათ კი, გზის ხარჯი რა გამოვიდეთ, შეხვდებათ ორას-ორასი თუმანი მოგება კაცის თავს. ესღა მგონია მიხვდით, რომ მე ფულს წყალში არ ვყრი. მშვიდობით.

ყოველივე ეს დაწერილებით უამბეს სარქისბეგაშვილსა. უკანასკნელმაც დაიჭერა სიცრუე, სიხარულისაგან. თურმე, გონება დაჰკარგა. საჩქაროდ დაიბარა აბრეშუმის პატრონები, დაუთვალა შეიღი ათას ხუთასი თუმანი, როგორც აღუთქვა (ხუთასი თუმანი გამოიტანა თავისი მალაზიიდან), ჩაიბარა აბრეშუმი და მეორე დღესვე გაისტუმრა მოსკოვს. სხვა ხუთასი თუმანიც გამოიტანა მალაზიიდან. ამ ფულიდან სამას ორმოცდაათი თუმანი მისცა ქირა, დანაშთენი ას ორმოცდაათი თუმანი დაინარჩუნა თვითონ გზის ხარჯად. გარდა ამისა, ათასი თუმანი ვალად აიღო აქაური მოქალაქეებისაგან (ყოველი შემოხვევისათვის) და ორის კვირის შემდგომ წავიდა მოსკოვს, სრულის იმედით, რომ მოიგებდა ხუთიათას თუმანს.

ერთი ნაწილი ჩემის პლანისა აღსრულდა, და იმავე დღეს მივიმალე: გავიხადე ძვირფასი ტანისამოსი, შევიინახე მძიმედ და ჩავიცვი ძველი მიგლეჯილ-მოგლეჯილი ტანისამოსი, ხელბირი მოვითხუნე და სულ სხვა გამოეჩნდი...

აღსასრულებლად ჩემი პლანის მეორე ნაწილისა საჭირო იყო ჩემთვის გამომეცვლია სარქისბეგაშვილის საიდუმლოება. ამ საიდუმლოების გამოკვლევა შეიძლებოდა მხოლოდ იმის პრიკაშნიკის შემწეობით. ძნელი იყო პრიკაშნიკის მოსყიდვა, მაგრამ — ფულს რა არ შესძლებია!... ერთის სიტყვით მე მიესწვი ჩემს საწადელს. და აი რა გამოვიკვლიე:

ათი ათასის თუმნით საქონელიდან პირველშივე გასცა თურმე ნისიათ

როი ათასი თუმნისა, მაგრამ დასწოდა და ფულად გროშიც არ მიეღო. ნაღდ ფულად გაეყიდა ათას ხუთასის თუმნისა. ამ ფულადამ სკუთასი თუმნი სარქისბეგავშიღმა თვითან მოიხარჯისა, ათასი თუმანი ზომ, როგორც ზემოთ ვთქვი, დახარჯა აბრეშუმზე, დანაშთენილა საქონელი თითქმის ნახევარ ფასათაც აღარ ისყიდებოდა, ამიტომ რომ იყო დამპალი და დამწვარი. ამისგამო სარქისბეგავშილი იყო თურმე დიდ ზარალში და ცუდ მდგომარეობაში. ეს იყო მიზეზი, რომ ის მაგრა დაებლაუქა აბრეშუმსა და უკანასკნელს აბაზსა აღარ ვაუტყრთხილდა.

რომ გაესწორებინა როგორმე თავას მოსკოვის მოვალეებთან საქმე, სარქისბეგავშიღმა თურმე განგებ გატეხა კლიტე მალაზიისა და გამოუტყხადა პოლიციას ვითომ ქურდებს გაეტეხოსთ იმისი მალაზია და უძეტესი ნაწილი სავაქროსი მოუპაროსთ. ამანედ შემდგარიყო საქმე, სარქისბეგავშილს აელო მოწმობა პოლიციისა და თორმეტის ვაქროისა...

მაშინვე მე გამოვაწყერიებ პრაქაშჩიკსა სახელები და გვარები იმ მოსკოვის ვაქრობისა, ვისაც ვალი ემართა სარქისბეგავშილისა.

ამ უწყებით გაეჩქეცი მაშინვე ჩემ ძველ მეგობარ ჩინოვნიკთან და დავაწერიანე წიგნი მოსკოვის ვაქრობათან. წიგნში ავაწერისე დაწვრილებით ყოველი მოქმედება სარქისბეგავშილისა და ურჩიე იმათ მიელოთ ღონისძიება, რომ ჭეული არ დასწოდათ სარქისბეგავშილზედ.

რაც შედგომილება ჰქონდათ ამ წიგნსა მე ვიამბობთ მაშინ, როდესაც სარქისბეგავშილი დაბრუნდება მოსკოვიდან, და მე კახეთიდან, სადაცა წაველი მაშინვე წიგნის გაგზავნის უკან.

## VII

საგანი ჩემი მოგზაურობისა კახეთში იყო დროებითი ადგილობრივი სირაჯობა, ანუ, მარტივად, ადგილობრივი სყიდვა-გასყიდვა ღვინისა.

ეს იღვია საკუთრად მე მეკუთვნის. ჯერ კახეთი არ მენახა, კახელ ხალხს ზომ სრულებით არ ვიცნობდი. არ ვიცოდი საქმე ვისთან და როგორ უნდა დამეჭირა. სიტყვით არ ვიცოდი სირაჯების საიდუმლოება. ამიტომაც ვშიშობდი, — და შიში ჩემი იყო საფუძვლიანი, — რომ ჩემს ათასს თუმანზე არ დავმჯდარიყავ კახეთში მგლოვიარედ. მაგრამ ველარც დავიშალე, წაუტყულობა ჩემი შეუძლებელი იყო, რაღაცა უხილავი ძლიერი ძალა მწევედა კახეთში.

ამ უამად მიდიოდნენ კახეთში სირაჯები ცხენებით. მე იმათ დავუახლოვდი და ვთხოვე, რომ მგზავრობა ერთად გვექონიყო; სირაჯებმა ნება დამრთეს.

ჩემს მომზადებას დიდი ხანი არ უნდოდა. იმავე დღეს ვიყიდე ცხენი და რაც საქირთა მგზავრობისათვის. სურჯინში ჩავილაგე ტანისამოსი, ფული და ორიოდ პური.

წავედით. ქალაქს გარე რი ვავედი, ერთი ცხვირი მოჰვიდა. მაშინვე ზედ თავზედ ყვავამაც დავეჩხავლა. მე არა მქონდა ამო მორწმუნება. კვლავ სწირად ერთი ცხვირიც მომსვლია, ყვავსაც დაუჩხავლია, მაგრამ წასულა, გაუვლია, მე ფიქრნიაც არ მომსვლია. მაშინ კი უნებლიეთ მივაქციე ამ გარემობას ყურადღება; არცა მჯეროდა, ფიქრნიაც შევედი — რაღაცა განუასზღვრელი იჭვენეულობა დამეზადა.

მაშინ გომბორზე \* იყო შიში და ამიტომ ჩვენ წავედით სიღნაღის გზაზე. მგზავრობანი სირაჯები მიმიხედნენ, რომ მე დიდალი ფული მქონდა სურჯინში, და არ შეიძლებოდა არ მიმხედარიყენენ: სურჯინი იყო ძლიერ მიმიმე,

ასე, რომ, სადაც დავისვენებდით ძლივძლივ გადმოვიღებდით ხოლმე ცხენი-  
დან სურჯისსა. სირაჯები გაოცებული მიყურებდნენ, თავით-ფეხაპლის მსინ-  
ჯადნენ და ჰკვირობდნენ ამოდენი ფულის პატრონი რომ ვიყავ. ერთმანეთს  
ეუბნებოდნენ ჩემზედა: „ვინ უნდა იყოსო? თუ თავისია ფული, ვის მიუციაო...  
მეჭაღნედ უნდა იჯდესო. თუ სხვისია, როგორ გააგებდა პატრონი, რომ ანდო  
უბირ კაცსაო“. უკანასკნელ ერთმა მოგზაურთაგანმა მკითხა და თვალი თვალში  
გამიყარა, რომ გამოეცნო ჩემი სახის მეტყველებისაგან ჩემი გულის აზრი:

— შე დალოცვილო, ცხენი როგორ არ გებრალემა! მაგ სიმძიმე ფული  
აგვიღია და შენცა ზიხარ. გზაზე რო დაგივარდეს, რაღას იქ! ჩვენ ხომ ყა-  
რულათ არ დაუდგებით შენ ფულსა, და თუ მინდორში დარჩები მარტო ავა-  
ჩაეები გაგცარცვენ.

თქვენ მტერს დაადგეს ის დღე, რაც მე მაშინ დამადგა. ასე შეგვკოი, ასე  
გადვირიე, ასე გამოვრეტდი ელდისაგან, რომ აღარ ვიცოდი რა ცნაველი  
ვიყავ. ხან გავწითლდი, ხან გავყვითლდი, ამასთან სრულიად დაბლცვდი და  
ძლივ-ძლივ. მინაზებულის სმით, ეთქვი დაუფიქრებლევ. რაც მამაღვა ენაზედ.

— მე ფული ვინ მამცა! სურჯინში მარილის თვლებია.

ამჟერა ტყუილი იყო, მარილის თვლებს ვინ არ შაატყობს სურჯინში!  
ღირსი ვიყავ, რომ ჩემზედ კარგა ჯაეცინათ, და მართლდაც, სირაჯებს უცებ  
ასეთი სიცილი აუტყდათ, რომ მუცლები ორის ხელით ეპირათ. მაშინ მოვედ  
გონებას და შამრცხვა, რომ თავი მაღლა ველარ ავიღე, ველარც აქათ-იქით მი-  
ვიხედე, ჰირის ოფლში გავიწურე.

დიდხანს იცინეს, იკასკასეს, როდესაც მოიღალნენ, მიცა რას:

— საყვარელო ძმაო! ჩვენ რათ გვიმალავ ფულსა. კოგა უნდა იცოდე,  
რომ აქ შენის ფულის წამრთმევი არავინ არის. თვითონ ჩვენც გვაქვს ას-ასი  
თუმანი. მაგრამ შენკი, როგორც გეტყობა, მომეტებული უნდა გქონდეს.

— მეც ასი თუმანი მაქვს; ისეც ხომ ჩემი არ არის, სხვისია, — უპასუხე მე  
ასეთის მოკვდინებულის და დარღვილის სახით, რომ სირაჯებს წასკდათ ხელ-  
მეორეთ სიცილი.

სანამ სირაჯები სიცილს გაათაებდნენ. მე, საყვარელნო ამ ამბის მკითხველ-  
ნო, მოგახსენებთ სიტყვასა: აღწეროლ მოგზაურობაში მე, მართალია, ეულა-  
ლატე ჩემს ხასიათსა, მაგრამ ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ჩემი იმედი და  
სიოცნებე იყო ფული, მე ვიყავ უდაბურ ადგილს, არ ვიცნობდი ჩემს ამხა-  
ნაგებსა, რომელნიც ეგრეთვე იყვნენ ფულს მოყვარულნი და დღედაღამ  
ლოთობდნენ, და, უკანასკნელ, რომ მეც მინდოდა მეცოცხლა. ამ მიზეზის გამო  
მე დავეარგე მცირე ხანს ჩემი გამბედაობა.

გავაგრძელოთ ამბავი.

მგზავრებმა, შემდეგ სიცილისა, იწყეს ჩემს ანგარიშზე ოხუნჯობა, ყოვე-  
ლი იმათი სიტყვა იყო მარილიანი. ზედ გამოჰრილი, ცოცხალი, მაგრამ ნალ-  
ველზე მწარე, უზრდელი, ბრანგული. მახელიგონებიანი ხუმრობა სასიამოვნოა,  
თუ ითქმის განვითარებულის გემოვნებით. მაშინ მე მიკვირდა ამხანაგე-  
ზის სიბრძივე, ახლა-კი აღარ მიკვირს და ვერც გავამტყუნებ იმათ, რადგან  
აწინდელ განათლებულ დროშიაც ვხედავ მე ზოგიერთ კარგა ნასწავლ ყმა-  
წვილ კაცებს, რომელნიც მრავალს კითხულობენ და დაიარებიან განათლებულ  
საზოგადოებაში, მაგრამ ჭერ კიდევ გაუთლელნი არიან.

მე დავეარგე მოთმინება და მენატრებოდა, რომ განვმორებულეყავ  
ოხუნჯ ამხანაგებსა. ნატვრა საჩქაროდ აღმისრულდა: მოვეწვიენით ურმებსა,  
რომელნიც მიდიოდნენ ქალაქიდან კახეთსა. მე მაშინვე სურჯინი გადმოვხადე  
ცხენიდან და დავეარ ურმებზე და მეც გვერდით მოველექ. ძლივს მოვრჩი სი-

რაჯებს! მეტრამ. მკობ ეს ძმობი. ასეთი მკობი მკობი დავწი, რადგან დე-  
ნომი ერთმანეთს არ იყვებდეს, რა უნდა შევად დავისა არ იყიდონ, როგორ  
აერწყვით და სხვ. და ამ სახით გამოიქვან თუთაისი სკოლის საიდუმლოება.

სოველი სოფ. გურჯაანს. იყო დილა.

აქ ხის ძარში ჩამოვსტი. ცხვას ქერი მივეცი და რადგან უძილო ვიყავ,  
ხურჯინზე თავი მივდე. ურბები წავადნენს.

დილის ნიაზე ტბილად ჩამძინებოდა. მაგრამ მოსვენება საჩქაროდვე  
ვამიწვარდა. თითქოს ჩემმა სვემ შეინანა, რომ მე მივიღე ძილში მცირე ყამს  
სიტყაობა. ძილში შემომესმა რაღაცა არეულობა, ღრიალი. უცებ წამოვსტი  
დაბნედილსავით, მივიხედ-მოვიხედე და ვნახე, გლეხკაცი მიბროდა სოფლის  
გზაზე, დაეძებდა მოპარულ უღელ კამეჩებს, თან ხმამაღლა სწყევლიდა და  
უშვერის პირით ლანძღავდა მოპარავსა, ვინ იცის, რომელ მსარეს მიფარე-  
ბულსა!... მაშინ გამოვფხინსლდი, მივეარდი ხურჯინსა, ხურჯინი ადგილს დამხ-  
ვდა, — მიამა, მივეარდი ცხენსა... საღდა იყო ცხენი!.. ოპ, ღმერთო, რა წამი  
იყო ჩენთვის! ელდამ შეუაზე გამაპო... გავიქეცი გიყსავით ცხენის საძებნელად  
და მაშინვე დაებრუნდი, რომ ხურჯინიც არ მოეპარათ. გავშალე ხელები, გა-  
ვადე პირი, რომ ხმა მიმეცა ვისთვისმე, ხმა ჩამიწყდა და ხელებ-გაშლილი,  
პირ-გაღებული ვიდექ ერთ ადგილს რადენიმე ხანს ხესავით გაშეშებული...  
ზედღატანებით მოდიოდა ქერიანი დედაკაცი, რომელიცა გულამოსკენილი ტი-  
როდა მდულარის ცრენლით. ამ საცოდავისათვის ძროხა მოეპარათ, დაეკლათ  
და გაუტყავებელი ქვეყნში ჩაეკიდათ. მერე ვისა?.. სჯობს არა ესთქვა, რომ  
ჩემის თქმით არა დამავდეს რა.

შინის ზარმა ამიტანა... ქურდ ხალხში რაღა დამაყენებდა!.. ავიტოე ხურ-  
ჯინი და მივედ ერთ გლეხკაცისას, ვიქირავე ურბი, ურბეზე ხურჯინი მაგრა  
დავაკარ, ხურჯინზედ მოვიყეცი (ქერ კ არ შეებათ) იმ განზრახვით, რომ გინა  
დაგორებულყო ურბი მაღალის მთიდან უფსკრულში, მე ხურჯინს არ უსდა  
მოვშორებულვიყავ და ხურჯინი მე... ველისციხის სამზღვარს რო გავცილ-  
დით, სულ სხვა ხალხი ვნახე... ძლივ მაშინ მსუბუქად ამოვისუნთქე.

მე გაველ პირდაპირ ყვარელს. ყვარელმა მიმიღო დიად ჩინებულად,  
უკეთესად აღარ შეიძლებოდა!

ერთ კვირაზე ვიყიდე თავი ღვინოები ათასის თუმნისა, და ორ კვირამ აღარ  
გაიარა, მე გავყიდე ისივე ღვინოები ქალაქელ სირაჯებზე ათასს ხუთასს თუმნათ.

ამ აღებ-მიცემობაში მე გავიცანი იქაურნი მებატონენი, რომელთაც კარგა  
მიმიღეს, თითქმის აღარ მაშიშორეს გვერდიდამ. ერთთან რომ ვყოფილიყავ  
სადილად, მეორე ვახშმით მიმიწვევდა... ერთი ხასიათი შევნიშნე იმაში და  
სრულიად კახეთში. კარგი: დიდი და პატარა მებატონენი შეკავშირებული არიან  
ერთ-სელობით, ერთ-გულობით, სიყვარულით, მეგობრობით, პურ-მარილო-  
ბით. ეს წარჩინებული ხასიათი ძნელად სადმე იპოება!

იყო ვინმე ქოსა დალაქი, ცალის თვალთ ბრმა, კოჭლი. გარდა ამ ნაკლუ-  
ლევანებისა, ვერას უპოვნიდით კარგსა სახეში იმას. მაგრამ აღწერილი ნაკლუ-  
ლევანება შემატებოდა იმისს ჰკუასა, ენასა, და ხელებსა. მართლდაც დალაქი  
იყო ჰკუიანი, მკვერმეტყველი, საკვირველი ოხუნჯი, მომღერალი და თარის  
დამკვრელი. ეს კაცი ყოველგან იყო მიღებული. ყველასი საყვარელი და ასეთი  
კადნიერი, რომ დაუბატონებელივამოიქიმებოდა ხოლმე თავადისშვილის სუფ-  
რაზე. მე ნამეტნავად გამიარბიყდა და თვალს არ მაშორებდა. შეუძლებელი  
იყო, თუ სადმე ვყოფილიყავ სადილად ანუ ვახშმად, ისიც იქ არ მოსულიყო.

ერთ საღიღზე ამ კაცმა თქვა:

-- „ერთ კაცს ჰანდრაკს ვეთამაშებიო; და ასე მყავსო ჯარი და ზარბაზნები დაწყობილიო, რომ გამარჯვება მე დამჩნებო“.

ეს იგავი ვერავენ განმარტა და ყველამ სთხოვა, თვითონ განმარტა. ამის პასუხად ასე უთხრა:

— როდესაც გავიმარჯვებო, მაშინ გამოიცნობთო ჩემ იგავსო...

მეორე დღეს ქოსა დალაქმა მიმოწვია სადილად. გულმოდგინებით ვიახელი, უფრო იმიტომ, რომ შემოიყვარდა ამ კაცთან დროების გატარება. სახლი იმისი გაიყოფებოდა ორ ოთახად: ერთ ოთახში მე მიიღო მასპინძელმა. აქ დამხვდა ვიღაც კაცი. დალაქმა ერთი კი სახელი და გვარი მითხრა ამ კაცისა და მაშინვე დაგვეტოვა მარტონი. მეორე ოთახის კარი ერთ მტკაველზე იყო გაღებული, ასე რომ შეიძლებოდა გაგვეშინჯა იქ მყოფნი. მე ვავიარ-გამოვიარე და უცებ შევასწარ თვალი (მეორე ოთახში) ერთ მშვენიერ ქალს (ოჰ, ნეტავი თვალი დამბრმავებოდა და ეს ქალი არ დამენახა!), დიდხანს შევცქეროდი მშვენიერ არსებას... გული გამეღო, შევეტრფოდი... რომ შემძლებოდა, შორიდან ჩაეყლაპავდი...

ახლად გაცნობილმა კაცმა (ეს კაცი ყურმახვილი იყო) გაიგონა ჩქარი და ძლიერი ჩემი გულის-ცემა, წყნარ-წყნარა მომიახლოვდა და მკითხა:

— ვის უყურებთ? — მე პასუხი არ მივეც.

— საკვირველია, რა ნახეთ ისეთი, რომ თვალი ვეღარ მოვიშორებიათ? — მკითხა კაცმა ცბიერის გაკვირვებით.

— ვინ არის აგერ ის ქალი? — ვკითხე მე იმასა.

— დალაქის ქალია.

— რას ამბობთ! განა იმ უჯმაჯურ კაცს აგეთი ქალი ჰყავს?

— რად გიკვირთ! ახლა გახდა აგეთი უჯმაჯური, თორემ სიყმაწვილეში რა უქირდა!

— რა კარგი რამ არის!...

— რავდენი თავადისშვილები სთხოვენ! — თვითან მე ვარ შუამავალი; მაგრამ მამა ვერ იმეტებს.

— ოჰ, რა კარგი რამ არის! განვიმეორე მე.

— ეს უნდა იცოდეთ, — მითხრა ახლად გაცნობილმა კაცმა: დალაქს ეგ ერთი ქალი ჰყავს — ვაჟიც ეგ არის ქალიცა — აქვს ოთხი კარგი ვენახი და ოთხას თუმნამდინ ფული. ვინც ქალს შაირთავს ზედ სიძელ შავა ამ გაკეთებულ სახლში.

ქალი, ვენახები, ფული კვლავში მომივიდნენ და მსურდა, რომ იმავე საათს ჯვარი დამეწერა. სურვილი ჩემი ჩემწინ გამოვთქვი და ძლიერ დაბალის ხმით, რომ ახლად გაცნობილ კაცსა არ გაეგონა. მაგრამ ჩემს მოუთმენლობას და სურვილს მიმიხვდა ის და საჩქაროდ გავიდა...

სუფრაზე მეტად გამხიარულდა მასპინძელი, თარს უკრავდა და დამღეროდა სამიჯნურო ლექსებსა. საკრავმა, ლექსებმა და ღვინომ ამიღელვეს გრძნობანი, გამიტაცეს ფიქრების სოფელში, სადაცა მე ვემუსიაფებოდი, შევეტრფოდი, ვეხვეოდი, ვკოცნიდი მშვენიერს ქოსა დალაქის ქალსა, მე ვგრძნობდი გამოუთქმელ ნეტარებასა, მე ვიყავ საშობენში!.. და როდესაც გამოვერკვიე ოცნებისაგან, უცებ დავღონდი და დავკარგე იმედი მშვენიერი ქალის შერთვისა. მე ვიფიქრე, რომ დალაქი არ მამცემდა თავისს ქალსა, რადგანაც ჰყოლოდენ უფრო უკეთესნი მთხოვენლნი.

მაშინ მოვიფიქრე მე უკანასკნელი ღონისძიება. ავიღე ქათმის მკერდი,

ჩამოვაცალე ზორცი, და ორ კაპა ძვალი (საწინწკარა) დავასახვე დალაქსა:

— ვითამაშოთ, — უთხარ მე.

— რაზე?

— ას თუმანზე. — ჩემი სიმდიდრე მინდოდა მეჩვენებინა, რომ ეგების მისის გრძნეულის ძალით დამეტყუენა ქალი.

— ათასს თუმანზე, — მითხრა დალაქმა გულადათ.

— ხუთიათასს თუმანზე, — მიუგე მე.

— არა, ათას თუმანზე და ჩემი სოფიოც ზედა, რადგანაც ყოველი ჩემი ქონება იმისია.

— ბატონი ხარ!

ვითამაშეთ... მოვიგე სანაძლეო!

— ჩემი სიტყვა სიტყვაა, — მითხრა ქოსამ, — შენი ბედი ყოფილა ჩემი ქალიცა და ჩემი ქონებაც. არ დაიჭერებ, ჩემო საყვარელო ძმავ, შეილო და სიძევე. ოთხი კარგი თავადიშვილი მთხოვდა და... რაღა გავაგრძელო, შენი ბედი ყოფილა!...

— დღესვე მინდა ჯვარი დაეწერო! — (ეეშურებოდი, რომ დალაქი არ გამოფხიზლებულიყო ღვინისაგან და სხვისთვის არ მიეცა ქალი).

— ეს სრული შენი ნებაა.

— მაშ, უნდა მღვდელს შევატყობინოთ.

— ბატონი ბრძანდებით. ადუგ, ძმავო. — უთხრა ქოსამ მეორე სტუმარსა, — მოამზადე ყოველივე...

მოვირთე, თავ-პირი მოვილამაზე და წავედი ეკლესიაში... ჯვარისწერის დროს არც აქეთ, არც იქით არ მიმიხედნია, პირდაპირ ვუყურებდი საკურთხეველსა. ჩემ ფიქრში გვერდით მდგა მშვენიერი ქალი, მიხაროდა. დავნატროდი ჩემს თავს, ბედნიერი მეგონა ჩემი თავი.

გათვდა ჯვარის წერა. ტერტერამ მიბრძანა, პატარძალს აკოცეო, რასაკვირველია, მიამა, მაგრამ სანამ მივიხედავდი, პატარძალი გამექცა.

პირველ ღამეს თვალით არ დამანახვეს პატარძალი... დავაწვინეს უსინათლოდ... მოუთმენლად ველოდი გათენებას, რომ გავმძლარიყავ ჩემის ცოლის მშვენიერებით. ბოლოს გათენდა... ოჰ, ნეტავი არ გათენებულყო! დაზედუ ჩემს სატრფო მეუღლეს!... „ვაიმე!“ ერთი კი შევეყვირე და გულშემოყრილი დავეცი ბალიშზე... მშვენიერი ქალის მაგიერ მკლავზე მიგორავდა ქოსა დალაქის თავპირი. დიად, ქოსა დალაქის ქალი ისე ჰგავდა მამასა, რო თვითონ დალაქი მეგონა. ღმერთმა კიდევ მით შემიბრალა, რომ მეუღლე ჩემი არ იყო მამასავით კოჰლი და ბრმა...

ქოსას ჰანდრაცის თამაშობა და გამარჯვება ამას მოასწავებდა. რაღა მეთქმის, დალაქმა მაჯობა. კარგა დაეწყო იმას ჯარები და ზარბაზნები, კარგა ესწავლა ტაქტიკა და სტრატეგია, მხედართმთავრობა შეეძლო.

მშვენიერი იგი ქალი იყო ასული... რომელიც განგებ დაეპატიჟათ სადილათ და დაესოთ კარების პირდაპირ, რომელმაც განძრახვა დალაქისა არ იცოდა. მეორე სტუმარი კაცი, ქოსა სულითა, იყო მასპინძელის ცოლის ძმა. ქალის მშვენიერებამ და ამ კაცის სიცრუემ დამიბნელეს გონება.

არა თუ ოთხი ვენახი, ოთხასი თუმანი ფული, ოთხი ვაზიკვი და ოთხი მანათი დალაქს არსად ეპოებოდა.

კარგა მოვსტყუელი, მწვენიერ ქალის მაგიერ შევირთე ვაჟი, ყოველის-  
ფრევ უმზგავსი ქალი, ანუ სწორეთ, გოგო.

რასაც დათესავ, იმას მომეცი. მე რომ სარქისბეგაშვილი მახეში არ გამება,  
მეც არ მოვტყუვდებოდი.

### VIII

დღხან ველარ დავრჩი უსიამოვნო ცოლთან. მაგრამ რას ვამბობ? უსია-  
მოვნო ცოლს რათ ვაბრალებ! ბრწყინვალე ცოლიც რომ მყოლოდა, მაინც კი-  
დევე ვერ მოვითმენდი, რომ ახალი ოქროს მადანი არ მამეძებნა სხვა ადგილ-  
საცა. დიახ, სწორეთ ამ აზრით მე გადავეღბორჩალოს. აქაც ბედი მემსახუ-  
რებოდა და ათას ხუთასი თუმანი ერთი-ორად გადავაქციე... მე ვყიდულობდი  
და ვყილდი ცხვარსა, საქონელსა და სხვ.

1833 წ. იანვარში ჩამოველ ქალაქს და დავიწყე ჩემი ჩვეულებრივი აღებ-  
მიცემობა — ჩარჩობა.

იმ დროს გადმოვიდა რუსეთიდან ჩვენი სარქისბეგაშვილიც, როგორც  
იტყვიან, ცარიელ-ტარიელი. აქ გიამბობთ, რაც გარდახდა ამ გამოჩინებულ  
მდიდარსა.

ჩემმა წიგნმა, რომელიც მივწერე მოსკოვის ვაჭრებსა — სარქისბეგაშვი-  
ლის მოვალეებსა — იმოქმედა თურმე ისე, როგორათაც მე მსურდა. ვაჭრები  
მიელოდნენ მხოლოდ სარქისბეგაშვილსა და იმის აბრეშუმებს და რა წამს მი-  
ვოდა, იმათ წარადგინეს ვექსილები ჯეკოვანს სასამართლოში. რადგანაც ამ  
ვექსილების ვადა იყო გასული; ამასთან პირობა შეაკრეს, რომ ფუთი აბრე-  
შუმი ოთხ თუმანზედ მეტად არავის ეყიდა.

სარქისბეგაშვილმა პირველად, მისვლის შემდეგ, გამართა წვეულება, რო-  
მელიც ძვირად დაუჯდა. მოსკოვის ვაჭრები მიხვდნენ იმის განზრახვასა და არ  
ეწვივნენ.

მერე ათასი თუმანი გაანაწილა და დაურიგა მოვალეებს.

წარადგინა მოწმობა ტფილისის პოლიციისა. აუწერა თავისი ზარალი, რო-  
მელიც შეემთხვა ვითომც გატარების გამო მალაზიისა და სოსოვა მიტევება  
რამოდენიმე ვალისა. მაგრამ არავინ შეიბრალა...

სასამართლომ დაიბარა, მოსთხოვა ხუთიათასი თუმანი ვალი. სარქისბე-  
გაშვილმა სთხოვა ერთი თვის ვადა... მისცეს ვადა, მაგრამ ვალი ვერ გადაწყ-  
ვიტა: აბრეშუმი არ გაეყიდა. სწორედ ის გაქირეება დაადგა იმას მოსკოვში,  
როგორც თვითონ დააყენა იმან ტფილისში ქვემო ქვეყნის ვაჭრებსა. მხოლოდ  
იმათ შორის ის გარჩევა იყო, რომ უკანასკნელებს ტფილისში გამოუჩნდათ  
მშველელი, სარქისბეგაშვილს კი მხსნელი არ გამოუჩნდა მოსკოვში (მგონია,  
ცუდ კაცსა, როდესაც იმის საწყაო აივსება, ანგელოზი მფარველი ჩამოეცლე-  
ბა და მაშინ ხსნა აღარ აქვს გაქირეებისაგან!).

სარქისბეგაშვილს, როგორადაც ჰქირს, ყველა ერიდებოდა, ფული არავინ  
ასესხა, არცავინ თავდებად დაუდგა. უკანასკნელ, მიცემული ვადა გავიდა...  
აუწერეს აბრეშუმი, დაბეჭდეს... სარქისბეგაშვილმა უჩვენა თავისი მალაზია,  
სახლები და ღუქნები ტფილისში ვალის უზრუნველსაყოფად. არ მიიღეს...  
გაუყილეს აბრეშუმი და ძლიერ ააყენეს სამიათას ასი თუმანი... სასამართლომ  
დაიკირა სარქისბეგაშვილი საპყრობილეში და მოსწერა ტფილისის მთავრობას.  
აეწერა და გაეყიდა, რაც რამ მოძრავი და უძრავი ჰქონდა ათას ცხრაას თუმ-  
ნის გადასახდელად.

ავსობაში სარქისბეგაშვილის პრიკაშიკმა შეიტყო იმისი ცუდი მდგომარეობა. უმეტესი ნაწილი სავაჭრო გაყიდა იაფად და ფული ჩაჯიბა:

მოვიდა მოსკოვიდამ ქალაქი. პოლიცია ამ შემთხვევაში ფრიად მარადამოქცა. იმავე წამს დაბეჭდა მალაზია სარქისბეგაშვილისა და სახლი, რომელშიც იღვა იმისი ცოლ-შვილი. ასწერა თითოეული ყოველი ნივთი. მაგრამ ამ აღწერაში დაიკარგა პრავალი ვერცხლელი, ოქროული, თვალ-მარგალიტი, რომელნიც ამ მიზეზის გამო აღარ იყვნენ მოხსენებულნი სიაში. სარქისბეგაშვილის ცოლ-შვილი შემწყვედელნი ერთ ოთახში, უნუგეშოდ სტიროდნენ და არა ფიქრობდნენ თავიანთი სამკაული დაეცვათ გაძარცვისაგან.

იმათ საუნჯეს სწორედ ისე დაემართა, როგორაც ნათქვამია: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო!“

მაშინ ქალაქის მოქალაქეებმაც წარადგინეს ვექსილები ათასის თუმნისა და ითხოვეს დაკმაყოფილება.

დანიშნულ დღეს ბარაბანი დაჰკრეს. ქალაქელებმა ეს პირობა შეჰკრეს: ერთი მეორეს არ უნდა შესცილებოდა ვაჭრობაში. გაიყიდა მალაზია სარქისბეგაშვილისა, — მანათიანი ნივთი აბაზად. ფული ადგა სამას ოთხმოცი თუმანი. სახლის ავეჯი გაჰყიდეს ოც თუმნად. მერე გაყიდეს სახლები და დუქნები შესამედ ფასად, ერთი სახლი გაიყიდა ხუთასს თუმნად, მეორე — ცხრაას თუმნად, დუქნები ათას ას თუმნად. სარქისბეგაშვილის ვალი, თუმცა სრულიად გაღიხადა, მაგრამ იმის ცოლ-შვილს აღარა დაშთარა, გარდა ტანისამოსისა და მამა-პაპის სახლისა (ციხისუბანში).

სანამ სარქისბეგაშვილი გადმოვიდოდა რუსეთიდან. იმისი ცოლ-შვილი ჰყიდა ტანისამოსსა და პურს ყიდულობდა. უკანასკნელ ეს საშუალებაც მოაკლდა. მცნობთა და ნათესავთა ზედ არ მიხედეს, რადგანაც გულდამწვარი იყვნენ ისინი სარქისბეგაშვილისაგან. მრავალს უხაროდა ამ მდიდარი კაცის დაცემა და მიწასთან გასწორება, ამიტომ რომ იმისაგან მრავალი კაცი იყო გაფუჭებული და დაღუპული და არავის მისი სიკეთე არ მოაგონდებოდა.

ჩვენი გასპარ მიკირტიჩი (ვილაცას წამოეყვანა მოსკოვიდამ სამადლოდ), კარგა რომ მოღამდა, მაშინ შემოვიდა ქალაქში. ამ უბედურმა დაინახა რა მშობელი ქალაქი, წარჰოიდგინა წარსული თავის დიდება, სიმდიდრე, სიღალე და აწინდელი არაბობა, სიღარიბე და დამდაბლება, ამოიკვნესა საშინლად და გადმოყარა მსხვილი ცრემლები. ცეცხლი უფრო მოეკიდა, როდესაც ნახა თავისი ცოლ-შვილი უსინათლოში, უცეცხლოში, სიმშლით გადახრწნეული.

— ვაიმე, შვილებო, რა დღეში გხედავთ თქვენ!

ცოლი და შვილები მისცივიდნენ, მოეხვიენენ და ერთ საათს აღარ ჩამოეხსნენ.

— სანთელი ამინთეთ, დამენახვენით, გამაძლეთ თქვენის ყურებით, გამიგრილეთ დამწვარი გული! რალას იგვიანებთ! სანთელი, ჩქარა სანთელი აანთეთ!

— არ გახლავს, მამაჯან, სანთელი, — მოახსენა ერთმა.

— რას ამბობ! იმ დიდი საცხოვრებლიდან ერთი აბაზიცი აღარ დაგვრჩათ?

— არა.

— მაშ როგორა ხართ?

— გუშინ და დღეს არა გვიჰამია-რა.

— ვაიმე, ვაიმე, ცოლ-შვილო დაღუპულო! — შემოიკრა თავ-პირში სარქისბეგაშვილმა, პირქვე დაეცა საცოდავი დედამიწაზედ, გმინავდა, სტიროდა და არ ისმენდა ცოლ-შვილის ნუგეშისცემას.



შეუძლებელია აიწეროს ამ კაცის მწუხარება და ტანჯვა: მთელი ღამე კენესით, ოხერით გაათენა. ათი წლის სიცოცხლე მოაყლდა იმ ერთ ღამეს. ხშირად ეტყოდა იმ ღამეს ცოლ-შვილს:

— ამ სიბნელეში, ამ ჭოჯოხეთში, ამ გაყინულ ბნელ სახლში როგორ ყოფილხართ, როგორ გაგიძლიათ. თქვენი თვალები რას უყურებდნენ, რასა ხედავდნენ! უიმე! რა დღეში ხართ, ჩემო ვკრიტებო!

მაგრამ მწუხარებას ველარ გაუძლო, ლოგინდ ჩავარდა და, თუ მე არ მივშველებოდი, ორ დღესაც ველარ იცოცხლებდა.

მთელი ღამე იმათ კარებს არ მოვშორებოვარ, ყურს ვუვლებდი, ცალკე სიცივემ, ცალკე იმათმა საცოდაობამ დამწო. მეც იმათთან თანასწორად ვიტანჯებოდი, მაგრამ ჩემი ტანჯვა გარდაემეტებოდა იმათ მწუხარებასა. სვინდისმა მამხილა ჩემი შეცდომა, ჩემი უგუნურება, რომ მე შური ვუგე ბოროტ კაცსა. შურისგება მე არ მეკუთვნოდა და ამიტომაც შევიჩნავე, ცრემლით გავზანე ჩემი შეცოდება და აღთქმა დავდე, რომ ისევ მე უნდა დამეხსნა სიკვდილისაგან რამდენიმე სული.

ჯერ არ გათენებულყო. მე ვიყიდე ბაზარში პური და მოხარშული საქმელი, რაც ერთ დღეს ეყოფოდათ. კარები წყნარად შევალე (ახლად ჩაძინებული იყვნენ და ვერ გაიგეს). საზრდო ტახტზე დავეტოვე და საჩქაროდ გამოვბრუნდი. ერთ კვირას ხელი ასე შეუუწყე, მაგრამ არცა შეშა ანუ ნახშირი, არცა სანთელი არ მივაწოდე განგებ, რომ გასპარას უფრო ცხოვლად ეგრძნო, თუ რა ძნელია უტეცხლო და ბნელ სახლში ყოფნა.

გათენდა. გასპარამ თვალები გაახილა, მიიხედ-მოიხედა და ნახა, რომ იმის ცოლ-შვილსა ლოყები დასწოლათ ცრემლისგან, ტანისამოსი ეცოთ უბრალო და ჩირქიანი და სახლში სიუღიად არა ებადათ-რა; წაიშინა თავპირში და ერთი ასე ამოიოხრა, რომ იმავე წამს მომაკვდავის ფერი დაედო სახეზედ...

ამასობაში დღე სცვლიდა ღამესა, ღამე დღესა.

ღროს განმავლობაში შეეჩვია სარქისბეგაშვილი მოუნელებელ ჭოჯოხეთსა, და რამდენიც დამშვიდდა, სინანულში მოვიდა. მაშინ განელვიძნენ იმას კაცობრივი გრძობანი, გული დაურბილდა, გონება გაუნათლდა, სასოება და იმედი დაებადნენ; მოთმინებით და სარწმუნოებით დაემორჩილა. იგი ღვთის განგებასა. ერთ საღამოს ასე უთხრა ცოლ-შვილსა:

— ჩვენ კიდევ რა გვიჭირს! ხუთნი მაინცა ვართ, ერთმანეთს ხმას მაინცა ვცემთ, ჩვენზე კიდევ საცოდავნი ყოფილან და არიან. აი, მაგალითად: ჩვენს მეზობლად იყო ქვრივი ერთის მეჯღანისა, თექვსმეტის წლის გოგო, ძუძუთა ბიჭით, მარტოთ-მარტო, ბნელსა და გაყინულ სოროში, უსაზრდოო და უნუგეშო. ოპ-მე! მე რომ ის საცოდავი შემეწყენარებინა, იქნება ჩვენ ეს დღე არ გვენახა!..

საკვირველი ეს იყო, რომ ერთი არავინ მივიდა იმ კაცთან, სანახავად და ნუგეშის საცემლად, არც მეგობარი, არც ამხანაგები, არცა თვისი და ტომი...

ამ კაცს ჰყავდა სამი მოსწრებული ქალი, დაცულნი და დაკრძალულნი. ამათი დედა იყო დიად კარგი დედაკაცი, კარგი ოჯახის ქალი. ეს უბრალო სულნი ღირსნი იყვნენ, რომ მწუხარება გაჰქარებოდათ, ღირსნი იყვნენ ბედნიერებისა. და, მართლაც საცოდაობა იქნებოდა, რომ ეს ქორთა ყვაილინი უღროოდ დამჰკნარიყვნენ!

მერვე ღამეს, — იყო ცხრა საათი, — გავიხადე ჩემი ბრანძვი ტანისამოსი და მოვირთე ძვირფასი ტანისამოსით. საათით, ფერჩატკებით და სხვ. და წავედი სარქისბეგაშვილის მოძღვრისას და დაეარაყუნე კარები.

— ვინა ხარ? — მკითხეს შიგნიდან.

— ზოძლვარი შინ ბრძანდება?

— შინ გახლავარ. თქვენ ვინა ბრძანდებით? რა გნებავთ? — მკითხა ტერტერამ და ვამოალო კარები.

— მამაო! უკაცრავად, რომ უღროს დროს შეგაწუხეთ, თქვენთან ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი.

— მობრძანდით, შვილო!..

— თქვენ, ვიცო, მოგესხენებათ გასპარ სარქისბეგაშვილი.

— დიად, დიად, შვილო!

— მე ვვინებ, თქვენც გაიგონებდით ამ საცოდავი კაცის უბედურებას.

— რასაკვირველია. ოჰ, რა სახით მებრალეობა, საწყალი! მაგრამ, ღმერთო მომიტევე, ღირსი იყო...

— კარგი ცოლ-შვილი ჰყავს, მამაო, ამიტომ ღირსია შებრალეობისა.

— ცოლ-შვილი კი კარგი ჰყავს, დიად.

— მაშ, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ, რომ ბოლოს სანანად არ გაგვიხდეს, არცა მე და არცა თქვენ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — მკითხა ტერტერამ.

— მე მსურს, არავინ იცოდეს, ვინცა ვარ მე; არ მინდა გამოვჩნდე.

— მე როგორა ვარ მოვალე სარქისბეგაშვილისა?

— მამა ბრძანდებით.

— დიად, მართალს ბრძანებთ; მაგრამ მე რა შემიძლიან! მე ერთი საწყალი მღვდელი ვარ და დიდი ოჯახი კისერზე მაწევს!

— მე შემიძლიან! თქვენ გთხოვთ მხოლოდ შემწეობას.

— მე მზად ვახლავარ, დავეხმარო კეთილ საქმესა, რამდენიც შემიძლიან. გამომიცხადეთ თქვენი აზრი.

— სარქისბეგაშვილსა ჰყავს სამი საუცხოვო ქალი. მე მსურს გავათხოვო ისინი. მზითევს მე მივსცემ.

— ვის გნებავს მისცეთ?

— მე მყავს არჩეული სამი ახალგაზრდა ბაზაზი: მ... ზ... ი... პირველს მსურს მივსცე გასპარას უფროსი ქალი, მეორეს — შუათანა, მესამეს — უმცროსი.

— მზითვად რას აძლევთ?

— ორას-ორას თუმანსა ფულათ და ოც-ოც თუმანსა ფულათვე ტანისამოსის მაგიერ. თუ ინებებთ და ამ საქმეს მოახდენთ, აი ეს ათი თუმანი თქვენი გასამრჯელო.

— ღმერთმა გაკურთხოს, შვილო! ბარაქა მოგცეს! თუ ცოლ-შვილი გყავს, გიცოცხლოს და გაგიბედნიეროს! ამინ!

ფული გამომართო ტერტერამ და საჩქაროთ უბეში შეინახა.

— პასუხს როდის შევიტყობ?

— მე ხვალვე დავიწყებ საქმეს და იმედი მაქვს ორ დღეზე გავათავო.

— მაშ ხვალ-ზევით გაიხლებით ამ დროს. მშვიდობით.

— ღმერთმა გადღეგრძელოს!

მეორე დღეს ტერტერამ გულმოდგინეთ დაიწყო საქმე: სამივე ჩემგან არჩეული საცოლო ვაჟი და იმათი მშობლები ნახა და გადასწყვიტა, როგორ-

თაც მე მსურდა. მერმე მივიდა სარქისბეგაშვილთან და სთხოვა ნების დართვა. ამ უბედურ კაცს არ სჯეროდა და როდესაც მოძღვარმა დააჭერა, გასპარა წამოჯდა (სიხარულისაგან ღონე მიეცა) და ჰკითხა:

— ვინ არის მიზეზი ჩემი ბედნიერებისა და სიცოცხლისა?

მოძღვარმა არ გამოუცხადა და დაარიგა, რომ ლეთისათვის მადლობა შეეწირა...

მე ეს ყოველივე ვიცოდი და დანიშნულ დროს მივედი შუამავალთან. ამან მომილოცა და კეთილის საქმისათვის დამლოცა. მაშინ გადავეთვალე ექვსას სამოცი თუმანი, სამი ქალის მზითევი და გამოვეთხოვე.

ამის შემდგომ შევეუბავნე სარქისბეგაშვილს სამი ხელი საქორწილო ტანისამოსი და მივსწერე შემდეგი წიგნი:

„ძმავო გასპარ მიკირტიჩ!

სამ ხელს საგვირგვინო ტანისამოსს გიგზავნი შენი ქალებისათვის. უმორჩილესად გთხოვ, დააშურო მაგათი ქორწილი. ამასთანა ამასაც გთხოვ. ნუ მოსძებნი შენს კეთილისმყოფელსა, რომელსაც არც იცნობ და ვერცა იპოვი, 25 იანუარს, 1833 წ.“

ერთი კვირის შემდეგ ჯერ უფროსს ქალს დასწერეს ჯვარი, მეორე დღეს შუათანასა, მესამე დღეს უმცროსსა, სამსავე ჯვრის წერას დავესწარ მე, მაგრამ ყველაზე უკანასკნელი მე ვჩახდი, იმიტომ რომ მეცვა ჩემი მიგლეჯილ-მოგლეჯილი ტანისამოსი და ზედაც არავინ შემომხედა.

## IX

ჩვიდმეტ წელიწადს კიდევ ჩემი აღებ-მიცემობა და ცხოვრება სწორედ ისე წავიყვანე, როგორაც აქამომდე მიმყავდა. სარბიელად ჩემის მოქმედებისა იყო: ზაფხულში — ქართლი, შემოდგომას — კახეთი, ზამთარში — ბორჩალო და განჯა, გაზაფხულზე — ქალაქი ტფილისი. ბედი მქონდა ყველგან და არსად არადროს ზარალი არ მინახავს. მაგრამ უკანასკნელს წელიწადში ქართლმა მიღალატა: ყველამ, ვისაც კი ჩემი ფული ემართა, ჰკუთნისწავლა, სარგებელი აღარ მომცა და თავნი დამიბრუნა.

თავადი ლუარსაბ რაინდიძე. მანამ ცოცხალი იყო — 1846 წლამდის — ყოველს წელიწადს ვექსილს მიცვლიდა. იმის შემდგომლა ჩემის ვექსილის გამოცვლა შედგა იმ მიზეზით, რომ ალექსანდრე სიცოცხლის დროსვე ლუარსაბმა გაისტუმრა პეტერბურგს სასწავლებელში და სხვა იმისი შვილები მცირეწლოვანობის გამო ოპეკუნის მფარველობის ქვეშ იყვნენ.

ჩემს ცხოვრებას მოემატა ხარჯი წელიწადში ვიდრე ათ თუმანამდინ, რადგანაც ჩემი ცოლი და შვილები — ერთი ვაჟი და ერთი ქალი — გადმოვასახლე ქალაქში.

მაგრამ ჩვიდმეტ წელიწადს უკან ჩემი ცხოვრება უცებ შეიცვალა. ჩემში ველარ იპოვით კინტუა სოლომონასა. მიზეზი იყო თავადი ალექსანდრე რაინდიძე. ამ ყმაწვილკაცს გაგაცნობთ შემდგომში...

ერთ მშვენიერ მაისის დილას, ჯერ მზე არ ამოსულიყო, მივრბოდი მე თათრის მოედანზე სარჩოს მოსაპოვებლად, თვითქოს ჩემ ცოლ-შვილსა სარჩო გასწყვეტოდათ და მე სიღარიბისაგან ვიყავ დევნილი, თითქოს. თუ არ გავქცეულყავ. დავკარგავდი ასეთს შემთხვევას, რომლისაგან ფრიად გავმდიდრდებოდი. მოედანზე დამხედა სხვა და სხვა თემის ხალხი: რუსი, ქართველი, სომეხი. თათარი, ნემენცი, ლეკი, თუში, ოსი, ქრანცულზი და სხ., რომელნიცა ირეოდნენ. ყაყანებდნენ და ვაჭრობდნენ ზოგი პურსა, ზოგი ყველსა, მაწონსა ანუ ერბოსა და სხ. მე ძლიერ მეწყინა რომ ამოდენა ხალხმა მიმასწრო მოედანზე. ვიფიქრე, რომ ბედნიერების შემთხვევას უთუოთ ავციდი მეთქი. მაინც კიდევ იმედი არ დავკარგე, ხუთ წამს შამოვირბინე ყოველი კუთხე და ადგილი მოედინსა, მაგრამ არა დამხედარა ჩემი საკბილო სავაჭრო. კარგა ხანს ვაყვედრე ჩემს თავს დავვიანებისათვის. უცებ თვალი შევასწარ ერთ სოფელულ გლეხ კაცსა, რომელსაცა მოჰქონდა ვალიით ვარიები გასასყიდათ.

— ეი. ვარია. ვარია, აქ მო! — შეგვახე გლეხ-კაცსა, რომელიცა სწრაფად წინ დამიღვა და მე ვკითხე.

— აბა, ჩემო საყვარელო! რავედნი ვარია არის და როგორ ჰყიდი?

— თვრამეტი ვარია განლავს, ორი მანეთი მიბოძეთ.

— ეჰ, ჩემო საყვარელო! ასეთი ფასი თქვი, რომ ჰკუთუნედაც ახლოს იყოს. სწორეთ ვითხრა, ორ მანეთად არა ღირს და არც არავინ მოგცემს მაგდენ ფულსა; ხომ კარგა იცი, ფული ქვიშასავით წყალში არა ჰყრია, ანუ პანტასავით ტყეში არ მოდის.

— ეგ კარგა ვიცი და თქვენც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ვარიებიც ტყეში არ იზრდებიან, რომ ამათაც მოვლა და გაზრდა უნდათ, რომ შორს სოფლიდამ მოვდივარ.

— მაშ სწორე ფასი რა არის?

— ცხრა აბაზი;

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა დრო შეგვექნა, ხუთგროშიან ვარიასაც კი ფასი დაედო! ვინ გაუძლებს ამისთანა საშინელ სიძვირესა! აბა, ღმერთი რად მოგცემს კარგსა!

— მე იმ დროს მოვესწარ, როდესაც ქალამანს ვყიდულობდი ხოლმე შაურად და ორ შაურადა; ახლა კი ათ შაურადაც ვეღარ გვიშოვია. თუ თქვენ ქალამნებსა ფასი მოემატა, მითამ ჩემს ვარიებს ფასი რატომ არ უნდა მოემატოს?!

— გხედავ, ძმაო, ჰკვიანი კაცი ხარ, მაგრამ ძვირად კი აფასებ ვარიებსა. ოთხი აბაზი მოგცე?

— ვერ მოგცემ!

— ოთხ აბაზ-უზალთუნი? — და ამასთან ეს რომ ვუთხარი თეთრი ფული ამოვიღე და დავანახე ვარიების პატრონსა, განგებ, რომ დამებრძავებინა ფულის სილამაზითა.

— მაგისთანა ფულები ბევრი მინახავს. მე არ მიკვირს.

— აჰა, მანეთი!

— არ შეიძლება.

— მაშ რას ითხოვ?

— უკანასკნელი ფასი ცხრა აბაზია.

— მოიცა, სად მიხვალ! აბა, მიჩვენე შენი ვარიები!

— აი ვარიები, გასინჯეთ; თვითო ამისთანა ვარია აქ, ამ მოედანზე, სამ შაურად იყიდება. მე კი გთხოვ ორ შაურს! ხუთ აბაზს რომ იძლევი, ღმერთო არ არის თქვენში!

— უჰ, რა გამსჯერები არიან. თითქო არა გიჭმევი.—რა.

— მართალია. გნახე არა მიჭმევი.—რა.

— მაშ, რაღას ღიღის იძახი. შე დალოცვილო! განა გამხდარსა და მსუქან საქანელს ერთი ფასი სძევს?

— აქ ნებაყოფლობით უნდა იყოს ვაჭრობა; თუ ეს მოგწონს სავაჭრო, თქვენ თქვენთვის, მე — ჩემთვის.

— აჰა, ხუთ-აბაზ-უხალთუნი.

— არ იქნება.

— დაიპი, დაიპი ექვსი აბაზი; ამასაც შენი ხატრისათვის გაძლევ თორემ...

— რას მამბრეყვებ, გამიშვით!

— სად მიხვალ?

— წავალ, ქალაქი დიდია.

— მოიცა, მოიცადე, ერთ სიტყვას გეტყვი.

— აჰა ზოვიცდი. მითხარი ერთი სიტყვა.

— აი, ძმაო, რას გეტყვი: აქედამ სიონამდინ რომ წახვიდე, ჯერ ერთი რამდენ დროს დაჰკარგავ, მეორე, ქალამანი გაგიცვდება. მესამე, ვარიები შემშლისაგან უფრო შემსუბუქდებიან, იქნება კიდევ დაიხოცნენ და მაშინ, რასაკვირველია, არავინ მოგცემს ექვს აბაზსაცა. ჰქუას ნუ დაჰკარგავ.

— ახა, ღმერთო ჩემო? ეს რა ჭირში ჩავარდი! სად გაგონილა, რომ კაცს თავისს საქონელზე უფლება არა ჰქონდეს, მანამ არ გაჰყიდოს. აღარა ვყიდი თავი დამანებდე.

— ხომ არ გაგიყებულხარ. ოხერო! ვინ გექილება! ჯანაბამდას გზა გქონდეს. მაგრამ ამასაც კი გეტყვი, ჰქუას წააგებ, ქართველი სხვა ვინ ყოფილა ჰკვიანი რომ შენ იყო?

— გარწმუნებ, აქამომდე მქონდა ჰქუა, და მას აქეთ რაც შენ შეგხვდი, ჰქუა დაეკარგე, ასე გაშინჯე, აღარ ეციე ექვსი აბაზი რავდენი ფულია. გამარჯვებით.

ეს რო სთქვა გლენხმა კაცმა წამოიკიდა გალია და დააპირა წასვლა. მაშინ ერთს ჩემ ამქართაგანსა (ჩარჩები გარშემომეხვივნენ და არავინ შამეცილა; ასეთია იმათში დებულება) თვალთ ვანიშნე, რომ შუა შემოსულყო და მოვერიგებინე გლენხკაცთან.

შუა კაცათ არჩეულმა ჩარჩმა მაშინვე დააბრუნა და უთხრა:

— სირცხვილი არ არის. ორნი დარბაისელნი კაცნი ვერ მორიგებულხართ! აქმო, მე მოგარიგებთ. მამეც აქ ფული (მითხრა მე); რას აძლევ?

— ექვსს აბაზს ვაძლევ; აჰა ფული.

„ორშაურიც ამოიღე. მითხრა შუა კაცმა.

— არა; ორშაურს არ მიცემ; შენით კარგის ხატრისთვის აჰა ერთი შაური.

— არ მიცემ; ძვირია, ვიზარალებ.

— მაიტა, მაიტა ორი შაურიცა.

— აჰა, ეს ორი შაურიცა; ახლა, მოგრიჩი!

— ორი შაურის საქმე არ არის აქა. თავი დამანებეთ, გვითხრა გლენხმა კაცმა და გაიწია წასასვლელად.

— ერთი წემატუობინე, შენი სიტყვა რა არის? — ჰკითხა შუაკაცმა გლეხ-  
კაცსა.

— ცხრა აბაზი.

— ჩამოილე, ჩამოილე გალია; შეიდი აბაზი იყოს; ხმა აღარ ამოილო! —  
კარგ ფასს გაძლევს. — უთხრა შუაკაცმა.

— ძვირია, ძვირია, ვერ მივცემ შეიდ აბაზსა.

— რა ვეყოთ! ხან ძვირად ვიყიდოთ, ხან იაფად!

— მიეცი, მიეცი შეიდ აბაზად: ძალიან კარგი ფასია, მეტად არა ღირს, —  
წეპყვირეს ერთი ხმით ჩარჩებმა. რომელნიც დაესწრნენ ამ ამბავსა.

შუაკაცმა შეიდი აბაზი თითქმის ძალათ მისცა გლეხკაცსა და დაუმატა:

— გალასაც დაგიბრუნებს, გეყოფა, შეილო. ისე ღმერთმა მე მიშვე-  
ლოს. როგორც კარგ ფულს გაძლევენ.

ეს რომ სთქვა. შუაკაცმა ამოასხა ვარიები, მომიტვალა, გალია პატრონს  
ჩააბარა, მიაბრუნა ხიდისაკენ და გააცილა ჩამოღენიძე მანძილი, თან ეფიცი-  
ბოდა, რომ იმან მომატყუა მე.

საწყალი გლეხ-კაცი დაღონებული და თავდაკიდებული წავიდა.

მე-კი მიხაროდა, რომ იაფად ვიყიდე ვარიები. არ გავიდა ნახევარი სა-  
თი, იქვე გავყიდე წყვილი ვარია ხუთ-ხუთ შაურად და მოვიგე ოსხი აბაზი  
და ერთი შაური.

ჩარჩებმა მკითხეს რამდენი მოვიგე და, როდესაც ვუთხარი, ერთმა ამთ-  
განმა, ყმაწვილმა ბიჭმა, უცებ ისე მაგრა ჩამარტყა ხელი თავში, რომ ცრემ-  
ლები წამომცვივდა, ამ დარტყმასთან შეპყვირა:

— ამ შეჩვენებულსა, ყოველთვის ბრმა ბედი როგორა სდევს?

იმავე წამს, ჭერ ცრემლები არ მომეწმინდა, უცებ წინ დამიდგა სოსია  
გამწკეპავიძე, ჩემთან სიყმაწვილითვე ერთად შეზრდილი და აღმზრდელი თა-  
ვად ალექსანდრე რაინდიძისა, რომელმაც წამტაცა ხელი და მომიკითხა ასე:

— ოჰ, საყვარელო ჩემო სოლომან! ვმადლობ ღმერთსა მშვიდობილ-  
ხარ... აგერ ნახევარი საათია გიყურებ, გშინჯავ და ძლივს გიციანი, უთუოდ  
გამდიდრდება.

ჩარჩისაგან თავში ჩარტყმა ისე არ მეტყინა და მეწყინა, როგორათაც ამ  
კაცისა გამწკეპავიძის დანახვა ეწყინა და ეტყინა ჩემს გულსა. მრავალჯერ  
ჩაურტყამთ ჩემთვის თავში. მაგრამ წასულა, გაუვლია, ფიქრში და გულში  
სრულიად არ მამსვლია. ახლა-კი, რადგანაც გამწკეპავიძესთან ჩამარტყეს  
თავში, დამებდა სრული ჩემი თავის მოყვარება და მეწყინა, ისე მეწყინა, რომ  
დედამიწა რომ გახეტქილიყო და თან ჩავეტანე ის მერჩივნოდა, ისე მეწყინა,  
რომ აღარ მეყურებოდა რა ვიყავ, სად ვიყავ და რა უნდა მექნა. ნამდვილად არ  
ვიცი, რათ მეთაკილებოდა, რომ გამწკეპავიძეს შეატყო რაიმე ნაკლულევანება  
ჩემი. ჩემის აზრით ამისი მიზეზი უნდა იყოს ისი, რომ რაინდიძის სახლში მე  
აღვიზარდე როგორც თვით ალექსანდრე რაინდიძე, გამწკეპავიძე-კი — როგო-  
რათაც ყმა და მონა. მე მეწყინა და მეთაკილა, რომ გამწკეპავიძემ მნახა, რო-  
გორათაც ჩარჩი, ვარიების მოტყუევებით, ფიცით და გონებით მსყიდველი და  
გამსყიდველი, უბრალო გლეხურ ტანისამოსში, თავში ჩაქრული, მაშინ როდეს-  
აც იმას მე ყოველთვის უნახვივარ კარგა ჩაქმული, დაბრახილურ ყოფა-  
ცხოვრებაში, და ისი პატივის მცემდა ხოლმე და მივანხდი საპატიო მოქალაქედ-  
მით უფრო უმეტესად მა მიკვდა გული, რომ ხუთი წლის უნახავი ვიყავი გამ-  
წკეპავიძესთან, რომელიცა იყო პეტერბურგს, სადაცა, რასაკვირველია, მიი-  
ღებდა განათლებასა, და რომელიცა ახლა უცებ, მოულოდნელად გამომეცნაუ-

რა იმ დროსა, როდესაც მე ვიყავი უმცავეს და სასაცილო მდგომარეობაში. ამ აზრებმა ელვისავეით წამს გამიარეს გონებაში. გავანხლდი, დაუფიქრებელივ მივარდი ჩემს თავში ჩამკერვლსა და ჩხუბა და ცემა დაუწყვე, რასაკვირველია ჩარჩმა არ დაშობო და რაც დამაკლო შემისრულა.

— შე უმზგავსო, შე ქვეყნის სასაცილო! მითხრა ჩემმა წინააღმდეგმა ჩარჩმა: რამდენჯერ ჩამირტყამს შენთვის თავში, და არც ერთხელ არ გწყენია, ამიტომ რომ ხუმრობით ჩამირტყამს და ახლაც ხუმრობით ჩაგარტყი. გული რაზე მოგივიდა! განა არ გიცნობ ვინცა ხარ და რა ხარ: შენი ციცი და ქამიც-კი ვიცი.

ბრძოლა განგრძელდებოდა, თუ რომ ხალხს არ გავეშველებინე. ერთი მშვილობის მყოფელთაგანი იყო გამწყვავიძეცა.

უკანასკნელმა შემთხვევებებამ უფრო დამისერა გული. უფრო გამიცხოველა სირცხვილი. გამწყვავიძის დანახვა არ მინდოდა და ამიტომ გავიპარე მოედნიდან. მე ვიყავ არეული, გაწითლებული, სისხლიანი, საკინძამოგულეჭილი. თურმე, ნუ იტყვი, გამწყვავიძე დამედევნა.

— სოლომანჯან, სოლომანჯან, შენი სულისა, სოლომანჯან! — მომძასოდა გამწყვავიძე, — შეიცადე ერთ წამს, სიტყვას მოგახსენებ.

კინაღამ გულს შემომეყარა, რა დავინახე გამწყვავიძე. მეც არ გავიგონე და ცუხცუხით, თავდაღუნული მივეჩქარებოდი შინისაკენ, რომ აღარ დამენახა უსიამოვნო ნაცნობი.

— სოლომანჯან, გამიგონე, შე დალოცვილო, რას მირბიხარ! მხოლოდ ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი.

მითამ არ მესმოდა, მოუხედავად მივრბოდი კლდისუბნის აღმართზე.

— ოჰ, დავიკლდე, აღარ შემიძლიან! საყვარელო სოლომან! გამიგონე, ხომ... ხომ მოვკვდი ამ აღმართზე სირბილითა, გამიგონე... ალექსანდრემ გთხოვა: ფული, შენი ვალი მიიღეო.

მაინც კიდევ არ შევიბრალე გამწყვავიძე.

— ოჰ, სოლომანჯან! აღარ შემიძლიან! არ გეკადრება მაგგვარი საქმე, შენი ნებაა!

გამწყვავიძემ ველარ შესძლო აღმართზე სირბილი და დაეცა. მე დიდად მიამა იმიტომ, რომ არ მინდოდა ამოდენა დამდაბლებასთან ენახა იმას ჩემი ქოზი და ცოლ-შვილი.

გამწყვავიძე უკან დაბრუნდა. მე კი, როდესაც მივედი შინ, ისეთის მრისხანის სახით ვიყავი თურმე, რომ ჩემი ცოლ-შვილი გაცვივდა შინისაგან გარეთ, მართლაც თუ რომ იქ დაშთენილიყვნენ, უთუოდ ძნელ დღეს დავაყრიდი, ასე ვიყავ გონებადაკარგული და გულმოსული. ვმადლობ ღმერთსა, რომ მიხსნა განსაცდელისაგან. ეს დღე და საათი ჭერაც არ დამვიწყებია და არც დამვიწყდება.

## II

კარგახანს ვიყავ აღწერილ მდგომარეობაში. მერე თანდათან დავმშვიდდი. მაშინ წარმომიღდა აზრი — შემეტყო, თუ რავდენის საუნჯისა ვიყავ მფლობელი. საკვირველია, აქამომდე ერთხელაც არ მაშივიდა სურვილი დამეთვალა ჩემი ოქრო და ვერცხლი. მე მხოლოდ ფულს უმატებდი ფულსა. ვიცოდი, რომ დიდი ძალი მქონდა; მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რავდენი უნდა ყოფილიყო.

უკანასკნელ წელიწადს მე ვიზარალე ასს თუმნამდინ, და ხელი ავიღე დიდ

ვაკრობნაგან, რომ სარქისებგაშვილისავით არ ვაკოტრებულიყავ. ოფლით და მრავლის მწუხარებით შეკრებილს ფულსა არას ვაკლებდი და ვსჯეროდი, ცოტ-ცოტათი გავრცელებულიყო ჩემი ჯიბე. კერძო კაცის ხელში ვერ გავეცო. ვანშირებულ კოტრობისა და უნდობლობისა გამო; პრიაჯის<sup>9</sup> გზა კი ჯერ არ ვიკოდი.

იყო ისევ დღა. ჩემი ცოლ-შვილი წავიდნენ თავიანთ საქმეზე (მერე მოვახსენებთ ვინ რომელ საქმეზე იყო ჩემგან დაღვენილი) და მე მქონდა დრო დამეთვალა ფული; -- ჩემმა ცოლ-შვილმა არ იცოდა არცა ადგილი, სადაცა დაცული მქონდა ფული. არც რიცხვი მისი. ისინი იყვნენ ჩემგან დარწმუნებულნი. რომ მე ვიყავ ვითომც გლახა და უფულო. ისინი ვერ მიხვდებოდნენ ფულის ადგილსა და რიცხვსა, ამიტომ რომ იმათ თვალწინ არა დროს ტახტი არ მომჩვენია და ფულის გზა არ მისწავლია. გარდა ამისა ტახტი მქონდა შინაგან დამაგრებულ. ასე რომ უჩემოთ არავის შეეძლო მოეწია. დამაგრებული იყო ამ სახით: წინაფიცარი ტახტისა მქონდა დაკეტილი იმ უჩინარის კლიტით, როგორსაც ხმარობენ კამოდისთვის. ახდიდით ამ ფიცარსა, ნახავდით, რომ ფეხები ტახტისა იყვნენ მიბმულნი მსხვილის რკინებითა კუნძებზე, რომელნიც იყვნენ ღრმად ჩასმულნი მიწაში.

და ესრეთ მე შევეუდექ საქმესა, კარები ჩაკეცტე, სანთელი ავანთე (უსარკმლო ქოხში ბნელოდა), ტახტი მივწიე, ხურჯინით ამოვზიდე ფული. გადავთვალე ათასი, ათი ათასი, ოცი ათასი, ორმოცი ათასი, სამოცი ათასი, ოთხმოცი ათასი თუმანი! ოცი ათასი რომ გადავთვალე, გადავაეღე თვალი დაუთვლელსა, გამიკვირდა და მიხაროდა რომ უმეტესი ნაწილი კიდევ იყო დასათვლელი. როდესაც ორმოცი ათასი გადავთვალე და დავინახე, რომ ერთი ამოდენა კიდევ იყო დასათვლელი, უფრო გამიკვირდა, სიხარული უფრო გამიცხოველა, და როდესაც უკანასკნელი მეოთხმოცი ათასი გადავთვალე, მაშინ გული და თვალი ძლივსა შევიმაგრე; კინაღამ სიხარულისაგან და ვანკირვებისაგან გული შემოიღონდა და ჭკუაზე ვადვირიე. წყლით მოვიბრუნე გული. სანთელი ვავაქრე, წყნარწყნარად კარი გავაღე და გამოველ გარედ, რომ ჩემი გონება დამშვიდებულიყო. მე გამოიცდა ამიტომ, რომ მესამედი ფულის იმედით არა მქონდა, ამავე მიზეზის გამო ჩემს სიხარულს მოემატა სიხარული და. რასაკვირველია, ამ მიუწყვდომელს და მოულოდნელსა სიხარულსა შეეძლო გონებიდან გამოვიყვანე. გონება და გული რომ დავიმშვიდე, ისევ შევედი შინ, სანთელი ავანთე, ღმერთს თაყვანისცემით მადლობა შევწირე. ტკბილად დავკოცნე ფულები (ასე ვასინჯეთ, სიხარულის ცრემლებიც კი ვადმომცვივდა) და დავაბრინავე ისევ თავისავე ადგილსა.

მაშინ წარმომიდგნენ ჩემი საცოდავი ცოლი და შვილები, რომელნიც მე დავსტანაქე და რომელთაც მოვათმენინე, მრავალ წელს საშინელი და ენით აუწერელი სიღარიბე, სიშიშვლე, სიმშილი, სიცივე და სიბნელე, მოვაკელი სიამოვნება, ვანცხრომა, მშვიდობა და ნამეტნავად აღზრდა. წარმოვიდგინე ჩემი თავიცა, საცოდავად ყოველ ეამს დამცირებული და მოკლებული ყოველ კეთილცხოვრებას, მაშინ, როდესაც მე შემეძლო ამეცდინა ყოველივე ესე თვრამეტის წლის წინათ; რასაკვირველია, ამოდენა აღარ მექნებოდა, მაგრამ სამოცი ათასს თუმანს კი აღარა დააკლდებოდა-რა, თუმცა ახლა ოთხმოცი ათასი თუმანი მქონდა, მაგრამ, ოპ, რამდენი დავაკარგვინე ჩემს ცოლ-შვილსა!

შეიქმნა სადილობა. დრო იყო დაბრუნებულიყვნენ შინ ჩემი ცოლი და შვილები სადილად. მაგრამ რა დახვდებოდათ, გარდა მშრალი პურისა! მაშინ დავინახე ჩემი უგუნური სიძუნწე, მაშინ ვიგრძენი ცოლ-შვილის საცოდაობა.



ბირველად შესძვირდა ჩემი ქალი. თუქსსტეტი წლის თამარ, რომელიცა მე-  
ზობლისას სწავლობდა ხელსაქმესა და წერა-კითხვასა. მანამდინ არ დამინახავს,  
რომ იმას ეცო გახუნებული, მოკლე ჩითის კაბა, ქუქუიანი მიტკლის პერანგი  
და ქუსლებ-დაყრევივინებული ქოშები შიშველა ფეხებზე. ჩემი თამარი თუმცა  
იყო დედასავით მომცრო ტანისა, შავ-თვალ-წარბა, მხრებ-აწეული, მოკლე-  
ისერა, პირ-ნაყვავილარი, ცხვირ და ტუჩებ-დიდი, მაგრამ დედასა მსჯობდა  
ელფერიტა... აქამომდე ძლივს ესწავლებინათ წინდებისა და ქისების ქსოვა,  
საბაზრო პერანგისა და ახალუხის გამოჭრა და შეკერვა, და ანბანი თავისის  
უფალოთი <sup>10</sup>.

თვალებიდამ ცრემლები გადმომცვივდა, დავინახე რა თამარ. მაგრამ გული  
შევიმაგრე და თამარს გაუცინე. თამარს გაუვეირდა ჩემი სიმხიარულე, რომე-  
ლიცა ძნელად სადმე უნახავს იმას ჩემს პირისახეზედ.

— თამარჩან! ჯერ პურს ნუ სჭამ; კარგი სადილი მოგივა. — უთხარი მე  
ლიმილით და მამობრივის გულმტკივნელობით.

თამარ დამაქცერდა და უნდოდა წაეკითხა ჩემს სახეზედ მიზეზი მხიარ-  
ულებისა და მამობრივის ალერისისა. ამიტომ, რომ თავის სიცოცხლეში პირ-  
ველად გაიგონა ალერისი!...

ამ დროს შამოვიდა ჩემი ვაჟი ისაკ, რომელსაცა ილლიის ქვეშ ეჭირა წიგ-  
ნები. ის იზრდებოდა, ანუ სწავლობდა გიმნაზიაში. ისაკ იყო მჭუნვარე და  
მოწყენილი.

— რათა ხარ, შეილო, აგრე მოწყენილი? — ვკითხე მე ისაკსა.

— კურს ვასრულებ, მაგრამ ჩინის იმედი-კი არა მაქვს.

— რატომ, შეილო? ამხანაგებში რათ უნდა გამოერჩიო!

— ამიტომ, მამილოჩან, რომ შენის მეცადინეობით უდროო დროს მეშვი-  
დეში გამოიყვანეს, ჯერ კი დრო არა მქონდა; მე მხოლოდ კლასიდან კლასში,  
ანუ ოთახიდან ოთახში გადავდიოდი, მაგრამ რასაც ამ ოთახებში ასწავლდნენ,  
ჩემს გულსა და გონებას სრულიად არ მიჰყარებია, და, აი, მე დავრჩი უჩინო!

— განა ისეთი რა სასწავლებელია მაგ შენ გიმნაზიაში, რომ ერთის წა-  
კითხვით ვერ დაგისწავლია.

— რაღაცა გასაოცრებელი მატემატიკა არის, — ლმერთმა დასწყევლოს, —  
ეშმაკი-კი ვერ ისწავლის. ძიზიკა ხომ, ისტორიები, სხვა მრავალი ჯანაბები,  
განა იქნება გონება რომ დაიტოს! და თუ ეინმე ისწავლის, დაქლექდება და  
მოკვდება.

— მაშ ყველანი უსწავლენნი არიან, ვინც არ დაქლექებულა და არ  
მოკვდარა?

— მაშ როგორ გგონია? ვისაცა ხედავთ ფრანტებსა, გარწმუნებ, სულ უს-  
წავლელი ხალხია; მხოლოდ ტანისამოსში ქვეიანები და განათლებულნი ჩანან.  
რომ ჰკითხო *трижды два*, რამდენააო, გეტყვიან: ოთხიაო.

— მაშ, შენ რომ გიმნაზიაში ყოველ დღე დაიარებოდი, არასა სწავ-  
ლობდი?

— განა არა ვსწავლობდი, განა არ ვიცო, განა ყოველივე არ მეყურება;  
მაგრამ საფუძვლიანად, ღრმად ვერა ვისწავლე-რა, რომ არ გავგიყებულიყავ  
ან არ დავექლექებულიყავ.

— არა, შეილო, ღმერთმა დაგიფაროს, ძალიან კარგა გიქნია. რომ ღრმად  
არა ვისწავლია-რა, ღმერთი მოწყალეა! შენ ნუ სწუხარ, შენი ამხანაგები შენ-  
ზე წინ ვერ წავლენ, შენზე მსწავლულად ვერ გამოჩნდებიან და შენზე ადრე  
ჩინს ვერ მიიღებენ.

— მარლა, შამილოჯან! დღეს ათი ყუთი სპიჩკა გავყიდე. შე ხომ არ გავიყენებდი, პატარა ბიჭებს ვაყავი დღეს, როგორც მაროვებდი.

— კარგი, შვილო! ამას იქით შენ აღარ ვაყვიდი სპიჩკასა, სულ სხვა კაცი, ჩინოვნიკი დადგები. გული გაიმხიარულე.

უსამოვნო ლაპარაკი მოვწყვიტე და წავიყვანე ისაკი ბაზარში, სადაც ვიყიდე მოხარშული ბოხბაში, დედალი, ქაბაბი, ღვინო და გავატანე შინ.

მოვიდა ჩემი მეუღლეცა. აქ არ ავწერ იმის ტანისამოსსა, — ქალზე უკეთესად არ ეცო. მაშინვე შევატყე, რომ ჩემი სოფიკო მოგებით უნდა მოსულიყო, ამიტომ, რომ საწინაო საფე პარკი წაიღო გასასყიდად, დილით ადრე, და ცარიელი პარკილა მოიტანა.

— აფერუმ, სოფიოჯან! მიყვარხარ! მიყვარხარ! აბა მაგისტანა დედაცაიცი უნდა, აი! — უთხარი მე მხიარულად.

როგორც თამარს, ეგრეთვე სოფიოს გაუჟვირდა ჩემი ალერსი და სიმხიარულე. ნამეტნავად გაშლილი სუფრა, სახე სხვადასხვა საჭმელებითა, რომელიცა აღდგომასაც არა ჰქონია. სოფიომ ხმა არ გამცა; სოფიო ცალის თვალთა გაღმობედავდა ხოლმე... მუნჯსავით დაჯდა სუფრაზე, სკამდა საჭმელსა ნახათ, თვითქოს მტრისას იჯდა და მტრის წყალობას სკამდა...

საღილს უკან დავიბარე ჩემი ნათლიამა ოპანეზ, — საყვირველი კარგი კაცი! — ამ კაცს გამოუცხადე, ჩემი წყენა დამდაბლება, და ვკითხე რჩევა.

— დიდი შეცდომა მოგსვლია! დიდი უგუნურობა მოგსვლია, საყვარელო ძნაო, მეგობარო და ნათლია! ჰქვიანი კაცი შეგონე, და ახლაკი მამიტევე, შენში ვერ ვპოვებ ჰქუასა, — მითხრა ოპანეზამ, მავოდენის სიამიღდრის პატრონი ყოფილხარ. და როგორღა ექელვინებოდი ქვეყანას ფეხ-ქვეშ! როგორ თავი აქამდე არ გამოიჩინე! ცოლ-შვილი კარგ გზაზე როგორ არ დააყენე! გამოიგონე, ძნაო! სიმღიდრე კარგია, თუ მოიხმარებ; და თუ დაჰფლავ მიწაში, მდიდარი აღარა ხარ, შენზედ უსაცოდავესი და უგლახაკესი აღარავინ იქნება.

— მირჩიე, ოპანეზჯან, მირჩიე, რა უნდა ვქნა! შენ სიტყვას მივიღებ, როგორც ანგელოზისას.

— ოჰ, ღმერთო! ვინ ამბობს, რომ ვისაც ბევრი ფული აქვს, ჰქვიანი არისო! არა: ტყუილი უთქვამს. მეკი ვამტკიცებ, რომ ვისაც ბევრი ფული აქვს, იმას ჰქუა სრულიად გამოსცლია. რომ გირჩიო რა უნდა ჰქნა! განა ეგეც არ იცი! — დატუქსვით მკითხა ოპანეზამ.

— ნუ მტუქსავ ნათლიამ, ღმერთმა გადღეგარძელოს!

— მე ამიტომ გტუქსამ, რომ მეთაკილება, მწყინს შენი ურიგო ყოფა-ქცევა, ურიგო ცხოვრება, რომ შენს ცოლ-შვილს მოაკელი აქამომდე კეთილდღეობა და კეთილცხოვრება. გკითხავ შენ, რა ეშმაკებისათვის გინდოდა ფული, თუ ცოლ-შვილსაც არ მოახმარებდი? მიხედე მოქალაქებს, თუ არ გინდა მიბაძო ჩინოვნიკობას და დიდკაცობას და ისე იცხოვრე.

— მაინც მინდა. რომ შენ დამაყენო გზაზე; გამოცდილი და ჰქვიანი კაცი ხარ. მე არ ვიცი როგორ რა უნდა დავიწყო.

— სოლოლაკზე<sup>11</sup> იყიდება დიდი და ჩინებული სასახლე სამიათას თუმანად. წადი ახლავ, მოურიგდი სახლის პატრონსა, უთუოდ იყიდე.

— მერე?

— მერე მორთე კარგის მებელითა, ესე იგი სკამებითა, კრესლოებითა, საკრეებითა, სტოლებითა და სხვა. იყიდე ვერცხლეული, სტოლისა და ჩაისი ჩაბალი, სახლის ავეჯი! დაიჭირე მზარეული, მოახლე, მოჭამავირე: გაიჩინე

დროშა: მოირთვე. მოჩუე შენი ცოლ-შვილი, გაშოიეანე საზოგადოებაში: თვით შენ ჩაეწერე მოქალაქეობაში; დაუშეგობრდი წარჩინებულ დიდ-კაცობას და მოქალაქეობას.

— ეგებები ხომ მეც ვიცოდი, მაგრამ...

— მაგრამ რა? ფული არ გემეტება?

— ფული!.. როგორ... არ მემეტება!..

— სუ, სუ, სუ, ვერ მომატყუებ! ახლავე შეაფურთხე ეშმაკს! გააგლე შენი გულიდან სატანა!

— გარწმუნებ, ეშმაკს ჩემთან ხელი არა აქვს, მაგრამ, იცო, რისა გეშინიან?

— რისა გეშინიან?

— არ დამიჭირონ-მეთქი, არა მკითხონ-მეთქი, ვინ მოგცაო მაგოდენი ფული!

— ჰა, ჰა, ჰა, გეტყობა ფულის მოგების მეტი არა გაგიგია რა ქვეყანაზე ვის შეუძლია წამოგედავოს...

— მესმის, მესმის! ახლა კი გულხსნილად გამოვალ ქვეყანაზე და ნახავ, რომ პირველთაგანი ვიყო ტფილისის ქალაქში. ოჰ, გამწყეპავიძე! გმადლობ, რომ შენის ერთი დანახვით გამწყიპე და გონებაზე შიშობიყვანე!

### III

ოთხი თვის უკან. შემდეგ აღწერილი სცენისა. საღამოს ჟამს, გამოველ შინიდან ეტლით, ორიოდ-სამჯერ მოვატრიალებინე მეეტლესს პარკვნივ და მარცხნივ ცხენი და დავაყენებინე ერთს ორეტაყიან სახლთან, კანტინდატის ქუჩაში<sup>12</sup>. ზარი დაეაწკარუნე. მსახურმა სწრაფათ გამოიღო კარი. წინა ოთახში დაბოხდა ჩემი გამწყეპავი გამწყეპავიძე.

— ოჰ, ჩემო სოსია! როგორა ხარ! — აღქესანდრე შინ ბბანდება? — ვკითხე გე გამწყეპავიძესა.

გამწყეპავიძემ ვერ მიცნა და დაიწყო ყუბრება და შინჯვა.

— რას მშინჯავ, თითქოს დასანიშნავი ვაჟი ვიყო! ვერ მიცნობ?

— გცნობ და ვერა გცნობ. სოლო...

— სწორეთ მე ვარ შენი საყვარელი სოლომან.

— ახა, დიდება შენდა ღმერთო! ამას რასა ვხედავ! განა ავრე სწრაფათ აღვისრულდა ჩემი წინასწარმეტყველობა, რომ უტებ გამდიდრებულხარ! ძვირფასი ბრილიანტის ბეჭდები, ოქროს საათი, ოქროს ძეწკვითა!..

— ნუ გიკვირს, ჩემო სოსია! ქვეყანათზე გასაკვირველი არა არისრა!

— დიდად მოხარული ვარ, შენს მზეს ვფიცავ, სოლომან!..

— გმადლობ, გმადლობ! ვიცი შენ ჩემი ბედნიერება არ გეწყინება! მაგრამ შინ არის აღქესანდრე?

— შინ ბრძანდება.

ეს რა მითხრა, გამწყეპავიძე გამიძღვა წინ და შამიყვანა ოთახში. თავადი აღქესანდრე რაინდიე კარებშივე მომეგება მოციანარის სახით, მან ჩამომართო ხელი და ნახეს ხელმოკერით მაგრძნობინა, რომ ჩემი ვიზიტი არ ეწყინა. კრესლა მითავაზა.

ეს ყმაწვილი კაცი იყო ტანადი, არც სუსტი, არც სქელი, შავი თმა ჰქონდა და გადავარცხნილი უკანასკნელ მოდაზე; შავი დიდრონი თვალები, წარბებო და კოკობი ულვაშები უხატავდნენ იმის სუფთასა და მცირედ მკრთალ პირისახესა; თვალებიდან გამოსჰქვრეტოდა გონება; მაგრამ ბრტყელ შუბლზედ

დასხნეოდა კვალ ფიქრებისა: ვრძელი ათის ფრანსიდგეზა. მრგვლად შემოჭრილები. უელადენენ თეთრად; თეთრ ტილოს პერანგზე ეცო საზაფხულო პალტო. ოთახი, რომელშიაც ალექსანდრემ მიძლია, თეკცა არ იყო მდიდრულად მოთუნი, მაგრამ იქ ყოფნა გესიამოვნებოდათ. პატარა დივანი, მაგიდა, ორი სავარძელი და ათიოდე სკამი, დივანქვეშ გაშლილი ხალი და თეთრი ფარდები შეადგენდნენ იმის სასტუმრო ოთახის მორთულობას.

— სოლომონ ისაიჩი! — შენი სულისა, მამიტევით, რომ თვითონ მე ვერ გაახელი და თქვენ ვაგაჯეთ, — მითხრა ალექსანდრემ. — დაგარწმუნებ თქვენ, რომ ჩემი შეუსაბამო ქცევით მევე ვიტანჯები. მაგრამ მეორე მხრით ესეც კი უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ ვიცოდი თქვენი სახლი.

— რას მიბრძანებთ, კნიაზო ალექსანდრე! ის კარგი მამა ნუ წავიწყდებათ; ბოდრშს ნუ იხდით, მე და თქვენს შორის ამგვარი პოლიტიკა არ უნდა იყოს. მე თქვენს სახლში და თქვენ ჩემს სახლში ისე უნდა ვიყვნეთ, როგორათაც ვიყავი მე მამითქვენის სახლში. განა ახლა ვიცნობთ ერთმანეთს! განა ასე უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისაგან დაშორებულნი! მახსოვს, ძლიერ მახსოვს, თქვენი მზრუნველობა, რომელიც მოიღეთ, ჩემზედა, თქვენი პურმარტილი, თქვენი კარგი პირი და გული!

— გავათათ მაგ საგანზე ლაპარაკი, თქვენ ეს მიბრძანებთ, სოლომონ ისაიჩი...

— უკაცროთ, სიტყვას ჩამოგართმევ, ალექსანდრეჩან! მიაშბეთ, როგორ მოიარეთ რუსეთი და რა წარმატება მიიღეთ!

— ღვთის მადლით და ხელმწიფის წყალობით, მე აღვიზარდე პრაევოდენიაში. დავასრულე კურსი, ვნახე — ზოგი თვლით ზოგი აღწერიით მრავალი ქვეყნები. დაახლოებით ვიცან სხვადასხვა ქვეყნის ხალხი, და წამოველ ჩემს მშობელ საქართველოში.

— ახლა სამსახურს არ აპირებთ?

— დიად, რასაკვირველია! მე მქონდა აღთქმული ჩემის დიპლომის შესაბამისი ადგილი, მაგრამ, მგონია, ეს ადგილი მიუტიათ თქვენის შვილისათვის.

— დიად, დიად, ალექსანდრეჩან! ჩემმა ისაქმა მოიგდო ხელში კარგი ადგილი! ოჰ, ალექსანდრეჩან. ჩემი ისაიჩი რა კარგი შვილია! რა კარგი ნასწავლია! რა კარგი კვიანია! მაგრამ საჭირო არ არის ჩემგან იმისი ქება, თქვენ, როდესაც გაიცნობთ, ნახავთ იმის ღირსებას!

— დიად მოხარული ვარ, რომ საქართველოს შვილი აგეთი ჩინებულნი გამოსულა. თქვენც უნდა მისცეთ იმოდენი ღონისძიება და შემწეობა, რომ თქვენი ისაიჩი თანდათან წინ წავიდეს და უკან არ დარჩეს.

— თქვენგან არ მიკვირს, კნიაზო ალექსანდრე? როგორ დავიძინებ... ნიჭი, სწავლა და სამსახური უნაყოფოდ და უჭილდოდ არ უნდა დარჩნენ. ოჰ, კნიაზო! რა კარგი გული გაქვთ! ყველასთვის კარგი გინდათ. — მაგრამ თქვენი ჩამომავლობა აგეთია. არა ჰგევხართ სხვებსა! ოჰ, ღმერთო, რა მეშურნენი არიან სხვანი, რა ბოროტნი არიან! არავისთვის კეთილი არ უნდათ! შურსათ, რომ ჩემი ისაიჩი გაბედნიერდა! აი, რას ამბობენ: „რა შეუძლიანო, რა იცისო, ჯერ ჩინიც არა აქვსო, საიღამ ჩაიგდო ადგილიო. ვინ არისო!“ ახა, ღმერთო ჩემო! რა ენადლეებათ, რომ ჩვენც ვიყვნეთ და ისინიცა ბედნიერნი! და თუ ისინი არ არიან ბედნიერნი, უნდა დააბრალონ თავიანთ კუქუსას, რომლის რჩევაზე არ დადიან.

— ეე, ჩემო სოლომონ ისაიჩი! შორს წასულხართ, ძლიერ შორს წასულ-

ხართ! კაცის შიტიქა-მოთქმასა არ უნდა აპყვეთ. კარგსა იქმთ, გაგაცხვენ, ცუდ-სთვის ხომ წამოვარწოხან. ფილოსოფოსურათ იცხოვრეთ, ესე იგი ვინც რა უნდა თქვას თქვენსება, გულს ნუ გაუღებთ, ნუ მისცემთ ადგილს, ნამეტნავათ პასუხს ნუ მისცემთ.

— რას მიბძანებთ, ვმაწვილო! დავკლევდები თუ ჩემი დარდი და ნაღველი ენით არ გამოვთქვი და არ შევსჩივლე რომელიმე მართალ კაცსა. მე თქვენ გატყობ, რომ თქვენ გაქვთ რაღაცა გულის დამაჩილებელი ფიქრები, მაგრამ არ გინდათ გამოთქოთ, რადგანც ჰბაძავთ ფილოსოფოსებსა, მართლაც, კნიაზოჯან, თქვენ გტანჯვენ ფიქრები, — სახის მეტყველება: ამიტომ საჭიროა გამოსთქვათ, რომ გული მრთლიანათ შეგირჩეთ.

— თქმით, კარგათ ვიცი, არა გამოვარა; ამიტომ ვარჩიე, არა ვთქორა, გულში მოვიწილო მოუწილებელი დარდები.

— იმ მამოთქვენის საფლავს გაფიცებ, მე, როგორათაც თქვენის სახლის შეილსა და მეგობარსა, გამომიცხადეთ თქვენი მოუწილებელი დარდები.

— რახან დამაფიცეთ, მეც კმაყოფილ ვპყოფ თქვენს სურვილსა: ობეკუნებს, გაკეთების მაგიერ, ფეხქვეშ გაუქეღავთ, გაუნადგურებიათ ჩემი მამული. ყოველგვარი სიბილწე, გარყვნილება და ბოროტი დაუთესავთ. თქვენ დამერწმუნებთ, რომ თუ სახლს თავისი პატრონი არა ჰყავს, მოჭამაგირგები კეთილს არ დააყრიან. ეს მატკივებს მე გულსა... მაგრამ შევსწვიტოთ უსიამოვნო ლაპარაკი; დრო არის ვიანგარიშოთ. ვექსილები თან განლავსთ?

— ვექსილი-კი აქ განლავს, მაგრამ, თუ თქვენი ნებაც არის, დარჩეს ისეც თქვენთან ფული.

— არა. მინდა ვალიდან ამოვიდე, რომ თავისუფალი ვიყო, უვალობისთანა ქვეყანაზედ კარგი არა არის-რა.

— თქვენი ნება! აი ვექსილი. ამ ვექსილით, რომელიც მოცემულია 1846 წელსა, ოქტომბრის 18 დღესა, გმართებთ თქვენ სამას ოთხმოცდაროი თუმანი და ორი მანეთი; ამის ოთხის წლის სარგებელი, როგორც გნებავთ, იანგარიშეთ, თუნდ ორ შაურობაზე, თუნდა ექვს კაპეიკობაზე.

— როგორც გნებავდესთ, თქვენ იანგარიშეთ. — მითხრა ალექსანდრემ.

— ვიანგარიშოთ ექვს კაპეიკობაზე; შესდგება სარგებელი: ოთხმოცდაროი თუმანი, შვიდი მანეთი და ხუთ შაურ ნახევარი.

ალექსანდრემ იანგარიშა და გადმომითვალა ოთხასამოცდაროი თუმანი, ცხრა მანეთი და ხუთ შაურ ნახევარი. ვექსილი დაეხიეთ.

ფულის მიღების შემდეგ, მე რაღაც მიუხედავად მდგომარეობაში შევედი: თითქოს მიხაროდა კიდევცა, თითქოს, მასთანვე, სინდისი რაღაცას მაყვედრიდა, რომ გამოვსულიყავ ამ მდგომარეობიდან და მესიამოვნებია ალექსანდრესათვის, მე გავაგრძელე გაწყვეტილი ლაპარაკი და ვუთხარ ალექსანდრეს განუსჯელად, რაც პირველი მომივიდა ფიქრში:

— კნიაზო, ნუ გეწყინებათ, მაგრამ ერთი სიტყვა მინდა მოგახსენოთ.

— მიბძანეთ, თქვენი ჭირიმე!

— ამას მოგახსენებთ, რომ ქართველები დაუდევნელები ხართ და არა ფიქრობთ ზვალისათვის. აი, მაგალითებრ: კურთხეულს მამათქვენს ოცდაათი თუმანი მაშინვე რომ გადაეწყვიტა, ახლა იმისი შვილი ოთხასს სამოც და ცამეტ თუმანსა, ცხრას მანათსა და ხუთშაურნახევარსა არ გადასწყვეტდა. ეს ეთქვი, მაშინვე ვიგრძენ უგუნური წინ დაუხედაობა ჩემი, მაგრამ რაღას გავაწყობდი!

— სარწმუნო ბრძანდებოდეთ, სოლომონ ისაკიჩ! მითხრა ალექსანდრემ:

მე ვალს არ ავიღებ, თუ ავიღებ როგორმე, ოც-და-ათი თუმანსა ხუთასს თუმანამდინ არ ვაქცევ. ნუ გავკიცხავთ ჩვენ მამებსა, რომელთაც მცირედი ვალი ერთი ასად გარდუქცევიათ: ამათ ჰქონდათ ათასი შესაწყნარებელი მიზეზეზი. მაგრამ მე გკითხავ თქვენ: ქართულს სომხისაგან რათ განარჩევთ! განა არ არიან ქართველები ხელ მოჭირებულნი, და ხვალისთვის მზარუნველნი, და სომეხნი გამბნევენი?!

ეს პასუხი მამცა ალექსანდრემ ასე გულ დაწყნარებით, ღმობიერათ და მოცინარის სახით, რომ თითქოს სიბრძნე და უგუნურობა ჩემის სიტყვის-მიგებისა სრულიად ვერ იგრძნო. მე უადგილოთ შავედი სხვა-და-სხვა გამოძიებებში, რომელნიც იყვნენ საწყენნი, ალექსანდრემკი სრულიად არ მაგრძნობინა ჩემი წინ დაუხედავობა. სწყინდა, განა არა, ალექსანდრეს ყოველი ჩემი სიტყვა: — მე ამას ვამტკიცებ მით, რომ ყოველს ჩემს სიტყვაზე ტუჩებს კბილებით დაიკმუჭნიდა ხოლმე ისი და პასუხს მაძლევდა მოკლეთ და ცივათ, თითქოს არ უნდოდა ლაპარაკი; — მაგრამ ცდილობდა არა ეწყენინებინარა ჩემთვის სიტყვით თუ საქმით; ცხადათ დავინახე ჩემი უზღელობა, შევინანე, მოვხეხე ალექსანდრეს და უთხარა:

— კნიაზო ალექსანდრე! მამიტევეთ ყოველივე, რაცა გაწყინეთ ჩემის უზღელობით. თქვენმა ზდილობამ გონებას მამიყვანა, მამაგონა ზდილობა, რომელიც მივიღე ოდესმე, ჩემს სიყმაწვილეში, თქვენ სახლში. გაზდილი და ნასწავლი თქვენ დედ-მამის ხელში და მერე გავითარებული ევროპიაში, რათ არ იქნები კარგი! ერთი მიბძანეთ, კნიაზო! ევროპა რათ არის განათლებული, და სხვა ქვეყნები სიბნელეში?

— გახსოვთ ქრისტე რასა ბძანებს სახარებაში? — მამიგო ალექსანდრემ: „მე ვარ ნათელი სოფლისა“ ნამდვილად ქრისტე განანათლებს ევროპიასა და სხვა მხარეთაცა, სადაცა მისი სახარება არის ხელთ მძღვანეელი ყოვლის მოქმედებისა. ფრანცია მცირე ჟამს გადუდგა ქრისტეს სახარებასა და ჩავარდა სიბნელეში, რომლის გამო მოხდა საშინელი არეულობა და, როდესაც ამის შემდგომ, ფრანცია ცხადად მოვიდა სახარებასა, ისევე განათლდა. მე ეს პასუხ მოვახსენეთ თქვენს კითხვაზე, ახლა თქვენ მიბრძანეთ: რა მიზეზია ქებისა, რომელიც მე შემომასხით?

— მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ თქვენში ვხედავ ღირსებასა, რომელიც არ შემოდლიან არ გამოვთქო.

— რო სცდებოდეთ?

მე არა ვცდები... მაგრამ, რა მაგ სიტყვის პასუხია, — მოდი კნიაზო, ხვალ დროება ერთად გვატარათ ჩემთან ჩვენებურად, ქალაქურად.

— რა დროს?

— სადილად. თქვენმა სიცოცხლემ, ალექსანდრე, განგებ თქვენთვისა მაქვს წვეულება; მსურს დავიხსლოვო და გავაცნო ჩემი სახლი და ცოლ-შვილი.

— დიდად გმადლობ, სიხარულით გეახლები, მხოლოდ ნება მიბოძეთ ერთი რამ გკითხო!

— მიბრძანეთ, თქვენი ქირიმე!

— თქვენ იცნობთ თავადს ამირან არაგვლიშვილსა და იმის სახლობასა?

— დიად, ვიცნობ, დაახლოებით ვიცნობ. თუ გნებავს იმათაც მოვიწვევ, თქვენმა სიცოცხლემ, ახლავე გეახლები, დავპატიყებ. რამდენი საათია ვნახო!.. შეიღია... მაშ იქაც მოვასწრებ, თეატრშიაცა.

— ამაღამ თქვენ იქნებით თეატრში?

— დიად.

- თქვენი სახლობაცა?
- დიად.
- მაშ იქ გავიცნობ თქვენს სახლობას.
- დიდათ დამავალებთ.
- უთუოდ.
- მშვიდობით!
- მშვიდობით!

#### IV

დანიშნულ დროს, ესე იგი, რვა საათის ნახევარზედ მივედრი თეატრში ჩემის ცოლშვილათ, თეატრი იყო საესე ხალხითა. უნდა მოგახსენოთ, რომ მესამე ყოფნა იყო ჩვენი თეატრში და ასე დიდხანს არ დაგვიგვიანია, როგორათაც ახლა. მიზეზი ვიყავ მე, რადგანაც გვიან დაებრუნდი კნიაზ არაგვლიშვილის სახლიდამ (ჩემ ცოლშვილს, — გარდა ისაკისა, რომელიც არას დასდევდა დედასა და დას, — თეატრის გზა ჯერ კარგა ვერ დაესწავლათ, რომ უჩემოთ წასულოყვნენ). ამ მცირედს შეცთომისათვის მე გადამხდა სასტიკად. სოფიო და თამარ ერთის საათის წინ მომზადებულოყვნენ და მე მოუთმენლათ მიმელოდნენ. რადენიც დავიგვიანე, მოუთმენლობა თურმე გაუცხოვლდათ: გარბოდნენ, გამორბოდნენ, მოსამსახურები დაფანტეს ჩემს საძებნელად; ხან თურმე ერთის ფანჯრიდამ იხედებოდნენ ქუჩაში, ხან მეორე ფანჯრიდამ, რომ დავენახე იმათ მე მიმავალი. იმათ ჰგონებოდათ ვითომც დრო გადასულიყო, ნახევარი წარმოდგენა გათავებულიყო; თამარს ეტირნა მრავალი. ასე რომ თვალები დასწითლებოდა ცრემლისაგან. როდესაც მე შევედი შინ, უცებ მამცვიედნენ დედა და ქალი საშინელის წივილ-კივილით, თითქოს უბედურება რამ შამთხვეოდდათ. უკანასკნელ ძლივ-ძლივ მივხვდი, რომ მეუღლე და ასული, — რომელთაც ციხისუბნის ქოხში არ შექძლოთ პირდაპირ გაბედვით შამოხედნათ ჩემთვის, მიწყრებოდნენ დაგვიანებისათვის. მე ჩემის მხრით ღიმილით და გულდამშვიდებით ვარწმუნებდი, რომ ჯერ არ იყო დრო წარმოდგენისა. მაგრამ, არ იქნა, ვერ დავარწმუნე; ქალი ჯერ შამომწყრა, აღარ აპირებდა წასვლას თეატრში მერე ისევ თვითონვე მოიბრუნა გული და პირველი გაექანა ქაეტონისაკენ. — აქედამ სჩანს, რომ სიმდიდრე ჰბადამს ნებიერობასა და სილადესა იმათში, რომელთაც თვითონ არ მოუგიათ.

სწორე უნდა მოგახსენოთ, მე თეატრი სრულიად არ მეპიტნავებოდა, რადგანაც არა გამეგებოდარა არც იტალიური ოპერებისა და არცა მუზიკისა. მე მხოლოდ დავიარებოდი თეატრში გასაცილებლად და პატრონათ ჩემის ცოლშვილისა, რომელთაც ვაგიყებით შაიყვარეს თეატრი. და ნამეტნავად იმ ღამეს უთუოდ უნდა ვყოფილიყავ თეატრში, რადგან რაინდიძეც იქ იქნებოდა. მაგრამ ჩემ ცოლ-შვილსა რა მიიზიდავდა თეატრში? დავარწმუნებთ, რომ სხვა არა-რა მიიზიდავდა, გარდა უგუნური ამპარტავნობისა. იმათ მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდათ: სჩვენებოდნენ საზოგადოებასა, რომ „ჩვენც აქა ვართო“. ის კი აღარ ახსოვდათ, რამდენი ხარჯი უნდება თეატრში წამსვლელსა. ვამიგონია, თეატრი დიდი სასწავლებელი, თურმე, არისო; ყოველ პიესაში წარმოადგენენ, თურმე, კაცის რომელსამე შეცდომებსა და ნაკლებობასა, კეთილსა და ბოროტ მხარესა, აქ უნდა გული და გონება ადევნოს მაყურებელმა და გაიგოს აზრი და მიზეზი მოქმედებისა. ნამეტნავად არ უნდა დაკარგოს არც ერთი ადგილი მღერისა და მუზიკისა, რომელიცა დაატკობს გრძნობათა და

დაარბილებს ველსა. ვარდა ამისა, თვით საზოგადოება მაყურებელითა მრავალს რასმეს აქწავლის კაცს! ახლა ვიფიქროთ ჩვენთვის, რაღა სელი მაქვს მე თეატრში, თუ არას დავინახავ, არ გავიგებ, არ ვაგვიგონებ და არ ვისწავლი! აგერ რამდენი წელიწადია, რაც ჩემი მეუღლე დაიარება თეატრში და მრავალჯერ უნახავს იმას ოპერა «Севильский Цирюльник» (სევილიელი დალაქი); ჰკითხეთ — თვითონაც დალაქის ქალია — რისათვის სევილიელი დალაქი მოხუცებულ კაცს, მოპარსვის მაგიერ, საპნით მოუთხუნისთქო პირისახეს? დავარწმუნებთ, პასუხს ვერ მოგცემს... მაგრამ მე ავცდი ჩემს საგანს.

ჩვენ გვეჭირა ლოყა მახლობლად სამეფო ლოყისა.

ჩემი თამარი სხვაზე გადამეტებულად იყო მორთული. ბრილიანტის ქინძისთავები ებნია ოქრომკედლით ნაკერს ალისფერ ზავერღზე, თავსაყრავში. ყურები, ყელი, გული და მკაჭები მოეკაშმა ძვირფასი ბრილიანტის საყურებებითა, ფორმუარითა, ქინძისთავებითა, ბრილიანტებითა, ოქროს მინაქრიანი საათითა და მარგალიტისა ძეწკვითა. ორივე ხელის თითებზე აესხა მრავალი ბრილიანტისა და ფირუზის ბეჭდები, რომელზეც ფერჩატკები ველარ ჩაცვო და ამის გამო შიშველი ხელები შავ გლასის კაბაზე უჩანდა შავად, ალისფერი ოქრომკედლით ნაკერ ლენტის გულისპირი და სარტყელი, იმავე ფერის გლასის სახელოები უფრო დაამშვენებდნენ ჩემს თამარს, თუ რომ ბეჭდების მაგიერ სცმოდა თეთრი ზედგამოწყობილი ფერჩატკები. თამარი იჭდა უძრავად გაშეშებული, მხოლოთ ხანდახან ხელებით გაისწორებდა ხოლმე კავებსა განგებ, მგონია, რომ დაენახათ იმისი ბრილიანტები.

იმ ღამეს თამაშობდნენ „ნორმასა“<sup>13</sup>.

ხუთიოდე მინუტი ვისხედით ჩუმათ და ვშინჯავდით ლოყებში მსხდომარეთა. მერე მე მოვსწყვიტე მღუმარება და სასიხარულო ახალ ანბავად უთხარ ქალებსა:

— იცით ქალებო ახალი ამბავი? — ალექსანდრე რაინდიძე იქნება ამაღამ თეატრში.

თამარს შეუბროწყავდა ლოყები.

— აბა რომელია თქვენი მოწონებული ალექსანდრე რაინდიძე, მკითხა თამარმა მინაზებულის ხმით და ტუჩის აწვეით.

— ჯერ არ მოსულა; მეც იმას ვათვალაიერებ; ისაკი კი აქ არის.

— შენი ჰირიძე, სოლომონ ისაკიჩან, გვიჩვენე ალექსანდრე რაინდიძე, როდესაც მოვიდეს, — მითხრა ჩემმა მეუღლემ.

— ბატონი ხარ. მაგრამ თვითან ალექსანდრე გვენახავს აქ და გაგიცნობს.

მე გავიშეშე თვალები რომ დახამხამებაში არ ამცდენიყო შამოსული რაინდიძე.

ამ დროს მე შევნიშნე რამდენიმე ყმაწვილკაცები, ჩვენებურები, რომელნიც იხსდნენ პირველ კრესლების რიგებაზე და წამ-და-წამ შარბოდნენ და გამოჩობოდნენ გარეთ, და რას არიგებდნენ არ ვიცი, მეკი იმათმა ურიგო ქცევამ გული გამისივა ჯავრით...

ზარი დააწყარუნეს და რაინდიძეც შამოვიდა. მცირე ხანს შედგა ის კარებში, თვალი გადაავლო ლოყებსა, დააშტერდა განსაკუთრებით ერთ ლოყსა. რომელშიაც იხსდნენ არაგვლიშვილის სახლობა, და მერე, როდესაც მეორედ დააწყარუნეს ზარი, დაჯდა პირველ რიგობაში.

— აი, აი, რაინდიძე, ქალებო! — ვუთხარი მე ჩემ ცოლ-შვილსა.

— აბა, აბა, რომელია? — მკითხეს დედამ და ასულმაც ერთი ხმით.

— აგერ, კარებში რო დგას.



— იფ-იფ-იფ! იფ-იფ-იფ, აბა! კარგი ყმაწვილი კაცი ევა კოვილა! — მი-  
თხრა სოფიომ. — შენ ნუ მომკვდები, სოლომონ ისაკიჩ, მიკერებული არა  
აქვს რა რაინდიძეს. ეტყობა, კარგი გაზრდილი უნდა იყოს. სოლომონ ისაკიჩ-  
ჯან, შენს სახელს ვენაცვალე. ბუ დაიფიწყებ შენს აღთქმასა, ჩემი თამარი შერ-  
თე, როგორც უნდა დაგიჭდეს.

თამარს გულმა. ცემა დაუწყო.

— შენს მზეს ვფიცავ, სოფიო, ჩემი საფიქრალი ეგ არის, უნდა ვეცადოთ,  
თუ ბედიც არის.

— ბედი! — წაიბუტბუტა თამარმა ტუჩაწვეით.

პირველ მოქმედებაში ერთს აქტრისას და ორს, მგონია აქტიორს საზო-  
გადოებამ ტაშის კვრით მოუწონა მღერა. მერე კიდევ აქტრისამ დაიწყო მღე-  
რა. მთელი საზოგადოება, — ანუ გასინჯეთ რაიოკშიაც, — გაჩუმდა და დაუწყო  
ქვერტა საკუთრად აქტრისასა, ასე რომ არავინ მცირეოდენ გვერდზე არ მი-  
იხედა. ეს ღრმა სიჩუმე მივიღე ნიშნად იმისა, რომ აქტრისა იმღეროდა სამა-  
გალითოდ კარგა, და, რადგანაც მე იქამდე ტაში არ დამეკრა არავისთვის,  
უცებ — იმ ღროს, როდესაც ყველას ყური უნდა დაეგდო — ავტებე ტაშის-  
კვრა და თან ხმაამალა შევღერიალე.

— ბრავო! ბრავო! ბრავო! ბისსს!...

ჯერ ისევ ვაბარტყუნებდი ხელებითა და ვღრიალებდი, რომ მთელმა სა-  
ზოგადოებამ აქტრისას თავი დაანება, შემომხედა მე და მაჩუმებდა, ყველა  
მიბრძანებდა: „სუო“... არ შემიძლიან აეწერო რაც მე იმ საათს დამემართა!  
მომივიდა სირცხვილის ღიმილი, თავპირი ამენტო, ოფლში გავიწურე, თავ-  
ბრუ დამესხა, კინალამ დავეცი, ის ღამე და საათი ჯერაც არ დამვიწყებია.  
ყველასი ჯავრი ამოვიყარე აქტრისაზე, რომელსაც ჩემს გულში მრავალი ცუ-  
დი ვკადრე. ღმერთო ჩემო! რა ცოდვის კითხვა იყო ჩემი, ერთი არავინ ამყვა,  
რომ ეგების დამმფაროდა უადგილო ყვირილი და ტაშისცემა! რამდენჯერ  
მომხდარა, რომ რაიოკში უკანასკნელს კინტუას აუტეხია, დროსა და უდროს  
ტაშის კვრა და დაუსრულებია გენრალს; მე კი ყველამ მარტოდ-მარტო დამი-  
ბუევა, გამაცრუა და შამარცხენა!..

პირველი მოქმედება გათავდა. ამომეჭრა ჩემი ისაკ, რომელმაც გულს მო-  
სულმა მამხილა უადგილო ტაშისკვრა... მე რაღა სევდის გაცხოვლება მეჭირე-  
ბოდა!

ისაკი დავითხოვე, სევდასაც დავსძლიე და მოვემზადე რაინდიძის მისა-  
ლებად: მაგრამ სად იყო რაინდიძე! არ მოვიდა ჩემთან. დაეუწეე ლოყიდამ  
თვალებით ძებნა, არც თავისს ადგილს იყო, პირ-და-პირ გავიხედე, ერთი  
ენახით ჩვენი ალექსანდრე ემუსაიფება არაგვლიშვილის ქალსა!... დასწყევ-  
ლოს ღმერთმა ეშმაკი! ისე რათ მეწყინა! ჩემი სოფიო და ნამეტნავათ თამარ  
ხომ დაიხოცენ!...

მეორე ანტრაქტში ჩვენ იმედი სრულიად აღარ გვექონდა ალექსანდრეს  
ამოსვლისა, ვისხედით ნაღვლიანათ და პირ დაკეტილნი. უცებ შამოვიდა რაინ-  
დიძე, ღვთის წყალობა თქვენ გაქვსთ, ჩვენ სიხარულით ავივსენით, აღდგომის  
დღე დაგვიდგა!

— აა, სოლომონ ისაკიჩ! მშვიდობა თქვენი ნახვა! — მითხრა რაინდიძემ  
და ხელი ჩამომართო.

არ ვიცი სიხარულისაგან მამივიდა, თუ ხალხში გამოუხვლელობისაგან,  
ხელიკი ჩამოვართვი ალექსანდრეს, მაგრამ ხმა ველარ ამოვიღე. გავუმული,  
დავმუნჯდი და ვერ გავაცან ჩემი ცოლ-შვილი.

— თქვენი სახლობანი ბრძანდებიან? — მკითხა ალექსანდრემ სწრაფათ, ოჯახის მიმხედვად ჩემს მიუხედავლობას.

— დიად. ვახლავან!

— ვახლავარ ალექსანდრე რაინდიძე, მსურდა თქვენი გაცნობა, ვეძებდი შემთხვევას. და დიდად ვმადლობ სოლომან ისაკიჩს, რომ ეს შემთხვევა მამცა, — უთხრა მცირედის და ნარნარის თავის მოდრეკით ალექსანდრემ ჩემ ცოლშვილსა.

სოფიო და თამარ ფეხზე იდგნენ გაშეშებულნი და მუნჯათ. ბოლოს ალექსანდრეს თხოვნით დასხდნენ სკამზედ.

— ხომ მშვიდობით ბრძანდებით, კნიაზო? — უთხრა ჩემმა მეუღლემ ალექსანდრეს.

თავად ჩემს ურიგო ქცევით, პირველ მოქმედებაში, ვულში ვიყავ დაპრილი, ახლავ ჩემის მეუღლის უგუნურმა მოკითხვამ უფრო დამიწყულავ ვული! რა დამემართა იმ დამეს! რაღა სვემ დამიწყო დევნა! რაღა ჩემზედ მოცალა შეუბრალებელმა სვემ! ჩვენთვისა ვთქვათ, რა მოკითხვა არის: „ხომ მშვიდობით, ბრძანდებით, კნიაზო“, რომელიცა ჯერ არსად არ ენახა და ის იყო გაიცნო სოფიომ. ამგვარად, უნდა მოიკითხონ მხოლოდ ისინი, ვინცა ყოველთვის ავადმყოფობს, ანუ განთავისუფლებულია ავადმყოფობისაგან, ანუ აღშვითებულ ცხოვრებაშია.

ალექსანდრემ მსუბუქად თავი დაუკრა და მაშინვე დაიწყო ლაპარაკი, რადგანაც ჩვენ ყველას ენა ჩაგვივარდა მუცელში.

— კარგი ოპერაა „ნორმა“, მუზიკა ხომ საუცხოვოა!

— მე არ მომწონს არც მუზიკა, არც „ნორმა“. — სთქვა სოფიომ. — ქალები გაჰკვირან, რაც ძალი და ღონე აქვსთ, კაცები ღრიალებენ უმსგავსოდ: მუზიკისას ვერას გაიგებს კაცი, რას უკრავს. ხან ერთი უკრავს, ხან ორმოცნა, ხან სტვენენ, ხან აურევენ, — გული გააწყალეს! მე მომწონს მხოლოდ საზოგადოება. თვითონ თეატრი, აქტიორებისა და აქტრისების ჩაცმა.

— ვაიმე. ეს რა ღმერთი გამიწყრა! — ვთქვი ჩემს გულში, როდესაც სოფიომ ბოდვა დაიწყო. ხან თვალით, ხან წარბით ვანიშნე, რომ დაჩუმებულიყო, მაგრამ სოფიომ ენა ამოიდგა და აღარ დააყენა. იმდენი არ იცოდა, რომ რაღა ალექსანდრეს მოსწონდა ოპერაცა და მუზიკაცა, იმასაც აღარ უნდა დაეწყუნებინა.

მაგრამ ალექსანდრე არ შეკრთა და, რომ პირდაპირ წინააღმდეგის სიტყვის მიგებით არ ეწყენინებინა სოფიოსათვის, მიუბრუნდა თამარს კითხვით:

— თუ არც თქვენ მოგწონსთ „ნორმა“ და მისი მუზიკა, მაშ დავეთანხმები თქვენს მშობელსა.

— მე მომწონს, — მიუვო თამარმა ხმით, თითქოს კატა კნავისო.

— ახ. ქართული სიმღერა რა დამატებობელია! — განაგრძო სოფიომ, — რა სასიამოვნო არის!

— თანახმა ვარ. ქართული სიმღერა დიად სასიამოვნოა; მაგრამ ჩვენი უბედურება ეს არის, რომ იშვიათათ ვინმე სწავლობს, — უპასუხა ალექსანდრემ.

ამ დროს რავდენამე პირის თხოვნით მუზიკანტების უფროსმა — აი ყოველთვის ჯოხს რო იქნევს — დაუკრა სკრიპკაზე რაღაცა.

— ამას რაღას აბუთილებენ, — წამოიყვირა სოფიომ კასკანით, რომელიც კარგა ს.ნს არ გაათავა. თამარიც აპყვა დედასა.

— მწვენიერათ უკრავს, სოლომან ისაკიჩ! მითხრა ალექსანდრემ: გაჯ-

გონიათ ბუღბუღის სტვენა? აბა ყური დაუგდე! თითქოს ბუღბუღი უსტვენს!

ალექსანდრემ თავი დალუნა, ყური დაუგდო და მაშინ აიხედა, როდესაც დაჩუმდა სკრიპკა.

ალექსანდრეს ჩაგონებით მე ყური დაუგდე — ალექსანდრე არა სტყუოდა...

## V

სოლოლაკზე მე ვიყიდე დიდი ორ-ეტაჟიანი სახლი. რომელიც საუცხოვოთ მოვაწყვე და მოვრთე. ერთი ნახევარი ამ სახლისა — სამი ოთახი და ორი ზალა — გაემართე ევროპიის გემოვნებაზედ, მეორე ნახევარილა ჩვენებურათ — ქართულათ. არა დავიშურე რა, რომ სახლი ყოფილიყო დიად მდიდრულათ. შეშკული. ძლიერი ფული დავლუბე!

ძლიერი ფული დავლუბე, მაგრამ როგორათაც ცერცვი კედელზედ, ჩემს გულს, არ ეკარებოდა, არც გადაკრული ძვირფასი მებელზე ხავერდი, ხავერდების ფარდები კარებებზე და ფანჯრებზე, არცა უმრავლესი ვერცხლეული და სხვა მრავალი სამკაული, ამიტომ, მგონია, რომ სული არა მქონდა მომართული ისე, რომ ესურვა მას სიმშვენიერე სამკაულისა. ყოველივე რაც იპოებოდა ჩვენ სახლში იყო ჩინებული და იშვიათი, მაგრამ მე მოვრთე სახლი არა ჩემს გემოვნებით, არამედ მიხედულობით და იმ აზრით, რომ სხვაზედ მდიდრულათ მქონებოდა სახლი მორთული. იქნება არაფერში არ იპოებოდა გემოვნება, გარდა სიმდიდრისა. მე ვფიქრობდი, სიმშვენიერე წარმოსდგებოდა მხოლოდ ძვირფასი ნივთისაგან. რასაკვირველია, თვით ძვირფასი ნივთი იქნება გემოვნებით შეშკული. მაგრამ ნივთმა რომ არ დაჰკარგოს თავისი სიმშვენიერე, კაცმა უნდა იცოდეს, სად დასდვას ისა და როგორ მოიხმაროს. სიტყვით, მე არ ვიყავ დაბადებული, რომ ტრფიალებით მესურვა ყოველივე მშვენიერება და ეს მშვენიერება ყოფილიყო სული ჩემის სიცოცხლისა. ნუ გიკვირთ. მართალია, გული. კაცისა მიელტვის ყოველს მას, რაც-კი არის უდიდესი და დიდმშვენიერი. ეს ის არის, რომ კაცი მიელტვის თავის პირველ მდგომარეობასა — დედებასა და ნეტარებასა — რომელიც მას დაუკარგავს. ეს მილტოლვა ტრიალებს გულში და, კაცთ უმეტეს ნაწილში. გარეგნად სრულიად არა სჩანს, დამარბულია, სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ არიან გვამნი, რომელნიც ვერ დაიტყვენ გულში ამ გრძობასა. აღიძვრიან მისგან და მიელტვიან უკეთესობას, განცხრომას, დიდებას, ყოველს მშვენიერებას. ამის გამო დაიბადა გამშვენიერებული ხელოვნება და ჰაწავლა, სიტყვიერება, გემოვნება, ზრდილობა და სხვ.

დასასრული იმათი მოქმედებისა ერთია — დიდება და ბედნიერება, მაგრამ ღონისძიებანი, აწ არჩეულნი მიწვედომად ამ დასასრულისა, არიან სხვადასხვანი.

ესრეთი გარჩევა, რასაკვირველია, წარმოსდგება იმათ სულის სხვადასხვა მდგომარეობისაგან.

ერთის გრძობასა და მდგომარეობასა ძნელად თუ მიიღებს სრულის ძალით მეორე. შეიძლება შევიყვარო რომელიმე ჩინებული ქმნილება კაცისა, მაგრამ ამ კაცის გრძობასა, იმის სულსა მე ვერ ჩავიდგამ. ვხედავ კაცსა, რომელიც ცხოვრობს და იცვამს გემოვნებით; მოაწონს იმისი გემოვნება, შემოიძლიან მივბაძო კიდეცა, მაგრამ გულს არა აქვს მიზიდულება განავითაროს ჩე-

მში ვემოვნება. ერთს უყვარს დიდკაცობის დიდება და ელტვის მას, მზათ არის მოიხმაროს ყოველგვარი ღონისძიება, რომ გადიდვაცდეს; მაგრამ მე ამგვარი დიდება არც მიყვარს, არც მსურს. მე მსურს აი როგორი დიდება: რომ ჩემზე მღაღარი ქვეყანაზე არავინ იყოს, მაგრამ მეორეს უკერს ჩემი სურვილი.

იქნება ვკითხონ: თუ ჩემი გული ტრფილებით არ ისურვებს ყოველს მშვენიერებას, მაშ, როგორ-ღა საუცხოვოთ მოვაწყე და მოვრთე სახლი ევროპაის ვემოვნებაზედ?..

აი პასუხი: ევროპიული ვემოვნება მე მეყურება, ვისაც სახლი მომართული აქვს ისე, როგორათაც ევროპიულთ აქვსთ სახლები მორთული ესე იგი. კრესლებითა, სკამებითა, დივნებითა, სტოლებითა, სარკეებითა და სხვ. სინუყვაცა „საუცხოვო“ ვიხმარე ამიტომ, რომ, როგორც ზევით ეთქვი, ყოველგონივით იყო ძვირფასი. ძვირფასი ნივთები განვითარებულმა ვემოვნებამ კი არ ამარჩევინა, ჩემმა გულის მიზიდულობამ კი არ მამაწონა, ჩემის გულის სასამოვნოდ კი არ ვიყიდე, არა, მე ვიყიდე ძვირფასი ნივთები ამიტომ, რომ ყველას ეთქვამო ძვირფასიათ. ამიტომაც კიდევ, რო ჩემმა ცოლმა და შვილებმა ძალა დამატანეს.

იქნება მკითხველმა ისურვოს აუწერო. როგორის ვემოვნებითაც მქონდა მე საუცხოვოთ მოწყობილი და მორთული სახლი ევროპაის ვემოვნებაზე. მამიტყვეთ ჩემო საყვარელო! მე თქვენს სურვილს ვერ აღვასრულებ, რადგან ვემოვნებისა არა გამეგებარა.

მაგრამ უკაცრავოთ. მე თქვენ მოგახსენებთ ორს მაგალითს, შესახებ თქვენის კითხვისა. და იქნება მიხვდეთ რასაც ეძიებთ. პირველი ევროპიულთ მორთული ოთახები მე მქონდა დაკეთილი და არავისთვის არ გავადებდი, მანამ მგჯოლიში არ მექნებოდა. მეორე დღეს შემდეგ წინა თავში აღწერილის სცენისა, მე მქონდა წვეულება. და ამიტომ დილით გავადე ოთახები: სხვა ურიგობასთან, რომელსაც აქ არ ავწერ, ზავერდის ფარდებსა დასდებოდა მტვერი. რომელსაც არ მივაქციე ყურადღება, მანამ ერთმა სტუმარმა (ნათესავმა) მამხილა. მეორე წვეულების გამო ჩემი თამარ მოირთო, იმას ეცო მუქი პირისფერი გლასის კაბა, ყვითელი ლენტის, ოქრომკედით ნაკერის გულის-პირითა და სარტყელითა: ნაკერი ალისფერ ატლასზედ თასაკრავი შემოეკრა და ალისფერი კოპი ჩაედო. ისევე ის ბრილიანტები, მარგალიტი და ოქრო გაეკრებინა. რომელნიც მქონდა თეატრში. ხელებზე ჩაეცო თეთრი ფერჩატკები მოდიდრონო. ადვილად ჩასაცმელი და გასახდელი. რომ არ შევცოდო, ჩემის ქალის სამკაული. რომელიც ზედ მქონდა იმ დღეს, ღირდა ორას თუმნად, მაგრამ არავლიშვილის ცოლმა შენიშნა, რომ ჩემ თამარს ვერ შეეხამებინა ტანსამოსი.

განვავრძელოთ ახლა ჩვენი ისტორია.

მოაწია სადილობის დრომ და მოწყობილი სტუმრები შეიკრიბნენ. გარდა რანდიძისა. რომილმაც დაიგვიანა. სტუმრების შემოსვლის დროს, მე შევნიშნე იმათ სახეზე პირმოთნობა. ყველამ, გარდა არავლიშვილის ცოლ-შვილისა, უგემურად და თითქოს უნებურად შემომღრიჭა, მიაღერსა, ზოგმა ქება შემასხა, ზოგმა დამლოცა, მაგრამ ცხადად ეტყობოდათ, რომ ამას იქმოდნენ დაზალსულობით.

ქალები, სტუმრები, ძლიერ იყვნენ დართულნი, ამათში ერჩევოდა არავლიშვილის თერაპიტის წლის ქალი, სახელი მისი ელინე. არ იყო, როგორც იტყვიან, კალმით ნახატი მშვენიერი, არ უბრკვევიალებდნენ ბრილიანტები,

მაგრამ ელენემ დასწავრა ყველანი. იმასთან ყველა დაზნულდა. პირველში უსიამოვნოდ შეიქმნენ ყველანი. ნახეს რა თავიანთი დამჩაგრავი. შემდგომ კი, როდესაც ნახეს ელენეში ზრდილობა, თავისუფალი მიზერამოხვრა, ტკბილი და აღურსიანი სიტყვა-პასუხი, კეთილი გული, ამასთან ქალი ფაქიზი, ღამაზი, თითქმის უნაკლები და გემოვნებით ჩაძვლი, ისე შეიყვარეს, რომ ერთმა ქალთაგანმა მოთხრა: „ეს ქალი (ელენე) რო ჩაიყლაპებოდეს. შენს სადალს აღარ ვინდომებდი და მაგას ჩაეყლაპავდი, ასე შემეყვარდაო“.

ჩემი სოფლი ამირიზა და მრუდის თვალთ მიყურებდა ელენეს მოპატივებისათვის. თამარ ზომილიანა და დაიკარგა ამიერსოფლიდან. ვერც ელენეს იმასთან მუსაიდობამ, ვერც საზანდრებმა ვერ დაამშვიდეს საცოდავი თამარ. მოვილა რაინდიძეცა.

რაინდიძემ ჭრე ერთობლივ ყველას თავი დაუტყრა. მერე ხელი ჩამოართო ჩემს მეუღლეს და ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის. მერე მივბრუნდა თამარს, ხელი ჩამოართო. მოიკითხა და მაშინ თავი დაანება, როდესაც მოხერხდა თამარის სიჩუმითა: უკანასკნელ მკვიდა ელენესთან. ორივეს ლოყები შეუბროწავდათ.

— მე თქვენ გემდურით, — უთხრა ღიმილით ელენეს ალექსანდრემ.

— მეც თქვენ გემდური, — უპასუხა ელენემ აგრეთვე ღიმილით.

— თქვენ რათ მემდურით? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— ჭრე თქვენ მიბძანეთ, რათ მემდურით?

— მოგახსენებ. ჩემს ვიზიტს არ მოუცადეთ, როგორც აღმითქვით.

— თქვენმა სიცოცხლემ, სამის ნახევრობამდინ გელოდენით, ამაზედ მეცა ლოდიანი აღარ შეიძლებოდა, ამიტომ, რომ შევაწუხებდით სოლომონ ისაიჩნა და იმის სტუმრებსა.

— ახლა თქვენი რიგია. მიბძანეთ, რათ მემდურით? ჰკითხა ალექსანდრემ.

— ამიტომ, რომ თქვენ მე მემდურით. ნეტავი ჩემზედ ძვირი გული არავინ იქონიოს!

— მამიტევით, მამიტევით! მე ვარ თქვენთან დამნაშავე. შევრიგდეთ...

ალექსანდრე ეხუმრებოდა ელენეს და ეს ხუმრობა ყველას იამა, ყველას მოეწონა.

თამარ გაბუვდა.

ამის შემდგომ ალექსანდრე ადგა და გვერდათ მოუჭდა თამარსა. სოფლის და თამარს, თვითან მეც, სიამოვნება გამოგვეხატა სახეზედ.

— მოხარული ვარ. — უთხრა ალექსანდრემ თამარსა: მოხარული ვარ, რომ ევროპიის განათლება გადმოვიდა საქართველოში, რომ ყველა ელტვის განათლებასა; ამასთან უფრო მოხარული ვარ. რომ ჩვენი ძველი დებულება და ჩვეულება, მაგალითებრ ქართული ქალის ჩაცმა და დახურვა მცირედ ვისმე გადუვდიათ. ამ მცირედის ვარდა სხვანი ატყვიებენ, რომ იმთ აქვსთ მამაპაპის თვითმდგომარე ხასიათი. აქვსთ ამპარტავენება დაიცვან თავიანთი საკუთარი ჩაცმა და ხურვა, რომ ქვეყანამ ყოველთვის გვიყუროს და იცოდეს: „ერთხელ ჩვენც ვიყავით და კიდევაცა ვართ“.

ალექსანდრე ელაპარაკებოდა თამარს დაბლის ხმით, ასე რომ სხვათ არ ესმოდათ. საწყალმა თამარმა ტუჩები ძლივ გახსნა და ორიოდ სიტყვა გამოსთქო თავისი სიყვარული ქალის ქართული ტანისამოსისა. ცუდ მდგომარეობაში იყო ჩემი თამარ. თუ ვაგრძელებულიყო იმათი ლაპარაკი, შენი მტერი, რაც დღე თამარს დაადგებოდა! მაგრამ დედამ უშეველა.

— ხომ მშვიდობით ბრძანდებით, კნიაზო? — შეჰყვირა უცებ სოფიომ.  
— რას მიბრძანებთ, თქვენი ჭირი? — ჰკითხა ალექსანდრემ სოფიოს  
— თქვენ მოვასხენებთ, ხომ მშვიდობით ბრძანდებით? — მიუგო სოფიომ...

— „აი, აი, აი!“ — ვთქვი თითქოს მხედაცემულმა და გამოველ მეორე ოთახში, რომ აღარ გამეგონა სოფიოს მესამე მოკითხვა. გონებას რომ მაველი, შემეშინდა, სოფიოს უგუნური ლაპარაკი არ გაეგრძელებინა, და მივიწვიე სტუმრები სტოლზე.

ალექსანდრემ მაშინვე უთავაზა თავისი მარჯვენა მკლავი თამარსა, მარცხენა ელენეს და მკლავმკლავში გაყრილნი შეაყვანა ზალაში, სადაც იღვა სტოლი. დაჯდა და აქეთ-იქით შემოისხა. ქალები დასბნდნენ ერთ მხარეს, ვაკაცნი მეორე მხარეს, ალექსანდრე სუფრასზედ ემსახურებოდა და დროს ატარებინებდა ორსავე თავის ქალს — ელენესა და თამარს.

— კნიაზჩან! — უთხრა ალექსანდრეს ერთმა სტუმართაგანმა არაქელ ნიკიტჩიმ. — კნიაზჩან, ეგ რა ჰქენ, რომ შენ ორი გვრიტი აქეთ-იქით შემოისხი, ჩვენ კი ცალკე ობლებსავით დავგსხი; განა ჩვენ კი არ გვიამება გვრიტებში ჯდომა და იმათი ღულენი?!

— აჰ თავისუფლება და თანასწორობა უნდა იყოს! — უპასუხა ალექსანდრემ. — ვინ დავიშალათ გვრიტებთან ჯდომა?

— მაშ, კნიაზჩან! რახან თავისუფლება და თანასწორობა უნდა იყოს აქა, მოდი ერთი, შენი ჭირი მე ქეიფი გავწიოთ. ის რომელი ფილოსოფოსი იყო, ქეიფი და განცხრომა რომ ჰყვარებია?

— ეპიკური.

— აჲ, ნამდვილი ბრძენი ის ყოფილა. მაგრამ არც თქვენ ბრძანებულხარ ნაკლები... „ეი, ნოე ნუნუას მიუჯდა, წყალი პირუტყვის მიანება“<sup>14</sup> მღერით თქო არაქელ ნიკიტჩიმ და დაასხა სამს სტაქანზედ ღვინო, თეფშზე დააწყო და შეჰყვირა:

— ყმაწვილებო! სმენა იყოს და გაგონება: ყველანი ქალების გარდა ვამიმეორებენ არაქელ ნიკიტჩის სიტყვებს.

ზა ზდაროვიე,

ზა ზდაროვიე,

ნაშემუ,

ნაშემუ,

კნიაზუ,

კნიაზუ,

ალექსანდრუ,

ურაააა!!!

ზა ზდაროვიე,

ზა ზდაროვიე,

ნაშემუ,

კნეიენუ,

ხოროშომუ კნეიენუ

ელენუ,

ელენუ:

ელენუ, ურააა!!!

ზა ზდაროვიე,

ნაშემუ,

ზა ზდაროვიე,

ზა ზდაროვიე,

ნაშემუ,

ნაშემუ,

კნიაზუ,

კნიაზუ,

ალექსანდრუ,

ურაააა!!!

ზა ზდაროვიე,

ზა ზდაროვიე,

ნაშემუ,

კნეიენუ,

ხოროშომუ კნეიენუ,

ელენუ,

ელენუ:

ელენუ, ურააა!!!

ზა ზდაროვიე,

ნაშემუ,

ნაშემუ,  
ნაშემუ,  
თამარუ სოლომონიჩუ,  
ურაააა!!! ურააა!!!

ნაშემუ,  
ნაშემუ,  
თამარუ სოლომონიჩუ,  
ურაააა!!! ურააა!!!

— კნიაზო ალექსანდრე, კნეიენა ელენე, თამარ სოლომონიჩ, — სამნივე კარგი ვვრიტები შეყრილხართ, ღმერთმა გადღეგრძელოსთ! — თქვა არაქელ ნიკიტაჩმა და სამი სტაქანი დალია. იმის მაგალითს შეუდგნენ დანაშთენნი ვეჟკაციც.

— კნიაზოჩან! (სიმღერით ამბობს არაქელ ნიკიტაჩ) „ოდეს ვარდს ბულსული შეტრფოდეს და გრძნობით ეუბნებოდეს, — მეუვარხარ... „ახ, შენიკი ჭირიმე, კნიაზო ალექსანდრე!...“

— არაქელ ნიკიტაჩ, ნება მიბოძე დაგკოცნო ევ დამაქრული ტუჩები, — უთხრა ალექსანდრემ.

— შენი კი ჭირიმე! მზად ვახლავარ სამსახურში!

ალექსანდრემ და არაქელ ნიკიტაჩმა დაკოცნეს ერთმანეთი.

ელენე შეწითლდა.

თამარ ფიქრში იყო წასული. სტუმრები გამხიარულდნენ, მესაზანდრენა გახელდნენ, აღარ ზოგავდნენ ნიჰსა და ცოდნასა, მოვიდნენ გრძნობაში და იმათგან გრძნობით გამოთქმული სიტყვები აგეჟდნენ ყველასა, ნამეტნავად ჭაღებსა, ელენე და ალექსანდრე ხომ აენთნენ, იწოდნენ... მხოლოდ თამარ ვერ გამხიარულდა, თუ ალექსანდრე ელაპარაკებოდა, მაშინ კიდევ გადიყრიდა ნაღველსა. და როდესაც ალექსანდრე დაელაპარაკებოდა ელენეს, თამარ ოხრავდა. მებრალეობდა საცოდავი!

სოფიო იყო ნამეტნავად გელმოსული ელენეზე და ჩემზე. ელენეზე — იმიტომ, რომ ეპვი ჰქონდა, არ დაანებებდა ის ალექსანდრეს თამარსა. ჩემზე — იმიტომ რომ, ის იმის ფიქრით, მე რო ელენე არ მომეპატიენა, ალექსანდრეს მოეწონებოდა თამარ და მაშინ სადღა წაგვივიდოდა. მაგრამ უსაფუძვლო იყო ესა!

მომთინებიდან გამოვიდა დალაქის ქალი, იმას სწყინდა ალექსანდრე და ელენე ერთად რად ისხდნენ: მოინდომა იმათი ერთმანეთთან გაშორება. იმისი რჩევით, მე ვთხოვე არაქელ ნიკიტაჩსა, გადაეპატიებინა მცირედ ხანს თავისთან ალექსანდრე. არაქელ ნიკიტაჩმა ასარულა ჩემი თხოვნა, ალექსანდრემ — არაქელ ნიკიტაჩისა. მე დავიჭირე ალექსანდრეს ადგილი სუფრის ალება-მდის.

სოფიო გამხიარულდა, თამარ ეგრეთვე, ელენე დაიჭრა გულში, შხამად შეერგო სადილი და სიამოვნება...

## VI

— კაცი უნდა დაბერდეს და არ იცოდეს, რა არის იმისი სასარგებლო, რა არის საუნებელი! რად მინდა ჰქუა, თუ წინათ არას მოვიფიქრებ, რად მინდა თვალები, თუ არარას დავინახავ. არ გავარჩევ! რა ჰქუაში მომივიდა ელენეს მოპატიებება, თამართან ახლო მოსმა! აბა, თქვენი ჭირიმე, თამარ ელენესთან რა გამოჩნდებოდა! სილამაზე იქით გადავსდოთ, მაინც კიდევ ელენე ზრდილობით, სიტყვა პასუხით ძლიერ მაღლა იდგა თამარზე. ელენე გამოსულია საზოგადოებაში, ნასწავლია, ნაკითხია. ელენეს მრავალი მასწავლებელი ჰყოლია, მრავალ კავალერებთან დრო გაუტარებია; ახლა არავისგან არ შეკრთება,

ანას ნერწყვი ვერ დაუბამს. გავლაში მუსლები არ მოეკეთება და მრადი-  
მრუნდვით არ გაივლის. თამარილა?! რომელს სასწავლებელში გაზარდე? რო-  
მელს საზოგადოებაში გამოიყვანე? თექვსმეტის წლისა ციხისუბნის ქოხში,  
კანკაბის სადგომში. არ მოჰყარე...

— რა ვინდა. დედაკაცო ჩემგან?

— როგორ თუ რა მინდა! ის დრო წავიდა. როდესაც ვასაოცარს მოთმი-  
ნებაში გყვანდი! როგორ მოვიფიქრებდი, რომ სოლომონ მეჭლანუაშვილი,  
ვაქონილი. მიგლეჯილი-მოგლეჯილი. იყოს მილლიონის პატრონი! როგორ  
წარმოვიდგენდი, რომ შენ გქონდა მიწაში დამარხული მილლიონი მაშინ, რო-  
დესაც მე, შენის სიყვარულით და ხათრით, დავეთრეოდი ცისმარი დღეს, ---  
სიცხეში. სიცივეში, აედარში, — სავაჭროს ვყიდულობდი, ვყიდდი და პერს  
ვაქმევდი!

— რას იქმობი.

— არ მოვითმენდი, შენს მზემ, ენით გამოუთქმელს მწუხარებასა. მაშინ  
მეგონე შენ უკანასკნელი გლახაკი, და რომ სიგლახაკის გამო ვნება არა შე-  
ვმთხვევიყორა. მე ვითმენდი, გემონებოდი, არასფერში არ გაწუხებდი. მაგრამ  
მე ძველს ვალს არა გთხოვ. მე გთხოვ, უპატრონე შენს ქალს, რომელიც წუ-  
ხელის მთელი დამე ოზრავდა და სტიროდა. როგორც თავი აშალე, ბოლოც  
ისე გაადევნე. ჩვენ არც ვიცნობდით რაინდიქსა, არც ფიქრში მოგვსვლა  
იმისთანა დამოყვრება. ნულარ იგვიანებ, ეხლავ შეუდეგ საქმესა!

— ეპე — ჰე! ავრე სწრაფათ ვინ მოგცა ჩემზედ უფლება. ქალბატონო! „მო-  
მილოცავს თეიმურაზ პოლიცემისტერობა!“

— რად მაშფოთებ! შენმა მზემ, ღვთის მზეს ვფიცავ. თამარს მისცემ რა-  
ინდიქსა!

— ჰა, ჰა, ჰა! როგორ ხარ დამტკიცებული მაგ შენს აზრზე?

— როგორა? ფულით ავუხვევ თვალებსა. ფული ძლიერია.

— მართალია, მაგრამ ძლიერსა და თვითმდგომარე ხასიათსა ფული ვერ  
აუხვევს სთვალებსა.

— როგორ იცი, რომ რაინდიქე თვითმდგომარე ხასიათისა არის? როგორ  
იცი, რომ იმას დღეს ფული არ უჭირს? როგორ იცი, რომ ფული იმას არ და-  
უბრმავებს თვალებსა?

— არ ვიცი, მაგრამ ასე უნდა ვიფიქროთ.

— მაშ, ხომ უნდა გამოვცადოთ, ვეცადნეთ!

— დიალ, დიალ, ჩემო საყვარელო, მაგრამ რომ არ მოხდეს, რასაც ჩვენ  
განვიგულებთ?

— შეუძლებელია! დარწმუნებული ვარ!

— მაინც გკითხავ, რომ არ მოხდეს?

— მოხდება, თუ ეცდები!

— მე ვეცდები, ისე ვეცდები. როგორც სხვა არავინ ცდილა, მაგრამ მე  
მინდა ვიცოდე, რასა იქ, რომ არ მოხდეს?

— განა ავრე უიმედოცა ხარ? ცხადია, ფულს ვერ გამოიმეტებ.

— გარწმუნებ, დიდძალ ფულს გამოვიმეტებ, მაგრამ რომ არ მოხდეს?

— უნდა მოხდეს, უთუოდ უნდა მოხდეს, გეყურება? მე ხომ უკანონო  
შვილზე არას გეუბნები, შენს სჯულიერს შვილზე გელაპარაკები.

— ვთქვათ, სოფიო — ნუ კი ანჩხლობ, გული დაიმშვიდე — ჩვენი სა-  
ცხოვრებელი მივეცი თამარს მზითვად. კეთილი, ახლა ესეც წარმოვიდგინოთ,  
რომ რაინდიქს უყვარდეს სხვა ქალი და ჩვენი საცხოვრებლის გამო თავის



არჩეულ საყვარელს არ გადუღდგეს, მაშინ რა უნდა ექნათ? ამას გკითხავ.

— შენ რა გავცხადებ?

— მოგახსენებ. მე ყოველს დონისდაებას მივიღებ, რომ თამარ შვერჯო-  
ალექსანდრეს და, თუ ვინცოდა ვერ მივწვდი ჩემს საწადელს, მაშინ შორს  
და მშვიდობით! სხვას მოვძებნი. ცოტანი არიან ყმაწვილკაცები, განათლებუ-  
ლნი და კარგის ოჯახისშვილნი.

— ისინი თქვენ შვირთეთ! წამოიძახა თამარმა, ამის გამგონი რაღას ვი-  
ქმოდ! გავედ მეორე ოთახში.

მკითხველი, რასაკვირველია, მიხვდება, რომ ეს ლაპარაკი იყო მე და  
ჩემს მეუღლეს შორის.

ამ შფოთისა და უსიამოვნობისა მეორეს მხრით მე ვიყავი მიზეზი. პირ-  
ველშივე, რა წამს დავინახე რაინდიც, მაშინვე ეს ყმაწვილი კაცი მე განე-  
გულე გულში ჩემ სასიძოთ. აკი ღმერთი გამიწყრა და გამოუცხადე ეს აზრი,  
ჩემს სამწუხაროთ, ცოლსა და ქალს! ამათაც გულში დაინერგეს და... მკითხვე-  
ლმა ნახა რაც შედგომილება ჰქონდა ამას. არ უნდა გამომეცხადა წინათ ჩემი  
განზრახვა!

— „უდა ბედის მონახვერეო“ ნათქვამია. ამ ანჯაზანედ დანყარებულმა,  
მე უნებლიეთ ერთის მხრით და ჩემის სურვილითაც მეორეს მხრით, დავაპირე  
წასვლა მაკრინე ტუჩმოხეულიშვილისას.

თუ გნებავთ, მკითხველო, გაიცნათ მაკრინე ტუჩმოხეულიშვილი, მოის-  
მინეთ; მაკრინე დღესაც სუფევს. ის იყო ქალი... და მეუღლე... მაგრამ დარჩეს  
საიდუმლოდ. აგერ დიდი ხანია რაც დაქვრივდა და ქ. ტფილისს ვერ შორდება,  
თუმცა ტფილისი მისგან მობეზრებულია. რომელს სახლშიაც შეხვალთ, ის იქ  
დაგხვდებათ, რომელს ეკლესიაშიც მიხვალთ, ისიც იქ დაგხვდებათ, მაგრამ,  
ვაი თქვენი ყურების ბრალი, თუ შეხვდით იმას სადმე! — საგანი იმისს ტუჩ-  
მოხეულობისა არის განკითხვა თქვენი, ჩემი, იმათი, ქვეყნისა. მაგრამ მეორის  
მხრით დაუფაებელი სასარგებლო დედაკაციც არის. როგორ? თუ დაგვირდეთ  
ფული, მიმართეთ მაკრინესა და ორ საათზე მზად იქნება; თუ მოგწონსთ რა-  
მელიმე ქალი და გსურთ მისი შერთვა, ბერს თავს ნუ იტყენთ, მიბრძანდით  
მაკრინესთან, გამოუცხადეთ თქვენი სურვილი და, გარწმუნებთ თქვენ, მესამე  
დღეს დაგავიგრავინებს თქვენს ძვირფასს საყვარელთან.

მაკრინე ტუჩმოხეულიშვილისას მე დაახლოვებით ვიცნობდი. თუმცა ყუ-  
რები მქონდა იმისგან დახეული, მაგრამ ამ ყამად უთუოდ უნდა მიმემართა  
იმის მკვერმეტყველებისათვის.

— ეტლი მზად არის. სად მიხვალ სოლომონ ისაკიჩ?

მკითხა სოფიომ, რომელიც უცებ შემოვიდა ჩემს ოთახში მორთული, ფერჩატ-  
კებჩაცმული და მანტილაში გახვეული.

— მე მივალ მაკრინე ტუჩმოხეულიშვილისას, რომელიც მინდა მიუვგზავ-  
ნო შუამავლად ალექსანდრეს. იმაზედ უკეთესს ვლას მიუვგზავნი! შენ სადღა  
მიღიხარ?

— კარგა გფიქრია, სოლომონ ისაკიჩ! მაგრამ, რაც უნდა იყოს, შენ  
იმდენი არ შეგიძლიან ამ საქმეში, როგორათაც მე. ამასთან სად ერთის თქმა,  
და სად ორისა, სად ერთის ჰკუა. და სად ორისა!

— შენც აპირებ წამოსვლასა?

— სწორედ.

— გირჩევ, არ წამოხვიდე.

— რატომ?

— დამიშლი.

— ნუ სწუხარ.

— ჩვენ მაგიერ მამაშენი რო ყოფილიყო, აღარასფერო საწუხარი არ შექნებოდა, მაგრამ შენ...

— შე მამაჩემის შვილი ვარ. მენდე.

— ბევრს კისრულობ, შენი ნება იყოს!

\* \* \*

— სოლომონ ისაიჩი, სოლომონ ისაიჩი! მოგვილოცავს.

— მოგვილოცავს, სოლომონ ისაიჩი.

— გაგიბედნიეროს!

— ბედნიერი იყოს!

ამ ღალადით შემომეხვევენ მრავალნი მცნობნი, როდესაც ჩამოვიარე ჩემის მეუღლით თეატრის წინ.

ფატონი დავაყენებინე.

— რას მილოცავთ. ყმაწვილებო? — ვკითხე მე.

— ღმერთმა გაგიბედნიეროს, სოლომონ ისაიჩი მოხარულნი ვართ შექმარიტად! — მითხრეს მცნობთა.

— რას მობრძანებთ, ყმაწვილებო?! რას მილოცავთ, გამომიცხადეთ!

— ქალის დანიშნასა.

— ვიხე? როდის? — განკვირვებით ვკითხე მე მცნობებს და პირ-ყვარი დავიწერე.

— გუშინ დაგინიშნავს რაინდიძეზე.

— სიცრუვე მოგხსენებიათ, თქვენმა სიცოცხლემ?! ვინ მოგახსენათ?

— მთელი ქალაქი და ეს ამბავი!

— მართლა მიბძანებთ?

— ეს არის, ახალ ამბავად გვიხბრა ალექსი კერპაძემ!

— იმისაგან როგორ რა დაიჭერება. განა არ იცნობთ კერპაძეს, რაც კაცია!...

ეს ჭორი ასე გვეწყინა მე და ჩემს მეუღლესა, რომ მკვდრებს თურმე დავემსგავსენით.

რადგან კერპაძე უცებ შამოვიდა მომქმედ პირად ამ ჩვენს ანბავში, ამიტომ მეც მოგახსენებთ იმის ვინაობას.

კერპაძე რა გვარის კაცი იყო, ან რა ხარისხისა, არ ვიცი. პირველში ეჩვენებოდა ხალხს დარბაისელ კაცად; ამიტომ ყველამ კარი გაუღო. მაგრამ სწრაფათ გამოიჩინა მოუთმენელი და შეუსაბამო ხასიათები. სხვა საქმე არა ჰქონდა, გარდა ორისა: დილით ადრე დაჰბადავდა რაიმე სიცრუვესა ანუ უღალადობისა რომელიმე ოჯახში, უანობდა ახალ ანბავად განგებ, ეგების სადილათ დარჩენილიყო. — ამიტომაც იმას დაარქვეს მეტი სახელები: „მუცელ-ღმერთა, მუჭა-ტყუილა“ — განა სწყენოდა ვისმე იმისი ახალი ანბავი, ისე არ შეირცხვენდა. ზოგნი ითმენდნენ იმისს ლირფობას, ზოგნილა ითხოვდნენ სახლიდამ. მაგრამ იმას, როგორათაც კედელსა, არ ესმოდა. იყო კერპი; ძალით ალებდა კარებსა და შედიოდა იმ სახლში, სადაცა არავის იამებოდა.

ვანქის უბანში,<sup>15</sup> ვიწრო და დახველანჯულ ქუჩებში, იდგა ახლად აშენებული ორსართულიანი სახლი. ზემო სართულში ვიდაცა უცხო მოსამსახურე ავიდა და დაბეჭდილის წიგნით. ამ მსახურს აყევით ციკაბო და ვიწრო კიბეზე მე და სოფით.

— მაკრინე შინ ბრძანდება? — შევეყვირე მე.

— შინ გახლავარ, შემობრძანდით... აჰ! თქვენა ხართ, სოლომონ ისაკიჩი?! აჰ, ჩემო საყვარელო, დამო სოფიო! როგორ? საიდგან? რას მივაჩემო!..

— დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე! ეს არის, ასლა მოვდიოდი კნენინა ბარბარესთან! დილას მოეწერა წიგნი, მთხოვს, დღეს ერთად გავატაროთ დრო. აღარ არის მოსვენება, თქვენმა სიცოცხლემ, დიდკაცობისაგან, ყოველ დღე, ხან ერთი მეტატიეება, ხან მეორე... ნეტავი კვირაში ერთ დღეს მომცენ თავისუფლება!.. უკაცრავათ, თქვენი ჭირიმე! წიგნი მაძივიდა, ვნახოთ რასა მწერენ.

მაკრინემ სათვალეები გაიკეთა და წაიკითხა შემდეგი:

— „მაკრინე!

შენი ნათესავი, შენი საქებარი და საყვარელი ალექსანდრე რაინდიძე, რომლითაც თავს იქებთ, დანიშნულა სოლომონ ისაკიჩ მეჭდანუაშვილის ქალზედ.

მომილოცავს, ხა, ხა, ხა!!!

ალექსი კერპაძე“.

— ქა, ნიშნობა გქონიათ, ჩემი ნათესავი ყმაწვილი კაცი ალექსანდრე დაგინიშნავთ თამარზე და მე კი არ დამპატოებენ?! თქვენ ნუ დამეხოცებით, გადავახდევინებთ!.. მომილოცავს. დიდათ მიამა, თქვენმა მზემ! დაიცადოს იმ საძაგელმა ალექსანდრემ. მე იმას ვეჩვენებ თამაშს.

— სიცრუეა, ბატონო! ნუ დაიჭერებთ! ვინა გწერთ ნაგ წიგნსა? — კვითხე მე:

— ალექსი კერპაძე.

— სწორედ იმისი დაბადებულია ეგ ქორი.

— რას მიბრძანებ! განა დანიშვნა ტყუილია?

— ტყუილი გახლავს, თქვენმა მზემ!

— მაშ რას მიქარავს სულელი კერპაძე. იპ, შეარცხვინა ღმერთმა! შექორაობისაგამ ხელი არ აიღო!

— ეგ კი იქნება ტყუილი გახლავს, მაგრამ ეგ საგანი ჩვენ გულთან ახლოა. კერპაძეს ენამ უყივლა, იქნება მოხდეს?! — უთხრა სოფიომ მაკრინეს.

— რას მიბრძანებ, თქვენი ჭირიმე? — ჰკითხა მაკრინემ სოფიოს.

— მე მოგახსენებ, ნეტავი მოხდეს, რომ ალექსანდრემ, თქვენის შემწეობით, შაირთოს ჩემი თამარ!

...მაკრინე დაფიქრდა.

— თქვენ მოგმართეთ ამიტომ უფრო, რომ თქვენი ნათესავია ალექსანდრე, პატივი გძევსთ.

— ნათესავი როგორ არ არის! იმისი დედის ბებია და მამიდა ჩემი ბიძაშვილები ყოფილან... ბატონი ბძანდებოთ!.. მაგრამ ცოტა ექვეშიაცა ვარ... იმას მგონია, თვალი უჭირავს ერთ ქალზედ... მაგრამ ეს არაფერია. ალექსანდრეს უურს დაუქერ და საითაც მიწა იქით წაივყვან. — მზითევი რა აქვს ქალსა?

— ხუთასის თუმნიდან დაიწყეთ, ათასს თუმნამდინ აღით, ხუთასის თუმნისასაც მივცემ სამკაულსა და სხვა, მიუგე მე.

— მე სწორეთ მოგახსენებ... მაკრინე, — უთხრა სოფიომ: სამიათასი თუმანი ფულათ, ათასის თუმნისა მწითევი; თქვენი გასამჭელოც ასი თუმანი.

— არა, როგორც მოგახსენე, ხუთასის თუმნიდან დაიწყეთ, აღით ათასს თუმნამდინ.

— მაგ მზითვით ალექსანდრე არ შაირთავს.

- სუთასიც სხვა დაუმატეთ.
- ამა (ჩემსუც უსვენს) უერს ნუ უგდებთ, თქვა სოფიომ: სამრათსა და ათასი თუმანი, ასი თუმანიც თქვესავის - ვადაწყვეტილია.
- ჰო, სოლომან ისაკი! მითხრა მაკრინემ; გამოიმეტეთ.
- მეც ცოდვა ვარ!
- ნუ სტირი, შე დალოცვილო! მილიონის პატრონი ხარ! სამი და ოთხი ათასი თუმანი თქვენთვის რა ფულია!
- გული მამდიოდა სოფიოზედ. მაგრამ რალას ვიქმოდი, თანახმა შევიქვენ.
- იმედი მაქვს ამ ერთ კვირაზე გაარიგოთ საქმე.
- თქვენი ჭირიზე, რალას გეხვეწოთ! — უთხარით მე და სოფიომ ერთის ხმით.
- ვეცდები, უთუოდ ვეცდები.
- საიდუმლოდ იყო ეს საქმე! უთხარ მე მაკრინეს დაღრეჯით.
- რასაკვირველია!
- ამასთან, თქვენი მხრით ურჩიეთ ალექსანდრეს, ჩვენ ვითომ არა ვიცით რა, ნუ გამოგვაჩენთ.
- აბა, რასაკვირველია, ეგ ხომ ეგრე იქნება!
- პასუხს როდის შევიტყობთ? — ჰკითხა სოფიომ მაკრინეს.
- მე შეგატყობინებთ... მშვიდობით!..
- რაზე დამლუბე და დამანელე! — ვუთხარი მე მრისხანებით სოფიოს, როდესაც ჩავსხედით ფაეტონში, — მაგისტვის წამოხვედი?
- სწორედ მაგისტვის წამოვედი! ალექსანდრეს თვალები აეხვევა მზოდ ფულით, ბლომა ფულით.
- ნეტავი თამარ გაბედნიერდებოდეს-და! ეპ, შვილს ხომ ვერ ვუღალა ტებ! მითამ ოთხი ათასი თუმანი არა მქონია!..

## VII

იმ დღეს, საღამოს, როდესაც კერაძემ ურცხვად მოჰფინა ჰორი მთელს ქალაქში რაინდიძის დანიშვნაზე, თავად არაგვლიშვილის ცოლსა და ქალსა (თვითონ ამირან არაგვლიშვილი იყო იმ დროს დალისტანში სამსახურის გარეშე) სტუმრად სწევოდნენ: კნეინა ეფემია N, კნეინა სალომე N და კნეინა ხორეშა N. ეს სამნი და მეუღლე არაგვლიშვილისა — ქეთევან, იარალაშს თამაშობდნენ. ელენე იჯდა საშუალ ქეთევანისა და ხორეშანისა, სტოლის კუთხისკენ, მაგრამ ვერ იყო დამშვიდებული, თითქოს ვიღაცას მოელოდა. მოუთმენლობით ხშირად ადგებოდა ხოლმე და დაჯდებოდა, ხან გაივლიდა და გამოივლიდა. მცირედ რისამე გაფაჩუნებაზე უცებ წამოხტებოდა და თვალი კარებისაკენ დარჩებოდა, და თუ ვინმე ქუჩის კარებს დაარახუნებდა, ელენე მაშინვე უბრძანებდა მოსამსახურეს, კარი გაეღო. ელენეს მოუთმენლობას მიხვდა დედა, სხვები კი ვერას მიხვდნენ, რადგანაც იყვნენ ქალაღმში გართულნი.

— თქვენმა სიცოცხლემ, ქეთევან, ვერ გამოხვედი კარგა, — უთხრა ხორეშანმა: ჩემი მასტი აკი გამოგიტარე, პაქს უნდა ჩამოსულიყავით.

— არა თქვენმა სიცოცხლემ, — უთხრა ქეთევანმა: მე პიკი ძალიან მძაკს, და გამოვდივარ რომელი მასტიც უფრო მიყვარს — ბუბნსა.

— რა პასუხია, თქვენი ჭირიზე! სიყვარულით ხომ არ არის მასტის არჩევა; გარწმუნებთ ვერ მოვიგებთ.

— როგორ ბრძანდებით დარწმუნებული, რომ ამ საათს წათელი არ აჯობებს 'შავს'?

— გარწმუნებ, სრულიად არ გცოდნიათ თამაშობა. მოგვიგებენ! მოგვიგებენ!..

— გარწმუნებ, ვერ მოგვიგებენ.

— ქალო რას მიბძანებთ! ოთხი ლევი კიდევ აიყვანეს; მაიორებიც ამათ ექნებათ, როგორც ვხედავ, ერთის გარდა რომელიც მე მაქვს.

— ოთხზედ მეტს ვეღარ აიღებენ, ოთხივე ტუზებიც ჩვენია; აი, თუ არა გჯერაო; ეს ერთი ბუზნი, ეს მესამე... ბოლომდინ სულ ბუზნი!

ხორეშანს ეთაკილა, რომ ვერ მიუხვდა ქეთევანსა და თუმცა მეორეს მხრით იამა მოგებაცა, მაგრამ მაინც კიდევ საჭიროთ დაინახა, ლაპარაკი გადეტანა სხვა საგანზედ.

— დღეს ერთი ამბავი ხომ არ მოგეხსენებიათ, ქალებო!

— რომელი ანბავი? — ჰკითხეს ერთათ ქალებმა.

— ჩვენი რაინდიც ხომ დანიშნულა.

— ეგ მეც შევიტყე, — სთქვა ეფემიამ ცივათ.

— მე დილაზე შევიტყე, — წამოიძახა სალომემ და მოიქცენა პირისახე.

— ვინ მოგახსენათ, ქალო ეფემია? — ჰკითხა ხორეშანმა.

— კერპაძემ.

— მეც კერპაძემ მითხრა, — თქვა სალომემ და თავი გაიქნია, თითქო ეზიზღა რაღაცა.

— მეც, შენ ნუ მომიკვდები! — უთხრა სალომემ ხორეშანსა.

— ეს კერპაძე ძალიან კაცი გამოვიდა! — სთქვა ეფემიამ, — რასაც კი წაიკითხავს, ან გაიგონებს, შეუძლიან ერთ საათს სულ მოჰფინოს მთელ ქალაქში! მე იმისთვის დამირქმევია — ტელეგრაფი.

— სახელს ნუ უკეთებთ, დედაშვილობას! — უპასუხა ხორეშანმა. — რაც დაერქვა, დაერქვა! „მუჭა-ტყუილა“, „მუცელ-ღმერთა“, ზედ გამოჭრილია ეს სახელები...

როდესაც ეს სამი ქალი ასე გულგრილად ლაპარაკობდნენ რაინდიძის დანიშვნაზე, ქეთევანის და ელენეს გულში აუგზნო ცეცხლი ამ ახალი ამბის გამო. დედა და ქალი გახდნენ, როგორათაც ტყვიით გულში დაჭრილი კაცი ამათა კიდევ ბედი, რომ სტუმრები იყვნენ გართლნი ლაპარაკში და ვერ შენიშნეს იმათი საცოდაობა ქეთევანისა და ნამეტნავად ელენესი, რომელსაც თავბრუს დაეღვინა და გულმა ღონება დაუწყო. ამ მდგომარეობაში იყვნენ რამდენიმე წამსა და, თუ გაერცელებულიყო ეს მდგომარეობა ერთს ან ორ წამს, სტუმრები მიხვდებოდნენ და ახლა დიკობოდა იმათი თავმოყვარეობა!

თავმოყვარეობამ უშველა იმათ: გამხნეულენ და გონებას მოვიდნენ. ქეთევანმა, ხელების კანკალით, ქალღი დაარია, ელენემ ხველა განგებ აიტენა. ხელსახოცი პირზედ მიიფარა და გავიდა ოთახში, რომელიც შიგნიდან ჩაიკეტა.

როდესაც ელენე გავიდა, ქეთევანს ეწვივნენ ყმაწვილები. ლუარსაბ... თეიმურაზ... სიმონ... ელიზბარ... თონიკე... და რევახ...

— ჩემს ბიძაშვილს, ხორეშანს ვახლავარ! — უთხრა ლუარსაბმა ირონიით ხორეშანსა. — ხორეშან, ცოტად მობერდი, მაგრამ ისევ ლამაზებსა სჯობიხარ! ქეთევან, მშვენიერთა ხელმწიფავ! შენ თუნდა დაბერდე, ისევ და ისევ ეგ იქნები! აჰ, ჩემო სალომე! დღეს მურაბა რომ გამოგეგზავნა, იმაზე კიდევ უტკბესი იქნებოდი, რომ... ახ, ჩემო ეფემია, რამ დაგბადა აგეთი?

სხვანი-ლა ყმაწვილები, თუმცა ცდილობდნენ, რომ ჩვენებოდნენ მხიარულად, მაგრამ რალაცა უცივებდა იმათ ტუჩებზე ღიმილსა და ვერ იყვნენ ჩეულებრივ თამამნი.

— კიდევ და კიდევ ცელქი ხარ, ლუარსაბ? — უთხრა ზორეშანმა: იქნება, ყმაწვილო, უცხოთანაც აგეთი ცელქი იყო!

— აზნაურთან აზნაური ვარ, დარბაისელ გლეხთან დარბაისელი გლეხი ვარ, უცხოთან ბრძენი ვარ. შინაურებთან — როგორც თქვენთან, თამაში ვარ, სიტყვით და საქმით არავის ვაწყენ; ასე ვარ დაბადებული! უცხო ადგილს რო გნახო, სარწმუნო უნდა ბძანდებოდეთ, იქ შენს სილამაზეს არ ვაქებ.

— შენ ნუ მამიკვდები, ლუარსაბ! თუ ნამდვილად აგეთი ხარ, წმინდა შამა იქნები, — უთხრა სალომემ.

— რა მაგ სიტყვის პაუხია, და სად არის ჩემი ლამაზი ელენე? — იკითხა ლუარსაბმა.

— ეს არის ეხლა გავიდა, — უპასუხა ქეთევანმა უგულოთ.

— მართლა, გაიგეთ, ქალებო, ახალი ანბავი?

— ვიცით, ვიცით, ნუ შესწუხდებით, ვიცით! — წამოიძახა ზორეშანმა დიდ-გულად.

ქეთევანს ფერმა გადაჰკრა.

— რაინდაძის დანიშნა?

— დიალ. დიალ! დილასვე გავიგე.

— რა სიტუტუტე მოსვლია, ალექსანდრეს! მზითევი, არ ვიცი, რა მიუციათ, ქალიცი ცუდი რამ არის თქვენმა სიცოცხლემ! და იმ სულელმა როგორ უნდა გარიოს თქვენში იმისთანა უმსგავსი!

— უი, ჩემს სიცოცხლეს! ეგ რა მითხარი! განა მართლა ცუდია? — ჰკითხა ზორეშანმა.

— ბატონი ხარ აგიწერ; მაგრამ — რალა აგიწერო! შენის თვალთ მალე ნახავ. — ნუ, ნუ, ნუ, პიკს ნუ ჩახვალ, — უთხრა ლუარსაბმა ზორეშანს; — გადადი ჩერვსა... აბა, კნენა ქეთევან — ჩერვები სულ თქვენია!.. ბაშადაუნუმ ქეთევან!..

— ამაღამ რა დამართებით ქალაღებს! მე სულ პიკები მამდის, ქეთევანს კი ბუბნები და ჩერვები, — თქვა ზორეშანმა.

— ლუარსაბ! დრო გაატარე ჩემ მაგიერ! — სთხოვა ქეთევანმა.

— ბატონი ბძანდებით!

ქეთევანი გავიდა ქალთან. ქეთევანი იყო ძლიერ მოწყენილი.

— მე გატყობთ, ყმაწვილებო, დღეს ექვსივენი ერთად ყოფილხართ. სად იყავით? — ჰკითხა ზორეშანმა და გადახედა ყმაწვილებსა გამომცდელის თვალთ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ამ ქალებისთანა... თუ ყველა არ გაიგეს, თუ ახალი ამბავი წამდამას არ შეიტყვეს, ვინ იცის, რა დაემართებათ! საიდან წარმოსდგება ეს სულმოკლეობა იცი, ბებრუტუნა? — უსაქმობისაგან! ოჯახისაგან ხელი ავიღია და ქალაქში იარალაშს თამაშობ. უსაქმო კაცი ღობე-ყორეს ეღება.

— რა არის, ლუარსაბჯან! ჩვენც ადამიანის შვილები ვართ. გვინდა ვიცოცხლოთ ქვეყანათაზედ, გვინდა ვიცოდეთ, სად რა მოხდება, ვინ როგორ არის!

— რახან გსურს, მოგახსენებ: დღეს კარგი ჭკუა მოუვიდა ამ ყმაწვილებსა. ამიტყდნენ და წამიყვანეს კლუბში. ყველამ ვითამაშეთ ქალაღდი და, აი მოიხსენეთ, თუ თქვენს ყურებს ეკლად არ მოხედება: ამ შენმა ძმისწულმა თონი-

ემ წაავო სტოსში სმოცდათი თუმანი, რომელიც პრიკაზისათვის ჩამოიტანა და ცარიელი დაბრძანდა. თიმიურანმა წაავო ლანცეტში ოცდათუთმეტი თუმანი და, მგონია, ხეალ ამირებს წასვლას სოფელში, რომ კიდევ ჩამოიტანოს. სიმონმა ითამაშა ნარდი და წაავო ოცდაათი თუმანი, პრიკაზისათვის ჩამოიტანილი. ელიზბარმა წაავო სტოსში ორმოცდათი თუმანი. რევაზმა მოიხატა ჩვენ გარდა ათიოდე სხვა მუქთანორა კაცი და ათი თუმანი გადინადა.

— შენ რაღა წააგე? — ჰკითხა ლუარსაბს ხორეშანმა.

— მე მოვიგე ოთხი მანეთი და შვიდი შაური იარაღაშში. მე ძნელათ თუ წაავო ფული ქალაღღში, და თუ წაავაგე ხუთ მანეთზე ზევით, პრაშაი!..

— შენ, ჩემო თავო! რა სახით მეწყინა! — აქ მო, თონიკეჯან, გაყოცო!.. გულში ხომ დარდაღ არა გაქვს? დიაღ, აგრე, თონიკეჯან, ფიქრშაღ ცუ გავიტარებ!.. უთხრა ხორეშანმა თონიკეს ასეთის აღერსით და სიტყობებით, რომ თვითქოს ეუბნებოღა: წადი და კიდევ ითამაშეო.

ქაღები მაინც უფრო ნარნარის გულისანი არიან, გული ატყობინებს იმათ, რომ შტრიაღღით და მხეცებრივის ტუქსვით ყმაწვიღკაცს არ უნღა ამხიღონ შეცთომა, არც მისცენ დარიგება. გამოცდიღებით, ვიცით რამდენსაღ დასტუქსავ, სღვენი ყმაწვიღკაცსა, რომ მოაშღვენიო ურიგო ყოფა-ქცევა, უფრო-ღა-უფრო შეუყვარღება და შეემქვეღება მას, რასაღ უშღი, მონამ თვირონ არ შეიგნებს და არ დანახავს თავის ყოფა-ქცევის ურიგობასა. შეიღლება დარიგება, გაღაკვრით, იგავით, დაციწვით, ანუ ხორეშანის მღზავსაღ. ამიტომ მე ვერ გავამტყუნებ ხორეშანსა, რომ ასე აღერსიანათ მოექცა თონიკესა: იმისი ერთი მოხვეენა, ამასთან ამოხვრა ჩემის აზრით, უფრო ძღერია ყოველს დარიგებაზეღ და დატუქსავზეღ. იქნება იმ წამღ თონიკემ ვერ იგრძნო, ანუ არ უნღოღა ეგრძნო მამიღის ბრძული დარიგება, მაგრამ შეუძღლებღია იმასი გულმტკიწეწული ოხვრა და აღერსი ოღდსმე არ მოაგონღეს და—ენიცას იქნება მაშინ თვალებიღ კარგა ახიღოს!..

ქეთევან დაბრუნღა დაღონებული და ფერმიხდიღი; არ იქნებოღა არ გამოსუღიყო, რადგანაღ სტუმრები უღმისოთ მარტონი იყვენენ. ყვეღანი მისცვიღდნენ ქეთევანს. ჰკითხეს მიზეზი ფერმიხდიღობისა და ეღენეს გამოუწვეღობისა. ქეთევანმა დაარწმუნა სტუმრები რომ სურღრთი იყვენენ უქვეფოთ და სხვა მიზეზი არა ჰქონღათრა. თვით საქმით კი, დეღაცა ქაღიცა იყვენენ ავათ ეღდისავან.

მართღაღაც ცუღ მღგოპარეობაში იყო ეღენე. პირვეღში თხუთმეტ მინუტამიღინ იყო დივანზეღ გადასვენებული. ძღვის-ღა ფეთქავღა, გული ძღვი-ძღვი უცემღა, სულთმობრძავსა გვანღა. მაგრამ ეწერგიამ არ უღღაღატა ქაღსა, მსწრაფღ მოიყვანა ის გრძნობაში. ეღენე წამოჯღა, მას გაღმოცვიღდა მღღღარე, მსხვიღი ცრემღები და კარგა ხანს ახნა ცრემღი, მანამ გული არ შეუღსუბუქღა. გამოხატუღება უხატავღა გონებაში, რომ აღექსანღრე იყო სხვისა; გული ეუბნებოღა, დეობღღიო, აღექსანღრეს სიყვარული აღარ მაცოცხლებსო. ქაღიც აჰყვა გამოხატუღებასა და გულსა, ოხრავღა, გმინავღა — კინღამ გაგიღღა! უთუოღ გაგიღღებოღა, თუ მრავაღი ცრემღი არ დავღარა.

„ოჰ, მხსნეღო! — შესტირა მაცხოვრის ხატსა ეღენემ. — ოჰ, მხსნეღო! რა მწარეა ეს საათი ჩემთვის! განა ამ საათისათვის დევიბადე! მაგრამ, მომიტევე ჩემი უგნური დრტვიწვა, უფაღო! ახ, აღექსანღრე, აღექსანღრე! ვინ, ან რამ მოგხიბღა, რამ წავართო გონება! ფუღღებმა?.. შენ ახღა გიხარიან, მე ვტირი! შენ იღხენ, მე გული ამეგზნო ჟოჯოხეთის ცეცხღით; შენ შესტირყო

ღსეთ ქალს, რომელიც არცა ვეყვარებია და არც გიყვარს ჯერ, მე კი შენ მოგეტრფოდი და აღარ მყავს სხვა სატრფო. ალექსანდრე! შე უწყალო, რას მკარატლებოდი? გული რად ვაძილე და სიყვარულს რად მიჩვენებდი?! გული მე რად გამილე და სიყვარულის ცეცხლით რად ამიგზნე! ოჰ, რა სახით მეზიზღები! ნეტავი ერთი თვალთ დაგინახო, რომ დაგხანჯლო, რკინის ხანჯლით კი არა, — რკინა რა საჭიროა — „მე დაგხანჯლავ ზიზღის თვალთ, რომელთაც შენ მოგკლავს, თუ კიდევ გაქვს გრძნობა და კეთილშობილება!“

ამ დროს მეორე ოთახში, სადაც იყვნენ სტუმრები, ატყდა რაღაც ყვირილი. ელენემ ყური დაუგდო. ყვირილი ესმოდა, სიტყვები კი ვერ გაიგონა, ელენეს ელდა ეცა: ვგონა ქეთევანს გული შეუწუხდაო. გაგიყდა ქალი, ხან აქეთ კარებს მივარდა, ხან იქით კარებსა, მაგრამ, როდესაც დაფიქრდა და ნახა, რომ ცრემლებიდანსაგან ჰქონდა თვალები დაწითლებული და ლოყები დამწვარი, აღარ გავიდა.

ყვირილის მიზეზი იყო ალექსანდრე რაინდიძე.

რა წამს შეაღო კარები რაინდიძემ, ყმაწვილებმა აიტაცეს ვინ ქული, ვინ ღივის ბალიში და მიაყარეს ყვირილით:

— მოგვილოცავს! მოგვილოცავს! მოგვილოცავს!

მერე მისცივდნენ, დაჰკონეს, აიყვანეს და ჰაერში შეაგდეს ყვირილით:

— მოგვილოცავს! მოგვილოცავს! მოგვილოცავს!

ქალებიც აპყვნენ ვაეებსა და იმათ მსგავსად ჯერ დაჰკონეს ალექსანდრე, მერე ტაშის კვრით გაიმეორეს:

— მოგვილოცავს! მოგვილოცავს! მოგვილოცავს!

ქეთევანს ეწყინა ალექსანდრეს მისვლა, ეწყინა ისიც, რომ მიულოცეს. ქეთევანმა მრუდის თვალთ შახედა და არ მიულოცა, არც იკაღრა ფეხზედ წამოდგომა.

ალექსანდრე გაშტერდა და არ იცოდა რას ულოცავდნენ ასე გულმზურვალედ; ამიტომაც ჰკითხა იმათ:

— ყმაწვილებო! მაღლობას მაშინ მოგაძსენებთ მოლოცვისათვის, როდესაც გამაგებინებთ რასაც შილოცავთ.

— მითომც არ იცის რასაც ულოცავთ! ძმაო, რას გვიმაღლავ! ნიშნობა ხომ უჩვენოთ შექამე, ქორწილიც უნდა აგრე შექამო! ჩვენ კი ბანს უქან და კარს უქან! ან, ტი მოშენიკ! — უთხრა ლუარსაბმა.

— ყმაწვილებო! თქვენმა სიცოცხლემ არ მესმის, რას მეუბნებით! რას ნიშნობა, რის ქორწილი, რის ფლავი და ჩლავი!

— თუ არ გესმის, მე გაგაგონებ. აქ მო... (ყურში ჩაჰყვირა ლუარსაბმა) შენ დანიშნულხარ; ამას გილოცავთ.

— ღმერთო დამიფარე ჰირისაგან! ეს რა მესმის! — ვიზედ დავინიშნე? როდის დავინიშნე? ვინ გითხრათ?

— ჰა, ჰა, ჰა! — შეჰყვირა ლუარსაბმა: მთელი ქალაქი ღაღანებს! -- ვის ატყუებ!

— შევრცხვე თუ, გატყუებთ! შემატყობინეთ მაინცა, ვიზედ დავინიშნე?

— სოლომან ისაკიჩ მეჭლანუაშვილის ქალზედ, უთხრეს ერთობლივ ყმაწვილებმა.

— თქვენმა სიცოცხლემ, ყმაწვილებო! გეფიცებით როგორათაც პატიოსანი კაცი, რომ ეგ ცილია, და განგებ არის ჩემზედ შემოწმებული, რომ მამიკლან ეს საცოდავი გული. ვინ გითხრათ ეგ ჰორი?

— კერპაძემ.



— „ვერიდებოდი ღოღოსაო, დამხვდა ბაღის ბოლოსაო“. სულ ვერიდები იმ კაცსა, მაგრამ არ იქნა, ვერასფრით ვერ მოვრჩი, წარმოიდგინეთ, სხვას ვის შეაძლო დაებადა მაგისთანა ტყუილი, თუ არა კერპაძესა! — ოჰ, კერპაძე, კერპაძე! საზოგადოება ხედავს შენში გველსა, მაგრამ კიდევაც გილოილეს მაშინ, როდესაც შუაძლიან გაგისრისოს თავი და დაშაშაული ენა!

— მამა ნუ წავიწყდება, ალექსანდრე, მართლს ამბობ, რომ არ დანიშნულხარ? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— მამაც არ წამიწყდება, დედაცა, ნამდვილ მართალსა ვამბობ. ყველანა დარჩენ რალაცა განუსაზღვრელ მდგომარეობაში, გაჩუმდნენ და მუნგად შეჭყურებდნენ ალექსანდრეს. თითქოს კიდევ ეწყინათ, თითქოს კიდევ იამათ, რომ გამტყუნდა ალექსანდრეს დანიშვნა.

ქეთევანმა მოიხიარულა, მაგრამ იმისი სიხარული ჯერ არ იყო კიდევ სრული, კიდევ ჰქონდა ეჭვი: რასაც ძნელად მოელი, იმას ადვილად ვერ დაჯერებ.

— რას გავმეზღით და ხმა ველარ ამოგვიღია! — წამოიყვირა ბოლოს ლუარსაბმა. — დავსხდეთ, ქალბო, განვაგრძოთ იარალაში! საკვირველია, საიდან დაბადა კერპაძემ ეს სიცრუე? რად დაბადა? ქვეშატილად სახლში არ არის შესაშვები!..

ქალები და ლუარსაბი დასხდნენ და განაგრძეს იარალაში, სიმონ, თეიმურაზ, ელიზბარ, თონიკე და რევაზ გვერდით მოუსხდნენ ქალებს, რომელთაც შეაქცევდნენ ზოგი სიმღერით, ზოგი თარით.

ქეთევან ვერ მოშორდა ალექსანდრეს, ვერ გავიდა ქალთან, ეხარებინა სიცრუე ალექსანდრეს დანიშვნისა, თითქოს ეზინოდა, რომ იმის გასვლს შემდგომ, რაინდიეს საიღუმლოდ არ ეტო სტუმრებისათვის, რომ ნამდვილად იყო დანიშნული. და რომ ეს დაუმალა იმან მხოლოდ ქეთევანსა და ელენესა. ქეთევანს უნდოდა გადაეყარა მტანჯველი ეჭვი და ამიტომაც ის უყურებდა ბატონებით სავსე ალექსანდრეს გამომცდელის თვალით. სურვილი ქეთევანისა სწრაფად აღსრულდა. ალექსანდრემ გაიხმო ქეთევანი ცალკე, იკითხა ელენე და გაიკვირვა, რომ ელენე ჩვეულებრივ არ მიეგება იმას პირველი კარებში. ქეთევანმა დაარწმუნა ალექსანდრე, ვითომც ელენე იყო სურდოსგან უქეიფოდ. ყმაწვილი კაცი შეწუხდა და მაშინვე გავიდა ქეთევანის ნებადართვით ელენეს სანახავად. ქეთევან დარჩა სტუმრებთან.

რაინდიემ წყნარა დაარაკუნა ოთახის კარი. რომელშიაც იყო ელენე. კარი გაიღო. ელენემ შეხედა ყმაწვილ კაცს ისეთი თვალით, თითქოს, ეზიზღა იმისი დანახვა. ალექსანდრე შეწუხდა, შეშფოთდა, დარჩა გამტყრებელი შუა ოთახში, ველარც წინ წადგა ფეხი; ველარც კარზე გავიდა. მოთმინებულად რომ გამოვიდა, ალექსანდრემ უთხრა ელენეს:

— ელენე! ველარ მიცვნიხარ! განა აგრე შეგძულდი! განა თქვენგან ეგ ამედი მქონდა! რათ მამიძულეთ? რა დავაშავე ასეთი. რომ ღირსი ვიყო მაგისტანა სიძულელიისა! რათ სტირით? შემატყობინეთ მიზეზი თქვენის მწუხარებისა.

ელენემ ხმა არ გასცა.

— ელენე! ელენე! ხელი მიბოძეთ.

ელენემ ხელი არ მისცა, ამოიოხრა და გულხელ დაიკრიბა.

— ელენე! კარგი მამა და დედა ნუ დაგეხოცება, პასუხი მამეცით.

ალექსანდრემ გამოსთქო ეს სიტყვები ასეთის ტრფიალებით, ასეთის გულწრფელობით და შესაბრალისი სახის პეტყველებით, რომ ელენე გამოვიდა

ბნელ აზრებიდამ. ელენემ დაუწყო თვალ დაშტერებით ყურება ალექსანდრეს, გეგონებოდათ ეუბნებოდა: „სხვაზედ დანიშნული, აგეთის გრძნობით ველარ მოხვიდოდი ჩემთანა. არა, შენ დანიშნული არა ხარო“. დიად, ელენე ცხადად დარწმუნდა, რომ რაინდიძეს არ გაეჭრო სიყვარული, რომელიც აუგზნო იმან. ელენეს გულმა იცნო ალექსანდრეს გული, და — ელენეს მიეცა შეება, ამ საკვირველმა ქალმა იგრძნო თავისი ურიგო ქცევა, რომ ცუდის თვალის შეხედვით აწყინა თავისი სატრფო ყმაწვილკაცსა, შეწუხდა, შეინანა და დააპირა ბოდინში მოხხადა, მაგრამ მსწრაფლ შედგა, ველარ აასრულა სურვილი. ქალმა იფიქრა, რომ თვალეზი ატყუებდნენ იმასა, რომ რაინდიძე ნამდვილად იყო დანიშნული თამარაზე. ეს ბნელი აზრი გადაეფარა ელენეს გონების თვალეზსა და იპან ველარ იცნა ხელმეორეთ ალექსანდრეში თავისი ალექსანდრე. მამინ ყმაწვილმა ქალმა გადმოყარა ცრემლები და გული ველარ დაიჭირა. ალექსანდრემ არ იცოდა, რა ექნა, ასე შეუვიწროვდა მწუხარებით გული.

— ელენე, ჩემო ტრედო! გულს რად მიწყულულებთ!  
შემატყობინეთ თქვენი მწუხარება, იქნება შევიძლო გადაგიყარო, რაცა გტანჯავს.

— ოჰ, ალექსანდრე! — უთხრა ელენემ. — მე ასეთი ცეცხლი ამეგზნო გულში, რომ თქვენ აღარ შევიძლიანთ გაანელოთ.

— როგორ თუ ცეცხლი ავეგზნოთ გულში?! ეგ რა მიბრძანეთ, თქვენი კირიმი! რა ცეცხლი უნდა იყოს, რომ არ შეიძლებოდეს განელება!

— ნუ გიკვირთ! ნამდვილს და მწარე ქეშმარიტებას მოგახსენებ!..

— ვაიმე! — თქვა ალექსანდრემ და შუბლში ხელი შემოიკრა.

ელენე გაოცებული დარჩა და თითქოს გამოფხიზლდა.

— თავში რად შემოიკარით, ყმაწვილო? ეგ რას ნიშნავს? — ჰკითხა განცვიფრებით ელენემ.

— რას მიბრძანებთ, ქალო? რალად მინდა სიცოცხლე, თუ თქვენ აკიტყვებთ რამე!

— რადა? ჩემის გულისათვის რად გინდათ გაიუბედუროთ თავი, რად გინდათ გააუბედუროთ თქვენი დანიშნული?!

რაინდიძემ ენაზე კბილი დაიდგა, მიხვდა ელენეს მწუხარებასა და დაიმშვიდა გული.

— ვინ არის ჩემი დანიშნული? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— თქვენ უკეთ გეცოდინებათ.

— არა, მე არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცით! თქვენს დანიშნულს თქვენ ვერ იცნობთ?

— არ ვიცნობ! თქვენს სიცოცხლესა ვფიცავ, არ ვიცნობ!

— საკვირველია!

— არა არის რა საკვირველი, იმიტომ რომ, მე რო ვიყო დანიშნული, შეეცოდინება, კიდევაც ჩემი დანიშნული.

— მართალს ბრძანებთ მაგასა? არა ხართ დანიშნული?

— ვისზე? ვინ მოგახსენათ?

— მე გავიგე.

— ეგ ტყუილი მოგახსენებიათ, მაგრამ ახლა კი აღარ შემიძლიან არ მოგახსენო მართალი: მე ვარ დანიშნული ჩემს გულში ერთ ქალზედ. სხვა, იმის გარდა, ვინც უნდა იყოს, თუნდ ჰქონდეს მილიონები, ფიქრშიაც არ გამივილო და არც გამივილის.

— მამ სოლომონ ისაკიჩის ქალზე არა ხართ დანიშნული?

— დავილაღე, ელენეჯან, ამდენის ფიცით! მიბრძანეთ რახან გასურთ ჩემი ტანჯვა, როგორ გნებავთ დავიფიცო, რომ მე არას დროს გულში არ გამოვიღია სხვისი შერთვა, თქვენს გარდა. მამიტევით თუ თქვენი წინააღმდეგია ეს ჩემი სურვილი.

— ალექსანდრე! — თქვა ელენემ ასეთის გრძობით, ასეთის ტკბილის ხმით, რომ საჭირო აღარ იყო დაემატებინა იმას დანაშთენი სიტყვებით: „მე-ყვარხარ, თანახმა ვარ“.

— ოჰ, ელენეჯან! რა ბედნიერი ვარ!

— ალექსანდრე! ახლა გავცოცხლდი! — უთხრა ელენემ და მისცა ხელი ალექსანდრეს.

ალექსანდრემ დაუყოვნა ელენეს ხელები ამათ სიხარულს არა ჰქონდა საზღვარი!

ამ ყმაწვილმა კაცმა და ყმაწვილმა ქალმა მისცეს ერთმანეთს ბეჭდებო, და ხელი ხელს მოკიდებულნი გავიდნენ სტუმრებთან.

— ქალებო! ყმაწვილებო! წელან ტყუილათ მომილოცეთ (ანუ ის მოლოცვა ამას მოასწავებდა!); ახლაკი მე ნამდვილად დავინიშნე კნეიყნა ელენეზედ. მამილოცეთ.

— შენკი გენაცვალოს ქეთევან, ალექსანდრე ჯან! შეჰკივლა ქეთევანმა, და სიძესა და ქალს დაკოცნა! — კნეინა ხორეშან! ჩემი ბუბნები აბა ამას მოასწავებდნენ, თქვენი პიკებიკი წელანდელს ამბავსა, რომელმაც გული მა-მიკლა.

## VIII

ექვსის თვის შემდეგ. მე და სოფიო დაღონებულებო გვერდით უსხედით ავამყოფს თამარსა.

...კარგა ვერ მოგვიხდა, სოლომან ისაკიჩჯან, ეს სახლი! ოჰ, ნეტავი იმ დღეს, როდესაც ჩემი თამარ კარგა მკვანდა! — მითხრა სოფიომ და ღრმათ ამოიოხრა.

— ნუ სწუხარ, დედიჯან! მე კარგა ვიქნები, — უპასუხა ავამყოფმა თამარამ დედას: აქიმმა დამარწმუნა, ამ ერთ კვირას ლოგინილამ აღგვებო.

სოფიომ ნუგეში სცა ავადმყოფსა, ლოგინი გაუსწორა და მერე, თამარჲა რომ ჩაიძინა, განაგრძო:

— მე სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ ეს სახლი ვერ მოგვიხდა კარგა. რა:ე აქ შემოვედით, თითქმის ყოველდღე მწუხარებაში ვართ, ავადმყოფი არ გამოგველიო! ჯერ ისაკი გვეყვანდა და კინაღამ ხელილამ გამოგვეცალა! ახლა თამარია და, ღმერთმა იცის. რა მოგვივა! საკვირველიო! ციხისუბნის ქონში ერთობლივ მთლიანად ვიყავით: არც სიცივე და სიცხე, არც სიშიშველე და ნოტიო სახლი, არც შიმშილი და მწყურვალება არას გვავენებდა. აქ კი, ღვთას წყალობით, ყოველივე უხეად გვაქვს; სახლი ასე არის მორთული და შემკობილი, რომ ხელმწიფეს ედგომილება: ჰაერი უკეთესია; ნებიერება, სიამოვნება, სტუმარი, საზანდარი არ გვაკლია: მოსამსახურეები სულ თავს გვევლებიან. სულიერ მამათაგან კურთხევა ხშირად მოგვეცემა ხოლმე; წყევა არავისაგან არა გვექონია, მაგრამ ველარ ვიხეირეთ! აი მეცა, მგონია, დავსნეულდი; შენც, სოლომონ ისაკიჩ, ველარ ხარ უწინდელად მხიარული.

— ნება ღვთისა ასრულდეს!

— ვენაცვალე ღმერთსა! მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მტრებიც გვეყვანან.

— რაზე ამბობ მაგას, სოფიო? მტრები რას დაგვაკლებენ?

— შანჯან არ მივიტოვებ, სოლომონ ისაკი! მაგას როგორ ამბობ! მტერი ბევრ ვნებას მოგვცემს.

— მე კი ვერა ვხედავ მტერსა-და, თუ შენ ხედავ, ეგ არ ვიცი.

— გამოცხადებულ მტერს ვერც მე ვხედავ. მაგრამ განა არ არიან მტერი, რომელნიც დაფარულად გვიტოვებენ ორმოსა?

ამ სიტყვაზე მომავონდა ჩემი დაფარული მტრობა, რომლითაც მოვკალ სარქისბეგაშვილი. და მე შევიგნე ეს ბოროტი. ამ ბოროტის სისაძაგლისაგან გული გამაწყვლელდა. შევფოთდი, მეორე მხრივ, ფიქრშიაც შევედი, რომ სამაგიერო არ გადამხდოდა. შიშისაგან კანკალი დამაწყებინა, ცოტას გაწყდა, ჭკულიდან არ შევიშალე.

ამ დროს თამარმა ამოიკენესა. თამარის კენესა მოხვდა ჩემს საცოდავს გულს. მეც ამოვიკენესე და ვიგრძენი, რომ კენესა იყო შედგომილება იმ ბოროტისა და საცოდაობისა, რომელშიაც ჩავაგდე უბედური სარქისბეგაშვილი. მე ვცდილობდი განმედეგნა ეს ბნელი და მავნებელი ფიქრები, მაგრამ სვინიდი-სი მდევნიდა. მამხილებდა ცოდვასა. ერთსა და იმავეს დროს გულს მიქენჯნოდა სვინდისი, გონებადა ჩემი დაეძებდა დაფარულ მტრებსა. უეჭველია, ვიფიქრე, რომ მტრობისათვის მტრობა არ გადამხდეს. წარმოვიდგინე თავი ჩემი სარქისბეგაშვილისაგან გაკოტრებული, დაერდომილი, უმოწყალო, ავადმყოფი ციხისუბნის ქოხში და ელდამ გამიგმირა გული. „ვაი მე!“ ცთქვი კვრისით.

სოფიოს ეგონა, რომ თამარისთვის ამოვიკენესე და იმანაც ამოიხზრა. შეკი ასეთი შიში ჩამივარდა გულში რომ დაფარულ მტრებზე ვფიქრობდი.

— სოფიოჯან! მტრებზე რათ ჩამოაგდე სიტყვა — კვითხე მე; ხომ არ-ვინა გვმტრობს?

— შეუძლებელია, რომ კაცს მტერი არა ჰყავდეს მაგრამ მე არ ვიცი, ვინ უნდა იყოს ჩვენი მტერი.

— გვყავსკი მტერი?

— გვყავს.

— ვინ არის?

— დაფარულია.

— ოჰ, სოფიო! ასს გამოცხადებულ მტრებზე, ერთი დაფარული მტერი უფრო საშიშია. მაგრამ შენ როგორ იცი რომ ჩვენ გვყავს დაფარული მტერი?

— მკითხავმა მითხრა.

— მკითხავმა რა გითხრა? როგორ გითხრა? როგორ შეიტყო?

— მკითხავმა მითხრა, რომ ამ სახლში ჯაღობი არის ჩაფლული სხვა-და-სხვა ადგილსა, და ამიტომაც მშვილობა არ გექნებათო.

— აი! მაგისიკი არ მეშინიან! ჯაღო არ არის ქვეყანათაზე, — ასე გამო-გონია, ასე ვარ დარწმუნებული, — და თუ ვინმე ატყუებს ხალხსა, რასაკვირველია, სარგებლობისათვის. წარმოიდგინე, მკითხავებზედ უსაცოდავესი არავინ არის; თუ შეეძლოს რამ, პირველად თავიანთ თავს უშველიან. გადა-ყარე ეგ ფიქრები.

— მაშ რას მივაჩემოთ ჩვენი დაუსრულებელი უბედურება? რას მივა-ჩემო, უცებ რო დაღონდები ლხინში?

სოფიომ არ იცოდა, რომ ჩვენ გვდევნიდა საცოდაობა სარქისბეგაშვილისა და სხვათა, რომელთაც შევამთხვებე მე ბოროტი. და ამიტომ ჩვენის უბედურე-

ბის მიზეზად ხდიდა იგი ჯაღოსა. არა, მე მღვენიდა ცოდვა, ჩემი მტერი იყო ცოდვა სხვა მტერი მე არ მყვანდა.

— ოპ, — ვთქვი მე გულში. — ნეტავი მწყემსად გავზრდილიყავ, სიმღა-  
დრე. პატივი და ღიღბა არ მქონოდა და ჩემს გულს არა ჰყოლოდა მტერი —  
ცოდვა!..

## IX

ჩვენი ლაპარაკი მოსწყვეტა ექიმმა, რომელიც სწამლობდა თამარსა. მრგვალ ექვს თვის უ. ექიმი სწამლობდა თამარსა. ყოველდღე სწავდასხვა წამლებს სწერდა. ყოველდღე თითო თუმანი მიჰქონდა. თამარს იმის წამლობით არა ეშველა რა და იმ დღესაც ისეთი გულსნილი და პირმოღიმარი შემოვიდა, თითქოს პირველი მისვლა იყო იმის ჩვენს ავადმყოფთან, თითქოს იმედი ჰქონდა ავადმყოფის შორჩენისა.

ჩვეულებრივ ექიმმა მაჯა უნახა ავადმყოფსა, მერე გვიცხთა:

— გუშინდელზე დღეს როგორ არის?

— სიცხე აქვს გაუწუნებელი, ფერდს იტკივებს, ახეულებს.

— წუხელის როგორ ეძინა?

— როგორც კვლავ.

და ექიმმა აიღო ქაღალდი, შეკეცა, გარდახია და დააპირა რეცეპტის დაწერა.

— ნუ სწერთ რეცეპტსა! — ვუთხარი ექიმსა. — საკმაო წამალი დალია საწყალმა ავადმყოფმა და უკეთესობა არ შეეცყო, თანდათან სწულებსა უქლიერდება. მე ვხედავ, ორიოდ დღეა დარჩენია საცოდავსა. ამ ორიოდ დღეს მაინც ნულარ დაეტანჯავთ წამლებითა!

ექიმმა კალამი დაავდო და მითხრა:

— მე მადლობელი ვარ, რომ, რაც მე უნდა მექო თქვენთვის, თვითონ თქვენა სთქვი. მე ვერა ვხედავდი გამომეცხადებინა, რომ თქვენი ქალი არ შორჩება. მე ეს დიდი ხანია ვიცი. თქვენი ქალი ჰლეჩქშია.

— ექვისის თვის წინ არ იყო ჰლეჩქი?

— იყო; მე უფრო ვიცი.

— მაშ თუ იცოდით, თქვე დალოცვილო, ქინაქინას როგორა აძლევდით! ქინაქინა რო არ გეძლიათ, შორჩებოდა უთუოდ, შორჩებოდა!

— მართალია, პირველში არ უჩნდა სიჰლეჩქე; ჩუმი ციება მეგონა, ამიტომაც ვაძლევინებდი ქინაქინას.

— ხუთი თვე ქინაქინა აძლევთ?

— მაინც არ შორჩებოდა თქვენი ქალი, რომელიც დაჰლეჩქებულა წყენისაგან.

— მით უმეტეს, იმას არ უნდოდა ქინაქინა, არც წამლობა. გართობის მეტი. რათ დამღუბეთ ახლა როგორა ავადგინო შვილი! იმდენი ხარკი რათ მომეცით!

— საექიმო კანონით, ჩვენ ხელსა ვსდებთ ავადმყოფსა სანუგეშოდ, წამალს ვაძლევთ სანუგეშოდ, და არა იმიტომ, რომ უთუოდ მოვარჩინოთ.

— ვერაფერი ნუგეში გახლავს, როდესაც სიცხის გამოკაფის მაგიერ სიცხის გასაძლიერებელს წამალს აძლევთ.

— მე ახლა საჭირო აღარა ვარ. მშვიდობით!

— მშვიდობით.

და ექიმი გავიდა ისეთის დამშვიდებულის გულით, თვითქოს იმისის ხე-

ლით არავის არ ვნებოდა რა. თვითქოს ასს ოთხმოცი თუმანი ჩემგან არ გაეტანა. თვითქოს ვალდებული არ იყო ყოფილიყო შემწე საცოდავის კაცობრიობისა!..

## X

— იპ. ნეტავი მიაშოს რამე! -- თქვა თამარმა, როდესაც გამოიღვიძა.

— აბა. თამარ-ჯან. რა გიამება! გვითხარი, შეილო, და ვეცდებით აღვისრულვით! — უთხრა სოფიომ დედობრივის გულმტკიცე გულბობხით.

— ნეტავი იყოს ვინმე უცხო ადამიანი!

— ვინ უფრო გიამება?

— მაკრინე კარგი დედაკაცია. ძალიან მიყვარს.

— ახლავე გაუფუზავნი, შეილო, მაკრინეს ფაეტონსა, — ვუთხარ მე და გავედი ბრძანების მისაცემად.

ამ დროს შემომესმა ხმა დროშკისა, რომელიც დადგა ჩემს სახლთან. და არ გაიარა ორმა წამმა, რომ დროშკიდან გადმოხტა თვითონ მაკრინე ტუჩმონხელიშვილისა, რომელიც მოვიდა თამარის სანახავად. მაკრინეს ნახვა დიდად შიამა. რადგანაც თამარს სწრაფად აუსრულდა ნატვრა.

— ეს არის, მაკრინე, თქვენთან მინდოდა მეახლებინა ფაეტონი.

— რა ამბავია? — მკითხა განცვიფრებით მაკრინემ.

— თამარმა ისურვა თქვენი ნახვა.

— მაშ, კარგა შემიტყვი: მეც იმის სანახავად მოვდივარ.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე!

თამარს დიდად იამა მაკრინეს ნახვა, ასე იამა, რომ ტუჩებზე სიამოვნების ღიმილი გამოეხატა.

— რასა იქ. თამარჯან? — როგორა ხარ? გამხნევი, როგორ გეკადრება... ყმაწვილი ქალი ხარ, სნეულებას აგრე როგორ უნდა დაუვარდე! წამალს კიდევ სვამ? — ჰკითხა მაკრინემ ტრფიალებით.

— გუშინ და დღეს არ დამიღვია და ვგრძნობ უკეთესობას. ოპ. რა შიამა თქვენი ნახვა!

— შენმა სიცოცხლემ, ქალო, გული გაქვს დახურული! შენი წამალი არის სიამოვნება, გართობა, აფთიაქის წამლები რა კეთილს დაგაყრის!

— აფთიაქის წამლებს ნულარ მომაგონებთ, თქვენ სახელს ვენაცვალე! ექვსი თვია დამტანჯეს, მომკლეს, გული აღარა მაქვს.

— არა, შეილო, აღარას გეტყვი, რაც არ გესიამოვნება!

— აბა, თამარჯან, მითხარ, მითხარ, რაზე გელაპარაკო? რა უფრო გესიამოვნება?

— თქვენი ჭახჭახით ლაპარაკი მიყვარს, მიბრძანე, თქვენი ჭირიმე. რაკ თქვენ გნებავთ. ახალი ამბავი გეცოდინებათ.

— ახალი ამბავი ათასი ვიცი, მაგრამ არც ერთი ისეთი არ არის რა, რომ გაართობდეს შენს გულსა. უმეტესი ნაწილი ჭორია, მოგონილი კერპაძისაგან.

— ოპ. თქვენ სახელს ვენაცვალე, მაგ სახელს ნულა გამაგონებთ! საშინლათა მძავს! იმ დღემ მამკლა, როდესაც იმ უღთომ, ხმა დამიგდო მთელს ქალაქში ჩემის ალექსანდრეზე დანიშვნისა. მართლა თქვენ ხომ გეცოდინებათ ალექსანდრეს ანბავი!..

— გუშინ მივიღე იმისი წიგნი.

— თან გახლავსთ?

— დიად. გესიამოვნება წაგიკობო?

— დიად.

გული მამიკედა: მაკრინემ რო ამოილო ალექსანდრე რაინდიძის წიგნი. აბა თამარს ორის დღის სიცოცხლე აღარა ჰქონდა და რიგორღა უნდა გაეხსენებინათ იმასთან ალექსანდრეს სახელო, ნამეტნავათ როგორღა უნდა წაეკითხა იმისი წიგნი!.. მე დავაბირე მეთხოვნა მაკრინესთვის. რომ არ წაეკითხა წიგნი; მაგრამ თამარს ასეთის საამოვნებით და მოუთმენლობით სურდა წიგნის გაგონება. რომ მე ველარა გავაწყვერა.

მაკრინემ წაიკითხა შემდგომი.

„ჩემო უძვირფასესო დედიდა მაკრინე!“

„მე მივიღე თქვენი თორმეტი წიგნი და. აი. ახლა გწერ პასუხსა“.

„თქვენ მემდურით, რომ დაეინიშნე და ჯვარი დაეწერე თქვენ შეუტყო-ბლივ: მემდურით, რომ თქვენს შუამავლობას პატრი არ ვეცი: მემდურით, რომ ჩემს ანბავს, ჩემს ყოფა-ცხოვრებას არ გატყობინებ; მემდურით, რომ არც ერთს წიგნზე პასუხს არა გწერ“.

„მე მქონდა შესაწყნარებელი მიზეზი, რომ დავჩი თქვენთან ყოველს დროს უკაცრავათა, უმიზეზოთ არა იქნებარა. იმედი მაქვს, შეიტყობთ რა ამ მიზეზს, აღარ გამკიცხავთ, აღარ დამემდურებთ.“

— მომისმინეთ: თქვენ მაშინ მობძანდით ჩემთან შუამავლად, როდესაც მე ვიყავ დანიშნული კნიაჯნა ელენეზე. მაგრამ აღრეც რომ მობძანებულა-ყავით ჩემთან შუამავლად, მაინც კიდევ ვერ შევირთავდი სოლომონ ისაკიჩის ქალს იმიტომ, რომ მე მიყვარდა ელენე, თვალი მეჭირა ელენეზე და იმის ჯარდა სხვას არავის შევირთავდი. თამარ, დიად ჩინებული ქალია, ღირსია ჩემზედ უკეთესის ქმრისა, მაგრამ მე და თამარ არ ვიყავით ერთმანეთისათვის დაბადებულნი.

„ქორწილში ვერ მოგიწვიე იმიტომ, რომ ქორწილი ჩემი მოხდა სწრაფად ორ-სამ დღეს — ისიც სოფელში და არა ტფილისში. მე დავიწვიე ჯვარი სოფ. წითლიანს, ჩემს მამა-პაპის სალოცავ ეკლესიაში, ქორწილი გადავიხადე ჩემს მამა-პაპის სახლში.“

„ოჰ, მაკრინე! აღარა მენატრება-რა, სრული ბედნიერი ვარ! ელენე განხორციელებული ანგელოზია!“

„დიად, მე ვარ ბედნიერი, მომეტებულს აღარას ენატრობ! ასე გასინჯეთ, ბუნებაც კი ჩემთან იშვებს. წარმოიდგინეთ მალაო კორდი, ამ კორდზე დგას ჩემი სახლი, რომელიც დაჰყურებს ერთის მხრით მდინარესა საშუალ ქალაქის მორბინავსა, მეორე მხრით ტყიან ღელესა და ამას იქით სოფ. წითლიანსა: წინ აღმოსავლეთით, მწვანეთ შემოსილ ვრცელს მინდორსა, რომელზედაც ჩვენს ახლო აქა-იქ ხარობენ დიდი კაკლს ხეები და სხვადასხვა ხეხილი, დასავლეთით ზვარსა, მშვენიერად შემუშავებულსა. დილით ადრე, უმზეოდ, წამოდგებით და ასი ათას სხვადასხვა ფრინველთა საკვირველის გალობით დატკებთ. წმინდა ცხოველი ჰაერი ჩაგიდგავთ ძარღვებში ყვავილებიდან შეკრებილს სურნელებს და ძალასა: მდინარე გამოჯაფხობლბსთ, გაგაცოცხლებსთ, გაგაყმაწვილებსთ: ტყე. მინდორი. მწვანე ეენახები დაეიტკობენ. დაამშვიდებენ ყოველს თქვენ გრძნობასა. აქ მდინარის ხმიანობა და ფოთოლთ შრიალა, იქ ხბოსა და ძროხების ბღავილი. იქ მწყემსის სალამურის სტვენა აამებს თქვენს სმენას. რა შეედრება ბუნების მშვენიერებას! სად ვიპოვით იმის მსგავსებას ქალაქში?!

„ჩვენ არ გვძინავს, როდესაც ბუნება ხარობს სიცოცხლით: არა გვძინავს,

რომ ბუნებამ მარტო თვითონ, უჩვენოთ არ იხაროს, მარტო თვითონ არ აღიდოს დამბადებელი.

„ელენეს ქცევა მაკვირვებს. მე სრულიად იმედი არა მქონდა, რომ ელენეს ნებეზობა არ დაეწყო, მაგრამ არა. ელენემ მოაწყო, მოკაზმა სახლი ისე კარგა, რომ უკეთესად მორთვა საქირო აღარ არის. ელენემ მიიღო გამგეობა სახლისა და დაუზარებლივ აძლევს ის სახლში განკარგულებასა. თქვენ ნახავთ სახლში სამაგალითო სისუფთავესა, მოსამსახურებს წმინდათ ჩაცმულსა: თქვენ ნახავთ ყოვლის სიკეთით სავსეს სახლსა, თქვენ ნახავთ წესსა, მშვიდობასა. სიხარულსა, ბედნიერებასა; თქვენ ნახავთ, როგორთაც მოსამსახურენო, დაუზარებლივ სიხარულით, ერთგულათ აღასრულებენ თავიანთ თანამდებობასა: ვერ გაიგონებთ ორგულობასა, წინააღმდეგობასა, დრტვივნებასა, საჩივარსა, ლანძღვასა და სხვა ურიგობასა. ყოვლის ამ სიკეთისა არის მიზეზი ელენე. ოო! ელენეს არა სძინავს! ელენეში ვერ იპოვით გამბნევესა, დაუდევნელსა და გამფუჭებელს ქალსა! ელენეში ვერ იპოვით უგუნურ ამპარტავენობასა, მედიტურობასა. თავის თავის მორაშიყესა, დაუდგრომელს ქალსა!

„მე მივიღე გამგეობა ყმისა და მამულისა. ყოველსავე მივეცი წესი. ყოველივე დავაყენე სწორე გზაზე. ყოველივე ჩემ თვალწინ კეთდება, და მე არე მეთაყილება, არე მეზარება. რასაც ხუთი კაცი ხუთ დღეს აკეთებდა, ახლა იმასვე უნდებიან ორი კაცი ორ დღესა. ამ მცირე ხანს საცა გუთანს არ გაევენა, გაიარა, საცა ბარი არ მოხვედროდა, მოხვდა; საცა ვაზი არ იყო, ვაზით ვაივარა; საცა წისქვილი არ იყო, გაკეთდა. მრავალი გავაკეთე, გავამშვენიერე. ყოველივე მოვიდა მოძრაობაში, ყოველივე აღყავდა. ყმას შეუქმნებულა ერთი ნახევრათ სამსახური და მადლობელნი არიან ჩემი გლვხაკები. შრომა არ მიფუჭდება, ბუნება უხვად მეწევა: ამიტომ გლეხი კაცი მუშაობს გულმონდომებით, სიტკბოებით, ერთგულათ. ჩემი შამოსავალი გავრცელდა და ამ შამოსავალსა, სარწმუნო ბრძანდებოდეს, ქალაქში არ წავაგებ, ანუ არ გაბანევე სათამაშო ნივთზე“.

„მაგრამ არ გეგონოსო, რომ მოკლებულნი ვიყვნეთ ჩვენ ყოველს სიამოვნებასა. არა, თქვენ გაქვსთ თეატრი. ჩვენი თეატრია ბუნება და ჩვენი თეატრი სჯობია თქვენსასა. თქვენი თეატრი არის დახატული. მაგრამ ბუნებისთანა მშვენიერი რათ იქნება! თქვენ ორკესტრზე ათ, ას, ათას წილ უკეთესათ და მშვენიერათ გალობენ, კონცერტს უკვრენ ასი ათასი ფრინველნი, რომელნიც გულს ატკობენ, სულს ახარებენ. თქვენი დეკორაციები დახატულია. ჩვენი ნამდვილია; — მგონია ნამდვილი სჯობდეს მილლიონჯერ მოთხუპნულ ტილოებსა! ჩვენ კიდევ მით გჯობივართ, რომ ყოველდღე უფასოდ ვსიამოვნებთ ჩვენს თეატრში.

„დილით ადრე ვსპერეტო, ვიგემებთ და ვძლებთ საკვირველის ბუნების მშვენიერებით. დღე საქმეს ვაკეთებთ, საღამოს ხან ფეხით, ხან ცხენებით, ხან ფაეტონით ვსეირნობთ. ღამე ვსპერეტო ცის საკვირველებას, შევხარით, გვიკვირს და ვადიდებთ ღმერთსა. სტუმარი არ გვაკლია. ხშირად, თითქმის ყოველ ღამე. თქვენი გამოჩვენებული შევექცევით იარალაშსა, ხან ნარდსა, ხან ასონანსსა, ხან წიგნებსა ვკითხულობთ. თქვენ ქალაქში მხოლოდ იარალაშს თამაშობთ, წიგნების კითხვის ხალისი კი ღმერთს არ მოუცია თქვენთვის! სხვა რითიღა მოგწონთ ქალაქი? აქიმებიითა? აფთიაქებითა? ღმერთმა მოგცესთ თქვენ უხვად აქიმებიცა და აფთიაქებიცა, ჩვენ კი დაგვიფაროს იმათგან.

„ხედავთ, მაკრინე, როგორ ყოველ საათსა ვართ გართული. ეს არის მი-



ზეზი, რომ თქვენს თორმეტ წიგნზე ამ ერთ პასუხს ძლივს გიგზავნით, მო-  
პიტევეთ.

თქვენი უსიამოვნო ალექსანდრე რაინდიძე“.

— ახ ნეტავი თქვენ, ალექსანდრე და ელენე! კარგა რომ ვყოფილიყავ, შემშურდებოდა თქვენი ბედნიერება, ახლა კი, იპ, რა მიამა თქვენი ბედნიერება! ღმერთმა გაგაბედნიეროსთ ბოლომდის! — სთქვა გრძნობით თამარმა.

მაგრამ თამარს თვალები მაშინვე მოერღვა და ცხადად შეეცყო, რომ ის სწუსდა თავის უბედობასა...

ძმავო და ნათლიმამა ოპანენ! აქ ვათავებ ჩემს ისტორიასა. შენის თხოვ-  
ნით ავსწერე ჩემი ცხოვრება და შენ გიძღვნი ამ კმნილებას.

დანაშთენი ჩემი ცხოვრება არ ვცან საჭიროდ ამეწერა, ამიტომ რომ არა მომხდარა-რა ჩემში ღირსი შენიშვნისა და აწერისა. მართალია, ბოლომდის მე ვიყავ სავეს მდიდარი, პატივცემული, მზიარულად ვეჩვენებოდი ხალხს და მრავალნი დამნატროდნენ, მაგრამ იმ დღიდან, როდესაც დავიწყე დიდებით ცხოვრება, ჩემს გულს ჰქენჯნიდა რაღაცა განუსაზღვრელი კმუნება და მე აღარ მესიამოვნებოდა-რა ქვეყანათაზე. ამ კმუნვის მიზეზი იყო ჩემში, ჩემს გარეთ არა ყოფილა.

ამ ჩემს აღსარებას განდობ შენ.

შენი სოლომონ მეჭლანუთაშვილი.

### მოგზაურობა ტფილისის ტროიშარზე

არა მგონია იყოს კაცი, რომელსაც არა ჰქონდეს ყურები დაქუტყტილი და ენა გაჩარხლო, რომ არ გაიგონოს, ან გადასცეს სხუას ახალი, ცოცხალ-ცოცხალი რამ ამბავი, გინა იყოს სრულიად სიცრუე. ეს სენი სუფევს დედა-მიწაზედ კაცის დაბადებიდამ და კაცთან; მაგრამ ყველგან თანასწორათ არ მოქმედებს: ველურს და გაუნათლებელ ხალხს აგრე რიგათ არ სწყალობს, როგორათაც განათლებულსა. უკანასკნელსაც შეეპარება გულდვიძლებში, სძლევს და იმნებს. ათინელათთუ: ის დღე დაკარგული იყო, როდესაც ახალ ამბავს არ შაიტყობდნენ. რავდენიც ევროპა ნათლდება, იმდენი უფრო ეს სენი მას უძლიერდება. ევროპიელნი აღარ დასჯერდნენ შინაურს ახალ ამბავსა; იმათ ისურვეს, რომ მსწრაფლ, ყოველდღე, ცალკე დილით, ცალკე საღამოს შეეტყობთ ახალი ამბები უცხო ქუწყნებისაცა, ამისთვის მოიგონეს წიგნის ბეჭუდა და ახალი ამბების გადასაცემათ გაზეთები, რომელნიც დღითიდღე მრავლდებიან და რომ გაზეთები დაუყოვნებლივ მიუვიდოდესთ, მოიგონეს კურიერები, ორთქლით მოსიარულე ხომალდები, რკინისგზები. შემდეგ ამასაც არ დასჯერდნენ: მოიგონეს ტელეგრაფი; რომელიც ათ მინუტს მოგირბენინებს შორის ქუწყნებიდამ ახალ ანბავსა. ნუ იფიქრებთ, პარიზის და ლონდონის ბულვარებზე და ტროტუარზედ ხალხი დადიოდეს ახალ ამბავის შესატყობლად. არა, იქ გუშინ საღამოს რაც მოხდა, იციან დღეს დილით, მანამ გამოვლენ კარზე, და რაც დღეს დილით მოხდება, იციან დღესევე საღამოს გაზეთებით.

საქართველო არა ყოფილა ისე განათლებული, როგორათაც იყო უწინათინა და აწინდელ დროს არის ევროპა. მაგრამ კურთხეული ზემოხსენებული იენი (როდის გაძლიერდა ჩუქნში? — იქნებ მეთორმეტე საუკუნიდამ?) შეკ-

პარტია კაროელების თირქმელებსაც და დაუპონებია ჩუქნი მამაპასა, რო-  
კოოთაც ააიხელხა და კერობაქღნა.

ქეძელ დროს არ იყო - არც კი ესლა, ჩუქს შესარცხვენელად, გახლავს  
გაზეთები; მაგრამ ქართველებს არა დროს არ მოკლებიათ ახალი ამბავები;  
უძებნიათ და უბოვნიათ. დაბეჭდული გაზეთების მაგიერ იყო სიტყვური გაზე-  
თები. ტფილისი, საქართველოს დედა ქალაქი გადასცემდა ყოველ მხარეს ახალ  
ამბებს. თუთ ტფილისში გაისმოდა ახალი ამბები სალაყბო მეიდიდამ!. აქ  
შეიკრებოდნენ, აქ შაიტყობდნენ ერთმანეთისაგან ქუეყნის ოთხს კუთხეს ვინ  
როგორ იყო. სად რა მოხდა: თითქმის მეფის დაობაზის საპოლიტიკო საიდუმ-  
ლოებასაც კი, ნამდვილებს და გადაკეთებულებს გამოიტანდნენ, გამოიკულე-  
ვდნენ, მოიწონებდნენ ან დაიწუნებდნენ. ეს ახალი ამბები და საიდუმლოები,  
ვინა ყოფილიყვნენ სრულიად სიცრუე, თავს არავის ატყვიებდნენ. ამიტომ  
რომ იმათი სინამდვილეობა არ უნდოდა შეეტყოთ, არც საჭირო იყო: სურვილი  
მოიკლეს, ახალი ამბები ხომ შეიტყეს, გათავდა, სინამდვილე იმათი გამოჩნ-  
დებოდა თავის თავად დროებით! სალაყბოდამ გაიფანტებოდა ახალი ამბავი  
მთელს ქალაქშია. უნდა გენახათ როგორათაც იმავე დღეს, ანუ მეორე დღეს,  
დღილი დრე. მოხუცი დედაკაცი მიძვრებოდა მეზობლისას ახალ ამბავის  
სათქმელად, როგორათაც ბრუნდათ გაგონილს სიცრუევს, ანუ მართალს ამბა-  
ქსა ენაწყლიანობით დაწმახნავდა, გადააბრუნებდა, თავისით კიდევ დაუმა-  
ტებდა და იტყოდა ასეთ სიცრუევს, რომელიც ჯერ არავის გაეგონა! ესეც  
კიდევ ახალი ამბავი!.. ამ სახით დაიბადებოდა ერთის ახალის ამბავიდან მე-  
ორე. მეორედამ შესავე, შესამიდან მეოთხე... ხალხს გულითადი სურვილი თი-  
ლქმის ყოველ დღე, ყოველ საათს უსრულდებოდათ! ნუ განკვიცხავთ წინა-  
პართა: ჩუენ დროს საქართველოში, ნამეტნავად ტფილისში, უარესობაა! მაგ-  
რამ, რად გიკვრსთ ჩუენი! ევროპიის გაზეთები ყველას ასიაშოვნებენ, თუმცა  
აგრე რიგათ მართალს არ მოგითბრობენ.

აწინდელ ქართულებს თუ არ გარდამეტებით მამა-პაპათუედ ნაკლებ არა  
სწყურისთ შეტყობა ახალ ამბებისა. რა საცოდაობას ნახავთ, თუ გათენდა და  
დღამდა იმ დღეს ქალმა ახალი ამბავი არ გაიგონა! თქუენ ნახავთ ქალს მო-  
წყენილსა, რომელიც დრტუნავს ყმაწვილ კაცებზედ ამიტომ, რომ არც ერთმა  
იმათგანმა ახალის ამბავით არ ასიაშოვნა, რომელ სახლშიც გნებაესთ მიძმან-  
დ-თ, თქუენ ნახავთ შემდეგ სცენას: მოვიზიტე ქალი მობძანდა ფატონით,  
კარგა ჩაცმული. შემდეგ მოკითხვსა, პირუელი სიტყუა იქნება უთუოთ შესა-  
ხებ ახალი ამბებისა: „ახალი ანბავი ხომ არ მოგხსენებიაო რა?“ — ჰკითხავს  
სახლის პატრონი. „არა, თქუქმმა მზემ! გუშინდელი და დღევანდელი დღე,  
სწორეთ მოგახსენო, მოწყენილი ვახლავართ!“ „რა უბედურობაა! ერთი ქა-  
რთული ვაზეთი არა გვაქუს! მთელმა განათლებულმა ქუქყანამ შეიგნო სა-  
ჭიროება და სარგებლობა ვაზეთისა. ჩუენ კი, ჩუენ, არ იქნა, ვერ შევიგნეთ!“  
— „არ მიეტევებათ, თქუენმა სიცოცხლემ, — უპასუხებს მოვიზიტე, — ჩუქს  
ყმაწვილკაცებს! მაშ რისთუს გავნარდეთ უმალღეს სასწავლებლებში, რაო  
მოვითმინეთ მრავალი მწუხარება იმათის მოშორებით! უნაყოფო ხეები არიანი  
ლაპარაკი დიდ-დიდი აქუსთ, საქმით კი ჩხირის გადაბრუნებაც არ შეუძლიანთ!  
ვინ უგუნური იტყუს, რომ ისინი არ იყენენ მეცნიერნი, მაგრამ რადგანაც უნა-  
ყოფოა ამათი მეცნიერება, ამიტომც ხალხი ამბობს: „ფრანტობის მეტი არა  
უსწავლიათ რაო“.

— რას მიბრძანებთ, ქალო! — მოუგებს სახლის პატრონი, — ვაზეთის

გამოცემას ღონისძიება უნდა. განა არ მოგესხენებათ, ქართველის გიბე ყოველთვის ცარიელია.

— თქვენ არ მომიკვდეთ, აგრე არ იყოს, თუ კი უბრალო ნივთებისათვის ანუ ლოტოსათვის გვაქუს ფული, ნუთუ ხუთს მანათს, ან ერთს თუმანსა, გინა ორ თუმანსაც ვერ მოვახერხებთ ეურნალებისათუს და გაზეთებისათუს! არა, საზოგადოება დამნაშავე არ არის; ჩუქნი ჰაერში მომფრინო მცონარების მოყვარენი არიან დამნაშავე.

— აი ესლა გამოგვიჩნდება, ქალო!.. ჰაეჰავაძე და კერესელოძე ცდილობენ კარგი ეურნალები გამოსცენ — ვნახავთ რაედენი ჯელის მომწერები ეულებათ! ორნივე უნდა შევიმაგროთ, თორემ თუ ერთ-ერთი იმათგანი დაეცა, — დაეცემა უთუოდ ჩუენის მიზეზით. მაშინ ქართული ლიტერატურა წარმოებას ვეღარ ჰპოებს...

ესლაც, როგორც უწინ, უქონლობის გამო დაბეჭდილის გაზეთისა, ახალ ამბებს შევიტყობთ ხოლმე სიტყუერის გაზეთითა. ეს ამბები გამოიჩიკებიათ ტფილისის ტროტუარზედა; გამოჩიკენიც გასლავან ისინი, ვინც უფრო ხშირათ ბუდარაობენ მუნ, ესე იგი: ცრუ მეცნიერები, სულელ მეცნიერები, გამოუქველენი და იმათი ტაკიმასხარაები. ეს ხალხი სტუკუნის და სტუკუთავს ტროტუარსა, ყურებს გაიკჷედს ყოველ გვარ სიცრუითა, ყოველ გვარ მკუეხარაობითა, განკიცხუთა, სხუაზედ დაცინუთა, თუმცა თუთონ არიან სასაცილო და ამას ვერა ხედავენ. ამათგან გაიგონებთ ვითამც ევროპიილამ მოსწერეს იმათ მსწავლულებმა ესე და ესე. გაიგეთ, რომ თუთონაც მსწავლულნი არიან და მსწავლულებთან მიწურ-მოწურა აქუსთ. მე კი დაგარწმუნებო, რომ არც ერთი მწავლული არასა სწერს იმათ, როგორათაც მე არა მწერენ, არც იცნობენ, როგორათაც მე არ მიცნობენ და არც იმათი სახელი გაუგონიათ, როგორათაც ჩემი სახელი არ გაუგონიათ. მაგრამ ტროტუარზედვე ნახათ ჰკუან და დარბაისელ ხალხსაცა, კარგა განუითარებულსა, ამათგან მრავალს ნამდვილს ახალ ანბავს შაიტყობთ, მრავალს ისწავლით. იქვე ნახათ ჩინოვნიკებს, ამათგან გაიგებთ სად რა მომხდარა, ვის რა უმოქმედია და რა უთქვამს; გაიგებთ, რომელ სასამართლოში როგორ გარდუწყუეტრათ საქმე. საპართლიანათ თუ უსამართლოთ; შაიტყობთ ახალ გამოსულ სჯულებსა, მთავრობის განკარგულებასა, ჩინოვნიკების გამოცვლასა და განწესებასა. ტროტუარზედ კიდევ ნახათ სხუა ხალხსაც — სხუა და სხუა ჯელოვნებისას, გარდა ახალ ამბებისა ტროტუარზედ იცნობთ კაცსა. ამიტომაც გირჩევთ, მკითხუელო, კვრაში ერახელ მაინც ორიოდე საათი დაჰყოთ ტროტუარზედ, და თუ გასურს ახალი ამბაკუ ჩქარა შაიტყოთ, უნდა გაისარჩნეთ და ყოველ დღე გაბმანდეთ ტროტუარისაკენ, თორემ თუ შინ დარჩით და ახალი ამბუს შამომტანიც არავინ გაგიჩნდა, თქუენამდინ ახალი ამბავი გვიან მოაღწევს.

სწორეთ ასე მამივიდა მე. ამის წინათ შამემთხვა გარემოება, რომელმაც ორიოდე დღე შინ დამამწყვედია. შეუძლებლობის გამო გაზეთი „კავკასი“<sup>3</sup> არ მამდის; მეზობლებს შეეძლოთ ჩემ ტყუეობაში მოუხედათ ჩემთვის და ახალის ამბებით ესიამოვნებინათ, მაგრამ ისინი მე არ მწყულობენ; არც მცნობებმა და მეგობრებმა მამხედეს. ქუქყინისა არა ვიცოდი რა და ვიყავ საცოდავ მდგომარეობაში. ბოლოს როგორც იყო ჩემს დამატყუევებელ გარემოებას თავი გამოვაცალე და გავემგზავრე ტროტუარისაკენ. გზაზედ შევხუდი ორ პირსა. ამათ მიიქციეს ჩემი ყურადღება თავისზედ და ნამეტნავათ ტროტუარზე მყოფ ხალხზედ; იქამდინ მიმიზიდეს, რომ ახალი ამბები სრულიად და-

შავიწყეს და მე ვცდილობდი არც ერთი სიტყუა, არც მოქმედება ამათი არ აპყდნოდა. აქ ვადავსცემ მკითხველსა რაც ვნახე და რაც გავიგონე ტროტუარზედ ვარდა ახალი ამბებისა, რადგანაც ეს ამბები, მე გამიგონია, კიდევ დაძუელდნენ.

I.

სივრცე საშუალ შბაფისა და ტროტუარისა

ქალაქის ბიჭი თექუნიშეთის წლისა, რომელსაც აცუა დაგლეჯილი ღიმიკიტონის კაბა და უჭირავს მკლავით კალათა ღიმიკიტონითა, აპელსინებითა, მიდის შტაფის წინ ტროტუარისაკენ და მღერის:

„ქალო, ხაბარდიანო,  
გაქუს და გიხარიანო  
ხაბარდა რომ გავიცელება...“

აბა, რას ვანბობ! ამის მთქმელს ასე კი არ უნდა ეთქო, აი, როგორ უნდა ეთქო:

„ქალო ხაბარდიანო,  
გაქუს და გიხარიანო,  
ქმარი თუმცა გიკოტრდება,  
მაინც შენ კი გელხინება“.

საწყალი ქმრები ცოლების ჯელში! რა მებრალეებიან! ცოლებს კი აინუნ-შიაც არ მოსდით, ოღონც კი თუთან იფრანტონ, რას დაზდევენ თუ ქმრები არ იფრანტებენ. მართლაც, ყველგან ქალები არიან, სულ ისინი ფრანტობენ. ვაჟკაცები კი ბანს უკან და კარს უკან, თუ სადმე არის შეყრილობა, იცოდეთ, ქალების წვეულებება. ვინ მიიწვია? — ქალმა. ხარჯი ვისია? — ქმრისა. თუთან ქმარი სად არი? — ლაქიის თანამდებობას ასრულებს და ამბობს თავისს გულში: მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა.

„ქალო, ხაბარდიანო,  
გაქუს და გიხარიანო,  
შენს ოჯახს დასცემ, დაამხობ,  
ვაჭრებს კი ჯიბეს აუვსებ!“

აი თუ ვაჭრებს უხარიანთ! ვიანგარიშოთ: ოცი ათასი ქალი აღარ არის?! ოცი ათასი ხაბარდა! ეს თქუენი უკანასკნელი ექუსი ათასი თუმანი; ეხლა იანგარიშეთ ჭინძისთავიდან პოლსაპოქკამდინ, ისიც რავდენიმე ხელი — უჰ! ვინ დათვლის რავდენი ფული გროვდება! გაიხარეთ ვაჭრებო! სურვილი თქუენი აღგისრულდათ! შიიგეთ, აავსეთ სარდაფები ქარქვეტითა, კომბოსტოს წნილითა. ქალებმა კი არა, თქუენ უნდა ილხინოთ, ილხინეთ და იმღერეთ:

„ქალო, ხაბარდიანო,  
შენ ნუ გიხარიანო,  
შენი ქმრის ნაწოვ-ნადავი  
გადმოვიდა ჩემ ჯიბეში“.

ნ ა ს წ ა ე ლ ი ფ რ ა ნ ტ ი. (დაუახლოვდება ქალაქის ბიჭს). ბარაქალა, ჩემო სოსიკო, ბარაქალა! შენ მაინც თქვი, ჩვენ რომ არას გვათქმევინებენ. მსოლოდ ერთი რამ შეგცდა: ვაჟკაცებიც ბევრნი ფრანტობენ.

ქალაქის ბიჭი. ძალიან ცოტა. ათზე ანუ ოცზე მეტი არ შეგულება; მაგრამ. ვსაჩქუთ ასი, თუნდა ორასი, თუნდა კიდევ სამასი.

ნასწავლი ფრანტი. მაგდენიკი არ იქნება.

ქალაქის ბიჭი. ვსაჩქუთ სამასი, თუმცა არც ამის შეგუებია; მაინც სად სამასი და სად ოცი ათასი.

ნასწავლი ფრანტი. მართალია. აბა, სოსიკო, პარობაზე როგორა ხარ? დღეს შეიძლება დავერივნეთ ტროტეარელებს? ბევრზე გელმოსული ვარ. მინდა დაენახვო ან თუთან რანი ბრძანებულებანი და ან ხალხს როგორ მა-აჩნიათ ისინი. დროა პედანტებს, \* ცრუ მსწავლელებს, ცრუ განათლებულებს ბირბადე ავხადოთ, ვითამ ვის ატყუებენ! ჩვენ გვინდნან ნამდვილი განათლებულები.

ქალაქის ბიჭი. მე რა ვარ, რა შემიძლიან, რა ვიცი...

ნასწავლი ფრანტი. შე ვკერძვარ შენს ბუნების კეკას. თუმცა პატარ ხარ, მაგრამ ჩემი სურვილია, რომ პატარებმაც ხანდახან თქვან რაზე ქალაქის ბიჭი. დღეს ვალს მღვთ და მე უნდა მოგახსენოთ, ჩემი საქმე არ არის. ამიტომ არ არის ჩემი საქმე, რომ რიგინს რასმე ვერ მოვუარო რბებ.

ნასწავლი ფრანტი. შენ საკბილოს კიდევ იპოვი. არა გაქვს გამბედაობა თორე. გაბედე. შენ არ ხარ ხოლმე ამველს და ჩამამლევს რომ გაქვენწლამ?

ქალაქის ბიჭი. ახმახის ჯავრი მქირს; დღი ხანია მინდა დავექმე-რო, მაგრამ ის სპილია, მე გოშია; მუშინიან.

ნასწავლი ფრანტი. ნუ გეშინიან; ბუხსაც ვერ ავიფრუნს; მე შენთან ვარ.

ქალაქის ბიჭი. მითამ მე რა საკირო ვარ, თქვენ უფრო...

ნასწავლი ფრანტი. მე მინდა შენ იყო.

ქალაქის ბიჭი. როგორ და ვისით დაეწყო?

ნასწავლი ფრანტი. ვისიც კეუა არ მოგეწონოს, ისი ავდე მას-ხარათ.

ქალაქის ბიჭი. ეგ ხომ ჩვენი ხელობაა, ბატონი ბძანდებთ. გი-ახლები. ვეცდები ვემსახურო თქვენს სურვილს.

ნასწავლი ფრანტი. სოსიკო! ერთი მოთხარი, ახმახის ჯავრი რა-თა მქირს?

ქალაქის ბიჭი. ცეტია როგორც თხა; ჭევებუდანი როგორც გველი; ბოროტია როგორც ყვავი; ბქიაა როგორც კაკკევი; ბვერს ფქრობს თავის თავზე, გამოდის კი რომ ისეა მეცნიერი, როგორც თუთიყუში.

ნასწავლი ფრანტი. გულმეცნიერი ყოფილხარ, სოსიკო. ახმახა სწორეთ აგეთია. ამასთან არ შეგინიშნავს, რომ ახმახი როდესაც აედენება რომელმე მოდილო გუამსა, აქეთ-იქით ხშირათ იცქირება ხოლმე და ეძებს მცნობებს, რომელთაც უნდა დაენახოს და შური ჩაუდგოს, რომ ისი სეირნობს მაღალმობილთან ანუ აღმატებულთან? ის კი არ იცის უბედურმა, ხონთქა-რთანაც რო იაროს. იმას მაშინაც კაცათ არავენ ჩაადგებს.

\* პედანტს ეტყვიან კაცსა, რომელიც თავის თავზე ბევრს ფქრობს (ავტორის შენიშვნა).

კირველი სკამი ბროტუარზე

სკამზედ სხედან ორი მეგრელი. მესამე მოდის ზევიდამ. რა დაინახავენ ერთმანეთს, ორი მეგრელი წამოდგებიან. მიეგებებიან მომავალს, ხელს ჩამო-  
ართმევენ, მაგრათ მოუქერენ და დიდხანს რაც ძალი და ღონე აქუსთ, აქა-  
ქარებენ, სიცილით და მოუწყვეტელ თავის დაკვრით.

1-ლი მეგრელი. აახ! მოიი პოშტენნიე.

მე-2 მეგრელი. ნაში ვამმმ პოშტენნიე.

მე-3 მეგრელი. ახხხ! მოიი პოშტენნიე, კაკკ ვაში ზღოროვი?

1-ლი მეგრელი. სლავა ბოლუუ. კაკკ ვაში ზღოროვიე?

მე-2 მეგრელი. ბლავადარუუ ბრატტ, კაკკ ვაში ზღოროვი?

მე-3 მეგრელი. პო მილოსტიი ბოჟიი იაპ ზღოროვ!

მე-2 მეგრელი. ნუუ, ბრათიი, ვასილიი ვიი ზღაროვი?

1-ლი მეგრელი. ახხ, მოიი ლუბეზნიი, კაკკ პროვადიშ ვრემია?

მე-3 მეგრელი. ნიჩელოო, ხორაშოო პროვადიმ ვრემი. ა ვიი კაკკ

პროვადიშ ვრემიი.

1-ლი მეგრელი. ტაკკ, არც კარგა, არც ავათ.

მე-2 მეგრელი. იაა ნემნოლაა ხორაშოო.

მე-3 მეგრელი. (კარგა ხანს რაღაცას ფიქრობს და ძლივს მოიგონებს)  
ვიი ზაჩიმმ ნა ტროტუარრ. დელა ნეტუუ ვამმ?

1-ლი მეგრელი. მოი ბარინნ პუშოლლ ნა კოჯორი.

მე-2 მეგრელი. მოი ბარინნ და ადინნ ეენშინაა, უი, უი, უი, კაკკ  
ხორაშო ეენშინა! უშოლ ნა მარტკობბ.

მე-3 მეგრელი. აა მოიი ბარინნ აბედილლ დომ და უშოლლ... მი-  
ნდორში, რუეიი ვოზშილ, ზაჩიტტ... დახოცოს მწყერები.

1-ლი მეგრელი. (მესამე მეგრელს) ტვოიი ბარინნ მნოლა, მნოლა  
გოლოვა მწყერები, ჰი, ჰი, ჰი!

მე-3 მეგრელი. მოიი ბარინნ პრავდა, ცეტია, მნეე შტოო! ჟალოუ-  
ნია მნნეე ხორაში და ეშჩეე ხაბარაა!

მე-2 მეგრელი. აა მოიი ბარინნ ტაკოიი უმ-უმ-უმ... მაგარია.

ქალაქის ბიჭი. ყმაწვილებო, კარგი ლიმონები, აპელსინები, სპ-  
ჩკა.

მე-2 მეგრელი. (მრისხანებით) ნენნადა (ქალაქის ბიჭი არ შორდება).

1-ლი მეგრელი. შტოო ტებეე ნნუენა, სტუპაი (ქალაქის ბიჭი  
უყურებს მათ დამცინელის სახით).

მე-3 მეგრელი. აიდა, აიდა (ხელს აუქნევს) სსტუპაი, სსტუპაი.

ქალაქის ბიჭი. ღმერთს გეფიცებით, თქუენ მაგიერ მე მრცხე-  
ნიან. ჭერ რუსული უნდა ისწავლოთ, მერე ილაპარაკოთ. თუ არა, იოტ-ს  
ოდენა არ იცით რუსული და ხმამაღლა ტროტუარზედ ღრიალებთ ასეთია  
უმზავსის რუსულის ენით, რომელიც არ ვიტყვ რუსებსა, მეც კი შემზარავა.

მე-2 მეგრელი. ახხ, ტიი პადლეცც!

მე-3 მეგრელი. (გამოუდგება საცემრათ) იაა ტებეე, დამმ, მაშენაკკ.

ქალაქის ბიჭი. (ამყალ დაუდგება) როგორ შეგიძლიან მცემო! გაბრუნდი, თავს პატივი დაიღე. წადით, იქურდეთ. რა თქვენი საქმეა ტროტუარზედ მუსაიფობა (სამნივე მეგრელები მისცივლებიან საცემრათ).

ნ ა ს წ ა ვ ლ ი ფ რ ა ნ ტ ი. წყნარა, წყნარა! ნუ ისჯებით...

### III

#### სივრცე საშუალო პირველის და მეორის საამბისა

რამდენიე ყმაწვილკაცები გაუვლიან ხარხარით პეტრე ურცხვამესა, რომელსაც შემოეყრება დავით დარბაისლოვი.

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. ჩემო დავით! ჩემო დავით!

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. რას მიბრძანებ, ჩემო პეტრე.

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. რა დაგემაართა, ისწავლე, ისწავლე, დაბერდი და ვერა ისწავლე რა.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. რა გაეწყობა. უნდა ვიყო უსწავლელი.

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. მე იმას გეუბნები, რომ სიპატარავითვე აქამდინ სწავლობდი და ვერ მიხტდი ერთ საკრველს ადვლ საშუალებასა, რომლით შეასრულებდი შენ სწავლას რავდენიმე დღეს.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. ეგ რა საშუალობაა?

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. ჰა, ჰა, ჰა! გამოიცანი.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. ვერ გამოვიცნობ. კეტათაც რო თავში მცემი.

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. წუშირი გამოუშვ და იმავ წამს გამეცნიერდები, ყოველივე გეცოდინება.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. სრულიად არ მეყურება, რას ანობ.

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. მიუხდომელი რა არის აქა! წუერი გამოუშვი მეთქი, წუერი ხო იცი რაც არის; გამოშვებაც იცი რაც არის.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. სიტყუში მეყურება, მაგრამ სიტყუშიბის აზრი ვერ შემიტყუა, რაზე ამბობ მაგასა?

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. ეხლანდელი ყმაწვილკაცები მიდიან პეტერბურგს. მიიხედვენ, მოიხედვენ წუერს გამოუშვებენ და წამოვლენ. ეს ის არის: სასწავლებელი დაასრულეს. ყველა ისწავლეს, გოგრა სიბრძნით აივსეს! ჰა, ჰა, ჰა!

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. მაინც კიდევ არ მეყურება! წუერს რო გამოუშვებენ, მაშინ მეცნიერდებიან, თუ ჯერ სწავლობენ, მერე. მოდის მიხედულობით წუერს იშვებენ.

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. დაბერებულბარ და ქეუა დაგიკარგავს. თუ წუერს გამოიშვებენ. ეგ ის არის. ყველა ისწავლეს. რაღა უნდათ შეასრულონ სწავლა.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. ჰოო, ჰოო! მამ შენის სიტყუთ თათრები და ურიები სულ მსწავლულები არიან.

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. მაინც კიდევ არ გეყურება ჩემი ირონია, რას გამოუტერებულბარ.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. მართლა კი თავი ნუ მოგაქვს: მესმის, კარგა მესმის, მაგრამ სწორე უნდა ვითბრა, შენ სტყუი. ჩუშნი ყმაწვილკაცები მისდევენ მხოლოდ მოდასა. ჩემ დროს ყველა იპარსავდა ულვაშებსა და წუერსა; მეც ავეყე სხუასა და აი. როგორც მხედავ ჩემ პირზე არც არის ულვაშები, არც ბაკენბარდები, არც წუერი. ასე დავეჩვე და აღარც მინდა მიეყე მოდებსა. თუთან შენ გადმოიტანე სასაცილო ბაკენბარდები და ვერ მოგიპარსავს, რა-

დგანაც დაჩქმულხარ, ან მიგაჩნია კარგ რამედ. მე და შენ ძუელ დროს ცნე-  
ბისანი ვართ. რუტინისტები. ყმაწვილ-კაცები კი ახლანდელი დროს ცნებე-  
ბისა არიან. კიდევ გეტყვი, წუერი მოდაა და არა მგონია იმათ სწავლა იმო-  
დენი არ მიეღოთ, რადენიც ნიჭი აქუსთ; ამასაც კი გეტყვ, რომ ჩუქნსუ  
ნაკლები სწავლა არ ექნებათ.

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. ახლა ის დროა, თუ რო იმათ იცოდნენ მცირედი მაინცა,  
უთუოდ დაწერდნენ რასმეს. ჯერ არა დაუწერიათ-რა; მაშასადამე, არა იციან-  
რა.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. დამავიწყდა, რა ჰქვან მაგ სილოგოზმსა?

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. იწუნებ თუ ჩემ სილოგოზმსა! სწავლა საქმით უნდა  
დამტკიცდეს. აი რასა მწერენ გერმანიიდან მსწავლულები: „მოხარულნი  
ვართ უკანასკნელ საქართველოში გამობრწყინდო შენ (ესე იგი მე) და ან-  
თებო დაბნელებულს აზიასა მეცნიერების ბრწყინვალე სხივით. შენი (ესე  
იგი ჩემი) უკანასკნელი თხზულება გაძლევს უფლებასა შეირაცხოვო (ესე  
იგი მე) ევროპის მეცნიერთა შორის“. ახლაც დაიწუნებ ჩემ. სილოგოზმს  
და ბაკენბარდებსა?!

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. ეგ რომელი მეცნიერები გწერენ?

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. გოტლიბ შტერნი ფრანგფურტიდამ, იოლან კლეინ ფიხტე  
ბერლინიდამ და მარტინ შაბლაუზენ ლიფციგიდამ<sup>6</sup>.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ვ ი. ესლანდელ გერმანიის გამოჩინებულ მსწავლულეს  
თუქმის ყველას ვიცნობ, და იმათ შორის არა ჰსჩანან შენგან მოხსენებულ  
მეცნიერები! (ურცხვაძე აილანძა).

ქ ა ლ ა ქ ი ს ბ ი ჳ ი. ბატონებო, კარგი ლიმონები, აპელსინები, სპი-  
ჩკა.

უ რ ც ხ ვ ა ძ ე. რას დაეხეტები ლიწონებით შე უმსგავსო, შე უგუნუ-  
რო, შე უბედურო! ჰეშმარიტად საზოზლარნი არიან გლხეები, რომელთაც ო-  
ტისოდენი ჰქუა არა გაქვსთ. წადი, იმუშავე, ტალახი ზილე და პური ისე ჰა-  
მე.

ქ ა ლ ა ქ ი ს ბ ი ჳ ი. გუშინ ერთმა ნასწავლმა ყმაწვილმა კაცმა მითხ-  
რა: ვილაცა მეცნიერს (!! ) უთქუამს: ლმერთმა წაართო კაცსა ჰეშმარიტება.  
რომელიც დაამსხვრია მრავალ ნაჭრად და განაბნინა მთელს ჰუქყანათაზად  
და უბძანაო კაცსა: „ეს ნაჭრები შეკრიბეო“. ამ ბძანების გამო მეცნიერები  
თურკმე დაეხეტებიან ტყეში და ღრეში, რომ იზოვონ ჰეშმარიტების ნამტე-  
რეები. თუ ეს მართალია, სწორე უნდა მოგახსენოთ, მეცნიერები თუთა  
ყოფილან ჰეშმარიტების ნამტერეები და საჭიროა სხუამ ისინი შეკრიბოს და  
ერთ ჰქუაზედ დააყენოს. ამ სიტყუსათვის ნუ გამიწყრებით: ერთი ჰეშმარიტე-  
ბის ნატეხთავანი არის ისი, რომ მეცნიერმა უნდა შეიბრალოს, შეიყვაროს  
გლხი კაცი, ასწავლოს მას, და არ დატუქსოს, არ გალანძლოს და არ შეუ-  
რაცხუყოს, როგორც, მაგალითად თქუენ ახლა ინებეთ (მირბის).

შორიდამ მოისმის ლალდისი, ტაშისკვით: „ბრავო, ბრავო, ბრავო...“

#### IV

#### მეორე საამი

სკამზედ სხედან სამსახურში დაბერებულები და სამსახურიდან გამოსე-  
ლები: ჰაფნუტი პანომიჩ ველიკოუმოვი და აპოლონ ტარასოვიჩ ოსტროუმო-  
ვი. ორივე სუქან-გასქელებულან, სპირტით გაკაყებულან. აივლიან რადენიმე  
ყმაწვილკაცები, ფრანტები.



ველიკო უმოვი. (ყმაწვილკაცები რო გაივლიან ხედავ, აპოლონ ტარასოვიჩი, აზია როგორ განათლდა!

ოსტრო უმოვი. ვხედავ, ვხედავ, პაფნუტი პახომიჩი, ოპ, ვხედავ!

ველიკო უმოვი. ჩტმნ რომ გადმოვედით, რა ხალხი იყო და ეხლა, სედავ, რანი არიან!

ოსტრო უმოვი. ვხედავ, პაფნუტი პახომიჩი, ვხედავ, ოპ, ღმერთო ჩემო!

ველიკო უმოვი. რუსული ანდაზა იტყვს: დათეს ხორბალსა, პური ამოვაო.

ოსტრო უმოვი. დიდი ჭეშმარიტებაა! ოპ, ოპ, ნამძვლია ეგ ანდაზა! რომელმა ჭკუამ მოიგონა!

ველიკო უმოვი. ჩტენ, ჩუნენ. მე და შენ და რავენიმე სხვაო, რომელნიც ჩტენთან გადმოვიდნენ და დავთესეთ პური და ამვიდა პური.

ოსტრო უმოვი. დიად, სწორეთ ეგრეა. ჩტმნი ღვაწლი არ დაშთა უნაყოფოდ.

ველიკო უმოვი. გახსოვს ჩტენ რო გადმოვედით, რანი იყვნენ ქართველები!

ოსტრო უმოვი. ძლიერ, ძლიერ მახსოვს! განა შეიძლება არ დაპაქსოვდეს!

ველიკო უმოვი. ეხლა, ეხლანდელი ყმაწვილკაცები შეაფარდე ძტელებთან — ო, ღმერთო ჩემო, რა ვრცელი სივრცე ძევს მათ შორის!

ოსტრო უმოვი. დიად, ვრცელი, დიად, დიდი, გაუზომელი, უფუკრული!

ველიკო უმოვი. ჩტენ რო გადმოვედით, წერა-კითხვა არავინ იცოდა. ეხლა, ეხლა? ფრანციუტლსაც კი კითხულობენ, ფრანციუტლათ ლაპარაკობენ. ტანცაობენ, ტლინკაობენ, ცხოვრობენ, იცმენ, ჭამენ, წტერსაც კი შეებენ.

ოსტრო უმოვი. სჯულები? სჯულები ვინ იცოდა! ახლა კი, მიიხედ-მოიხედე, ყველა ქუჩის ბიჭმაც კი იცის სჯულები.

ველიკო უმოვი. ახლა თქვ არზის წერა. ჩტმნ ბანს უკან და კარს უკან. არ დაიჭერებ, ჩტენ დაწერილს აღარავინ ენდობა, არცკი მოსწონთ ჩტმნი დაწერილი არზები.

ოსტრო უმოვი. ოპ, უმადლო, წყეულო აზია!

ველიკო უმოვი. ჩტმნ რო არ გადმოვსულიყავით, განა ასე განათლებოდა აზია!

ოსტრო უმოვი. ბარბაროზათ დარჩებოდნენ!

ველიკო უმოვი. ეგ დიახ მახვილგონებიანათ თქვთ, აპოლონ ტარასოვიჩი! დიად, ბარბაროზათ დარჩებოდნენ. მაგრამ ჩტენ დათესილში შინც კოდევ ძტმლი ღვარძლი ვერ ამოვარდა. აზია ისევ სჭამს კელით, ბოზბაშსა სჭამენ კელით, ხაშსა, ბარბაროზულ საქმელსა, სჭამენ კელით, შემწვარს სჭამენ კელით, ყველას კელით სჭამენ.

ოსტრო უმოვი. ეგ ის არის, რომ ჯერ აზიას გემოვნება არ გახსნია. ოპ, ჩტენი შჩი, ბორშჩი, კაშა, სალიანკა, ვინიგრეტი! აი, სულები აზია! ევროპის გემოვნებას ვერ შეეჩვა.

ველიკო უმოვი. იმათი ქალები უფრო განათლდნენ. სიტყუას არ იტყვიან, რომ რუსული არ შეჩხირონ. აღარც სცხენიანთ, აღარც მორიდება

აქუსთ. სწორეთ, როგორც ჩუენი ქალები, ისე იქცევიან და ბედნიერად, განათლებულად ხადიან თავიანთ თავს რომ ისე იქცევიან.

ოსტროუმოვი. სულ კი ჩუენა ვართ ამათი განმანათლებელი.

ველიკოუმოვი. ჩემი სამშობლო ქუეყანა დაუტევე და შევსწირე ჩემი ცხოვრება აზიასა — გამენათლებინა.

ოსტროუმოვი. ეხლაც იმიტომ არ მივდივართ ჩუენ მშობელ ქუეყანაში, რომ შევიმაგროთ აქ განათლება.

ქალაქის ბიჭი. ხაროში ლიმონი, აპელსინი, სპიჩაკი, გოსპოდა! ოსტროუმოვი და ველიკოუმოვი. უბირაისია დურაკ!

ქალაქის ბიჭი. (მღერით მიდის) სხუათა მახიარებელი მოკუდა თუთან უზიარებელი!..

## V

### სიზსა საშუალ მორის და მისაზის საამაზისა

აქინია, ვალითებულო ბებერი დედაკაცი. პაპიროს სწევს, თამაშობს და იმღერის აქსინია.

Ай люли, ай люли..

ტრატატა-ტრატატა. ტრატატატა...

ქალაქის ბიჭი. (გაუთამაშებს სიმღერით)

Ай люли, ай люли...

ტრატატატა, ტრატატატა... (თამაშობს და სიმღერა კარგა ხანს გრძელდება ორივეს მხრით).

აქსინია. ახ, ტი, აზია, ღლეუპაია, აზია. ბესმოზღლია აზია.

ქალაქის ბიჭი. ახ, ტი მოია პრეკრასნაია აქსინია! კაკ ტი ხოროშა, კაკ ტი შილა!

აქსინია. ტრატატატა, ტრატატატა!

ქალაქის ბიჭი. ტრატატატა, ტრატატატა!

აქსინია. ცაეიდეთ დუქანში.

ქალაქის ბიჭი. რათა?

აქსინია. დავლიოთ. პული გაქუს?

ქალაქის ბიჭი. რა დროს დუქანია, ვითამაშოთ.

აქსინია. რატატატა, რატატატა...

ქალაქის ბიჭი. რატატატა, რატატატა...

აქსინია. შილაშკა.

ქალაქის ბიჭი. გოლუბუშკა!

აქსინია. ცადი, აზია.

ქალაქის ბიჭი. შენ იცი, სადაც ბუდარობენ თეთრი დათვები?

აქსინია. არ ვიცი. შენ ქართული ხარ?

ქალაქის ბიჭი. იცი, იცი.

აქსინია. ნუ, ვიცი, ჩტოყ?

ქალაქის ბიჭი. როგორი ხალხია თეთრი დათვები?

აქსინია. ცადი ტყეში. იქ ნახამ. ტრატატატა, ტრატატატა.

ქალაქის ბიჭი. ჩუენ ტყეში არ არის. ტრატატატა, ტრატატატა...

აქსინია. ჩუენ რუსეთში ბევრი. ტრატატატა, ტრატატატა...

ქალაქის ბიჭი. ბევრი უნდა იყოს. თამაშობა იციან? ტრატატატა. ტრატატატა.

აქსინია. მოლჩი, პოდლაია აზია, ტრატატატა, ტრატატატა.

ქ ა ლ ა ქ ი ს ბ ი ჭ ი . ქ ე ჯ ა ნ ე ბ ი ა რ ი ა ნ ? ტ რ ა ტ ა ტ ა , ტ რ ა ტ ა ტ ა .  
ა ქ ს ი ნ ი ა . ტ რ ა ტ ა ტ ა , ტ რ ა ტ ა ტ ა , ლ ი მ ო ნ ი , ა ე ლ ს ი ნ ი მ ა მ ე .  
ქ ა ლ ა ქ ი ს ბ ი ჭ ი . ტ რ ა ტ ა ტ ა , ტ რ ა ტ ა ტ ა ... ( მ ი დ ს ) .

## VI

### მესამე სპაზი

წითელვარტნიკიანი კაცი და შავვარტნიკიანი სხედან სკამზე.

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . ( ი ე ზ უ ი ტ ე რ ლ ი მ ი ლ ი თ ) ე გ . რ ა ს ა ც თ ქ ტ მ ნ თ ხ ო ლ ო ბ თ , ს რ უ ლ ი ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა .

წ ი თ ე ლ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა რ ა ა რ ი ს რ ა : თ ქ ტ მ ნ კ ი მ ო ნ ი ნ დ ო მ ე თ და შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი შ ე ი ქ მ ნ ე ბ ა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი .

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . რ ა ე ქ ნ ა , ი ო ტ ი ს ო ლ ე ნ ა ს ი მ ა რ თ ლ ე არ მი გ ი ძ ლ ვ ი თ .

წ ი თ ე ლ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . მ ე ას ე მ ს უ რ ს და კ დ ე ც უ ნ და ა ლ ს რ უ ლ დ ე ს .

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი ს უ რ ვ ი ლ ი ა ! ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი თ ხ ო ე ნ ა ა !

წ ი თ ე ლ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . ას ე თ ი ა ჩ ე მ ი ხ ს ი ა ი თ ი ... უ თ უ ო თ უ ნ და მ ო ა ხ ე რ ხ ო თ .

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . რ ო გ ო რ და რ ო მ ლ ს მ ი ზ ე ზ ი თ ?

წ ი თ ე ლ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . მ ი ზ ე ზ ი მ ე მ ი რ ტ მ ნ ე ბ ა .

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . თ ქ ტ მ ნ მ ი ზ ე ზ ს არ ა ა ქ უ ს სა ფ უ ძ ტ მ ლ ი . ს ჯ უ ლ ი , ს უ ნ დ ს ი და ს ი მ ა რ თ ლ ე არ ი ა ნ ი მ სა წ უ ლ ე ბ ს ა კ ე ნ . ა ნ კ ი რ ა ს ე მ ა რ თ ლ ე ბ ი ი მ სა ც ო ლ ა ვ ხ ა ლ ს ს !

წ ი თ ე ლ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . ს ი მ ა რ თ ლ ე ზ ე და ს ი ბ რ ა ლ უ ლ ზ ე ნ უ რ ა ს მ ე უ ბ ნ ე ბ ი თ , მ ა გ ი თ გ უ ლ ს ვ ე რ დ ა მ ი რ ბ ი ლ ე ბ თ , რ ა ს ა ც გ ა ნ ე ვ ი ზ რ ა ხ ა ვ — ა ლ ს რ უ ლ დ ე ბ ა . თ უ ნ დ ქ ტ მ ყ ა ნ ა ზ ე დ მ ა მ ა დ გ ე ს . ე ს რ ე თ , თ ქ ტ მ ნ ც უ ნ და მ ო ლ რ კ ნ ე თ ჩ ე მ მ ხ არ ე ს : თ ქ ტ ე ნ ზ ე ბ ე ვ რ ი ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი .

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . მ ა რ ტ ო მ ე რ ა შ ე მ ი ძ ლ ი ა ნ .

წ ი თ ე ლ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . ს ხ უ ა ნ ი დ ა ჭ ე რ ი ლ ი მ ყ ვ ა ნ ა ნ . თ ქ ტ მ ნ და ხ არ თ ჩ ე მ ი წ ი ნ ა ა ლ მ დ ე ვ ი .

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . გ მ ა დ ლ ო ბ თ . თ ქ ტ მ ნ ი ას ე თ ი პ ა ტ ი ვ ის მ ც ე მ ე ლ ი ვ არ , რ ო მ ს ი ხ ა რ უ ლ ი თ გ ა დ მ ო ვ დ ი ვ არ თ ქ ტ მ ნ მ ხ არ ე ს .

წ ი თ ე ლ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . გ მ ა დ ლ ო ბ თ . ა ხ ლ ა მ ი ბ ძ ა ნ ე თ : რ ო გ ო რ გ წ ა დ ი ა ნ თ ი მ ო ქ მ ე ლ ო თ ამ სა ქ მ ე შ ი ?

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . ე გ მ ე ვ ი ტ ი .

წ ი თ ე ლ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . მ ე ც მ ი ნ და ვ ი ც ო ლ დ ე .

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . სა ქ მ ის კ არ ე ბ ს ა და ფ ა ნ ჯ რ ე ბ ს ა მ ო ვ ქ ო ლ ა ჰ , დ ა ვ ა ბ ნ ე ლ ე ბ . მ ე რ ე ჩ რ დ ი ლ ო ე თ ის მ ხ რ ი თ ე რ თ პ ა ტ არ ა ს ა ნ ა თ უ რ ს გ ა მ ო ვ ა ლ ე ბ და გ არ წ მ უ ნ ე ბ თ თ ქ ტ მ ნ რ ო მ სა ქ მ ე ის ე გ ა ი ე ლ ს , რ ო გ ო რ ც თ ქ ტ მ ნ გ ნ ე ბ ა ვ ს თ .

წ ი თ ე ლ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . თ უ ე გ რ ე არ ა ი ქ თ , მ ე დ ა გ არ წ მ უ ნ ე ბ თ , მ ა გ მ შ ტ ე ნ ი ე რ პ ი რ ბ ა დ ე ს ა ვ ხ დ ი თ და ქ ტ მ ყ ა ნ ა ს დ ა ვ ა ნ ა ხ ე ბ თ ქ ტ მ ნ ს მ ო მ უ რ უ ლ პ ი რ ის ა ხ ე ს .

შ ა ვ ვ ა რ ა ტ ნ ი კ ი ა ნ ი . ს არ წ მ უ ნ ო ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ო ლ ე თ . ე რ თ გ უ ლ ი მ ო ნ ა

და მოსამახხურე ვახლავარ თქუნი და თქენენ ჩემის მხრით დიდი შემწეობა ვეძებათ ყოველ საქმეში.

წითელვარატნიკიანი. მშვიდობით (მიღს).

შავვარატნიკიანი. მშვიდობით! ეს რა ჩანაბას გადაუკიდე! მაგის ობტოდან ვინ ამოვა! მაგრამ, ამასაც კი ვაქმ, საქმეს მე გა[ვ]უკეთებ, სხუას კი წავახდენინებ.

ქალაქის ბიკი. (მისძახის იმათ) ჩოჩეთს კალია დასცემია, ეხლა აშენდა ჩოჩეთი!..

## VII

### სივრცე საშუალო მანძილსა და მართვის საამბისა

ახმახი. (მალალი უწვერულეაშო კაცი. მხრებს სიარულში აქეთიქოთ ოქნეს. სათვალეზიან კაცს გაცხარებელი ელაპარაკება) შენ არ მამიკედე, ერთი საათი ოცდაოთხ საათში არა მქონდეს მოსვენება, არც მოცალეზა, ასე გასინჩე, დრო ვერ მიპოვნია წიგნი წავიკითხო, ლამის უკან დავრჩე ლიტერატურაში.

სათვალეზიანი. შენ რომელს ლიტერატურას უფრო ეწყობი რუსულსა, ფრანციულსა, ანგლიურსა, ნემენცურსა თუ ქართულსა?

ახმახი. რუსულსა...

სათვალეზიანი. (იქით) სტყუის.

ახმახი. ფრანციულსა, ნემენცურსა და ლათინურსა...

სათვალეზიანი. (იქით) სტყუის.

ახმახი. ნემენცურსა და ანგლიურსა ეგრე რიგათ არა ვსწყალობ, იმიტომ, რომ ეს ენები არ მომწონან.

სათვალეზიანი (იქით) ანბანიც არ არის.

ახმახი. ქართული ლიტერატურა ვის ეკადრება, განა არის კი სადმე?

სათვალეზიანი. ბაშყადონიმ, ბიჭო!

ახმახი. ასე, ჩემო ანდრო...

სათვალეზიანი. (მგლებრ) ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ყოფილხარ. ლიტერატურაზე უკან დარჩენა, ოჰ, სიკვდილია მსწავლულ კაცისათვის.

ახმახი. (მინაზებულის ხმით, რომელიც არ უხდება, როგორც ვირს უნაგირი) ლიტერატურაში ძლიერ ვარ დაველოვნებული, ასე რომ წინ ვერ წამივა, მაგრამ მახლას, ვთქვი რაღა. სიტყვამ მოიტანა.

სათვალეზიანი. შენ ჯექნება ბევრი საკუთარი თხზულებები. რომელ ენაზე გაქუტს?

ახმახი. ჯერ კი არა დამიწერია რა, მაგრამ ვულში კი მაქუტს დავწერო. ოცი ათასი იდეია ირევა როგორც ქიანქველა, ჩემ თავში ერთმანეთზე უკეთესი და, დასწყევლოს ღმერთმა, არ ვიცი რომელ ერთს წავავლო კელი. ამასთან, მოუტელელობა ველს მიკრავს.

სათვალეზიანი. მამ დრო სრულიად არ გქონია, როგორც გეტყობა.

ახმახი. მეც მაგას ვჩივი. წარმოიდგინე, რაღა დრო დამჩება შრომისათვის მისი მალა... ე... მისი... ი... მისი ბრწყ... და, მისი მალალობილება უ... მისი... და სხვანი გამიწყურებიან, შემომწყურებიან, თითქმის გამლანძღვენ ხოლმე, თუ ან დილით, ან საღამოს ვიზიტი არ გა[ვ]უკეთე და სადილათ არ ვეწვიე, როდესაც დამპატიებენ. დღეს სადრლათ ვიყავ მიწვეული მის მალა...

ე... მაგრამ ჩემ საუბედუროთ, ვერ ვეწვიე, ამიტომ, რომ დილით ადრე ვიყავი ვიზიტად მის აღმ... რ... და ამან სადილათ აღარ გამოიშინა. ეს არის ასლა ძლივ თავი დაეხსნე. დილას აქეთ იმასთან დროს ვატარებდი. მისი მაღალ ე... ვინ იცის რა სახით მიწერება!

ს ა თ ვ ა ლ ე ბ ი ა ნ ი. ეგ ხალხი, რომელიც ჩამოსთვალე, სწავლულია და ელტვის მსწავლულებს. გასაკვირველი არ არის, რომ შენც მოგიხიბლავს და მაგიზიდავს ისა.

ა ხ მ ა ხ ი. არ დაიჭვრებ, თავისუფლობა მირჩენია იმასთან ყოფნას.

ს ა თ ვ ა ლ ე ბ ი ა ნ ი. ბელბულსაც ურჩევნია თავისუფლება. მაგრამ, თუ დაიჭირეს და ყაფაშში შეამწყვდიეს, მეტი ღონე აღარ არის, უნდა დამორჩილდეს პატრონსა, ნებას თუ არ ნებას, უნდა ივალდობს. გალობისათვის ვუყვარს და სტანჯვენ ბულბულსა.

ა ხ მ ა ხ ი. მე კი ვეწვდებში გამოვლა.

ს ა თ ვ ა ლ ე ბ ი ა ნ ი. მაინც, რას აყვებ დიდაცებთან?

ა ხ მ ა ხ ი. მკითხავენ რჩევას, ესა და ეს საქმე როგორ სჯობია გადაწყვეტა. ესა და ეს პროექტი როგორიაო, ანუ მამცემენ საგანს, რომელზედაც პროექტი უნდა შევადგინო.

ს ა თ ვ ა ლ ე ბ ი ა ნ ი. მაშ, გეტყობა, შენ ბევრი შეგპლებია: ბევრს გააბედნიერებ, ბევრს გააუბედურებ.

ა ხ მ ა ხ ი. ღუთის წყალობა გაქვს, ბევრი გავაბედნიერე.

ს ა თ ვ ა ლ ე ბ ი ა ნ ი. ბევრიც უსამართლოდ გააუბედურებონე.

ა ხ მ ა ხ ი (თავმოწონებით) არ იქნება, შემთხვევით უნდა ისარგებლოს კაცმა.

ს ა თ ვ ა ლ ე ბ ი ა ნ ი. (ხმას გამოიცილს) განა თავიც მოგწონს? მაშ შენი თავი არ გიცვინია! რალა ჭანაბა გისწავლია! მაგრამ, ჭანაბაში ხარ გაზრდილი და რასაკერძეელია ქუყუნისა არა გეცოდინება არ.

(შემოხვდებით ტარაბორეცსკი)

ტ ა რ ა ბ ო რ ე ვ ს კ ი. (ახმახს) მე შენზე ვარ გაჯერებული, ყოველ დღე ათ საათზე დილით სამსახურიდან იკარგებ და შენ საქმეს ჩუმნ ვაკეთებთ.

ა ხ მ ა ხ ი. განა არ იცი, მე მთხოვენ ხოლმე... დღესაც ვიყავ ათ საათიდან აქამომდე მისს რ...

ტ ა რ ა ბ ო რ ე ვ ს კ ი. რა ექნა, ძმაო, მე არა მჭერა. ერთმა ჩემთან განმა დღეს იმ გვამთან არა განაბა შენ...

(მიდის. შემოხვდებით მარად ტროტუარზე მყოფი)

მ ა რ ა დ ტ რ ო ტ უ ა რ ზ ე მ ყ ო ფ ი. (სათვალბიანს შეხედავს და აჩვენებს ახმახზე) აბა, სამსახური ამან უნდა დაიყვეხოს: ყოველ დილით ათ საათიდან დაწყებული ვიდრე პირუტყლ საათამდე აქ შევიყრებით ხოლმე და ეს მამიყვება ქრეცნის პოლიტიკასა. დასასრული კი აღარ არის. რამდენი მართალია, ეგ არ ვიცი. დღეს მთელი დღე (ახმახი გაწითლდება) აქ ვიყავით. დაიწყო ჩინეთელების და იაპონელების ამბები და რო აღარ იქნა, ვერ დაასრულა. კუჭმაც ძლიერ შემაწუნა, წავიყვანე სადილათ იმ აზრით, ეგების დაე-სრულებინა. მაგრა ამ ჩემის ცოდვით სავსემ. არ დაასრულა. სადილი კი გამამტყუა (ახმახს) რას გუბუნებთან შენი ნაჩაღნიკები?

ქ ა ლ ა ქ ი ს ბ ი ჭ ი (რაც ძალი და ღონე აქვს იცინის) ჰა, ჰა, ჰა, ჰა... (ახმახი სივდება ჯავროთ, უბღვრის ქალაქის ბიჭს, სათვალბიანი და მარად ტროტუარზე მყოფი მოშორდებიან)

ქალაქის ბიჭი. (უარესად იცინის და უყურებს ახმასს) ჰა, ჰა, ჰა, ჰა...

ახმასი. (დაუტრიალდება ქალაქის ბიჭს, თბალებს უბრიალებს, თითქოს მკვნიარე მხეცო, რომელიც მიიწევს თავის მსხტერპლზე გასაგლეჯავათ).

ქალაქის ბიჭი. (პიეგეზება ახმასს) გნებავსთ ლომონები, საუცხოო აპელსინები, ინებეთ სამი ერთ აბაზათ.

ახმასი. (შეტევით). შე პადლეცო, როგორ შეიძელი?

ქალაქის ბიჭი. რა, ბატონო? რას მიბძანებთ?

ახმასი. შენ არ იცი? ეხლაგ... ახ ტი კანალია, მერზავეც, დურალეი, ეშაყ. მუეყ. иоснрзовашшшш, ჩორტ, დიავოლ, ирзршшшш, ბალვან, ирор.шшшш, ზვერ, სკორპიონ...

ქალაქის ბიჭი. (ველს აუქნევს) იქით, იქით. რუსული შენთვის შეიძნახე. შე კარგა გიცნობ; თვთ შენა ხარ მორიელი.

ახმასი. (სიკაპასით დორბლებს ჰყრის) Я тснс дам, мсрзавсц, сшшшшш в полшшшш!

ქალაქის ბიჭი. ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა.

ახმასი. მასხარადაც მიგდებ. წადი, გიბძანებ, პოლიციაში!

ქალაქის ბიჭი. მე ის კი არა ვარ, რომელზეც გაგსვლია. შენ კი არა, პაპაშენიც რომ მოვიდეს, ვერ დამკრავს წყიპარტსაც (მღერის და თამაშობს).

მორიელი შამიანო,  
სობორტის საჭურველო,  
ჰებენ ვეელასა, ყველას შამაგ,  
ბოლოს ეუღს კი გაგისრისავ...

ნასწაველი ფრანტი. მე ვარ პასუხის წგები ამის მაგიერ. რა გნებავს?

ახმასი. მე თქუშნ არ გიცნობთ.

ნასწაველი ფრანტი. მაშ მშვიდობით...

## VIII

### მომთხე საამი, ჟალი და ვაჟი

ვაჟი. ახ!..

ქალი. რათ ამოიხსრეთ, ყმაწვილო?

ვაჟი. ჩემისთანა უბედური არავინ დაბადებულა.

ქალი. როგორ!..

ვაჟი. ახ!

ქალი. იმელი მაქუს მეტყვით ოხვრის მიზეზს.

ვაჟი. ბენიერი ვიქნები თუ გამანთავისუფლებთ მიზეზის თქმისაგან.

ქალი. თქუშნ დღეშიც ვერ განთავისუფლდებით.

ვაჟი. ოპ-მე!

ქალი. მითხარით.

ვაჟი. რა გამოვა თქმით! შევრცხვები, წამალი არ დამედება, მე კი დავინრაკები ჯოჯოხეთის ცეცხლით.

ქალი. (მითამ მიხვედრილი არ არის) უკანასკნელ, მეტყვით თუ არა მიზეზსა?

ვაჟი. საყუარელს არ ვუყვარვარ.

ქ ა ლ ი. ვინ არის თქუენი საყვარელი?

ვ ა ე ი. ეხლა ეგა მკითხეთ.

ქ ა ლ ი. მე მსურს.

ვ ა ე ი. თქუენ...

ქ ა ლ ი. (სიცილით) მე? პა, პა, პა!

ვ ა ე ი. აკი მოგახსენებთ, ნევრცხვები მეთქი.

ქ ა ლ ი. (მითამ დაფიქრდება) ოპ!

ვ ა ე ი. თქუენ რალად ამოიოხრეთ?

ქ ა ლ ი. გამანთავისუფლეთ პასუხისაგან.

ვ ა ე ი. თქუენდღეწიკ ვერ განთავისუფლდებით.

ქ ა ლ ი. საყვარელს არ ვუყვარვარ.

ვ ა ე ი. ვინ არის თქუენი საყვარელი?

ქ ა ლ ი. ეხლა ეგა მკითხეთ.

ვ ა ე ი. მე მსურს.

ქ ა ლ ი. თქუენა.

ვ ა ე ი. ეგ რა მიბძანეთ? მე არ მიყვარხართ?!

ქ ა ლ ი. მატყუებთ.

ვ ა ე ი. მაშ რა მაგიყებს?

ქ ა ლ ი. სტყუით.

ვ ა ე ი. სრული გიყი ვარ. გულში მინთია გაუწელებელი ცეცხლი.

ქ ა ლ ი. ორ დღეზე განელდება.

ვ ა ე ი. ვაიმე, ეგ რა მიბძანეთ! რა ეკვიანი ბრძანებულხართ!

ქ ა ლ ი. ვაყები სულ დაუდგრომლები ხართ!

ვ ა ე ი. თქუენ დასერეთ ჩემი გული.

ქ ა ლ ი. როგორ?

ვ ა ე ი. ცილის წამებითა.

ქ ა ლ ი. მაინც.

ვ ა ე ი. მე იმ ვაყებთაგანი არა ვარ.

ქ ა ლ ი. რავდენი ხანი გასძლებს თქუენს გულში ანთებული ცეცხლი.

ვ ა ე ი. საუკუნოთ. აქაც. საფლავეშიც. ცაშიც.

ქ ა ლ ი. როგორ დავრწმუნდე მაგაზე?

ვ ა ე ი. ერწმუნეთ ჩემს პათიოსნებას (!!!)

ქ ა ლ ი. ამას იქით თქუენი ვარ...

ვ ა ე ი. (მხიარულათ) შენ კი გენაცვალოს ეს აღგზნებული გული...

(ერთს ვინმეს გამვლელ ვაყს თუალით ანიწნებს. რომ ქალი მოიგდო (მახეშა).

ქ ა ლ ა ქ ი ს ბ ი ჯ ი (ხმაალა) არიქა, ძერამ მოიტაცა გვრიტი! უშველეთ, უშველეთ, გააგდებინეთ! აქშა, შე წყეთლო!.. (მირბის).

## IX

### სივრცე საზუაღ მონიჭისა და მხუთის სააფიხისა

ორი მათეზარი კეშმარიტების ნატეხებისა და ერთი ტაკიმასხარი

პ ი რ ტ მ ლ ი მ ა ძ ე ბ ა რ ი კ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი -  
ს ა (მეორეს) მაგალითად, იმ ვირს დიდი ყურები რათა აქუს?

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. ოპ, აბა ეგ გამარტე?

მ ე თ რ ე მ ა ძ ე ბ ა რ ი. ბუნება შემცდარა ვირის აშენებაში.

პ ი რ ტ მ ლ ი. როგორ?

ტაკიმასხარა. პა, პა, პა?

მეორე. მათემატიკის კანონებით ყოველი სხეული ისე უნდა იყოს აკრული, რომ ყოველი ასო პროპორციულად ეთანასწორებოდეს, ესე იგი, უნდა იყოს სრული საპროპორცია: ვირს ყურები დიდი აქუს, ფეხები პატარა. მაშასადამე კირის შექმნაში ბუნება შემცდარა.

პირტელი. კლიტე შენი სილლოგიზმისა თუმცა კანონიერად დაიკეტა, მაგრამ თუ შენს სილლოგიზმში არის შეცდომა, აი როგორი: ვირს თავი აქუს დიდი. მაშასადამე, ყურები ვირისა პროპორციულად ეთანასწორება თავსა. თუ რომ ეს იდეა არ დაგვიწყებოდა, მაშინ შენი სილლოგიზმის კლიტე ასე არ დაიკეტებოდა, როგორც შენ დაკეტე. სარწმუნო ხარ შენ ამაზედა?

მეორე. არა...

ტაკიმასხარა. დამაცადე, დამაცადე! შენისავე სიტყვით შენვე გაგამტყუნებ: ვირი ხომ ვირია, კარგი. ასლა გაზომე იმისი ტანი. გამოდის, რომ ვირს რა თავი დიდი აქუს. ყურებიც დიდი უნდა ჰქონდეს.

მეორე. ფეხები?

ტაკიმასხარა. ფეხები? რა ვქნათ. შენ როგორა ხარ დარწმუნებულნი, რომ ვირს სწორედ დიდი ფეხები არა ჰქონდეს?

მეორე. აშკარათა სჩანს.

პირტელი. თვალები გაცდუნებს. ჯერ უნდა დარწმუნებული იყო, რომ თვალი არ გაცდუნებს, რომ შენი თვალი სწორეთ და შეუცთომლად ზომავს ვირის ფეხებსა, მერმე უნდა ნახევრად დარწმუნდე, ნახევრად და არა სრულიად. უმთავრესი საფუძემდელი მეცნიერებისა არის, რომ საგანი იმ სახით არ დავინახოთ, როგორც გვეჩუქნება: ამიტომ რომ ჩუქნი გრძნობები სრულ არ არიან.

ტაკიმასხარა. ამასთან, იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ მათგანი და ფარგალი სრული იყოს. თუმცა სრული შეუძლებელია, მაინც კიდევ სწორეთ და ზედმიწევნით ვერ გაზომავ საგანსა.

მეორე. რა გამოდის მანდელამ?!

პირტელი. ისა, რომ ვირის შექმნაში ბუნება არ შემცდარა.

მეორე. შენისავე სიტყვით შენვე მტყუნდები. თუ საგანი მეცნიერების კანონით არ უნდა დავინახოთ ისე, როგორც გვეჩუქნება, მაშ შენ როგორა ზედავ ვირში უმეტნაკლებობას.

ტაკიმასხარა. შენ არ გესმის ჩუქნი აზრი. ჩუქნი ვამტკიცებთ, რომ ვირს უნდა ჰქონდეს მოდიდრონი ფეხები, და არ ვანბობთ აქუსო დიდი ფეხები.

მეორე. ამას ხომ ამბობთ თავი დიდი აქუსო?

პირველი. დიად.

მეორე. რათ ანბობთ: აქუსო დიდი. რატომ არ ამბობთ: დიდი უნდა ჰქონდესო?

პირტელი. გამიგონე. ფსიქოლოგიური შეხედულობა საგანზე სხუაა, მათემატიკური სრულიად სხუა.

მეორე. მაშასადამე ფსიქოლოგიურის შეხედულობით საგანს სრულიად ვერ ვიცნობთ, მათემატიკურის შეხედულობით კი სწორეთ ვიცნობთ. პა, პა, პა! მაგრამ, ესტყუათ, სწორეთ ასეა, ანუ ასე უნდა იყოს. ახლა მობძანეთ მათემატიკურის შეხედულობისაგან (ვირის ფეხებზე) რათ გადახედო ფსიქოლოგიურის შეხედულობაზე? ლოგიკურის კანონით ერთ საგანზე ერთი



და იგივე დროს, ორი წინააღმდეგი ერთი მეორის სჯა შეუძლებელია: ან უნდა სთქუა ჰო, ან არა.

ტაკიმასხარა. ჰო, აბა. მეც ეგ მანდოდა. ჩემნ გეოკირავს საშუა-  
ლი ადგილი. ვერც ვიტყვით ჰო, ვერც არა.

მეორე. რო ანბობთ ჰოო?

ტაკიმასხარა. ყმაწვილებო! ჩემნ ავცდით საგანსა. და ესრეთ  
დაუტრიალდეთ ამ საგანსა. მიბძანეთ: ვირს დიდი ყურები რათა აქუს?

(ამ დროს ნასწავლი ფრანტი არიგებს ქალაქის ბიჭს, რომელიც შემდეგ  
დაუშავლოვდება მობაასეთ მეცნიერებსა).

ქალაქის ბიჭი. ყმაწვილებო! კარგი ლიმონები, აპელსინები, სპიჩკა.

ტაკიმასხარა (ქალაქის ბიჭს). ბიჭო, ვირს დიდი ყურები რაოა  
აქუს?

ქალაქის ბიჭი. ვირის თავში მე ვხედავ საკვირველს პოეზიასა.  
ვირში გამოიხატება მოკლეთ და ცხადათ ბრწყინვალე, მაღალი აზრი: ესე იგი,  
ვირი არის ხატი უმეტრებისა. ღმერთმა განგებ შექმნა ვირი ამ სახით და დაუ-  
ანლოვა კაცსა, რომ უმეტარი კაცი ხედავდეს ვირში თავის სახესა. ვირს აქტს  
ტანი პატარა. ეგი ის არის, კაციც პატარაა: ვირს აქტს პაწაწყუნა ფეხები. ეგ  
ის არის, კაცს ბევრის გამოკტლევა არ შეუძლიან; ვირს აქტს თავი დიდი და  
ცარიელი. ეგ ის არის: კაცი ამაოდ გამოიძიებს მიუწთომელ საგნებსა. ვირს  
დიდი ყურები აქტს. ეგ ის არის: ვირს ამ მიუცთომელი საგნებს-ს გამოკტლევას  
გამოუღებდა, ისი უსაშინლესი უმეტარია, ესე იგი ვირია...

მობაასენი. ბრავო! ბრავო!

ბატონო მკითხველო! მე აღგოქვ თქუემნ აღწერა ყოველივესი, რაც კი  
ენახე და გავიგონე ტფილისის ტროტუარზე. ერთი ნაწილი ავეწერე. დანაშთი-  
ნის აღწერისაგანლა უმორჩილესად გთხოვ. გამანთავისუფლოთ. მიზეზი ცხა-  
დია: გაგრძელება იგივე უსიამოვნო კაცის მოქმედებისა დაფარებულისა მხო-  
ლოთ სხუა და სხუა ფერ პირბაფესი თქუემნ არას გასიამოვნებდა და უფრო  
დაიწყურლებდა გულს...

**ზიზია თონია**

## სურამის ციხე

კულენი ჩემს ამხანაგებს

ამ ზაფხულის, იმ საშინელ სიციხეში, როდესაც ქალაქში მცხოვრებნი ექვ-ბდენ სიგრილეს ქალაქის გარეთ, აქ რამეტენათე ყმაწვილთა, რომელთაცა რი-ცხეში ვრია თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე, დედეს პირობა მთელ ზაფ-ხულს, ყოველ საღამოს შეყრა რიყეზედ<sup>2</sup>, ანჩისხატის<sup>3</sup> ჩასწვრივ და იქ დროებსა გ-ტარება კარგა შუალამემდინ. იმ პირობაში, სხვათა შორის, იყო ერთი მუწ-ლი, რომლითაც მორიგე პირს უნდა ეთქო ერთი მოთხრობა, ანუ ანდაზა<sup>4</sup> ანუ რაც უნდა რა ჩვენი საქართველოს ცხოვრებითგან.

იყო ერთი იმ მშვენიერთა საღამოთაგანი, რომლითაც, სიცხის გარდა, ისე მდიდარია ჩვენი საქართველო. ყმაწვილებმა ის იყო იბანეს და ზოგი ჩაის მიირთმევდა, ზოგი იცოჲდა, ზოგნი შემოხვევიყვენ და ყურს უგდებდნენ დ. ბ.<sup>5</sup> რომელსაც მუხლზედ ედო თარი, უკრამდა და დაბლა ხმით დალიდებდა. შემდგომ რამტენივე ზანისა, როდესაც ყველამ მიირთვეს ჩაი და ბიჭები შეუ-ღვნენ ვახშამის მზადებას, ყმაწვილებს მოაგონდათ, რა მორაგეს ჭერ არ აე-სრულებინა თავისი რიგი. მოიკითხეს მორიგე. გამოჩნდა, რა რიგი გათავებუ-ლიყო, სთხოვეს ერთს. სთხოვეს მეორეს, მაგრამ არავინ არ მიიღო თავისზე ეს ვალდებულება. მივარდა საქმე წილის ყრაზე და ერთი ჩვენგანი წამოდგა. ქსეთო: იწილო, ბიწილო, შროშანო და სხვანი და დააბოლოვა ნიკო დ-ზე<sup>6</sup>.

— ოჰ! ნიკოს გაუმარჯოს, მოგვილოცამს, — დაუძახეს სულ ყველამ.

— უჟაცრაოთ ყმაწვილებო, დღეს მპატივეთ, თქვენმა მზემ არ ვიცი, რა ესთქო, არ მოემზადებულვარ.

— ეჰ. ნიკოჯან! ასხენე ღმერთი და დაიწყე: იყო და არა იყო რათქო და სხვას ღმერთი გიშველის, გარწმუნებ! — უთხრა დარიგებით სიკომ.

— მაჰ კარგი, სმენა იყოს და გაგონება, — და დაიწყო:

იკითხე გლესთაც კარგი ქალობა!  
სოფლელსაც<sup>7</sup>, ხედამ? აქეს ჩილი გული,  
სოფლელმაც<sup>8</sup> იცის, სიან სიყვარული,  
შენ კო..

ი. კერესელიძე<sup>9</sup>

— აი, ის სახლები მუხრანბატონიანთი<sup>10</sup> არის, ხედავთ — და გაიშვირა ჯელი მუხრანბატონიან სახლებისკენ.

— დიახ, დიახ, გახლამსთ, — უპასუხეს ყმაწვილებმა.

— ესლა ის სახლები დაქუეულები არიან, არ ვიცი რათა. პატრონებო აურს აღარ უგდებენ, გული აუტრუებათ იმათზე, მაგრამ მკვათაცა ჰქონდათ თავისი დრო: ერთხელ ეგენიც იყვნენ პირველი სახლები ჩვენ ქალაქში და ყოველი ქალაქში ჩამომსვლელი უთუოთ ნახამდა ამ სახლებსაც სხვათა შორის. მაგრამ მხოლოდ ეს სახლები არ იყვნენ ჩინებულნი, ანობენ, რომ იმისთანა ტანოვანი, ლამაზი, ზდილი და ჩაცმული მოსამსახურები არსაიდგან არ გამოვიდოდნენ, როგორც იმ სახლებიდან. თათონ ხელმწიფეს, თერმე, შერდა იმათი მსახური. ამ მსახურთაგანი იყო ვრცე დერმისან: ძღონ ყოჩაღ და ლამაზი ყმაწვილი კაცი, მუხრანბატონის ნაზირი და ქალი — გულს ვარდო, საყვარელი გოგო მუხრანბატონის მეუღლისა. მე ისე ვერ აღვიწერ იმ გოგოს სილამაზეს, როგორც ცხონებული ჩემი გამზღელი, რომლისაგანაც გამოვიწინა ეს ანდაზა, და იმიტომ დავანებებ თავს: აღვის ხესავით ტანი, შავი გონიერის-ვით, ბროლის შეშა თითები. ერთი სიტყვით, სიკო, შენ კატონე უფრო ლამაზი!

— კარგი, იმათ შეუყვარდათ ერთმანეთი, სხვა? — უპასუხა სიკომ.

— დიახ. შეუყვარდათ ერთმანეთი ისე, როგორც აღმოსავლეთში მცხერებთ შეუძლიათ სიყვარული. მაგრამ უკაცრავად, შეუყვარდა მხოლოდ გულის ვარდს, დურამიშხანს, რომელ არ ყვარებოყო, შევტუობთ შემდგომ. საწყალი გულის ვარდის სულთა, და გულით მიეცა თავისი სიყვარულსა. იმათვისა, ვარეშე თვისისი სიყვარულისა, აღარ იყო ცხოვრება. რამდენჯერ ეს მტკიცარი ამ აღვიღეს, სადაც ესლა ჩვენ ვლხინობთ, იყო მოწამე იმათი სიყვარულისა. საწყალი ქალი რას მოიგონებდა. რომ იმის დურამიშხანს იმ დროს, როდესაც ის დალაპარაკებოდა თავისი სიყვარულს, გულში სულ არა ჰქონდა სიყვარული და ეძებდა შემთხვევას, მოხერხებთ ეთქო იმისთვის თავისი გულის პასუხი.

ერთხელ, როდესაც ჩვეულებისამებრ დურამიშხან და გულის ვარდი შეიყვარნენ აქ და დალაპარაკებდნენ თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე, ამ დროს უკაცრავად ეთხრა დურამიშხანმა:

— იცი, გულოჩან, მე სადაური ვარ?

— რა კითხვა არის? ვიცი.

— მე ვარ იმერელი, წერეთლიანთ ყმა. ეგრე, როგორც შენ, იმისთანა გოგოს საყვარელი დედის ერთა შვილი.

— ახლა რა უყო, იმიტომ ხარ კარგი ჩემო საყვარელო.

— დიახ, მაგრამ იცი, მე აქ როგორ ვადმოვედი?

— არა, არა, მითხარ, გეთაყვა.

— ერთხელ ჩემი ეხლანდელი ბატონი ბძანდებოდა იმერეთში მაშინდელ ჩემ ბატონთან. იმ დროს, როდესაც ისინი ეწეოდნენ ქეიფსა, აკი მომიხდა მე შესვლა იმ ოთახში, სადაცა ისინი ისწდნენ და რაღაც ჩემი უბედურების წერა იყო, მომიწონა მუხრანბატონმა და მაქო. ის იყო, ჩემი საქმე გათავდა; მეორე დღეს, რომ მოდიოდა შინ მუხრანბატონი. იმისი ბიჭის ცხენს უკან შემომიხვეს და გამომეყოლეს უკან. საწყალი დედა ჩემი რა ნაირად იკლამდა თავს უნდა გენახა გულოჩან, მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს. მე ტუტუტეს, მაკვირდა ის მწუხარება, რა ვიცოდი, რომ ის იყო უკანასკნელი ჩემი ნახვა დედისა. რა გამოვსცადე შემდგომ იმისა, შენ ვერ წარმოიგენ ვარდო. და რა არ გამოვსცადე? შიმშილი. წაუტრეილი, სიცივე. ცემა, დაცინება და სხვა ბევრი ამისთანა გამოვსცადე თქვენ საქართველოში! ვინც რასმე დააშავებდა, ყველა ჩემი ბრალი იყო: ვინ რა მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გატეხა? იმერელმა. ვის დასცინიან? იმერელის ბიჭს. ვისა სცემენ გაჯა-

ვრებულ ველზე? იმერლის ბიჭს. ვის ვასაჯარებლად სთქონ იმერლების დასაცინა ანდაჯები? იმერლის ბიჭისა. მე ვარდო! ბევრჯელ მივმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯელ მიტირნია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი წუველის მცემელი? არა ვინ. თვით ღმერთი — ეს ყოველად უმოწყალო ნუგეშის მცემელი არ იყოს ჩემთვის, იმისთვის, რომ არ ვიცნობდი იმას. ასე ჩემო ვარდო, სანამ შენ გაგიცნობდი, ერთი კაცი არ მყოლია, რომ შემეჩივლა ჩემი გულის დარღები.

— რა სიჭირია ვე ლაპარაკი. დასიბე თავი, შენი ვარდო გიბძანებს, — უთხრა ვარდომ და აკოცა ერთი იმ გვარად, როგორც კოცნას ბევრი ჩვენგანია თუჯის სიცოცხლეში არ ეღიბებოან... ბედნიერი ღურმიშხანა!..

— იცი, ღურმიშხანა, მე რა მოვიგონე? როცა ჯვარი დავიწეროთ, დავეთხოვოთ ჩვენს ბატონებს და ერთი სამი თვე წავიდეთ თქვენსა; რანაირად გაეხარდება საწყალ დედა შენს!

— იმეტომ უფრო იმაზე, რომ მიუყვან ჩემს გულის ვარდოს, არა?

— ჰო, იმაზედაც.

— მემრე მოვალთ დედა ჩემისაგან, თუ ისევ ცოცხალ მაინც არის. მემრე ჩემო ვარდო? — დაფიქრებით უთხრა ღურმიშხანამ.

— მემრე რა? შენ დაიწყებ ნაზირობას<sup>12</sup>, მე ჩემს საყვარელ ქალბატონს დაუწყებ მსახურებას.

— მემრე წავა დრო, გავვიჩნდება შენსავით ლამაზი ბიჭი, შენ გაზიდი დიდი ამბით. განა გეყვარება ჩვენი შვილი, გულო?

— ძრიელ. ძრიელ! — საჩქაროთი სთქო ვარდომ.

— წარმოვიდგინოთ. რომ ვრახელ მოვიდა ვინმე ჩვენ ბატონთან და სთხოვა ჩვენი შვილი, რა იქნება მაშინ?

ამ კითხვამ შეაერთომა გულის ვარდი: საწყალს არას დროს არ წარმოვიდგინა, რომ შესაძლებელი იყო, წაერთოთ იმისთვის შვილი.

— ეგ არ შეიძლება! ქალბატონი სადა მყავს, განა ჩემი ქალბატონი ისე დამივიწყებს? არა, ეგ არ იქნება! — რამტენსამე ხანს შემდეგ სთქო ვარდომ ჩაფიქრებით.

— წარმოვიდგინოთ, რომ შენი ქალბატონი იმ დრომდინ მოკვდა, იმის ღეხს სულ არ უყვარხარ, მაშინ?

— ოჲ! ეგ არ შეიძლება, ღურმიშხანა, არა! უწინ დღე დამელიოს.

— ქვეყანაზე შეუძლებელი არა არის რა, არა გულოჯან; სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება. უთხარი შენს ქალბატონს, რომ თუ შენი ბედნიერება უნდა და გწყალობს, მე გამანათავისუფლოს, უთხარი, რომ უმისოთ ჯვარს არ იწერსთქო.

შემდგომ ამ ლაპარაკისა გამოვიდა ერთი კვირა და შეეყვარებულნი აქვე შეიყარნენ. ღურმიშხანს ედვა უბეში განთავისუფლების წიგნი.

— აბა ახლა, ჩემო ღურმიშხან! ავი გითხარი, რომ შვილებს არა ვინ გავვიციდის-მეთქი. ახლა ჯვარი როდის უნდა დავიწეროთ?

— ჯერ ასე ჩქარა არა, ჩემო ვარდო, მოითმინე, აჩქარებით საქმე არ გაკეთდება.

— ახლა რალა მიზეზი იპოვე, ჩემო ბრძენო? მოითმინე და მოითმინე, ხან რას მოვიგონებს და ხან რასა!

— რა ვქნა, ჩემო სიცოცხლე, კიდევ დამცინი, რომ შენი ბედნიერებისათვის ვზრუნამ. ასე გგონია, მე კი არა მსურს, რომ ჩქარა დავიძახო ცოლი, ჩემო

ფურჩნილო ვარდო, მაგრამ დროება ითხოვს მოთმინებას, მემრე ჩვენი ბედნიერება უფრო საფუძვლიანი იქნება.

— რა, რა, ახლა რაღა მოიგონე, მოთხარი ჩქარა.

— ვარდოჯან, ნუ ჭავრობ, მშვიდობიანათ დამაგდე ყური, შენ თითონ გამამართლებ.

— სტქვი, სტქვი, ჩქარა!

— ვარდოჯან, ეხლა თავისუფლები ვართ, მართალია, მაგრამ იცი, რო რაღა ედ გვააცოია იმისი მეტი არა გვაქვს-რა?

— რა უყოთ! შენ ინაზირე, მე ჩემს ქალბატონს ვემსახურები. განა ვერ ვიცხოვრებთ, აქამდინ როგორ ვცხოვრობდით?

— არა, სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გექვსება საცხოვრებელი, რო სხვის თავდაუქვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება, განთავისუფლება არ არის.

— მაშ, რა უნდა ვქნათ, ჩემო ღურმიშხან? ოე ლმერთო!

— შენ არაფერი, შენ შენ ქალბატონთან უნდა იყო, მე კი, მე უნდა წავიდე, ვიმუშაო, რაც იქნება, რითაც იქნება, ლმერთი მომმართავს ხელს ჩემო ვარდო, წიგნი<sup>12</sup> ვიცი, ენები და რამტენიმე ხელობა. წავალ ვიშოვნი ფულს, ჯავმდიდრდები და ისე მოვალ შენთან. ოჰ! რა ტკორლათ გაკოცებ მაშინ. ჩემო სიცოცხლე! — დაუჭირა თავი და აყოცა ტბილათ თვლებში.

— მაშ კარგი, თუ შენ გინდა ეგრე, მე რა მეთქმის! როდის გინდა წახვიდე? — ნაღვლიანად ჰკითხა გულის ვარდომ.

— ბევრი ცდა აღარ უნდა, ყოველი საათი დაგვიანებული აგვიანებს ჩვენს შეერთებას. სჯობია ავსჩქარდე; ხვალე წავალ.

— ხვალ. მაშ ხვალ წახვალ საწყალო ჩემო ღურმიშხან! ვინ მოვივლის უჩემოთ, ვინ გაგირეცხს, ვინ დაგიყრებს, და ან ავთა რო ვაჰხდე, ვინ მოვივლის. აჰა! — და აყოცა შუბლზე. აყოცე, ტბილათ აყოცე საწყალო გულის ვარდო, განაგრძე ეგ ლაპარაკი, ეგ არის უკანასკნელი შენი ბედნიერების საათი, ამის შემდეგ შენი პირიდგან აღარ ამოვა სიტყვა სიყვარულისა. ახ, რა ბედნიერი იქნებოდნი, რო ეხლა მომკვდარიყავე, ვარდო, მიტყუების სიტყვა ბაგზე, უმანყო სიყვარული გელში. ვით უმანყო ყმაწვილის ძილი, მშვიდი იქნებოდა შენი სიკვდილი და ბევრნი ჩამოაგდებდნენ დანანის<sup>14</sup> ცრემლს შენს საფლავეზე მაგრამ მემრე?.. მაგრამ რათ უნდა წავიბრინოთ წინ.

მეორე ღღეს ღურმიშხანი ლამაზათ მორთული, ვერცხლის ყანწებით<sup>15</sup>, შევერცხლილი იარაღით შეკაზმული, კარგი შავი ცხენით გავიდა ქალაქითგან. შემდგომ წავლისა სწორეთ ერთი თვის უკან ღურმიშხანმა გამოგზავნა წიგნი<sup>16</sup> გულის ვარდოსთან და შემდეგ თითქმის მთელ სამს წელიწადს ყოველ თვეს უგზავნიდა ვარდოს წიგნებს, რომელშიაც სწერდა ყოველთვის თავის ჩქარა მოსვლას.

ბევრმა წყალმა ჩაიარა ამ სამს წელიწადში, ბევრი ცვლილება მოხდა ქვეყანაზე, არ შეიცვალა მხოლოდ გული ვარდოსი. იქ ისევ ისე ენთო წმინდა სიყვარული ღურმიშხანისა, როგორც პირველს ღღეს მათის გაცნობებისას, ვარდომ შეინახა წმინდათ თავისი სიყვარული, თუმცა, რო ვარშიკებოდნენ და თხოულობდნენ ბევრნი კარგნი კაცნი. ღურმიშხანი რაღას აკეთებდა ამ დროს? იმან მეორე წელიწადის შემდგომ ტფილის წასვლისა დიდის ამბით დაიწერა ჭვარი სურამში და შევიდა ზედსიძედ. და აი, ერთხელ, სამის წლის შემდგომ ქალბატონმა დაუძახა ვარდოს და ვარდო რო მოვიდა, უბძანა მოტანა საჩუქისა.

ვარდომ მოართო სარკე. ქალბატონმა გაიხედა სარკეში, გაისწორა კავეები, ლე-  
ჩაქი და უთხრა ვარდოს:

— კიდევ ლამაზი ვარ განა, ვარდო?

— ლამაზი. ძრიელ ლამაზი ბძანდები, ჩემო სიცოცხლე. შენამც გენაც-  
ვლებიან რაც ქვეყანაზე ლამაზი ქალები არიან, — უბასუხა ვარდომ და აყო-  
ცა ხელზე.

— რათა, გოგო, შენც ხო შიგ ჩაპყვები, შენც ხო ლამაზი ხარ.

— განა მე კი არ მეკადრება, მე უფრო არ უნდა გენაცვალო, ჩემოდენათ  
ვის უყვარხარ.

— კარგი, კარგი, ჩემო ვარდო, შენ კარგი გოგო ხარ და ლამაზიც და იმი-  
ტომაც ბევრნი გთხოვლობენ.

— ეპ, რას მიბრძანებ შენი ჰირიმე. ქალბატონო, დაიცადეთ, თუ დურმი-  
შხანთან არ დაგაბეზლოთ. — ღიმილით უთხრა ვარდომ.

— რა აღარ მოვიდა შენი დურმიშხანი, შოდი და თავს ნუ დანებებ, რა  
დაგივიწყა! მე გავიგონე, მითომც სხვაც შეერთოს და...

— რა არის, ქალბატონო, სულ მაგითი მაშინებთ, შეირთო და შეირთოს,  
კაცი იმაზე ხო არ ჩამოკიდებულა, მე ჩემი ბედი არ დამემალება.

— ჰო, ეგ მიყვარს, ჩემო ვარდო, ალბათ ღვთის ნება არ იყო თქვენი  
ცოლქმრობა, ალბათ ერთმანეთთან იქნებოდით უბედურნი, რო ღმერთმა განვა-  
შორათ ერთმანეთს, მოითმინე. შვილო, და ღმერთი შენი მოთმინებისთვის ისე  
გაგაბედნიერებს, რო დურმიშხანი არა, იმაზე კარგებიც დაგნატრიდნენ.

ეს სიტყვები ვარდომ, მართალია, ვერ გაიგონა-კი რისთვის იყენენ ნათქომ-  
ნი, მაგრამ შეიტყო, რო კარგს არას მოასწავებდნენ. მართალია, ვარდო არ  
წარმოიდგენდა, რო იმის დურმიშხანი უორგულებდა იმას, მაგრამ ეგონა, რო  
ის ან ტყვეთ ჩავარდნილიყო და ან მომკვდარიყო. აწისთვის შეეშინდა რა უბე-  
დურებისა, უნდოდა ჯერ არ შეეტყო სრულებით და გადაესხვაფერებინა სი-  
ტყვა, მაგრამ გულმა ველარ გაუძლო და ისე აჩვენა თავი ქალბატონს, მი-  
თომც. რასაც ის ეუბნებოდა ისე ფრთხილათ, იმან იცოდა დიდი ხანია.

— რა ექნა, ქალბატონოჯან, რაც ღვთის ნება არის, ის იყოს, თქვენ კა-  
რგათ ბძანდებოდეთ, ალბათ ჩემი წერა ესრე იყო: რა უყო, უნდა მოვითმი-  
ნო.

— მაშ იცი, რაც უნდა გითხრა?

— ვიცი ქალბატონო, იმ დღეს შევიტყე, მაგრამ არ ვიცი როგორ ყოფილა  
საქმე.

— რაღა როგორ ყოფილა. შვილო, აი იმის წიგნი. მე მეცოდები, იმიტომ  
ვერ გითხარი აქამდინაც. ნუ იწუხებ, შვილო, ეხლაც შენი თავი ჩვენმა აზნა-  
ურმა მოხოვა.

სანამ ქალბატონი ამას ეუბნებოდა, ვარდომ დაუწყო კითხვა დურმიშხანის  
წიგნს, მოწერილს სურამითგან.

აი სწორე პირი იმ წიგნისა:

„ჩემი დიდი ქალბატონი, თავადი წერეთლის ქალი მარიამის დიდი მუხ-  
რანბატონის მეუღლის პირი მოსცეს ღმერთმა მის უკანასკნელ ფეხის მტკერს  
დურმიშხან წამალაძეს. მემრე ამას მოგახსენებთ, ჩემო ქალბატონო, შენი  
ჰირიმე, მე თქვენითგან რო წამოვედი, ვაპრობა დავიწყე, იქით-აქით დავდიო-  
დი, ჩემ გულში ვანბობდი, რო ცოტა რა ფულს მოვავგროვებ-მეთქი და მემრე  
წავალ და ჩემთვის ვიცხოვრებ-მეთქი, არც ბატონს შევაწუხებ და ვარდოსაც  
ცოტა რამ ექნება-მეთქი. მაგრამ ცოტა ფულებს რო მოუყარე თავი და წამო-

სელა დაეპირე, ერთს ღამეს დავრჩი სურამს, ავთანდილანთ ეძახიან, ერთი გლეჯიკო გახლამ. იმასთანა. აქ ჩემი აღა რომელზედაც ვარდოს ვწერდი ხოლმე წიგნებში, ის ჩამომეკიდა, რო არ იქნება, რო იმ კაცის ქალი არ შეირთო (იმის ნათლული იყო) და იმითმ უნდოდა იმისი გათხოვება, და მეც ხართი ვეღარ გაუტეხე და იმ კაცის ქალზე ჭვარი დავიწერე და ზედ-სიძღვ შევედი. ასე ჩემო ქალბატონო! ბარემ მინდოდა, რო ვარდოზე დამეწერა ჭვარი, მაგრამ ალბათ ლეთის ნება არ იყო. ახლა ჩემ მაგიერ ვარდოს უთხარით, რო კარგი კაცი ითხოვოს და რაც უნდა, ჩემგან მოითხოვოს. სხვა, თუ ჩემს ანბავს იკითხავთ, მშვიდობით გახლავართ. ესლა ერთი ბიჭი მეყოლა“.

იმ საათს მესი რო დასცემიყო, ისე არ შეკრთებოდა ვარდო, როგორც შეკრთა ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ. კითხვის დროს იქამდინ რო მივიდა, სადაცა დერმიშხანი სწერდა თავის ჭვარის წერასა, თვალეზი დაუბნელდა. ვეღარა დაინახა რა და მიეშო ტახტზე. მარჯვენა ხელზე დანდობილი, თავი ჩამოკიდებული, საშინელი ყვითელი ვარდო გვანდა წუხილის სტატუსს და იყო კუმშარიტად მშვენიერი, ისე მშვენიერი, თვით ქალბატონმა რო დაინახა, ვულმა არ გაუძლო და აყოცა შუბლზე.

— ვარდო, შვილო, გოგო, ვარდო, პირჯვარი დაიწერე, შვილო, — შეკრთომით ეუბნებოდა ქალბატონი და უსრესდა ცხვირის ნესტოსა და ყურებს, — გოგოებო! ბიჭებო! ვინა ხართ მანდ, მიშველეთ!

ამ ხმაზე რამტენიმე გოგო შემოვიდა და იმათი მეცადინეობით რამტენიმე ხანს უკან მობრუნდა ვარდო, გაანხილა თვალეზი და ამოიხარა.

— პირჯვარი დაიწერე, შვილო, ღმერთს შეეხვეწე, რო მან კანაქაროს სენი მწუხარება, — არიგებდა ქალბატონი, მაგრამ ვარდოს არ ესმოდა იმისი დარიგება, ის ტირილდა მწუხარეთ...

— საწყალი ვარდო, შესანდობარი დავლით ყმაწვილებო, დღეისთვის ეყოფა.

— ვინც არ დალიოს, — დაიძახა ერთმა ჩვენგანმა.

— აგრე იყოს!

— კიდევ განაგრძელოს, — დაიძახეს სხვათა.

— კიდევ რაღა? იმავე დღეს ენაბათ, რო გულის ვარდი რაღასაც ჩემად ელაპარაკებოდა ერთ განთქმულ მკითხავს.

რამტენიმე მინუტის შემდეგ კახურმა ლეონომ და ცხონებული ალექსანდრე ჭავჭავაძის<sup>17</sup> ლექსებმა დაავრწყეს ყმაწვილებს ვარდოც და ისიც, რო უნდა დავლიათ იმისი შესანდობარი. ანაღვანდას არ ახსომს სიკვდილი და ეკავრება ისიც, რაც მოაგონებს იმას.

## II

მეორე დღეს ყმაწვილები შეიყარნენ ჩვეულების წინ და როგორცრო მოვიდა ნიკო, მოსთხოვეს გაგრძელება: მაჯაჯ. რადვანაც ნიკოს რიგი აღარ იყო, ის აღარ ანბობდა. მოიკითხეს მორიგე, გამოჩნდა, რო სიკო ე—სა უნდა ეთქო. სიკომ ბევრი აღარ ათხოვინა, ჩაიკეცა ქული, მოიკეცა, მოითხოვა ყურადღებდა და დაიწყო:

— ახლა ყმაწვილებო. გთხოვთ ცოტა უკან მიებრუნდეთ.

— დაიხიეთ. ყმაწვილებო, — დაუძახა ალექსი პ—მა, რომელსაც ჰქონდა ნასიათი, სულ ყველა ახრზე ეთქო რამ წინააღმდეგი, რომლისთვისაც ჩვენ დავარკვით იმას საშინელი ფილოსოფოსი.

— თუ არ ესტუეო, — დაიწყო ისევ სიკომ, — მგონია დერმიშხანი. ჩვენ

ვარდოს საყვარელი, უფალმა ნიკომ გაუშო შარა გზაზე ქალაქის გარეთ. ქალაქიდან რო ვავიდა ღურმიშხანი... შავრამ მოითმინეთ მოგახსენოთ იმასი ჩამომავლობა.

— ახლა შენ თვითონ დაიხიე, — უთხრა ალექსიმ.

— კარგი ალექსი, თორემ აღარ ვიტყვი.

— ალექსი! ხო გახსოვს ჭარიმა, ის ყანწი ისევ ცოცხალია, — დაუძახეს ყმაწვილებმა.

— ჰო, კარგი, მემრე?

ღურმიშხანი იყო ძე ჭერ ადამ და ევასი.<sup>18</sup> მემრე ნოე<sup>19</sup> და არ ვიცი ვისი და მემრე. როგორც თითონ უთხრა ვარდოს, წერეთლიანთ გოგოსი და იმავე წერეთლის შვილისშვილი. ღურმიშხანის დედა იყო ისე უბედური, რომ მოიწონა თვარამეტი წლოს წერეთლის ვაჟს და იმის შემდეგ გაჩნდა ღურმიშხანი, თვით სახიერო მსგავსი ცოტათ წერეთლისა. კეთილი ზნითა, ჩაცმული ყოველთვის სუფთათ. ღურმიშხანი იყო საყვარელი თვით დიდი ბატონითგან უკანასკნელ ბიჭადინ და ვინ მოიგონებდა, რომ ბატონი გამოიმეტებდა იმას გასაცემათ. და იმისათვის მეორე დღეს, როდესაც შეიტყვეს, რომ მუხრანბატონისათვის მიუერთებიათ, ისე შეწუხდნენ ყველანი, როგორათაც თავის შვილებზე. ანუ ძმაზე. ისტორია არ აჩვენებს რა იყო მიზეზი ღურმიშხანის ისე ადვილათ გამეტებისა ბატონისგან, იმიტომ რომ, როგორც ატყობდნენ შინაურები, ბერიკაცს უყვარდა ისი და ბევრჯელ ეთამაშებოდა ხოლმე და უყვავებდა. ეს სიყვარული გამოჩნდა, სხვათა შორის მაშინ, როდესაც ღურმიშხანს აშორებდნენ დედას. ანბობენ, ვითომც დიდ ბატონს მარჯვენა უღვაშმა დაუწყო კანკალიო და თვალეზე ცრემლივით რაღაც დაუნახესო. მოსამსახურენი, რომელნიცა ყოველ შემთხვევაში ეძებენ დასაწყის მიზეზს, პოობდენ ორ მიზეზს იმას გაეცემისასა, პირველს, მითომ ბატონს უნდოდა ჩაეგონებინა შვილისთვის ყოველივე ურიგობა, რომელიც გამოვა გოგოსთან კავშირითგან, და მეორე, მითომც უნდოდა დაესაჯა ღურმიშხანის დედა იმისთვის, რომ იმან ვაბედა აშკობა ბატონის შვილთან. შავრამ ისევ მოსამსახურენი ანბობენ, რომ ახალგაზრდა ბატონმა სულ არ იწუხა შვილის დაკარგვა და იმავე დღეს, როდესაც მამამ იმისმა სხვას აჩუქა იმისი შვილი, ის წავიდა სანადიროთ მიმინოთი და ძირელ მხიარულათ ნადირობდაო. საწყალი დედა ღურმიშხანისა! ის მოკვდა სწორეთ ღურმიშხანის წაყვანის შემდეგ, ერთი წელიწადი რომ გამოვიდა სიკვლეით. შემდგომი ცხოვრება ღურმიშხანისა იცით წინა მოთხრობით. ისიც ისე გამოიზარდა, როგორც ეხლა იზრდებიან იმისი მსგავსი უპატრონო ბიჭები, რომელთაც ცხოვრებას სრულებით არავინ არას დაძღვეს.

ბეორეთ რომ იყივლეს მამლებმა, ღურმიშხანი ადგა, ახსენა ღმერთი...

— ოჰ, შენმა მზემ, თუშური სეუბი არის, — დაიძახა ალექსიმ.

— რა ვქნა, — ლოდიკის კურსი არ გამოგონია შენგან, ჩემო საშინელო ფილოსოფოსო და რა უყო, — უპასუხა სიკომ გაჭავრებით.

— თქვი, კაცო, მაგას ყურს ნუ უგდებ, — უთხრეს ყმაწვილებმა.

— მეორეთ რომ იყივლეს მამლებმა, ადგა ღურმიშხანი, ახსენა ღმერთო, გამოიყვანა თავლიდგან ცხენი, დააურვა. აჭამა ქერი და შეეკაზა. რასაკვირველია, რომ ამ დროს გულიწვარდიც არ იყო უსაქმოდ და შეველოდა ღურმიშხანს, რითაც შეეძლო, მამალმა რომ მესამეთ იყივლა, ღურმიშხანმა მოუჭირა ცხენს მოსართავები, გადაუგდო ხურჩინი, გამოვიდა და გამოუდგა გზას. საით? იმ დროს რომ გეკითხნათ თვითონ ღურმიშხანისათვის, გარწმუნებთ, ვერ გეტყვოდათ, საით მიდიოდა. სადა ჰქონდა იმას დრო, რომ ეფიქრა ამაზე. იმას



სერდა მსოლოდ ჩქარა გასულიყო ტფილისიდან, იმიტომ რომ ტფილისი და თავის ყმობა იყენენ იმისთვის ერთი, იმიტომ რომ ტფილისი ავონებდა იმას იმ მწარე დროებს, რომელიც გაატარა აქამდისინ, იმიტომ უკანასკნელ რომ უნდოდა ჩქარა გამოეცადა ის ცხოვრება, რომელზედაც კაცი არ აძლევს ანჯაროშ სხვა თავისთანას. და იხმარებს თავის დროებს, როგორც უნდა და როგორც კეთილს ივონებს. და აი, მიდის ჩემი დურმიშხანი... შეხედეთ, როგორ კობხათ ზის ცხენზე, ტახტის აზნაურს არა გაჯს? და ვისი ეშინიან, რომ კობხათ არ იჯდეს, ვის შეუძლიან, რომ ხმა გასცეს. რაა რომ აზნაური არ არის?

ეს და ბევრი ამისთანა აზრები რიგ-რიგათ მოსდიოდა დურმიშხანს და ისე ავიდა ძეგვს<sup>20</sup>, რომ ვერც-კი გაიგო, მაგრამ გზასა აქვს როგორიღაც ხასიათი, რომ როგორც გინდა მზიარული იყო, მინც შემდგომ გავლისა რამტენიმე ვერსისა, როდესაც კობხათ დაილალები, როგორღასაც შეკრთება გული და დაგეცემა ღიქრი. მაშინ ან უნდა იმღერო და ან ძრიელ ჩაფიქრდე. შემხვედრი პირველზე იტყვის, რომ მითომ ძრიელ მზიარული იყო, მეორეზე კი მითომც ძრიელ დაღონებული, მაგრამ როგორც პირველ შემხვევეაზე, ეგრეთვე მეორეზე სცდებთან გარე შემხვედველნი, იმიტომ რომ ორსავე შემხვევეას ძრიელ მუშაობს მგზავრის ფანტაზია და იმისაგან არის ის მდგომარეობა. რამტენი იტყერ ციხეს ააშენებს მაშინ მგზავრი, რამტენ რასმე მოიგონებს იმისთანას, რომელიც არას დროს არ აღსრულდება იმას; მაგრამ ის არის მამინ კმაყოფილი, და არა თუ კმაყოფილი, არამედ ის კპოვეთ იმაში ბედნიერებას.

ძეგვს რომ მიახლოვდა, დურმიშხანი იყო სწორეთ ამ მდგომარეობაში. აი იმან დაინახა მშვენიერი ყანა, რომელიც ქარს ეთამაშებოდა, როგორც მორცხვა პატარძალი თავის დანიშნულს. ქარი ეხვევა, უყუყუნებს სიყვარულის სიტყვათა, მაგრამ ყანა, — ეს კეკლუცი პატარძალი, — მითომ მორცხობს და აშორებს თავს. აი ცხვარი, მოგრობებული შუადღეს ერთ ხის ქვეშ. შეხედეთ მეცხვარეს, როგორ სრული კმაყოფილებით უკრავს სტირის და ეუბნება ქებას თავის შურას. უყურეთ შურას, როგორი გულისხმის გადევნით უგდებს ყურს თავის პატრონს, მითომ უნდა, რომ არც ერთი სიტყვა არ დაავიწყოს და ყოველივე სიტყვა აკრიფოს მარცვლებივით. აი გუთანი ათუღელა, თავის მოუშორებელი ოროელათი<sup>21</sup>. შეხედეთ გუთნის დედას! კრეზი<sup>22</sup> თავისი სიმდიდრით არ იყო ისე კმაყოფილი, როგორც არის ხოლმე ის მამინ, რომცა უბრძანება მებრებებს ხარების გარეკას. ხარები! შეხედეთ როგორი აუყოლებიან ოროელათის ფეხები, როგორც კარგს მოთამაშეს ცეკვაში მუზიკისათვის. ჩვენი კამპეჩი! შეხედეთ, რანაირ ბრძენავით ჩაფიქრებული მიდის, თითქო სწყვეტდეს ერთ პითაგორის ტეორემას<sup>23</sup>.

გესმით შორითგან ბულბულის სტვენა? კაცი უნდა იყოს ყრუ, რომ იმ სტვენაში არ გაიგონოს ხმა სიყვარულისა, უნდა ეღვას ქვა გულის მაგიერ, რომ ამას არ მოაგონდეს თავისი ახალგაზღობა, თუ მოხუცებულია, და ქაბუქს თავის საყვარელი. იმიტომ, რომ არ იქნება. რომ ახალგაზრდა ყმაწვილს არავინ უყვარდეს.

ყოველთავე ამათ დურმიშხანსაც მოაგონეს ის მცირედი დროება, რომელიც გაატარა იმან თავის გულის ვარდთან და პკონებდა, რომ იმ დროს უყვარდა ისი, და არა თუ გულის ვარდი უყვარდა ეხლა დურმიშხანს, არამედ გამზადებული იყო ისი, რომ მოჰსალმყო მთელ ქვეყანას.

— „მართლა და რა კარგი იქნებოდა, — ფიქრობდა დურმიშხანი, — რომ მყვანდეს ერთი ყვეარი ხარ-კამპეჩი, ერთი ოციოთ დღის მიწა, და ჩემი... ჩემი გულის ვარდი. მაგრამ ეს ფიქრი შეცვალა სხვა მძიმე ფიქრმა, იმან რომ ყოველ

იმას, რასაც მიპოვებს ფიქრობდა ღურმიშხანი, უნდოდა ფული, რომელიც არა ჰქონდა იმას. რასაკვირველია, როდესაც რამეტენიმე მარჩილი, ნაშოვნი ღურმიშხანისაგან ნაზარობის დროს დიდთა შრომითა, და იქნება როდესაც უსამართლობითაც არ ეყოფოდა იმას თავისი განძრახვისათვის და ღურმიშხანი ჩაფიქრდა ძრიელ. მხოლოდ ეხლა წარმოიდგინა იმან ყოველივე უშედეგობა თავისი მდგომარეობისა.

— ეჰ, რა უშავს, ღმერთი მოწყალე! — სთქვა თავის გულში ღურმიშხანმა. — ეს იყო ძნელი, ეს წყველ ყმობითგან გამოხსნა თავისა, თორემ ახლა მე ვაი... — და დაიწყო ფიქრი, რა ცხოვრება უნდა აერჩია. შემდეგ რამეტენიმე ხნის ფიქრისა ღურმიშხანმა გადაწყვიტა, რომ უნდა დასდგომოდა უკვე ვაჟარს მოქამაგირეთ. მაგრამ ვის? ჯერ ეხლა, როცა ესე გამრავლებულია ვაჟრობა. ჯერ ესლაც ძნელია შოვნა ალაგისა ვაჟრებში, უმეტესად უკნობი კაცისთვის, თუ ვინც რომ ბრძენი იყოს, და მამონ, რასაკვირველია, რომ უფრო ძნელი იქნებოდა. უმეტესად ღურმიშხანისთვის, რომელიც იყო უპატრონო და უთვისტომო. მაგრამ ღურმიშხანი არ იყო იმგვარი, რომ ამისთანა შემთხვევას შეეშინებინა.

— და რა ბევრს ფიქრობ, თუ დამიყენა ვინმემ მოქამაგირეთ, ხო კარგი. იგი არა. ვაყვიდი ცხენს. იარაღს და იმ ფულითა და რაც მე მაქვს იმითი გავხსნი სადმე ღუქანს ხა, ხა, ხა, მე თითონ ვაყვიდი ვაჟარი. მე თითონ მეყოლებოდა ზიკები! „ბიჭო! ჩამოუსხი ტეტის ლეინო!“ „არა დედავ. მე თითონ უფრო ძვირათ მიყიდნია, ხელს არ მომცემს“, წარმოიდგენდა ის, მითომც ყიდიდა.

ამ ფიქრებით მივიდა ერთ წყაროსთან, რომელიც სჩანდა იყო მგზავრების დასასვენნი ადგილი, და რადგანაც ჯერ პური არ ექმა, ჩამოხდა ცხენითგან, მოხდა ხურჯინი, შეუყარა ცხენს ღუშაყი და გამოუშო საძოვრად. თითონ მოხსნა პირი ხურჯინს, ამოღო იქითგან პური და ყველი, გაიშალა სუფრის მაგიერ ხელსახოცი და დაუწყო პურს ჭამა.

ეს იყო პირველი პურის ჭამა ღურმიშხანისა ისეთი, რომელიც არ იყო ბატონის ნასუფრალი. და უნდა გენახათ, რა გემრიელი იყო ის პური!

საკვირველია ღმერთმანი, კაცის ცხოვრება. ბევრჯელ, როდესაც ის აირჩევს ცხოვრების გზას და დაადგება იმაზე გავლას, უეტრად გამოუყვარდება რაჟე. ჰკრამს ხელს, გადაადგებს იმ გზიდგან და დააყენებს სხვა გზაზე, რომელსაც სულ არ მოელოდა. ესრეთივე შემთხვევა მოხდა ღურმიშხანის ცხოვრებაში.

ღურმიშხანმა რომ გაათავა პურის ჭამა, დაინახა, რომ ცხენს ჯერ არ დაუყენებინა, და ამისთვის გაიშალა ნაბადი და წამოწვა. ამ დროს იმ წყაროსკენ მიბრუნდნენ სამნი ოსმალონი. ღურმიშხანს ეგონა, რომ ისენი შტრები იყვნენ და გასაცარცვავად მიდიოდნენ და ამიტომ გაიშინჯა იარაღი და მოემზადა პასუხის საგებლად. ოსმალონი მივიდნენ წყაროსთან, მიესალმნენ ღურმიშხანს და ჩამოხდნენ.

— უკაცრავად ნუ ვიქნები, ყმაწვილო, შენი ჰირიმი. კითხვისათვის: საიღვან მობძანდებით? — ჰკითხა ერთმა იმ ოსმალთაგანმა, რომელიც, სჩანდა, იყო იმათი უფროსი.

— ქალაქითგან გიახლები, ჩემო ბატონო, — უპასუხა ღურმიშხანმა.

— იქაური ბძანდები?

— არ ვიცი, როგორ მოგახსენო, იქაურიც გახლავარ და არც გახლავარ იქაური.

— როგორ ვე?

დურმიშხანმა უთხრა ყოველივე თავის თავის გარემოება თავიდან ბოლომდისინ.

— ბედნიერი ხარ ყმაწვილო, — უთხრა ოსმალმ, რომ გაათავა დურმიშხანმა, — რა გინდა უსისხლოთ განთავისუფლებულხარ მონობიდან. ბევრს არ ერგება ხოლმე ეგ ბედნიერება. ღმერთო, ის ბავშვი არ მაძლევს მე მოსვენებას, დღე და ღამე მიდგას თვალწინ და არ ვიცი, საით გავექცე... ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერი, ერთხელ მეც შემექძლო შემეხედნა წმინდა სინიდიისიო ცისთვის, მაგრამ ეხლა... კაცის მკვლელი, ქრისტე!<sup>24</sup> ორგული, რა'ცა შემირიგებს მე! — დაიწყო იმან ლაპარაკი თავისთან.

დურმიშხანი უყურებდა იმას განკვირვებულო.

— რას ბძანებთ, ბატონო? მე სრულებით არა გავიგონე-რა, მხოლოდ იმის მეტი, რომ თქვენ ოსმალ არ უნდა ბძანდებოდეთ.

— ქართული გახლავარ, — დალონებით უთხრა ოსმალმ.

— მაშ რა არის ეგ თქვენი ოსმალური ტანისამოსი, ან იმათი ქცევა რათ მიგილიათ?

— სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო.

— თუ უზრდელობაში არ ჩამომართმევთ კითხვას, შეიძლება მიბძანოი ის მიზეზები?

— ის მიზეზები? — ჩაფიქრებით სთქო ოსმალმ, აიწივა რიდე ზეით წა მიწმინდა შუბლითგან ოფლი. — ის მიზეზები? რატომ, შენ შენი ცხოვრება ჰითხარი, მეც ჩემი უნდა გითხრა. ამბობენ, რომ შენი ჯავრი რომ სხვას შესწავლო, ნახევარი სიმწარე დაეკარგებაო. გამოვსციდი, ეგონებ, ყმაწვილო, თავს არ მოგაწყენ.

— არა, შენი ჰირიმე, რას მიბძანებ!

— მე ეხლა მქვიან ოსმან-ალა, დაიწყო ოსმალმ...

— ხვალ. ხვალ! — დაიძახეს ყმაწვილებმა, — ხვალ ალექსი იტყვის, — და ჩააჩუმეს სიკო.

## ოსმან-ალა

— იყავ ლეში

იგუტიტო კანონი<sup>25</sup>

— ყმაწვილო, თქვენი სახელი?

— დურმიშხან.

— დაიხ დურმიშხან, საარავგოზე<sup>26</sup> გვილიათ როდისმე?

— არა. არსად.

— მაშ შენ არ გინახავს ერთი მშვენიერი ქვეყნის კუთხეთაგანი, ჩემთვის შინც! ამ საარავგოზე, ზედ არავგის პირზე, ბოდორნას<sup>27</sup> და ნაოზას<sup>28</sup> შუა, არაგვის ვალმა არის სოფელი გ.<sup>29</sup> ეს სოფელი, იითონ პატარა, დიდი სჩანს თავის ვენახებით. ამ სოფელში, რომელიც არის სახასო. იღვა მამაჩემიცა, ჩემ საუბედურით, ბატონის ყმა. იითონ მხნე, მყოლელი ყვეარი ხარ-კამბეჩისა და რამტენიმე მწველელი ძროხისა: ეგრეთვე მქონებელი სამი დღის ვენახისა. მამაჩემი ირიცხოდა თავ კაცად ჩვენ სოფელში და არა დავა, ანუ სხვა რამე შესახები სოფლისა არ გადაწყდებოდა ჩვენ მეზობლებში, რომ არ დაჰკითხოოდენ ზალიკას, — ეს იყო მამაჩემის სახელი. ახ, რა დრო იყო ის! რა კმაყოფილებით დაუქდებოდი ზომე მე უღელზე და უზრუნველად დავძახოდი ორო-

ელას. წაეიდა ის დრო, — დრო უმანკობისა, ეამი წმინდისა სინდისისა (და ის ყვაწვილი, როპელსაც გუთნის-დედა უბრძანებდა ხოლმე ოროელას მღერას და ამხანაგები შურით ისმენდნენ იმის სიმღერას, არის ოსმალის იანიჩარის ას-ის თავი<sup>ა</sup>). მკონებელი დიდის სიმღიდრისა, მაგრამ გასვრილი ქრისტიანის სისხლში. ახ. სიხარულით დავანებებდი თავს ყოველსავე ესლანდელს სიყვთეს ჩემსა, რო შეიძლებოდეს მობრუნება უწინდელი ჩემი დროსი, იმ დროსა, როდესაც ვიყავი ხოლმე დღის მეხრე და ვიღებდი ერთ ალოს.

მაგრამ ბევრს ხანს არ გასწია ამგვარმან ბედნიერებამა ჩვენმა. ერთხელ მამა-ჩემი წაეიდა ძნის მოსატანათ. უნდა ჩამოეტანა ძნა თავდაღმართზე. ჩვე-ულბისამებრ მოუძლოდა ის ურემს წინ, რო არ დაქანებულყო. მაგრამ ურემი დაქანდა. ხარ-კამბეჩის თავი ვეღარ დაუქირა, კამეჩებმა წააქციეს და ურემმა ვაჭყლიტა. იმის სიკვდილის შემდეგ ჩვენ სახლში ყოველივე გადაბრუნდა კულაღმა. ბატონმა ჭერ წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც. რო აღარ შეგვი-ძლო მოვლა. მემრე თითო-თითოთ ხარ-კამბეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედა-ჩემს რო გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა ჩემი! უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რა გვართ არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა.

— იტირებს, იტირებს და დაჩუმიდებო! — აი ასრი რომელთამე ბატონთა; იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ არა გვექონდეს გული,... არ გვექონდეს სჭა.

— დედა-შვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღუთის გულისათვის დამანებე თავი, — ეხვეწებოდა დედა-ჩემი, — რა მოსამსახურე უნდა ვიყო, მე თქვენი ბატონური ცხოვრებისა არა-ვიცი რა. ჩემი შვილები აქედგან უფრო გემსახურებიან. რასაც მოვიყვანთ, სულ შენ მოგართმევთ, ჩვენ ნაცარს ავფშრუკამთ და იმას ვსკამთ, ოღონც ნუ მოგვიშლი ოჯახს! საწყალი ჩემო შვილებო! და იმან მიგვიკრა გულზე იმგვართ, მითომც ის იყო გვდებდნენ სამარეში.

— ეე! დედაკაცო, მე არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი! ხვალვე მზათ იყავი! — უბძანა ბატონმა და გაიცინა, იმიტომ რო ერთმა წვევარმა რალაც სასაცილო ჭნა. ოე! რა საზარელი იყო ის სიცილი დედა-ჩემის მწუხარებასთან! მე დარწმუნებული ვარ, რო, მაშინ არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი. იმასთანა დროს, მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცილება.

რალა მოგაბებრო თავი ბევრი ლაპარაკით: მეორე დღეს ჩაგვეყარეს ურემში და მიგვიყვანეს ბატონთან. ქალბატონთან რო წაგვადგინეს, იმან გაგვშინჯა და ვვიბრძანა, რო მე და ჩემი და, — ერთი დაცა მყვანდა მე — უნდა ვყოფილიყავით პირის მოსამსახურეთ, დედა-ჩემს კი უბძანა ყოფნა პურის მცხოვლად. ასე გავატარეთ დროება თითქმის ხუთი წელიწადი. თვითონ ნამოსამსახურე, შენ იგრძნობ, რანაირ დავიტანჯებოდით იმ სამსახურში! მაგრამ ამბობენ, კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო. ჩვენც შევეჩვიეთ ჩვენს ცხოვრებას და თითქმის ვიყავით იმითი კმაყოფილი, არ ვიცი იმიტომ თუ, რომ უარეს ცხოვრებას მოველოდით.

ერთხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთითგან. ვახშამზე რო ვემსახურებოდი იმათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვალით აჩვენა ჩემზე. მღვდელმა ამხედა, ჩამხედა და ბატონს დაუწყო რალაც ლაპარაკი ჩემათ. არ ვიცი რათა, მაგრამ სტუმარმა რო დამიწყო ყურება, ჟრუანტელმა დამიარა

ტანში და ამეშალა თმა. გულმა შემიტყო, რო ჩემ თავზე გროვდებოდა რაღაც უბედურება.

მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედაჩემი და უბძანა, რო მოვემზადებინეთ მე და ჩემი და იმ მღვდლის გასაყოლათ.

— რათა, შენი ჰირიმე?

— რათა? გავყიდე და იმიტომ!

რასაკვირველია, ეს გამელაენება მე მივიღე ისე. მითომც მცოდნიყოს და შევჩვეოდე იმ აზრს და, რა უფრო ვაძიკვრდა, დედაჩემმაც არ დაიწყო ტირილი. მხოლოდ ნებაბრაცდა ცოტათ და მე დამიჭირა თავი და გულზე მიმოქრა. ხელებზე შევატყუე, რო ჰქონდა ცივი ყინულოვით და უჩანკალებდენ.

შემდგომ რაჰტენიმე წუთისა დედა ჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ზეუნა ბატონს. ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთა ართმევენ შვილსა. ბატონმა უბძანა ბიჭებს. რო გაეკლოთ ის კარში, დედა ჩემი ადგა და გამოვიდა, მხოლოდ ჰკითხა ბატონს, საჩოლიოთ მოვემზადებინეთ. ბატონმა უბძანა რო სახვალიოთაო.

იმ დამეს, შუალამისას, როდესაც სულ ყველამ დაძინა, დედა ჩემი ადგა, ჩუმთ გამაღვიძა და შემდგომ დარიგებისა — სად მომეცადნა, გამგზავნა კარში. ცოტა ხანს უკან გამოვიდა ჩემთან დედაჩემი ჩემი დით.

— აბა ახლა, შეიღებო, ვახსენოთ ღმერთი და შევეუდგეთ გზას! — გეუთხრა დედა ჩემმა, გადაგვეწრა პირჯვარი, გაგვიძღვა წინ და გვითხრა რო ვიყოლოვიყავით.

ღამე იყო შემოღვომისა. ბურუსიანი და ბნელი. დედაჩემმა იფიქრა, თუ საძებნელათ გამოგვიდგებოდნენ, მოგვებნიდნენ უფრო ულაგოალაგს და ტყეში, და იმიტომ დაადგა ქალაქის გზას და იმაზე წამოგვიყვანა. რომ ირრრრრრრრრრ, ჩამოვედით ღართისკარის ქალაქში. აქ დედა ჩემმა აგვსვა ჩვენ ერთი დიდი მუხის ხეზე. რომელიც სხვებზე უფრო იყო შემოსილი ფოთლოთ და გვითხრა, რომ ვყოფილვიყავით იქ ჩემთ. მთელი დღე გავატარეთ იქ და, რო ღალამდა. წამოვედით და ჩამოველით ქალაქში.

შემდგომ მე მიკვირდა, რატომ ბატონი არ გამოგვიდგა მეთქი, და ან დედა ჩემმა ქალაქისკენ რათ წამოგვიყვანა და არა ფშავისკენ, სადაც დედა ჩემს ჰყვინდნენ დედის ძმები; მაგრამ გამოჩნდა, რო ბატონი მართლა გამოგვედგომიყო საძებნელათ მეძებრებით და ვეძებნეთ ფშავის გზაზედ. და დედაჩემმა შეიტყო რა, რო ესე იქნებოდა, წამოგვიყვანა ქალაქს.

ქალაქს რო ჩამოვედით, ერთი კვირა ისე გაგვიძინელდა ცხოვრება, რო კინალამ შიმშილით დავიხოცინით. სოფლიდგან რაც ხორაგი წამოვიღეთ. ის მესამე დღესვე გამოგველია და შემრე თუმცა მხოვრობა დავიწყეთ, მაგრამ არავინ არა მოგვეტარა: ჯერ ერთი იმიტომ, რო მხოვრობასაც თავისი ოსტატობა უნდა, რო შეაბრალოს თავი; რომელიც ჩვენ არა გვექონდა, და მეორე — არა გვექონდა იმისთანა ნაკლულევანება სხეულისა, რო შევებრალბინეთ ხალხს. მაგრამ ვანგება ღვთისა არსად ავღებებს კაცს უნუგეშოთ. ერთ კვირას უკან დედა ჩემმა დავგიყენა ერთ ბერძენს მოკამაგირეთ. თითონ-კი დაიჭირა კლდის უბანში<sup>22</sup> ერთი პაწაწა ოთახი და დაიწყო პურის მცხოლობა. დამავიწყდა მეთქო, რო დედაჩემმა დაირქო სომხება და სულუჯელას სახელები გამოგვიცვალა: თითონ დაირქო მათუა, მე დამარქო კარაპეტა და ჩემს დას — შეუნანა. ესე გავატარეთ დრო თითქმის ხუთი წელიწადი. ჩემი და გაიზარდა და მივათხოვეთ სომეხს, ჩვენც დაედოდიოთ სომხურს საყდარში, მაგრამ არც მე და არც დედა ჩემი არა ვუბარებულვართ იმ ხუთ წელიწადში, იმიტომ რო

ლომის საყდარში ზიარებას არ გადალევდა ნებას სვინიდისი და არც გეზია-  
ობდენი. მგონი რომ შეურთობდენ, რომ ქართველები ვიყავით; ქართულ ეკ-  
ლესიაში კი ვერა ვ'ვლავლაო ზიარებას. იმიტომ რომ გამოჩენისა გვეშინოდა.  
ერთხელ, მარამბოზს მაქსეაში<sup>33</sup>, დედა-ჩემი ატყდა, რომ თუ არ ვეზიარე არ იქ-  
ნებამო. მე ვთხოვე, რომ მღვდლისათვის არ ეთქო სრულებით თავის ჩამოქე-  
ღობა. დღამ მიმტა პირობა, მაგრამ ეტყობა, რომ სვინიდისს ძლიერ შეეწუ-  
ხებინა, რომ ვერ გაძლო და ეთქო სულ ყველა. იმავე დღეს, როცა სთქო აღ-  
სარება, ვილაკ კაცები დაგვესხნენ, შეგვიყრეს ხელები და გაგვიდეს წინ.

რო მიუყვანდით, საწყალს დედა ჩემს სცხვენოდა ჩემი და თვალებით მეს-  
ვეწებოდა, რომ მიმეტყვებინა იმისთვის ეს შეცდენა, საწყალი დედა!...

ბატონთან რომ მიგვიყვანეს, იმან, შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკთა ტა-  
ნჯვათა. ლბძანა ბიჭებს, რომ შევებით გუთანში. დიან, გუთანში! ისე, როგორც  
აბამენ ხარებს. ხარის უღელი დაგვადეს კისერზედ. მაგრამ ეს სასჯელი ბატო-  
ნმა ჰპოვა სუბუქად, იმიტომ რომ გუთანში ხარები დადიოდნენ ძრიელ ნელა  
და ვერ დავიღლებოდით. და ამისთვის მეორე დღეს შეგვაბა კევრში. კევრზე  
დაჯდა თითონ და გვერუკებოდა. ცოტაც რომ დამდგარიყავით ამოსუნთქეაა-  
ოვის, მაშინვე გველოდა სახრე. კარგა მოგესხენება, რამტენი სირბილი შეუ-  
ძლიან კაცს. უმეტესად ესე დასუსტებულს. როგორც იყო დედა ჩემმა თითქმის  
ათჯერ შემოურბინა კალის ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდან.  
მეთერთმეტით რომ უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედა ჩემი უეტრად წაიქცა და  
მოკვდა. საწყალს დედა ჩემს არც კი დააცალეს მშვიდათ მომკვდარიყო. ბა-  
ტონს ეგონა, რომ ატყუებდა იმას და იმიტომ სახრით დაუწყო ცემა, რომ აე-  
ყენებინა. და ასე სახრის ქვეშ ამოუვიდა სული.

— გამოუშვით, ბიჭებო, ეგეტა, ხომ ხედავთ, ამხანაგი აღარა ჰყავს! —  
უთხრა ბიჭებს ბატონმა ჩემზე.

ბიჭებმა გამომაშვეს, მაგამოზე მომტა საშინელი სიტყე, შუალამემდე ვე-  
წყალე საშინელად. მე შეგონა, რომ ცოცხალი ჩამადეს ჯოჯობეთში მეთქი;  
შემდგომ შუალამისა-კი აღარა მახსოვს რა, გავხდომილიყავი ავით შავი საო-  
ფლით. ჯერ ისე ავით რომ ვყოფილიყავ, ვინ იყო ჩემი პატრონი, ვის ასტიოდა  
ჩემთვის გული, რომ საოფლეში, ამ საშინელ შესაყარ ავითმყოფობაში, ვინ უნ-  
და მომკარებიყო. მაგრამ არ ვიცი, როგორ, მხოლოდ სამ კვირას უკან მოვედა  
გრძნობას. ერთმა რეგენმა დედაკაცმა, რომელსაც არ ესმოდა არც სიცოცხლე,  
არც სიკვდილი და არც ავითმყოფობა, და რომელიც თურმე მივლიდა მე ავა-  
ითმყოფობაში, შემატყობინა, რომ ჩემ გარდა კიდევ სხვანიც ბევრი იყვნენ ჩვე-  
ნსა ავით. ამ ავითმყოფობით ჩემი ბატონის სახლში მოკვდა სამი კაცი; იმათში  
ერთი ერთი პირმშო შვილი ჩემი ბატონისა.

გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ. ბატონიც შემირიგდა,  
ეგონებ იმიტომ, რომ პოვა ჩემში სასარგებლო ნივთი. და რა უნდა მოგახსენა:  
ეძებდა ჩემში ერთგულობას და დარწმუნებულად იყო, რომ მე ვიყავ იმისი  
ერთგული; ხა! ხა! ხა! ერთგულობას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუყლა  
უღელში... საკვირველი არიან, შენმა გაზდამ. ეგ ხალხნი!

მე შემისრულდა ოცდა სამი წელიწადი. ამ დროს ქალბატონს ჰყვანდა ერ-  
თი გოგო, სახელად ნატო. წაბლის ფერი გრძელი თმა, ბამბისავით თეთრი  
პირისახე, ცოტათ მსხვილი ტუჩები, მშვენიერი თეთრი კბილებით, ტანი შუა-  
თანაზე უფრო დაბალი და წვრილი. ნატო იყო მართლა-და ლამაზი, მაგრამ რა  
იყო იმაში უფრო მშვენიერი, — ეს იმის თვალეები. არ ვიცი როგორ გამოვსა-

ხო ეს თვალები. შენ სხვაგან სადმე რო ყოფილხარ დიდხანს და რო მოსულხარ, შევინიშნავს, როგორ უყურებია შენთვის დედაშენს?

— შე დედა არ მასსოვს, — უპასუხა დურმიშანმან.

— ოჲ, უკაცრავად, დამავიწყდა. ნატოს თვალები იყურებოდნენ ისე. ის თვალები იყვენენ ცისფერნი და ისევე სასიყვედლოთი, როგორათაც და. ის თვალები რო შემოგხედდავდენ, თითქო გიყვავებდენ. თითქო გთხოვდენ შეწყალებას, თითქო გეუბნებოდნენ: ახ, რა კარგი კაცი ხარ. მე ვიყავ ნატო რო მიყურებდა ხოლმე სწორედ კატის მდგომარეობაში. როდესაც იმას უსოპენ ზურგზე ხელს. როცა ის მიყურებდა ხოლმე, ღმერთს ვეხვეწებოდი, რო იმას ეყურებინა დიდხანს, მაგრამ საწყალი ნატო არ იყო იმისთანა, რო სულ ყველასთვის ეყურებინა სხვა ზომირობებით. მე დარწმუნებული ვარ, რო ზეუნება შეცდენილიყო, რო ის დაობდა მოსამსახურეთ, ჩვენი ქალბატონი — კი — ქალბატონათ.

ერთხელ მე და ნატო ერთად ვიყავით ქალბატონის ოთახში. ქალბატონმა, რაღაზედაც გაჩაგრებულმა ნატოს უბძანა, მოტანა რიღისაცა. ნატო გაიქცა მოსატანათ, მაგრამ ის ნივთი ვერ იპოვა დროზე.

— ოჲ შე მამაძაღლო, ოჲ, შე უნამუსო, — შეუტევა ქალბატონმა ნატოს, რო მოვიდა ისი, — ნეტავი საკმელი იყოს. რო ჩქარა იპოვნო. რაზე ვეკმეკო ამ აზარქალებს, რაზე ვეკლექინები? გაგვიღო, შე უნამუსო, აღარ შემიძლიან შენი გაძლება!

— ქალბატონო, მამატივე, შენი ჰირიმე. დროზე ვერ ვიპოვნე ბატონის მზემ.

— შეხე, შეხე ამ უნამუსოს, როცა ტყუილათ უნდა დაიფიცოს, მაშინვე ბატონს მივარდება ხოლმე.

— არა, ღმერთმანი... — და ტირილთ ვეღარ დაასრულა სიტყვა.

მე ვეღარ გავძულ ყურება და გამოვეც კარში. ცოტა ხანს შემდეგ გამოვალა კარში ნატოც.

— ნატო, ძალიან გაწუხებს ქალბატონი? — ვკითხე მე დალონებით.

— ისე, რო ლამის თავი მოვიკლა, — მიპასუხა იმან და დაიწყო ისევ ტირილი.

— ნუ სტირი, ნატო, ღმერთი მოწყალეა. რაც გინდოდეს ხოლმე, მე მომიკითხე, როგორც შევიძლებ და რითაც შეგეწევი. ამის შემდეგ შენ და და მე ძმა, მეც შენისთანა ობოლი და უპატრონო ვარ.

უნდა გენახა, რა მადლობითი თვალებით შემომხედა მაშინ ნატომ.

— ჩემო ძმაო! — მითხრა ნატომ, გამომართო ხელი, მაკოცა და შევარდა შინ გაწითლებული.

მე გული ისე არ შემიხტა, როგორც შეუხტება ხოლმე დის კოცნაზე იმ წლოვანებაში. რომელშიაც მე და ნატო ვიჯავით, ყოველივე დასზობილება გარეშე პირთა დასრულებდა ხოლმე ცოლქმრობით, თუ არამ დაუშალა.

შენთვის საჭირო არ არის მოგახსენო ყოველივე ბოღვა სიყვარულისა, და სწორე მოგახსენო. ენლა ვერც-კი შევიძლებ მოგონებას.

კსრთვა ხანი რო გამოვიდა ჩვენი შეყვარებისა, ერთხელ მოვახელე დრო და ესთბოვე ბატონს ჭვარის წერის ნება.

— რას მიჰქარამ, ბიჭო? ჭვარის დაწერა კი არა, მამა ვიცხონდა!

— შენი ჰირიმე ბატონო!

— ვისზე უნდა დაიწერო ჭვარი?

— იმას არა გთხოვ, — შენი ჰირიმე! — ქალბატონის ვიგოვს.

— ქალბატონის გოგოზე?

— ღიახ.

— ღიახ! — გამაჯავრა მე ბატონმა, — ღიახ, თითქო არ იყვნენ სხვა გოგოები, რო შინაური არ მოძებნო?

— რა ვქნა, შენი ჰირომე, ეს მომეწონა და.

— რაო? მოვეწონა? მომეწონა, თითქო ბატონის შეილი იყო! სხვა კი არა მოვეწონა რა, მამა გიცხონდა?!

— ბატონო!..

— წადი. დაიკარგე, არ შეიძლება! მოსამსახურეს შინიდან არ გავუშვებ და არც შენ მოგცემ ნებას. შინ მინდისარ!

რას ვიტყვოდი. შენი მტერი იყოს ისე, როგორც მე გამოვედი ბატონის ოთახიდან. ნატო კარში თურმე იდგა და მიცდიდა. რა ანბავს გამოვიტანდი. გამოსული რო დამინახა, აღარცკი მათქმევინა, ისე დაიწყო ტირილი.

შემდეგ ეს ჩემი ლაპარაკი, რომლიდამაც მოველოდი ბედნიერებას, გასდევს წყაროთ ჩემი უბედურებისა. აი როგორ: ჩემ ბატონს აქამდისინ ხეირიანათ არცკი შეეხედნა ნატოსთვის და თითონ ნატოც თურმე ირიდებოდა იმას: ნაგრამ მე რო ვსთხოვე იმაზე ჭვარის წერა, მაშინ გაეშინჯა და მოსწონებოდა.

ერთხელ ჩემთვის ვიჭექი და ვფიქრობდა, როგორ მომეხდინა ნატოზე ჭვარის დაწერა. უეცრად მომეარდა ნატო და ჩამომეკიდა ყელზე.

— ნოდარ, შენი ღვთის გულისათვის, მიშველე, რა ვქნა, ჩვენი ბატონი როგორღაც მიყურებს, თითქო მეაშოკება. ისეთი თვალებით მიყურებს ხოლმე, რო საშინელია. რა ვქნა მითხარი?

ამ სიტყვებმა მე თმა ამიშალეს და სისხლი მომიყვანეს ყელში.

— თავი მოარიდე, ნუ შეჭხვდები ხოლმე! — უთხარი მე.

— ეგ მეც ვიცი, უწინ დღე დამელიოს, სანამ მე იმისი აშოკობა მივიღო, ნაგრამ მემრე რა ვქნა?

— ღმერთი გვასწავლის მემრე.

იმავე დღეს ბატონს გაემეორებინა ნატოსთვის აშოკობა. ნატოს, რასაკერაველია, რო იმისთვის არ მიეცა პასუხი. გამოვიდა სამი კვირა და ბატონს აღარა უთქვამს რა ნატოსთვის.

სამი კვირის შემდეგ დამიბარა ბატონმა, მომცა ერთი წიგნი და მიბძანა წაღება იმისი ქალაქს ერთ იმის მოკეთესთან და იქიდან მოტანა იმ წიგნის პასუხისა. მე გამოვართვი ის წიგნი და წავედი ქალაქს.

იმ წიგნში თურმე სწერდა ჩემი ბატონი, რო მე დავეჭირეთ ქალაქში სამოთ კვირა. სამი კვირა რო გავიდა, წამიკითხეს წიგნი და მითხრეს, რო წაესულეყავ სოფელში. მე ქაშინვე შევიტყე, რისთვისაც იყო ეს საქმე მოხდენილი და როგორათაც მივედი სოფლის ბოლოს, შემხვდა ერთი ბებერი დედაკაცი.

— დედაშვილობას, მითხარი, ჩვენი გოგო რასა იქს? — ვკითხე იმას.

— ეგ, შვილო, ნუ მკითხამ. შენი მტერი იყოს, რო ის არის!

— რა ანბავია? მითხარი ჩქარა, დედაშვილობას, — შეკრთოპით უთხარი მე.

— რა ანბავია, შვილო, ჩვენი ბატონი გააშოკებოდა იმას, და იმ წაწყმენდილს დაყვავებით რო ვერა ექნა-რა, მემრე ძალა ეხმარა და შიშით თურმე უხდოდა შეყვარებინა თავი. საწყალს ქალს ჭერ-კი ეთმინა, მაგრამ შემდეგ მოთმინებითგან გამოსულიყო და წყალში ჩავარდნილიყო. აი ნაოხას თავში თურმე იპოვეს საცოდავი.



მე ველარ გავიგონე უკანასკნელი სიტყვები. გაცხარებული მივარდი ბატონთან.

— ბიჭო, რა ანბავია? — დამიძახა იმან, — ეშმაკს გიგავს ეგ სახე!

— არაფერი! სად არის ნატუა?

— ეშმაკმა იცის შენი თავი! სულ შენი საქმეა, შე ძაღლი-შვილო უთუოთ...

მე აღარ დაეასრულებინე სიტყვა და მივარდი ხანჭლით.

— რას შერებები შე მამაძაღლო! მიშველეთ, მომკლა, — დაიკვლა ბატონმა.

ეს იყო იმის უკანასკნელი სიტყვა. შემდეგ დაიწყო სასიკვდილოთ ხრიპი. ბატონის შეკვივლებაზე გამოვარდა ქალბატონი და, ეს ანბავი რომ დაიწახა, შეკვივლა და შევარდა თავის ოთახში. იმის ხმამ მომაგონა, რომ კალდე მუყანდნენ ჭაერის ამოსაყრელნი პირნი და გამოივლდე იმას. ოთახში რომ შევარდო, დავინახე რომ ქალბატონი გარდახვევიყო შვილს და იფარამდა.

— ნოდარჯან, მე მომკალ, ჩემ გიგოს ნუ მომკლამ, არა დაუშავებია-რა შენთვის, — მითხრა ქალბატონმა ხვეწნით. მე ნუ მომკლამ, შენთვის არა დამიშავებია რა, — გაიმეორა ყმაწვილმა.

მაგრამ მე არა მესმოდა იმათი ხვეწნა. სისხლისაგან გაგიყებულმა მე დავაკალ დედა შვილსა. გაბრაზებული სისხლისაგან გამოვარდი კარში, შევჩექქე ცხენზე და გამოვიქეცი. საღამოზე დამეწვია მღვებარი და, რასაკვირველია, არა თუ იმათგანმა დამიპირა ვინმემ, ან მოინდომა მოკვლა, არამედ თითონვე მასწავლეს, რომ გადავარდნილყოყავ ახალციხისკენა. მე მართლა დავიჭერე იმართი დარიგება და მესამე დღეს მივედი ახალციხეს. აქ მაშინვე გამოვცხადდი მუფტისთან და მოვასხენე სურვილი მათი სჯულის მიღებისა. მეორე დღეს დიდმა ანბით მივიღე თათრობა, ვემე ქრისტე. აქ ყველა ოსმალოს დედაქულებმა დამაჩილდოვეს, მირჩიეს სტამბოლშია წასვლა და იანიჩარის ჭარში გამწესება. მე წავედი და ვაემწესდი. უნდა მოვასხენო, რომ აქ ჩემი გარეგანი ცხოვრება იყო ძრიელ კარგად, მაგრამ რა სრულდებოდა ჩემს გულში, ის უწყობდა მხოლოდ ღმერთმა.

მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უმეტესად გადადგომა ქრისტიანობისა არ მაძლევდენ მე მოსვენებას და არც ეხლა მასვენებენ. მსიარულებაში. ძილში, ომში ან თუ საცა გინდა, ყოველჯან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიღვაწინ და მეუბნება საღამობით:

— მე რა დავიშავე, რათ მომკალ?

რამტენჯერ მე ვეძიე ომში სიკვდილი, რამტენჯერ გიყივით გადავარდი განშირებულ ომში, რომ ჩქარა გავსწორებულყოყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია არ მპოულობდა მე, და სიკვდილის მაგიერ გამოვიარდა მამაცობის და გულადობის ხმა და იმან მაშოვნინა ასისთავობა. მაგრამ ამის შემდეგაც არ დამიმშვიდდა ჩემი სვინიდი, შემდეგ, იმ ფქრით, რომ გავიქარვო ეს აზრებო, დავიწყე ვაქრობა. ვაქრობაში მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სვინიდისი არ დამშვადდა.

— ღმერთო, მომეტეება როდისმე მე ჩემი შეცოდებანი? — სთქო ჩუმათ ჩაფიქრებულმა და თითონვე დაატანა — საიდუმლო ხმა მეუბნება, რომ არაო.

— ღმერთი მრავალ მოწყალეა, — უთხრა ღერმინხანმა. — მე გამაჰონია, რომ არ არის ცოდვა. რომელიც არ მიეტევოსო. თუ წმინდა გულით მოინანებს.

— არა, ჩემთვის არ არის მოტყუება. — ჩაფქვრებით სთქო ოსმან-ალამ, — არა სინანს მოტყუება.

— საბოწარტყელილებას წუ ბი:ცემ თავსა, ღმერთი მრავალ მოწყალეა, — ვაჟეორა ღურმიშხანა.

— ეა: გვევოდა, უკაცრავად მოგაწყინე თავი, — დაღონებულის ღიმილით უთხრა ოსმან-ალამ და უბბანა ბიჭებს ცხენების მომზადება.

— შენც ჩვენთან წამოხვალ, ვგონებ? — ჰკითხა ღურმიშხანს, — გზაზედ მოგლაპარაკებ შენ მომავალ ცხოვრებაზე.

— გაიხლები.

რამტენიმე მინუტის შემდეგ შეჯდნენ ცხენზე და გასწიეს, ჰირო იქ დაკვდე. ლხინი აქ მოვიტანე.

— ოა! ეგ შენ არ უნდა გეთქო! — უთხრეს ალექსის, რო გაათავა.

— მა ვის უნდა ეთქო?

— კნიაზ-ლიბერალს.

კნიაზ ლიბერალს ვეძახოდით კნიაზ ლ. დ.-სა, იმიტომ, რო დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება და ყოველსავე ბატონყმობაზე ამბავსა შეატყობდა ხოლმე სულ ყველაზე წინ.

ხვალ სთქოს იმან.

— ხვალ კნიაზ-ლიბერალმა... კნიაზ ლიბერალო, მოემზადე, მაგრამ მაღალ ფრაზებს — კი თავი დაანებე.

— თქვენი გამოჩავრებული ბატონყმობაზე სულ არას ვიტყვი, — სთქო კნიაზ-ლიბერალმა.

#### IV

— ნათლიმამ. გაბედე მეთქი, გაბედე!

— ხმ, ხმ, დედაკაცო, გადუბრუნე ე მწვადი, სულ დასწვი!

— კარგი, სიტყვა ბანზე ნუ ააგდე, შენ გეუბნები!

— რასა, შენი ჰირომე?

— გაბედე-მეთქი ჩემი ნათლულის გათხოვება.

— აკი ვებდავ, თუ მთხოვა ვინმემ.

— აი მეც მოციქული.

— არა, შენი ჰირომე, არა, მე იმას ვერ მივცემ!

— რატომ?

— რა ვიცი, ჯერ ერთი იმიტომ, რო... ეკ, ბევრი მიზეზებია, რატომაც არა.

— მაინც რა არის. მითომც ბიჭი არ ვარგა?

— ბიჭი კარგია, მაგრამ...

— დაანებე თავი მაგ მაგრამებს.

— მაგრამ უთვისტომოა.

ამ სიტყვებზე პირელი მოლაპარაკე დაიღრიჯა ისე, თითქო უჩხვლიტა რამემო.

— რა უშავს, რო უთვისტომოა, იმიტომ კაი ბიჭი არ არის? ჯერ ორო წელიწადია რაც ჩემთან არის და ას თუმნამდის ფული იშოვნა, კარგი არ არის?

— კარგია, მაგრამ მე, ხომ იცი იმ ქალის მეტი არა მყავს-რა, მინდა რო ერთ ზეირიანს მივცე ვისმე.

— ე-ნ არის შენში ხეირიანი?

— ვისაც ღმერთი მოგვეცემს. მე მინდა ერთ საწყალ აზნაურს მივსცე ვისმე.

აქ ისევ პირველი მოლაპარაკე დაიღრჩა ისე, თითქო გულითგან მოსწყვე-  
ტეს რამეო.

— ახლა რა არის, რო აზნაური არ იყოს?

— აზნაური სხვა რამ არის, ჩემო ნათლია. ერთი ჯოგო-ბიჭი მაინც ეყო-  
ლება მოსამსახურეთ, წყალს მაინც თითონ არ მოიტანს, პურს მაინც თითონ  
არ გამოაცხობს.

— განა იმისი ცოლი კი გამოაცხობს პურს? განა იმას კი არ შეუძლიან,  
რო იყოლიოს ჯოგო, ბიჭი?

— რატომ, მაგრამ იმან ფული უნდა აძლიოს. აზნაურს თავისი ეყოლე-  
ბა.

— თუ აგრეა, ხვალეე უყიდი ყმებს!

— უყიდე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— მემრე ხო მისცემ?

— არ ვეცი! უმოკეთოა, ნათლი. ემოკეთო! მეც ოჯახის შვილი ვარ,  
მტერი მყავს და მოკეთე, მინდა იმათში თავი გამოვიჩინო სიძითაც და მოკე-  
თითაც.

— სულ ტყუილია, ჩემო ნათლიამ, ასეთ ქორწილს ვეზამ, რო პირველ  
თავადის შვილს არა ჰქონიყოს.

— რა გამოა იმითი?

— ის გამოვა, რო იმ დროებოთ შენ მტრებს იმითი თვალებს დაუყენებ,  
მემრე ღურმიშხანი ისევ დაიწყებს ვაქრობას, მოიგებს ფულს და, ხომ იცა,  
ცუღს რა შეუძლიან?

— ფული გვარიშვილობას ვერ გამოუცვლის.

— მართალია, მაგრამ, რო ის გვარიშვილები დაპნატრიდნენ იმას, ის გვა-  
რიშვილები რო თავზე ადგნენ იმას, რომ იმათ ასესხოს ფული?

— ოა, შენ შენი მოჰყე! ახლა ვინა გელაპარაკება.

— ვსტყუი თუ?

— არ სტყუი, მაგრამ რო ისეთი იყოს, როგორც შენ ანაბო, შენ ღურმი-  
შხანს უნდა ჰქონდეს ბევრი, ასი თუმანი.

— ექნება.

— საიდგან?

— თავისი ვაყვაცობით, და მე ვეცი რითაც. მე მივსცემ ჩემი ქონებას  
ნახევარს!

— რათა?

— ის მე ვეცი! აკი გეუბნები, რო უნდა შეუდევ ღმერთსა, იქნება კიდევ  
მელირსოს მოტევება.

— ოა, მოჰყე კიდევ. როდის დაანებებ შენ მა შენ ბოდვას თავს?

— როცა მოვედები.

— კარგი, მამა ნუ წაგჩუღებ, მაგისტანა ლაპარაკს თავი დაანებე.

— მაინც რას მეტყვი?

— მემრე, მემრე, ჭირ ვახშამი ვსჭამოთ. სუფრა გაშალეთ, ეინა ხარო  
მანდა, — დაუძახა მეორე ოთახში.

— ეგ „მემრე“, ეს ერთი წელიწადია მესმის შენგან.

— რა ექნა, შენი ქირიმე, ჩემო ნათლია, ვერ გამოიბედნია და რა წყა-  
ლში ჩავარდე?!

ასე ლაპარაკობდენ ორი ხნოვანი კაცი სურამში, ქრისტეშობის ღამეს<sup>3</sup>,  
მჯდომნი ქართული დარბაზის კერის პირს. პირველი ამათგანი იყო, თუ იყო

ნათ. ჩვენი ნაცნობი ოსმან-ალა, რომელმაც შემდგომ შეხვედრისა დურმიშხანთან. ის დაიჭირა მოჯამავირეთ და იხსარებდა ვაქრობაში. მეორე იყო სუ-რამის მცხოვრები გლეხი სახელად... მაგრამ რად გინდათ სახელი.

დასხდნენ ვახშაშხუ. პირველად დაჭდა ჩვენი უსახელო, მემრე იმისი მუელლე. შემდეგ იმისი ქალი და უკანასკნელად ოსმან-ალა.

— აბა, ნათლულს, არ გათხოვდები?

— კარგი, ნათლიას მზემ, დამეხსენ, — და მორცხობით დაიხედა ძირს.

— მტყუანს რა უთხრა, რო კიდეც გაამება ხოლმე, რო გეტყვი!

— კარგი, თორემ წავალ, აი! — უთხრა ქალმა და დაჰკრა ხელი მუხლზე.

— რა საქმრო გიშოვნე, რო იცოდე?

— თვალი იმასაც დაუდგება, მე ქმარი არ მინდა!

— რატომ, ქალო?

— არა და იმიტომ.

— მაინც? მოლოზნათ ხო არ უნდა წახვიდე?

— არა.

— მამ ქმარი რატომ არ გინდა?

— არ მინდა, მე დედასთან უნდა ვიყო.

— მამ შინ უნდა დაჰბერდე?

— ჰო.

— ნუ. მამაშვილობას, აგრე ნუ გაწყრები! — ღიმილით უთხრა ოსმან-ალამ.

— მამ ნუ შეუბნები ხოლმე შენც და არც მე გეტყვი.

— ჰო, ვიცი: მამა შენმა გაგათხოვოს კი არ გათხოვდები, მაგრამ მე რა გიშოვნო საქმრო. იმას-კი შეირთავ განა?

— არა.

— ახლა რა არის შენი არა და არა?

— დურმიშხან, აქ მოდი! — დაუძახა მეორე ოთახში. დურმიშხანი შემოვიდა.

— გადახტი, აკოცე ჩემს ნათლულს და ხელზე რო ბეჭედი გაქვს, მიეცი ნიშნათ. — უთხრა ოსმან-ალამ დურმიშხანს ყურში. დურმიშხანი გადახტა, აკოცა ქალს და მისცა ბეჭედი. ქალმა შეჰკივლა, წამოხტა სუფრიდან და ვარდა კარში.

— უი. დამიდგა თვალები! ეგ რა ჰქენით? — სთქვა დედამ, შეხედა ოდნავ ღიმილით და ტუჩებზე მიიღო თითები.

მამამ შეხედა ოსმან-ალას გაჯავრებით და დაინახა იმის თვალეზე ორი ცრემლი. საწყალს იმას მოაგონდა, რო იმისთვისაც შეიძლებოდა ამ გვარო ბედნიერება თავის ნატოსთან.

— რას ჰპვრები კაცო? სტირი? ეს რა მიყავი, რაზე შემარცხვინე? გამხალეებს შენვე შენი სვინიდიისი, თუ არა?

— არა, ნათლიმამ, ეს სხვა ცრემლი იყო. დაუძახეთ ჩემს ნათლულს კამოვიდეს. მომილოცავს სიძე. მოდი დურმიშხან, დაჭექი. ეხლავ გამოვა შენი დანიშნულიც.

— მამ აღარ ხუმრობთ, — ჰსთქვა მამამ ღიმილით.

— რად ხუმრობა! აბა თუ კაცი ხარ ეხლაც ნუ მოგვცემ შენ ქალს! ღმერთმანი. გავალ და მთელ სოფელში თავს მოგპკრი.

— მართლა, დედაკაცო, ტყუილი-ლა არი, წადი, შემოიყვანე შენ შენი პატარძალი.

— აგრე უეცრად როგორ იქნება? აკი გითხარი, ცოტა დამაცალე-მეთქო.

— კეთილ საქმეს ცდა არ უნდა. — უპასუხა ოსმან-ალამ.

რამტენიმე დროს შემდეგ შემოიყვანეს ქალი და მოუსვენს დურმიშხანს გვერდით.

— ეე, ასე ჩქარა არ მინდოდა, მაგრამ რაკი მოხდა, რალა გაეწყობა. ღმერთმა დაგლოცოთ, შეიღებო, და მე მალირსოს გახარება თქვენის ბედნიერებით! — უთხრა იმათ ქალის მამამ.

— ადექით, ხელზე აკოცეთ! — ასწავლა ოსმან-ალამ.

ახალ დანიშნულნი ადგნენ და ხელზედ აკოცეს, როგორც ქალის მშობელს. აგრეთვე ოსმან-ალას.

— ღმერთმან გაკურთხოთ, შეიღ... — ველარ დაასრულა და გადმოცვივდა ცრემლები ოსმან-ალას.

მეორე დილას აღარ იყო სურამის გარშემო სოფელი, რომელშიაც დიდი და პატარა არ ლაპარაკობდა ამ ანბავს. კიდევ გამოვიდა ცოტა ხანი და ისევ სოფლები შეიყარნენ დურმიშხანის ქორწილში. და აი, დურმიშხანი დგას ეკლესიაში ღვთის ტაძრის წინ და აძლევს პირობას თავის მეუღლეს სიკვდილამდე სიყვარულისას, მაგრამ უყვარდა იმას თავისი დანიშნული? არა, იმას არ უყვარდა არც ეხლანდელი თავისი დანიშნული, არც გულის ვარდი და არც ოსმან-ალა, ღირსი სიყვარულისა იმა კეთილთათვის, რომელიც უყო იმან დურმიშხანს და არც ღმერთი, შემომქმედი მისი. იმას უყვარდა მხოლოდ სასიღიდრე და თავის პატრივი და იმათ მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა. რათ უნდა იმას სიყვარული, როდესაც იმას აუსრულდება თავისი ოცნება, როდესაც იქნება მდიდარი, პატივცემული და დამოუკიდებელი. რა ფასითა ყიდულობდა ამ სიკეთეთა, იმას არა ჰქონდა საჭიროება გამოკითხვისა. და აი სიმდიდრისთვის მამაკაცი ჰყიდის თავს, როგორც ერთი კურტიზანკათავანი. საწყალი ოსმან-ალა! ივან მისცა დურმიშხანს ნახევარი თავისი ქონება იმ აზრით, რომ ის ერთხელ მოიგონებდა იმას და აუნთებდა ღმერთს ერთს სანთელს იმის ცოდვების შესასუბუქებლად და იმის საფლავზე ჩამოაგდებდა ერთს ერთგულს ცრემლს. საწყალი ოსმან-ალა! რა მწარედ მოსტყუედი შენ ფიქრებში!

ოსმან-ალამ ორი თვე დააცალა დურმიშხანს და შემდეგ წაიყვანა სტამბოლში ჩასაბარებლად თავის ქონების ნახევარისა. რო მივიდნენ სტამბოლში, ოსმან-ალამ ნახევარი ქონება თავისი მართლა მისცა დურმიშხანს, მეორე ნახევარი კი შესწირა ეკლესიას, თითონ კი შემდგომ დალოცვისა პატრიარხადგან, ცხადად ალიარა ქრისტე<sup>წ</sup>. მოგეხსენებათ, რა წვლებას მიიღებდა ის მაჰმადიანთაგან? იმ აზრით, რომ როგორც მიეკციათ ისევ მაჰმადიანთა სკულზე, ოსმალთ მოღებმა და სხვათა იხმარეს ყოველი შესაძლო მათგან ცბიერება. მაგრამ რო სიკეთით ვერ შეიძლეს იმისი მოქცევა, მემრე იხმარეს ძალა და ამისთვის მოღალეს იმაზე სხვადასხვა ტანჯვანი, მაგრამ იმათაც რო ეერა ვარდნენ რა, შემდგომ კრეს შაყა, ესე იგი, ვასპრეს შუაზე. დურმიშხანი კი იმ დროს, როდესაც იმას აწვალებდენ და შემდეგ ისე საშინლად მოჰკლეს, არა ფიქრობდა არც ერთსა ღონისძიებას იმის ზველისათვის და შემდეგ სიკვდილისა იმტენი ვერ შეიძლო, რომ გამოეთხოვნა სტამბოლის მართებლობისათვის იმისი დამარხვის ნება.

საწყალი ოსმან-ალას გვამი ეგდო რამტენიმე ხანი სტამბოლის ქუჩებში, ხანამ შეწუხებულთა იმის სუნითა არ მოიგონეს გადაგდება იმისი ზღვაში.

და სად ჰქონდა დურმიშხანს დრო ქალაჩუნასავით ტირილისა, ან რბუნისა ეკლესიებში ოსმან-ალას სულის განსასვენებლათ! ის იმ დროს, როდესაც

ოსმან-ალას აგდებდნენ ზღვაში, იღვა ბოსფორის<sup>28</sup> პირზე და ელოდა გემს ურჩობიდან<sup>29</sup> საქუდე კალმუხის ტყავებით, დაკვეთილს ოსმან-ალიდგან და მისგან ვადაცემულს ღურმიშხანზე. იღვა იქ და ფიქრობდა გაყიდვით საღ უფრო მოიგებდა. იქვე, თუ უკეთუ წამოიღებდა საქართველოში.

— ჯერ აქ ვივაჭრებ, — სთქო რამტენიმე წუთის შემდეგ. — და შემდეგ წავალ საქართველოში.

ამ გარდაწყვეტის შემდეგ ღურმიშხანი დარჩა მართლა სტამბოლში რვა თვე და ისე გაერთა, ვაჭრობაში, რომ არც ერთხელ არ მოაგონდა ცოლი და არ შეატყობინა, რომ კიდევ იყო ცოცხალი. რვა თვის შემდეგ ღურმიშხანმა მთელი ქარავანი სხვადასხვა ფარჩები წამოიღო სტამბოლითდგან და წამოვიდა შინ. შინ ცოლმა დაახვედრა მშვენიერი ვაჟი... საწყალ ქალს ეგონა, რომ იპოთი გაახარებდა ღურმიშხანს, ის მოეხვეოდა და აკოცებდა ტკბილად ვაჟის დედას, მაგრამ ღურმიშხანმა დაჰხედა ყმაწვილს, გაიღიმა და ჰკითხა დედას:

— ჯერ ხო არ მოგინათლამთ?

— არა, მაგრამ ჩვენიანთ გოგია მთხოვეს, მე მოვინათლამო, — უპასუხა ცოლმა.

— გოგია კი არა, მოგია არ გინდა! უთხარო, რომ თავადიშვილს უნდა მონათვლინო-თქო.

— თავადიშვილი რაღა არის, ის გოგია უფრო მოკეთობას არ გიხამს?

— შენ რა იცი, რაც არის?! შენ შენი საქმე იცოდე, შენ ჩემ კითხვაში ნუ შემოდიხარ!

— მანც კი ვიტყვი, რომ ჩვენ თავადიშვილი მოკეთობას ვერ გვიხამს.

— რა იცი შენ? ერთხელ რომ დიდმა თავადმა დაგიძახოს შენ ნათლიედო, ერთხელ რომ იმისმა ცოლმა გამოგარჩოს შენ სხვა დედაკაცებში და მოგიკითხოს, აბა მითხარი რად ღირს, ჰა? შემდეგ გაიზდება შენი შვილი, ვინ იცის მაშინ როგორ უპატრონოს. შენ რა იცი, დედაკაცო! — და ღურმიშხანი დეფიქრდა და წარმოიდგინა როგორ გაზდიდა შვილს. აი, ხედავს, ის ზის ცხენზე და ახლამს თავის ნათლიას. დიდ მეიდანზე გდია დიდი ქვა და იმაზე დგას ვერცხლის თასი, აი გამოაქენა ერთმა თავადისშვილმა ცხენი, წამოიგდო თოფი, ესროლა თასს, მაგრამ ააცდინა; აი მოდის მეორე, რომ იმანაც ვერ მოარტყა; აი იმის ნათლიამ გამოაქროლა ცხენი, სტყორცნა თოფი და ვერ მოარტყა.

აქ მოაქენებს ცხენს იმისი შვილი. კობტათ გაღმოიგდო თოფი, ესროლა და გადააგდო თასი. კითხულობენ: ვინ არის ეს ყმაწვილი, თითონ მეფე იკითხაშს იმის ღედ-მამას და გამოჩნდება, რომ ის არის ღურმიშხან წამალაძის შვილი. რა ბედნიერი იქნება მაშინ ღურმიშხანი! ან აი იმისი შვილი, ჯერ ჰაბუკი, შევიდა ბერათ. შეხეთ რა მშვენიერი ანგელოზივით სახე აქვს, ყური დაუგდეთ რა მშვენიერი ტკბილი ხმით კითხულობს მარხვანს, შეხეთ ამ კითხულობაზე როგორ გასწირეს თავსული მლოცველთა, ხოლო აქა-იქ ისმის ბერების ქვიტქვითი. აი ერთხელ იმისი ნათლია შეხვდება კათალიკოზს და თავის ნათლულის კითხვას აქებს იმასთანა. აი შენიშნა კათალიკოზმა, წაიყვანა თავისთან, აკურთხა ილუმენიად, არხიმანდრიტათ და ეპისკოპოზად აი ღურმიშხანის შვილი, — ეპისკოპოზი, ზის ცხენზე და წინ მოუძღვის დროშას და მოჰყავს საეკლესიო ჯარი ბატონის მოსაშველებლად. კითხულობენ: ვინ არის ეს ახალგაზრდა ეპისკოპოზი ღურმიშხან სოვდაგარის შვილი. თა! რა ბედნიერი იქნება მაშინ ღურმიშხანი, ან ვინ იცის, იქნება კათალიკოზიც გახდეს, თა! მაშინ კი ღურმიშხანი აღარ დაუქრამდა თავს არც ერთს თავადს.

მეორე დღეს სურამში აღარ იყო თონე, რომელშიაც არ იცნობოდა პური-  
და ნახუქი ღურმიშხანის შვილის ნათლობისთვის. მართლა-და საგანგებო ნათ-  
ლობა რამ თურმე გააკეთა. თავის დღეში რაც რამ კი ენახა ჩვენ საქართვე-  
ლოში, თუ თათრებში, ყველა მოამზადებინა და თითქმის დღის საუაზრე  
აღარ იყო სოფელი, რომლიდანაც დიდი და პატარა არ მოიპატოიეა. ყმაწვილი  
ზონათლა თავადმა ქაიხოსრო აბაშიძემ, რომელიც იმ დროს იყო იმ მხარეს,  
და დაანათლა ერთი კომლი კაცი, ნაცვლად ამისა მკლავის ძღვნად გაუგზავნა  
ღურმიშხანმა ერთი უმშვენიერესი არაბული ცხენი, აკიდებული სხედასრუა  
ძვირფასი ფარჩებით.

სწორედ ამ დროს იყო დაწერილი ის წიგნი, რომელიც წაიკითხა საწყალმა  
გულის ვარდმა.

მართლა, გულის ვარდი! ის კი დაგვეიწყდა! ეხლავ მოგახსენებთ იმის  
ისტორიასაც. დეესენ გაიზარდოს მანამ ზურაბი, ეს სახელი დაარქვეს ღურ-  
მიშხანის შვილს. დეესენ გაიზარდოს, ჩვენ კიდევ შევხვდებით იმას, როდეს-  
მაც ის იქნება მშვენიერი ყმაწვილი კაცი, სიამპარტავნე შამისა, ნუგეში ღე-  
ლისა და ოცნება ბევრ ლამაზთა ქალთა.

## V

აელაბარში, 40 სუფ-კარაბეტის ეკლესიის 41 აღმოსავლეთის მხრით, ზედ გო-  
რანჯი, იმ დროს, როდესაც ხდებოდა ის საქმეები, რომელთაცა ეხლა მე მო-  
გახსენებთ. — მსოფო მორიგემ, — იდგა ბზოლოდ ერთოთხზრანი იკათილის სა-  
სლო, რომელსაც ჰქონდა ორი ფანჯარა დასავლეთისაკენ, მაგრამ იქითგან არა  
სჩანდარა, იმიტომ, რო ის ფანჯრები იყენენ გაკრულნი ზეთწასმული ქალოლ-  
დით. ეს სახლი ცოტა რო მიელაგ-მოელაგებინა კაცს გარეთგან: ქალოლია  
ზაგიერ ჩაესოთ მინები ფანჯრებში და გაელესნათ. იქნებოდა სასიამოვნო შე-  
სახელი. მაგრამ ეხლანდელის მდგომარეობით იცქეროდა როგორღაც დაღონე-  
ბით.

იყო იანერის დილა, ქროდა ქარი და წუწუნით აყრიდა ნამქერს ფანჯ-  
არებსა. იმ სახლში მცხოვრებნი, ორი ქვრივი დედაკაცი, ის იყო ამდგარიყვენ  
და ერთი ჰგვიდა სახლს, მეორეს კი ახლათ ამდგარსა ლოგინითგან წამოე-  
სხა სინჯაფის ქათიბი. ქურსში შეეყო ფეხები და თბებოდა. პირველი იყო  
კარგა მოხუცებული, თითქმის სამოც და ათი წლისა და წლოვანებით ცოტათ  
მოხრილი ტანში, მაგრამ პირისაზე სჩანდა, რო ის თავის დროზე ყოფე-  
ლიყო არა უვარგისი. მეორე იყო ასე ოც და ხუთმეტ წლამდე: ცოტა დიდი  
ცხვირი, ზმელი პირისახე, წვრილი, თითქო დასცინიან ვისმე, იმისთანა ტუ-  
ჩები, თვალები შავი, მაგრამ იმისთანათ შემოგზნადა, იტყოდი, რო ეს  
დედაკაცი ჩემს სულსაც-კი ხედავსო. ჰსჩანს რო ის არ ეკუთვნოდა იმე-  
ქალთა, რომელნიცა თავის ცხოვრებაში არ მიიღებენ შრომას განსაჯონ არც  
ერთი საგანი.

— არა დედიჯან, მე აღარ შემოძლიან ეს, რაც გინდა მიყავ, ისევ სხვა  
ხელობას დაიწყო, — უთხრა უმცროსმა ქალმა მოხუცებულსა.

— რატომ, შვილო, რა არის?

— რა არის, ბევრჯელ ისე შევწუხდები სოლმე, რო არ ვიცი რა ექნა.

— რისგან, შვილო?

— იმისგან. რო ადამიანი მოდის, მართალი საკიროება აქვს, ტირის,  
გეხვეწება, გაფიცებს, რო მართალი უთხრა და შენ უნდა დაუწყო ეშმაკმა  
იციის რა?

— რა ვქნათ, შვილო, ჩვენი მამა-პაპაც ეგრე ყოფილა და ჩვენც ეგრე უნდა ვიყვენო.

— აი ეხლა იმ საწყალ გოგოს მივეცი პირობა, ხვალ მოდი და ხვალ გეტყვი-მეთქი, რაც უნდა ჰქნა, ამაღამ სიზმარში ენახავ მეთქი, მაგრამ მე წუთხელ სიზმარი სულაც არ მინახავს, ის-კი ეხლავ მოვა, აბა რა უნდა უთხრა?

— ვინ გოგო, მე არ მახსოვს?

— აი ერთი ლამაზ-ლამაზი გოგო არ მოვიდა, რო ტიროდა კიდევცა.

— ჰო, მე კარში გავედი მაშინა, მემრე რა იყო?

— რა იყო! საშინელი ტირილით მეუბნება, რო დანიშნულმა მომატყუაო, ჯერ მე შემიყვარა და მემრე სხვაზე დაიწერა ჯვარიო.

— ახლა რა უყოთ? ცოტა მოხდება ხოლმე მაგისტანა მაგალითები?

— იმას ჰკონია, რო ის იყო პირველი მაგის მაგალითი, — დალონებოთ სოქო უნტროსმა.

— მემრე რა მინდაო?

— გინდა თუ არა ერთი იმნაირი რამ მასწავლეო, რო მეც ისე მოუქლა იმას გულოო, როგორც იმან მომიკლაო.

— შენმა მზემ, ვერას ეტყოდი, გიყვიოთ ტირილს დაიწყებდი იმასთან.

— არა, თუმცა მომდიოდა ტირილი, მაგრამ მაინც კიდევ გაუშალე ქერი და უთხარი, რო გორიჯვარი<sup>42</sup> და არბოს წმინდა გიორგი<sup>43</sup> ელოცნა და ისენი დასჯიდნენ იმის ორგულს.

— ცოტა შორს უნდა გაგეგზავნა, უნდა გეთქო სპარს-ანგელოზი<sup>44</sup>, ან ლომისა<sup>45</sup>, ან ლაშარის ჯვარი<sup>46</sup>, ისე რო ასრულება გაძნელებიყო.

— რას ბძანებ, იქაც ვერ მიდის! ჩემ და ღმერთ შუა ერთი აღარა არის-რაო, მე იმისთანა რამე მასწავლე, რო ეშმაკის ძალით ასრულდესო.

— მემრე, რა უთხარი შენ?

— რას ეტყოდი: უთხარი დღეს მოსულიყო და აი საცაა მოვა და არ ვიცი, რა უთხრა.

— მაშ, როცა მოვიდეს უთხარი, რო დედა გიკითხამს-თქო.

იმ დროს, როდესაც ესენი ასე ლაპარაკობდნენ, გულის ვარდი დაეთხოვა თავის ქალბატონს და წამოვიდა ამათთან. ეს იყო იმის მეორე დღეს, როდესაც შეიტყო ღურამიშხანის დაქორწილება.

გულის ვარდმა გაყინულის ხელებით დააკაუნა კარები.

— ვინა ხარ? შემოდის!

— უკაცრავად, შეგაწუხებთ, უდროოთ გაიხელით, — ჰსთქო ვარდომ, რო შევიდა შინ.

— არაფერი, შვილო, არა უშავს-რა, მოდი გათბი, მოდი ქურსთან, — უთხრა უფროსმა დედაკაცმა.

გულის ვარდი მივიდა, გაიხადა ქოშები, ავიდა ტახტზე, ასწია საბანს და მიუჯდა ქურსს.

— აი, დედავ, ის ქალი, წუხელ რო გითხარი, — უთხრა უნტროსმა ქალმა დედას, გულის ვარდი რო გათბა მაშინ.

მოხუცებულმა დაათვალიერა გულის ვარდი.

— იმ უღმერთოს, შენზე ლამაზი ვინდა უნდოდა, მზის უნახავს ხო არ იშოვნოდა?

გულის ვარდმა მორცხობით დადუნა თავი და თვალები აევსო ცრემლით.

— ნუ სწუხარ, შვილო, — უთხრა იმავე დედაკაცმა, — ნუ სწუხარ, შენ არა ხარ მაგისი პირველი მაგალითი.



— ჰო, შენ არა ხარ მაგისი პირველი მაგალითი, — დაუმატა უნცროსმა ნალეკლიანათ.

— ახლა რა გინდა, შვილო? — უთხრა უფროსმა.

— შენ ქალს ჰკითხე, რაც მინდა.

— ასწავლე იმისთანა რამ, რო შური იძიოს.

— შურის ძიება ცოდვა არის შვილო, ღმერთზედ მიანდე, ღმერთი ილო-  
ცე, რო იმან გადაუხადოს მაგიერი.

— არა, დედი, მე თითონ უნდა გადაუხადო მაგიერი, გადაუხადო ისე,  
რო იცოდეს, ის მე ვიყავ და არა სხვა ვინმე.

— მაშ, რა გქნათ, შვილო? აი რას გეტყვი: ჭერხნობით არ შეიძლება  
გადახდა, უნდა მოიცადო კარგა ხანი.

— რამტენიც გნებავთ, თუნდა სიკვდილამდე, ოღონც კი ბოლოს მოუყ-  
ლა მე იმას გული.

— მაშ, იცი რას გეტყვი?

— მიბძანეთ.

— ისწავლე მკითხაობა და როდესაც ყოველსავე მკითხაობის საიდუმლო-  
ებას ისწავლი, მაშინ შენ თითონ მოიგონებ, რაგვართაც დასაჯო შენი მტე-  
რი. გინდა?

— მინდა! — ცოტა ხანს უკან მსტეო გულის ვარდმა.

— არა, შვილო, ჭერ ეგრე ჩქარა პირობას ნუ მამცემ, ჭერ მოიფიქრე  
კარგა.

— ფიქრი აღარ უნდა! მე ერთხელ შევიძლებ დავსაჯო ჩემი გულის  
მომკვლელი, სხვა რაღა მინდა?!

— იცი, შვილო, რას იწყობ? არა, აი მე რა გითხრა: ეხლანდელი დღით  
შენ ეყრები ქვეყანას. ამის შემდეგ გახდები კუდიანი, მკითხავი. ამის უკან  
ყველა დაგიწყებს შენ ყურებას არა თუ როგორც ადამიანსა, არამედ რო-  
გორც რასმე კაცსა და ეშმაკს შუასა. გიფიქრია ეს?

— მე ფიქრი აღარ მინდა!

— არა, ამაღამ კიდევ იფიქრე, თუ შეგიძლიან ღმერთსაც შეეხევეწი და  
ხელა მითხარი, რაზედაც გადაწყვეტ. ახლა მშვიდობით.

ამ ლაპარაკის შემდეგ გულის ვარდი გამოვიდა და წამოვიდა შინ.

— ეგლა გვაკლდა, — უთხრა უნცროსმა ქალმა დედას დაყვედრებით, ვა-  
რდო რო გამოვიდა კარში. — აბა რაზე მოიხევი თავზე სხვისი შვილი, რო  
შენი თავის შენახვაც გიძნელდება?

— რა ვქნა, შვილო! მე მეგონა, რო ჩვენი ხელობა შეაშინებდა და და-  
ნებებინებდა თავს თავის განძრახვას. სჩანს, რო არა ხუმრობს საწყალი.

— ახლა რაღას იქ? ხო ნახე, რო მე არა მგავს.

— შენ რა? ის რაღა კარგს შერება, ხორცით დაღუპულმა, სულიც უნდა  
დაღუპოს.

— მაინც კიდევ ბარაქალა, ქალო, თუ დაღუბა, ისე მაინც, რო უმტეროს  
თავის მტერს!

— ახლა რით უნდა უმტეროს მითომ, თუგინდ ჩვენი ხელობა ისწავლავ?

— მაშ, არას ასწავლი?

— არა, მე იმედი მაქვს, რო ამ ერთ წელიწადს დააიწყდეს თავის განზ-  
რახვა და გახდეს ისე პატიოსან დედაკაცათ. იმითი დაეხსნის ჩვენ ქრისტიანე  
სულს ჯოჯობეთიდან და ეგება იმისთვის ღმერთმა დაგვიმადლოს.

— რო არა ქნას და მოინდომოს სწავლა?

— ვასწავლო. სულ ვასწავლი რაც-კი ვიცო, და შემრე თითონ იცის, რა-  
ვორც მოიხმარებს ჩემს სწავლას. ამის გარდა, შეილო, რას გეტყვი? ეგ  
ვოვო კიდეც ვამოგვადგება ჩვენ, ხო იცი, რომ თავადების გოგოა. ვისაც ჩვე-  
ნში საჭიროება ექნება მოასწავლის ჩვენთან და იმითი ერთ ლუკმა პურს  
ვიშოვნით.

სანამ ესენი ამის ლაპარაკობდნენ, გულის ვარდი მივიდა შინ. შევიდა  
ქალბატონი და სთხოვა განთავისუფლება.

— რათა, ვოვო, განა შეგძულდი? — ჰკითხა ქალბატონმა.

— არა, ქალბატონო, ღმერთმანი, არა, — უპასუხა ვარდომ არევიტ.

— მაშ რისთვის მანებებ თავს? ხო არავინ არას გაწუხებს, ჩემო ვარდო?  
მითხარი, შეილო.

— არა, მაგრამ...

— მაგრამ რაღა არი, მითხარი ჩქარა, რათ გინდა განთავისუფლება?

— იქნება უფრო კარგმა კაცმა მითხოვოს, — უნდა ეთქო გულის ვარდს,  
მაგრამ ტირილში ვერ გამოთქო.

— რაო, რაო, გოგო?

— იქნებ უფრო კარგმა კაცმა შემირთოს, — განუმეორა გულის ვარდ-  
მა.

— ჰო, თუ აგრეა, ხვალე თავისუფალი იქნები, მაგისტვის რასა სტი-  
რი. ტუტუტო? ამაღამ ბატონი რომ მოვა, ვეტყვი და ხვალე წიგნს დაგიწე-  
რინებ! სად უნდა იცხოვრო?

— ჩემ დედიდასთან.

საწყალმა გულის ვარდმა ამითი დაიწყო ტყუილის ლაპარაკი. აქამდინ არც  
ერთხელ არ ეთქო განზრახვით ტყუილი.

მეორე დღეს განთავისუფლებული გულის ვარდი მიადგა ჩვენ ნაცნობ  
კარს ავლაბარში და დაუწყო კაკუნი. შიგნიდან ხმამ შეიბატყა.

ნუ შეწვალ, საწყალო გულისვარდო, დაიწერე პირჩვარი, ახსენე ღმერთი,  
შეაფურთხე ეშმაკს და გაბრუნდი უკან!

არ ესმის! შევიდა საწყალი გულის ვარდი!

— რაო, შეილო, მოიფიქრე? — ჰკითხა მოხუცებულმა დედაკაცმა, რომ  
შევიდა გულის ვარდი.

— მოიფიქრე და გადავსწყვიტე. რომ უნდა ვისწავლო, — უპასუხა ვუ-  
ლის ვარდმა.

— ბარაქალა, ქალო, მე არა მგვანებიხარ, — უთხრა უნცროსმა.

— ეს რაღა კარგს შვრება. ყმაწვილები ხართ ჭერ თქვენ, საწყლებო, სი-  
სხლი გიღუღო — უპასუხა მოხუცმა ორთავ. — კარგი, შეილო, — მიუბრე-  
უნდა გულის ვარდს, — თუ არ დაგიშლია, გადმოდი ჩვენთან. ღმერთმა ქნას,  
რო არ ინანო ეს შენი განზრახვა.

— ხვალე გადმოვიტან ჩემს ბარგს, — უპასუხა გულის ვარდმა.

ამის შემდეგ მთელი ერთი წელიწადი იმსახურეს ამ მკითხავებმა გულის  
ვარდს, მაგრამ მკითხაობისა არა ასწავლეს რა.

— ყმაწვილია, ქარი გაუვა თავიდან და შემრე კიდეც დამიძალღებს, რომ  
არ გაერე ჩვენ ცოდვებში, — ამბობდა მოხუცებული, მაგრამ იმ ერთი წე-  
ლიწადის შემდეგაც არა სჩანდა ცვლილება გულის ვარდის განზრახვაში.

ამ ერთი წელიწადის შემდგომ მოკვდა მოხუცებული მკითხავი და უნ-  
ცროსმა ჰპოვა რომელ გულის ვარდის დათხოვნა ამის შემდეგ აღარ შეიძ-  
ლებოდა და ამისთვის, რაც კი რამ საიდუმლოება იცოდა მკითხაობისა, სულ

ყველა ასწავლა და მიაჩემა კითხვა ყოველთათვის, ვინც კი მოვიდოდა საკითხავათ. აღარ გამოვიდა ბევრი ხანი, რო დაბალ ხალხში დაიწყეს ლაპარაკი ვარდუას მკითხაობაზე და აუარებელმა ხალხმა დაიწყო დენა საკითხავათ!

ათ წელიწადს შემდეგ გულის ვარდი, აჩრდილი უწინდელი გულის ვარდოსი, დაქმუქნული და გამხდარ პირისახით იჭდა ორ სართულიანი ძვირფას ხალხებით მორთულს სახლში და უკითხამდა რამტენთამე პირთ. რამტენიმე ქართლელი და კახელი თავადიწვილი, მოსულნი მსოლოდ იმისთვის, რომ ეკითხვინებინათ ვარდუასთვის, იჭდნენ მეორე ოთახში და ელოდნენ თავის რიკს.

— მე აქ ვერ გეტყვი, რაც მინდა, — უთხრა ერთმა გასათხოვარმა თავადის შვილის ქალმა, რომ შევიდა ვარდოსთან, და გაწითლებულმა დადუნა თავი.

— მიბძანდი მაგ მეორე ოთახში, ეხლავ გიახლები.

— ქალი გავიდა.

— რა ექნა დედიჩან, არ ვიცი, როგორ შეგატყობინო მე ჩემი მწუხარება, — უთხრა იმან ვარდუას რომ შევიდა ისი.

— რატომ შვილო, რა არის იმისთანა?

— შენ ვერ გაიგებ ჩემ მწუხარებას. ჩემ მწუხარებას იგრძნობს მხოლოდ ის, ვისაც თითონ გამოუტდია, მაგრამ შენ... შენ იყურები ისე, რომ შენ არ იცი, რა არის სიყვარული.

— სიყვარული? ჰო, მე მაგია არა ვიცი რა, მე სიყვარულისა არა ვიცი რა, არაფერი, — ჰსთქო ვარდომ სიჩქარით და დაღონებით.

— აკი გითხარ? მე თუ არა მიშველე-რა, მოვეკვდები... მიშველე რამე დედი, შენი ღვთის გულისათვის, — გულამომჭდარმა უთხრა, ქალი მისწვდა და აკოცა ხელზე.

— ვინ არის შენი შეყვარებული?

ქალმა უთხრა.

— ნუ სტირი, ღმერთი მოწყალეა, მოვახერხებთ როგორმე, შეგიყვარებას შენ შენი საყვარელი, მაგრამ ჭორწილში კი უნდა დამბატოყო.

— ჰო, უთუოთ, უთუოთ, ღმერთს გეფიცები, ოღონდ კი ნეტავი ამის-რეულო და!

გულის ვარდმა ასრულა იმ ქალის თხოვნა ერთ კვირას უკან უთილის-მოთ.

— აბა მიკითხე, ჩემო ვარდო, ჩემი ალექსანდრე რასა იქს? ერთი თვეა წიგნი არ მომსვლია, — ეუბნებოდა ვარდუას უწინდელი იმისი ქალბატონი, რომელთაც, შემდგომ შეტყობისა ვარდუას ხელობისა, არა თუ აჰყარა სიყვარული, არამედ სიყვარულთან იგრძნო იმნაირი შიში იმისი, რანაირათაც ეშინოდა თავისის ქმრისა.

ვარდუამ გაშალა ქერი.

— ალექსანდრე, ქალბატონო, ეხლა ცხენზე ზის და ჯირითობს. აი მეფეც იქ არის და უყურებს ყმაწვილების ჯირითობას. აი ალექსანდრემ გააჰენა ცხენი. ოჰ, ზარათანთ თეიმურაზი გამოუდგა, ესროლა ჯირითი. ყოჩაღ ბატონო! ჯირითი დაიჭირა და გააბრუნა ცხენი. გააჰენე თეიმურაზ, ცხენი, გააჰენე. მოვიდა. დაგეწია ბატონი, ოჰ, შიგ ბექებში არ მიატყა საწყაალს! აი მედემ აქო ალექსანდრე. ქალბატონო! უყურებ, მეფემ აქო ალექსანდრე, სხვა რაღა გინდა?

— არაფერი, შვილო, მადლობელი ვარ! — განცვიფრებულმა უთხრა ვარდოს.

მე აღარ შევაწყენთ თავს გულის ვარდოს მკითხაობითა. მოვახსენებთ მხოლოდ, რომ ვარდომ იმ დროს შეიტყო ბევრი რამ იმისთანა, რომელიც იცვნიან შესარცხვენელნი კაცთა ჩამომავლობისათვის.

გავიდა კიდევ ათი წელიწადი. ათი წელიწადი! ხუმრობაა ათი წელიწადი: ამ ათ წელიწადში დაიხოცნენ ბევრი მათგანი, ვისთანაც გვექონდა ჩვენ შემთხვევა გაცნობისა ამ მოთხრობაში. დარჩნენ მხოლოდ თავნი პირნი: ღურმიშხანი თავის ცოლ-შვილით, ესე იგი ერთი შვილით და ვარდო თავის განთქმულის მკითხაობით. დარჩნენ ისე, როგორც ორი ფალავანი შუა მეიდანზე, მოშხადებულნი დასაქიდავთ.

ვნახავთ ვინ ვის მოერევა.

აპრილის საღამოს ის იყო ჩავიდა მზე სურამის გორას იქით და იქიდან შადრევანივით ისვრიდა სხივით, რომელნიცა ერეოდნენ რა ჰაერს, ხდიდნენ მას ცეცხლის ალივით. ბუნება გართული მზის საღამოში, არც ერთი სიოთი არ შეარყევდა ფოთოლთა. აქა-იქ მოდიოდა მხოლოდ ჰიკიკი ყოველთვის მოუსვენარტ ჰიკვავთა, რომელნიც ღამისთვის ეძებდნენ მოხერხებულ საკდომსა და ამიტომ ერთმანეთს ართმევდნენ ალაგებს. მენახივებმა ის იყო ტყუილგან გამოირკეს ნახირი შოლტის ტლამა-ტლუმით და სიმღერით მოუდიოდნარ შინ. ნახირი მოდიოდა შინ გაჩქარებული, ჩუმით, მხოლოდ აქა-იქ კი შებღვლიდნენ ხოლმე დროითა და დროით ძროხეები, თავიანთ ხბორების მეტის-მეტე სიყვარული რომ მოაგონდებოდათ ხოლმე მაშინ. რამტენსამე დედაკაცს მხარზე უღვათ კოკები და დამწყრივებულნი მიეშურებოდნენ წყალზე დუმილით.

ამ დროს ღურმიშხანის სახლის გვერდით მწვანე ხავერდით მინდორზე ძვირფასი ხალი იყო გაშლილი და იმაზე იყო წამოწოლილი ჩვენი ღურმიშხანი. ცოტათ მზისგან გაშავებული და ხმელი პირისახე, ეგრეთვე ძარღვიანი ხელები და სრულებით გამხდარი ტანი აჩვენებდნენ, რომ ის კაცი არ იყო შინ გლობის მოყვარე. ხოლო რამტენიმე ხაზი პირისახეზე და ქალაქა თმაში და უღვაშებში უმოწმებდნენ, რომ ის არასდროს არ ყოფილიყო უსაქმო და დროს დაედო იმაზე თავისი ბეჭედი. მაგრამ, რასაკვირველია, ესე ჩვენ ვხედავთ ღურმიშხანს თითქმის ოც წელიწადის შემდეგ.

ღურმიშხანმა ის იყო მოსწია ერთი ჩიბუხი მშვენიერი სტამბოლი თამბაქოთი. გადაავლო ჩიბუხი იქით, გადაბრუნდა გულამა და დაუწყყო ყურება მოწმენდილ ფირუხივით ღია ლურჯს ცას. იმან უყურა, უყურა ცას და ჩავიქრდა. იმას მოაგონდა თავის სიყმაწვილე. ის სიყმაწვილე, როდესაც დადიოდა კონკებში და ყველა მსახური სცემდა თავში. მოაგონდა შემდეგ პირველი ვაცნობა გულის ვარდისა, იმისი სიყვარული.

— რა ძრიელ უყვარდი საწყალს? — ფიქრობდა ღურმიშხანი — რომ ის არა ყოფილიყო, ხომ არ გამანთავისუფლებდა ბატონი. რა კარგათ მოვიქეცე, რა ნაირათ ვაჩვენე თავი. რომ მითომ მიყვარდა, მაგრამ ღმერთმანი ღირდა სასიყვარულოთ. რამტენი ვატყუე საწყალი, რომ მოვალ-მეთქი. მართლ, ფული რომ დავეპირდი უკანასკნელ წიგნში, რატომ არ გაუგზავნე? ეჰ, რათ უნდა ფული, ჩემთვის უფრო საჭიროა. ნეტა სად იქნება ეხლა საწყალი? ვინ იცის როგორ დაბერდა, როგორ გაფუჭდა. ნეტა მომიგონებს ხოლმე კიდევ? მომიგონებს კი არა და მგონია ერთმა ბიჭმა ვინმემ შეირთო და შეიღებთი აივსო. სად ეცლება ჩემ მოსაგონებლად... საწყალი ოსმან-ალა. აბა თუ ერთი ვაწირვიანი იმისა-

თვის, აბა თუ ერთი სანთელი აუნთე! სირცხვილი შენთვის, ჩემო თავო! იმ საწყალმა ნახევარი თავის ქონება მოგცა, იმისი წყალობით ხარ ასე ბედნიერი!.. რა ექნა, ღმერთმანო, ფულელები კი არა მშურს, მაგრამ მოცლა არ არის. რა უყო, ვვე! რა საშინელი იყო საბრალო მოსაკლავათ რო მიპყვანდათ; რანაირათ შემოიხიედა, თითქო მეხვეწებოდა რასმე. რა იქნებოდა რო დამემარხა? მე და ჩემსა ღმერთმა, არ ვემართლები...

— მამაჩემს ვახლავარ, — უთხრა ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელიც ის იყო მოვიდა საიდლამაც და შორიახლო ჩამოსტა ცხენითგან.

— ოჰ, შეილო, ზურაბ, შენ?! — წამოიძაბა დურმიშხანმა, წამოსტა კმაწვილივით და აკოცა პირზე — რასა იქ. შეილო. კარგათა ხარ?

— კარგათა ვარ, დედა სად არის?

— აქ არის. ჭერ არ გინახამს?

— არა, პირდაპირ შენთან მოვედი.

— ბარაქალა. შეილო. ყოველთვის წინ მამა უნდა გაახარო ხოლმე, სხვა, რა ანბავია, როგორ რასმე მოიარე. როგორ რასმე დახველ ამხანაგებში?

— ნელარ მეტყვი, მამავ, აღარ შემიძლიან ამ საშინელ ამპარტავეან თავადებში ცხოვრება.

— რა არის, რას უიწლიან ისენი?

— რაღა რა არის? მძას ამოვიღებ. თუ ხუმრობაში, ან რაიმეში გავერეკო იმათში, მაშინვე ჰირისავით მომშორდებიან ხოლმე და დაიწყებენ ბუტბუტს: კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირიო.

— რატომაო? რითა გჯობიან შენ ისინი: შეძლებით, სილაშხით, გაზღილობით თუ ვაჟკაცობით?

— არც ერთით.

— მაშ რა უნდათ? რითა გჯობიან?

— ჩამომავლობით.

— ჰმ, ჩამომავლობით... ჩამომავლობით, ჩაფიქრებით განიშეორა დურმიშხანმა, — აბა ერთი ჰკითხე იმათ, იმათ მამათგან თავის კაცობით ვინ იშონა ცმა და მამული? ვინ იშონა იმტენი ფულები, რო რომელიც უნდა თავადიშვილის მამული იყიდოს?

დურმიშხანი თავის გამდიდრებას აწერდა მხოლოდ თავის ვაჟკაცობას.

— მაგას არა ფიქრობენ, — უპასუხა ზურაბმა.

— შენი ვალია, რო ჩააგონო. იმათი მამები არ არიან, რო მეხვეწებ "სიღმე" შეილის მონათლას. იმისთვის რო ელიან კარგს კუნკულას<sup>47</sup>. როცა ფულელები სჭირდებათ, დაბლა მიკრავენ თავს? მოიტყდონ! შენ ეს მოხატა ბეწვმ ვერსად შეგნიშნა?

— ვერსად. არსად მოხდა იმისთანა შემთხვევა. მაგრამ ეხლა რაღასაც იტყვიან, მითომ ომი იქნებაო. აბა, მაშინ შევიტყვობთ, ვინ კუ ყოფილა და ვინ ლომი.

— შენ კი გენაცვალე, შეილო! იმედი მაქვს, შეილო, რო მამა შენს არ შეარცხვენ, მაგრამ ეგ რა სიტყვი! ომი?! ვისთან უნდა იყოს ომი?!

— არ ვიცი: მგონია რო ოსშალოებთან უნდა იყოს, მაგრამ სწორეთ არავენ არა იცის რა.

— ეგ ვერაფერი ანბავი მომიტანე. შეილო. შეილო, ომი ვაჟკაცობის მტერია. უეცრათ რო ომი მოხდეს, დავიღუპებით.

— აი, აკი გითხარო, თითქო მე ვიყო ომის მიზეზი, იმნაირ საყვედურს შეუბნები.

— კარკო, კარკო, ბარაქალა! — და ღურმიშხანი დალონდა. დაინახა რა ეს ზურაბმა. ვაშოესაღმა და წაეღა დედასთან. ღურმიშხანმა რო შეხედა მიმავალ ზურაბს და დაინახა მწვენიერი ვაყვაციის ტანი, სიამპარტავენით გაილიმა.

— ჩააყვირეველა, შეიშურებენ ჩენი თავადიშვილები. ვინ იქნება იმათში ჩემი ზურაბისთანა. — სიქვა სიამაყით ღურმიშხანმა თავის გულში და შემდეგ დაიწყო ფიქრი თავის ვაჭრობის საქმეზე. — ეს კი ავი ანბავი მომიტანა ჩემმა პაპულამ. თუ ხვალვე არ მივეშველე ჩემ ქონებას, სულ დავიღუპები. აბა მაშინ ნახე, ღურმიშხან, აზნაურ-შვილობა!

მეორე დილით ღურმიშხანი ადგა ადრე, გაიყოლა თავისი ოსმალოთაგანი სამი ბიჭები და გასწია სტამბოლისაკენ.

მიდის ღურმიშხანი ქონების შესაძენად; ის კი არ იცის, რანაირი უბედურება გროვდება იმის თავზე.

ბევრი დრო აღარ გამოსულა ღურმიშხანის წასვლის შემდეგ, რო მეფემ დაიბარა თავისი პირველი ვეზირი და უბძანა საქართველოს სამძღვრების გასინჯვა ოსმალის მხრისკენ და საცა საქიროდ ჰპოვოს, ააშენოს ციხეები. ეეზირი წამოვიდა, გაშინჯა საზღვრები და სხვათა შორის ჰპოვა ციხის აშენების საქიროება სურამში. მაშინვე საჩქაროდ მოაგროვეს მასალა, დასწვეს კირი და შეუდგნენ შენობას.

— აბა და ახლა თუ იქნება რამე, უთუოთ უნდა გამოვიჩინო თავი, — ჰსთქო ზურაბმა და ამ აზრით მიაშველა რამტენიმე ურემი. მაგრამ საყვირველი იყო, რამტენჯერაც აიტანეს ის ციხე ერთი ჭუთიოდ ადლამდე, იმტენჯერ ექვეა და გააკდა შუაზე; რალაც ავი სული უშლიდა იმ ციხის გაკეთებას. მღვდელს ახდევინეს პარაკლისი, მაგრამ მაინც კიდევ არ იქნა, მაინც კიდევ გასკდა კედელი. უკანასკნელი ყოველი ღონისძიება მოიხმარეს, მაგრამ არაფრით არა იქმნა რა; კედელმა თავისი არ დაიშალა. რა ქნან?

— მოდი ერთი მკითხავს ვაკითხვინოთ! — წამოიძახა ეილაყამ.

-- მკითხავს! მკითხავს! — დაიძახეს ყველამ, ვინც კი ახლდა ვეზირს.

მოახსენეს ეს აზრი ვეზირს. ვეზირმა მოიწონა, მაგრამ საქმე დადგა იმაზე, ვისთვის უნდა ეკითხვინებინათ. ვინ იყო იმისთანა განთქმული მკითხავი.

— აელაბრელი ვარდუა! — წამოიძახეს რამტენთამე პირთა.

— საყვირველი რამ არის. ერთხელ ისეთი რამ მითხრა, რო ის საქმე მე და ღვთის მეტმა არავინ იცოდა, — ჰსთქო ერთმა.

— მეც, კაცო, — უბასუხა მეორემ.

— მეც. — დაიძახეს რამტენთამე.

— ერთხელ ჩემი დედაკაცი ყოფილიყო და საყვირველ რამეებს მოსაქომდა, — დაასრულა ვეზირმა.

— მაშ მოდი და წავიდეს ვინმე საკითხავათ, არა ვეზირო? — ჰკითხა უფროსმა თავადისშვილმა.

— წავიდეს, წავიდეს! რაც ჩქარა იქნება, ის სჯობია, — ბძანა ვეზირმა.

მაშინვე ერთი ყმაწვილი თავადისშვილი შაჯლა ცხენზე და თავის ბიჭებით წაპოვიდა ვარდუასთან. ქალაქში რო მოვიდა გულის ვარდთან, იმასთან ჰპოვა რამტენიმე პირნი, მოსულნი საკითხავათ. ჩვეულებისამებრ ყმაწვილი კაცთა და უმეტეს იმისთანა პირთა. რომელთაც აქვსთ მინდობილი სახელმწიფო საქმე, ეღჩმა გაყარ-გამოყარა ყველანი და მივიდა ვარდუსთან.

— რა გინდა, შვილო? — ჰკითხა ვარდუამ.

— ვეზირისაგან ვარ გამოგზავნილი. მიკითხე ჩქარა.

— რაზე, შვილო? მითხარი.

ყმაწვილმა უთხრა, და რო გაათავა და ჩაჩუმდა, ვარდოს მოუვიდა ღრ მილი.

— აბა ეხლა მოვიდა შენი დრო, ჩემო თავო, თუ რამ შეგიძლიან, — სთქო ვარდომ თავის გულში და ჩაფიქრდა.

— ბევრს ნუ ფიქრობ, ჩემო ვარდუაე, ჩქარა მითხარი! — უთხრა ყმაწვილმა.

— არა შეილო, სიჩქარით საქმე არ გაკეთდება და არც თუ ციხე აშენდება. ჯერ მითხარი.

— მკითხე ჩქარა, რაც გინდა. — დააყოლა ყმაწვილმა.

— ჯერ მითხარი, სურამში ჰსცხოვრობს ვინმე ვაჟარი ღერმიშხანი?

— ჰსცხოვრობს.

— შეილი რამე ჰყავს?

— როგორ არა, ერთი ჩემი ტოლი და ამხანაგი, მშვენიერი ყმაწვილი ზურაბ.

— კარგი, ახლა წადი და უთხარი ვეზირს, რომ თუ თითონ არ მოვიდა, კითხვა არ შეიძლებათქო. უთხარი, რომ მე ვთხოვ იმას მოსვლას ჩემთან, თუ საქართველოსთვის კეთილი უნდა.

— რას მეუბნები დედა-კაცო?! მითხარი რამე, ასე ვერ წავალ.

— არა, შეილო, შენთვის არ იქნება თქმა. შენ დროს ნუ დაკარგავ, ჩქარა წადი, საქართველოს ბედი ეხლა შენზე არის დამოკიდებული — და ის ყმაწვილი თითქმის ძალად გამოაგდო კარში.

— მაშ, რა ვქნა, რა უთხრა ვეზირს?

— უთხარი. რომ თითონ მოვიდეს. საჭირო არის თქო!

ყმაწვილი მაშინვე შეჯდა ცხენზე და გასწია უკან.

გულის ვარდი ჩაფიქრებული შამოვიდა შინ და მლოდნელნი ყველანი დაითხოვა. უთხრა, რომ მისტელიყენენ ხვალ. იმავე დღეს გავარდა ქალაქში ხმა, რომ ჭარიდგან მოვიდა კაცი ვარდოსთან საკითხავათ და იმის შემდეგ ვარდუა დაჯავრიანდა.

— აბა, ჩემო თავო. — ფიქრობდა ვარდო, — აბა ეხლა მოვიდა დრო შენი შურის ძიებისა... აბა თუ შეგიძლიან რამე, ახლა შეგეტყობა. პოი, წყეულ უყავ. ღერმიშხანი! რისთვის დამღუპე მე საწყალო! რა გინდოდა ჩემგან, რა დავიშავე, რისთვის ჩამაყენე ამ მდგომარეობაში?! საწყალო ჩემო თავო! დაღუპულს ზორციტ. სულითაც უნდა დაღუპო. — და დაიწყო საწყალმა ტირილი მწარით. — აი შე ლაჩარო, ჩემო თავო! შეგეშინდა? — ცოტა ხანს შემდეგ ისევ დაიწყო ლაპარაკი: — აბა შენი გულის მკვლელი ჩავივარდა ხიოში აბა რა წვალებას მოუფიქრებ. იმის სიკვდილი? ცოტა იმისთვის. დეე ეწვალის ისე, როგორც მე ვეწვალე ამ ოც წელიწადში.

ვეზირს როგორც-კი მოახსენეს ამ მკითხავის პასუხი, მაშინვე შეჯდა ცხენზე და შინაც აღარ მიბრუნდა, ისე პირდაპირ მივიდა ვარდუასთან.

— აბა, ჩემო საყვარელო. მკითხე რა უნდა ვქნა?

— შენ ბძანდები ვეზირი? — ჰკითხა იმას ვარდუამ.

— მე ვარ.

— აბა თუ შენ ბძანდები და პასუხისგებაც შენა გაქვს ბევრი, საწყალო ბატონო! რა ავ დროს გრგებია შენ ვეზირობა. ღმერთო! რას ვხედავ წყეულს უსჯულონო. სად მოსდინართ, რა გინდათ ჩვენი საწყალი საქართველოსაგან? ღმერთო! რა დავაშავეთ და შეგცოდეთ, რისთვისა გვსჯი ასე საშინელათ? ვაი, ვაი, ჩამტენა მოდიან! ღვთის მშობელო დედაო, შენ დაგვიხსენი, ღმერთო!

ჰხოცენ, აი დედებს ართმევენ შვილებს და ქათამივით ჰკვლენ. ნუ მისცემ, საწყალო ქალო! ნუ მისცემ შენ შვილს. ოჰ! წაართო წყეულმა, უშველე, ბატონო. უშველე ოღრემ დავიღუბებით!

— რა ვქნა, მითხარი? — გოცებით უთხრა ვეზირმა.

— აი ვხედავ. — განაგრძელა ვარდუამ. — უსჯულოთ ჭარი შემოეხვია ქიანკველსავით სურამის ციხეს. ჩქარა, ჩქარა ააშენეთ, მხოლოდ ის დაიპერს ჭარს. თუ რო ის არ არის, აქ მოვლენ. ღმერთო, რა მოგვივა მაშინ! შენი წვრილ-შვილი მაინც ისე არ შეიბრალო, ბატონო, შენი წვრილ-შვილი, ნუ დაახოცი-ნებ უსჯულოთ, — და ვარდუამ დაიწყო ტირილი.

მართლა ტიროდა თუ ტყუილათ. არ ვიცი. ოცდა ერთ წელიწადში ისწავლა ისეთი აქტიურობა, რა ღმერთმა შეარცხინოს იმასთან ეხლანდელი გახთქმული აქტიურობი.

— რა ვქნა? რა უნდა ვქნა? მითხარი ჩქარა, — უთხრა ვეზირმა.

— უნდა როგორმე ააშენო სურამის ციხე.

— აკი ვაშენებ, მაგრამ მექცევა, რა უყო?

— ამოყარე ის საძირკველი, რომელიც ჩაგიყრია, ორ ადღზე კიდევ მოთხარი. გაანათვლინე მღვდელს<sup>48</sup>, მაგრამ... ეს რას ვხედავ? ღმერთო შენ დანახინ! ბატონო ამოიღე ხანჯალი და აქვე მომკალ, მადლი იქნება შინაი<sup>49</sup>! ი, წყეული იყოს ის დღე, რა დღესაც მე მკითხაობა დავიწყე! ბატონო, ნუ გაიგონებ, რასაც გეტყვი. არა, გაიგონე, კარგა ყური დამოგდე, რასაც გეტყვი, საჭიროა რა იცოდე. ამის ასრულებაზე ჰკიდია საქართველოს ხსნა. საქართველოს გამარჯვება.

— მითხარი, შენი ღვთის გულისათვის, მითხარი ჩქარა!

— ციხეში, ზურდის მაგიერად, დედის ერთა ვაჟი უნდა დაატანოთ: ღურმიშხანის ვაჟი, ზურაბი.

— როგორ თუ ვაჟი? როგორ თუ ზურაბი?! რას ანბობ დედაკაცო?! — შეკრთომით ჰკითხა ვეზირმა.

— ზურაბი! დიან ზურაბი უნდა დაატანოთ კედელში! უიმისოთ კედელს ვერ ააშენებ! ჰი დედამიწავ, გასკდი და ჩამიტანე, რა ამისთანა სიტყვა ამოვიდა ჩემი პირიდან! შე საწყალო დედაჩემო, რათა მშობე ქვეყნის საწყევად?!

— რათა, დედავ. შენ რასაცა ხედავ, იმას ანბობ, შენი რა ბრალია. — დაღონებით უთხრა ვეზირმა და საშინლად ჩაფიქრებული გამოვიდა იქიდან და შინაც ადარ მიჰხედა, ისე წავიდა უკან.

— კარგს ძღვენს არ მიუტანს ჩემს ღურმიშხანს ვეზირი! ნეტავი იკითხას მანც. ვის გაუგზავნა. დეე ვაიგოს, რაც შეუძლიან საწყალო გოგოს. სუ! ჩემო გულო! ოცი წელიწადი მეტია ღმერთს გავეყარე, რას მაშინებ მე იმით!

## VII

მიდის ჩენი ვეზირი სურამს საშინელი ჩაფიქრებული და დაღონებული. მზე-კი მხიარულათ იყურება, თითქო იცინის კაცის მწუხარებაზე, ვითომც არაფერი კავშირი არა აქვს კაცთა ცხოვრებასთან. ვეზირი რა მივიდა სურამს, იმავე დღეს გასცა შიანება, რა იმავე დღეს ძველი საძირკველი ყოფილიყო სულ ამოყრილი და საძირკველი მოთხრილიყო კიდევ ორ ადღზე. ბძანება, რასაკვირველია, მაშინვე აღასრულეს და მეორე დღეს, შემდგომ პარაკლისის გადახდისა, ჩაყარეს ახალი საძირკველი და ამოიყვანეს მიწის პირდაპირ. სა-



ქმე მივიდა იქამდინ, როცა ვეზირს უნდა გამოეცხადებინა უკანასკნელი რჩევა  
ქეთხათისა.

ძნელია ოდესმე ვალდებულება უპირატესთა ამა ქვეყნიანთა. რა სიხარუ-  
ლით დაუტევებდა საწყალი ვეზირი თავის თანამდებობას, ოღონც კი იმას ნუ  
გამოაცხადებინებდნენ და ნუ გარევედნენ ამ საშინელ საქმეში! მაგრამ ოა  
ჭქნას? მამული არის განსაცდელში, ჩუმაღ უნდა იყოს გული, სჯობს ერთი  
მოკვდეს მამულისთვის, სანამ დაიხოცნენ ათასნი. ამ ფიქრებით გამაგრებულ-  
მა ვეზირმა დაუძახა ოსტატებს.

— რასაც გიბძანებთ თქვენ ბერო, უნდა ასრულოთ დაუყოვნებლად. —  
უთხრა იმათ — ვინც ჩაფიქრდება, ან აუკანკალდება ხელი ასრულებს  
დროს, ის მაშინვე ჩემი ბიჭებითგან მოიკვლება. გესმით?

— გვესმის, შენი ჭირიმე, — უთხრეს ოსტატებმა.

— წადით, ახლა კი ამის მეტი სათქმელი არა მაქვს-რა, შენ კი, ბერო,  
აქ მოიცადე, — უთხრა ვეზირმა ოსტატების უფროსს.

— მიბძანე, შენი ჭირიმე.

— სასიამოვნოს არას გეტყვი, ჩემო ბერო, — უთხრა იმას ვეზირმა, —  
რაც უნდა გითხრა, ისე საშინელია, რო ვერც-კი მითქმის.

— რა უყოთ, შენი ჭირიმე! სასიამოვნოა თუ არა, მიბძანე, შენი ჭირიმე.  
და თუ იმისი ასრულება ჩემზე ჰკიდია, კარგათ მოგეხსენება, რო თავს არ  
დავზოგავ.

— კედელში ცოცხალი კაცი უნდა დავატანოთ, — სიჩქარით ჰსთქო ე-  
ზირმა.

— ნუ მიბძანებ, შენი ჭირიმე. — შეკრთომით წამოიძახა ბერომ.

— რა ვქნა, ძმაო, მამულის კეთილ-მდგომარეობა ითხოვს ამ მსხვერპლს,  
უმიხსოთ ციხეს ვერ ავაშენებთ. ერთი სიტყვით, მზათ იყავი! ახლა-კი წადი.

— ღმერთო! ცოცხალი კაცი კედელში! — ჩაფიქრებით ჰსთქო ოსტატმა.  
გამოდრიოდა რა ვეზირიდან.

ვეზირმა კი დაიბარა ვინც თავადიშვილები იყვნენ და გამოუცხადა რა  
ყოველივე, იმათაც უბძანა რამეტენსამე, რო იმათ მიეყვანათ საცა უნდოდა  
ზურაბი, ხელი ეტაცნათ, შეეკრათ და მიეცათ კალატოზებისათვის. ხოლო  
სხვათა უთხრა, რო ამ დროს ჭარი მზათ ყოფილიყვნენ და შემოხვევიყვნენ  
იმ ადგილს, საცა მოხდებოდა ეს საქმე.

შემდგომ რამეტენიმე ხანისა, ზურაბი მკვდარივით ყვითელი, ხელებ-შე-  
კრული იდგა კედელში და კალატოზები სიჩქარით აშენებდნენ იმის გარშემო  
კედელსა.

— ღმერთო! რა დავაშავე, რისთვის მმარხამთ ცოცხალს! — დროითა და  
დროით ამოიძახებდა ხოლმე ზურაბი დაოსებულის ხმით.

კეთილი თქვით, თორემ ავი ხმა ჩქარა გაეარდება ხოლმე ქვეყანაზე. ზუ-  
რაბი არ ამოუშენებინათ მუხლამდისინ, რო იმის დედა მორბოდა ციხისაყენ  
თმა-ვაშლილი.

— არიქა, მაგრა შეკარით, არ დაანახოთ საწყალ დედაკას! — დაუძახეს  
ჯარს.

— გამიშვით, თქვენი ღვთის გულისთვის, გამიშვით. შეილო ზურაბ, სა-  
და ხარ! ვის რა დაუშავე, რას გემართლებიან. გენაცულოს დედა! გამიშვით,  
ქრისტიანი ვინა ხართ, ჩემ შეილთან! იმასთან დამმარხეთ, იმასთან მომკალით!

— ნუ გეშინიან, დედი, არ მოჰკლამენ; გულადობაში უნდა გამოსცა-  
დონ! — უთხრა ერთმა ჭარის კაცთაგანმა დალონებით.

— გამოშვით ჩემ შეილთან! გამოშვით ჩემ სურაბთან! — იძახოდა ზურაბის დედა და მიიწვედა იმასთან.

ზურაბმა გაიკონა დედის ხმა:

— მიშველე, დედი! შენს ზურაბს ცოცხალს მარხავენ! — დაუძახა დედას ზურაბმა.

— შეილო, ზურაბ. სადამდინ?

— ვაიმე დედავ. მხრებამდინ! — უპასუხა ზურაბმა.

— კარგი! არ ეყოფა? არ შეიტყუევით იმისი გულადობა? მომეციოთ შეილი, მომეციოთ ჩემი ზურაბი! შეილო, ზურაბ, სადამდინ?

— ვაიმე, დედავ გაეთავ... — აღარ დაასრულებინეს და მსწრაფლ დააყარეს რამდენიმე თაბახი კირი.

— ვაიმე! — შეჰკვივლა ზურაბის დედამ და მკვდარივით დაეცა მიწაზე.

გულშეწუხებული წაიღეს საწყალი შინ და თითქმის გამოვიდა სამი საათი, რო ძლივს მოაბრუნეს გულწუხილიდგან.

— ახ, ნეტავი-კი მომაგონა! რალაც დამავიწყდა-ქა! — სთქო საწყალმა ზურაბის დედამ, გულწუხილიდგან რო მობრუნდა, და გაიღმა ერთი იმ ღიმილით, რომელიც ტირილს უფრო მიემსგავსება, სანამ სიცილსა. საცოდავი შეჰსცდა ჰკუაზე.

— შე საწყალო, რალა უნდა მოვაგონდეს, შენი ზურაბი ცოცხალი დამარხეს! — დაიწყო ერთმა მოხუცებულმა დედა-კაცმა და მოძახა ტირილით.

— ახ, ნეტავი-კი მომაგონა! — სთქო ზურაბის დედამ და თავისი ამღვრეული თვალებით უაზროთ შეხედა იმ მოხუცს.

ამ დროს ღერმიშხანი მოდიოდა შინ ფრიად დაღონებული და გულშეკრული, თუმცა-კი არა ჰქონდა იმას სწორე მიზეზი კმუნვისა. სასარგებლოთ გაათავა თავისი ვაჭრობა, ჯიბე აივსო ფულით, მიდიოდა ცოლშვილში, რომელიც არ იყო რო უყვარდა, უმეტესად შეილი. ვგონებ, რო არა ჰქონდა მიზეზი კმუნვისა, მაგრამ ამბობენ გული მისანიაო.

ღერმიშხანი რო მოაწლოდა სურამს და დაინახა სურამის ციხე თითქმის გათავებული, ჰსთქო, თავის გულში: ეტყობა აღარ ხუმრობენ, შენმა მზემ! შეხედეთ, რამოტენი ციხე აუშენებიათ, ეტყობა. რო საშინელი ომი უნდა იყოს. ახლა თუ გინდ მთა-მთა ეხალოს, მე ჩემი საქმე გაეთავე. ნეტავ ვინ იქნება ამ ციხის კეთებაზე ზედამხედველი? ნეტა ზურაბმა დაჰპატიყა? უნდა ეთხოვნა ჩვენსა დამდგარიყო. შემდეგ გამოადგებოდა; მაგრამ უჩემოთ ვერ გაბედამდა. ჯერ ყმაწვილია, არ იცის ანგარიში. ეხლა მე რო მივალ, ჩემ მისვლაზე გავაკეთებ სადილს, დავპატიყებ და გავიცნობ ვინც გინდა იყოს. ერთი კარგი სტამბოლური ნიეთი რამ რო მივართო ფეშქაშათ, მაშინ ხო სულ დავავალბ.

ამ ფიქრებით ღერმიშხანი მიადგა თავის სახლს. მოსამსახურებმა და რამტენთა კაცთა იმ სოფლის მცხოვრებთა, დაღონებით მიიღეს ის. რა არის ეს? უწინ რო მოვიდოდი ხოლმე, სულ ყველანი დიდი და პატარა მოეგებებოდნენ იმას მხარულათ; არ იცოდნენ, ვის ცხენი გამოერთო, ვინ მიშველებიყო ცხენდგან ჩამოსვლის დროს. ახლა-კი; თუმცა მიეგებნენ, მაგრამ რა არის ეს კაეშანი? ღერმიშხანმა რო დაინახა ეს, თავზარი დაეცა, ის დარწმუნდა, რო სახლში მომხდარიყო უბედურება რამე.

— რა ანბავა. ხო მშვიდობაა შინ? — ჰკითხა იმან მომგებთა შეკრთომით, — ჩემი დედაკაცი სად არის?

— მიბძანდით შინ, შინ გახლამსთ! — უპასუხეს მათ დაღონებით.

დურმიშანი შევიდა შინ. სახლში, დედამიწაზე გაშლილ საფეხზე ისდნენ რამტენიმე მოხუცებული დედაკაცი შევებით და შუაში უკვდავ დურმიშანის ცოლი. უკანასკნელი იყო გართული რაღაც აზრით, მჩანდა, რომ ცდილობდა რილისაც მოგონებოდა. აქეთკენ იდგა მღვდელა შავი ოღრით და ჯვრით.

დურმიშანმა რომ დაინახა ყოველივე ესე, გახდა მკვდარივით. საშინელმა სიყვითლემ გადაჰკრა პირისახეზე და დასუსტებული მიეშო ტახტზე.

— რა არის ჩემ თავს? მითხარით ჩქა! — წამოიძახა ტირილით, — მოთხარით ჩქარა, ნუ მიკლავთ გულს!

იმას კიდევ რილისაც იმედი ჰქონდა, როგორღაცა დაჩმუნებული იყო, რომ ეს უბედურება არ ეკუთნოდა იმის ზურაბს...

დედაკაცებმა უთხრეს ტირილით ყოველივე სიძარტლე და დურმიშანი იმ მინუტს მოხუცდა თითქმის ათის წლით.

— დედაკაცო, რა უყავ ჩემი შვილი?! რა უყავ ჩემი ზურაბი? რატომ იმასთან არ მოჰკვდი, შენ საყვარელ ზურაბთან! ვაიმე. შვილო, ზურაბ! ჩემო იძულო, ჩემო სიცოცხლე! იქნება ამხანაგებმა გომტრეს. შვილო, შენ ისე სკობდი იმათ, შვილო! რატომ არ უთხარი, რომ მოხუცებული მამაშენი მოიკლათ. შენთან რა უნდოდათ, ჩემო თვალის სინათლე! ვაი, ჩემს დღეს!

— გამხნევედი დურმიშან, — დაუწყა დარიგება მღვდელმა, — შეხედე შენ მაცხოვარს, რამტენი ტანჯვა მიიღო შენთვის, მოიგონე, რომ არის სხვა სიცოცხლე, — სიცოცხლე საუკუნო, სადაც ნახამ და ყოველთვის ერთად იქნებით შენ ზურაბთან.

— დედაკაცო! რა უყავი ჩემი ზურაბი. რატომ არ გაუფრთხილდი. მითხარი ჩქარა: სად არის ჩვენი ზურაბი? — ტირილით ჰკითხა ცოლს დურმიშანმა და გამოსწია კაბის სახელოს.

— ახ, ნეტავი მომაგონა! დამაიწყადა, რაღაც უნდა მეთქო. — უბასუ! — იმან და შეხედა თავისი ამღვრეულის თვალებით.

— ვაიმე ოჯახო დაქცეული! — განაგრძებდა დურმიშანი. — ეს რა მომსვლია! ვის რა ვაწყინე, რატომ მე არ მომკლეს, რატომ მე არ წამართვეს ჩემი სიმდიდრე, იმან ვის რა დაუშვა. უმანკო ტრედმა. ვაიმე შვილო, ზურაბ! რათ მოგადგა, შვილო, ეს დღე?! სწორე სიკვდილი არც-კი გელირსა. სწორე დამარხვა, ცოცხალი დაგმარხეს, შვილო! ვაი ჩემს სიცოცხლეს!

— კარგი, გეყოფა დურმიშან, განა არ იცო, რომ მწუხარებით არას მოემატებ! — არიგებდნენ იმას რამტენიმე პირნი.

— დიდა, შვილო, თუ ცოცხალი ვარ. ვიპოვნი შენ მტერს. ვიპოვნი იმას, ვინც ეგ დღე დაგაყენა შენ და ვაი იმის სიცოცხლეს.

— მაცხოვარი ჩვენი გვიწერს მტერთა მიტევებას, — უთხრა მღვდელმა, — თვითონ მოგვცა მისი მაგალითი ის ჯვარზე ლოცულობდა თავის მტერთათვის. მაგრამ მღვდლის სიტყვანი იყვენ აქ ამაო. იმ დროსვე დურმიშანმა დააწყო, რომ სვალვე უნდა წასულიყო იმ მკითხავის მოსაძებნათ, რომელსაც მიეცა ის საშინელი დარიგება ვეზირისათვის, რომლისაც მსხვერპლი გახდა იმისი ზურაბი და იმისთვის გამოიკითხა ამის მიზეზი.

მართლა — და არც იგლოვა ჩვენებურად. არც საყდარში ვაედა ჩვეულებრივ. როგორც ეკუთნოდა ღარბაისელ ოჯახის შვილს. არც წირვა უყო თავის ზურაბს! დურმიშან ისევე შეჰდა მეორე დღესვე ცხენად და გამოსწია აქეთკენ. როგორც-კი ჩამოვიდა აქ, მაშინვე რკითხა ვარდუა მკითხავის სახლი. ვარდო

იმ დროს ისე განთქმული იყო მთელ ქალაქში. რო თითქმის პატარა ბავშვებ-  
მაც-კა იტოღნენ იმისი სახლი და იმისთვის, რასაკვირველია. პირველმავე შემ-  
ხვედრმა ასწავლა ღურმიშხანს იმისი სახლი.

ღურმიშხანი მივიდა.

— დაიწყო, ყმაწვილებო, ქუხილი. ჰეჰა და მუხი. მოემზადენით! — დაიძახა  
დაცინებით ალექსიმ.

— წყეული იყავ მეფისტოფელო! <sup>49</sup> — უთხრა იმას სიკომ, რომელიც სჩან-  
და რო დიდი გულისხმის მიმღევნებით უვდებდა ყურს, — თქვი, კაცო!

ღურმიშხანი მივიდა და იკითხა ვარდო. ღურმიშხანს აჩვენეს ვარდუა. სა-  
კვირველია, ვერც ერთმა ვერ იცნეს ერთმანეთი, ისე გამოცვლილიყვნენ ორივე  
შემდგომ გაყრისა.

— არ შეიძლება ცალკე მოგახსენო რამე? — უთხრა იმას ღურმიშხანმა.

— რატომ, აი ეხლავ გავათაეებ და გიახლები, — უპასუხა ვარდუამ.

— თუ შეიძლება, დაითხოვე სულ ყველანი, მე ბევრი სალაპარაკო მაქვს  
შენთან, — უთხრა ღურმიშხანმა ამღვრევით.

— ბატონი ბძანდებით, — უპასუხა ვარდუამ. იმან არ უვგლო ყური იმის  
ამღვრევას, იმიტომ, რო ბევრი შეჰხვედრიყო იმას ნახვა იმისთანა მაგალითისა.

შემდგომ რამტენიმე მიწუტისა, ვარდო და ღურმიშხანი შეიყარნენ ერთათ  
ცალკე ოთახში.

— მიბძანე, ბატონო, — დაიწყო ღურმიშხანმა, — შენ უკითხე ვეზირს,  
რო ჩემი შვილი დაეტანებინათ სურამის ციხეში?

ამ ლაპარაკში ვარდომ გააპარა ხელი და გამოიღო პატარა ხანჯალი მუთა-  
ქის ქვეშითგან.

— მე უკითხე, — უპასუხა ვარდომ სრულებით მშვიდათ.

— რათა?! შე წყეულო, რათა? რა დაგიშავა?!

— ღურმიშხან, აბა შემომხედე! ვერ მიცნობ? შენ მომიკალ გული, მე მო-  
ვიკალ შვილი! ახლა გავსწორდით!

— ოჰ! შე წყეულო, გულის ვარდო, შენა ხარ? — სთქო ღურმიშხანმა ჩე-  
მათ, მივარდა და ყელში წაუჭირა ხელები. სიმწარით აღარ მოავონდა რო  
მოეხმარა სხვა იარაღი.

— მოდი ჩემო ღურმიშხან, ოცი წელიწადია ამ დღეს ველი! — ჰსთქო  
ვარდუამ, მოეხვია და ბეჭში ჩაურჭო ხანჯალი.

რამტენსამე საათს უკან მოსამსახურეთ ეპოვნათ ესენი მკედარნი, მიწო-  
ლილნი ტახტზე, როგორც ორი საყვარელი მოხვეულნი ერთმანეთსა. ეტყო-  
ბოდა, რო არც ერთი მათგანი არ ცდილიყო სიკვდილისაგან დაცვას.

ღურმიშხანის ცოლს, ზურაბის დედას, შემდგომ შეცდენისა შეუყვარდა  
სურამის ციხესთან სიარული. მივიდოდა ხოლმე საწყალი, იდგა, იდგა, ფიქ-  
რობდა რაღასაც და შემდგომ გულისმოსაკლავი დაღონებით იტყოდა: — ახ,  
ნეტავი კი მომაგონა... — და დაღონებულნივე წამოვიდოდა შინ. ესე გაიარა  
თითქმის სამმა წელიწადმა. შიშმაც გადაიარა ისე, როგორც ხანდიხან გადაივ-  
ლის ხოლმე ქუხილი. ქუხილი ბევრი იყო, წვიმა სულ არა. ზურაბის დედა  
ერთხელ, როდესაც ჩვეულებრივ იდგა სურამის ციხის წინ და ფიქრობდა,  
მსწრაფლ დაიძახა საშინელის ხმითა: — ვაიმე შვილო ზურაბ! — და შეუწუხ-  
და გული. დასუსტებულმა სხეულმა ველარ აიტანა ის გულის წუხილი. საწყა-  
ლი მოკვდა. დამარხეს ისე, როგორც ეკუთვნოდა დამარხვა ერთს მათგანსა.  
რომღესაც შვილმა ესე საშინლად შესწირა თავი მამულს.

ამბობენ მითომ იმ ადგილს, საცა დატანებული იყო საწყალი ზურაბი, სურამის ციხე არის ნოტიო და ცრემლივით ჩამოდის წვეთი და თითქმის აქამდისინ მთვარიან ღამეში გამოდიოდა ერთი თმა-გაშლილი დედაკაცი შავის ტანისამოსითა და ტირილით მოსძახდა:

სურამისა ციხე  
სურვილითა გნახე,  
ჩემი ზურაბ მანდ არის,  
კარგა შემინახე!  
. . . . .  
. . . . .  
. . . . .  
. . . . .

## რადიელ პრისტავი

### დედა ენა

ღვთისგან გაჩენილს ყოველს სულიერს,  
ორ-ფებს თუ ოთხ-ფებს, სუსტსა თუ ძლიერს,  
მცურავს თუ ფრინველს, მლილსა მიწიერს,  
ფუმფულას თუ მწერს, მძრომსა ბიწიერს,  
მის-მისდა გვარად ებოძა სმენა,  
ებოძა ღვთისგან მათ მათი ენა.  
რომელი როგორ ხმარობს ენასა,  
როგორ გვამხილებს თვისსა ლხენასა,  
ან მწუხარებას, ჰირს და წყენასა,  
ვაებას, ჩივილს, გულის ტკენასა, —  
გამგებელია ამისი ზენა.

ვინც გვიწყალობა ჩვენ დედაენა...  
ეს ვიცით მხოლოდ, რომ ღვთის ნებასა  
ვინც კი გადავა, — შეჰხედეს ვნებასა...  
ვერც ვულაატებთ ჩვენ ბუნებასა.  
მისსა კანონსა, განჩინებასა...

მაშ რას გვარგია იმისი წყენა,  
რომელმაც მოგვცა ჩვენ დედაენა?...  
მტრედი ვერ შესძლებს კატის ჩხავილსა,  
ბულბული — ყროყინს, თევეზი — კნავილსა,  
კრავი უმანკო — მელის ზავილსა,  
გვრიტი ჰიხვინსა, ბუზი ბლავილსა!...

ამ წესსა ვხედავთ ღვთიურსა ჩვენა,  
აქ სჩანს ბუნება და დედაენა!..  
მიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა,  
რომლითაც „ნანას“ მეტყოდა ისა,  
ალერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,  
ჩემის ტოლების მღერა-ჟღივილსა!..

ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,  
მიყვარს სამშობლოს მე დედაენა!  
ნუ გრცხვენის, ძმაო, როცა გაქვს წყენა,  
მშობელს ენაზედ მოთქმა, ცრემლთ დენა...

აკვანს და საფლავს ნუ ჰკარგავ შენა,  
თორემ დაგწეველის შენ დედაენა!...  
ენით ვეოცხალვარ, მით მიყვარს ღსენა.  
მიყვარს სამშობლოს მე ტკბილი ენა!

9 იანვარი, 1881 წ.

### სამშობლო სევსურისა —

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი.  
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,  
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, — ჩემი სამშობლო ის არი.  
არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზედა,  
არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...  
მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,  
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარით გადმოჰქუხს ბროლიწყლიანი.  
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ზორცი აქვს მარილიანი...  
არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზედა,  
არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...  
ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იზარის,  
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იჭითენ იზარის,  
იქ მიჯობს შავი სიყვდილი, ბარში სიოცხლეც იმწარის!...  
არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზედა,  
არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...  
ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,  
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია.  
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავი...  
არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზედა,  
არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...  
სამშობლო, დედის ძუძუთი, არ გაიცვლებს სხვაზედა,  
ორივე ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავე თვალზედა,  
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...  
არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზედა,  
არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...

10 მაათვე, 1881 წ.

### მთხოვნელი მსაჯულისადმი

მოველ, ბატონო, ღმრთისა მსაჯულო,  
გენაცვალების შენ ჩემი თავი,  
მხურვალედა გთხოვ, ცრემლითა გვედრი,  
გულს მომამორე მე ცეცხლი მწვავე;  
გთხოვ, დამიბრუნო მე ჩემი შვილი,

დედა ვარ მისი, განა მომკლავი?  
 სხვა რად ჰპატრონობს ჩემსა ნაშობსა,  
 რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი სვავი?  
 შვილი ჩემია, უარს ხომ ვერ ვყოფ,  
 გთხოვ, მომაშორო ეს ცეცხლის ალი,  
 მე ბევრს ვერ შევძლებ, სუსტი ბუნების  
 დედა ცოდვილი, ბედკრული ქალი.  
 ეს კაცი მებრძვის, შვილი წამართვა,  
 ვისი უპყრია, მიბრძანე, ძალი?  
 მენ რად არ მომცემ ღმრთის ნაჩუქრებსა.  
 რად არ მიბრძანებ, თუ გწამს უფალი?  
 ამ დროს მიჰხედა შვილსა დედამა,  
 თვალს უშვრებოდა, უქნევდა ხელსა,  
 ჩემთან მოდიო, მას ანიშნებდა,  
 ცრემლს კი ვერ ჰღვრიდა გულის შემწველსა.  
 შვილსა, შემკრთალსა ბატონისაგან,  
 ეერა ვხედავდი დედისკენ მსვლელსა.  
 რომ მისულიყო, გადაეკოცნა,  
 დედაშვილურად ჰხვევოდა მკერდსა!

17 ნოემბერი, 1857წ.,  
 ზუგდიდი

### თინიას მამითადი —

მამითადი ჰყავს თინიას,  
 დღეს არის ამის ლხინია,  
 ციბრუტივითა ტრიალებს  
 საწყალობელი თინია!..  
 ქერიე-ოხერს, ბეჩავ თინიას,  
 ჰყავს ერთად-ერთი შვილია,  
 პაწია, წვითა და დაგვით,  
 ვაებით გამოზრდილია.  
 დღის მეხრე იყო, მოუხნეს  
 ერთი დღის მიწა ნაოში,  
 მაგრამ სათესლე გაჭირდა,  
 არ გახლდათ საკუქნაოში!..  
 ჩამოითხოვა თინიამ  
 ოროლი მუჭა ხორბალი.  
 მოთესა, უცებ ზღვა გასკდა,  
 შიგ დატრიალდა ღვთის თვალი:  
 თავთავმა თავი დახარა,  
 ყველამ გალესა ნამგალი,  
 თინას კი გული უსკდება,  
 ვინ მისცა იმას მომკალი?  
 თუ სანახევროდ სხვას მისცა,



რაღაა გასაყოფელი?  
 თუ არა, ღონე არა აქვს,  
 მისი ღონეა სოფელი...  
 ჩამოუარა სოფელსა,  
 სთქვა: „ჰველას დაველრიჯები“.  
 დილაადრიან მოადგნენ  
 კარზე რჩეული ბიჭები,  
 „ჰოოპუმათი“, კიეინით  
 მოედგნენ ქვრივის ყანასა,  
 არ შეეხვედრივარ მამითადს  
 მე არსად ამისთანასა!...  
 თინა მასპინძლობს გულ-უხვად  
 მოუტანია მქაღები,  
 მაწონი, ორი დედალი,  
 მუშისთვის დანამზადები...  
 ცოტა არ იყოს, სცხვენინან,  
 ღვინო არა აქვს საწყალსა,  
 მაგრამ ზედიზედ უზიდავს  
 მამითადს წყაროს ცივ წყალსა...  
 „ჰოოპუმა“ და კიეინი  
 უხდება ქვრივის ყანასა,  
 არ შეეხვედრივარ მამითადს  
 მე არსად ამისთანასა!...  
 ციბრუტივითა ტრიალებს  
 საწყალობელი თინია,  
 მამითადი ჰყავს თინიას,  
 დღეს არის მისი ღზინია.

1882 წ.

### თანდილას ღარღი —

ჩაფიქრებულა თანდილა,  
 დაუკრეფია გულს ხელი,  
 ჩასცქერის დედა-მიწასა  
 ჩუმად ბუტბუტებს გულ-ხელი:  
 — მომიკვდა ხარი გიშერა,  
 მოკვდა, გამიწყრა ღმერთია.  
 სადღა ვუშოვო მეუღლე,  
 ცალად-ლა დამრჩა ერთია?  
 რითილა მოვხნა ნაწრეტი,  
 რით ავიცილო შიმშილი,  
 რილით გავეძღვე ქვეყანას,  
 რილით ვარჩინო ცოლ-შვილი?  
 შენი ჰირიმე, გიშერავ,  
 ჰირიმე შენის ქედისა,

მომცილდი, მომკალ ბეჩაეი,  
მწყვეარი ჩემი ბედისა.  
რა ვუყო შენს ცალ ირმასა.  
ვერ მოვიკარე თივითა,  
დარბის თვალ-დაფეთებული,  
ყვირის ხარ-ირემივითა.  
მომიკვდა ხარი გიშერა,  
მოკვდა, გამიწყრა ღმერთთა,  
სადლა ვუშოვო მუელლე,  
ცალადლა დამრჩა ერთთა.

6 თიბათვე, 1881 წ..

ტფილისი

### სენიან ზიპრეზი —

მიწა ვარ ნიადაგ მენა,  
ბეჩაეი, გლეხად შობილი,  
მიწაა ჩემი დედ-მამა,  
ჩემი და, ჩემი ძმობილი...  
გხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა,  
ე შრომა მაინც ფუჭია,  
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო,  
ვერ გამოვიძღე კუჭია...  
მიწის ბატრონიც მე მწიწყენის,  
ჩინჭველაც ჩემი მტერია,  
მოხელე, მღვდელი და-ფრი,  
ყველა მე შემომცქერია...  
ნეტაეი გამაგებინა,  
როდის-ლა მომასვენებენ?  
ვერ შევესწრები, მგონია,  
სანამ არ გამასვენებენ!..

3 თებერვალი, 1883 წ.

ტფილისი

### გარუას ჩივილი

ყველა მე ჩამომეკიდა:  
მამასახლისი, გზირია...  
როგორ არა ვთქვა ბეჩავმა  
მეც ჩემი გასაჭირია?...  
ფული მემართა ვაჭრისა  
„რიგისთვის“ აღებულია,

თვენში პურ-ღვინოს დამჭერდა,  
 ვახშში მივეცი ფულია.  
 აკი გაუწყრა ღმერთია  
 და მიშილთახა წყეულმა,  
 ვალი მომთხოვა მეორედ,  
 ღვინოზედ შემოჩვეულმა.  
 ხელ-ახლად წამომიარა,  
 სულით ხორცამდის გამცალა...  
 ნათლია — მამასახლისმა  
 ერთ თუნგ არაყში გამცვალა!  
 არ შემარჩინეს ზედაშე,  
 გოჭი, ქათამი, წიწილა,  
 არც საბუღარში კვერცხები, —  
 გამომილიეს სინსილა!...  
 გეო ვაჟარი ჩემს სახლში  
 ნაუარდობს როგორც ქორია,  
 გზირიც არყისგან გამტყვერალი,  
 გორაობს როგორც ღორია!...  
 რა ვქნა, რა წყალში ჩავეარდე,  
 რით მოვიცილო ჭირია!...  
 ყველა მე ჩამომეკიდა:  
 სოფლის მოხელე, გზირია...

1 გიორგობისთვე, 1883 წ.

## ნეტა რას სტირი, დედილო?!

(ალა-მამამდ-ხანის დროის)!

ნეტა რას სტირი დედილო?  
 რას ჩამომჭდარხარ კერასა?  
 ასი მკრან გულში, მირჩვენის,  
 მტირალი ქალის ცქერასა!  
 ნეტა რას სტირი, დედილო?  
 რას სტირი ძუძუს ჭირიმე?  
 ჯარს იძახიან, დედილო, —  
 სად არის ჩემი ხირიმი?  
 თათარი შემოგვესევია,  
 სწვავს და აოხრებს ქვეყანას,  
 ე მა ქობს თავზე დაგვაქცევს,  
 ვენახს მოგვითელს და ყანას.  
 ნეტა რას სტირი, დედილო? —  
 რა დროს გლოვაა შეილისა?  
 გულში მკრეს, ორგან გახვრიტეს  
 ჩემი პერანგი შილისა.

ნეტა რას სტირი, დედილო?  
 დეე აქ ვეგდო ლელოში,  
 ხომ ვერა მნახავ ურჯულოს  
 ველარსად საქართველოში?  
 ნეტა რას სტირი, დედილო?  
 ჯერ ვერ წამოვალ შინათყენ,  
 მე აქ ვიგერებ ყვავ-ყორანს,  
 თვალი მიპირავს იმათყენ...  
 ნეტა რას სტირი, დედილო?  
 სახლზედ იყავი ფრთხილად,  
 ირმა ხარს მოუარევი,  
 მარილს ალოკე ხილად.  
 ყანა გამარგლეთ ბეჯითად,  
 არ მოერიოს ჭიოტა,  
 ე პაწა არ დამიმშოთ,  
 ფოცხვერს არ დამიკმითა!..  
 ჯერ ნურას ეტყევი შენს რძალს,  
 ბაღლია, ამიტირდება,  
 შობამდის დავაეიწყდები,  
 აღდგომას გამიფრინდება!..  
 ნეტა რას სტირი, დედილო?  
 რას ჩამომჭდარხარ კერასა?  
 ასი მკრან გულში, მირჩევენის,  
 მტირალი ქალის ცქერასა!..

2 ოქტომბერი, 1881 წ.

## ს უ რ ა თ ი —

(სოფლის ცხოვრებიდან)

ცხელა და ცხელა, პაპანებაა,  
 ქობის წინა ზის ყმაწვილი დედა,  
 პაწია ბიჭი, ჩჩვილი, ფუნთუშა  
 ხელს უცაცუნებს ძუძუებზედა...  
 „აქა, მამილო! მამილო, აქა!“ —  
 დედა იძახის შვილის მაგივრად;  
 მაგრამ „მამილო“ ჯერ არსადა სჩანს,  
 ის სამუშაოდ წასულა მინდვრად...  
 „აქა, მამილო!“ — სთქვა კიდევ დედამ.  
 „თან მოიტანე ბევრი კაკეზი“...  
 გულში კი ჰფიქრობს: — „სად რას მუშაობ,  
 პაპანებაში რას იკაკეზი“...  
 მზემ გადიხარა, დაჰბერა სიომ,  
 აგერ გამოჩნდა მუშა მაშვრალი,  
 ხვითქი გადასდის გულგაღელდისა  
 და ახალუხიე არ მოსდევს მშრალი,

თავზე წაუყრავს ნარმის ნახევრ,  
 მოდის, ლილინებს დაბალს ხმაზედა,  
 მოდის ამაყად, მკრელი ნამგალი  
 გადაუდვია მოღლილს მკლავზედა...  
 წინ მიეგება ყმაწვილო ცოლი  
 და მიაწოდა გიგლა მამასა,  
 ომანაც შეილი ოფლიანს გულში  
 მგერად ჩაიკრა და ჰკოცნის მასა!  
 გიგლამ უტაცა მამას უღვაში,  
 ლოყანედ თათი მოუტაცუნა;  
 მამას იამა შეილის ცელქობა,  
 უღვაშის წიწყნა არ დაუწუნა...  
 დაჟდა მაშვრალი დერეფანშია,  
 გვერდით ზოიდო მკრელი ნამგალი,  
 ამაყობს ცოლით. ამაყობს შვილით,  
 ამაყობს რომ აქვს ბევრი ნამგალი...  
 ცოლმა მთართო მკადი და ყველი,  
 გიგლა ჩააკრა „კაკანაშია“,  
 გვერდით მოუჟდა ქმარსა და შვილსა,  
 მათის ყურებით განცხრომაშია!...

1882 წ.

## ს ა მ ზ ი თ ვ ი ლ

(ბატონყმობის დროიდან) <sup>1</sup>

დაღონებულა თვედორე,  
 გულ-ხელი დაუკრეფია,  
 გამშრალსა, გამწარებულსა  
 ცრემლი არ უჩანს მჩქეფია.  
 ჩასცქერის დედა-მიწასა,  
 ბეჩავს ხმა ჩაუკმენდია,  
 ოხრავს და გმინავს ხაპუშად, —  
 გააშავებია ბედია!..  
 ბოლოს იფიქრა, გაბედა  
 გასწია თავის პატრონთან,  
 შემკრთალმა, ათროლოებულმა  
 ყმამ ფეხი შედგა ბატონთან,  
 თავი დაუკრა მდაბლად  
 და დაელრიჭა მწარედა:  
 — მთხოვნელ ვარ, ნუ გამიწყრები  
 და ნუ გამაგდებ გარედ!..  
 შენი ქირიმე, ბატონო,  
 შენი შვილების ლხენასა,

ი ვოგო რაზე წამართვი,  
 რად მომიპოვე კერასა?!.  
 მახუქე, ღმერთი გადიდებს.  
 შეილი აღარ მყავს მეტია,  
 მითომ წყალობა მრავალი  
 ჩემთვისინ გაგიმეტია...  
 მართო ვარ მოხუცებული,  
 მეტი არა მყავს მომვლელი,  
 დედას ჩამოგავს ცხონებულს, —  
 იმისდა უფრო მოველი!..  
 — „პანღური ამას!... — შესძახა  
 ბატონმა გაბრაზებულმა:  
 როგორ გაბედა შამოსვლა  
 ვირმა გათამამებულმა?!.  
 ჩემს ქალს ვათხოვებ, ხომ იცის, —  
 ვინ წაეყოლო მზითეეში?  
 გააგდეთ ეგ აქედანა,  
 მავრა წაჰკარით კისერში!...“  
 ეცნენ თევდორეს ბიჭები  
 გამოაბრძანეს გარედა.  
 წაჰკრეს კისერში და ყბები  
 შემოამტერიეს მწარედა..  
 დაღონებულა თევდორე,  
 გულ-ხელი დაუკრეფია,  
 გამშრალსა, გამწარებულსა  
 ცრემლი არ უჩანს მჩქეფია,  
 ჩასცქერის დედა-მიწასა,  
 ბეჩავს ხმა ჩაუკმენდია,  
 ოწრავს და გმინავს ხამუშად,  
 ვაჰშევებია ბედია!..

18 დეკემბერი, 1882 წ.

## ახინდის ომი<sup>1</sup>.

(მეფის ირაკლის მეორის და ოსმალ-ლეკთ-შორის 1770 წ.)

ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს, სამხრეთისაკენ ედემსა,  
 ევფრატის<sup>1</sup> გაღმა გავხედე გადახრუკულსა ქედებსა,  
 აქ ვერ ვხედავდი ევასებრ მშვენიერებსა დედებსა,

<sup>1</sup> ევფრატი — მდინარე ოსმალეთში, სადაც იყო სამოთხე, ამ წყალსა და ტიგრს შუა.

არც სად ხეხილსა, არც წყალში ამაყსა თეთრსა გედებსა!<sup>2</sup>  
 შევერთი რომ ვნახე ქვეყანა უღაბური და მწირია<sup>3</sup>,  
 ნობრუნდი, მხარი ვიცვალე ჩრდილოსკენ ექვნი პირია,  
 ვიარე არ შევიმჩნიე, მე ჩემი გასაჰირია...  
 ან კი რა მითქმის? — კაცის თავს ვაება დიად ხშირია!  
 აგერ მოვედი და შეეხვდი სანატრელს ნეტარებასა!..  
 ეპოვე იგი სამოთხე, ვინ მოსთელის ამის ქებასა,  
 გადაჰიმულა წალკოტად<sup>4</sup>, მახედეთ ლეთისა ნებასა,  
 ეს საქართველო ყოფილა, — ჰხედრია ღმრთისა დედასა!<sup>5</sup>  
 ორი ზღვის შუა მდებარებს ქართველთა მიწა-წყალია,  
 ჰყუავის და ჰყუავის მუდამისად, ყინვისგან დაუმზარალია,  
 შიგ ბანოვანი<sup>6</sup> კეკლუცი, მტრის თვალმა ჯერ ვერ დალია,  
 ვაჟ-კაცთ ცალ ხელში ჯვარი აქეთ, მეორე ხელში — ხმალია!..  
 ეიმ, რა ხალხია, რა ტურფა, რა გულოვანი, მოყვასი<sup>7</sup>,  
 უხვი<sup>8</sup>, მხნე, ქრისტეს მორწმუნე, მტკიცე რჯულისა, კისკასი<sup>9</sup>;  
 შურით, იქვით და ტრფალით მათ გადმოსცქერის კაცასი,  
 ნოეს კიდობნის მტვირთველიც და ურწმუნონი ათასი!  
 რა ქვეყანაა, რა ჰშენის, დამატკობელი სულისა,  
 ვაზი ვარდს გადახევეია, გამლადებელი გულისა,  
 არ ეკრძალების კაცასის, ღრუბლებით დაბურულისა,  
 ებგურად<sup>10</sup> ჰხადის ამ მთასა, ზოგჯერ მიზეზად წყლულისა!..

## II

აქა მეფობდა ირაკლი, გულადი, შეუპოვარი,  
 ნამდვილი მეფე ყმათათვის, სიკეთის დამმახსოვარი,  
 მის ხელში ყველა ხარობდა: მოხუცი, ძუძუ-მწოვარი,  
 არვისთვის ჰშურდა ნაშოვნი, არც მამის დანატოვარი!...  
 იყო მხნე, დაულაღვი, ხმალზედ ეკიდა მას ხელი;  
 ყველა აქებდა ირაკლის, მტერიც არ ჰყვანდა მძრახველი,  
 იყო ქერივ-ოხრის მფარველი, მამა ობოლთა და ქველი<sup>11</sup>,  
 მოძმე, მოყვასი ლაშქართა. — მით ისახელა სახელი!...  
 ვაი იმ დროსა, ირაკლის მტერი გარშემო ესია,  
 ხმლით იგერებდა ბილწებსა, იმათთვის გაუღესია,  
 დღეს ერთს იფრენდა, ხვალე სხვას დაჰმართის უარესია,  
 არ შეარჩენდა არავის, — ეს იყო მისი წესია!...

<sup>2</sup> გედი — ბატზედ უდიდესი მაღალ-ყელიანი ფრინველია. — რესები ლე ბედს ეძახიან.

<sup>3</sup> მწირი — უნაყოფო, ღარიბი ადგილი.

<sup>4</sup> წალკოტი — ბაღი.

<sup>5</sup> წერილები მოგვითხრობს, რომ საქართველო ღმრთის მშობელს ჰხედრია წილად.

<sup>6</sup> ბანოვანი — საქებულს ქალს ეძახიან.

<sup>7</sup> მოყვასი — ამხანაგი.

<sup>8</sup> უხვი — გამომოტეხელი ყოვლისა სიკეთისა.

<sup>9</sup> კისკასი — სწრაფი.

<sup>10</sup> ებგური — შორიდან მხეერავეი დარაჯი, ანუ ყარაული.

<sup>11</sup> ქველი — მოწყალე.

დაქროლებდა ირმასა<sup>12</sup> პატარა კახი<sup>13</sup>, მალადა<sup>14</sup>:  
 ერევანს<sup>15</sup> იქით ქვრთებსა ხარჯს ანდევიანებს ძალადა,  
 ნათლისმცემელთან<sup>16</sup> ლეკებსა თავს დაესხმება მკალადა,  
 იორზღ<sup>17</sup> მოამბეხადა აღარ გაუშვებს მშრალადა. .  
 მოუბრუნდება ქურთებსა და არეხს<sup>18</sup> გააცილებსა,  
 სამგორში<sup>19</sup> ხირიმს დაუშენს, არც ერთს არ დააცილებსა,  
 სამაჩაბლოში კეხვისსა<sup>20</sup>, ლეკებს ჩაამტერევეს კბილებსა,  
 და ახმეტაში<sup>21</sup> დაესხმის სულ აუტირებს შვილებსა!...  
 რა გაიმარჯვის, მობრუნდის, ცოტა ხანს დაისვენებდის,  
 ილალის<sup>22</sup>, იმხიარულის, მოყმით მხარს დაიმშვენებდის,  
 ვასცემდის, უწყალობებდის, ცოტას არ დააჯერებდის,  
 იწვევდის სტუმართ, დიდებულთ, კეთილად მოიხსენებდის.  
 თუ რომ მეფეს და ქვეყანას მტერი სჯარბობს — გაჭირდება,  
 მტერი მძლავრობს, მედიდურობს, მოყვარე კი — გაძვირდება;  
 ერთს მოიმხრობს, ითათბირებს<sup>23</sup> მეორე კი — გიმძიმებდა,  
 მაშინ გინდა ჰკვა და ფიქრი — თორემ სევდა<sup>24</sup> გინშირდება!  
 იმ დროს მეფეს ოსმალეთი უხდებოდა მეგობრად;  
 ლეკები კი — სწორედ რომ ვთქვათ — დადიოდენ მეკობრად<sup>25</sup>,  
 დარჩა მარტო ქირიმ-ხანი<sup>26</sup> არ ჩააგდებს არაფრად,  
 თუ მობრძანდა, პასუხს გასცემს და გამოვლენ ბარიბრად...  
 მაშინ მეფე ირაკლისა საქმე ძლიერ დაეცარა,  
 ხონთქარი და რუსი-ხელმწიფა აშლილიყენენ საომრად;  
 ეკატერინას ენება, რომ ირაკლი მოეხმარა  
 და იმისთვის ტოტლებენსა<sup>27</sup> იერლიყი<sup>28</sup> მოსცა ჩქარა.

### III

ღენერალი ტოტლებენი ქრცხინვალს<sup>29</sup> იღვა რუსის ჯარით,  
 წინა წელში მოსულიყო, რუსეთიდან, არ მოპარჯით,

<sup>12</sup> ირმა — ცხენის სახელი.

<sup>13</sup> მეფე ირაკლის „პატარა კახს“ ეძახდა ხალხი.

<sup>14</sup> მალა — მარდი.

<sup>15</sup> ერევანი — ქვეყანა საქართველოს სამხრეთით.

<sup>16</sup> ნათლისმცემელი — კახეთშია.

<sup>17</sup> იორი — მდინარე ტფილისის ჩრდილოა.

<sup>18</sup> არეხი — მდინარე ოსმალეთში.

<sup>19</sup> სამგორი — სართიჭალისა და ლოკინს შუა მინდორი.

<sup>20</sup> კეხვისი — სოფელია სამაჩაბლოში, გორის მაზრაში.

<sup>21</sup> ახმეტა — სოფელია კახეთში.

<sup>22</sup> ლალი — გათამამებული, გამხიარულებული, განსვენებული.

<sup>23</sup> თათბირი — რჩევა, გარიგება, მორიგება, შეთქმულება.

<sup>24</sup> სევდა — ბოროტი, ვარამი, მწუხარება.

<sup>25</sup> მეკობრე — თული, მტაცებელი. ავაზაკი.

<sup>26</sup> ქირიმ-ხანი — სპარსეთის ხანი, რომელსაც ებარა თავიზის აქეთ

მხარე.

<sup>27</sup> ტოტლებენი — რუსეთის ღენერალი, გვარად ტოტლებენი.

<sup>28</sup> იერლიყი — ბრძანება მეფისა ქვეშევრდომზე.

<sup>29</sup> ქრცხინვალი — ქართლში სოფელი, ლიახვის ხეობაზედ, გორის ჩრდი-

ლოთ.



ოსმალებთან შეტაკებას მოელოდა სულით მწარით,  
 აჰა, წიენი მოუვიდა მეფესაგან მას სიჩქარით.  
 გადაიკითხა, წამოხტა და ირაკლის მიაშურა,  
 ტფილისისაკენ გასწია, მისი ხილვა მოიწყურა,  
 კარის კაცნი უწინ ნახა, არაეინ არ მოიმდურა,  
 მერე იახლა მეფესა, ამბორი<sup>30</sup> დაიმსახურა.  
 მოახსენა: „დიდებულო, მომივიდა ბრძანებაო,  
 ჩემის მეფის, უძლეველის, ვისიც არ ძალ-მიძს ქებაო,  
 მიგიწვიოს მის მომხრეთა, დამრთეთ, მომეციო ნებაო,  
 შავებათ ოსმალს, ძირს დავცეთ, ორს ველარ აგვიდგებო...“  
 რა მოისმინა ირაკლიმ, შებლზედ გადისო ხელია,  
 ჩაფიქრდა, რალაც აზრზედა, ვითა შორს დამნახველია,  
 და უპასუხა ტოტლებენს: „საქმე სთქვი ჩემდა ძნელია,  
 დღეს ურიგდები ოსმალს — ლალატი რა საქნელია?..  
 მართალია პატივსა-ვეცემ, დიდსა მეფას და ძლიერსა,  
 ერთმორწმუნე მირჩენია სხვა სჯულისა სულიერსა,  
 მაგრამ მტრები, თქვენ რომ წახვალთ, დამიჩაგვრენ  
 სულმთლად ერსა,  
 დააქცევენ საქართველოს და დამსომენ ცარიელსა!...“  
 აქ ტოტლებენმა ირაკლის ჰკადრა: „რად გვაკლებ ნდობასა?  
 ეკატერინა დიდია, მოგფენს თვისს მფარველობასა,  
 მტერს მოგაცილებს, ფასს დასდებს შენს ხმალს და  
 ერთგულობასა,  
 წყალობას მრავალს მოგიძღვნის, გიზამს დედაობას, დობასა!..  
 ნუ დაენდობი ურწმუნოს, შენზე ლალატად ჰოსულსა,  
 ან რა ზედს მოგცემს თათარი, თუ არ დაგიფთხოზს ტყბილს  
 ძილსა?  
 რისთვის დაინდობს შენს ერსა, იმის საყვარელს ცოლშვილსა?  
 რა კავშირი აქვს ჯვართანა მაჰმადის სჯულით მოსილსა?...  
 შევერთდეთ, სიტყვა ირწმუნე ეკატერინა დიდისა,  
 ნულარა გჯერა თათრისა, უსჯულისა, ფლიდისა<sup>31</sup>,  
 ვაბედდ ღვთის გულისათვის, დრო აღარ არის რიდისა<sup>32</sup>,  
 ვეძგერნეთ ოსმალს, დავლენოთ, მანამ ჰქვას მოიმკიდისა!..  
 ჩაფიქრდა მეფე ირაკლი: „ეკარგია — ბრძანა — მჯერაო,  
 ვენდობი უფრო იმასა, ვინც ოსმალს დამამტერაო,  
 თუ დამესია: უსჯულო. ყოფილა ბედის წერაო,  
 ამას ხომ მაინც იტყვიან: „ირაკლიმ მოიგერაო!...“  
 შევეყრი ლაშქარსა, ვებრძანებ, ხმალსა გაიკრან ხელია,  
 გასწიონ აწვეურისაკენ, შენც ჯარით იქ მოველია,  
 იქა ვარ შენი მოძმეი, იქა ვარ სისხლის მღვრელია,  
 არ გეგონოს კი, უცნობოდ დავრბოდე, როგორც ხელია<sup>33</sup>!..  
 მშვიდობით!.. ახლა მიბრძანდი, შენც მოამზადე ჯარია“...

<sup>30</sup> ამბორი — კოცნა.

<sup>31</sup> ფლიდი — კრუ.

<sup>32</sup> რიდი — მორიდება.

<sup>33</sup> ხელი — შეშლილი, გვი.

ასე ვათავდა თათბირი, როგორც ირაკლი ჩქარია!...  
აქ ტოტლებენმა მადლობით ვავლო სასასლოს კარია...  
შეიქნა ვაჟ-კაცთ მოწვევა, შეიძრა მთა და ბარია!...

#### IV

იფრინდაები<sup>34</sup> გაგზავნეს ქართლსა, კახეთს და მთაშია,  
ოსმალ-ლევებზედ იწვევენ არჩეულს ხალხს ლაშქარშია,  
ისინიკ ავრე შეპოკრბებს, თითქო მოვიდნენ მკამია,  
მოიძღვრიან ბიჭები, მხნეობა ისმის ხმაშია!...  
რაჰში<sup>35</sup> და რაჰში დააწყეს, მიუჩინეს უფროსები,  
ცხენოსანი და ქვეითი სუყველანი ვაჟ-კაცები,  
ქართლ-კახეთი თუშ-ხევსური, არ მოჩანან აქ ოსები,  
მაგრამ ზეით თუ არიან. სადაც იცდიან რუსები.  
შეხედეთ ამ ჭარს, მშვენიერს, იმათ მხარ-კლავსა, ბეჭებსა,  
წითელ გულის-პირს, ყაწიმებს, შალვარში ჩამჭდარს, ბიჭებსა,  
ხმალი, ხანჯალი, დამბახა, ლევებს არ გააკრიჭებსა,  
თოფი, სიათა, ხირიში, ოსმალის გულზედ იჭექსა!...  
ვინ ვის სჯობია ამათში, აზნაური, თუ გლეხია,  
თავადიშვილი, თუ გლეხი, ყველა მტრისათვის მესია,  
ამათმა მტერმა ქართლიდან ამოიკეთოს ფეხია...  
ამათზედ, ვგონებ, არავის ბევრი არ დაუკეხსია!...  
დაიწყო ჭარი, დაიძრა, გაშალეს დროშა<sup>36</sup> ალაში<sup>37</sup>,  
ჰკრეს ბუქსა<sup>38</sup>, დაფ-დაფი<sup>39</sup> იკვრის, დიდი რამ როგორც  
ხალამი<sup>40</sup>

ზურნა, ნალარა<sup>41</sup>, კიეინი, ვით ასწერს ამას კალამი?...  
მობრძანდა მეფე ირაკლიც, ჭარს შემოსძახა ხალამი!..  
იარა ჭარმა, ავიდნენ, რუსს ამოუდგნენ მხარშია,  
მეფე ტოტლებენს უღიმის, არ არჩევს თავის ძმაშია,  
გასწიეს ერთად. შევიდნენ ბორჯომის<sup>42</sup> ხეობაშია,  
ირაკლი ჭარებს მიუძღვის, თან ახლავს ექიმბაშია<sup>43</sup>.  
გიორგი ბატონიშვილიც იქა ბრძანდება ჭარითა,  
იქ ახლავთ ბარათაშვილი, დემურაშვილი დავითა,  
ხატულაშვილი სოლომონ, სოლომონ მეითარითა<sup>44</sup>,  
ნუ ვეკაცების ყურებით მტერი გასკდება ჭაერთა!...  
ავრე იარეს, მივიდნენ, აწყვერს<sup>45</sup> მიადგენ ციხესა,

<sup>34</sup> იფრინდა — ჩქარი შორაული.

<sup>35</sup> რაჰში — წყობილი ჭარი.

<sup>36</sup> დროშა — ნიშანი ფერად-ფერადი. წყობილი ჭარის გასარჩევად.

<sup>37</sup> ალაში — იგივე მომტრო.

<sup>38</sup> ბუქი — საყვირი.

<sup>39</sup> დაფ-დაფი — ტყავ-გადაფარებული ქილა, ან ილეკროთავანი იმ

გვარივე.

<sup>40</sup> ხალამი — ქილა.

<sup>41</sup> ნალარა — საომარი საკრავი.

<sup>42</sup> ბორჯომი — ხეობა ზემო-ქართლის სამხრეთით.

<sup>43</sup> ივანე ყარაევი.

<sup>44</sup> მეითარა — სელმწიფის მხლებელი (камергер).

<sup>45</sup> აწყვერი — ახალციხესა და ბორჯომს შუა სოფელი და ციხე.

აქ მოდარაჯემ<sup>46</sup> შეუტყო, ციხიდან სროლა იწყესა,  
ჯარი შეჩერდა, მოუსხდა, ვინ კლდესა, ვინ ქვას, ვინ ხესა...  
დამშვიდებული ომი სკობს, აჩქარებულ სიფიცხესა.

▼

სკექს და მოქუსს ზარბაზანი, თოფების ტაკა-ტაკიცია,  
სამი დღის და ღამის ბრძოლას ციხე ძირს ვერ დაუცია,  
ტოტლებენი მოღრუბლულა, ხმა არვისთვის გაუცია,  
ზოგი იტყვის: „მტრის ენასა, ირაკლი ვერ გაუცია?...  
დილით მეფეს მოახსენეს უცნაური რამ ამბავი.

„წუხელ გრაფი“<sup>47</sup> აყრილაო, აღარა აქვს ჩვენი თავი;  
ქვეით მიდის: ქვიშხეთისკენ, ჯარი მიჰყავს დაუცავი,  
ვა-თუ რამე მარცხი შაჰხვდეს, ვა-თუ დავრჩეთ ჩვენ  
პირშავი?!...“

რა მოხსენდა ეს მეფესა, შემოიკრა თავში ხელი,  
ზე მოაჯდა თეთრსა მერანს<sup>48</sup> მოკლე გზა აქვს დასაქსელი,  
ვადაიქრა ბილიკებით დაქანცული, ოფლით სველი.

შეუძახა: „ღენერალო! მომიცადე, თუ არ მელი!...“

ჩაიქრა და შეევედრა ტოტლებენსა მოწიწებით<sup>49</sup>:

„ეს რა მიყავ; დალოცვილო, აღარ ვიყავ შენის ქებით,  
ავრემც ღმერთი გადღეგრძელებს, გამობრუნდი შენის ნებით,  
თორემ მტერი დაგამარცხებს, ჩვენც შავრცხვებით, თქვენ  
წახვებით!...“

ტოტლებენი მოუბრუნდა, მოახსენა ირაკლისა:

— „მე ჯარებით წამოვედი, ბრძანება მაქვს დედოფლისა,  
თურმე ოსმალს გაურიგდა. მტერი არ ვართ ოსმალისა, —  
თქვენ ნუ სწუხართ ჩემთვის, მეფეე. იმედი მაქვს მე უფლისა...  
დაბრუნება ჩემგნით არ ჰხამს<sup>50</sup> ვერ გავსტეხავ ბრძანებასა,  
მომიტყვეთ. დიდებულო. ვერ მიუყვები თქვენს ნებასა,  
ჩემს ხელმწიფას ეწყინება, მისას ვირჩევ მე ზღუებასა,  
თქვენც გაუძღვებით ოსმალთა, შეისხამთ დიდსა ქებასა.“

ამ სიტყვაზედ ირაკლისა თვალში ცრემლი მოერია.

გრაფს შესტკერის მრისხანეთა, როგორც ორბი მშვიერია!..

და უთხრა მას: „რა მიყავი?.. რათ დამიღუპე ერია?..

ოსმალთან ვიყავ განწყობით. ახლა კი ჩემი მტერია!...“

შენ არ მიქადდი სიკეთეს, — რუსეთის მფარველობასა?..

რა იქნა შენი თათბირი?.. შენ არ მიქადდი ძმობასა?..

მეც თქვენი კალთა ვირჩიე. ურჯულო თათრის ყმობასა...  
ახლა რაღა ექნა, ბედკრულმა, ველარ მოვსულვარ ცნობასა!...“

„მე რას გაეაწყობ, მიბრძანე, ამ რვა ათათი კაცითა?  
—“

<sup>46</sup> მოდარაჯე — მოთვალყურე, ყარაული

<sup>47</sup> ტოტლებენი.

<sup>48</sup> მერანი — იაზო. კარგი მატარებელი.

<sup>49</sup> მოწიწება — დამკრთალად.

<sup>50</sup> ჰხამს — იქნება, შეიძლება, რიგია.წესია; არ ჰხამს — ამეების წინა-

მეტი არ მახლავს. შენც იცი, ვფიცავ მიწათა და ციოთა,  
მე კაცო სადღა შემრჩება საქართველოს დაცვიოთ?...  
მტრის ღვიწამ. მოყვრის ღალატმა, გლახ გელი ჩემი  
გაცვიოთ!...“

მერმე გულ მშვიდათ წარმოსთქვა საქართველოს პატრონმა:  
„იწამე ღმერთო, გარწმუნებ, არ დაგიწუნოს ბატონმა!“  
აქ ცალი მუხლი მოდრიკა მტრისაგანაც მოსაწონმა.  
ვედრება ბევრი ისმინა, ყოველი სიტყვა ამწონმა...  
—„არ შემიძლიან, ხელმწიფევ, — სთქვა ტოტლებენმა,— არაო,  
ეს არ იფიქრო ჩემზედა, მუნთლობს, ან დაიზარაო;  
თავს ნუ იმცირებ, აბრძანდი, ხვეწნა, ვედრება ემარაო,  
ჩემს მეფას უნდა ვიანხლო, უნდა წავიდე ჩქარაო.“  
ამის გამგონე ირაკლი, ზე წამოვარდა მარდათა,  
თეთრსა მოასტა ტაიქსა<sup>51</sup> მისთვის არ იყო ბარგათა,  
მოაქროლებდა მთა-გორზედ, ეკალი უჩნდა ვარდათა,  
რუსის ჯარისთვის დიდათ სწუხს, გულში ჩაეჭრა დარდათა!...  
მობრძანდა თავის ურდოში<sup>52</sup> ჯარსა ამხნევებს გმირია,  
თვითონ პირის-პირ იქ არის, საცა-კი გასაქირია,  
იძახის: „კაი მაგასა! ზედ დაამტვრიე პირია!...  
თავი მოსჭერით ლეკებსა და ოსმალებსა ცხვირია!...  
შეზინდლა. ომი შეჩერდა. დრო იყო დასვენებისა,  
ირაკლიმ იხმო სარდლები, ღირსნი თამამად ქებისა,  
ბრძანა: გაგზავნონ კაცები, ჰქმნან ბატონისა ნებისა,  
შუტყონ რუსთა მშვიდობა, რომ მეფეს იამებოსა...  
მერმე უბრძანა: „ასე სჯობს, თუ კი არა ვარ ფლიდია,  
სულ აიყაროს ჯარები, ეხლავ მცირე და დიდია,  
წინა კაცებმა ასპინძას<sup>53</sup> მტკვარზე აჰყარონ ხილია,  
თორემ ოსმალნი, რომ ეხედავ, ჩვენგნით დღეს მოსარიდია...  
დაიძრა ჯარი ქართველთა, ასრულდა მეფის ბრძანება,  
ასრულდა მისი თათბირი, მისი სურვილი და ნება...  
გათენდა ვილაც გამოჩნდა, ქარივით მოექანება,  
იძახის: „რუსნი გავიდნენ, არ მისცემიათ რამ ენება!...“  
სამშვიდობოში რუსების გასვლა იამა ირაკლის,  
აწ ხელგაწლითა ბრძანდებდა, აქ ბევრს აღარას ინაღვლის,  
თითო ჰყავს, ათსა სჯობია, მათით შეაგვებს დანაკლისს,  
ოღონდ კი შაჰხედეს მალე მტერს, ამას ნიადაგ ინატრის!..  
ათი-ათასი ოსმალთ, ლეკებს რომ ქართლზედ ამტერებს,  
დასდევნებია მეფესა, მოჰსხმია ასპინძის სერებს,  
ქართველთ თარეში<sup>54</sup> იმ დროსვე, თურმე მათ სოფლებს  
ამტვერებს  
შაჰხედნენ ოსმალნი და ჰხოცვენ, ირაკლი ძლივსა აჩერებს!...  
ბატონს მოჰსხენდა, რომ მტერი კიდევ მოელის ჯარებსა,

<sup>51</sup> ტაიქი — ცხენი.

<sup>52</sup> ურდო — ბანა ლაშქართა.

<sup>53</sup> ასპინძა — შატრა სოფელი და სიმაგრე მცირე კლდოვანს ადგილს,  
ჩუბოტისაჲდენ. ანაღვლის ნაჭრამი.

<sup>54</sup> თარეში — ნა-ბიულთ.

გარს 'შეპოვრტყემის, დაამწყვდევს, შეუტრავს ტაშის კარებსა',  
ჯარს ამოუწყვეტს, გაჭეუეავს, მიწას არ მიაბარებსა...  
აგერ მოაწვა კიდეცა, ჯარს დავლით გაასარებსა!...  
მოაწვა ლეკი, ოსმალი, გაკირდა, საქმე ძნელია,  
დასწიეს ქართლის ჯარებსა, ერთ-პირად მიჰყვეს ხელია,  
მეფე გიორგის იბარებს. შველა ჰხამს საქებელია.  
გაკირდა საქმე, ქართველთა ღმერთთა არის მსხნელია!..  
მოიხმთ მეფემ ივანე, რომ ახლდა ექიმბაშია,  
უბრძანა: „გასწი საჩქაროდ ბატონის-შვილის ჯარშია,  
სთხოვე გიორგის გვიშველოს, აქ ამომიდგეს მხარშია.  
აქ მივირს იმისი ჯარი, ქართველთა სისხლის ღვრაშია!“  
ივანემ ცხენსა გაქუსლა, მიიჭრა გიორგისთანა,  
გადასცა მეფის ბრძანება, როგორც ჰხამს კარგი ყმისაგან,  
ვეედრა: „ბატონიშვილო, მობრძანდი ირაკლისთანა,  
უჭირს მამათქვენს, არ ახლავს, მშველელი თქვენი  
ხმლისთანა!...“

გიორგიმ ბრძანა: „ივანე, მოდი შენც ჩვენთან დარჩიო,  
მერწმუნე, ჩემსა მოყმეში, მე შენ არ გამოგარჩიო,  
ნუ მელრიგები ამაოდ, როგორც ფართლისა ჩარჩიო,  
თუ გაუჭირდა მამაჩემს, მაშინ სხვა უნდა ვარჩიო!“  
გიორგის მხლებმაც შესძახეს: „ივანე დარჩი ჩვენსაო,  
დახე ჩვენს წყობილებასა, დახე ჩვენს სიმაგრესაო...“  
ივანე გიორგისა სთხოვს: „გაფიცებ მამა თქვენსაო —  
წავიდეთ, თორემ ქართველნი, ლამის სულ ამოწყდესაო!“  
„არა, ივანე, აქ დარჩი, კეციანნი ასე შერებიან!“...  
— „დარჩი აქ“ — სხვებმაც მოსძახეს — „არა! რას მეუბნებიან?...“  
ირაკლის სახელსა ვფიცავ, ესენიც კარგს არ შერებიან,  
წავალ და მეც იქ მოვკვდები, სადაც ქართველნი სწყდებიან!...“  
ივანემ ცხენსა გაქუსლა, მიეჩქარება ერთგული,  
ესმის ხმა ზამბულაქისა<sup>56</sup> და უწუხს ექიმს გლახ-გული.  
აგერ ლაშქარიც გამოჩნდა, მებრძოლი, მტერთან შერთული,  
ნუგეში არა მიაქვს-რა, ამაზედა სწუხს ბედ-კრული!..  
ბატონი შემდგარა სერზედ, სარდლები უმშვენიებს მხარსა,  
მტერი მძლავრობს და მოიწევს, ლამის შემოერთყას გარსა;  
აქ ირაკლი შოტრიალდა გადაჰხედა მთა და ბარსა,  
მოუბრუნდა ქართველებსა, გადასძახა თავის ჯარსა:  
„გამიგონეთ, გულის ძმებო! ოსმალი შემოგვესია,  
მტერს ზურგი არ დაანახოთ, ეს ხომ ჯაბანთა<sup>57</sup> წესია,  
დღეს გვაქვს სიკვდილის ღზინია, გვინახავს უარესია,  
ეცით გულ-და-გულ. მაგათთვის ჩვენ ხმალი გაგვიღესია!...  
რომ დაემარცხდეთ, რა იქნება? — ვერ მიუვალთ ჩვენსა ქალებს,  
პირშაეები, შერაცხვენილნი, სად გავანელთ მაშინ თვალებს?...  
ქართველის ქალი, მართლად მწყურალი, ისევ ჩვენზედ ივალალებს<sup>58</sup>

<sup>55</sup> ტაშის კარები — ბორჯომის ხეობაში შესაქალი.

<sup>56</sup> ზამბულაქი — მეტის მეტი დიდი თოვთ.

<sup>57</sup> ჯაბანი — მხდალი, მოშიშარი.

<sup>58</sup> ივალალებს — იგლოვს, იმწუნსარებს.

სჯობს ამოვწყდეთ, ვაწეწინოთ ჩვენზედ თმანი იმ მაღალკბს!<sup>59</sup>  
 ფავწყდეთ, ძმებო, სჯულსათვის, მამულისთვის სისხლი ვსთხოვთ<sup>60</sup>  
 შემწეთ ჩვენის სიმატლისთვის, — მალლით ღმერთი მოვიწვიოთ,  
 ვეცნეთ მტერსა, დავერივნეთ, დავიფრინოთ. ხმლითა ვსდრიოთ,  
 მეც თქვენში ვარ, თოფი მკარით, თუ სისუსტე შემამჩნიოთ!  
 გამიგონეთ, გულის ძმებო! მოისმინეთ ჩემი ავა,  
 ეკუთენით მაგ ჩვენს მტრებსა, გაამხნევეთ თქვენი მაჭა,  
 მამულისთვის დახოცილთა, ღმერთმა ნეტარება ჰსაჯა,  
 აბა, ძმებო, კი მავათ!... ღმერთმა თქვენს მკლავს გაუმარჯვა!“  
 — გავწყდეთ! — შესძახეს ჯარშია — ვეცნეთ თმალს დაღალულსა,  
 დავერივნეთ — იძახიან — თუ გვხედავენ დაძალულსა?...  
 „ღედა შეერთოს ცოლადა“, ვინც უღალატოს მამულსა!  
 ვინც არ იბრძოლოს ვაჟ-კაცად, — ლაჭარსა ჰკვანდეს მალულსა!...  
 „დავერივნეთ! გავწყდეთ, გავწყდეთ!..“ და შეიძრა ისევე ჯარი...  
 ვინ ლეკს ეცა, ვინ ოსმალს. ვინ ვის დასცა თავში ზარი?“<sup>61</sup>  
 ვინ მტრის ბრძოლით მძღარია, ვინ არ არის სისხლით მტკბარი?...  
 მეფე-კი ერთს შესცქერია, ამის ფიქრი იქით არის...  
 ის ყოფილა ლეკი ვინმე, ნაქები მთელს დაღისტანში,  
 კოხტა ბელადს ეძახიან, არ ინძრევა ცხენზედ ტანში,  
 ქართველის ჯარი შეაყენა, მრისხანეობს ჰყავს ყოყმანში,  
 და იძახის: „ირაკლი-ხან! გამობძანდი!“... დაჰკრა ტაში...  
 აქ ივანე ექიმბაში მოიჭრა და ძლივსა ქშენა,  
 პასუხს ამბობს გიორგისას, აღარ უჭრის საწყალს ენა,  
 მაგრამ მეფე ყურს არ უგდებს, დრო არა აქვს იმოდენა,  
 თვალი დარჩა კოხტაზედა, იყურება იმისკენა.  
 მოაჯდა ცხენსა, გადიჭრა, ვით ელვა მკვირცხლი<sup>62</sup> და მალი,  
 შეიდი ხევსური თან ახლდა, ეს იყო ირაკლის ძალი,  
 მივარდა კოხტა ბელადსა, მეხივით დასცა თავს ხმალი,  
 შუა გააპო, მაგრამა მკვდარი ცხენზე ჯდა საწყალი!  
 დაჰკივლა: „კაი ამათა! არ იქა წუნკალაებსა!  
 ვინა ხართ ჩემი მოყმენი, მოეფინენით კლდეებსა,  
 არ წაგივიდნენ ლაჩარნი არ შეეფარნენ ტყეებსა!...“  
 ეკვეთნენ<sup>63</sup> გმირნი ქართველნი, მტერს უზნელებდნენ დღეებსა!  
 აქ უყურეთ ოსმალ-ლეკსა დაეწია ქართლის ჯარი,  
 წასწევენ და წამოწევენ, პანტასავით ცვივა მკვდარი,  
 ხმლები ელავს, კიჟინაა, აგერ მოდის სისხლის ღვარი,  
 ზამბულაკიც მკვანედ მოქუხს, ხმას იძლევა მთა და ბარი!..  
 დავით სარდალი მტერს ჰკაფავს, დიდგვარი ორბელიანი,  
 ბარათაშვილი ზალი ლომგულობს ეს პირწყლიანი,  
 სახელოვანობს სოლომონ, ის თარხნიშვილი სვიანი<sup>64</sup>

<sup>59</sup> მაღალი — სათუთი, დამწვარი.

<sup>60</sup> დათხევა — დაღვრა.

<sup>61</sup> ზარი — შიში.

<sup>62</sup> მკვირცხლი — სწრაფი, მარდი.

<sup>63</sup> ეკვეთნენ — დანასავით ეცნენ.

<sup>64</sup> სვიანი — მოწყალე.

დემურაშვილი დავითა ტრიალოებს ხმალ-სისხლიანი!...  
 „კობიო ბობლიოშვილი, — აქენეს: — რაგებს შერებო?  
 ... გამგელებულა ეს თუმი“ წინ ვერეინ დაუდგებო;  
 ნაკუდა ჭუიძესშვილი, რა კანჯარივით ხტებო, —  
 შვიდი დაკაფა ხმალ-და-ხმალ, რიგი ხანჯალზედ დგებო!...“  
 იფრინეს მტერი, მისდევენ, ჰხოცვენ, იპერენ ოსმალსა,  
 თოფის დუგლუგსა წაპკრავენ, არც აკადრებენ მათ ხმალსა,  
 მტერი უხილოდ დამხვავლი, მიაქეს და მიაქეს მტკვრის წყალსა,  
 საფლავსაც ნულარ მოელის, ან ვინ აღირსებს საწყალსა!...  
 გათავდა ომი ფიცხელი, კარგი და სახელოვანი,  
 სახელი ყველამ იშოვა, ვინც იყო აქ გულოვანი,  
 დავლა იშოვეს, ტყვეც ბებერი, არც ერთი მცირე წლოვანი,  
 ქართველნი მხიარულობდნენ, ოსმალთა იწყეს გლოვანი!...  
 აგერ მობრძანდა გიორგიც და მოულოცა მამასა,  
 გადაეხვია ირაკლი და ასე უთხრა ამასა:  
 „მტერს იქ ელოდი, მაგრამა იქით არ ჰქონდა გზა მასა,  
 აქვე დაუხვდი მურდალსა, აქვე გადვუხდი ჭამასა!...  
 იმხიარულეს დიდებულთ, საქმე დააწყეს დილისა,  
 ირაკლი ახლა სხვას ფიქრობს: „მე დრო არა მაქვს ძილისა,  
 მტერი ბევრი მყავს, არ მინდა გავხდე იმათი კბილისა,  
 ვა თუ რამ ჰირი მოჰფინონ“, — წასვლა დაესკვნა ტფილისსა.

## VII

ცა მოწმენდილი, ლაყვარდი, ტფილისს დასცქერის მზიანი,  
 მთაწმინდა სოლოლაკის მთაც. გახურებული კლდიანი,  
 მცეცხვანები ფრთხილობენ, რომ არეინ მოსცეს ზიანი,  
 მტკვარი მღელვარებს, ვერ მორწყა ქალაქი ბაღეზიანი.  
 მუხდროვება ყოველგან, დარაჯნი მაინც ფრთხილობენ  
 განჯის კარს<sup>65</sup> თვალი ადევნონ, დღე-და-ღამ ამას ცდილობენ;  
 დიღმის-კარს<sup>66</sup> საფრთხე არა სდევს, თუმცა არც აქ გულგრილობენ;  
 მრავალნი მოქალაქენი ბაღეზში ზურნით ღხინობენ!...  
 დედოფალი დარეჯანი შინ ბრძანდება სასახლეში,  
 სადილთ უკან, სამღერალად<sup>67</sup>, ძოწეულსა<sup>68</sup> ითვლის ხელში,  
 მტკვარსა რასმე გადასცქერის, ფიქრით, ჰფრინავს სამოთხეში,  
 ჰფიქრობს კიდე ირაკლიზე: „სად რას არი, მთა და კლდეში?..  
 ამ დროს ქვრივი ბეგთა-ბეგის შემოვიდა, უცებ სტირსა,  
 შეიძახა: „დედოფალო“ და იხოკავს<sup>69</sup> ფრჩხილით პირსა...  
 „თუ გაიგე — ხმა გაისმა — ბატონია გასაქირსა,  
 რას უზიხარ, ავიყარნეთ, დავიხიზნოთ ტყისა პირსა!...“

<sup>65</sup> წოვის თემისა.

<sup>66</sup> მესტიარულ ლექსში არიან მოხსენებულნი ეს თუშები: კობიო და ნაკუდა („კრებული“, 1873 წ. წიგნი VII, გვ. 27).

<sup>67</sup> განჯის კარი — ერეენის მხრიდამ ტფილისის კარები.

<sup>68</sup> დიღმისკარი — დასავლეთის მხარის კარი ტფილისისა.

<sup>69</sup> სამღერალი — სათამაშო, შესაქცევი.

<sup>70</sup> ძოწეული — მარჯნისა.

<sup>71</sup> ხოკა — ფხაჰნა.

რა ისპანა დედოფალმა, უცებ ზეზე წამოვარდა.  
 შეკაკულა და შეიკვილა, იცრემლა და გულს იღარდა.  
 გაკვრა ხელი, წამს წულეები გაიძრო, კარს გამოვარდა,  
 სიონისკენ მიაშურა, ხალხს მოჰფინა გლოვის ფარდა.  
 ვაჟ-კაცნი ქულებ მოხდილნი, დედები ფეხშიშველები,  
 მიდიან ღვთის-მშობლის წინა, მალლა უპყრიათ ხელები,  
 ევედრებიან ღვთის-დედას, კირი აცილოს ძნელები,  
 მღვდელნი პარაკლის იხდიან, ცრემლი ჩამოდის მწველები!...  
 ყველამ დაკეტა დუქნები, აივსო მთლად ეკლესია,  
 გამოასვენეს ქუჩაში ხატები, როგორც წესია,  
 ხალხი ქეთითიებს გულითა, დაღადებს მათი მწყემსია!  
 ამ დროს იკვილა ვიდაცამ „ოსმალი შემოგვესია!...“  
 ერთი იძახის: „ვინ სცრუობს? — ეგ ქართველები არიან,  
 ოსმალს ტანისამოსით მორთულან, მოუხარიათ,  
 ოსმალს მკვდრებიც წყალს მოაქვს, მათი მზიდავი მტკვარია. —  
 ხალხს ვინ აშინებს? ვინ ბრყევობს? — აბა რა სახუმარია?!  
 ამ დროს, მართლა, იქ მობრძანდა თვით ირაკლი გამირთა-გამირი,  
 თან ახლავან თავადები, მოუყვიათ დიდი კირი,  
 ხატს ემთხვივნენ სულ ყველანი, ხალხი იქ სდგა ანატირი,  
 მეფე მეფემ დედოფალსა გადუკოცნა გული, პირი!...  
 შეიქმნა ხალხში სიამე, ხალხი არის მხიარული!...  
 გამარჯვების ხმა გაისმა, გაუმრთელდა ყველას წულული,  
 ყველას ტუჩზე ღიმი უქრის, არვინ მოჩანს დაჩაგრული,  
 მადლობაა — ღვთის წინაშე, სიხარული — ყველგან სრული!...  
 მეფე მობრძანდა სასახლეს, ჯერ არ ეკრა, ვგონებ, ბინდსა,  
 პატრუცაგი <sup>72</sup> დაამზადა, ელჩებს ჰგზავნის ექვსს, თუ შვიდსა,  
 ასპინძაზედ გამარჯვებას რუსეთში სწერს, აღარ რიდსა,  
 იქ ნაშოვარს ტყვეებს ჰხედავს, რომ მიაართოს მეფას დიდსა.  
 მეორე დღეს სასახლეში გამარჯვების სადილია,  
 დიდებულნი, სოვდაგარნი, იქ არიან, ხადილია <sup>73</sup>  
 ბევრი წყალობა გაიცა — ქართველთ მეფის წადილია,  
 კიდევ ბევრს და ბევრს ჰპირდება, — ბატონისგან ქადილია. —  
 შეიქმნა ღვინი, მეჭლიში, ყანწის და ჯამის ტრიალი,  
 ჭიქების ტყორცნა, ღიღინი, გალობა, თასთა წყრიალი,  
 ნეზაზიშუმულთ ვაჟ-კაცთა სიმღერა, კულის კრიალი!  
 გარეთ ზურმა, ბუკ-ნაღარა, დაფ-დაფი, ხალხის გრიალი!..  
 მეფე ადგა, დაილოცა, სიტყვა არ ჰსურს გააგრძელოს,  
 გაშარჯვება ყველას უძღვნა, ყველასთვის სურს: — ისახელოს!..  
 აჰ სარდალმა საცხე სტაქნით დაიძახა: — „აღლეგრძელოს!...  
 გაუმარჯოს ირაკლისა!... გაუმარჯოს საქართველოს!...“  
 ხალხმა ერთობ შემოსძახა — „აღლეგრძელოს! აღლეგრძელოს!  
 — გაუმარჯოს! გაუმარჯოს!  
 — ღმერთმა ხელი მოუმართოს!“

5 მაისს, 1880 წელსა  
 ქ. თბილისი.

<sup>72</sup> პატრუცაგი — მეფისგან შეღვსთან მინაწერი.

<sup>73</sup> ხადილი — მხიარულება.



... კახეთში გახლდით. მშვენიერს კახეთში, ტურფა კახეთში. ბუნებით მდიდარს კახეთში, მაგრამ საცოდაოდ გაღარიბებულს კახეთში... იქნება ისიც მკითხოთ: რამ გააღარიბა კახეთიო?... — ბევრი მიზეზები გახლავთ ამისი და სხვათა შორის — უგზობობა. ამასაც ხომ არ დამოკვრებთ, რადგან იცით რომ კახეთს საშიოდ ოთხი საურმე გზა აქვს და ოციოდე საცხენო და საქვეითო. მაგრამ მე ამ გზებს გზებათ არ ვავლებ, რადგან თითო საურმე გზას ოთხი ხუთი დღე უნდება, და თითო საცხენოს — ორი სამი დღე. მანამ თბილისში მიახწევს იქიდან წამოსული კაცი... არც რკინის გზა მაქვს სახეში, რადგან კახეთს ამგვარი ბედნიერება ასცილდა და მეორეთ მოსვლის დროს თუ ელირ-სება ორთქლით მატარებლის ხმაურობა... მე ვამბობ იმ გვარს გზაზედ, რომელიც შეაძლებინებდეს მოგზაურს მეორე დღეს მაინც მოაღწევინოს თბილისამდის, დაუბრკოლებლივ და გვერდებ დაუყეველად!... მე მოვახსენებ კარგს გზა-ტყევილს გზაზედ. მართალია, როდესაც პირველად განსვენებულმა ვორონცოვმა შემოიარა კახეთი (არ ვიცი 1845 წელში იყო, თუ 1846-ში)!, მაშინ იქაურმა საზოგადოებამ უპირველეს თხოვნად წამოაყენა გზის გაკეთება. ვორონცოვმა აღუთქვა საზოგადოებას ამ თხოვნის აღსრულება, ჰქმნა ჯროვანი განკარგულება, და მას შემდეგ კოწიწდება, ნაკუწ-ნაკუწ, თელავიდან გზა, და ჭერაც უჯარმას არ გამოსცილებია!...<sup>2</sup> ან კი ვის ეჩქარება და რა ეჩქარებათ?... თუ კი ხალხი რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში დადიოდა იქვლს გზაზედ, განა ეხლა კი ვერ ივლის?... დაილოცოს ქართული ურემი! მართალია გადაგებრუნდება სადმე!... აბა ღმერთი არ გამოიწყრეს!..

ზოგიერთი კაცების სურვილი და სისწრაფე მეაყირვებს: ი დალოცვილები ვერა ჰხედავენ, რომ ვორონცოვს აქეთ, წელიწადში ვერსტ-ნახევარი გზა არის გაკეთებული? ამაზე მეტი რაღა უნდათ... მერე კიდენ რამდენი ფული დაიხარჯა მას აქეთ... ჭერ, მგონია. მარტო შესაკეთებლად ნაკეთების გზისა. წელიწადში შეიდას თუმანზედ მეტი უნდებოდეს!... ხუმრობაა!... აბა ახლა თქვენ ამოყაჭეთ ამოდენა ფულები, ჯიბიდგან!... პოო, შეილოსა!... მაშ გაჩუმდით!..

ოჰ, რა მოსავალია წელს კახეთში!.. ამ ოცს წელიწადში არავის უნახავს ამისთანა მოსავალი. — თუ ზეციდან არა აუტყდა რა ჰირნახულს, სწორედ გამოძლება ხალხი და უფრო ბევრს სხვას გამოაძლობს და გამოათრობს... მართალია. ხუთიოდ-ექვსი სოფელი ჩამოგვისეტყვა (მატანის, მარელისი, ბაიხო, ნაფარეული, აღდგომა, შილდა და ზოგიერთი ტყიანი მთები და სოფლის უბნები). მაგრამ, რაც გადარჩა, ისიც გაუძლება ხალხსა და ჯამათსა თუ ახალი სეტყვა არ გვესტუმრა... სეტყვიაა ჭერ ღმერთმა უწყის და ეს კი ნამდვილია, რომ კალია არ ასცილდება კახეთს... იქნება ვერ მიჰხვდით. რა გვარს კალიაზე ვლაპარაკობ?... იმ კალიაზედ კი არა. რომელსაც ტარბი ემტერება: არც იმ კალიაზედ, რომელსაც იოანე ნათლისმცემელი მიირთმევდა... — მე ვამბობ იმ კალიაზედ, რომელთა მოდგმა, შთამომავლობა, გვარი, ნათესაობა, თესლი, ჭიში და ჭილაგი ერთი და იგივეა და სახელები კი სხვა: პოლოსა, მიკირტუმა, გუურჭა, ავეტიქა, გრიჭურა და სხვანი, და სხვანი... აი, ეს კალიები დაესევინ და ძირიანადაც ამოჰფხვრიან კახელებს!... და. თუ კი ამ კალიებს გადაურჩა რამ, ისიც, თითქმის, იმათვე ჭიბეში გაივლის...

მართალია, კახელი, — რაც უნდა კარგი მოსავალი მოუვიდეს, — პურს ნავდენს ვერას გაჰყიდის, მაგრამ ღვინოს კი — რადგან ღვინოს ბოლაზია კახეთი — უქველად შეეღვავა, თუ მოვალემ შეარჩინა რამე, რადგან პოლსებს და მიკირტუმებს<sup>3</sup> წინაღვე აქეთ აქ დაკვეთილი მაჰარი და ან ფულის სარგებელში გამოსართმევი ნუნუა... გაყიდის კახელი ღვინოს, როგორც უმთავრესს შემოსავლის წყაროს თუ იშოვა მუშტარი, ანუ მყიდველი...

ასლა იქნება ესეც მკითხვით: ღვინოს მყიდველს როგორ ვერ იშოვის კახელი კაციო? — დიად, ბატონებო! ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მუშტარი ბევრია ღვინოსა და ყიდვით კი — არც ერთი არა ყიდულობს, ზოგიერთის ღვინოს... იმ მიზეზით კი არა, რომ ღვინო არ ვარგოდეს... არა... მე მოგახსენებთ ნამდვილ მიზეზს, გვაკნობთ ზოგიერთა ღვინოს მოვაჭრეებს და გიჩვენებთ პაწაწუნა ნიმუშს იმათის კეთილშობილურის აღებ-მიცემისას.

აქ წერტილი დავსოთ და ცოტა შორი-ახლოდან დავიწყეთ ამ საგანზედ ლაპარაკი.

მოგეხსენებათ, რომ ღვინოს მოვაჭრეს და ღვინით მოვაჭრეს ჩვენში სირაჯს ეძახიან. სარდაფები ეხლახანს შემოიღეს... ესეც მოგეხსენებათ, რომ ეს სირაჯები თვითონვე წავლენ ხოლმე ღვინოს სასყიდლად. თვითონვე გაჰყევიან ურმებს, თვითონვე გაჰბერენ და გაჰქონენ რუმბებს, იყიდიან უმეტესს წილს განჯურს, ერევნულს და სხვა მაზრების იაფი ფასის ღვინოს და „კახურ“ ღვინოდ მოჰნათვლენ, ესე იგი, შეჰღებენ, დააოტკავებენ და კახურს ეძახიან. ზოგი სირაჯები ცოტაოდენს კახურს ღვინოსაც იქონიებენ ხოლმე: ან მდარე ღვინოში გასარევედ და ან „შეშუდათ“ — იმ გვარი მუშტრებისათვის, რომელნიც განსაკუთრებით კახურს ღვინოს ეწყობიან.

სირაჯებს თვითო შეგირდი ჰყავთ დუქნის დამგველად და დარაჯათ; ეს ბალღები, ღარიბის ოჯახის შვილები, ყველა კინტოზედ საცოდავნი და უმდარესნი არიან. ზოგს შეჰღებულს სირაჯს „ფიშქარცა“ ჰყავს, ესე იგი უფროსი, შეგირდობაში გამოსული და გამოცდილი მოჯამაგირე, რომელსაც აგზავნიან ხოლმე, თავიანთ მაგიერ, ღვინოს სასყიდლად და რომელნიც, თავის დროზედ, ამ გვარივე სირაჯები შეიქნებიან ხოლმე.

ეხლა ვიცნობთ, ვინც არიან სირაჯები და კახური ღვინოს მყიდველნი, რა ჯურა ხალხია და რა აღებ-მიცემობის სასწავლებელი გამოუვლიათ, მანამ ამ ხელობას დაადგებოდენ.

ესთქვათ, მოვიდა კახეთში ამისთანა ღვინოს მოვაჭრე და დიდად მსურველი ღვინოს ყიდვისა, რომელსამე მემამულესთან, თუნდა, ესთქვათ, მაგალითად, თავადიშვილთან.

## ს ც ე ნ ა

### შემოდის მსახური

მ ს ა ხ უ რ ი — ბატონო, სირაჯი გახლავთ...

მ ე მ ა მ უ ლ ე — (გახარებული, აჩქარებით) სად არის?!... ვინ სირაჯია?!...

მ ს ა ხ უ რ ი — „ვირის-ყბა“ გახლავთ.

მ ე მ ა მ უ ლ ე — დაუძახე!... შემობრძანდეს..

სირაჯი — (შემოდის) კნიაზს გაუმარჯოს!... (ხელს აწვდის. მოდით შე-  
მოიღეს).

მე მამულე — (უნებურად ხელს ართმევს). ოჰ, შენა?! სადა ხარ, და-  
ლოცვილო!... დაბრძანდი... შენს ლოდინში ათასი სირაჯი დავითხოვე...

სირაჯი — (ჭლებს). ვა, კნიაზ, რათ ითხოვდი... მე ღვინო იმდენი „ზა-  
პასი“ მიყიდნია, რომ აღარც კი ვიცი სად გავასაღო... მე ისე ჩამოვიარე, შენს  
სანახავათ...

მე მამულე — (ჩაფიქრდება და დალონდება. თავისთვის): სტრუობს!...  
(სირაჯს შემკრთალი ხმით): რას ამბობ, კაცო? მე შენს იმედზე ვიყავი-და...

სირაჯი — რათა კნიაზ?.. მახლას... ვნახოთ შენი ღვინოც...

მე მამულე — ჩემი ღვინო?! ღვინოს გიჩვენებ, მამა-ჩემი არ წამიწყ-  
დება, რომ სპირტში ვერ გამოარჩიო!...

სირაჯი — თუ პირიანათ მომცემ, იქნება გავბედო, ცოტა რამ ვიყი-  
დო, შენი ხათრისათვის...

მე მამულე — ცოტა კი არა, სულ შენს სახელობაზე დამიყენებია ღვი-  
ნო... „უბაგრეხიას“ ღვინოს კი არა ჰგავს, ან კიდევ „ქუცეთიას“ ღვინოს... (მალ-  
ლა ხმით, მსახურს:) ბიჭო!... ბიჭო!... (ხმა ისმის-მატონო!...) მარანი გააღე!

გავლენ მარანში. ქვევრები მოხდილია. „ვირის-ყბა“ ამოიღებს სტაქნით  
ღვინოს, ხან ერთი ქვევრიდან, ხან მეორედგან, ჩაიყენებს ღვინოს პირში, ივე-  
მურებს, ტურებს აწმარუნებს, ხან სტაქანს ხელს დააფარებს, გასტყვეფავს,  
ააქაფებს, გაჰხედავს, გამოჰხედავს სინათლზედ, ფერს უშინჯავს, სუნავს... თუ  
ღვინო მუქია, — იტყვის: „ვა, კნიაზ...“ ეს რა გიქნია?! ამოდენა ჰკაცო იქნება?...  
რუსებს არ მოსწონს ამ ფერი ღვინო...“ თუ ღვინო ცოტა მკრთალი ფერი-  
საა, — იტყვის: „დალოცვილო, ზაფრანავი ვიყიდო, რომ ეს შავლებო!.. წყალს,  
ახარ, რა უყო?...“

მე მამულეს სული უწყუხს, ფული უპირს, ესმის, რისთვისაც მიზეზიანობს  
„ვირის-ყბა“, მაგრამ, რა ქნას!.. ბოლოს. მოთმინებიდან გამოსული თუმცა  
მკვახეს კი ვერას გაუბედავს სირაჯს, მაგრამ, შეუძახებს: — „შე უღმერთოვ,  
ვემო გაუშინჯე-და!...“

სირაჯი — ეჰ, კნიაზ!... რაც ფერია, ის გემოა, რაღა!...

მე მამულე — (მოუთმენლად:) მაშ არა ყიდულობ?...

სირაჯი — რატომ... შენის ხათრისათვის... ყველას თავის ფასი აქვს...  
თხას-თხისა, ციკანს-ციკინისა...

მე მამულე — რის თხა, რის ციკანი?... თუ ღვინო გინდა — ეგ არის!...

სირაჯი — (მოფერებით) ნუ წყინობ, კნიაზ!.. სოვდაა, მაშ... რვა მო-  
გართო?... ორი თვე ქვევრშია...

მე მამულე — რაო?! რვაო?!.. არც თხუთმეტად შეიძლება!... ღმერთი  
აღარ იცი?...

სირაჯი — კნიაზ, ქესატობაა, ვაჭრობა არ არის... ასეთი ღვინოები მი-  
ყიდნია რვა-რვათ საპალნე, რომ როგორც „ანტიკა“... ათი მოგართო?... ოცი  
თუმანი ბეი... ღვინის ამოღება — მაისში ოცდა-თორმეტით... გადაწყვეტილი  
სიტყვა თუ გინდა ეს არის...

მე მამულე — (მწუხარედ, თავჩაღუნული) არა, ჩემო ძმაო!... ღვინოს  
ვერ აგარჩევინებ... ურემს ორმოცზედ ნაკლებად ვერ მიეცემ ერთმანეთზედ.

სირაჯი — შორსა ვართ, კნიაზ... ღმერთმა ქნას სამოცათ გაგეყიდოს...  
მშვიდობით!... (გავა და წავა).

ღარჩება ჰემამღლე სახტად. შეწუხებული, გაპირებული და ხელგაუმარ-  
თავი... იმიდობი უსუსტდება...

რაო? რატომ არ იყილა „ვირის-ყბამ“ ღვინო?... არ ღირდა იმ ფასად, რო-  
გორც დაღვასეს, თუ არ მოეწონა?... — როგორ არა: კიდეც მოეწონა ღვინო,  
კიდეც ღირდა იმ ფასად, როგორც დაღვასეს, გულითაც უნდოდა „ზაპასის“  
ყიდვა, მაგრამ, ასე ჰფიქრობდა: „ამ კნიაზს ფული უჭირს, მაგის მარანში  
პირველად მე შევდგი ფეხი, — ჩემი ნახული ღვინოა. — სხვა სირაჯი ველარ  
ვაბედავს იქ შესვლას... „დავშტრაფამთ...“ კნიაზი ღვინოს ზაფხულამდის ვე-  
ლარ შეინახავს, — და რა ფასშიაც მინდა — იმ ფასად ავიწყამ...“

მემამულე — (ჰფიქრობს): — ეგ არ იყოს, მაგისთანა ძალი ათასი და-  
ღის!.. ვანა ქვეყანაზედ სირაჯი გაწყვეტილა?..

„თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდამ მოვა“...

სხვა სირაჯები რაღას აპირობენ, რა რჩევაში არიან?..

ვილა სხვა სირაჯები?... — მთელს მაზრაში თუ გამოვა ადგილობრივი შეი-  
დი, რვა სირაჯი და ისინიც ერთმანეთის ქვისლები, მოყვრები, ნათელ მირონე-  
ბი და ამხანაგები... გარეშე ადგილიდან მოსულს სირაჯს კი ან უძაგებენ ღვი-  
ნოს, ვისიც მარანი თვითონა აქეთ სახეში, ან გზებს დაუხლართავენ... შეთქ-  
მულება ჰსუფევს აქა...

„ვირის-ყბამ“ გაგზავნა, ვანზრახ თავისი საიდუმლო ამხანაგები: ავაქა და  
მიხაკა, იმავე მარანში, სადაც თითონ იყო.

მივიდნენ ეს ნაკინტოარი სირაჯები ჩვენ ნაცნობ მემამულესთან, ნახეს  
ამისი ღვინოები, იმ ნაირივე ტუჩების წმალწინით და სხვ.

„კნიაზ!... ღვინის დაყენება რათ დაგვიწყებია?... ჰკითხავენ ავაქა და მიხა-  
კა მემამულეს.

— „როგორა?... წელს ღვინო უკეთესია... სულ მარცვალ-მარცვალ დამირ-  
ჩევიანებია ყურძენი... შემკუნარი არ შემირჩენია...“

„ჰო, და, რაც ქიშიში ყოფილა გადაგყურია... ძალი იმაშია... როგორ ამ-  
ლევ?...“

— „თქვენი თქვით ფასი.

„ოთხათ ხომ შენც აღარ გაინადები?... ურემი თორმეტს თუმანსა იქს, აი!..  
მემამულე შეკრება და ბოღმა ყელში მოაწვება: ხმას ველარ იღებს ამათს  
ონსა და სასაცილობაზედ... რასაკვირველია აქ მორიგებას ნიშანი აღარ  
უჩანს, სირაჯები. მიდიან შემდეგ მოვლენ იმათივე თაბუნის ხალხი და უფრო  
ნაკლებს ფასს დაიწყებენ ძლევას, იმ საფუძველზედ, ვითომც, რომ ღვინო  
„ნაკბენია“, ან „გადაბრუნებულა“, ან „მომბალა“ და თუ ყიდვას ჰბედავენ,  
ისიც იმისთვის, რომ იაფი-ფასის ღვინოს ეძებენ ქელებისათვის...“

მემამულის გაბრაზებას სამძღვარი არა აქვს, მაგრამ რას გააწყობს?!

ვათქვათ, რომ ავაქამ და მიხაკამ შემთხვევით ჩამოიარეს იმავე მარნი-  
საკენ. ცოტა ფასი მოუმატეს თავიანთ ნათქომ ფასზედ და მემამულემაც. ღონე  
მოღებულმა, ბევრი დაუკლო წინანდელ დაფასებაზედ... ვაპრობა თავს მო-  
ვიდა, როგორც იყო და საქმე გათავდა, მაშინ ერთი იმათგანი ჩაიციინებს ჩუ-  
მაღ და მეორეს ეუბნება: „იცი... კნიაზს რკინის კუნძი ძირს დაუდებ და სამო-  
ლის ცული ხელში მიეცი“...

წავიდნენ სირაჯები და სამხადიანი ტიკი ღვინო „ფიშქარით“ წაიღეს და ამოსალეხად რომ მოვიდნენ ერთი ჩეთვერი ჩაი და ერთი პატარა თავიშაქარი „ფეშქაშათ“ მოუტანეს მემამულეს.

ახლა უყურეთ ღვინის ამოწვევას, ჯერ ოც-და-თორმეტი უნდა მიითვა-ლონ, ესე იგი, საპაღენე რომ ოც-და-ათი ჩ.ფია, იმათ ოც-და-თორმეტი ჩაფი უნდა მიიღონ თითო საპაღენეში; მერე საწყაო; ისეთს ჩაფიანს მოიტანენ, რომელიც დაუღამდავია, რომელშიაც ორიოდ-სტაქანნი მეტე ჩადის და რომელსაც იმოდენი დაზლი ასვევია ყელზედ, რომ ერთს სამიოდე სტ.ქანსაც ეს დაზლი გადაიყოლებს, თითო ამოღებაზე!... ქაბაში ნამყოფი ღვინის თავსახვევი ბე-ზათ გამოჩნდება ამისთანა საწყაოსთან!...

იკითხამთ: „რათ ითმენს და რათ ემორჩილებოა მემამულე; ამ გვარს პლუტობას?...“

—რა ქნას გაბირებულმა და ყელ-გადაგდებულმა?... იქნებ ბანკშია შე-სატანი ფული და უფრო ბევრი ეკარგება? იქნება მიკირტუმა ჰყავს გასას-ტუმრებელი, იქნება...

ეჰ! თავი დავანებოთ, თორემ ბევრი „იქნება“ გამოჩნდება კადეც!..

ამ პლუტობას კი არა, უფრო ცხადს და ავაზაკურს სითამამეს უყურებს მე-მამულე ზოგიერთი სირაჯების ქცევაში, — და ითმენს... აი, თუნდა ღვინის ამოწვევის დროსა:

„ფიშქარი“ დამკლავებულია, ჩაფიანი საწყაო მარჯვედ უჭირავს ხელში, რუმბი ქვევრის პირას ძეგს ზის ძაბრმოდგმული, ქვევრის პირზე ტიკია მიფე-ნილი, რომ, რაც ღვინო დაიღვაროს ჩაფის გადაქანებაში, — ქვევრშივე ჩაი-წუნწკლოს — და მოჰყვება ამომწყველი:

„ეს ღმერთმა აღლეგრძელოს ამ მარნის პატრონი, ჩაასხა რუქში სამსე ჩაფი და სათვალავში კი არ ირიცხება. მემამულე უყურებს, სწუხს და თანაც მწარე ღიმილი მოსდის...“

„ეს ღმერთმა აღლეგრძელოს იმის ცოლშვილი!..“

ეს ღმერთმა უმატოს იმის მარანს!..

ეს ღმერთმა ხეირი მისცეს იმის ვენახს!..

ეს ღმერთმა ააშენოს იმის ოჯახი!..

და ესეც ღმერთმა ააშენოს ჩემი აღის ოჯახი!..“

ეს ჩაფიანები ჩავიდა რუმბში „დასაწყალობლოთ“ და ანგარიში რო-გორ მიითვლება.

შემდეგ მიჰყვება „ფიშქარი“ ნამდვილს თვლას:

„ეს ერთი!..“

„ეს ორი!.. და სხვანი.“

კმარა ეს ნიმუში ვიკმაროთ ამ უსინდისო და საზარელის სურათის ცქერა.

წავიდნენ გახარებულნი და წურბელასავით გამძღარნი ავაქი და მიხაკა ავაზაკზაროვები.

---

თელავში ვიყავ. გავიხედე-და გავოცდი!.. ავაქა და მიხაკა, უწინ მენახა გაქონილს ნაშურის ახალუხებში ამოწუნწულები და ესლა კი „ბობროვი ვა-

რატნიკებთან“ ქუჩებში გახვეულიყვნენ ეს „კინტოკრატები“, თავს აწონებდენ ხალხსა და ისე წყნარად და ქვე-ქვეით დასეირნობდენ „ბულვარში“, როგორც ჩასუქებული ბატები, როცა საღამოზედ შინათკენ დაბრუნდებიან ხოლმე.

თუ მიეხედეთ კახეთის და კახელების გაჭირვებას, თუ გამოვჩხრიკეთ რა და რა სნეულებით არიან შეცულნი აქაურობა და აქაურები, — ბევრი მუწუკები გამოუჩნდება ამ პატარა ქვეყანას!... მაგრამ, ამისი მალამო მე არ ვიცი; ამისი წამალი სხვამ გამოძებნოს.

10 აპრილი, 1883 წელი.

დედაკაცმა თუ განიწია, ცხრა უღელი ხარის უმკლავრენია

კომედია, ორს მოქმედებად

მოქმედნი პირნი:

იარტემ მინაიჩ დოვლათოვი, 50 წლის, ვაჟარო, ქერივი.  
ქეკელა, ქალი მისი, 17 წლისა.

ეარღუა  
დათიკა } ამათი მსახურები.

თავადი გრიგოლ სირმაძე, მემამულე, 25 წლისა.

მაქთალა მეწერილმანოვისა, 40 წლისა.

ელისაბედ ქურჩჩიშვილისა, 45 წლისა, ქერივი.

პირველი

მეორე

მესამე

მეოთხე

მეხუთე

მეექვსე

მოხუცი

ფარნანი, მსახური მოხუცისა.

მოქმედება არის თბილისის ქალაქში. პირველი მოქმედება — ღამეა,  
მეორე — დღისით, საღამოხანზედ.

### მომავალი პირველი

(თეატრი წარმოადგენს მეიდანს. პირ-და-პირ მოჩანს ორეკტაედიანი სახლები, რომელთაც წინ ქუჩა ჩაუვლის; მარჯვნივ სჩანს სახლი არტემ მინაიჩის დოვლათოვისა, რომელსაც აქვს მეიდნისკენ ერთი კარი და ორი ფანჯარა; მარცხნივ — სახლი, რომელშიაც სდგას ქირით, გრიგოლ სირმაძე. და ამ სახლს აქვს მეიდნის მხარეზედ ორი ფანჯარა. ორივე სახლის გვერდზედ, სცენის წინ, სდგას თითო ძეგლი და ძეგლების გვერდზედ — თითო მოვრძო სკამეიკა; ერთი ამ გვარივე სკამეიკაც პირ-და-პირ მოედნის თავში სდგას. შუალამე გადასულა; გრიგოლის ოთახის ფანჯარა ღია არის. ისმის ღუღუქის ხმა და შექცევა იმის ამხანაგებისა).

### ბამოცხადება პირველი

გრიგოლ (მოჩანს ფანჯრიდან)

გ რ ი გ ო ლ (მოჩანს ფანჯრიდან) ურა! ნაშა კამპანია, ურა!..

### ბამოცხადება მეორე

იგივე და მისი ამქრები

გრიგოლის ამხანაგები (არა ჩანან)

ურა! ურა! ურა!.. (მედუღუქეები უკერენ ძალზედ)  
გ რ ი გ ო ლ (არტემ მინაიჩის სახლის ფანჯრისკენ იყურება) „შენზედ კარგი რათ მინდოდა! გამო, მზეო, გამომხედე!..“  
გ რ ი გ ო ლ ის ამხანაგები: ურა, ნაშა კამპანია! ურა!..  
გ რ ი გ ო ლ (იყურება ისევ იმ ფანჯრისკენ) „შენი ჭირიმე, შენი, შენი! გ რ ი გ ო ლ ის ამხანაგები: „...გამო, მზეო, გამომხედე!..“  
გ რ ი გ ო ლ. აბა, ყმაწვილებო, წავიდეთ ახლა ბაღში და იქ, როგორც ესტქვით, წყლის პირას ქეიფი გავსწოთ... აბა გასწოთ და მეც მოგეწვიეთ!..  
გ რ ი გ ო ლ ის ამხანაგები. წავიდეთ, წავიდეთ! ურაა!... (მიდიან ღუღუქის კვრით)

### ბამოცხადება მესამე

(პირ-და-პირ, სახლის მეორე ეტაჟში, ფანჯარა გაიღება და გამოიხედავს მაქთალა მეწერილმანოვისა და ლაბლა ჩასძახის ელისაბედ ქურჭიშვილის კვრივს)

მ ა ქ თ ა ლ ა. ელისაბედ! ელისაბედ!.. გძინავს ქალო?..



## ბამოცხადება მეოთხე

ივიე და ელისაბედ

ე ლ ი ს ა ბ ე დ (ფანჯარას გააღებს და შეჰხედავს მაქთალას) შენა ბრძანდები?... რა დამაძინებს, ქა!..

მაქთალა (გრიგოლის ფანჯრისკენ ანიშნებს) ვერა ჰხედავ მაგ გულმკვდრებს? ილაჯი აღარ არის!.. თვალი არ მომახუჭვინეს, მაგ პირშეებმა!

ე ლ ი ს ა ბ ე დ. ვიშ, ქა! არც მე მიძინია მეღქმოს მზემ... (გრიგოლის ოთახისკენ იშვერს ხელს) ეს პაქარნები ვის დააძინებენ?..

მაქთალა. (ხელს იშვერს დოვლათოვის სახლისაკენ) სულ იმ ამოსაგდების გულისთვის კი არის ეს ამდენი ყვირილი, მაგ გულმკვდრებისაგან...

ე ლ ი ს ა ბ ე დ. ვისთვისა, ქა?

მაქთალა. ე მაგ, დოვლათოვიანთ კეკელუასთვის...

ე ლ ი ს ა ბ ე დ. მართლა?... უი, იმ აქცინ!... მახლას, ეხლანდელი ქალები-სა რალა ვსთქვა?... (კეკელაზედ ამბობს) „აქაო და პანიკონმა გაფაიავო“, სულ ბალკონზე გდია, ეგ ამონაავდები, და ამვლე-ჩამომელულს უყურებს... მეტს სრულებით აღარაფერს აკეთებს... ან ქარგა მაინცა გნას, ან საბან, შეეეროს... მაგრამ უღედო ქალმა ასეა მისდღეში.

მაქთალა. არა ჰგვანებია თქვენ ხამფერვანას!.. (ხელს იშვერს გრიგოლის ფანჯრისკენ) ეგენი, მგონია, სადღაც წაივინენ?... გაჩუმდნენ კი, ხმა გასაწყვეტები!.. თავი მტკივა... ეგები ახლა მაინც დავიძინო,„

ე ლ ი ს ა ბ ე დ. მეც მეძინება... აგერ, საცაა, მამლები იყივლებენ... ახლა კი დავიძინებ... თვალიც გამოჰხუთქიათ?... ღამე მშვიდობისა! (ფანჯარას მოიხურავს)

მაქთალა. ღამე მშვიდობისა!.. ვიშ! ძილი გამიტყდა... კისერი მოსტყდეს მაგ ლოთებს! ნეტავი ცისკარი მაინც მალე დარეკონ, საყდარში წავიდოდი (ფანჯარას მოიხურავს).

## ბამოცხადება მესამე

გრიგოლ (გამოვა ქუჩიდან და აქეთ-იქით იყურება)

ახლა ფეხის ხმაც მისწყდა, კაცის ხმაც აღარ ისმის... დღეს შაბათია და არტემ მინაიჩიუ ჭერ ისევ დუქანში იქნება, ანგარიშების გასაჩხრეკად... რომ იცოდეს იმის ქალთან რომ მიედივარ, რა ყოფას დააწევს და!.. ახლა ჩემი კეკელა მიმელის დანიშნულს ვადაზედ... გული მიმფოთავს, როცა იმის სახლის კარს მიუახლოვდები ხოლმე... ღმერთო! როდის შესრულდება ჩემი სურვილი? როდემდის უნდა ასე დამალულად ვიმუხაიფოთ მე და კეკელამ?... (მივა არტემ მინაიჩის სახლის კარებთან და დაარაკუნებს) კეკელო! კეკე!..

## ბამოცხადება მესამე

ივიე და ვარლუა

ვ ა რ ლ უ ა. (ოთახიდან) ვინა ხარ?

გ რ ი გ ო ლ. მე ვარ, გრიგოლ.

ვარდუა. (ყარს უკან) მოიომინეთ, ეხლავე მოვახსენებ კეკეს.

გრიგოლ. ჰო, ვარდო. შენა ხარ?.. მალე, მალე, რომ შენმა აღამ არ მოგვისწროს... (მარტოკა) ეჰ! დღეს უკანასკნელი ღამეა... გარდაწყვეტილი უნდა გავიგო რამე კეკესაგან: მომდევს, თუ არა?.. იმის მამაც რომ თანახმა იყოს, მაშინ ვიქნებოდი მე სრული ბედნიერი.

#### გამოცხადება მეზვიდე

იგივე და კეკე

კეკე. (გამოვა კარებიდგან) ჰო, გრიგოლ, შენა? აქამდის სად იყავ? სადაც არის ხომ მამაც მოვა!..

გრიგოლ. (ხელს გამოართმევს) მომიტევე, ჩემო სიცოცხლე?.. ჩემო ნუგეშო!.. აქამდის გინდა ათჯერ მოვიდოდი, მაგრამ ხომ ჰხედავ შეიდან და ქუჩა — თქვენი სახლის მეზობლები არიან და ხალხიც აუარებელი დადის. ძლივს მისწყდა ფეხის ხმა და წამოველ... ახლა რას აპირობ, როგორა ხარ პირობაზედ: მომდევ, თუ არა?.. (ამ დროს მოისმის ქუჩიდან ხმა: ფეხისა და ლაპარაკისა; გრიგოლ და კეკე მიიმალებიან: ერთი — ერთ ძეგლს უკან და მეორე — მეორე ძეგლს უკან).

#### გამოცხადება მირეა

იგინივე და მიშაელნი

1-ლი მიშაელი (მეორეს) შენ იმის სიკეთე ამით გაშინჯე, რომ, რაწამს ქალმა უთხრა ჩემზედ „ეს შინდაო“, მამა მაშინათვე დაყაბულდა.

2-რე მიშაელი (პირველს) რას ამბობ?.. მზითევი?

1-ლი მიშაელი (მეორეს) მზითევიც თვითონვე დანიშნა.

გრიგოლ. (პუბლიკისკენ) ნეტავე შენ!.. ვაჰ ჩემი ბრალიცა!

კეკე (თავისთვის) არა ჰგვანებია მამა ჩემს! (მგზავრები რომ გაივლიან, გრიგოლ და კეკე ისევ წამოდგებიან და მუსაიფობენ).

გრიგოლ (კეკელას) დღესვე მითხარ გადაწყვეტილი: მომდევ, თუ არა? თუ თანახმა ხარ და ისევ ის მტკიცე სიყვარული გაქვს ჩემი, მოვიყვან ეხლავ ამხანაგებს, ეკიპავს და წავიდეთ...

კეკელა. გრიგოლ! შენი სიყვარული რომ არა მქონოდა, ვერც არავინ აქა მნახავდა აქ დროს, შენთან, მაგრამ შენის გულისათვის ქვეყნის ძრახვაზე ყური დავიყრუე. თვალები ავიხვიე და აქ, შეიდანში, გამოველ!.. ამ დროს კიდევ მოიპვის ქუჩიდან ხმა: ფეხისა და ლაპარაკისა, გრიგოლ და კეკელა ისევ ისე მიიმალებიან).

#### გამოცხადება მაცხრა

იგინივე და მიშაელნი

3-ე მიშაელი (მეოთხეს) Отвратительно кормит, отвратительно!.. нет, уж туда я больше не пойду.

4-ე მიშაელი (მესამეს) Гадость!.. То и дело: тухлый майнеси и ветчина... По моему, дочка у него вкуснее его ужинов!

3-ე მიშაელი (მეოთხეს) Нет, она не в моем вкусе: слишком уж

пылкая!.. (ესენი გაივილიან; გრიგოლ და კეკელა წამოდგებიან და ისევ ერთად შეიყრებიან).

გ რ ი გ ო ლ. (კეკელას) კეკეჯან! ხომ გსურს, რომ შეგირთო?

კ ე კ ე. რა კითხვაა?.. წელანაც გითხარ: თუ კი არა მსურდეს, არც აქ გამოვიდლოდი შენთან.

გ რ ი გ ო ლ. მაშ რატომ არ მომდევ? რათა ხარ ამის უარზედ, რომ ეხლავე წაგიყვანო?

კ ე კ ე. რათა, და იმიტომ, რომ ეგ საშუალება უკანასკნელი უნდა იყოს: ჯერ სთხოვე მამა ჩემს ჩემი თავი, იქნება უარზედ არ არის და როცა უარი გითხრას, მაშინ თუნდა ჯოჯოხეთში წამოგყვები!

გ რ ი გ ო ლ. შენთან — ჩემთვის ყველგან სამოთხე იქნება!.. მაგრამ, მე რომ მამა შენს ვიცნობ, იმის თანხმობის იმედი არა მაქვს ჩვენს ქორწინებაზედ... (ამ დროს ისმის ლაპარაკის ხმა ქუჩიდან; ერთი მოხუცებული კაცი მოდის, წინ ბიჭი მიუძღვის ფარნით; არშიყნი ისევ იქვე მიიმალებიან).

#### გამოცხადება მათმე

ივნივე მოხუცი და მისი ბიჭი

მ ო ხ უ ც ი. აქეთ მონათე, აქეთ... (ახველებს) უპუ, უპუ!... სავარცხელი სომ იქ არ დაგვრჩა?

ბ ი ჭ ი. (უნათებს წინ) არა, ბატონო.

მ ო ხ უ ც ი. რა ცხელი აბანო იყო და... ძალიან ვიბანე, მაგრამ ე გულის ქშენა მაინც არ მომეშო... უპუ, უპუ! (ახველებს ძალზე).

გ რ ი გ ო ლ. (ძეგლს უკან, მოხუცს) დახარობა!

ფ ა რ ნ ი ა ნ ი. (მოხუცს) ბატონო, თუ დაიღალეთ, პატარა ხანს დაისვენეთ ე მანდ, სკამზედ.

მ ო ხ უ ც ი. (ბიჭს) მითომ?.. აფხობმა რომ დაგვიჭიროს? უპუ. უპუ!

გ რ ი გ ო ლ. (ძეგლს უკან მოხუცს). ზახრუმა!

ფ ა რ ნ ი ა ნ ი. (მოხუცს) აფხობტს ჩვენთან რა ხელი აქვს?.. ვინც დასაქვრანი არიან, ისინი დაიჭირონ?..

მ ო ხ უ ც ი. (დაჯდება სკამზედ) დაგიჯერებ... დავისვენებ, მაგრამ არ გავცივდე კი?

ფ ა რ ნ ი ა ნ ი. რა გაგაციებთ? სიცხით ქვეყანა იწვის... შე დალოცვილო, ცოლი რომ შეგერთო, ხომ მოგივლიდა, გიპატრონებდა?

მ ო ხ უ ც ი. (ახველებს) უპუ, უპუ, უპუ!..

გ რ ი გ ო ლ. ღვთის რისხვა და ყიზილყურთი!

კ ე კ ე. (გრიგოლს) რა ღმერთი გაუწყრათ? აქ აპირობენ დაძინებას, თუ?..

მ ო ხ უ ც ი. (ბიჭს) ცოლი?.. რათ მინდა ცოლი?

ფ ა რ ნ ი ა ნ ი. ღამე გაგათბობსთ, ღლე მოგივლისთ, გიპატრონებთ, შეგიკვრავთ, დაგიკვრებთ... კიდევ სხვა რიგათაც გამოგადგებათ!..

მ ო ხ უ ც ი. (ჩაიცინებს და ახველებს) სხვა რიგათ აბა რაში გამოვიყენებ... და ხან-და-ხან რომ გამათბობდეს, ის კი კარგი იქნება!.. (სიამოვნებით იცინის; წამოდგება და წაველენ; გრიგოლ და კეკელა წამოდგებიან).

კ ე კ ე ლ ა. (გრიგოლს) ჰხედავ, იმ გადამხრჩველ ბებერს, რაებს ამბობდა?

გ რ ი გ ო ლ. აბა!.. მარტო მე და შენ ვერ ვასრულებთ ზეციურს დანიშ-

ნულუბას, თორემ... (ისმის ფეხის ხმა და ლაპარაკი; გრიგოლ და კეკელა მიი-  
მალეზიან იქვე და ამბობენ ერთხმად).

გ რ ი გ ო ლ და კ ე კ ე. რა ღმერთი ვაუწყრათ? ამაღამ რამ ასტეხა ეს  
ხალხი?..

### გ ა ვ ო ც ხ ა ლ ე ბ ა მ ი თ ე რ თ ე ბ ა ბ

#### ი გ ი ნ ი ე და გ ა მ ე ლ ე ნ ი

5-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეექვსეს). Нет, цельзя было проиграть, но он как  
будто в картах сидел — кажется подсмотрелли?

6-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეხუთეს). Да у тебя неверная была игра!... Пра-  
вильнее: ты должен был играть восемь, а не объявлять девять в червях.

5-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეექვსეს). Какой-ж ты смешной, право! Пять  
старших червей—это пять, и король сам—пять пик, ровная... вот и де-  
вять! как же игра неверная?..

6-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეხუთეს). Значит наверная, когда проиграл.

5-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეექვსეს). Вольно-же было ему, имяя туза пик с  
двумя пиковками, выходить с маленькой, которую ты взял козырем,  
а туза приберечь, чтобы особо взять...

6-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეხუთეს). На то игра, чтобы ловить приятеля...  
играл бы восемь.

5-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეექვსეს). Хочешь пари, что у меня было де-  
вять?..

6-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეხუთეს). Проиграл игру? — проиграеш и пари...

5-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეექვსეს). А если бы он вышел с туза, ведь я  
бы выиграл?..

6-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეხუთეს). Конечно... А если бы мы не выста-  
вили, то игра без игры была бы твоя... А так как мы, с тобою, не дети  
и не в жмурки играли, то и... А лучше, знаешь, что мы сделаем завтра?..

გ რ ი გ ო ლ (პუბლიკისაკენ). დასწყევლოთ ღმერთმა!.. ქუჩაშიაც ხომ ქა-  
ლადის თამაშობას არ აპირებენ? (კეკეს) მოდი ერთი წამოდგები და შევა-  
ფუცხუნებ...

კ ე კ ე, ნუ, შენი ჭირიმე!... რა ხუმრობაა? ყვირილი რომ დაიწყონ და  
ქვეყანა აქ შეყარონ...

5-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მეექვსეს) Нет, пари, пари!..

გ რ ი გ ო ლ. (წამოდგება და გამვლელებს) რომელია მანდ?.. Постой!..

6-ე გ ა მ ე ლ ე ლ ი (მოიხედავს და მეხუთეს) Что это?... боже мой! ка-  
жется тут не совсем чисто! пойдем, пойдем скорее.

(შირიზიან, კეკე წამოდგება, და გრიგოლთან მივა და იცინის) .

კ ე კ ე. ხა, ხა, ხა! სასაცილოა! რისა შეეშინდათ?.. ჩვენ იმით ვერიდებო-  
დით და ისინი კი ჩვენგან გარბიან!.. ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

გ რ ი გ ო ლ (პუბლიკისკენ) ძლივს არ მოვიცილებ?.. იმ ოხრებმა, ერთ

ტუზზე ერთი საათი ილაპარაკეს!... გაგონილა?.. (კეკეს) მაშ ხვალ. მაშაშენს შენს თავსა ვსთხოვ, მაგრამ, თუ უარი მითხრა?..

კეკე. მაშინ მეც ხელს გადაგხვევ და თან წამოგყვები...

გრიგოლ. მართლა?...

კეკე. შენს თავსა ვფიცავ!..

გრიგოლ. (პუბლიკისკენ) ნათქვამია: „დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელ ხარზედ უმძლავრესიაო“. მიყვარს ქალში გამბედაობა!.. (კეკეს) ოპ, შენ-ნ გულისა!.. მომეცი ეგ, ჩემი გამაბეზინებელი ხელი!.. (ხელს გამოართმევს და პკოცნის; ამ დროს უცებ გამოჩნდება ფარნაიანი ბიჭი და ისმის ლაპარაკის ხმა. გრიგოლ და კეკელა ისევ ისე მიიმალებიან).

### გამოცხადება მეთორმედი

ივინიე, არტემ მინაიჩი და მისი ბიჭი

არტემ მინაიჩი. (დავთრები უჭირავს ილღიაში და თავის მსახურს. დათიკას ემუსაიფება) ...ჰო და, ყოველთვის მუყაითი უნდა იყო, ფრთხილათ უნდა იყო... ქურდები, რაზბონიკები გახშირდნენ. მშვიერი ხალხი ბევრია, აქ-ლემს შექსჰამენ, ჰა!.. ფარანი წინ მომინათე.

კეკე. (პუბლიკისკენ) უი, მამა ჩემი!.. რალა ექნა?!

გრიგოლ. (პუბლიკისკენ). აი, შედი!.. პატარაც შეეცადნა მაგ დალოცვილს!.. რა ეშმაკმა მოიყვანა?..

დათიკა. (ფარანს ცხვირს წინ უნათებს არტემ მინაიჩს). ჰა, ბატონო!...

არტემ მინაიჩი. ყურუშსალო! ცხვირს ხომ არ დამწეამ?.. ავრე ხომ არ მითქომს ..

დათიკა. (ფარანს ცოტას დასწევს) ალავ! აქლემის შექმა რავარ იქნება?

არტემ მინაიჩი. ტუტუტო!.. ისე გითხარ, რალა, სიტყვის მასალა იყო. მაგრამ, შენ არ იცი, რომ კალმუხები აქლემსა სჰამენ?

დათიკა. კი, გემიგონია: ერთი ფეხი და გვერდი ექმევათო... კაი იმათ დაემართა, რავარ კაი ბეჰს ისინი მეიჰლიან!.. (მივლენ სახლთან და დათიკა კარებზე მუშტს ურაკუნებს ვარდო!.. ვარდუა!.. ვარდო! კარი გააღე, ალა მე-ვიდა!..

არტემ მინაიჩი. (შესძახის ხმა პტულად სახლში) ვარდოოო! ვარდოოო! გოგო!.. ტო, ახმან, კარი გამიღე და!.. (პუბლიკისკენ) ვა! გიყე?.. (ისევ შესძახის) გოგო! ვარდო!.. კეკე! შვილო, კეკეჰან!.. კარი გამიღეთ.

კეკე. (ლოყებზედ ხელს ჩამოისვამს, ეთომ იყაწრის) რალა ექნა?..

დათიკა. (კარს არაკუნებს) გოგო, ვარდო!.. არ გესმის, შე გაგლეგილის შვილო?.. ალა მევიდა, ალა!..

ვარდუა. (კარს უკან) ვინა ხარ? რა გინდათ?

დათიკა. ჩვენა ვართ, ალა მობძანდა...

ვარდუა. ვინ, თქვენა?

დათიკა. (გაჭავრებით) ალა, ბოშო!.. არტემ მინაიჩი და მე, შენი და-თიკელა!..

არტემ მინაიჩი. (დათიკას) ვა! შენ იმისი, ემე, საიდანა ხარ?..

დათიკა. არა, ალავ! ისთე. ტუეილა თავს ვაბრალე, რომ კარი გავეი-ლოს.

არტემ მინაიჩი. ახარ, რა დროს არნიყობის ემეა. ლუჰუ-ტ-წო?

ვარდუა. (კარს უკან) ჰო, ახლა კი მივხვდი!.. ვიცი ვინცა ხართ!..

დათიკა (ვარდუას) ვინა ვართ?

ვარდუა. ძალღები და არამზადები!..

კეკელა (თავისთვის) უი, დამიდგა თვალები!.. როგორ ილანძღება...

გრიგოლ. (პუბლიკისკენ) კარგა შეუქურთხა!

დათიკა. (პუბლიკისკენ) უი ჩემს თავს!.. (ვარდუას) ბოშო, გედირიე, თუ?.. აღას რაფა უბედამ ლანძღვას?..

ვარდუა. დიახ, აგრე გავბრიყვდები, რომ ქურდებს კარი გაგიღოთ!.. ღმერთი გაგატიალბოთ!..

არტემ მინაიჩი. (მიფერებით) ჩვენა ვართ, ვარდოჯან!.. კარი გააღე, შენი გულისა!..

დათიკა (არტემას) ალავ, რა დროს არშიყობაა!..

არტემ მინაიჩი. (დათიკას) ეპ, ტუტუტო!.. ისე ვეფერები, ტყუილათ...

ვარდუა. ტყუილათ?.. უკაცრავად? ვერ მომატყუილებთ... თქვენი მოსატყუარი კბილები დიდიხანია დავიცვალე...

არტემ მინაიჩი. (პუბლიკისკენ) გიჟე?

დათიკა (ვარდუას) გააღე, შე უბედურო, თორემ კარს შემოგამსხვრევს!..

ვარდუა. (კარს უკან) უი შენ თიასა!.. უკაცრავათ!.. აღამ ტყუილად კი არ დამარბია: „ფრთხილად იყავიო, ქურდებმა არ გაგაბრიყონო, კარი არ გაგაღებინონო“... ჰკვიანი კაცი ასე მიჰხვდება წინასწარს...

არტემ მინაიჩი (პუბლიკისკენ) მე ვარ ჰკვიანი?.. მე ვარი ვარ, რომ ამისთანა მაგარი დარიგება მიმიცია, და ვარდუა — ჰკვიანების ბატონია, რომ კარს არ ალებს...

დათიკა. (ღრეჯით) ვარდო! იწამე ღმერთი!.. გეგვილე კარი!.. ჩვენა ვართ... სამასამოცდახუთი წმინდა გიორგის მადლმა!..

ვარდუა. (კარს უკან) აბა, თუ თქვენა ხართ, თქვენი ხმა გამაგონეთ... მე ხომ ხმაზე გიცნობთ...

დათიკა. ვუი, წავხდი!... ბარე ერთი საათი შენ გელაპარაკებით და ვერ გვიცან?

ვარდუა. (კარებს უკან) ვერა...

დათიკა. აბა, რაფა გინდა?

ვარდუა. (კარებს უკან) აბა, თუ დათიკა ხარ, წვრილს ხმაზედ თქვი რამე... იმ ხმაზედ, კუნხაში რომ მელრანჰები ხოლმე...

დათიკა. (გაიწვრილებს ხმას) ვარდოს ჰირიმე, კარი გეგვილე!

ვარდუა. (გამოაჭარებებს) ვერა, ვერ გავალებ!.. აბა ახლა სხვილ ხმაზედ.

დათიკა (ბოხად) გემილე, გემილე.

ვარდუა. (კარს უკან) ვერა, ვერ გიცანი... აბა ახლა აღამ, ბოხ ხმაზედ ილაპარაკოს.

დათიკა. (პუბლიკისკენ) რაფა გვიცნობს, ეგ დასაქვევი, ხმა შეცვლილს?.. (ვარდუას) ბოშო! გვაგდებთ თუ?.. (არტემ მინაიჩს) ჰე, ალავ?.. აბა ახლა შენ!..

არტემ მინაიჩი. (ბოხ ხმაზედ) ვარდოო!.. კოკობო!

ვარდუა. (კარს უკან, თავისთვის) უი, დამიდგა თვალი! აქ ერთი თულუხჩი დადის, იმის ხმასა ჰგავს! (არტემას) აბა ახლა წვრილად!

არტემ მინაიჩი. (წვრილ ხმაზედ და თავშებრალბით, თან იღმანჰება) ვარდის კონავ!.. ვარდოოო! ქუ მატო! კარი გეგვილე, შენი პატარა გუ-

ლისა!.. (ტირილით) ვარდიკოთო!.. სურფ კარაპეტმა შეგეწევა!.. შენი მსუქანი ლოყების ჭირიმე!.. შამიშვი ჩემს სახლში!..

ვარდუა. ვის აბრეყებთ? სასაცილოდ მიგდებთ, თუ?..

დათიკა. (ვარდუას) ბოშო, გეღირიე? რაე ვაგდებთ?.. ვინ ვაგდებს?..

არტემ მინაიჩი. (ვარდუას) ახლა, გინდა გავჯავრდე?.. გააღე და ტუტუტო!..

ვარდუა. (კარს უკან) ვერა, ვერა! ვერ გიცნობთ ვინა ხართ! წადით საიდანაც მოთრეულხართ!.. ალამ არ მოგასწროს... წადით, თორემ წყალს გადმოგასხამთ!... (გაბრუნდება).

არტემ მინაიჩი. (პუბლიკისკენ) ხათა ე!.. ამისთანა ჭირმა იქნება, კაცმა თავის სახლში არ შაუშონ? (დათიკას) დათიკოო! შეილო!

დათიკა. (ცქვიტად) შენი ჭირიმე!..

არტემ მინაიჩი. ჩემი ჭირი შენ... მითხარ, ახლა სად ჯანდაბას წავიდეთ?

დათიკა. სადაა, ბატონო, ჯანდაბა?

არტემ მინაიჩი. ეშმაკმა იცის, — მე რა ვიცი!..

დათიკა. ეშმაკებთან, ჭე, რა გვინდა?.. დასწყევლოს სამასამოცდახუთდა წმინდა გიორგიმ და სახულისა ღვთისმშობელმა!.. (მცირე ფიქრს შემდეგ) ალავ!.. მოდი ერთი ვქნათ!..

არტემ მინაიჩი. რა, ემე, ვქნათ?

დათიკა. თქვენ ემანდ სკამზე მოისვენეთ (ანიშნებს სკამიკას, რომელიც მისი სახლის პირდაპირ დგას) და აქეთურს სკამზედ მე დავეგდები... ცოტა დევიძინოთ და მერე, ჭეე გათენდება...!

არტემ მინაიჩი. მეტი რა ჩარაა! მაგრამ აფხოტი რომ დაგვიჭიროს?..

დათიკა. აფხოტი რაეა დეგვიჭერს, შენს სახლში?..

არტემ მინაიჩი. ხათაც ეჯაა, რომ ჩემს ოხერ სახლში არა ვარ და?.. ღმერთმა ამოაგდოს ვარდუას თავმა!.. (მივა და წამოწევა სკამიკაზედ. დავთრებს თავქვეშ დაიდებს; დათიკაც მეორე სკამიკაზე დაწევა) ვახაე! აი სოვდა!.. ჩემს სახლში აღარ მიშვებენ!..

დათიკა (თავისთვის) ამ უბედურს ჩემს აღას, რამ ეშმაკმა ათქმინა: „კარს ნუ გამოიდებო“... ახ, ვარდო, ვარდო! ამ ხმელ ფიცარზე წოლას, შენთან წოლა მირჩევნია, მე და ჩემმა ღმერთმა!..

არტემ მინაიჩი. ჰე, მახლას!.. ესეც მოვიდა ჩემ თავზე?.. ახ, ბალიშო, ჩემო რბილო ბალიშო!.. რა მუქათაა გდინარ და!... დღეს შაფათია, მოდი აბანოში მაინც წავალ, მასუკან კადეც გათენდება... (ამოიღებს ბურნუთის კოლოფს და ბურნუთს სწევს).

გრიგოლ. (თვალმზებედ ხელს ისომს) ამ ოჯახ დაქცეულმა თვალები ამიმსო ბურნუთით! (ცხვირს აცემინებს).

არტემ მინაიჩი. (ამ ხმაზედ წამოხტება) ტერ ასტავაე!.. ეს ოვე?.. ვაიზე, რაზბონიკი!.. (გრიგოლ წამოვარდება და გაიქცევა).

დათიკა (წამოვარდება ცქვიტად) ჰეი, ჰეი!.. რა იყო, ალავ, რა?..

არტემ მინაიჩი. მიშველე, დათიკაე! მამკლა რაზბონიკმა!.. აქ იყო, დამალულმა... (ანიშნებს ძეგლზე).

დათიკა (გადაჰხედავს მეორე ძეგლს და კეკეს რომ დაინახავს) უიპე, ალავ!.. მომეხმარე, ჭინკა!.. (არტემასკენ გაიწევს).

არტემ მინაიჩი. ჰიქა, კი არა, ვირო რაზბონიკი იყო!

დათიკა. ალავ, ჰიქა კი არა, ჰინკა!.. მოვიდა მაქანა!..

კეკე. (წამოდგება და მამისკენ მიდის) მე ვარ, მამავ! რისა გეშინიანთ?..  
ეხლავ მოგახსენებთ ყველაფერს... (დათიკა უკან უკან იწევს).

არტემ მინაიჩი. (კეკეს) 'მენა, შვილო!.. აქ რას აკეთებდი. პა?

დათიკა. (შეშინებული) პა, პა, პა, პა, პა, პა, პა!.. ეუ, ეუი!.. არ დაუ-  
ჯერო, ალავ, ჰინკა, ჰინკა! შენს ქალიშვილად გეჩვენება... პუ, პუ, პუი! (უკან  
იწევს).

არტემ მინაიჩი. (შემკრთალი) ჰინკა რა არის, ვირო. არ იტყვი?

დათიკა. (არტემს) ჰინკა?.. ეშმაკი, ალავ, ჰინკა!..

არტემ მინაიჩი (ჩაჯდება მოედანზე და დათიკას) ეშმაკი?!.. (კეკე-  
ლას) იქით! იქით!.. ახლო არ მოხვიდე!.. (პირჯვარს იწერს) სურფ-კარაპეტ!..  
(კეკელა ცოტ-ცოტა წაიწევს მამისკენ; დათიკა პირჯვარს იწერს: არტემ მინაი-  
ჩი უყვირის) ყარაულ!.. ჩასტის აფიცერ!.. მიშველეთ! (კეკელა ხან ერთს  
უყურებს გაშტერებული და ხან მეორეს).

### ფარდა დაეშვება.

#### მოკმელება მეორე

თეატრი წაშობადგენს არტემ მინაიჩის კაბინეტს, რომელიც არის ევროპულად მოწყობი-  
ლი, მაგრამ პოლი ხალიჩებით არის მოფენილი და ამ ოთახში, პირ-და-პირ, ერთ-პატარა  
ტახტიცა სდგას, რომელზედაც ზის არტემ მინაიჩი, მუთაქა უძევს მუხლზე და კრილო-  
სანს ათამაშებს.

#### გამოსახლება პირველი

არტემ მინაიჩი. ოჰ, დღეს მე ბევრმა მეძინა... კაი ძილი გამოვაც-  
ხე... წუხელის სულ არ მიძინებია... ის ყურუშსალი გოგო, კარმა არ გამიღო და  
დავრჩი უძილოთ, მერე კიდენ რაზბონიკი, მერე კიდენ ეშმაკები, მერე ქაჭე-  
ბი, მერე ვილაც ჰინკებიანო... ერთ ყალბათ, გავგიჟდი რაღა!.. არა! ეშმაკი ხომ  
ეშმაკია, მაგრამ ჩემი ქალი, ჩემი კეკელუას ეშმაკობა განა გავგონილა?.. თვა-  
ლით ვხედავდი და დათიკა მეუბნებოდა, რომ ეშმაკი იყოვო... თუ ეშმაკი  
იყო, ნაშ ვარდუამ რომ ჩვენ ყვირილზე, სულ ბოლო დროს, კარი გავეიღო,  
ჩემს სახლში რაღათ შევიდა?.. ვაი თუ კუდიანია?.. არა! ჩემი ქალი მე ვიცი,  
რომ კუდი არ აბია... ვაი თუ აქ ეშმაკებმა დაიბუდეს?.. (აქეთ-იქით იყურება)  
აქ რომ შვილები გამომიჩვენონ?.. წუხელ კეკელამ თქვა: „მე ვიყავიო“, დათი-  
კამ თქვა: „ის არ იყოვო, — ჰინკა იყოვო და კეკელუათ გეჩვენაო“... დღეს  
კიდევ კეკელუამ თქვა: „მე არა ვყოფილვარო“... ეშმაკმა იცის მაგათი თავი,  
რომელი იყო: — კეკელო. თუ მართალი ეშმაკა?.. კაი საქმე იქნება, თუ ყველა-  
ფერი ეშმაკათ მეჩვენა... არა! თუ ეშმაკები სხვა-და-სხვა ემეებათ მეჩვენა: ხა-  
ლიჩათ, ჩოხათ, სკამი, სტოლი, ფულმა... (ლიმილით) ვა! ფულათ რომ მეჩვე-  
ნოს!.. ფულები რომ გახდნენ ეშმაკებათ... არა, რას ვამბომ?! ეშმაკები რომ  
ფულებათ გახდნენ, ოქროებათ და ჩემმა ზანდუკებმა გაამსონ, — რა კარგი  
იქნება და?.. მაგრამ, რათ მინდა? ზომ ისევ ეშმაკათ იქცევინან?.. ოჰ, დღეს რა  
ცუდი სიზმარი ვნახე!... ერთი ეშმაკმა მოვიდა, ყელში კლანჭები მტაცა,



ცხვირზე გაზი მომიპირა, მერე ჩემი ცხვირიდან ერთი გრძელი, გრძელი თევზი გა-  
შოძვრა, მერე ქალათ იქცა, მერე ჩრტათ—და გაფრინდა!.. ეს ჰიკედლის ნი-  
შანმა არ იყოს?! უნდა მოვეკდე? (ტირის) ჩემი დოვლათი, ჩემი კეკელუა,  
ვის დარჩეს?!.. აფსუსი არ არის?.. რამდენი დავიდარაბით მიშოვნია! (მცირე  
ფიქრის შემდეგ) მოდი ერთი ჩემი დოვლათმა ანგარიშები ვნახო, ანდერძივით  
ემე, ვქნა, თორემ, რა ვიცი, რა მოხდეს?.. (მივა სამწერლო სტოლთან, დავთ-  
რებს გადმოაწყობს, კითხულობს თვითო მუხლს და სჩოტზე აგდებს).

ორმა ათასმა თუმანი ნაღდი ოქრო და ვერცხლი... (ალტაცებით) ვახაქ!..  
ათას შვიდასი თუმანი ბილეთები... არც ეს არის ცუდმა!.. ხუთასი თუმანი ვექ-  
სილმა დავით ქარაფშუტაძისა... ამისი სარგებელიც ორი წლისა, აბაზობა-  
ზედ, — ორას ორმოცი თუმანი... ეს შვიდას ორმოცი თუმანი... არც ეს დასძმა-  
რავს გულს!.. ასი თუმანი მეღქონ ქონაძის ბარათი... მაგრამ, რას გამოვართ-  
მევ? კუტარია... დაიქცეს იმისმა ოჯახმა!.. რა ფულები წაიღო და?! შვიდას-  
ორმოცი თუმანი გრიგოლ სირამაძისა... ხუთასი იმანაც წაიღო, სარგებელიც ზედ  
შევაწერე... გახდა შვიდასორმოცი თუმანი, ტუტუცი! რა აქლემი გახდა და?..  
ორ თევზე აღარა ჰქონდა კაპეიკმა!.. სამასსამოცდროთხი თუმანი და ოთხი აბა-  
ზი ბამბის მოგება... ხუთასორმოცდროთხი თუმანმა და ცხრა მანათი და  
ერთი აბაზიც მატყლის მოგება... ბამბა და მატყლის გაგზავნა სტამბოლში, ორ  
ნაირი მოგება, ზარაფული ანგარიშია... ფული რო გაგზავნო, სართაფი ხან  
მეტი აქვს, ხან ნაკლები: ის ოხერი ხან აიწევს, ხან დაიწევს... ორთაქალის და  
კრწანისის ბაღები... ესენიც ღირს ათასი თუმანი. ისეთი ბალი იცის, თითო  
მარცვალი თითო თუმანი ღირს!.. ჩორსო ბაზარში დუქნები — რვაასი თუმა-  
ნი... ეს სახლიცა ღირს შვიდასი თუმანი... ახლა წვრილი გავალბული, ვეჯი,  
ნივთი — იქნება ერთი ორიათასი თუმნისა... სულ შესდგა: — ათიათასი თუმნი-  
სა... დოვლათი არ არის, აბა რა ეშმაკია?.. ოჰ, ეს რა ვთქვი?.. სულ ეშმაკმა  
რომ მომღის პირში.. (აფურთხებს) თფუ, ეშმაკო!.. თფუ!..

### ბამოცხააზაა ზმორა

#### იგივე და ლათია

და თ ი კ ა. ალაქ!.. ვინცლა კაი კაცია, თქვენს ნახვას ნდომულობს.

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. თფუ, ეშმაკო!..

და თ ი კ ა. (უკან უკან დაიწევს) პუ, პუ, პუ, პუ, პუ, პუ, პუი!.. სადაა  
ეშმაკი, ალაქ? სად ჰხედავთ!..

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (შეჰკრთება, წამოვარდება კრესლოდგან და და-  
თიკას) რა იყო, რა?.. რა გავეირებს, ტო, ახმახ!..

და თ ი კ ა. სადაა, ალაქ, ეშმაკი?..

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. ეშმაკმა წაიღოს შენი თავმა!.. შემაშინე, ყურემ-  
სალო!.. რა გალრიალებს, ვირო?.. რისთვის შამოხველ?..

და თ ი კ ა. ვინცლაა, თქვენი ნახვა უნდა.

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. ჩემი ნახვა — რა, მზეთუნახვი ვარ, თუ?..

და თ ი კ ა. (იქით) ისემც კაი დაგემართა!.. (არტემას) არა, ალაქ, საქმე  
მაქსო.

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. უთხარი, ალა სადილზე ზის თქო.

და თ ი კ ა. იიმე! სიმერუე რავე უთხრა!.. სადილი ქვე აკი მიირთვი?..

არტემ მინაიჩი. ტო, ვირო, შენ რა დავასა სწყევ?... ეხლა დიდმა კაცები საღამოზე სვამენ სადილს... არ იცი?... ექვს საათზე.

დათიკა (პუბლიკისკენ) საათისა ქვე რა მოგახსენო! — მე, რაეც მომ-  
წივა, ისეთ ვიახლები... (არტემ მინაიჩს) კი, ბატონო, მარამ ძალუანი გაჭირ-  
ვებული საქმე მაქვსო.

არტემ მინაიჩი. უთხარი, ალას სძინავს თქო.

დათიკა. (პუბლიკისკენ) რაეა სძინავს? მამალი მგელივით პრაწავს თვა-  
ლებს!.. (არტემას) ალავ, აკი გეძინათ ექნობამდის?

არტემ მინაიჩი. (წყრომით) ტო, ახმან! ხელს არ აიღებ?... ეს ინჩ  
კრავე?... გადი მეტი, და! (დათიკა გავა).

არტემა. (პუბლიკისკენ) ამისთანა ვირი მე ორი არ მინახავს, მე და  
ჩემმა სიყმემ! ახლანდელი ადვოკატებივით ჩამომეკიდა, ყურუმსალი!.. ილაჭი  
წაიღო!..

### გამოცხადება მისამ

დათიკა. (ისევ შემობრუნდება) ალავ!

არტემ მინაიჩი. (დათიკას რომ დაინახავს, თავისთვის) ტერ ასტა-  
ვაც!.. ვა, ამისთანა იქნება?... (დათიკას) კიდე რაო?

დათიკა. ისეთი საქმე მაქო, რომ შენს ალასაც იამებო!..

არტემ მინაიჩი. ვინ არის? რა საქმე აქვს? ერთი გროშათ ღირს?...  
დათიკა. გროშად კი არა, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, იმას რომ ზედ  
სირმა და ვერცხლი აქვს, ის ღირს ათას მანეთად!.. გრიგოლ სირმაძე გახ-  
ლავს...

არტემ მინაიჩი. სირმაძე?... მეტი ჩარა არ არის!.. უთხარ მობრძან-  
დეს (დათიკა გავა; არტემ მინაიჩი თავისთვის). ფულისთვის იქნება... ჯიბეს-  
თან უნძრახათ არის, ჭკუასთან — მწყურალათ... დავთრები დავმალო, ჩემი დოვ-  
ლათის ანგარიში არ შაიტყოს (დავთრებს მალავს).

### გამოცხადება მიოთხა

#### იგივე და გრიგოლ

გრიგოლ. (შემოვა და თავს უკრავს არტემას) არტემ მინაიჩს ვახლა-  
ვარ!.. როგორ მშვიდობით ვიკითხოთ!..

არტემ მინაიჩი. ზდრასტი, კნიაზ!.. დაბრძანდი... (ხელს ჩამოართ-  
მევს და დასხდებიან) რა მშვიდობაა, ალებ-მიცემა აღარ არის, კოტრობაა.

გრიგოლ. თქვენ, მაინც, რა გიჭირთ?

არტემ მინაიჩი. კნიაზის მზემ, კაპეიკი მენატრება!.. ვისაც მივე,  
აღარ მაძლევენ. ლამის მეც სულში წავიდე...

გრიგოლ. ჩემზე თუ ბრძანებთ, მე მალე მოგართმევთ თქვენს ფუ-  
ლებს!.. აი, ეხლა კაცების ფული რომ გვიწყალობა ხელმწიფემ, იქიდან მო-  
გართმევთ...

არტემ მინაიჩი (ამას რომ გაიგებს, იამება და ეშმაკურად ჩაიცი-  
ნებს) შენზე არა, მამიჩემის ცხონებამ!.. გნებამს ატსროჩიტს გიზამ?... ექვსი-  
ლი კი გამოვცვალოთ... მაგრამ, რახედ გარჯილხარ, კნიაზ?... ფული ხომ არ  
გნებავდა?

გრიგოლ. არა, მაგრამ ფული ხომ აღარც თქვენა გქონიათ?

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (ღიმილით) ჯანჯლებისათვის არა მაქვს, თორემ შე-  
ნისთანა კნიაზისათვის, რამთენი ემეც გნებავს... გინდა ვისესხებ, ჩემმა სიყ-  
მემ, და მოგცემ?..

გ რ ი გ ო ლ. გმადლობ, არტემ მინაიჩ! მე ფული არ მინდა... მე სხვა სათ-  
ხოვნელი მაქვს...

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. კნიაზ! ფოდრათში ხომ არ აპირობ შესვლას?

გ რ ი გ ო ლ. რა ჩემი საქმეა ფოდრათი!.. გატეხილი უნდა გოთხრათ: მე  
მომწონს თქვენი ქალი, კეკე, და გთხოვთ მე მომცეთ... გარწმუნებთ, ისე  
შევიწინებ, როგორც ჩემს ორსავე თვალებს!..

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (წამოდგება და პუბლიკისკენ) რაო? ქალიო?!... ეს-  
ტი მუტიკარა!.. რა კაცია?.. „მე მომეცით“ — ასე ჰგონია იაღლო იყოს!..  
„მომწონსო“... მეც ბევრი რამ მომწონს, მაგრამ ვინ მამძღვეს?!..

გ რ ი გ ო ლ. რას ჰფიქრობთ, არტემ მინაიჩ? რა პასუხს მამძღვეთ?

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (გრიგოლს) კნიაზ! ძალიან კარგათა ბრძანებთ, მაგ-  
რამ, მე რომ ქალი არა მყავს?

გ რ ი გ ო ლ. (გაშტერებული) როგორ თუ ქალი არა გყავთ?..

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. ისე... არა მყავს, რაღა!.. ვინ მომცა?..

გ რ ი გ ო ლ. რას ბრძანებთ? ხუმრობთ თუ?!

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. არა კნიაზის მზემ!..

გ რ ი გ ო ლ. მაშ კეკე ვისი ქალია?

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. ვინ კეკე, არ ვიცი?..

გ რ ი გ ო ლ. თქვენსა რამ არის?..

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. არა. კნიაზ, იანლიში ხარ!.. ჩემი ბიძას, ემე, თუ  
გინახამს აქა?..

გ რ ი გ ო ლ. კეკელა ჰქვიან?

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. არა.

გ რ ი გ ო ლ. მაშ ის არა ყოფილა... მე რომ ვამბობ, იმას კეკელა ჰქვიან,  
თქვენსა რომ არის...

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (იქით) მეტი ჩარა არ არის. ერთი რამ უნდა უთხ-  
რა... (გრიგოლს) პოოოო! ახლა კი მივხვდი... ვიცი ვინც მინახამს...

გ რ ი გ ო ლ. ვინა?

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. ჩემი ქალი.

გ რ ი გ ო ლ. პო, და მეც იმას გთხოვთ... ავი ქალი არა მყავსო?

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. ეპ, კნიაზ! არა მყავს, ამიტომ რომ მე რომ ქალმა  
მყავს, იმისთანა შენი მტრის ოჯახმა ნახოს! ტუტუცი, საძაგელი, ფინთი, სნე-  
ული, ერთი უხეირო ვინმეა!... აგერ საცაა მოლოზნათ მიდის კუსების საყ-  
დარში... მაგისთანა ქალი უნდა თქვას კაცმა: „არა მყავს“!.. მეც იმიტომ ისე  
გოთხრამდი...

გ რ ი გ ო ლ. (გაშტერებული) რა ბრძანებაა?.. იმის სულელობა, ან სნეუ-  
ლობა — ვის გაუგონია?

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. ვა! ჩემი საქონლის ამბავი მე უკეთ არ ვიცი?.. შენა  
სადა ჰნახამდი?..

გ რ ი გ ო ლ. თუ არ მენახოს, ხომ არცა გთხოვდით...

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (იქით) საყდარში თუ უნახამს? (გრიგოლს) შენ იმას  
არ იკადრებ — თავადიშვილი ხარ... შენი ცოლი უნდა ტანცი ქნას... აბა ტუტუცი  
როგორ იტანცაოს? ერთი ვნახოთ, ხელი რომ წაავლე, მოუარა ტუტუცობა,  
ერთი ლაზათიანი ალიყული გვრა ყბაში... მერე?..

გრიგოლ. თქვენ ნუ სწუხართ, მე ყაბულსა ვარ... არ დაეიწუნებ.  
არტემ მინაიჩი. კარგი, კნაზ, მაგრამ ალიყული თუ არ დაიწუნებ, ქალი?.. ჯერ ქალი ვკითხობ — ეხლა მოდნა ისეა.  
გრიგოლ. ჩვენ მოდას რას დავდევთ?.. მაგრამ, თქვენი ნებაა, კვითხეთ?.. აბა დაუძახეთ!..

არტემ მინაიჩი. ვა, ასე თათარიანხეთ?... ლილახანა ხომ არ არი?..

გრიგოლ. თუ გსურთ მოცემა, რაღას აგრძელებთ?..

არტემ მინაიჩი. (იქით) ვინ პარამზადასა კსურს!.. (გრიგოლს) კნაზ! პატარახანს მიბძანდი. პრაგულიაცა ქენი; მაციონი გააკეთე... ახარ, შენთან შერცხვება... მერე მობძანდი, ერთს საათს უკან და პასუხს შეიტყობ, რალა?

გრიგოლ. კარგი, თქვენი ნებაა (წამოდგება და გავა).

არტემ მინაიჩი. (იძახის) კეკე! კეკე!

### გამოცხადება მახუთთ

### იგოვე და კეკელა

კეკელა. ჰამე!

არტემ მინაიჩი. აქ შამოდი, შვილო!

კეკელა. (შემოვა) რას მიბძანებდით, ალაჯან?

არტემ მინაიჩი. მოდი, შვილო აქ დაჯექი...

კეკელა. (დაჯდება) შვილო! კეკე!.. გათხოვება არ გინდა?..

კეკელა. (დარცხვენით) რა კითხვია?..

არტემ მინაიჩი. ვა! ახარ, ხომ უნდა ვინმეს მივცე შენი თავმა?..

კეკელა. მე „ვილასაც“ არ წაყვები.

არტემ მინაიჩი. აი, ჭკვიანი!... სულაც ნუ წაჰყვები! ასეთი აზიზათ შეგინახამ, როგორც კნარეიკა!..

კეკელა. თავის დღეში რომ არ გათხოვდე, მაგის პირობას ვერ დავსდებ; მაგრამ „ვილასაც“ კი არც მე წაყვები!..

არტემ მინაიჩი. (იღმანჭება უსიამოვნოდ და პუბლიკისკენ) აი, ახლანდელი ქალები!.. (კეკეს) იცი, რა?.. ის, ემე, გრიგოლ სირმაძე... ტუტუცი ქართველმა... იმან თხოულობს შენმა თავმა... აბა, ვიცი რომ შენ იმას არ შეირთამდი და მეც რა სიტყვას მივცემდი? ატკაზი, რალა!... ერთი შატა, პუტა, ლოთი ვინმეა!...

კეკელა. სულაც არა!.. რატომ არ შევირთამდი?.. იმას რა უჭირს?

არტემ მინაიჩი. (გაკვირვებით) შენ იმან სად გინახამს?

კეკელა. თქვენ რა გენალვლებათ?.. მე კი ვიცნობ და!..

არტემ მინაიჩი. (იქით წყენით) ვა! „რა გენალვლება“?.. მაშ ვინ გასწევს ნალვებამ?.. (კეკეს ხვეწნით) კეკე! შვილო!.. შენ თქვი გრიგოლ არ მინდათქო და ასეთ კაბას გიყიდი, რომ ჩინეთში არ იყოს იმისთანა, ჰა!..

კეკელა. არ შემოძლიან მაგისი თქმა!

არტემ მინაიჩი. თრეთარშიაც წაგიყვან, აი!..

კეკელა. უთქვენოთაც წავალთ თეატრში, როცა გაეთხოვდები...

არტემ მინაიჩი. იმას შენი სიყვარული კი არ აქვს, ჩემი ფულებო

უნდა...

კეკელა. ეგ მე უკეთ ვიცი, ვინც უყვარს ამას!  
არტემ მინაიჩი. (იქით) ამისთანა იქნება? რა დავი-დარაბაში ჩავარ-  
დი?!.. (კეკელას, მიფერებით) ასეთს მლიდარს სოვდაგარს მიგცემ, რომ სულ  
მუშტის ტოლა იაგუნდები დაგვიდოს, სულ მარგალიტები შეგასხას...

კეკელა. არ მინდა.. საჭირო არ არი!  
არტემ მინაიჩი. (იქით) გიყე?

ბამოცხადება მემკვსა

იგინიე და გრიგოლ

გრიგოლ. (არტემას) მეც აქ გახლავარ! (კეკელას) კეკელას ვახლავარ  
უმორჩილესი მონა და მსხვერპლი! (კეკელა წამოდგება და თავს უკრავს ლი-  
მილით).

არტემ მინაიჩი. (შეკრთომით იქით) ვა! საიდან იცნობს ამას? რა  
დროს მივიდა!... ბუღბუღლივით ჭიკჭიკობს, მე კი არა მკითხამს! (გრიგოლს)  
კნიაზ, ასე მალე?.. დაბძანდი... (კეკეს) შენ კი წადი, შვილო...

კეკელა. რისთვის?.. რათ წავიდე?..

არტემ მინაიჩი (კეკელას, ჩუმად) თუ არ მიხვალ, მაშ გახსომ-  
დეს, პა, ჩემი სიტყვებმა! (გრიგოლს) დაბძანდი, რალა, კნიაზ!..

გრიგოლ. გახლავართ! (დაჯდება).

არტემ მინაიჩი. (გრიგოლს) აკი გებნებოდი, ჩემი ქალი. ემე, არა  
შვრება, მეთქი!

გრიგოლ. (არტემას) როგორ?

არტემ მინაიჩი. (გრიგოლს) არა თხოვდება...

კეკელა (მამას) მე ეგ არ მომიხსენებია.

არტემ მინაიჩი (კეკელას წყრომით) სუს კაც! (გრიგოლს) პო. ქარ-  
თველი არ უნდა, სოვდაგარი ვინმე უნდა.

გრიგოლ. (კეკელას) მართლა?... თქვენა ბრძანეთ უარი ჩემს თხოვ-  
ნაზე?...

კეკელა. (გრიგოლს) სულაც არა! მე თქვენს მეტს არავის ვირთავ!..

გრიგოლ. (არტემას) ახლა ხომ დარწმუნდით, არტემ მინაიჩი?..

არტემ მინაიჩი (პუბლიკისკენ) ეს ინჩე ასუმ? გესმით?.. ახლა რალა  
ვქნა? ხედავთ, რა ოინი მოდის ჩემს თავზედ? (თავს აქნევს) ვაი დალუპულო  
ოჯახო! (მანამ არტემ მინაიჩი ამას ლაპარაკობს, გრიგოლ და კეკელა ერთმა-  
ნეთს ესაყვარლებიან).

არტემ მინაიჩი. (გრიგოლს) ნუ დაიჯერებ, კნიაზ, მტრის ენაა!.. მა-  
გას სხვა ვინმე ჰგონიხარ, ქულაჯოვიანთ სერგო ჰგონიხარ...

კეკელა. (მამას) უეაცრავათ!.. მასულელებთ, თუ?!..

არტემ მინაიჩი. (კეკელას წყრომით) წადი შენს ოთახში!.. ბევრი  
ზირთი-ფურთის თავი არა მაქვს!..

კეკელა. (მიდის და მამას ეუბნება) თქვენი ნებაა!.. მაშ მშვიდობით,  
სრულებით!..

არტემ მინაიჩი. (პუბლიკისკენ დაციანების სახით ჩაიციანებს) გამი-  
წყრა ჩემმა ქალმა! კუსების საყდარში არ წავიდეს მოლოზნათ? რალა მეშ-  
ველება და!.. (კიდევ ჩაიციანებს პლუტურად).

გრიგოლ. არტემ მინაიჩი! მე ვხედავ, რომ თქვენ წინააღმდეგი ხართ

თქვენის ქალის სურვილისა ჩემზედ ჯვარის წერაზედ... თუ აგრეა — ახლა მე ვიცი!.. მშვიდობით! (წამოდგება და გავა).

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (დაცინების სახით ჩაიცინებს და პუბლიკისკენ) ესეც გამიწყრა! რა გროზნი ვინმეა და!.. (მიმავალს გრიგოლს) ასე არა ჰქნა, პოლიციაში არ დამაჭერინო!.. (იციინს) ხა, ხა, ხა, ხა!. (პუბლიკისკენ) რა ტუ-ტუცია?! ძალით უნდა ქალი მივცე?.. ორ დღეში ის, ემე, ქნას... ჩემი დოვლათი აქლემი გახადოს!.. რა კაცია?.. (ღიქრობს) მოდი ეხლა და პანციონში ქალები გაზარდე!.. ჯაქვით ვეღარ დაამაგრებ, ჰა!.. ჩემი ქალმაც თამამათ იძახის (ვითომ კეკეს აჯავრებს), „ეს მინდა!..“ „ეს არ მინდა!..“ რა კაცია?!.. ქმარი, ასე ჰგონა, საკაბე იყოს!.. (ამ დროს გარედან ისმის ხმა დათიკას ყვირილისა):

„დევიფსეთ, ალავ, დევიფსეთ!.. წეიყვანეს, შეიტაცეს!“..

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (აქეთ-იქით იყურება გაშტერებული) ინჩხაბარე? რა ამბავია? რა აყალ-მაყალია?..

### გამოცხადება გეგვიდო

იგივე და დათიკა

და თ ი კ ა. (შემოვარდება ტირილით) დევიფსეთ ალავ! შენი ქალიშვილი! შენი ქალიშვილი!...

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (გაშტერებული) რა გაღრიალებს. ვირო?.. ვინ მისცა ჩემ ქალს შვილი?

და თ ი კ ა. შვილი კი არა, კეკელა წაგართვეს!.. გეიქცა, გეიტაცა...

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. ვა! მოიტაცა, განა ჰალა-ჰალაა?.. შამილობაა?.. ვინ გაიქცა, ვინ მოიტაცა?

და თ ი კ ა. კეკელა, ალავ, კეკელა!.. აქ რომ თავადიშვილი მევიდა, იმან შეიტაცა, იმას გეჰყვას!..

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (თავში შემოიკრავს) ვაი, მერნუმიმ!.. მოვკვდი! ვაი, ოჯახო!.. (დარბის ოთახში) ყაჩაღ! ჩასტის აფიერ! მიშველეთ! დათიკავ; მიშველეთ... (ჩაჭდება პოლზედ მძიმედ შეწუხებული).

და თ ი კ ა. არ იქნა, ალავ, გემოუდგეთ!.. თოფი და ლეკური!.. კაი, მაგათ!.. (მირბის თოფისა და ხმლისათვის).

ა რ ტ ე მ მ ი ნ ა ი ჩ ი. (გაწვება და ფეხებს იქნევს) მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!.. ვკვდები!.. შვილო, კეკელო ვაიმე, კეკელოჯან... მერნუმიმ!..

### გამოცხადება მირვი

იგივე და დათიკა

(დათიკა შემოიტანს თოფს და ხმალს; არტემას დასცქერის, რომელიც გმინავს მომაკვლავსავეთ)

და თ ი კ ა. (პუბლიკისკენ) ვუბედური!.. რავე აფშლევს ფეხებს!.. რავე ურა ჯორივით ტლინკებს ჰყრის?.. ქალიშვილის დაკარგვა ასთე ძნელია, აპა!.. რავე მიატოვა მამა, იმ ვუბედურის შვილმა?.. მარამ, ნათქვამია: „დედაკაცმა თუ გეიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესიაო“... (არტემ მინაჩის) ალავ, რა დაგემართა?.. ალდე, გამოუდგეთ!..

არტემ მინაიჩი. (ფეხებს აქნევს და ხმა გაწვრილებით და გაგრძელებით) ვკვდები!.. მოვევდი!.. მზა... ო... ო... ო... ვკვ... დაიი!

დათიკა. (პუბლიცისკენ) დასტურ კვდება, თუ მცროსობს?!.. (დაპხედანს არტემ მინაიჩს, უცებ თოფსა და ხმალს დააწკობს და იმ წამში თავში წაიშენს და ტირილით და მოთქმით) ვუი ჩემს თავს, ალავ!.. რაეა გაუბედურდი ამ დოვლათის პატრონი!.. რაეა უპატრონოთა კვდები!.. დედა. დედა!.. (დაიჩოქებს და ყურს დაადებს არტემ მინაიჩს, რომელიც გმინავს; დათიკა წამოდგება ჩარექას ხელს წამოაველებს და წყალს ასხურებს არტემ მინაიჩს).

არტემ მინაიჩი. (დათიკას ნაზის ხმით) რას შერები, ახმას!.. მე ჩემი ჰირმა არ მეყოფა?.. ვერა პხედავ, რომ ვიწვი?..

დათიკა. კიდევ მისთვის გასხამ, ალავ!.. (ასხურებს წყალს).

ფარდა დაეშვება.

## შენიშვნები და კომენტარები

### ბიორბი ერისთავი

გიორგი ერისთავის ხელნაწერებს ინახავდა მისი შვილისშვილი — ელისაბედ დავითის ასული ერისთავი (1884—1968), რომელმაც ჩიღღარი არქივი თავისი პაპისა და არანაკლებსა ხელოვანი მამის — გალასცა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურისა და ქართული თეატრის მუზეუმებს. ამ არქივში აღარ იყო ბევრი ისეთი ექსპონატი, რომელიც სრულად დაახასიათებდა ქართული თეატრის განმაახლებელს — გიორგი ერისთავს და მის შემოქმედებას. მ-ნი ელისაბედი უჩიოდა ზოგიერთ მკვლევარს, რომელთაც ისარგებლეს ერისთავთა ბიბლიოთეკით და ხელახვეს ბევრი რამ (მაგ., ეურ. „ცისკრის“ 1852—1853 წწ. კომპლექტები). ჭერჭერობით ისინი დაკარგულია მკვლევართათვის. იგი არ იყო კმაყოფილი ზოგიერთი ნაშრომისა, რომლებიც ერთვოდა მისი სახელოვანი პაპის გამოცემებს (მაგ., 1936 წლის გამოცემა). ან იბეჭდებოდა ნარკვევთა წიგნებში და კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა.

გ. ერისთავთა თხზულებები 1832 წლიდან იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. პირველი მისი ნაბეჭდი ნაწარმოებია „ოსური მოთხრობა“, ისტორიულ-რომანტიკულ პოემა, გამოქვეყნებული ეურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (№№ 2, 3, და 4), რომელს გამოცემელი იყო სოლომონ დოდაშვილი. 1852—53 წწ. გ. ერისთავი თხზულებებს აქვეყნებს „ცისკარში“, მისი რედაქტორობით რომ იბეჭდებოდა. მაშინვე მისი პიესები „გაყრა“, „თილისმის ხანი“ და „უჩინმაჩინის ქელი“ ცალკე წიგნებად გამოვიდა. 1867 წელს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ, აღუქსანდრე ესტატეს ძე ერისთავმა ორ წიგნად გაიშალა მისი თხზულებები, 1870 წელს კი ცალკე წიგნად დაიბეჭდა „დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია“, ხოლო 1884 წელს (მეორე გამოცემით) იონა მეუნარგიას ვრცელი ბიოგრაფიით და აკაკი წერეთლის წინასიტყვაობით დაიბეჭდა იმ დროისათვის კარგად გამოცემული წიგნი მისი თხზულებებისა. ასევე მნიშვნელოვანია 1910 წელს დაბეჭდილი „ჩიხელი თხზულებანი“, ლექსები და პიესები აღუქსანდრე ხახანაშვილის, აკაკი წერეთლისა და იონა მეუნარგაას წერალებით. 1936 წ. დაიბეჭდა გიორგი ერისთავის ლექსები, პიესები, მოგზაურობის აღწერა შენიშვნებითა და კომენტარებით (წინასიტყვაობა შ. რაღინისა, შენიშვნები ი. ბალახაშვილისა), ხოლო 1966 წ. გამოვიდა ხელნაწერებთან შეჭერებული ტექსტი, შენიშვნებითა და ლექს-კონთ. მომზადებელი ი. ურდიას მიერ.

გ. ერისთავის თხზულებათა ტექსტები ამ უკანასკნელი გამოცემის მიხედვითაა შეტანილი წინამდებარე ქრესტომათიაში.

### 1. თ. სვიმონ მანაბელი

პირველად დაიბეჭდა ეურნალ „ცისკარში“ 1852 წ. (№ 2). ლექსის რამდენიმე ავტოგრაფი ინახება გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში. როგორც პოეტის მინაწერი აღსატერებს, იგი დაწერილია ავტორის პატიმრობისას. გ. ერისთავი პატიმრობასა და გადასახლებაში იმყოფებოდა, როგორც 1832 წლის დეკემბერში აღმოჩენილი შეთქმულების წევრი.

სვიმონ ფარსადანის ძე მანაბელი (1794—1858) თამარაშენელი იყო, პაპა ივანე მანაბელი. მ. მანაბელი იყო მღვდესი, ნაკიბი, წიგნიერი აღმწიანი. 1832 წ. იგი დააპატიმრეს იმეტომ, რომ იცოდა შეთქმულების ამბები. იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1833 წლის 30 აგვისტოს.



## 2. უცხო ქვეყნის ბავუკს

დაწერილია გადასახლებაში 1835 წ. არსებობს ლექსის ავტორგრაფები, სხვადასხვა სათაურით: „უცხო ქვეყნის კაცს“, „უცხო ქვეყნისას“.

## 3. მტკვრისაღმე

დაწერილია გადასახლებაში. დათარიღებულია ავტორისაგან. ზოგიერთ ხელნაწერში სათაურია „მტკვრას“. პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1852 წ.

## 4. ყაბაჩისაღმე

დაცულია რამდენიმე ავტორგრაფი. ერთ-ერთში ლექსს ჰქვია: „ყაბაჩს“.

## 5. როზალია ბიშინის ძალს

ლექსი დაცულია რამდენიმე ავტორგრაფში. ლიტერატურის მეზუემის ავტორგრაფზე (№ 18032) წერია: „К розиже Бишунин, უფალა ბიშინის, რომელმან მთხოვა ღაუწერო რამე ქართულად“. შინაწერი მოეპოვება სხვა ავტორგრაფებსაღმე.

როზალია ბიშინი ვოლკოვის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის პეტრე ბიშინის ასულია, რომელთანაც შეგობრობა ჰქონდა გადასახლებაში მყოფ გ. ერისთავს.

## 6. ფიქრი მამაწვილი ქალისა

არის რამდენიმე ავტორგრაფი. ლიტერატურის მეზუემის ხელნაწერს (№ 18015) აქვს სათაური: „სატორა ბო...ზედ“, ე. ი. ბარბაღე ორბელიანზე. ლექსში დასახელებული „ბეველარ“ ავტორის ორეულია.

## 7. სვიმონ მანაბაღს

არის რამდენიმე ავტორგრაფი. ლექსი დაწერილია სოფ. არცევიში, ცხინვალის რაიონში, როცა გ. ერისთავი დროებით ჩამოვიდა სამშობლოში და მონახულა თავისი მეგობრები.

## 8. თოვლი

არის რამდენიმე ავტორგრაფი: კ. კვეციანის ხელნაწერთა ინსტიტუტში და გ. ლენინის სახელობის ლიტერატურის მეზუემში. ამ ავტორგრაფთა შორის ერთს (ხელნაწერთა ინსტიტუტის № 5131 S) სათაურის შემდეგ უწერია მიძღვნა: „ნიწა ჰაეკვაძისას“. ნიწა ალექსანდრე ჰაეკვაძის ასული (1812—1857).

## 9. თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის პარაცვალიაგაჯად

დაიბეჭდა „ცისკარში“ 1852 წ. (№ 4). ნ. ბარათაშვილი გ. ერისთავის ჰაეკვაძის ამხანაგ იყო. ლექსი დაწერილია 1845 წელს. ნ. ბარათაშვილის სიკვდილის წელიწადს.

## 10. პილიგრიმი

დაცულია რამდენიმე ავტორგრაფად. აქვს სხვადასხვა განმარტება: „პილიგრიმი, პოლემით“, „Пилигрим“. „პილიგრიმი მიცკევიჩით“, „პილიგრიმი მიცკევიჩისას“, „პილიგრიმი

(ბრევერისა. პოლშერდანი). დაიბეჭდა „ცისკარში“ 1852 წ. (№ 5)

აღამ მიუცევიჩის (1798—1855) ეს და სხვა ნაწარმოებები გ. ერისთავმა გააცნო გათასახლებსა. ა. მიუცევიჩი პოლონეთის პოლიტიკური გათავისუფლების მოღვაწე იყო, შასანშენაკი პოეტია.

## 11. ზარე და ყანიმათ

პოემა დაწერილია 1832 წლის დეკემბრამდე. მას ორი სათაური აქვს: „ოსური მოზორი-ბა“ და „ზარე და ყანიმათ“. პირველი სათაურით იგი დაიბეჭდა სოლომონ დოდაშვილის ეტრანდში — „საღვთისმეტყველების ნაწილი ტილისის უწყობათანი“. 1832 წ. № 2, 3 და 4. მეორე ნომერში ნაწარმოების დასასრულს დაბეჭდილია: „დასრულება შემდგომს ნომერში“-ო. მაგრამ გაბეჭდილება მე-5 ნომერში (უკანასკნელ ნომერში) აღარ არის. პირველნაბეჭდი შეიცავს პოემის პირველ თავს, მაგრამ საყურნალო და პოემის პირველ გამოცემის ტექსტთა შორის ვარიანტული ხასიათის განსხვავებაა. გ. ერისთავმა 1853 წელს ეტრან. „ცისკარში“ (№ 4) პოემას დაარქვა „ზარე და ყანიმათ“ (ამ სათაურით შეიტანეს პოემა 1936 და 1966 წლების გამოცემებში). აღსანიშნავია. რომ ეს პოემა 1884 წლის გამოცემაში პოეტის შვილის დავითის სურვილით არ იქნა შეტანილი, რადგან „ის არის დაწერილი ყმაწვილობაში“-ო.

ა. ლუარსაბ (1592—1622) ქართლის მეფე 1606-15 წწ.

ბ. ელიზბარ ერისთავი და მისი ძმის შვილი შალვა მონაწილენი არიან 1660 წლის კახეთის აჯანყებისა სპარსთა წინააღმდეგ.

გ. აბასი, სპარსეთის შაჰი (1557—1628), განაგებდა სამეფოს 1587 წლიდან სიყვლილამდე.

დ. არტანუხი ხანი ფეიქარ—არტანი. ახლანდელი არდახანია (არდაგანი), ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ძველ სამხრეთ საქართველოში. მისი ხანი ფეიქარ (განჯის მართველი) შაჰ-აბასისაგან დანიშნული იყო კახეთის უფროსად 1616 წლიდან.

ე. ბიძინა ჩოლოყაშვილი კახეთის აჯანყების მეთაური, შაჰ-აბასისაგან დასჯილი. ბიძინა, ელიზბარ და შალვა დასაფლავებულნი არიან შიდა ქართლში, იყორთის ტაძარში.

## 12. შაჰრამ

ნაწარმოების ავტორადი არ შერჩენილა. პირველად დაიბეჭდა 1850 წელს: „გაყრა, კომედია ქმნილი თვადის გიორგი დავითის ძის ერისთავისაგან და წარმოდგენილი ორჯელ თეატრის ღიმნაზიის ზალაში ამა წლის იანვრის თთუეში“. თეატრის მოზუეში ინახება პეტერბურგიდან ჩამოტანილი „გაყრის“ ხელნაწერი. რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, გადაწერილია გიორგი ერისთავის პიესის პირველი ნაბეჭდი ტექსტიდან და დასურათებულია ოტალიელი მხატვრის კოროდინის მიერ. ეს ილუსტრირებული ტექსტი მ. ვორონოვის მიუერთებულა იმპერატორ ალექსანდრესათვის, როცა იგი შემკვიდრე იყო და თბილისში ჩამოვიდა. ვორონოვმა მაშინ გიორგი ერისთავიც წარუდგინა მომავალ იმპერატორს და „ქართულთა მოლიერად“ გააცნო.

ბ. ჰოპმის გუგუნი—ჰოპუნა სიმღერა მკის დროს.

ბ. რვა წამი ღვინისაგან ღონემოცემული.

ბ. „თერგდალეული“ ტერმინი პირველად იხმარა გ. ერისთავმა რუსეთში ნაშყოფი ივანეს დასახსიათებლად. შემდეგ იგულისხმებოდა რუსეთში ნასწავლი ახალგაზრდობა, რომელნიც თერგის გზით მგზავრობდნენ ჩრდილოეთისაკენ და უკან.

დ. „ხასიდატობა“ — მსაჯულობა, თავმჯდომარეობა |

ე. მარშობა — მარშალი, თავადაზნაურთა წინამძღოლობა.

ვ. სული — სასამართლო, პალატა — აგრეთვე სასამართლო უმაღლესი.

თ. — იანტრამა, პირუეტი — ევროპული ცეკვის ილეთები.

ბ. ბონჭურ, ფრანგული ბონ ეურ — მისალმება „კარგი დღე“. ყაფარ, კაპარ — დაცინვითი მიმართვა ანდუყაფარისადმი.

დ. სწრაფთა, ყორანა — ძაღლების სახელები.

მ. მოზლოგი—მოზლოკი. ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში, ახლანდელ ჩრდილო-ოსეთში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე.

ნ. მურაეო — დამახინჯებული მიმართვა „მოურავო“.

ო. ლანცენეტი — ბანქოს ერთგვარი თამაში.

პ. ბალში ფრანგულ-კადრილობენ — ფრანგულობენ და კადრილს ცეკვავენ.

- შ. ბლოტის ფერჩატით დრანტობენ -- ბლოტის საგალანტერიო ნაღობაჲი ძეძენილი სელთათმანებით კობტაობენ.
- რ. ცხენის ქირამ გამაყურა -- სამგზავროჲ ცხენის დაჭირაუებამ გამალარბა.
- ს. კნიაზჭან, რატომ შენ არ იქ ყმის პრაეტსა -- თაეაღო. რატომ შენ თითონ არ განავებ ყმის საქმიანობას.
- ტ. ყმას ტორგში იქმონენ -- ყმას საჯარო ვაჭრობით გაყილიან.
- შ. სსსამართლის პრჯულები -- სსსამართლის კანონები, წესები.
- ფ. ბონჭურა -- აქ: ფრანგულად მოლაპარაკე, სიტყვიდან „ბონ ყურ“.
- ქ. ზალია -- ძაღლის სახელია.
- ღ მიმინო სახადელზედ მოვიყვანო -- მიმინო გუნებანზე, ზასიაზზე მოვიყვანო.
- წ. ჩემს სახლს ნუ აჩიქიანებთ -- ჩემს სახლს ნუ ბიღწყო. ნუ აქუჭყიანებთ.
- შ. ჩამჩიანი -- სომეხი ისტორიკოსი XVIII საუკუნეში, მოღვაწეობდა ენეცუაში.
- ჩ. დიდი ტრადატ -- სომეხთა მეუღე III საუკუნეში. აქ: მიყრტევა შეფის შთამომავლობას იჩემებს.

### 13. დ ა მ ბ

- კომედია დაიბეჭდა 1871 წელს ქურონ. „კრებულში“. პიესის ავტორგრაფი მაშინ არ იყო ნაპოენი და, როგორც მწერლის თხზულებათა 1884 წლის გამოცემილი წერდა, პიესა დაიბეჭდა მასში მონაწილე მსახიობთა ხსოვნისა და რუსულად დაბეჭდილი ლიბრეტოს საფუძველზე. ხელნაწერზე დაყრდნობით იგი პირველად გამოიცა 1936 წელს დაბეჭდილ თხზულებათა კრებულში. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში პიესა დატულია ორ ხელნაწერში, სადაც მას ჰქვია: „დავა, კომედია ხუთს მოქმედებაში თაეაღის გიორგი ერისთავისა ჩემ წელსა“. შოლა გვერდზე პიესის მეორე სათაურია: „დავა ანუ ტოქვა და ზაპეტაია“ (ხელნ. H 2594). მეორე ხელნაწერში (Q 363) პიესის სათაურია: „პოეტე ანუ ტოქვა და ზაპეტაია, კოეულია ხუთთა შა (შინა) მოქმედებათა“. დაწერის თარიღი -- 1840 წ. მკვლევარმა ბ. ბარდაველიძემ პიესის რეალიები შეეპირისპირა ოფიციალურ ცნობებს და მათ საფუძველზე პიესის დაწერის თარიღი გადასწია 1846 წლის შემდეგ.
- ბ. მონტეკი და კაპულეტი -- ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ოქახები შექსპირის ტრაგედიაში „რომეო და ჯულიეტა“.
- ბ. ფამუსოვი -- გრიბოედოვის კომედიის „გაი ჰეუსიავან“ პერსონაჲი. ძველებურად მოაზროენე ადამიანი.
- ბ. მოლჩალინი -- იმავე კომედიის პერსონაჲი.
- ღ. ყურბან ზალუმ -- აღმოსავლური სასიძღვრო ხმა.
- ქ. პავანგულა, ევანგულა -- ქალაქელი მომღერალი თბილისში.
- ჰ. ლეპინციკის ეკალატი -- ქსოვილის დამაზინებელი დასახელება.
- ზ. ივარ, ივაროსი -- ბერძნული შითას პერსონაჲი.
- შ. ბაირონი ჯოროჯ ნოელ გორდონ (1788-1824) -- ინგლისელი პოეტი.
- ი. ტორკვატო ტასო -- იტალიური აღორძინების ეპოქის პოეტი.
- კ. კამონენი -- კამონინში ლეი და ჰორტუგალიელი პოეტი XVI საუკ.
- ლ. დანტე -- ალიგიერი, იტალიელი პოეტი აღორძინებას ხანისა.
- მ. ოეილია -- ოეიდუესი უბბლიუს ნაზონ, ანტიკური ხანის რომელი პოეტი.
- ნ. შოლერი -- ფრიდრიხ შოლერი, 1759--1805, გერმანელი პოეტი, დრამატურგო.
- ო. გოეთე -- ვოლფგანგ გოეთე. გერმანელი მწერალი, 1749--1832.
- პ. ნუხა -- ერთ-ერთი ძველი ქალაქი ახლანდელ აზერბაიჯანში.
- შ. ყარაბახი -- ყარაბახის სახანო, ფეოდალური წარმონაქმნი აზერბაიჯანში XVIII საუკ.
- რ. განჯა -- საგუბერნიო ქალაქი აზერბაიჯანში.
- ს. კალიფორნია -- შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ცნობილი ოქროს საბადოებით.

### 14. ძ შ ნ ვ ი

პიესის ავტორგრაფი არ შენახულა. 1852 წ. გ. ერისთავმა იგი ვაშოსცა ცალკე წიგნად: „ქუნწი, კომედია 2-ს მოქმედებად, თხზულება თ. გიორგი ერისთავისა სტამბასა შინა თ. გ. ერ.“.

ბ. სიაღწევას ღვეტიდან „ზღვას ვით გააშრობს“. იქ ასეა:

კერა აი ვაძღება შირაზის ქუშა,  
ო გინდ მიღლა თახანაიე შიწყოს!

ბ. „დაბადების მკვირთა კოცენ უკო ვავსლებოდი“ — დაბალი ტყავის გამოყენება.

აქ სომხური გვარი რუსულადაა თარგმნილი — კოვენიციე.

ბ. რკინის კანაპრთე — სომხ. რკინივანა.

დ. პუნჩნი ღრეჯდანი, ბლელორდნი — დამახინჯებული რუსული, „საპატრო მოქა-  
ლაქი კთალშობილი“.

ბ. თავი კტრ — თავი მოსქერ.

ბ. ლესორი — დამახ. რესორი, ეტლის ზამბარა.

ზ. ტრუბუ ვრაცუა — ტრუბუი ქარფელი.

თ. მხერიალი — უნდა „იმპერიალი“, ძველად რუსული ოქროს თემნიანი.

ი. ატეაქ! — ღმერთო!

## ზურაბ ანტონოვი

### ამ მინდა კენინა ვაძხვდ

1. „მე მინდა კენინა ვაძხვდე“ პირველად დაიბეჭდა 1851 წელს — „მე მინდა კენინა ვაძ-  
ხვდე, ვინა ტეატრის პიესა, შეთხზული ზ. ანტონოვისაგან ორს მოქმედებად“. ამ თხზულებას  
მოჰყვა პუბლიკაციები მისი სხვა ნაწარმოებებისა: „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ 1852 წელს.  
იმევე წელს დაიბეჭდა „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „ქორწი-  
ლი ხევერთა“. „ქორდლი“: 1853 წელს, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“; 1854 წელს.  
„მე მინდა კენინა ვაძხვდე“ მეორედ დაიბეჭდა 1876 წელს წიგნში „თხზულებანი ზ. ნ. ანტო-  
ნოვისა“, რომელსაც უძღვის მცირე წინასიტყვაობა, რომელშიც დაბეჭდილია დამატურგის  
უძროსი ძმის — გრიგოლის მიმოხილვა ზურაბ ანტონოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

2. „მე მინდა კენინა ვაძხვდე“, როგორც 1876 წელს „თხზულებანიში“ აღნიშნული, თა-  
რღნი წარმოდგენილია 1851 წლის 10 მაისს. იქვე, მოქმედ პირობა ჩამოთვლისას ნაჩვენებია,  
თუ ვინ შეასრულა როლები პირველი წარმოდგენისას. მონაწილეთა შორის ყოფილა თვით  
ავტორი და მას შესრულებია მინას პეტრუზიჩი შაყულოვის როლი, სააკაძის ქალს ბარბარე  
თულუჩოვისა, ტატიშვილისას კეკელასი, ჯაფარიძეს თავად ილიკო გურგენიძისა, ვიორგი  
დვანიძეს დავით სერაშიძისა, ტატიშვილს გრიგოლ ბეგლარივისა, მეიფარიანს კვარტლის  
ნაღზარატელისა, აღმუროეს დესტინიისა, კორძაიას იმერლის ბიჭის პეტრიკასი, ბიბილურს  
გიორგასი.

3. ნუხში — ნუხაში. ნუხა უძველესი ქალაქია აზერბაიჯანში. ადრე ერქვა შექი და იყო  
სანაოს ცენტრი, ნუხა განთქმული იყო აბრეშუმის წარმოებით, დიდი სავაჭრო ცენტრი ვაჭ-  
რულ ფენისაც იზიდავდა.

4. ანტარხანი — ასტარხანი, ქალაქი ვოლგის დელტაში, დასაწყისი ვოლგის სანაოსნო გზა-  
სა შუა რუსეთისაკენ. ასტარხანი განთქმული იყო თევზის მრეწველობით.

5. მღვიანა — ქართველ მეფეთა სამეფო კანცელარიის გამგებელი.

6. სათარა — სპარსი მომღერალი XIX საუკუნის 40—50-იან წლების თბილისში. სათა-  
რას ნ. ბარათაშვილიც იხსენიებს თავისი დის — კატოს გათხოვბასთან დაკავშირებით. სათა-  
რა ახალგორში ქორწილში სამღერლად წაუყვანიათ.

7. ალექსანდრე მაკედონი — მაკედონელი მეფე, ძველი სამყაროს სახელგანთქმული მხე-  
დაბრძოლავარი და სახელმწიფო მოღვაწე, ცხოვრობდა 356—323 წლებში ჩვენს წელთაღრი-  
ცხეამდე.

8. თამარ — დედოფალი და მეფე საქართველოსი, დაახლოებით 1160—1213 წლებში.

9. ვაზანდრის ადლი — ვაზი სომხური ზომის ერთეულია, ერქვა ხანის არშინიცი, უდრიდა  
ერთ მეტრს.

10. თბილისის ავლაბრის უბანში, ეტყობა, განთქმულ მკითხავეებს უცხოვრიათ. ზურაბ  
ანტონოვის ამ პიესის დაწერიდან რამდენიმე წლის შემდეგ დანიელ ჰონაქაძემაც ავლაბრულ  
მკითხავეთა „შეგირდად“ მიიყვანა გულისვარდი. იმავე ავლაბარში შემდეგ ცნობილი მკით-  
ხავეი ეარღვა ცხოვრობდა.

11. XIX საუკუნის 50-იან წლებში უკვე მიმდინარეობდა დაღესტნის სამხედრო ოპე-

რაციები ლეკების „მოსათენიერებლად“. ეს ფრაზა („ერთი ენაოთ ლეკა შენი თავი და აგორა“) რეალური ვითარების ანარეკლია.

12. სწავლო ხელწერილის წესი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული პირისათვის, ან ექვსილის წარმომდგენისათვის განსაზღვრული თანხის გადახდის განსაზღვრულ დროს.

13. პრიკაზი — ფინანსური დაწესებულება, რომელიც ივარაუდება ადგილმამულს. საქართველოში დაარსდა მიხეილ ვორონოვის შეფინანსებლობისას.

14. „კორმაოი“ რუსულია და სასმელ-საჭმელის ხარკებს აღნიშნავს იმ პირისათვის, რომელსაც გასესხებული აქვს თანხა და მოვალე ხელწერილში აღნიშნულ ვადაში ვერ დაუბრუნებს. ვალის გადახდის ვაღიდან ვალის ფაქტობრივად გადახდამდე სასმელ-საჭმელისათვის დახარჯული თანხა არის „კორმაოი“ ანუ საურავი, ჯარიმა.

15. „ჩუ...“ ქართული სათვალავით „ათას რუბლ...“

16. იალბუზის მთა (კავკასიონი) სწონიში სიმაღლისა და სიდიდისა. აქედან იალბუზის, ე. ი. დიდი კუეა, დიდი გონიერება.

17. ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული წყობილებისას საქმის გაკაინერება: „ხვალ მოდი, ზეგ მოდი“, დღეზვალიობა.

18. XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისის ნათელის უბანში გაშენებული იყო სამხედრო ქალაქი თავისი სამსახურებით, აქ იყო პირველი ფსიქიატრიული საავადმყოფო ანუ „გიჟების ბაღი“.

19. ეკლენის ლისტა — იურიდიული საბუჯა, რომლის ძალითაც ხდება ქონების (სახლის, მიწის...) საკუთრებაში გადასვლა.

20. ააზ, ბუგი, ვედი, ღლალოლ — სლავური ანბანის დასაწყისი ასოების დასახელება (ან, ბან, ვინ, ვანი).

21. მინას პეტრუზიჩის ამ მონოლოგს (კუპლეტს) წარმოსთქვამს თვით ავტორი, რომელმაც პიესის დადგმისას ამ პერსონაჟის როლი შეასრულა. მაყურებელთან თუ მკითხველთან გამოლაპარაკების ასეთი მანერა ზურაბ ანტონოვს განმოდებული აქვს თავისი სასწავლებლისა და ხელმძღვანელის გიორგი ერისთავის „გაყრიდან“. ამ პიესის პირველი დადგმისას, 1850 წლის 2 იანვარს, მივირტუბე გასპარიჩის როლი შეასრულა თვით გიორგი ერისთავამ და წარმოდგენის დასასრულს ასე მიმართა მაყურებელთ:

ბატონებო, შემინდევით, თუ კპოვეთ რამ ნაკლებება, ამაღ ვმხნობ, აქ ბრძანებულთ ყველასა გაქვსთ განათლება, და ამისთვის მამატივებთ სუსტსა ამას პირველ შრომას, არ შეისმევთ რომელთამე ესწავლეთა წყენა, წყრომას. ზე დაეწერე იმაზედა, ვინც ხნეობით არის მრედი... ჩვენს ევადნეთ და განვდევნეთ, რაცა არის ჭვენში ცუდი.

### მზის დახანალება საპარტოველოში

1. „მზის დახანალება საქართველოში“ დაიბეჭდა 1852 წელს, პიესის დაწერის იდეა ავტორმა აიღო ნამდვილი ფაქტიდან. ამიტომ პიესას კქონდა მინაწერი — „ნამდვილი კომედია სამს მოქმედება, რუსული სტენიოტურთ, შეთხზული ზ. ნ. ანტონოვისაგან“. „ნამდვილი“ ანუ ნამდვილ ამბავზე დაყრდნობა. ბერძელ კომედია დაიბეჭდა წიგნში „თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა“, რომელიც გამოიცა 1876 წელს პეტრე უმიკაევილის თაოსნობით და ავტორის ძმის — გრიგოლის მიერ დაწერილი დრამატურგის ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობებით. მესამედ პიესა დაიბეჭდა 1955 წელს ნ. აღანიას წინასიტყვაობით.

2. 1876 წლის გამოცემაში „ფრანკუზი“ გამოარჩენილია მოქმედ პირთა ჩამოთვლაში, ამიტომ პიესის დასასრულს ერთის შენიშვნა (გვ. 311) „მოქმედ პირში დაუბეჭდავია დაეწეების გამო“ „ფრანკუზი“.

3. მარეხის სიმღერის ტექსტი — „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“ ეკუთვნის დავით ბაგრატიონ-ბატონიშვილს. ზოგი მისაზრებით ეს ბატონიშვილს გამოუთქვამს ნაპოლეონის დამარცხების გამო.

4. „ვეფხისტყაოსნის“ 133-ე სტროფი („ვეფხისტყაოსანი“, უნივერსიტეტის გამოცემა 1937 წ., 3. ინგოროყვას რედაქციით). ზ. ანტონოვს შეეძლო ესარგებლა პოემის ვახტანგისეული გამოცემით ან ბროსე-ფალაიანდიშვილ-ჩუბინიშვილისეული 1841 წლის „ვეფხისტყაოსნით“. შეიმჩნევა პოემის ტექსტთან თვისუფალი დამოკიდებულება.

5. ჩემუკოვს რეპლიცა არის „ვედესისტუაოსისს“ იმავე გამოცემას 416-ე სტრაფი, ილ-ნავა ცელიკაბით.

6. ლილის გაყევათ ნიშნავს საღებავის ფერის გასუნებას, გადატანით ფასის, ღირებულენის დაკარგვას, შერცქენას, სინდისზე ხელის აღებას.

7. რუსთაველის აფორიზმი იმავე გამოცემის 875-ე სტრაფიდანაა.

8. ბზობის ყვაოვით დაკარგვა ადამიანის უცბათ დაკარგვას, გაუჩინარებას ნიშნავს ყვავის მსკავსად, რომელიც გაზაფხულის დაღვამასთან ერთად სოფლიდან ტყეს მიამუშრებს საკვებისა და ბაზალბების გამოჩენისათვის.

9. ხორველობა და კალიაობა საქართველოში იყო რამდენჯერმე XIX საუკუნის 10 და 20-იან წლებში.

10. მზის სრული დაბნელება თბილისში მოხდა 1851 წლის 17 ივლისს. ამ ასტრონომიული მოვლენის წინ ცალკე წიგნად დაიბეჭდა (21 გვ.) გ. ხოდჯოს „მზის დაბნელებისათვის“ — ტექსტი მოსხენებისა, რომელიც მან წაიკითხა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში 1851 წლის 3 აპრილს და აღწერა მზის დაბნელების მიზეზები და მისი ფაზები. ამ მოხსენებას გულისხმობს ჩემუკოვი გეურქას და მისი სტუმრების თანადაწროებით და ის რუსი ჩინოვიციც, მუციკს რომ ესაუბრება მეორე მოქმედების დასაწყისში, დიდების მიმდორზე.

11. გეურქას რეპლიცა პირველი მოქმედების დასასრულს, როცა იგი მიმართავს ჩემუკოს აეთია: „მობაანდი. ბატომო! უკაცრავთ ნუ ვიქნებით, რომ გეუინ გაგაჯავრეთ“. მაგრამ პიესაში არსად აღნიშნული არაა, რომ პირველი მოქმედება ორ დღეს გრძელდება.

12. „სომუსური ეფემერდი“ (უნდა „ეფერემერდი“) ვარსკვლავთმრიცხველობის წიგნია, რომელშიც მოცემულია ვარსკვლავთა მოძრაობისა და ადამიანი ეტლის (ბედის) ცნობები, სიზმრის ასნანი და სხვა წინასწარმეტყველებანი. XIX საუკუნეში ბევრი ასეთი წიგნი იბეჭდებოდა სხვადასხვა ავტორებისა: არნაუტოვის, გრიგორიანცის, შახბარათოვის, ყაზაროვის, მდივანოვის, ახპატელოვის, იელივაროვის და სხვათა.

13. „ეფემისტუაოსისს“ მე-800 სტრაფი პოემის ზემოთითთებული გამოცემისა, ცოტაოდენი ცვლილებებით.

14. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „ლოთური მუსამბაზი“ მაშინვე გავრცელდა და საპიოლოდ გადაეცადა, ვრცელდებოდა ზეპირად და მომღერალთა წყებას ცვლილებებიც შეჰქონდა. ქართულ მწერლობაში იგი რამდენჯერმეა დასახელებული, რაც აღნიშნული აქვს ი. გრიშაშვილს ა. ჭავჭავაძის თხზულებათა 1940 წლის გამოცემის კომენტარებში. ი. გრიშაშვილი ჩამოთვლის დანიელ ჭინჭაძეს, ლავრენტი არღანიანს, „ყარამანიანის“ გამოცემულს დავით ლაზარევს, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იევისს, ზურაბ ანტონოვს, მაგრამ ამ უკანასკნელის მსოლოდ „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“-ს ასახელებს. „მზის დაბნელების“ შარლატანებს, რომელიც ა. ჭავჭავაძის ამ ლექსს მღერთან თავიკებური ცვლილებებით („დავლითთ სავსე ტიკები, შევიქნათ რაზბონიკები“ და სხვა) ამ „მუსამბაზის“ შენიშვნაში ნახსენებია არა აქვს.

15. გვარი „მაჭარსკი“ გაკეთებულია სიტყვისაგან „მაჭარი“, „ჩათუქესანსკი“ სიტყვისგან „ჩათუქესანი“. რაც ნიშნავს დარდიმანდ, უსაქმო იდამიანს.

16. მიკორტუმას რეპლიცაში ნათქვამია: „ყარამანის დროს რო ფერიები ყოფილან“. ყარამანი გმირია „ყარამანიანის“ ეპოსისა. იგი სარდალ დავით ორბელიანს უთარგმნია XVIII საუკუნეში. საგმირო-საფალავნო მოთხრობათა ვრცელი კრებულია ყარამანისა და მისი შვილიშვილის ქუჩუც (მცირე) ყარამანის ზღაპრული თავგადასავლის შესახებ, რომელშიც დანტატყური არსებანი, მათ შორის ფერიებიც მონაწილეობენ.

17. პიესაში ნაჩვენებია ზუსტი თარიღი თბილისში მზის დაბნელებისა — „1851 წლის შეიღმეტ დღესა“.

18. „პრიკაზი“ მიხეილ ვორონცოვის „ნამესტნიკობისას“ შემოღებული დაწესებულება. რომელიც იგირაებდა მიწებს, გამოუსყიდველობის შემოსხვევაში ყიდა კიდეც მათ. „პრიკაზის“ ვაღმა ბევრი მემამულე იმსხვერპლა.

19. თელეთი სოფელია თბილისთან ახლოს, ასლა ზემო და ქვემო თელეთი, გარდაბნის რაიონში. არს ეკლესია წმ. გიორგის სახელობისა.

შენიშვნა: მეორე მოქმედების მეოთხე გამოსვლაში შარლატანები სომხურად მღერაინ:

პი დანდანი დანდანი... ქუ ნანიდ ჩარ ტანი,

პი დანდანი დანდანი... იმაილის გალისიმ,

პა დანდანი დანდანი... სმოვარის ჩაღის არი,

პი დანდანი დანდანი... კახენ კარს ვანგარე,  
პი დანდანი დანდანი... ქობელ დნიმ წირანი,  
პი დანდანი დანდანი... ქუ ნანილ ჩარ ტანი

ქართულად:

დედა გენაცალოს,  
გაიგე, რომ მოვდივარ.  
სამოვარი (თეთმადელი) გაგიჩაღებია (დაგიღეას).  
კახას შეგიკრავ, შაბაშნის ფერს,  
წითელ ქობას დაუღებ,  
დედა გენაცალოს!

## ლავრენტი არღაზიანი

### „სოლომონ ისაიჩი მეჯღანუაშვილი“

დაიბეჭდა ჟურნალ „სისკარში“ 1861 წელს (№ 1 და 2). ავტოგრაფი არ შენახულა. პირველნაბეჭდს, რომელსაც, ალბათ, თვალი მიაღწენა ავტორმა (ლ. არღაზიანი ჟურნალ „სისკარის“ რედაქციაში მუშაობდა) ავტოგრაფის მნიშვნელობა ენიჭება. ნაწარმოები შირად იბეჭდებოდა, ზოგჯერ შეცდომებით. პირველნაბეჭდი დაედო საფუძვლად მწერლის თხზულებებს 1964 წლის გამოცემას, რომლისთვისაც ტექსტი მოამზადა, შენიშვნები და კომენტარი დაერთო ც. კალაქემ, სადაზნაო იბეჭდება ამ ქრესტომათიაში.

1. ციხისუბანი თბილისის ის კუთხეა, რომელიც განთენილია თათრის მოედნის (იხ.) სამხრეთით და ემიჯნება კდლის უბანს. შემოზღუდული იყო გალავნით და ეწირა ციხის ტერიტორია.

2. სიონი — ქართული არქიტექტურის ძეგლი თბილისში, აგებული V საუკუნის მეორე ნახევარში. საკათალიკოსო ტაძარი.

3. ნაწარმოების მიხედვით სოფელი ქართლში.

4. კიობი თბილისში XIX საუკუნის 10-იან წლებში მშენებარებდა.

5. თათრის მოედანი ანუ ციხის მოედანი მეტეხის ღიღთან მტკვარზე. ასლა უორგასლია სახელობისა.

6. აბრამისა და იაკობის შვილნი — ბიბლიური პერსონაჟების აბრამისა და იაკობის შთამომავალი. ებრაელები.

7. მელოქიანთ ქარასლა — ქალაქის ნელიქის, მამასაღლის ქარასლა XIX საუკუნეში მღებარეობდა სეიდამბაღში, ასლანდელი ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე.

8. „გომბორსე იყო შიში“ იგულისხმება ყაჩაღობა გომბორის ვადასავალზე. შავნთ კახეთში შიშვალ ტყიან გზაზე.

9. „პრიკაზი“ საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულება, რომელიც საქართველოში მამულებს იგირაუბდა.

10. „უფალო“ — ღმრთის მიმართ ღოცვის „უფალო, ღმერთო“-ს დასაწყისი.

11. სოლოლაკი, სალალაკი — თბილისის უბანი კოჭრის გზის დასაწყისის ქვემოთ ი. დავითაშვილის (ყოფ. ამილღების) ქუჩის ბოლოდან მისი ვანშტოებელი ქუჩების. მაჩაბლისა და სულხან-საბა ორბელიანის ქუჩებს შორის მოქცეული ტერიტორია. ავრე ბალ-ვენახებში დაფარული, რომლის განაშენიანება დაიწყო გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან.

12. კომენდანტის ქუჩა ერჯვა ახლანდელ გრიბოედოვის ქუჩას თბილისში.

13. „ნორმა“ იტალიელი კომპოზიტორის ვინჩენცო ბელინის ოპერა. იდგმებოდა თბილისში გასული საუკუნის 50-იან წლებში.

14. ალ. კავკავაძის „ლათაიური მუხამაზიდან“, ოღონდ შეცვლილი. პოეტი წერდა: „ნოემ რა ერთხელ ინება ყურძნის წვევისა გემება, თეთით ნუნუას მიეჭდა, წყალი პირუტყვთ დაანება“.

15. ვანქის უბანი მამინდელ გარეთუბანში მღებარეობდა სომხური ეკლესიის ფაშაქანქის ირგვლივ მტკარის პირზე, დღევანდელი საკლმურნეო ბაზრის, პრესის, ორბელიანისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის.

## „მოჯაროა ბოლისის ბროტუარზე“

მეტრულ-პებლიკისტური თხზულება, დაიბეჭდა 1862 წლის ჟურნალ „ცისკარში“ (N: 7) ბიპა თორიკუა ფსევდონიპით. ავტორად არ იქნახულა. დაიბეჭდა წიგნში — „ლაკრენტი არღანანი, თხზულებანი“, 1904 წ.

1. საღაებო — ახლანდელი ერეკლეს მოედნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. საღაებოზე ცხადდებოდა მედისა და ქალაქის მოურავის განკარგულებანი, ქალაქის ახალი ამბების მოსასმენი ადგილი.

2. „ქავეკაბე და კერესელიძე ცდილობენ კარგი ჟურნალები გამოსცენ“ — იგულისხმება ილია ქავეკაბის სამზადისი ჟურნალი „საქართველოს მოამბის“ და ივანე კერესელიძის თადარიგი 1862 წელს მომავალ წელს (1863 წელს) — ქართულ ჟურნალთა გამოცემასთან დაკავშირებით.

3. „კაეკაზ“ — რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1846 წლიდან, პირველ ხანებში თავისუფალი გაზეთი, შემდეგ კი ოფიცოზი კავკასიის ხელისუფლებისა. გამოდიოდა 1918 წლამდის. ემსახურებოდა მაშინდელი ხელისუფლების ყოველ ღონისძიებას, მათ შორის კავკასიის ხალხთა (უმთავრესად ქართველთა) ეროვნული თვითმყოფადობის დევნას.

4. „შტადი“ — კავკასიის არმიის შტაბის შენობა, აგებული მაშინდელ პასკევიჩ-ერევანსკის სახელობის (ახლა თავისუფლების) მოედანზე, მის სამხრეთ-დასავლეთის კიდეზე.

5. „ქალო ხაბარდინან“ — თბილისური ფოლკლორის ნიმუში, გავრცელებული XIX საუკუნის 50-იან წლებში, როცა მოღაში შემოვიდა კინოლენიანი (ფრანგულია), განიერი კაბა დამაგრებული წვილ მათულებზე. თბილისელები მას „ხაბარდის“ კაბას უწოდებდნენ, ხოლო „ხაბარდა“ აზბუღად იწოდებოდა „ჩამოდექი, გადადექი გზადან“. „ხაბარდას“ მეტრეც ხშირად შესძახებდა.

6. გოტლობ შტერნი, იოჰან ფიხტე, მარტინ შაბ აუზენ — გამოცხილი სახელ-გვარებია.

7. „ჩუტნ რომ გაღნოვდით“ — იგულისხმება რუს მოხელეთა მოძალბა საქართველოში 1801 წლის შემდეგ. მათ ხშირად თავი განათლებულბად მიაჩნდათ, როგორც ილია ქავეკაბის „მოჯაროს წერილების“ ლარსის სადგურის დამცველი რაზმის უფროსი.

## ღანიელ მონკაძე

### სურამის ციხე

დ. კონქაძის „სურამის ციხე“ ჟურნალ „ცისკარის“ 1859 წლის მეორებეტე და 1860 წლის პირველ ნომრებში გამოქვეყნდა. როგორც ცნობილია, დ. კონქაძის ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მათ შორის არც ამ მოთხრობის ავტორადღს. მისი არქივის განადგურების მიზეზად ასახელებენ კლემით მწერლის გარდაცვალების შემდეგ საღეზინფექციო ღონისძიების უხეზად ჩატარებას.

„სურამის ციხე“ ჰელსიკიის შემდეგ ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1875 წ. ე. ხელაძისა და ა. ბაქრაძის მიერ. აქედან მოყოლებული 1932 წლამდე იგი ბევრჯერ დაიბეჭდა, სხვადასხვა ვერსიის არ ჰქონია მეცნიერული გამოცემის პრეტენზია.

პროფ. მიხეილ ზანდუკელის რედაქციით მომზადებული „სურამის ციხე“ გამოიცა 1932 წელს. იგი არის ამ ნაწარმოებს მეცნიერულად დადგენილი ტექსტი, რომელიც გამოყენებულია ჩვენს გამოცემაში.

1. სურამის ციხე — შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე ქართლში. ახლანდელი ხაშურის რაიონის დაბა სურამში. ამ ციხის აგების თარიღი არ არის ცნობილი. სურამი კი XII საუკუნიდან არსებობს. სურამის ციხე XVII საუკუნეში, ირანის აგრესიის პერიოდში გაამაგრა გიორგი სააკაძემ. შემდგომში ოსმალთა ხელში იყო; XVIII საუკუნის 40-იან წლებში იგი ირანის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის გამგებლის გივი ამილახვრის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა. როცა გივი ამილახვარი დანებდა თეიმურაზ II-ს, მაშინ სურამის ციხე დაანგრეს, მაგრამ ისევე მალე აღადგინეს. XVIII საუკუნის 70-იან წლებში სურამის ციხე ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი და რუსი ჯარის საყრდენი სიმაგრე იყო. XIX საუკუნის დასაწყისში ლეკთა თავდასხმების დროს ადგილობრივი მოსახლეობა სურამის ციხეს აფარებდა თავს.



2. რიყე — ძველი თბილისის უბანი, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. რადგან ტექსტში წერია „ახნისახატი კასწერიო“, საფიქრებელია, მტკვრის მარჯვენა სანაპირო ზოლი.

3. ანჩისსახტი — ფეოდალური ეპოქის სეროთმომღვრებლის თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, აგებული VI საუკუნეში. თბილისის ეკლესიებს შორის ეს ეკლესია ყველაზე ადრინდელია. იგი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ეკლესიის ადრინდელი სახელი არაა ცნობილი. სახელწოდება ანჩისსახტი მან მიიღო XVII საუკუნეში, როცა სამხრეთ საქართველოდან, ანჩის მონასტრიდან, გადმოიტანეს აქ XII საუკუნის ოქროშქანდაკების ბუკა ოპიზარის მიერ მოქედილი მაცხოვრის დიდი ხატი.

4. მოთხრობა, ანუ ანღაზა — აქ ამბის მნიშვნელობით არის ნახმარა.

5-6. დ. ბ., ნიკო დ. სიკო, ალექსი პ. — „სურამის ციხის“ დასაწყისშივე დ. კონქაძე მოიხსენიებს იმ ასალგაზრდებს (ინიცილებით ან მარტო სახელებით), რომელიც მწერლის თანამედროვენი და ახლო მეგობრები იყვნენ, იყრიბებოდნენ და მსჯელობდნენ იმდროისათვის მტკივნეულ მოვლენებზე.

7-8. „სოფელსაჲ“ და „სოფელმაჲ“ — ასე იკითხება ეს ადგილი „იოსყრის“ ტექსტში. პროფ. მ. ზანდუკელი გამოცემაში კი კორექტურული შეცდომის გამო ტექსტი დამახინგებულია და წერია: „სოფელსაჲ“ და „სოფელმაჲ“. თსუელების შემდგომდროინდელ გამოცემებს, რომელთაც 1932 წლის გამოცემა აქვს საფუძვლად დადებული, გასდევს ეს შეცდომა. „სურამის ციხის“ პირველ თავს ეპიგრაფად უძღვის იეანე კერესელიძის ლექსის შემდეგი სტროფი:

„იკითხე გლეხთაჲ კარგი ქალობა!..  
სოფელსაჲ, ხეღამე?.. აქუს ჩელი გული,  
სოფელმაჲ იცის, ჰსცან, სიუჲარული.  
შენ კი . . . . .  
. . . . .  
ო. კ.“

აღნიშნული სტროფი არის ნაწილი იმ ეპიგრაფისა, რომელიც იეანე კერესელიძეს წაუძღვარებია 1855 წელს გამოცემული თავისი პოეზიისათვის „მწყემსის სიუჲარული“. ამ ეპიგრაფის სრული სახე ასეთია:

„ამ შრომას ვიძღვნი, რომელს ვრაცხ არად,  
რადგან ჩემს გულში, მსცხოვრებ შენ მარად.  
მიიღე მსურველ-ჩანგზედ გალობა,  
იკითხე გლეხთაჲ კარგი ქალობა!..  
სოფელსაჲ, ხეღამე? აქუს ჩელი გული,  
სოფელმაჲ იცის, ჰსცან, სიუჲარული.  
შენ კი . . . . .  
. . . . .  
ო. კ.“

როგორც აქ მოტანილი მასალიდან ირკვევა, ავტორს ეს სტრიქონები მიუძღვნია ადამიანი-სათვის, რომელსაც მის გულში სამარადისო სასოვრებელი დაუსაკუთრებია. საფიქრებელია ერთი ვარაუდობა. ეს პიროვნება უნდა იყოს იე. კერესელიძის სატრფო ნინო უზნაძე. როგორც ცნობილია, იეანე კერესელიძე 1851—1854 წლებში სამეგრელოს თავად ღვათი დადიანთან მსახურობდა მისი შეიღების აღმსრულელ-მსწავლედ. 1854 წელს ის დაბრუნდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა ქართულ თეატრალურ დასს. თეატრში მუშაობისას მას თავდაიწყოებით შეჰყვარებია იმ დროის სახელგანთქმული მომღერალი და მოცეკვავე მსახიობი ნინო უზნაძე, რომელიც 1857 წლიდან იე. კერესელიძის განუყვრელი მეგობარი გახდარა. საფიქრებელია, ეს პოემა, „მწყემსის სიუჲარული“, რომელიც მან 1855 წელს გამოაქვეყნა, ქორწინებამდე მიუძღვნა თავის სატრფოს — ნინო უზნაძეს.

9. ი. კერესელიძე — (1829—1892 წ.წ.) XIX საუკუნის ცნობილი ქართველი პედიკისტი, ეურნალისტი, მწერალი, რედაქტორ-გამომცემელი და საზოგადო მოღვაწეა. მან წარჩინებით დამთავრა თბილისის გიმნაზია, მაგრამ ატესტატის მიცემაზე უარი უთხრეს, რადგან ახნაღრობის საბუთის წარდგენა ვერ შეძლო, იგი, როგორც წარჩინებული ასალგაზრდა, გიმნაზიაშივე დატოვეს ზედამხედველად და ქართული ენის მსწავლედ. მალე დროებით მოეწყო საუბერნიო სამმართველოში კანცელარიის დაბალ მოხელედ. მაგრამ საბუთების

უქონლობის გამო აქედანაც დაითხოვეს. აქ გაიცნო მან ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება და შეძლევ „ცისკარში“ გამოაქვეყნა მისი ლექსები.

1854 წელს ივანე კერესელიძე გიორგი ერისთავის შემდეგ ქართულ თეატრალურ დასს ჩაუდგა სათავეში. მან თეატრს ცოტა ხნით შეუნარჩუნა არსებობა, მაგრამ ხელისუფლების გულდაცობის გამო მაინც ვერ დაიცვა და ვერ გადაარჩინა. ივანე კერესელიძემ 1852-56 წლებში წიგნების გამოცემა დაიწყო, ხოლო 1857 წლიდან აღდგენილი „ცისკარის“ გამოცემას შეუდგა და თურაქტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ დიდ პატრიოტულ საქმეს.

1862 წელს დააარსა ივანე კერესელიძემ პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოცემა „გუთნის ღეღა“. 1886 წელს იგი გახეთ „ცისკარს“ რედაქტორობდა.

ივანე კერესელიძეს ეკუთვნის პოემები: „მწყემსის სიყვარული“, „ნათხარი სოფელი“, „საკითხავი წიგნი“, „ანბანი“, „მოკეთე სიტყვა“ და სხვ. მან თავის ნაწერებში ფართოდ შემოიტანა სოციალური უსამართლობისაგან გათელილი ადამიანების მდგომარეობის ამსახველი სურათები. მისი ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. „სიმღერა“ (შემოქმედებულია ეგ ხმა ტებლი) და „ჩემო თვალის სინათლე“ სასიმღერო ლექსებად იქცა. ივანე კერესელიძის პოემები 1852-57 წლებში გამოიცა, ხოლო მისი ლექსების პირველი კრებული 1859 წელს. 1878 წელს გამოქვეყნდა ივანე კერესელიძის ლექსთა მეორე კრებული (აქ დაიბეჭდა მისი ლექსი „ღანიელ კონჭაძის გარდაცვალებაზე“).

10. მუხრანბატონიანთი — აქ კონკრეტული პიროვნება არ არის ნაგულისხმევი, საერთოდ კ. მუხრანბატონები XVI—XIX საუკუნეებში ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ შტოს წარმოადგენდნენ. ამ გვარის ფუძემდებელია ბაგრატ მუხრანბატონი, რომელსაც საუფლისწულოდ გადაეცა სამუხრანო. XVI—XVII სს. მუხრანბატონები ქართლის ხუთ დიდებულ თავდათა რიცხვში შედიოდნენ და დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1724 წლამდე ქართლის ტახტს განაგებდა ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტო, რომელმაც მრავალი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი მოჰყვა (გიორგი XI, ვახტანგ VI, ვახუშტი და სხვ.) XVIII ს. II ნახევარში მუხრანბატონები მხარში ედგნენ ერეკლე II-ს და ლეკებისა და სხვა გარეშე შტოების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

11. ...ბევრი ამისთანა გამოვსცადე თქვენს საქართველოში — იგულისხმება ქართლი (დურმიშხანი ხომ იმერელი იყო).

12. ნაზირობა — ავტორს ნახშირი აქვს მოურავის მნიშვნელობით.

13. წიგნი ვიცი — აქ იგულისხმება წერა-კითხვის ცოდნა.

14. დანანის ცრემლი — სინანულის ცრემლი.

15. ვერცხლის ყანწები — მოვერცხლილი მასრები.

16. გამოგზავნა წიგნი — იგულისხმება წერილი,

17. აღექსანდრე კუპეკაძე (1786—1846), პოეტი, მის შემოქმედებაში სატრფიალო და სანალიშო ლექსებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

18. აღამი და ევა — ადამიანთა მოღვმის წინაპარნი.

19. ნოე — ბიბლიურ ადამიანთა მეათე თაობის წარმომადგენელი, კაცთა მოღვმის მხსნელი, მსოფლიო წარდგნის შემდგომი კაცობრიობის მამამთავარი.

20. ძეგვი — სოფელი ქართლში, მცხეთის რაიონში, მტკერისა და ხეკორძულას შესართავთან.

21. ოროლა — ოროველა, ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

22. კეზი — ლდისი მეფე, დაახ. 560—546 წწ., ითვლებოდა ერთ-ერთ მდიდარ ადამიანად.

23. პითაგორის თეორემა ცნობილი თეორემაა გეომეტრიაში, რომელიც ამყარებს კავშირს მართკუთხა სამკუთხედის გვერდებს შორის.

24. ქრისტე — იესო ქრისტე. ქრისტიანობის ფუძემდებელი, კაცობრიობის მხსნელი, ღმერთ-კაცი, „ძე ღმრთისა“.

25. იეზუიტთა კანონი — კათოლიკური ეკლესიის იესოს ორდენის — „იესოს საზოგადოების“ კანონი.

26. საარავგო — იგულისხმება მდ. არაგვის ბარის ზოლი სოფ. მისაქციელიდან ანანურამდე.

27. ბოდორნა — სოფელი დუშეთის რაიონში, დუშეთისხევის მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზაზე.

28. ნაოხა — სოფელი მცხეთის რაიონში (მისაქციელის სოფლის საბჭო), მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე.

29. „სოფელი გ.“ მდებარე ბოდორანსა და ნაოზას შუა (პროფ. შ. ზანდუკელის ცნობით, „გ“-ზე დაწყებული სოფლის სახელი ბოდორანსა და ნაოზას შორის XIX საუკუნეში არ არის ირსად ფიქსირებული, არაგვის არც გაღმა, არც გამოღმა. გს მავიერ უნდა იყოსო მ. რადგან დასახლებულ სოფელთა შორის XIX საუკუნეში ყოფილა სოფ. მლაშური („სურამის ციხე“, მ. ზანდუკელის რედაქციით, გვ. 263—264).

30. იანიჭარის ასისთავი — იანიჩარი (თურქ. — ასალი ჩარი), პრივილიგირებული ქვეითი ჩარი, რომელსაც აღგენდნენ ბეშუბოში ტყვედწაყვანილ და გამაჰმადიანებულ ქრისტიანთაგან, მათ შორის ქართველთაგანაც. აქ ასეთი ჩარის უფროსი, ასისთავი.

31. ლართისკარი — მშრალი ხევი მცხეთის ჩრდილოეთით 24-ე კილომეტრზე.

32. კლდისუბანი — თბილისის ციხის ფერდობზე გაშენებული უბანი.

33. მარიაშობის მარხვა — ღვთისმშობლის მიძინების — მარიაშობის (15 აგვისტო ძვ. სტ.) წინა ორი კვირა.

34. ახალციხე — ძვ. ლომისა, ქალაქი სამხრეთ საქართველოში, მდ. ფოცხოვის ნაპირებზე.

35. სტამბოლი — ძველი კონსტანტინოპოლი, თურქეთის უდიდესი ქალაქი, მნიშვნელოვანი საზღვაო ნავთსადგური.

36. ქრისტეშობის ღამე — ქრისტეს დაბადების დღის (25 დეკემბერი ძვ. სტ.) წინა ღამე.

37. აღიარა ქრისტე — იწამა ქრისტეს რწული.

38. ბოსფორი — სრტე ევროპასა და აზიას შორის, აკავშირებს შუას, და მარმარალოს ზღეებს.

39. ყირიმში — ნახევარკუნძული შავ ზღვაზე, დასავლეთით და სამხრეთით აკრავს შავი ზღვა, აღმოსავლეთით — აზოვის ზღვა.

40. ავღანარი — თბილისის ძველი უბანი, ისანი, მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეს, რიყეს, ჩუღურეთს, ელიასა და ნეთლელს შორის.

41. სურფ-კარაპეტის ეკლესია — სომეხთა ეკლესია წმ. კარაპეტისა თბილისში.

42. გორიკვაჩი — გორის სამხრეთ-დასავლეთით, ბერეთის მთის განშტოებაზე წმ. გიორგის ეკლესია.

43. არბოზ წმ. გიორგი — გორის რაიონის სოფ. არბოზ წმ. გიორგის ეკლესია. აგებულია X საუკუნეში.

44. სპარს-ანგელოზი — მხედრობის, ლაშქრობის ღვთაება წვერის სპარს ანგელოზისა. წვერი სოფელია სნოსთან, ხევში.

45. ლომისა — უძველესი სალოცავი წმ. გიორგის ეკლესია (VIII—IX ს.), ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე. ლომისა მთიულეთისა და ქსნის — არაგვის ხეობის მცხოვრებთა უპირველესი სალოცავი.

46. ლაშარის ჭვარი — ფშავის მთავარი სალოცავი, საეკლტო ცენტრი, მდებარეობს ფშავის არაგვის ხეობაში, ლაშარის გორაზე. სოფ. ბოშარას ახლოს.

47. კუნკულა — ნათლის მიერ მოტანილი ქსოვილის ნაჭერი, რომელშიც მონათვლიას ახვევენ ემბაზიდან ამოუყაროდ ბავშვებს.

48. განათვა — საეკლესიო რიტუალის შესრულება უწმინდურებისაგან განსაწმენდად.

49. მეფისტოფელი — გერმანული თქმულებების ბოროტი პერსონაჟი. მსოფლიო პოპულარობა მას მოუპოვა გოეთემ, სადაც მეფისტოფელი მისი „ფაუსტის“ პერსონაჟია.

## რ ა ზ ი მ ლ ე რ ი ს ტ ა შ ი

რათიელ ერისთავის ლექსები, პოემა, პროზული და დრამატული ნაწარმოებები ამოკრებილია 1936-38 წლებში დაბეჭდილ ოთხტომიანი გამოცემიდან. პოეტის არქივი დაცულია (არასრულად) კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. მწერლის თხზულებები იბეჭდებოდა ე. „სიკიარში“ გაზ. „ივერიაში“, „თეატრში“ და სხვ. იგი წერდა რუსულადაც (უმთავრესად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მიმოხილვებსა და ნარკვევებს, აქვს მხატვრული ნაწარმოებებიც დაბეჭდილი აღმანახებსა და გაზეთებში). პოეტის სიცოცხლეში მისი თხზულებები და თარგმნილი იგავ-არაკები რამდენჯერმე არის გამოცემული.

## დედა ენა

დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“ 1881 წ., № 4.

### სამეცნიერო ხელნაწიხი

დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“ 1881 წ., № 9. აქედან გადაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ (1881 წ., № 194).

### მთხროვნელი მსახურისაღმომ

დაიბეჭდა ჟურნ. „სისკარში“ 1861 წ., № 1. ხელმოწერილია ფსევდონიმით „იოსებ მიქაბერიძე“. აქედან გადაიბეჭდა კირილე ლორთქიფანიძემ აღმანახ „ჩონგურში“ 1864 წელს (ვაშლიყა პეტერბურგში).

### თინინას მამითადი

დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“ 1882 წ., № 4-5.

### თანდილას დარდი

დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“, 1882 წ., № 6.

### სენინას ფიქრები

დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“ 1883 წ., № 5-6.

### ბარუას ჩივილი

დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“, 1883 წ., № 10.

### ნება რას ბირი, დედილო

დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“, 1881 წ., № 12.

1. ალა-მამად-ხანის დროს — იგულისხმება სპარსთა ლაშქრობა საქართველოზე 1795 წელს, როცა თბილისი დასწევს და მოაოხრეს სპარსელებმა.

### ს უ რ ა თ ი

დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“ 1882 წ., № 4-5.

### ს ა მ ზ ი თ ვ ი

დაიბეჭდა ჟურნ. „ივერიაში“ 1882 წ., № 12.

1. ბატონყმობის გადაეარდნა საქართველოში (იგულისხმება 1861 წლის საგლეხო რეფორმა) გამოცხადდა 1864 წელს და რიგ-რიგობით გატარდა აღმოსავლეთ საქართველოში (იმ

წლის ოქტომბრიდან, შემდეგ დასაყვამთ საქართველოში. ნაწარმოებში ასახულია რეფორმადელი ქართველი გლეხის ყოფა.

### ასპინძის ომი

დაიბეჭდა ქურონ. „ივერიაში“ 1880 წ. № 2.

1. ასპინძის ომი მოხდა 1770 წლის 20 აპრილს, სოფ. ასპინძასთან და დამთავრდა ოსმალთა დამარცხებით, რაც შედეგი იყო მეფე ერეკლეს ნიჭიერი სტრატეგიული მოქმედებისა. ამ ბრძოლაში რუსის გენერალმა ტოტლებენმა უღალატა ერეკლეს, თავისი ჭარბი მიატოვა ბრძოლის ველი და ქართველთა ლაშქარი შეატოვა თურქებს. პოემას ერთვის თვით რაფიელ ერისთავის ასხნა ზოგიერთი სახელებსა და სიტყვებისა.

### კახეთში გახალისი

დაბეჭდილია გაზ. „ღროებაში“ 1883 წ., № 122.

1. ეორონოვი მიხეილ სიმონის ძე, მეფის ნაცვლი კავკასიაში 1845 წლიდან 1854 წლამდე. მეფისნაცვლობის („ნამესტნიკობის“) მიღებისთანავე მან შემოიარა თავისი სამფლობელო და იმგზავრა კახეთშიც. მაშინ იყო რომ თელავში, ერეკლეს სასახლეში, იმ ოთახში, რომელშიც დაიბადა და გარდაიცვალა ერეკლე, მეფის ნაცვლის ბრძანებით კედელში ჩასვეს წარწერიანი მარმარილოს დაფა: „აქა აღესრულა საქართველოს მეფე ერეკლე თეიმურაზის ძე იასა (21) იანვარსა ჩლეძ-სა (1798) წელსა. წარწერა ესე კმნილ არს და სასახლე გასწორებულ არს განკარგულებითა კავკასიისა ნამესტნიკის კნიაზის ეორონოვისაჲსაჲ, რომელმანკა განისილა ძველი სასახლე საქართველოს მეფეთა ქალაქსა შინა თელავსა ით (19) ნოემბერს ყმე (1845) წელსა“.

2. აქ ნაგულისხმევია ის გზა რომელიც უჭარმა-გომბორ-თეთრწყლებზე გადის თბილისიდან თელავში.

3. პოლოსები, მიკირტუშები, ავაქა, მიხაკა — საერთო სახელი სომეხ სპეკულანტთა და სხვადასხვა ჯურის მოვაჭრეთა.

### დუბაჰაცვბა თუ გარინა, ცხრა უღალი ხარის უმალაპრინია

ორმოქმედებანი კომედია დაიბეჭდა ქურონ. „მნათობში“ 1870 წ., აპრილის ნომერში. კომედია რამდენჯერმე დაიდგა, უმთვარესად თელავსა, ქუთაისში და სხვაგან.

ლექსიკონი

ბბაზი — ოცი კაპიკის ღირებულების ვერცხლის ფული.  
 აბუჩეჩენი (რუს.) — უზრუნველყოფა.  
 აბიჯა (რუს.) — წყენა, შეურაცყოფა.  
 აბრუ (სპარ.) — სახელი, პატივი.  
 ადლი — სიგრძის საზომი ერთეული.  
 აზარქალი — დიდი, უშველებელი ქალი, აშარა.  
 აზიზი — ნაზი, სათუთი, ნებური.  
 აზნაური — პრიუღევიური წოდების წარმომადგენელი.  
 აილანა — გაწითლდა.  
 ალაფი — მარცვლეულით და ფქვილით მოვაპრე.  
 ალიუელი — მაგარი სილა.  
 ალი — დღიური ნახნაჲ. სენის მონაწილეთა სარგოს ერთეული.  
 ამპარტაენება — გადაჭარბებული ამაყობა ქედმაღლობა, მედიდურობა.  
 ამქართავანი — თანამოსაქმეთავანი, ამხანაგთავანი.  
 ანელატი (დამახ. ეპოლეტი) — სამხრე სამხედრო პირისა.  
 ირალუხი — ცარიელი ადგილი, კუკურტანა.  
 არზა — წერილობითი თხოვნა, საჩივარი  
 არქიმანდრიტი — სამწყისო გამგებელი, სეპსისკოპოსოს მონასტერთა ზედამხედველი.  
 არშინი — ზომის ერთეული, დაახ. 71 სანტი.  
 ასონანსი — თანხმობენება, აქ ბანქოს თამაშის ერთი სახე.  
 ასტეაწ (სომხ.) — ღმერთი!  
 ასტრომიტი (რუს. დამახ.) — გადავადება.  
 ატაზი (რუს.) — უარი  
 აფერემ — ყოჩაღ, ვაშა.  
 აფიციარი, იგივე ოფიცერი — სამხედრო წოდება.  
 აფთრომილი — გახარებული, აღტაცებული.  
 აფშრუკვა — სახელდახელო აზელა ქატოსი, ნაერისა...  
 აქტრისა — მსახიობი ქალი.  
 ალა — ბატონი, უფროსი, დამჭირაველები.  
 აღების ღამე — მარხვის დაწყების წინა ღამე.  
 აღსარება — ზიარების წინ მღვდლისათვის ცოდვების გამხელა.

აღჩანაბალი — ხმელი ხილი, გარგარის ჭიშის ნაყოფის ჩირი.  
 ახალუხი — მამაკაცის სამოსელი. ლილ-კი-ლოებით შესაყარავი. იცემდნენ ჩოხის ქვეშ.  
 ახარ (არაბ. აურჯ., სომხ.) — საბოლოოდ, ბოლოსდაბოლოს.  
 ახოტნიკი (რუს.) — მონადირე. აქ: მსურველი, მოტრფიალე.  
 ახმახი — უშნოდ მაღალი, აყლაყუღა.  
 ახუნდი (სპარ.) — სჭელის მცოდნე, მოძღვარი.  
 ბაზაზი — ფართულეთ მოვაპრე.  
 ბაენბარდი — ლოყებზე დატოვებული და ნაკაზე გამოპარსული წყერი.  
 ბაკლა — მსხვილი ცერკევი.  
 ბალა — უშედეგო, უშინო.  
 ბალი — საზეიმო წვეულება მუსიკით და ცეკვით.  
 ბალქამ (სპარს.) — ვინძლო, შეიძლება.  
 ბარინ (რუს.) — ბატონი  
 ბას (სომხ.) — მაშ [მითხარა].  
 ბაფა — მეტი [რა ღონე მაქვს].  
 ბალადი — აბრეშუმის ოთხკუთხედი მანდილი, დიდი ხელსახოცი აბრეშუმისა.  
 ბაყალი — ხმელი და ნედლი ხილით და ტკბილეულით მოვაპრე.  
 ბაშყადონიმ (თურქ. ბაშლადუნემ) — თავს შემოგველე.  
 ბეზ (დამახ.) — ბიზი — ქსოვილი.  
 ბერი — ლეთის სამსახურად მონასტერში შესული ადამიანი.  
 ბესედა (რუს.) — ტალავერი.  
 ბეჰაია — ებრაელთა ზედწოდება.  
 ბიამრუ — გაზიარება, სახელის გატება, შეტყუება.  
 ბის — განწეობებით! კიდევ ერთხელ! (მაყურებლის შეძახილი თეატრში, კონცერტზე...)  
 ბისტა — ლიბრი; ფულის ერთეული (ორ კაპიკ უდრიადა).  
 ბოზბაში — ცხვრის ხორცის წინიანი კერძი.  
 ბონჯურ (ფრანგ. ბონ ეურ) — გამარჯობა, კეთილი დღე.  
 ბოლაზი (თურქ.) — ნავთსადგური.  
 ბონზა — ქსოვილის ოთხკუთხედი ნაქერი,

რომელშიც გამოკარვენ რაიმე ნივთს.  
ბრავო — ვაჟა.  
ბრანგული — ბრიყული, დათვერი საქციე-  
ლი.  
ბუნა (რუს. ბუნნი) — ბანქოს ქალღღუღე  
წითელი რომბები.  
ბუფ: ჩაობა — ქექვა (ბელულები ბუფარაო-  
ბინ ქვიშაში).

ბ: გიგლი — გაგილსავ. დაგინაყუ (თავს. სა-  
ხეს).  
გაიკრიბა — სხვაგან წაიღა.  
გაიკრება. გაკეტება — სარჩო-საბადებ-  
ლის. ქონების მთლიანად დაკარგვა.  
განქარება — აქარობა. გაქარწყლება.  
გაყივებული — გაყენთორი, აქ: ძალზე  
მთერალა.  
გამოსურმული. სიტყვიდან სურმა — ლითონი,  
იხმარება კოსმეტოკაში.  
გასაგისი — მოდგმა, გუარეულობა.  
გაური — გაიური. ურწყენო მამაღიანთა  
ოღალსარისით.  
გარუნა (პირისა, ჰირი გავარინე) — პირის  
უშნოდ გაღება დამოქნარებისას.  
გაზევით — გუთისებით.  
გვაში — აქ: პირიგება, პირი, აღამიანი.  
გიდის (სომხ.) — იცი?  
გლასი — აბრეშუმის ქსოვილი.  
გომბიო — გოგო დამამიკრებელი მნიშვნე-  
ლობით.  
გროში — რუსული სპილენძის ფული, ნა-  
ხევარკაპიკიანი.  
გროზნი (რუს.) — შკაპრი.  
გოცნიჩი (რუს. დამახ.) — გორიღნიჩი. ქა-  
ლაქის უფროსი. ზედამხედველი.

დაბადება — ბიბლია, ძველი აღთქმის წიგნი.  
დავი — დავა, სადაო.  
დავითნი — ფსალმუნთა წიგნი. ებრაელთა  
მეფის დავითისაგან შეთხზული საგა-  
ლობლები.  
დავლარბა — დავლაზე წასვლა: დავლის  
შოვნა.  
დაიკმულია — დაკნენდა.  
ლაირჩო — დაიხრჩო.  
დაკვეული — დარჩეული. გარჩეული. გაწ-  
მენდილი.  
დაურება — დასუფთავება. დავარცხნა (ცხო-  
ველისა).  
დაშერება — დაჩქარება.  
დაჯლილი (ხმა) — დაბზარული.  
დახელაწული ქუჩები — ეიწრო, მიხეველ-  
მობეული ქუჩები.  
დაგმეს (თურქ.) — არა ღირს.  
დავეტნიკი (რუს.) — ათისთავი, პოლიციის

მობეული.  
დაიბეგა — უფროსი მოსამართლე, მსაქელა.  
ლატორი (დამახ.) მედიატორი — შენაგა-  
ლი.  
ლიდი ხუთშაბათი — დიდმარხვის უკანასკ-  
ნელი კვირის ხუთშაბათი დღე (ახალი  
აღთქმის მიხედვით ამ დღეს ქონდა  
ქრისტეს საიდუმლო სერობა).  
დიდმარხვა — აღდგომის მარხვა, გრძელდე-  
ბა შვიდ კვირას, ყველიერადან აღდ-  
გომამდის,  
დიმიტრონი — ბამბის სქელი ქსოვილისგან  
შეკერილი ტანსამოსი.  
დივლათი — ქონება. სიმდიდრე. სიყვლე.  
დივრანი-დორანი — იღბალი, კარგი ბედო,  
გამდიდრება.  
დროშა — ღია, მსუბუქი იაშთავა ეტლი.  
დუბინდი — ქოგრი, ბინოკლი.  
დუეინი — თორმეტი ცალი (ერთგვარი საგა-  
ნი: სკამი, დანა-ჩანგალი, ქუქები).  
დუშაი — ცხენის ბორკლი, თოკი.  
დუქანი — სეაპური.

მლი — 1, მომთაბარე მესულმანური ტომე-  
ბი; 2, ნაწილაკი: რალა (ქილს დაგებურებ  
მლი — ქულს დაგებურებ რალა).  
ეპისკოპოსი — მეთვალყურე. ზეუმაზეველი.  
საკველსო ადმინისტრაციის (ეპარქიის)  
მმართველი.  
ეპიტავა — გუნებაში. კევაში მოსდის, სა-  
სურველად მიანია.  
ერთაღრე — ერთად.  
ერთელმად (ქართ., სომხ.) — ერთიანად.  
ეყვი — ეთვისები.

მამარბარე — ვათამაგე.  
ვანში — სარგებლის სარგებელი. ღიდი სარ-  
გებელი.  
ვექსილი (გერმ.) — თამასუქი.  
ვეჭი — აყვი.  
ვრაცუა (სომხ.) — ქართველი.  
ზამბელაკი (სპან.) — მკირეყალიბიანი ზარ-  
ბანანი.  
ზარაფი — საფასურით ფულის დამხურდავე-  
ბელი.  
ზაზარბანისტი (რუს. დამახ.) — მატარებელი  
მიქალისა „ზაზარბანოსტი“ — სიმამაცი-  
სთუხს. არსებობდა მონარქიულ რუ-  
სეთში.  
ზაპრეშა — წყველა: გველის შხამი!, თარსი.  
ზედაზე — წითელი ღვინო საეკლესიო რი-  
ტუალების შესრულებისას.  
ზიარება — ქრისტიანული ეკლესიის წესი,  
— ნაეკლესიო ღვინოსა და პურის (სეფისყე-  
რის) ნაწილების მიღება.  
ზითევი — მზითევი.  
ზინათი — სიმდიდრე, განძეული.

მახე — ხის ღანჯარი. ვობი.  
 თაბენ — აღმინთა ყველა. გუნდი.  
 თათიანხი — სახელდახლოდ პომიდვებუ-  
 ლი სკველი.  
 თალიში — ახალი ხახვი ბოლქვავაგრებე-  
 ლი.  
 თაი — აღმოსავლური სიკებიანი სეკრავი.  
 თორი — ვერცხლის ღული.  
 ლეიშვიტოპოე — შტაკე.  
 თუნე — სპილენძის სითხის (ღენის) საწ-  
 ყაო.

იაგუნდი — ძვირფასი ქვა, წითელი ან ლურ-  
 ჭი ფერისა.  
 იაკობისნი — იაკობის შთამომავლობა. ია-  
 კობ ბიბლიის პერსონაჟი.  
 იანჩარი — ჭვეთი ჭარი თურქეთში. შედ-  
 გებოდა მოტაკებულ-გაყიდულ ქართ-  
 ელ ასაღვანრდათაგან.  
 იანღლიში, იაღლიში — შეღობა  
 იარაღში — ბანქოს ურთვეარი თამაში.  
 იასაელი — პოლიციის მოხელე სოფელში.  
 იაქათილი — თხელი კედელი.  
 იახშილი! — „კარგად იყავი!“  
 იერლყი — შეფუთაგან შეწყალების უსტა-  
 რი (საბა).  
 ილაჩი — ღონე, ძალა.  
 იმედელი — იმედიანი.  
 იმენია (რუს.) — ჭონება, დედულ-მამული.  
 ინჩ ხაბარე (სომხ.) — რა ამბავია.  
 იფრანტონ (სიტყვიდან ფრანტი) — იკვლე-  
 თონ, ჩაცმა-დახურვას გადაყვენენ.  
 იშპანი — ისპანია.  
 იშტარხანი — ასტარხანი.

ძაეები — ღოყებზე ჩამოშეებული თმა. ქარ-  
 თველი ქალის თავსამაულის ელემენტი.  
 კახეთი. (დამახ.) — გახეთი.  
 კალმუხი — ყალმუნური ცხვრის საქედღ  
 ტყავი.  
 კევი — პურელის საღეწი იარაღი.  
 კვარტალნი (რუს.) — კვარტალის უფროსი.  
 პოლიციის მოხელე.  
 კინტო — ხელზე მოვაკრე ძველ თბილისში,  
 თავისებურად ჩაძეულ-დახურული და  
 ენამახვილი.  
 კინწირა — კიდე, ნაირი.  
 კიპაეი (დამახ.) — ეკიპაეი.  
 კიცი — კვიცი.  
 კლევა (რუს.) — შტომის წვევისაგან დამ-  
 ხადებული ღული.  
 კნიკი — ევროპული ცეკვის ერთ-ერთი  
 იღეთი.  
 კოლა — მარცველელის საწყაო.

კომლი — ცალკე ოჯახი, მოსახლე.  
 კონხოლი — პურის შექამილი წვანოანი (სა-  
 ბა).  
 კონურსი (დამახ.) — კონკურსი.  
 კოლოპერტი (სომხ.) — გარდაცვლილის ტა-  
 ნსაცმელი, გასამრჯელოდ ეძლეოდა  
 მკვლელს ან მიცვალებულის გამპატიო-  
 სსებულს.  
 კოპტი — ნინბის ტარი.  
 კოსანი (პოლ.) — საყვარელი, ძვირფასი; კო-  
 ხანკა — საყვარელი ქალი.  
 კრაეე (ეს ინჩ კრაეე?) — ყვირის (რას ყვი-  
 რის?).  
 კუნა — ძალიან პატარა, უმცირესი.  
 კუნელა — მონახუნის თავსაბურავი (საბა).  
 კუჩია (რუს. დამახ.) — ნასყიდობის ქა-  
 ლალი, „კუპიააა“.  
 კურტიხანკა — სუბუქი ყოფა-ქცევის ქაღო.  
 კუტი, კუტარი — გაკორტებული, გაღარი-  
 ბებული.  
 კრესლა (რუს.) — სავარძელი.

ლეე (სომხ.) — კარგი; ლეეე — კარგია.  
 ლათია — არაქი, იგავი, ანგლოტი  
 ლანკენტი — ბანქოს ურთვეარი თამაში.  
 ლაქია — სელზე მოსამსახურე მამაკაცი;  
 შლიქველი, პირფერი.  
 ლევი — ბანქოს თამაშის დეტალი.  
 ლენი — ქსოვილის ერთი სახე.  
 ლეჩანა — ბადისებური ქსოვილი, სამკეთ-  
 ხად, არშიაშემოვლებული ქართველი ქა-  
 ლის თავმორთულობის ელემენტი.  
 ლიბასტი (დამახ. ალბასტი) — თამაში.  
 ლილახანი — სამღებრი; ადვილად ხელწა-  
 მოსაკრავი; ლილისანი წახუნდა — მნიშე-  
 ნელობა დაკარგა.  
 ლირდი — თავსედი, შეუშოვარი, ურცხვი.  
 ლიტრა — წონის ერთეული ძველად საქარ-  
 თველოში.  
 ლომებრნი სტოლი (რუს.) — ბანქოს სათამა-  
 შო მაგიდა, მუდღავარული.

მაღია სატიტაეა — ერთწლიანი ზეთოვანი  
 მცენარე.  
 მაიორი — აქ: ბანქოს თამაშის დეტალი.  
 მათლბა — ღრმა თეფში.  
 მანტილა, მანტილია — ქალის უსახელო წა-  
 მოსახსნაში.  
 მარჩილი — ვერცხლის ფული ძველ საქარ-  
 თველოში, უდრიდა სამ აბაზს.  
 მარხვანი — საღეთისმსახურო წიგნი, შეი-  
 ცუეს მარხვისათვის დაწესებულ საგლო-  
 ბლებს.



მაული — მტკიცედ ნაქსოვი ბესუსიანი შა-  
ლის ქსოვილი.  
მაყალი — ნახშირის გასაჩაღებელი თაღლი  
ღუმელი.  
მაწენიკი (რუს.) — გაიძვერა, თაღლითი.  
მაქსოვარი — იესო ქრისტეს ეპითეტი.  
მაწოვარი — ძუძუს მწოველი ბავშვი, ახ-  
ლადაბადებული.  
მებილი (ღამახ.) მებელი — ავეჯი.  
მეითარი (სპარს.) — მეფის მოხელე, მისთ-  
ვის ცხვირსახოცის მიწოდებელი.  
მერნემიმ (სომხ.) — მომიყვდი.  
მეწერილმანე — წერილმანი საქონლით მო-  
ვაჭრე.  
მესტე — მსხვილფეხა საქონლის მწეუჭი.  
მეჭლანე — ძველ ფენსაძელთა დამჭირებე-  
ლი.  
მიკიტანი — ივინის ექიარი.  
მინეტი — წუთი.  
მიტკალი — ბამბის თეთრი ქსოვილი.  
მიტრიკი (ღამახ.) — მეტრიკა, დაბალებს  
მოწმობა.  
მოღნა (ღამახ.) — მოლა.  
მოვი — აბრეშუმის ქსოვილი საპერანგი  
(„მოვის პერანგი“).  
მოხარჩიანა — ფული თავისთვის მოხმარა.  
მოლა — მუსულმანთა კელტის მსახური.  
მოლოზანი (მონაზონი) — ასეკტერი ცხოვ-  
რების აღქმადამდებელი ქალი.  
მოძღვარი — სასულიერო პირი, მღვდელი.  
ბუცესი.  
მტლაშა-მტლუში — უკვანი ხვევა-კოცნა.  
მუგუხალი — ეცესლოვიდებული შუშა.  
მუხმუხული — ქვეშ-ქვეშა, გაჭნული აკამი-  
ნი.  
მუნათი, დამუნათება — ყვეღება, დაჯვდე-  
ება.  
მუეიკი (რუს.) — გლეხი, მდაბიო, გაუნათ-  
ლებელი.  
მუფთი — მუსლიმანთა მეცნიერი, ყურანიშ  
მტოდნე და მისი განმმარტებელი.  
მღილი — კია, მატლი, ჩჩჩილი.  
მხსნელი — იესო ქრისტეს ეპითეტი.

ნახირი — კარის მოხელე აღმოსაუელთის  
სამყაროში.  
ნახუეი — რძესა და ვროში მოხელილი  
თონეული.  
ნაშუეი — ნამუეი, სულ ცოტა.  
ნათაბტი — საპატიმრო.  
ნათი (მიწა) — მიწის ხელმოკრულ მოხენა  
გასაფხვიერებლად.  
ნასლენიკი (რუს.) — მემკვიდრე (მაშაქა-  
ცი).  
ნასლენიკა (რუს.) — მემკვიდრე (ქალი).

ნაწრეტი — რაც დაიწრიტა.  
ნსტეკე (სომხ.) — დაბრძანდი.  
ნუნუა — ლინო.

ნისი (რუს.) — აღწერა.  
ნოქუენი (რუს.) — მუერვე.  
ნოქანა — ბლოში ირად გაყოფილი, ირად  
განტოტებული (ჭობი, ხე, ტოტი).  
ნოქარდა — ნებერი, უპატრონი, უყარგისი.

პარტეკი (რუს.) — ხელკავი.  
პან, პანა (პოლ.) — ბატონი, ქალბატონი.  
პანცირონი (ღამახ.) — პანაიონი.  
პაპარესი (ღამახ.) — პაპირისი.  
პარკესი — თხონა, ევღება, სამადლო-  
ბელი ღოცვა.  
პასოტი (რუს.) — ლაშქრობა.  
პენცია — პენსია.  
პერეოჩიკი (რუს. დამახ.) — მთარგმნელი,  
თარგმანი.  
პიკი — ყუევის ქალი ბანქოში.  
პირისწყალი — „უეუეო ქეცვა“ (საბა).  
პლანი (ლათ.) — გეგმა.  
პლეტი (რუს.) — მატყურა, ვაიქერა.  
პოლიკა — საზოგადოებრივი წესრიგის და-  
ცვის ორგანიზაცია ქალაქის აღმინი-  
ტრაციკაში.  
პოლსაოშკი (რუს.) — დამალყელიანი ფეხ-  
საცმელი.  
პოპოშნიკი (რუს. დამახ.) — პოპოშნიკი — დამ-  
ხმარე.  
პრაუეღენი (რუს.) — სამართლისმცოდნე-  
ობა.  
პრაუელიკა (რუს. დამახ.) — გასერნება.  
პრაფერანსი, უნდა: პრაფერანსი — ბანქოს  
თამაში სამი ან ოთხი მონაწილით.  
პრიკაშნიკი (რუს.) — აქ: ნოქარი.  
პრისტავი (რუს.) — ძველად პოლიციის მო-  
ხელე უზნის, მახრის უფროსი: ბოქაუ-  
ლი.  
პროტი — უმეგანი, ხშიანი კოცნა.  
პრუეტეტი (ღამახ.) — პროეტეტი, სარგებე-  
ლი.  
პუერნი პროშე (რუს. დამახ.) — უმორჩი-  
ლესად ვთხოვთ.

რაოკი — ქანდარა თეატრში.  
რიგისი გადახდა — კვირის, ორმოცის ან  
წლისთავის ქვლუხი.  
როიგი — დამწავლის დასასჯელად გამოყე-  
ნებული წყვლა.  
რუტინა, რუტინისტი (ფრან.) — წესის მო-  
ნური მორჩილება, ძველ წეს-ჩვეულება-  
თა წინაშე ქედის მოხრა; ამის ჩამ-  
დენი.

ხდაგი ღლები — სამეშაო ღლები, გარდა  
კვირა-უქმისა.

სახანდარი — აღმოსავლური სიძღვრის დასი  
ინსტრუმენტებით.

სათლი — კვამლში გამოყვანილი თევზი.  
საქინტე — ტანსაცმლის გულისპირის შესაკ-  
რავი.

სალიობა — სატკივარი, ავადმყოფობა.  
სამკვდრო — მიცვალებულის დასაფლავების  
ხარკი.

საოფლე — გადამღები სნეულება, ტიფი.  
სართათი — ფულადი გზავნილების გადასა-  
ხალი.

სატანა — ჭოჩოხეთის მბრძანებელი, ბორო-  
ტი სული.

სახასო — სამეფო, სახაზინო (მიწა, გლეხი...).

სახლობა — ოჯახი.  
სვე — ბელი. ბედისწერა. იღბალი.  
სინსილა — მოღვაძე; ჭიში; მოღვაძის მოსპო-  
ბა; ძალ-ღონე, ბრძანება.

სირაქი — ღვინით მოვაჭრა.  
სიყუნაობა (რუს. დამახ.) — მიწყენილობა.

სოღა — საბითუმო ვაჭრობა.  
სოვდაგარი — დიდი ქონების მქონე ვაჭარი.

სტოსი — ბანქოს თამაშის სახე.  
სული (რუს.) — სასამართლო.

სუჟანი — ნაჭარგი ქსოვილი რაიმეს გადასა-  
ფარებლად.

სუსაკ (სომხ.) — გაჩუმი.  
სრიმლის გავლება — შემუსვრა, მუსრის  
გავლება.

სროტი — საანგარიშო.  
სჯელი — წესი, კანონი.

ტაბაკი — ხის მოზრდილი თევზი.  
ტანტიკინი (სომხ.) — დიასახლისი.

ტანცი-მანცი (დამახ.) — ცეკვა.  
ტარატა (რუს. დამახ.) — „სტაროსტა“, მნა-  
თე. ეკლესიის მსახური.

ტარბი — კალის მკამელი ფრინველი. შო-  
შისებრი ოჯახისა.

ტაქანი (რუს. დამახ.) — „სტაქანი“, ჭიჭა.  
ტერ ასტეაწ (სომხ.) — წმინდა ღმერთი.

ტერტეაწ (სომხ.) — მღვდელი.  
ტო (სომხ.) — ბიჭო!

ტოლი (რუს. დამახ.) — „სტოლ“, მაგიდა.

შბირი — უეიცი. უმეცარი.  
უხალთუნი (თურქ.) — ათაპაიკიანი მონეტა.

უკიანეს ზღვა — დიდი ზღვა, ოკეანე.  
ულა — ძნის შესაკრავი დაგრებილი ნაშა.

უპრავა (რუს.) — გამგებობა (ქალაქისა).  
ურდული — რკინის საყურთი.

უსტაეი (რუს.) — წესდება.  
უქმაჭური — აქ: შეუხედავი, მახინჯი.

შეატონი — გადასახსნელსახურავიანი სუბუ-  
ქი ეტლი.

ფაიდა — სარტყა, სარგებელი, ხეირი.  
ფარდაგი — მსხვილი შალის ძაფის უხაო

ქსოვილი საფენად,  
ფაფანაქი — მომრგვალებული შალის თავსა-  
ბურავი.

ფესაკუა (სომხ.) — სიძე.  
ფისკალი — დამებულებელი, ამბის მიმტანი,  
ჯამეში.

ფიშქარი — შეგირობაში გამოცდილი მო-  
ქამაგირე.

ფოდრათი (რუს. დამახ.) — „პოდრიად“, სა-  
ნარდო, ნარდო.

ფორმუარი — გელისპირი, ქალთა გულ-  
მკერდის მოსართავი ნაჭარგი ქსოვილი.

ფრანტი, ფრანტობა — კობტა, კობტობა,  
კონწიაობა.

ფრონა — დიდი, მძლავრი ღელვა ზღვისა.  
ფუთი — წონის რუსული ერთეული.

შაბაბი — დაკეპილი ხორცი მოგრძო გუნ-  
დებად შემწვარი სანელებლით შეკმა-  
ხული.

ქალამანი — ხაში ტყავის ფესხაქმელი.  
ქალაქელი — იგულისხმება თბილისელი.

ქარვასლა — საეპრო სახლი საწყობებით  
და მალაზიებით, შორეულ ვაჭართა სას-  
ტუმროებით.

ქარქვეტა — მცენარე, რომლის ღვრი გა-  
მოიყენება საჭმელად.

ქალალი — აქ: ბანქო.  
ქვებუდანი — გაიძვრა, ვერავი.

ქვეითი ქვეყნები — კასპიის ზღვის სამხრე-  
თით მდებარე ქვეყნები.

ქელი (დამახ.) — ფქელი.  
ქიზგა (ოსურ.) — ქალი.

ქოქოლა — ვინმესკენ ხელის გულების წინ  
მიქვევა დასაწყევლად.

ქრთამი — აქ: ქალის გათხოვებისას საქმ-  
როსათვის გაღებული თანხა.

ქურსი — საბანკადაფარებული ტაბტი, რომ-  
ლის ქვეშ დგას მავალი გაღვივებული  
ნახშირით.

ღება, იგივე გება — ღვამიწის ღმერთი.  
ღრჭოლები — დიდი და წინ წამოწეული  
კბილები.

შაბლუ-ფლავი — ფლავი შემწვარი ხორციო.  
ყაბული — თანახმა, თანახმობა.

ყავლი — ვადა.  
ყაირათი — მომჭირნეობა.

ყალბათ — ერთიანად.  
ყანდი — შაქარი.  
ყანდის ჩალა — შაქრის ლერწამი.  
ყაფახა — გალია.  
ყვეარი — ორი წყვილი გამწვევი საქონელი ურეში შებმული.  
ყველიერი — ლიდმარხვის წინა კვირა, როდესაც ხორცეული და მისი ნაწარმი აღარ იჭმევა. ყველიერის ორშაბათი — ლიდმარხვის წინა კვირის ორშაბათი.  
ყვირულობ — ყვირი.  
ყირბიზი — წითელი ფერი.

ყურმსალი (თურქ.) — საღანძღავი სიტყვა მაჰანკალი.  
შამშიმებიანი — ეუთხებიანი.  
შაური — ხუთი კაკაი, ან ღირებულების სპილენძის ფული.  
შარლანანი (ფრანგ.) — უეცი, გაიძვერა, მატყუარა.  
შატა-ბურტა — ტერცეტი, უთავბოლოდ მოლაპარაკე.  
შედგომილება — აქ: შინაარსი.  
შეშული — სხვადასხვა, ნაირ-ნაირი საეპერო საქონელი.  
შთამოსრული — შთამოკავალი.  
შეიდიში — ქალის ქვედა აბრეშუმის საკვავალი.  
შილთახი, მიშილთახა — შარი, ცილი, მიშარა, ცილი დამწვამა.  
შნორაკალიმ (სომხ.) — მადლობელი ვარ.  
შნორაული (სომხ.) — მადლიანი.  
შაგა (იტალ.) — დაშნა.  
შრტიალი — ხმამაღლა ტუქსვა, წყრომა.  
შრთი (გერმ.) — შტაბი.

ჩარეჭი — საწყაოს ან საზომი ერთეულის შემოხვედი.  
ჩარჩი — ქორეპერი, გადამყიდველი.  
ჩასანდი — ყოჩალი, გულშართალი, დარდიმანდი.  
ჩანხი — დამარილებული, კვამლში გამოყვანილი ხორცი.  
ჩერეი — ბანქოს ქალაქი გულის გამოსახელებით.  
ჩინოვნიკი (რუს.) — ჩინოსანი, მოხელე.  
ჩიქილა — ლეჩიქი.  
ჩლაეი — უცხიმი ფლაეი.  
ჩორსო (სპარს.) — ოთხეუთხედი. ჩორსო ბაზარი — ოთხეუთხედი ტერიტორია სავაჭრო ადგილისა.  
ჩორუმცა (ჩორ უ ცაე) — წყველდა.

ცერემონი (ღამახ.) — ცერემონია.  
ცოტა-მარტა — ცოტა, ცოტაოდენი.

წალი — ყელღში დატანებული უპარი განწინა.  
წალა — მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ჩექმა.  
წყილი (ღამახ.) — რწყილი.

შარეშალათი — მარჩენალი.  
ჭიოტა — ერთწლიანი მცენარე პერეულის ნაღესში, შხამინია.

ხაბარდა! — ჩამოდეთ! (მეცტლეს ძახილი სვლის დროს. ხაბარდანი კაბა კრინოლინი, მათულებების კარკასზე გადაჭიმული კაბა, განიერი).  
ხაზინა — განწი, საგანძერი; დაწესებულება, სადაც ინახება ფული, განყეულობა.  
ხათა — ხათაბლა, დავიდარაბა, შეცდომა.  
ხათრიქამი — დარწმუნებული, იმედიანი.  
ხიზანი — აქ: ოქახის წვეკები. ხიზნობა — შეკვლევა, სხვის მფარველობაში შესვლა.  
ხირიმი — სასრილო იარაღი დაძებებული ყირიმში.  
ხნამე — მძახალი, აქ: ჯალბატონი.  
ხოდი (რუს.) — სელა, მსვლელობა.  
ხოკეა — სახის კაწრეა, ფხოკნა.  
ხონტჟარი — ოსმალთა მეფე, სულთან.  
ხინჩა — მოგზაო ტამაკი, ოღნავ გულამონებული.  
ხორაგი — სურასთი, საწოვაგე.

ჯადო — გრძნეული ძალის მქონე ნუთი, თოლისმა, მავენებელი ადამიანისათვის.  
ქილე (ღამახ.) — ყელე.  
ქინში (ღამახ.) — ქიში.  
ქოქხეთი — ცოდვილ სულთა მედმიეი სატანყველის ადგილო საიქიოში.  
ქუქამი — სათუო, სასაყვედურო საქმე.

ჭაზარე, ჰაზანდარე — აღტაცების მოჩინდებული სიმღერისას.  
ქალა (სომხ.) — ახლა.  
ჰამ (სომხ.) — თანაც. აგრეთვე.  
ჰამე (სომხ.) — გაგონების დასტური.  
ქელქათი — იტი. წინააღმდეგი.  
ჰხამს — ყერ არს, საჭირია.

**ს ა რ ა ნ ე ვ ი**

რედაქტორისაგან 3

**გიორგი პრისტავი**

სვიმონ მანაბელს (I)	5
უცხო ქვეყნის კაბუჯს	6
მტკერ-სადმი	6
უბახოსადმი	7
როზალია ბიუჰინგის ქალს	7
ღიპრი უნაწვილი ქალისა	8
სვიმონ მანაბელს (II)	9
თოვლი	9
თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ	10
პროტორ-ში	10
ზარე და ყანომა	11
მეფე	20
ქალი	40
ტყუი	75

**ჯურაბ ანტონოვი**

ნე მინდა კნეინა გავხდე	94
მზის დაბნელება საქარაუელოში	120

**ლავრენტი არღაზიანი**

სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილი	151
მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ	221

**ღანიელ შონძაძე**

სურამის ციხე	238
--------------	-----

**რეზილ პრისტავი**

ღედა ენა	274
სამშობლო ხევსურისა	275
მთხოვნელი მსაჯულსადმი	275
თანხას მამითადი	276
თანდილას დარდი	277
სესიას ფიქრები	278
ბერუას ჩივილი	278
ნეტა რას სტირი, ღედილო?	279

სურათი	. 280
სამზიეთო	. 281
ასპინძის ომი	. 282
კახეთში გახლდით	. 293
დედააკამა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია	. 299
შენიშვნები და კომენტარები	. 316
ლექსიკონი	. 330